ვარფანგ

თხზულებანი
ცხრა ტომად

ტომი მეოთხე

ჭეიძე

ქართლის ცხოვრების ქრონიკები

წიგნი მესამე

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

„ქართლის ცხოვრების ქრონიკების“
გამოცემა დაიწყო 1973 წელს

რედაქტორი:	**დავით ჭელიძე**
ცხრატომეულის რედაქტორი	**ემზარ კვიტაიშვილი**

დამკაბადონებელი	დალი ჯვარშეიშვილი
ოპერატორი	ლია სულაქველიძე

© ვახტანგ ჭელიძე
© გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

ISBN 978-9941-406-53-9 (ცხრავე ტომი)
ISBN 978-9941-16-127-8 (IV ტომი)

წიგნი

III

თავი I

დავით აღმაშენებლის პირველი გაბედული ნაბიჯები – დიდი ისტორიული რეფორმების დასაწყისი ✦ კლდეკარის საერისთავოს გაუქმება და ლიპარიტის სამუდამო გადასახლება ბიზანტიაში ✦ ერისთავობის საუკუნოებით დაკანონებულ ინსტიტუტს სავსებით ახალი სახელმწიფოებრივი წყობა დაუპირისპირდა ✦ ჯვაროსნული ლაშქრობები ✦ რუის-ურბნისის 1103 წლის საეკლესიო კრება ✦ ერწოს (ერწუხის) ბრძოლა გახდა დავით აღმაშენებლის სამხედრო ძლიერების დასაბამი

წინა წიგნში ჩვენ იქ შეეწყვიტეთ ჩვენი მოთხრობა, როცა ქართველი მეფე გიორგი მეორე იძულებული გახდა, სამეფო გვირგვინი მოეხადა, ტახტიდან ჩამოსულიყო და გვირგვინიც, ტახტიცა და სამეფო კვერთხიც თავისი შვილისთვის, ჯერ ისევ სავსებით ახალგაზრდა უფლისწულისთვის დაეთმო.

სამეფო ტახტზე ასელას, ჩვეულებრივ, სიხარული ახლავს ხოლმე. სამეფოდ გამზადებულმა ადამიანმა, სულ ერთია, რა ხნისაც უნდა იყოს იგი, კარგად იცის, რა ტვირთს კისრულობს, რა პასუხისმგებლობას იღებს არა მარტო თანამედროვეების, არამედ აგრეთვე წინაპართა და განსაკუთრებით კი მომავალი საუკუნეებისა და თაობების მიმართ. ვინც ჭეშმარიტად ღირსეული მამულიშვილია, იგი წინასწარვე გრძნობს, ქვეყნად ყველაზე მკაცრი, მიუკერძოებელი და თითქმის შეუმცდარი მსაჯულის — ისტორიის წინაშე პასუხისმგებლობის მთელ სიმძიმეს... და მაინც სიხარულთან არის დაკავშირებული ეს მოვლენა, რადგან ყოველგვარი ადამიანური სისუსტე — მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, ამბიციაც, დიდებისმოყვარეობაც, სიხარბეცა და შურიც — მისთვის უფრო არის დამახასიათებელი, ვიდრე სახელმწიფოს უბრალო ქვეშევრდომისათვის.

ჯერ ნუ მოვინდომებთ იმის გარკვევას, სიხარულით მიიღო

შეთავაზებული ტახტი და გვირგვინი ახალგაზრდა ქართველმა მეფემ თუ განსაკუთრებული პასუხისმგებლობის შეგრძნებამ გაუნელა ეს სიხარული. ამის თქმა ჩვენთვის ახლა ძნელიც იქნება...

იქნებ იმის ვარაუდი იყოს უფრო ადვილი, თუ რა გულისფანცქალით შეპყურებდნენ მეფის ყოველ გადადგმულ ნაბიჯსა და მოქმედებას სხვები — სამეფო კარის წარჩინებულნიც, მხედრობაც და ყველა უბრალო ქვეშევრდომიც, მოყვრებიცა და მტრებიც, კეთილი მეზობლებიცა და მტრულად შემართული ქვეყნებიც... რადგან ახალგაზრდა უფლისწულმა მეტად მძიმე და უჩვეულო ვითარებაში ჩაიბარა ქვეყანა.

„მეფე იქმნა რა დავით, მოობრებულ იყო ქართლი და თვინიერ ციხეთა სადამე არა სადა იყო კაცი სოფელსა შინა, არცარა შენებულობა...“

ამ სიტყვებით იწყებს მემატიანე დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის მოთხრობას. ჩვენ ჯერ არ გვითქვამს, რომ ის თექვსმეტი წლის ყრმა, რომელსაც მეფე-მამამ „თვით დაადგა გვირგვინი მეფობისა“, დავით მეოთხე ანუ დავით აღმაშენებელი იყო.

აღმაშენებელი უფრო მოგვიანებით უწოდა ხალხმა მეფეს და ეს სახელი თავისთავად გვეუბნება, რა დიდი ღვაწლი გაუწევია ამ ადამიანს ქვეყნისთვის, ისეთი ღვაწლი და ამაგი, რაც სხვებისას აღემატებოდა, რაც, საერთოდ ყველაფერს აღემატებოდა და რაც მას — ამ დიდებულ მამულიშვილს — ხალხის უკეთეს შვილად რაცხდა. ხალხი ასე ადვილად არ არიგებს სახელებსა და ტიტულებს. ასეთი შერქმეული სახელი მუდამ ცხადად გამოკვეთილ განსაკუთრებულ ღვაწლსა და დამსახურებაზე მიუთითებს, რითაც ამ სახელის პატრონი ყველა დანარჩენისგან განსხვავდება, რითაც იგი ცხოვრებასა და გრძელ ისტორიას თავის კვალს აჩნევს...

ჩვენ ისიც ხომ ვიცით, რომ შერქმეული სახელი ყოველთვის საამაყო და სასიქადულო არ არის. ალბათ გახსოვთ, როგორ შეარქვეს ბულგართმეფეტი ასამდე წლის წინათ მცხოვრებ დიდი მეზობელი ქვეყნის იმპერატორს, რომელიც შიშის ზარსა სცემდა მაშინდელ მსოფლიოს. და შერჩა ეს სახელი სამუდამოდ, როგორც მტარვალობისა და განუკითხაობის ნიშანი; სანამ კაცობრიობა არსებობს, ეს სახელიც იარსებებს, არ წაიშლება, კაცთა მოდგმის სულ ახალ და ახალ თაობებს გააგებინებს იმ გვირგვინოსნის არაადამიანური სისასტიკისა და გულქვაობის ამბავს. და რაც უნდა დიდი ამაგი დაედოს ამ კაცს თავისი ხალხისათვის (ამაგს კი მართლაც საკმაოდ აღნუსხავენ), ეს სახელი მაინც ჩრდილს აყენებს...

ზოგჯერ ცალკეული მემატიანე სუბიექტური შეიძლება იყოს და ცდებოდეს, ასეთი სახელის შემრქმეველი ხალხი არასოდეს ცდება. მარტო საკუთარი ხალხისთვის გაწეული ამაგი, თუკი ესა თუ ის ისტორიული პირი ამავე დროს სხვა ხალხის მომსპობი და დამარბეველია, ამაგად აღარავისთვის ითვლება, მადლი არა აქვს.

ასამდე წლის წინათ მცხოვრებიო, მიახლოებით ეთქვი ზემოთ და მერეღა დავაკვირდი, რომ ზუსტად ასი წელი გამოდის: დავით აღმაშენებელი 1125 წელს გარდაიცვალა, და თქვენ გეხსომებათ, რომ ბიზანტიის იმპერატორი ბასილ მეორე — იგივე ბულგართმჭლეტი — 1025 წელს მოკვდა. ოღონდ ბიზანტიის იმპერატორმა მეტ ხანს იცოცხლა, ქართველი მეფე კი ჯერ ისევ ახალგაზრდა გარდაიცვალა. ახალგაზრდა ითქმის — 52 წლისა იყო, ამქვეყნიდან რომ წავიდა.

ქუთაისში, ბაგრატის დიდებული ტაძრის ეზოს აწ უკვე ჩამორღვეულ გალავანზე თუ შედგებით და პირს ჩრდილო-აღმოსავლეთით იზამთ, დაინახავთ მომაღლო მთის უბეს მიხუტებულ მეორე დიდებულ ტაძარს, რომელიც დავით აღმაშენებლის სახელთან არის დაკავშირებული.

ეს სახელგანთქმული გელათია.

აქედან რომ გასცქერი, უსათუოდ ისეთი შთაბეჭდილება შეგექმნება, თითქოს ტაძარი რაღაცნაირი მოკრძალებით მიპკვრია მთას, თავს არ გაწონებს, თვალში არ გეჩრება. აქედან მოშორებით არის, მაგრამ კარგად თუ დააკვირდები, მთავარი შენობის ირგვლივ რამდენიმე ნაგებობას გაარჩევ.

ამჟამად, ჩვენ ერთი, შედარებით პატარა ნაგებობა გვაინტერესებს.

ახლოს მივიდეთ და უფრო კარგად ვნახოთ.

ეს კარიბჭეა. სამხრეთის შემოსავალის კარის ბჭე. და ამ კარიბჭის ქვეშ დიდი ლოდი დევს – დავით აღმაშენებლის საფლავის ქვა. ლოდის სიდიდეც კი მიგვანიშნებს, რა ბუმბერაზი კაცი ყოფილა მეფე. ქვის „სიგრძე 4 არშინი და 6 ვერშოკი არს, სიგანე 1 არშინი და 12 ვერშოკი“, გაუზომავთ ერთ დროს. თავისთავად იგულისხმება, რომ ქვა გაცილებით უფრო გრძელია, მეფე, რაღა თქმა უნდა, ამსიმაღლე არ იქნებოდა; ზუსტად განსაზღვრა — რა სიმაღლისა იყო, ახლა ძნელია, მაგრამ ზოგადად კი, ლოდის სიდიდე უსათუოდ მიგვანიშნებს მეფის განსაკუთრებულ ახოვანებაზე. ამას მემატიანეც საგანგებოდ აღნიშნავს.

ახლა ამ ქვის ქვეშ აღარ ასვენია სახელოვანი მამულიშვილი.

მოგვიანებით, როცა მისი ღვაწლი უფრო გამოჩნდა და გამოიკვეთა, ამოასვენეს და დიდ ტაძარში გადაასვენეს, ტრაპეზის ქვეშ დაკრძალეს.

ესეც დამახასიათებელია — ალბათ, მისივე ანდერძით დაკრძალეს კარიბჭის ქვეშ და არა ტაძარში, თვითონვე არ ისურვა, რომ ტაძარში დაეკრძალათ, საკუთარი თავის განდიდებას მოერიდა.

ამ ვეება ქვაზე ახლაც შენიშნავთ წარწერის კვალს, მაგრამ წაკითხვა აღარაფრით ხერხდება — წაშლილია: „მავალთაგან და უდებობითა წაშლილ არს“ (რაკიღა კარიბჭეში იდო ამოდენა ლოდი, ზედ ბევრი უვლიათ: მეფის სურვილიც სწორედ ეს იყო). ეს სიტყვები უკვე მეცხრამეტე საუკუნეშია დაწერილი და ეკუთვნის მიხეილ საბინინს, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო ქართულ საისტორიო ძეგლთა გამომზეურებასა და შთამომავლობისთვის შენახვას. სწორედ საბინინი გადმოგვცემს იმ ცნობას, რომ მეფის ნეშტი კარიბჭიდან ტაძარში გადაასვენეს.

მაშინ, ეტყობა, იმდენად გადაშლილი არ ყოფილა ქვაზე წარწერა და საბინინს როგორღაც მაინც მოუხერხებია წაკითხვა — „ფრიადის ღონისძიებითა და ტანჯვითა აღმოვიკითხეო“, წერს.

როგორც ხედავთ, დავით აღმაშენებლის ეპიტაფიაზეა ლაპარაკი. საბინინი ოდნავ შეცვლილ ტექსტს გადმოგვცემს. სჯობს, ზუსტი ტექსტი გავიხსენოთ.

ვის ნაჭარმაგევს მეფენი შვიდნივე პურად დამესხნეს,
თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღვართა იქით გამესხნეს,
თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთამესხნეს,
აწე ამათსა მოქმედსა ხელნი გულზედან დამესხნეს.

ზოგჯერ თვითონვე თხზავს ადამიანი თავის ეპიტაფიას, რომელსაც მისი ამქვეყნიდან წასვლის შემდეგ საფლავის ქვაზე ამოკვეთენ ხოლმე. დავით აღმაშენებელი პოეტი იყო, მაგრამ ეს ეპიტაფია მას ნამდვილად არ დაუწერია, მან სხვა „ეპიტაფია“ დატოვა. ამ სტრიქონებს კი, მეცნიერები მიაკუთვნებენ დავით აღმაშენებლისავე თანამედროვეს, სახელგანთქმულ მეცნიერსა და მწიგნობარს არსენ იყალთოელს. მაგრამ მანამდეც კი, ვირდე მკვლევარები ამ სტრიქონების ავტორს დაადგენდნენ, ეჭვი არავის შეეპარებოდა, რომ იგი დავით აღმაშენებლის შეთხზული არ იყო; დავით აღმაშენებელი თავმდაბალი კაცი ყოფილა და თავისი ღვაწლის ასე ჩამოთვლას არ მოჰყვებოდა.

დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილ მეცნიერულ გამოკვლევებში, რომელთა რიცხვი საკმაოდ სოლიდურია, ყველგან საგანგებოდ არის აღნიშნული ეს ადამიანური ხასიათის სამკაული — თავმდაბლობა და მოკრძალება. და როცა დიდი მამულიშვილის გამოსახულებას შევეცქერით მისივე ტაძრის ერთ-ერთ კედელზე, აქაც კარგად არის გადმოცემული ეს უბრალოება. მხატვარს კარგად დაუჭერია გმირის ხასიათი. შემოგვყურებს ტაძრის კედლიდან ღვაწლმოსილი წინაპარი კეთილი თვალებით, თითქოს ყურადღებით გაკვირდება... და ზრუნვა უფრო გამოსჭვივის ამ პატიოსან, თითქოს ოდნავ დაღლილ თვალებში, ვიდრე, ვთქვათ, ქედმაღლობა, მედიდურობა, სისასტიკე ან ასეთი მდგომარეობის კაცისთვის დამახასიათებელი სხვა რაიმე ადამიანური სისუსტე.

ეს ნახატი უფრო მოგვიანო პერიოდს განეკუთვნება — მეთექვსმეტე საუკუნეს — მაგრამ ვარაუდობენ, რომ იგი ძველი ფრესკიდან განუახლებიათ. ასე რომ, უნდა ვიგულისხმოთ, მსგავსება შენარჩუნებული იქნება. მარჯვენა ხელში ეტრატი უჭირავს ფრესკაზე გამოსახულ ადამიანს, მარცხენაში — მოდელი გელათის ტაძრისა, რომელიც მის სახელს უკავშირდება...

ფრესკის მიხედვით მერე სხვა ნახატებიც შექმნილა. აგერ, საბინინის დიდებული წიგნი — „საქართველოს სამოთხე". წიგნში აღმაშენებლის ცხოვრებაა დაბეჭდილი და აქეე ვხედავთ გელათის ფრესკის ვარიანტულ რეპროდუქციას. მარჯვენა ხელში აქაც ეტრატი უჭირავს ნახატზე გამოსახულ ადამიანს, მარცხენაში — ხმალი, ქარქაშში ჩაგებული ხმალი, რომელიც ოდნავ ზეაუწევია და ვადით გულზე მიუკრავს. ეს ორი საგანი — წიგნი და ხმალი — განუშორებელი და განუყრელია სურათზე გამოსახული ადამიანისთვის და მხატვარსაც სიმბოლურად გადმოუცია. როცა ამ ადამიანის ცხოვრებას გაეცნობით, მერე ისიც თვალსაჩინო გახდება თქვენთვის, თუკი ამისი საშუალება მიეცემა, ხმალს უფრო ადვილად შეელევა იგი, ვიდრე იმ ეტრატს, რომლის ოდნავ ჩამოშლილ ნაწილზე ჩვენ რაღაც შენობის გეგმას ვარჩევთ.

მაგრამ წინ ნუ გავიჭრებით. ისევ იმ სიტყვებს დავუბრუნდეთ, რითაც ეს წიგნი დავიწყეთ.

...მოოხრებულ იყო ქართლი და თვინიერ ციხეთა სადამე არა სადა იყო კაცი სოფელსა შინა...

უკვე მერამდენედ გავიმეორეთ ეს სიტყვები. იმისათვის, რომ პირუთვნელად და ამომწურავად შევაფასოთ ახალგაზრდა მეფის

მთელი მოღვაწეობაცა და განსაკუთრებით მისი ზეობის პირველი წლები, კარგად უნდა გაეითვალისწინოთ, როგორი ქვეყანა ჩაიბარა მან.

ზემოთ ბიზანტიის იმპერატორი ბასილ მეორე შემთხვევით არ გვიხსენებია. თქვენ იცით, რომ სწორედ მის დროს დაიწყო, მან დაიწყო გააფთრებული ბრძოლები საქართველოს წინააღმდეგ და მერე, სხვა დამპყრობელმა განაგრძო. პირველად მან დაარბია და მოაოხრა სამხრეთი საქართველო, მან და მისმა ძმამ იმპერატორმა კონსტანტინემ: თითქოს საგანგებოდ გაუადვილეს საქმე სელჩუკებს, რომლებიც ბიზანტიელთა განუწყვეტელი ლაშქრობების შემდეგ მალევე გამოჩნდნენ ამ მხარეში...

და მას შემდეგ ჩვენს ქვეყანას მოსვენება აღარ უნახავს. ტკბილ მოგონებადღა იქცა მშვიდობიანი ცხოვრების ის შედარებით გრძელი პერიოდი, როცა მშვიდობისმოყვარე და შრომისმოყვარე ხალხის შემოქმედებით ნიჭსა და უნარს ფართო გასაქანი მიეცა, ხალხი გამრავლდა, სოფლები და ქალაქები გაშენდა. მეურნეობის ყველა დარგი აყვავდა და გაიფურჩქნა, მეზობელ თუ შორეულ ქვეყნებთან ვაჭრობა-აღებმიცემობა გაიშალა, სულიერი კულტურის დონემ მანამდე არნახულ სიმაღლეს მიაღწია, ქვეყანა (ანუ ქვეყნის ის ნაწილი, რომელიც მტერს არ ეპყრა) დიდებული ტაძრებითა და კულტურის კერებით მოიფინა... გავიხსენოთ, რამდენი რამ აშენდა, დაიწერა, ითარგმნა, შეიქმნა... მწერლობის, არქიტექტურის, მუსიკის და ხელოვნების სხვა დარგების სწორედ იმდროინდელი რამდენი უბრწყინვალესი ნიმუში შემორჩა ისტორიას და დღეს მუზეუმებში რომ ვიხილავთ, ან მათ რეპროდუქციებს ვათვალიერებთ, გულს გვიხარებს, სიამაყითა და ჩვენი დიდი წინაპრების მიმართ მადლიერების გრძნობით გვავსებს...

და უცებ ყველაფერი შეიცვალა, მჩქეფარე სიცოცხლე ერთბაშად ჩაკვდა, სოფლები და ქალაქები დაცარიელდა, დაინგრა, შვილივით მოვლილი ბაღები და ზერები, გულს რომ ახარებდა, მტრის ურდოებს აუჩეხავთ და იქიდან ახლა ერთად მოჩიხული უთვალავი ჯოგების გაბმული ბღავილი მოისმის... სასოებით ნაშენები დიდებული ტაძრები, სადაც ქართული მწერლობისა და ხელოვნების მრავალი დარგის ბრწყინვალე ნიმუშები იქმნებოდა, ან მთლად დაუქცევიათ, ან შეუბილწავთ და თაველებად გაუხდიათ, იქიდან ახლა დიდებული საგალობლების ნაცვლად ცხენების ჭიხვინი მოისმის...

ზუსტად ასე გადმოგცემს მემატიანე: „წმინდანი ეკლესიანი

შექმნეს სახლად პუნეთა თეისთა, ხოლო საკურთხეველნი ღმრთისანი — ადგილად არაწმიდებისა მათისა".

თქვენ ალბათ გახსოვთ მემატიანის სხვა სიტყვებიც: „არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და მკა; მოოხრდა ქუეყანა და ტყედ გარდაიქცა და ნაცვლად კაცთა მხეცნი და ნადირნი ველისანი დაემკვიდრნეს მას შინა. და იყო ჭირი მოუთმენელი ყოველთა ზედა მკვიდრთა ქუეყანისათა, შეუსწორებელი და აღმატებული ოდესვე ყოფილთა სმენილთა და გარდასრულთა ოხრებათასა... და რომელნიმე მწარესა ტყუეობასა მიცემულ იქმნეს, მოხუცებულნი არა შენყალებულ იქმნეს, ხოლო ქალწულნი გინებულ, ჭაბუკნი დაკუტებულ, ხოლო ჩჩეილნი მიმოდატაცებულ. ცეცხლი უცხო და მბრძოლი, რომლითა მოიწუა შენებული ყოველი, მდინარენი სისხლთანი, ნაცვლად წყლისა ნაკადულთა, მრწყველნი ქუეყნისანი..."

მთელს სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მოედვნენ — „მოეფინნეს პირსა ყოელისა ქუეყანისასა, ეითარცა მკალნი..." ქვეყნის სამი მთავარი მდინარის აუზები მტრის ურდოებით გაიესო.

იოანე ბატონიშვილი თავის „კალმასობაში" წერს: „თურქთა დაიპყრეს საქართველო და დაეშვნენ სამთა მდინარეთა სანაპიროთა ზედა — ესე იგი მტკვარსა, ალაზანსა და იორსა ზედა, სახეთა ამით, რომელ მათ ელისა მთავართა განიყვეს ამ სახით ადგილნი ესე: ერთი მთავართაგანი ასიათასისა კომლისა კაცითა დაესახლა მტკვრისა კიდესა ზედა ამიერ და იმიერ; მეორე მთავარი დაესახლა ასიათასისა კაცითა იორის მდინარის კიდესა ზედა თიანეთიდგან, ვიდრე ალაზნისა შესართავამდე, რომელიცა ერთვის მახლობელ სამუხისა; ხოლო მესამე მთავარი დაესახლა ასიათასისა კომლისა კაცითა პანკისიდგან ალაზნის სანაპიროსა ზედა... და დაიპყრეს სახითა ამით ქართლი და კახეთი..."

და იმ ადგილებიდან, სადაც ჯგუფ-ჯგუფად ჩამდგარან სელჩუკთა ურდოები, დროდადრო უფრო ღრმადაც შეიჭრებიან ხოლმე სოფლების სარბევად — „რამეთუ იწყეს მიერითგან რბევად, ტყუენვად და მოოხრებად, წუად, სრვად და ტყუეობად ჩუენ ქრისტიანეთა..."

თუ წინათ დაზამთრებამდე იკლებდნენ იქაურობას და მერე კი, რამდენიმე ხნით — გაზაფხულის დადგომამდე — მიიქცეოდნენ, ახლა უკვე, ზამთარსაც შეეწყვნენ სელჩუკები, გამოსაზამთრებელი ადგილებიც გამოძებნეს ჩვენს მიწა-წყალზე: „ზამთრისა მოწევნასა თანა ფალანგებითა მათითა ჩამოდგიან ჰაეჭალას და დიღომს, ჩაღმართ მტკურისა და იორის პირთა..."

როგორც ხედავთ, კარგად შეჰგუებიან, გაშინაურებიან ჩვენებურ ზამთარს, კარგად აუთვისებიათ ჩვენი ხალხის საცხოვრებელი. „... დადგიან ხარგებითა (კარეებით). ცხენისა, ჯორისა, ცხუარისა და აქლემისა მათისა არა იყო რიცხვი და აქუნდა ცხოვრება სანატრელი: ნადირობდიან, განისუენებდიან და იხარებდიან, და არა იყო ნაკლულევანება მათ თანა... ესეოდენ დიდი იყო ძალი მათი და სიმრავლე, რომელ სთქუამცა თუ „ყოველი თურქობა ყოვლისა ქუეყანისა იქი არსო. და არავისგან მოსაგონებელ იყო ოდესცა მათი გასხმა ანუ ენება, არცა თუ თვით სულტანისაგან...“ რაც კი დედამიწის ზურგზე თურქობაა, ყველას აქ მოუყრია თავი და მათი აქედან გაყვანა სულთანსაც კი აღარ ძალუძს, გულით რომ მოინდომოსო.

დათარეშობდნენ გუნდ-გუნდად ეს მომთაბარე ტომები, გზაზე ძეხორციელს არ გაატარებდნენ, სადმე მიყრუებულ ადგილას მოფარებულ ყანასა და ზვარს თუ წააწყდებოდნენ, იმასაც მაშინვე გადათელავდნენ და მოსპობდნენ...

იმ წელს კი, რა დროიდანაც ჩვენს თხრობას ვაგრძელებთ — ესე იგი 1089 წელს — თითქოს ჭირი არ აკლდა, ქვეყანას ახალი უბედურება დაემატა: მიწისძვრა შემოეჩვია და მთელი წლის განმავლობაში საშინელ რისხვად დაატყდებოდა ხოლმე თავს ხან რომელ კუთხეს ქვეყნისა და ხან რომელს. ხალხი შიშით იძინებდა საშინელების მოლოდინში, რათა სიმწრით გათენებული დღე იმავე გაურკვეველი მოლოდინის შიშში დაეღამებინა.

ასეთ დღეში იყო ქვეყანა 1089 წელს, როცა იგი თექვსმეტი წლის მეფეს ჩააბარეს.

წინა წიგნიდან ჩვენ ვიცით, რა პირობებში მოხდა ეს — რამ აიძულა ჯერ ისევ ახალგაზრდა მეფე გიორგი მეორე გადამდგარიყო და ტახტი ყრმა უფლისწულისთვის დაეთმო.

გადატრიალება სასახლეში მოხდა და საშინელ განსაცდელში უპატრონოდ მიტოვებულ ხალხს — დაბურულ სოფლებში მიმალულებს, მთებში გახიზნულებს, განაპირა ტყეებში გადახვეწილებს — ვინ იცის, როდის მისწვდა ეს ხმა! მაგრამ, თუნდაც ადრე გაეგოთ, ცვლიდა კი ეს რამეს? ამსუბუქებდა იმათ მდგომარეობას, ვისაც ეს ხმა მისწვდებოდა? გულში რაიმე იმედს ჩაუსახავდა?..

ძალიან ძნელი დასაჯერებელია. იმედის წყარო გადაწურული იყო, მომავალს სასიკეთო პირი არ უჩანდა. მეზობელი მხარეებიდან და ქვეყნებიდანაც სანუგეშო არაფერი ისმოდა. მეზობელ ქვეყნებში, როგორც უკვე ვიცით, კიდევ უფრო ადრე შეიჭრნენ სელჩუკთა

ურდოები. „...განძლიერებასა თურქთასა დაუტევნეს ბერძენთა ქუეყანანი მათნი, ციხენი და ქალაქნი, რომელნი აღმოსავლეთს პქონდეს და წარვიდეს, რომელნიცა აიხუნეს თურქთა და დაემკვიდრნეს მას შინა". ესეც ქართველი მემატიანის სიტყვებია. ამ ქვეყნების დარბეული ხალხები მით უფრო ვერ წარმოიდგენდნენ, რომ საქართველოს სამეფო ტახტზე ასულ თექვსმეტი წლის ყრმას ბედი დააკისრებდა უდიდეს მისიას — საკუთარი და მეზობელი ხალხების დარაზმვას და იმ დიდი ბრძოლების მეთაურობას, რასაც საშიში დამპყრობელი ამიერკავკასიის მიწა-წყლიდან უნდა განედევნა, და აქაური ხალხებისათვის თავისუფლება მოეტანა.

ამის წარმოდგენა მასაც არ შეეძლო, თვითონ ყრმა მეფეს, რომელმაც მტრისაგან ასე განადგურებული და დარბეული ქვეყანა ჩაიბარა. მეფეს თავის ქვეყანაში თავისუფლად მისვლა-მოსვლაც კი არ შეეძლო. „იყო მაშინ საზღვარი სამეფოსა მთა მცირე ლიხთაო", გადმოგვცემს მემატიანე. ეს იმას ნიშნავს, რომ ლიხს აქეთ — მთელი ქართლი და მესხეთი თურქ-სელჩუკების სათარეშოდ იყო ქცეული. ნაჭარმაგევს ჩასვლა რომ დასჭირვებოდა მეფეს, წინასწარ მზვერავები უნდა გაეგზავნა და შეემოწმებინა, სელჩუკები იქვე დათარეშობენ, თუ იქ უკვე მოითარეშეს და ახლა სხვაგან არიან სათარეშოდ გადასულებიო.

მეორედ ვახსენეთ ნაჭარმაგევი. იგი ქალაქ გორის მახლობლად მდებარეობს — იმ დროს ქართლში მეფის სადგომი ეს სოფელი იყო; ამიტომაც ვკითხულობთ დავითის ეპიტაფიაში — ნაჭარმაგევს მეფენი შვიდნივე პურად დამეხსნესო. აქა ტრიალებს ახლა დიდი ამბები, ქვეყნის ბედი აქა წყდება, ეს კუთხე აურჩევია მტერს მოსასპობად და გასაქელად, და ქვეყნის გამგებელი სულ აქ უნდა იყოს, ამ ადგილებში, დარბეული ხალხის სიახლოვეს...

ჩვენ ვიცით, რომ არაბთა მიერ თბილისის დაკავების შემდეგ უფლისციხე გაძლიერდა, მისი მნიშვნელობა კელავ გაიზარდა. როგორც ვხედავთ, ამ დროისათვის უფლისციხეს უკვე დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და ნაჭარმაგევი დაწინაურებულა... ახლა აქ გადმოუნაცვლებია ქვეყნის პოლიტიკურ ცენტრს.

აქ აღიმართა და საქართველოს მტერთა საზარად გაიშალა დავითის უძლიერესი დროშაო, ჩვენი თანამედროვე ისტორიკოსი შენიშნავს, აქ, ქართლის ამ პატარა სოფელში. ახლა ამ ადგილას სოფელია.

ამჟამად ძველი სახელი აღარ შერჩენია სოფელს, დროთა ვითარებაში სახელი შეცვლია და ახლა კარალეთი ჰქვია. ლამაზი სოფელია და ახალი სახელიც ლამაზი დაურქმევიათ. ახლა აქ ჩვენი დროის სისხლსავსე ცხოვრება დუღს. ჯერ დილის ბინდი არ გაუფანტავს მზეს და არე-მარეს ბაეშვების მხიარული ჟრიამული ავსებს, მათი მკვირცხლი თვალების შუქი სოფლის ორღობეებსა და ველ-მინდვრებს ანათებს. ვინ იცის, ეს მერამდენე თაობაა იმ შორეულ დღეთა შემდეგ, როცა აქ საქართველოს გათავისუფლების დიდი გეგმები ყალიბდებოდა. ამისი გამოანგარიშება ძნელი იქნება; იმის წარმოდგენა კი უფრო ადვილია, რა სიფრთხილით ყალიბდება ეს გეგმები და როგორ ცოცხალ ექოდ ჩაესმის დიდ მამულიშვილს მომდევნო საუკუნეთა თაობების ეს შორეული ხმები... ეს ჯერ არდარხეული შორეული ხმები ჰმატებს ხოლმე ძალას დიდ მამულიშვილს, შეუძლებელი შეაძლებინოს და დაღუპვის პირას მიყვანილი ქვეყანა განსაცდელისგან იხსნას!..

მაგრამ მტრის ურდოების თარეში ერთი მხარეა. თუ გესურს, სრული წარმოდგენა შეგვექმნას, რა დღეში იყო ქვეყანა, როცა იგი დავით მეოთხემ ჩაიბარა, სხვა რამეც უნდა გაეიხსენოთ და გაეითვალისწინოთ.

ჩვენ უკვე კარგად გაეცანით ფეოდალების ბუნებას — მათ წრესგადასულ ამბიციებსა და თავაშვებულობას. ვნახეთ, როგორ დადარაჯებულები და გაფაციცებულები არიან. თუკი შეატყვევს მეფეს ოდნავი სისუსტე და გასაჭირი, — თუნდაც ეს გასაჭირი ქვეყნის საერთო განსაცდელისგან მომდინარეობდეს, — ყურს აღარაფერს ათხოვებენ, ზოგჯერ ქვეყნისა და ხალხის განსაცდელსაც არ დაგიდევენ, თავისივე ქვეყნის მტერთანაც კი საერთო ენის გამოძებნასა და კაშირის შეკვრას არ თაკილობენ. ჩვენ ვნახეთ, როგორ დაუკაშირდა ლიპარიტ ბაღვაში ბიზანტიის სამეფო კარს, ისიც ვიცით, როგორ ადვილად შეკრავდნენ ხოლმე კაშირს დიდგვაროვანი ანზაურები არაბ ამირებთან...

ასეთსავე კაშირსა კრავენ ისინი თურქ-სელჩუკებთანაც, არაფერს ეპუებიან, არაფერს თაკილობენ, უკან არაფერზე იხევენ...

ამას რომ გავითვალისწინებთ, ძნელი წარმოსადგენი აღარ უნდა იყოს, როგორ აიწყვეტდნენ ფეოდალები ახლა, როცა ტახტზე თექვსმეტი წლის მეფე იხილეს. ჯერ ხომ გიორგი მეფის სისუსტისა და გაუმართლებელი დათმობების გამო აიშვეს ამ ფეოდალებმა; თავისუფალ პარპაშს დაჩეეულები ახლა, რაღა თქმა უნდა, მეტს

მოინდომებდნენ... ხომ გახსოვთ, რა ღღეში ჩააგდეს თავისმა ერისთაველებმა ახალგაზრდა მეფის პაპა — ბაგრატ მეოთხე!

ახლა კიდევ უფრო ძნელი იყო თავაშვებული ფეოდალების წინააღმდეგ ბრძოლა. ძნელი არა მარტო იმიტომ, რომ ბაგრატ მეოთხის შვილმა გიორგიმ მეტისმეტად გაათავხედა და გაანებივრა ისინი, არამედ იმიტომ, რომ ძლიერი და გავლენიანი მოკავშირე მათ ქვეყნის შიგნითვე გაუჩნდათ და ბრძოლა იმ მოკავშირის წინააღმდეგ გაცილებით უფრო ძნელი და რთული იყო, ვიდრე ბაგრატისთვის, ეთქვათ, ბიზანტიის სამოკავშირეო გავლენის დაძლევა, როცა ბიზანტიის იმპერატორი ლიპარიტს ამოუდგა მხარში ქართველი მეფის წინააღმდეგ.

მაინც ვინ იყო ეს ძლიერი და გავლენიანი მოკავშირე, რომელიც ქვეყნის შიგნითვე გაიჩინეს ფეოდალებმა?

ახალგაზრდა მეფის წინააღმდეგ ამხედრებული ფეოდალების მოკავშირე ეკლესია გამოდგა. ეკლესია გახდა მეფის პოლიტიკით უკმაყოფილო დიდგვაროვანთა საყუდელი და თავშესაფარი. მაგრამ არა უწყინარი და ნეიტრალური თავშესაფარი, არამედ მეფის წინააღმდეგ ყოველგვარი ბრძოლის ცენტრი და პლაცდარმი.

იმ ბოროტებას, რაც ჯერ კიდევ ბაგრატ მეოთხის დროს გიორგი მთაწმინდელმა ამხილა და დაგმო, ახლა, ბოლო ას-ასოც წელიწადში კიდევ უფრო ღრმად გაედგა ფესვები და გაფართოებულიყო, ლამის დაკანონებულიყო. მაღალი საეკლესიო თანამდებობანი, სასულიერო წოდებანი, იყიდებოდა. ცოდნა, განათლება, ნიჭი, პირადი ღირსება და პირადი დამსახურება პატივში აღარ იყო და ადგილს უთმობდა ნათესავ-მეგობრობას, მემკვიდრეობითს უფლებებს, ქრთამსა და უკანონობას. ეპისკოპოსები და სხვა მაღალი სასულიერო წოდების პირები, ჩვეულებრივ, დიდგვაროვან აზნაურთა ოჯახებიდან იყვნენ გამოსულები და ამ თანამდებობებს ისინი მემკვიდრეობითი უფლებით იჩემებდნენ.

ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ხშირად უღირსებს პქონდათ გზა გახსნილი მაღალი სასულიერო წოდებისაკენ, ღირსეულნი კი განზე რჩებოდნენ... დიდგვაროვანთა ოჯახებიდან გამოსულები თავიანთსავე ახლობლებს უჭერდნენ მხარს და, თავად უღირსნი, ახლა ქვეყნის გაერთიანება-გაძლიერებისა და, ამდენად, პროგრესის წინააღმდეგ ამხედრებულ აზნაურთა მოკავშირეებად გვეველინებოდნენ.

რაც დრო გადიოდა, უღირსი და თანამდებობისთვის შეუფერებელი პირები სულ უფრო და უფრო მატულობდნენ. ყველაზე საკალალო

ის იყო, რომ ამას ბოლო არ უჩანდა, კაცმა არ იცოდა, სანამდე გაგრძელდებოდა ასე.

შეცდომა იქნება ვიფიქროთ, თითქოს უარყოფითი ძალა მთელი ამ ბოროტებისა მარტო იმით განისაზღვრებოდეს, რომ დიდგვაროვანი ოჯახებიდან გამოსული სასულიერო პირები გათავხედებულ ფეოდალებს უჭერდნენ მხარს და მეფეს ცენტრალისტური პოლიტიკის გატარებაში ხელს უშლიდნენ. მარტო ეს ბოროტებაც რომ ყოფილიყო, ესეც კი დიდი უბედურება იქნებოდა, რადგან იმ ვითარებაში, როცა გარეშე მტერმა მთელი ქვეყანა დაარბია, ხალხი გაჟლიტა, განვითარებული მეურნეობა ერთიანად მოშალა და გაანადგურა... ცალკეული მთავრებისა და ერისთავების განდგომა დიდ საშიშროებას უქმნიდა ხალხის ბედსა და მომავალს...

ამ მოვლენას სხვა მხარეც ჰქონდა — უფრო საშიში და დამღუპველი. რაკიღა ეკლესია ზნეობისა და იდეოლოგიის მესვეურად გვევლინებოდა, იქ გამეფებული ბოროტებაც, სწორედ ზნეობის სფეროში იჭრებოდა, ადამიანურ ღირსებას ბღალავდა, ცინიზმისა და განურჩევლობის ბაცილებს ავრცელებდა, ცუდი მაგალითი გახდა ახალგაზრდა თაობებისათვის... და ყველაფერი ამის გამო ანტიეროვნული მოვლენა იყო... „მტრის ბატონობამ ზნეობრივადაც დაარღვია საქართველოს სამეფო“, სწორედ ამ პერიოდზე შენიშნავს მე-19 საუკუნის მწერალი და მოღვაწე ნიკოლოზ ურბნელი.

ზემოთ ჩვენ რამდენჯერმე მოგვიხდა თქმა სხვადასხვა ისტორიულ პირზე, ძნელი მეფობა შეხვედაო. როცა დავით აღმაშენებელზე ვლაპარაკობთ, ეს გამოთქმა სრულად ვერ გამოხატავს არსებულ ვითარებას, მთელი სისავსით ვერ წარმოგვიდგენს იმ, მართლაც მძიმე და გამოუვალ მდგომარეობას, რაც ახალგაზრდა მეფეს შექმნოდა.

ის კი არ უნდა იყოს ძნელი წარმოსადგენი, როგორ წარიმართებოდა მისი ფიქრები, როცა ბედმა ასეთი ტვირთი დააკისრა და ამნაირი გამოცდა მოუწყო.

რა გზა უნდა აერჩია? რით დაეწყო? ან გარეშე მტერი როგორ დაემარცხებინა და ან შინაური როგორ დაეთრგუნა? როგორ აელაგმა გათავხედებული ერისთავები, რომლებიც ზოგჯერ მტერთან საერთო ენის გამონახვასაც ახერხებდნენ? ეკლესიისთვის როგორ მოეელო და როგორ გაეწმინდა იგი მემკვიდრეობით გაყოყოჩებულ დიდგვაროვანთაგან? აწიოკებულ მოსახლეობაში ჯარისკაცები როგორ დაეძებნა, რომ ლაშქარი შეექმნა და მტერს გამკლავებოდა? ამ დარბეულსა და არეულ ქვეყანაში წესრიგი როგორ დაემყარებინა

და წინაპართაგან სასოებით გადმოცემული მაღალი ზნეობა როგორ ექადაგნა? მთაში გახიზნული დაშინებული და განწირული ხალხი ბარში როგორ დაებრუნებინა, როგორ ენუგეშებინა და დაემშვიდებინა? მტრის ცხენებითა და ჯოგებით გადაქელილ მიწაში გუთნის კვალი როგორ გაეელო და თესლი როგორ გაეღიეებინა? განადგურებული მეურნეობა როგორ აღედგინა? დაცემული ქალაქები ფეხზე როგორ დაეყენებინა და როგორ აეღორძინებინა ვაჭრობა-აღებმიცემობა, რაც ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი საფუძველია? გზები და ხიდები როგორ გაემართა? ქვეყნად გამეფებული ბოროტება როგორ დაეთრგუნა და შელანძღული სამართალი როგორ აღედგინა? ხალხისათვის გამარჯვების რწმენა როგორ ჩაენერგა? ვისი დახმარებითა და ვისი შემწეობის იმედით? როგორ? რანაირად?..

მამას ვერ მიმართავდა ამ კითხვებით — მამამ აკი თვითონვე ვერ გასცა პასუხი ამ რთულ კითხვებს, ძნელ გამოცდას ვერ გაუძლო და ტვირთი თავიდან მოიშორა, ჯერ ისევ ხერხემალგაუმაგრებელ შვილს გადაულოცა.

რა უნდა ექნა ყრმა მეფეს? რა ელონა? ვის მოთათბირებოდა? რჩევა ვისთვის ეკითხა?.. პყავდა კი ასეთი ჭკვიანი და ერთგული ხალხი?

მემატიანის მოთხრობაში არის ერთი საგულისხმო და მრავლისმეტყველი წინადადება. ეს ამბავი უფრო მოგვიანო პერიოდს ეხება: დავითის გამეფების შემდეგ სამ ათეულ წელს გაუვლია, ამასობაში ბევრი მნიშვნელოვანი რამ მომხდარა არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ მეზობელი ქვეყნებისა და ხალხის ცხოვრებაშიც... ამას ჩვენ ქვემოთ მოვყვებით. ახლა კი წინ იმიტომ გავიჭერით, რათა მემატიანის ერთი საგულისხმო დახასიათება გაგვეხსენებინა და მისი დახმარებით ზემოთ დასმულ ბოლო კითხვაზე პასუხი გაგვეცა. მემატიანე გადმოგვცემს, როგორ მიემგზავრება დავით აღმაშენებელი (ვიმეორებ, ეს უფრო გვიანდელი ამბავია — დავითის გამეფებიდან 30 წელი გასულა) დიდად მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საქმის მოსაგვარებლად მეზობელ ქვეყანაში და თან მიპყავს...

სწორედ, ის არის საგულისხმო, ვინ მიპყავს და ამიტომ თვით მემატიანეს მოვუსმინოთ:

„...წარემართა და თანა წარიტანა გიორგი ჭყონდიდელი და მწიგნობართუხუცესი თვისი, კაცი სრული ყოვლითა სიკეთითა სულისა და ხორცთასა, სავსე სიბრძნითა და გონიერებითა, განმზრახი სვიანი და ფრთხილი თანააღზრდილი და აღმზრდელი პატრონისა და თანაგანმკაფელი ყოველთა გზათა, საქმეთა და ღუაწლთა მისთა...“

კარგად დავაკვირდეთ ამ სიტყვებს.

აპა, ვინ ყოფილა ყრმა მეფის მრჩეველი („განმზრახი"), ვის ეთათბირებოდა იგი, ვისთან ერთად წყვეტდა საქვეყნო, საჭირბოროტო საკითხებს! დააკვირდით, რამდენჯერ არის ნახსენები სიტყვის ნაწილაკი „თან"!.. აი, ვისთან ერთად მიიკვლევდა იგი გზას („თანაგამკაფელი ყოველთა გზათა")...

გამოთქმულია ვარაუდი, რომ გიორგი მეორის გადადგომასა და ყრმა დავითის გამეფებაში გიორგი ჭყონდიდელიც მიიღებდა მონაწილეობას. ძნელი სათქმელია, რამდენად სარწმუნოა ეს ვარაუდი, მაგრამ ის კი აღარ იწვევს ეჭვს, რომ დავითის მეფედ კურთხევის შემდეგ მისი პირველი მრჩეველი და მესაიდუმლე სწორედ გიორგი ჭყონდიდელი იყო. ჯერ კიდევ დავითის გამეფებამდე იგი იყო უფლისწულის ერთ-ერთი მასწავლებელი (აღმზრდელიო, მემატიანე გადმოგვცემს); ძნელი სათქმელია, რაიმე კონკრეტულ საგანს თუ ასწავლიდა იგი — მასწავლებლები ხომ სხვებიც ეყოლებოდა უფლისწულს! მასწავლებელი იყო, მაგრამ მოწაფე-მოძღვარს შორის დიდი ასაკობრივი განსხვავება არა ყოფილა — აკი, მემატიანე იქვე გვეუბნება, „თანააღზრდილიო!"

დავითის ისტორიკოსი, მეფის გარდა, სხვათა ქებაზე საერთოდ მეტად ძუნწი და სიტყვაძვირია, უარყოფით დახასიათებას უფრო იძლევა ხოლმე, და, შეიძლება ითქვას, ერთადერთი გამონაკლისი გიორგი ჭყონდიდელია. ნახეთ, როგორ ახასიათებს: „კაცი სრული ყოვლითა სიკეთითა სულისა და ხორცთასა, სავსე სიბრძნითა და გონიერებითა... სვიანი და ფრთხილი".

ჭეშმარიტი სახელმწიფო მოღვაწე ყოფილა — ბრძენი, გონიერი, სვიანი და ფრთხილი, ყოველი სიკეთით სავსე!..

დიდი ბედნიერებაა, როცა ქვეყნის გვირგვინოსანს ასეთი მრჩეველი და თანაგამგებელი შეხვდება. დიდი ბედნიერებაა, როცა ქვეყნის მმართველი ასეთ ჭკვიან, სანდო და ერთგულ ვაზირს გაიჩენს.

მემატიანის დახასიათების წყალობით ჩვენ შეგვიძლია უფრო თამამად წარმოვიდგინოთ ტახტზე ახლადასული ყრმა მეფისა და ჯერ ისევ ახალგაზრდა „აღმზრდელ-თანააღზრდილის" საუბარი. ისინი სასახლიდან გამოსულან და დასავლეთით აღმართულ მთის ფერდობს შედგომიან. ეს არის უფლისწულისა და მისი აღმზრდელ-მეგობრის საყვარელი ადგილი; აქ კრძალვით შემოუვლიან ხოლმე დიდებულ ტაძარს, რომელიც სასიქადულო მეფეს — უფლისწულის დიდ წინაპარს, პაპის პაპას — საქართველოს ერთიანობისა და

სიძლიერის სიმბოლოდ აღუმართავს. უკვე მერამდენედ ააყოლებენ უსიტყვო მოკრძალებით თვალს ამ გრანდიოზული შენობის კედლებს, მაღალ კედლებში ვიწრო ზოლებად დატანებულ სარკმელებს, მასიურ სვეტებს, რომელთაც გასაოცარი ოსტატობით, გულმოდგინებითა და სიყვარულით ამოკვეთილი ჩუქურთმები აგვირგვინებს, მოლურჯო ცაში ღრმად შეჭრილ გუმბათს... უსიტყვოდ შეპყურებენ და თითქოს ამ ორი ახალგაზრდა ადამიანის მკერდში ერთი გული ძგერსო, ერთნაირ ფიცს წარმოთქვამენ — უსიტყვოდ, გაუმხელელად — რომ მთელი თავიანთი ცოდნით, სინდისით და ერთგულებით, ძალ-ღონის დაუშურებლად ემსახურონ მშობელი ქვეყნის თავისუფლებისა და აღორძინების საქმეს.

ხოლო როცა მჭიდროდ ნაშენებ მომაღლო გალავანს ოდნავ გასცდებიან და დაახლოებით იმ ადგილზე შედგებიან, საიდანაც ჩვენ ჩრდილო-აღმოსავლეთით აღმართულ მთას მიხუტებულ ტაძარს შეეყურებდით, ისინი იწყებენ... კი არ იწყებენ — განაგრძობენ უკვე მერამდენედ შეწყვეტილ საუბარს ქვეყნის ბედზე, მის აწმყოსა და წარსულზე, მის გაურკვეველ მომავალზე...

ამჟამად ეს საუბარი უფრო კონკრეტული და საქმიანია, უფრო მიზანსწრაფული, პრაქტიკული...

აქ, დიდებული ტაძრის მახლობლად მდგომთ, თითქოს დიდი წინაპრის შორეული რჩევაც ჩაესმით... უკვე კარგად დაღამებულა და ცაში მომაღლოდ დაკიდებული მთვარე მკრთალად ანათებს იმ მთის უბესაც, სადაც ჩვენ მეორე დიდებულ ტაძარს ვხედავდით. ახლა კი ყრმა მეფე და მისი მეგობარი მთვარის სხივებით განათებულ ქაშანს შეპყურებენ...

ვინ იცის, მეფეს იქნებ სწორედ მაშინ წარმოუდგა იმ ტაძრის გამოსახულება, რასაც იგი რამდენიმე წლის შემდეგ სწორედ იქ ააშენებს!..

მთვარე ანათებს იმ მთის მეორე მხარესაც და თუმცა აქედან არა ჩანს, ახალგაზრდა გვირგვინოსანი და მისი მეგობარი გონების თვალით ხედავენ მთვარით განათებულ კიდევ ერთ ტაძარს, სადაც ახლა სამშობლოსათვის თავდადებული ვაჟკაცები — მეფის სეხნია დავითი და მისი ძმა კონსტანტინე განისვენებენ (მოწამეთაც აქვეა, სულ ახლოს); თითქოს იმ შორეული წინაპრების ხმაც ჩაესმით ქვეყნის ახალგაზრდა მმართველებს — შეუპოვარი ბრძოლისა და თავდადების მოწოდება...

დავითის ისტორიკოსის მონათხრობი საფუძველს გვაძლევს,

ვივარაუდოთ, რომ მეფეს კარზე თავიდანვე სხვა გონიერი მრჩეველებიც ჰყავდა და, რაც უფრო საგულისხმოა, მან შემდეგაც შემოიკრიბა „სიბრძნითა და გონიერებით სრული“, „სვიანი და ფრთხილი“ მამულიშვილები. ეს ხაზგასმით უნდა ითქვას, ქვეყნის მმართველის მოღვაწეობის შეფასების დროს ამას საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან მეფის მთელი მოღვაწეობა და ქვეყნის ბედი მნიშვნელოვანწილად იმაზეა დამოკიდებული, როგორ მრჩეველებსა და ვაზირებს გაიჩენს.

პასუხი, რაც იმ რთულსა და ძნელ კითხვებს დაუპირისპირეს ყრმა მეფემ და მისმა „გამზრახმა“ მეგობრებმა, ძალიან ნათელი და მარტივი — თუმცა, მეტად ძნელი შესასრულებელი — გამოდგა და ეს პასუხი მათ თავიანთიანე ხალხის ისტორიაში იპოვეს.

საჭირო იყო ბრძოლა — შეუპოვარი, შეუნელებელი, შეურიგებელი, პრინციპული, მაღალი პოზიციებიდან გამართული ბრძოლა. ბრძოლა არა ცალმხრივი, არა ცალ ფრონტზე, არამედ ტოტალური, ყველა ფრონტზე გაჩაღებული და მრავალმხრივი. ბრძოლა მტრის ურდოების საკუთარი მიწა-წყლიდან გასარეკად, ბრძოლა სეპარატულად განწყობილი თავკერძა აზნაურების ასალაგმავად, ბრძოლა ეკლესიის გასაწმენდად და ამ დიდი და გავლენიანი ორგანიზაციის ქვეყნის სამსახურში ჩასაყენებლად, ბრძოლა განადგურებული მეურნეობის აღსადგენად და განვითარების მაღალ საფეხურზე ასაყვანად, ბრძოლა ზნეობრივი სიწმინდის დასაცავად, ბრძოლა საყოველთაო წესრიგის დასამყარებლად...

თუ ასე ფართო მასშტაბითა და ასე მრავალმხრივად არ დაიწყებდნენ ბრძოლას, გამარჯვების მიღწევა სათუო გახდებოდა. ყოველ შემთხვევაში, მყარი და მტკიცე არ იქნებოდა ეს გამარჯვება. ისევე, როგორც მტკიცე ვერ გამოდგა ცალკეული წარმატებანი, რასაც დავითის წინაპრებმა მიაღწიეს ქვეყნის გაერთიანებისთვის ბრძოლის დროს.

მაგრამ რითი უნდა დაეწყოთ? იმ მრავალ საკითხთაგან რომელი ამოერჩიათ, რომლისთვის უნდა მიეცათ უპირატესობა?

როგორც ვნახეთ, ბევრი რამ იყო გასაკეთებელი, ბევრი ამოცანა უნდა გადაეწყვიტათ — დიდი მასშტაბისაც და მცირეც. მაგრამ, ვიდრე დიდი ამოცანების გადაწყვეტას შეეჭიდებოდნენ, საჭირო იყო ელემენტარული რამის მოგვარება: აოხრებული სოფლების

კელავ მოშენება და დანგრეული მეურნეობის თანდათანობითი აღდგენა; ხოლო ამასთან დაკავშირებით, პატარ-პატარა ეპიზოდური ბრძოლებით, — რადგან გენერალური ბრძოლის გამართვის საშუალება ჯერ არ იყო, — შემოჭრილი მტრის შეეიწროება და მის მიერ დაპყრობილი მიწა-წყლის თანდათანობით გათავისუფლება. დამფრთხალი, დაშინებული, შეურაცხყოფილი, განადგურებული, სასოწარკვეთილი ხალხის უკანვე დაბრუნება, დამშვიდება, გულში იმედის ჩასახვა, მოღონიერება.

ეს იყო ახლა გადაუდებელი ამოცანა, ეს იყო საფუძველთა საფუძველი. ამით უნდა დაეწყო. უამისოდ დიდ ამოცანებს ვერ შეეჭიდებოდა. ითქვა კიდეც, მთავარი ბოროტება ეკლესიიდან მოდიოდა, ეკლესია გამხდარიყო თავშესაფარი ორგული ფეოდალებისა, რომლებიც წინ ეღობებოდნენ, ყოველნაირად აბრკოლებდნენ უმნიშვნელოვანეს ეროვნულ საქმეს — ქვეყნის გაერთიანებას — და, ამდენად, მტრის წისქვილზე ასხამდნენ წყალს. ამ ბოროტების წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლის გაჩაღება ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებიდანვე გამომდინარებოდა. მაგრამ, ჯერ ასე ფართო მასშტაბის შეტევა სარისკო და ნაჩქარევი იქნებოდა.

მეფემ გონიერული სიფრთხილე გამოიჩინა, პირველად ეკლესიისთვის არ გამოუცხადებია აშკარა ბრძოლა...

როგორც ითქვა, უპირველესი და გადაუდებელი ამოცანა ის იყო, მთებში გაფანტულ-გახიზნული ხალხი დაებრუნებინა მეფეს და თანდათანობით, რამდენადაც ამის საშუალებას გარემოება მისცემდა, დანგრეული მეურნეობა აღედგინა.

თითქოს ძნელი არ იყო იმის გადაწყვეტა, თუ იმ მრავალ საჭირბოროტო საკითხთაგან, რაც ტახტზე ახლად ასული ყმაწვილი მეფის წინაშე წამოიჭრა, რომელი ამოერჩია და თავისი რთული მოღვაწეობა რით დაეწყო.

შესასრულებლად იყო ეს ძალიან ძნელი. რადგან მეფეს ჯარი არა ჰყავდა. ჯარი არა ჰყავდა თუნდაც იმ მცირე მასშტაბის ბრძოლებისთვის, ცალკეული სოფლებისა და კუთხეების გასათავისუფლებლად, რათა იქ გახიზნული მკვიდრი მოსახლეობა დაებრუნებინა. „...ტყუეობათა და ზემოხსენებულთა ჭირთაგან მცირე [იყო] გუნდი მხედრობისა და იგინიცა დაჯაბნებულნი, მრავალგზის მტერთაგან სილტოლითა უცხენო და უსაჭურველონი, და თურქთა მიმართ წყობისა ყოვლად უმეცარნი და ფრიად მოშიშნი...“ ასე ახასიათებს მემატიანე იმ ჯარს, რომელიც ყრმა მეფემ ჩაიბარა.

ამაზე დიდი უბადრუკობის წარმოდგენა ალბათ შეუძლებელიც არის. როგორც ეხედავთ, ეს ოდნავაც არა ჰგავს იმ განთქმულ ქართულ ლაშქარს, რომელიც მუდამ მტრის შიშის ზარი იყო, არაერთი სახელოვანი გამარჯვებით დიდება დაუმკვიდრებია, ხოლო როცა დამარცხების სიმწარეს განიცდიდა, იმ დამარცხების დროსაც სახელი არ შეურცხვენია და საკუთარი ღირსება არ შეუბღალავს. არა, ეს ოდნავადაც არა ჰგავდა იმ განთქმულ ლაშქარს; ეს იყო ბრძოლებისთვის გამოუსადეგარი, საესებით დეზორგანიზებული ბრბო. რა უნდა ექნა ამ ჯარით მეფეს? ვის უნდა შებრძოლებოდა? სოფლები, თუნდაც ნაწილ-ნაწილ, როგორ გაეთავისუფლებინა?

და ახალგაზრდა მეფე შეუდგა თითქოს საესებით უიმედო საქმეს — ამ „უსაჭურველო და უცხენო", „დაჯაბნებულ"-დაკნინებული, მტრისაგან დაშინებული უდისციპლინო „მხედრობის" წვრთნას, შევსებას, გაძლიერებას... რაც ალბათ ყველაზე უფრო ძნელი იქნებოდა — ცალკეული ჯარისკაცების გულში იმედისა და გამარჯვების რწმენის ჩანერგვას; სხვებისთვის რწმენის ჩანერგვას მაშინ, როცა თავად თითქოს იმედის არავითარი საფუძველი არ უნდა ჰქონოდა. ცხენებისა და საჭურველის ასევე მოთმინებითა და გულმოდგინედ შეგროვებას...

იქნებ სათქმელად იყოს ეს ადვილი, თორემ აბა, წარმოიდგინეთ, როგორი მოსაგვარებელი უნდა ყოფილიყო იმ პირობებში, თავაშვებული მტრის თვალწინ, დანგრეულ და ნაცარტუტად ქცეულ ქვეყანაში!..

დღე და ღამე გასწორებული ჰქონდა მეფეს, ძილი და მოსვენება არ იცოდა, წარმოუდგენელი მოთმინებითა და გულმოდგინებით ამრაელებდა ლაშქარს, წვრთნიდა, ბრძოლის ხერხებს ასწავლიდა, თავად აძლევდა გულმოდგინებისა და სიმამაცის მაგალითს, ბეჯითსა და ყოჩაღს მოუწონებდა, შეაქებდა, დაასაჩუქრებდა, ჯაბანსა და მცონარას დიაცის კაბას ჩააცმევდა და შეარცხვენდა. „...ჯაბანთა სადედოთა შთაცუმითა და კიცხევით ძაგებითაო"... ეს მემატიანის სიტყვები გახლავთ და პირდაპირი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ — ეს ალბათ უკიდურესი ზომა იყო: ლაჩარსა და ჯაბანს ქალის ტანსაცმელს ჩააცმევინებდა მეფე და ლაშქრის წინ გაატარებინებდა...

რა ხერხს არ მიმართავდა, რა ღონისძიებას!..

ნუ დაივიწყებთ, რომ ეს ყველაფერი თექვსმეტი წლის ჭაბუკს შეეხება, რომელსაც ბედმა მძიმე გამოცდა გაუმზადა.

რაღა თქმა უნდა, იმ მცირე მასშტაბის შეტაკებებში მტრისთვის

წართმეული, ნადაელად მოპოვებული აბჯარ-საჭურველი და ცხენები არ იკმარებდა მომავალი დიდი ბრძოლებისათვის, საჭირო იყო დამატებითი ღონისძიებანი — ცხენებისა და საჭურველის შეძენა, ვთქვათ, ჩრდილო კავკასიის მეგობრულად განწყობილ ხალხებში; იქნებ თვით სელჩუკთა იმ ტომებისგანაც, რომლებიც უფრო მოშორებით დაბანაკებულიყვნენ, საქართველოს საზღვრებს გარეთ, და რომლებთანაც დღეს არა, მაგრამ ხვალ გარდაუვალი ომი მოელოდა ქართველ მეფეს; საჭირო იყო, სასწრაფოდ შეეგროვებინათ მჭედლები, საჭურველის გამჭედავი ხელოსნები. ასეთი მჭედლებითა და ხელოსნებით მუდამ განთქმული იყო საქართველო (გავიხსენოთ „ამირანიდან" „მჭედლები, მემჭედურები..."), ხოლო დიდი თურქობის დროს, როცა თითქმის მთელი ქვეყანა დაარბია მტერმა, რაღა თქმა უნდა, ხელოსნებიც დაიფანტნენ; და ახლა უსათუოდ საჭირო იყო მათი შეკრება, წახალისება, ახალი სამჭედლო-სახელოსნოების სასწრაფოდ დაარსება... ამ ცნობებს ისტორიულ წყაროებში ვერა ვხვდებით — ჩვენ თვითონ უნდა ვიგულისხმოთ, უსათუოდ ასე იქნებოდა... ქვემოთ უფრო ახლოს გავეცნობით დავითის მოღვაწეობას და მაშინ ადვილად ვირწმუნებთ ამ ვარაუდს.

არც იმის კონკრეტულ სურათს გვიხატავს მემატიანე, სხვადასხვა მხარეს გაფანტული ხალხი როგორ „მცირე-მცირედ შემოკრბიან" და როგორ „იწყეს სოფლებადცა შთამოსვლად და დასხდომად"... ამ რთულ პროცესსაც ასე ზოგადი სიტყვებით გადმოგვცემს და აქაც ფანტაზია უნდა მოვიშველიოთ სურათის გასაცოცხლებლად...

წარმოვიდგინოთ ასეთი სურათი:

მთის ვიწრო გზაზე ჩოჩიალა ურმები ეშვებიან; მთელი ქარავანია, იქნებ არც ძალიან დიდი, მაგრამ ამ გზისა და გარემოსათვის, მაინც უჩვეულო. უჩველოს სხვა რამესაც შენიშნავთ, როცა მთის დამრეც, ხვეულ გზაზე ურმების ამ ქარავანს გახედავთ. ჩვეულებრივ, ყოველ ურემს თითო მეურმე ახლავს ხოლმე — ან კოფოზე ზის და ღიღინებს, ან, თუ დიდი ტვირთი მოაქვს, ხან წინ მოუძღვის, ხან უკან მოჰყვება და ხარებს აქეზებს, ხშირ-ხშირად შეუძახებს, პაერში სახრეს გაატლაშუნებს, გაუჯავრდება, მიუალერსებს...

და უჩვეულოდ სწორედ ის მოგეჩვენებათ, რომ ახლა თითო მეურმე კი არ ახლავს ურმებს, ბლომად ხალხი მოსდევს, თანაც სულ სხვადასხვა ხნისა – მოხუცები, ჭაბუკები, ბავშვები...

ზოგიერთ ურემზე აკვანსაც შენიშნავთ. მოხუცები და პატარა ბალღები ურმებზე დაუსხამთ; ვისაც სიარული შეუძლია, ფეხით

მოდის... ჯგუფ-ჯგუფად, ზოგ ურემთან მეტი, ზოგთან — ნაკლები; ველური ყვავილების სუნით გაჟღენთილ ჰაერს მძაფრი სტვენით ჰკვეთს მოჩოჩიალე ხელნების შრიალი. სწრაფად ეშვებიან ურმები ადრეული გაზაფხულის წვენით დარბილებულ გზაზე და ერთ ხმად შენივთებული შრიალიც, რომელიც ვიწრო ხეობაში გაშლას ვერ ასწრებს, თან მიაქვთ — როგორც ერთბაშად ამოჭრილი ქარი, რომელიც ჩამოიქროლებს, დატრიალდება და გაქრება, თითქოს აგორებული ზვავი იყოსო. ამ შრიალს დაუხშავს ფიცრებისაგან შეკრული ბორბლების რბილი გუგუნიც და ხმებიც ადამიანებისა, რომლებიც თავთავიანთ ურმებს ამოსდგომიან და ფიქრებში წასულნი, იშვიათად თუ გადაუგდებენ ერთმანეთს სიტყვას.

თქვენ შორიდან შეჰყურებთ ამ სურათს და იმიტომ არ გესმით, იმ ხალხს კი, ურმებს რომ მოჰყვებიან, მკაფიოდ ჩაესმით და მათივე ფიქრებს ერწყმის ხევიდან ამოჭრილი ბუტბუტი მთის მოდიდებული ნაკადულისა... ერწყმისო, ვთქვით, მაგრამ იქნებ უფრო სწორი იყოს, თუ ვიტყვით — მათ ფიქრებს წარმართავს ხეობაში ცოცხალი ლაპარაკივით დარხეული ბუტბუტი ნაკადულისა — ხან მდორე და გაურკვეველი, ხან მთრთოლვარე და გამძაფრებული, ხანაც გაავებული, როგორც მეტად სწრაფი და ცვალებადი — სწრაფად ცვალებადი — ფიქრები ამ ადამიანებისა.

ეს დიდი თურქობის დროს მთაში გახიზნული ხალხია და ახლა საკუთარ სოფელს უბრუნდებიან. ის ორი მხედარი, ურმების ქარავანს რომ მოუძღვის, სამეფო ლაშქრიდან გახლავთ, საგანგებო დავალებით, რათა დიდი ხნის წინათ მთაში გახიზნული ოჯახები მშვიდობიანად დაასახლონ მათსავე ნაფუძარზე და თვალყური ადევნონ, არაფერი უწესრიგობა მოხდეს.

დიდი ხნის მონატრებულ კერას უბრუნდებიან და ეს უცნაური მდუმარება თითქოს არ უნდა ეგუებოდეს მათ ახლანდელ განწყობილებას. საქმე ის არის, რომ სიხარულს შიში თრგუნავს — გაურკვეველი შიში მეტად გაურკვეველი მომავლისა, შიში იმისა, თუ ხიზნობაში ამდენი ხნის ნალოლიავებ ოცნებას, რასაც ტკბილ მოგონებად ქცეული მათი ძველი ცხოვრების წესი და იდილია კვებავდა, როგორ შეუთავსდება ის, რასაც ახლა თავიანთ ნაფუძარზე მოელიან — საშინელი ცეცხლისა და ნგრევის ნაკვალევი, რამაც ერთბაშად წაშალა მათი ჩვეულებრივი ყოფა, და მხოლოდღა მოგონებამ შემოუნახა ძველი ცხოვრების იდილია.

და მიუხედავად იმისა, რომ სულ სხვადასხვა ასაკის ხალხსა

ეხედავთ ჩვენ ახლა ამ ქარავანში — მოხუცებსაც, ახალგაზრდებსაც, ბავშვებსაც, რომლებიც ძალიან პატარები იყვნენ, როცა საკუთარ კარ-მიდამოს მოსწყვიტეს, ან ზოგი სულაც ხიზნობაში დაიბადა და, ამდენად, მათი მოგონება მხოლოდღა უფროსების ნაამბობით ჩამოყალიბებულა, — ფიქრი ყველა მათგანისა ერთი მიმართულებით დაძრულა, ერთი განცდა და განწყობილება კვებავს. იმიტომაც მოგეჩვენათ, თითქოს ერთნაირი გამომეტყველება ჰქონდეთ.

ამ ქარავანში თქვენ უსათუოდ გამოარჩევთ ერთ ურემს და არა მხოლოდ იმიტომ, რომ სხვებისგან განსხვავებით ცალი ხარი უბია, არამედ უფრო იმიტომ, რომ ყველაზე მცირერიცხოვანი ოჯახია: მოხუცი ქალი, რომელიც ურემზე ზის და ხელში საქსოვი უჭირავს — წინდებსა ქსოვს, რძალი ამ მოხუცისა, ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ჭალისთვის ჩაუელია ხელი და ურემს კვალში მისდევს და შვილიშვილი, გამხდარი, ფერმკრთალი ბიჭუნა, რომელიც წინ მიუძღვის ხარს.

ახლა ათი-თორმეტი წლისა იქნება ეს ბიჭუნა. როცა თავიანთი კარმიდამოდან აიყარნენ და მთაში გაიხიზნენ, ხელში ატატებული მიპყავდა დედას — წლინახევრისა ძლივს იქნებოდა. და საკუთარი კერიდან აყრის საშინელება, მისი ოჯახის წინანდელი ცხოვრების წესი და იდილია, რაც ცოცხლად ნანახი სურათებივით დალაგებულა ბავშვის ცნობიერებაში, სინამდვილეში საკუთრივ მისი განცდილი კი არ არის, არამედ სხვათა ნაამბობის მიხედვით ჩამოყალიბებულა. ოღონდ მტკიცედ და თვალსაჩინოდ, როგორც მისივე თვალით ნანახი და განცდილი. აგერ თუნდაც ეს მამალი, ურმის კოფოზე რომ წამომდგარა და აქეთ-იქით ამაყად იყურება, ზოგჯერ მისსავე მოძმეებს რომ გასძახებს — სხვა ურმების კოფოებზე ამგვარივე სიამაყით ყელმოღერებულ მამლებს — ბიჭის წარმოდგენაში თავიანთ ეზოს ღობეზე წამომდგარა და გომურის წინ მზეზე გაწოლილ მურასთან ერთად ეზოს იცავს და გუშაგობს; განუწყვეტელი ჭიკჭიკი და ჟრიამული ტყის ფრინველებისა, რომლებიც თითქოს მასპინძლის გულითადობით მიაცილებენ ბარში ხიზნებს, ბიჭუნას თავისივე ეზოში ჩაესმის, და შაშვის მოსაკლავად მოზიდულ მშვილდს ხელადვე დაუშვებს, როგორც კი ბებოს სიტყვებს გაიგონებს — „ცოდოა, შვილო, შაშვი კეთილი მგალობელია, დედის თვალის სინათლეე..“ მშვილდ-ისარი მართლაც გადაუკიდია ბიჭუნას — თხილის მშვილდი და პატარა კაპარჭში გარჭობილი შეინდის ორიოდე ისარი; გვერდზე შურდულიც ჰკიდია — მარჯვენა მხარეს, მარცხნივ კი, კენჭებისათვის

პატარა ჩანთა ჩამოუკიდია, მამის ხალთასავით... მამამ გაუკეთა მშვილდიც და შურდულიც. მამა ცოცხალი ჰყავს ბიჭს, ოღონდ ახლა მეფეს ახლავს ლაშქარში და მოცლა არა აქვს, ცოლ-შვილს იშვიათად თუ მოინახულებს.

რაკიღა ამ პატარა ოჯახზე ჩამოვარდა სიტყვა, ბარემ თავიანთ კარმიდამომდე მივაცილოთ და იქ გამოვეთხოვოთ, მშვიდობა და ბედნიერება ვუსურვოთ, კეთილი დაფუძნება, გამრავლება, აღორძინება.

კაცი იმედით ცოცხლობს და იმედით იტყუებს თავს. გაურკეველ შიშთან ერთად რაღაც იმედიც ჰქონდათ, როცა მთიდან ბარში — საკუთარი სოფლისაკენ ეშვებოდნენ. იმის ბუნდოვანი იმედი, რომ ნაკვალევი საშინელი ნგრევისა და ცეცხლისა, რამაც ისინი ამ ათი-თორმეტი წლის წინათ საკუთარი კერიდან წამოჰყარა და შორს გადახვეწა, ისეთი საშინელი არ იქნებოდა. მაგრამ შედგეს თუ არა ფეხი სოფელში, ყოველგვარი იმედი გადაეწურათ. ეს სოფელს აღარა ჰგავდა, აღარც ნასოფლარი ეთქმოდა. ეს იყო მტრის ცხენებისა და ჯოგების მიერ გადაძოვილ-გადათელილი საცოდავი სანახაობა.

ამ დროს ბაღები ჭრელად გადაიპენტება ხოლმე — ტყემლის, ბლისა და ნუშის თეთრ ყვავილებში ატამი ვარდისფრად გადაიშლება და თავს იწონებს. ვაშლისა და მსხლის ტოტები დაბერილია და სადაცაა, დასკდება, თეთრად იფეთქებს. საადრეო ვაზს უკვე გაუხელია თვალი და მაცდური ღიმილით გიცინის, ბევრ სიხარულსა და სიამოვნებას გპირდება...

ეს სურათი მოგონებასღა შემორჩა. ხოლო რასაც ახლა შეჰყურებდნენ, ის საცოდაობა იყო. ხეხილის მორჩილი ხეები აეჩეხათ და შეშად დაეწვათ — ტყეში შეშისთვის წასასველელად თავს რატომ შეიწუხებდა მტერი! საშიშიც იყო ტყეში გასელა — სწორედ იქ ეგულებოდათ გახიზნული და შურისგების გრძნობით გზნებული მკვიდრი მოსახლეობა. ჩიტების ჟღურტული არ ჩაესმოდა ბიჭუნას, ჩიტები აღარსად იყვნენ. ტყის ჩიტებმა საზღვრამდე მოაცილეს მასპინძლის გულითადობით ხიზნები, აქ კი, ამ გადაქელილ ნაფუძარზე მოგონებაშიც გაუჭირდა იმის აღდგენა, რაც მთელი ათი წლის განმავლობაში მთაში ასულდგმულებდა. ამ ნაფუძარზე ორიოდე მომაღლო ხე გადარჩენილიყო და ახლა თითო ყვავი შემომჯდარიყო ამ ხეებზე. ყვავები მდუმარედ და იქნებ ცოტა წყენითაც თუ გაკვირვებით, ცნობისმოყვარეობით შეხედნენ მოსულებს. ჯერ ერთმანეთს გახედეს,

მერე მეორე მხარეს მიღრიცეს თავი და დაბლა ჩამოიხედეს. ბიჭმა შურდული მოიძრო და ხელი ხალთისკენ გააქანა, კენჭის ამოსაღებად, მაგრამ მაშინვე შეჩერდა. ერთადერთი სულიერი მაინც ეს ყვავი იყო და ალბათ დაენანა.

დედა ურემთან ტრიალებდა, ბებო ნავენახარში გასულიყო, მუხლებზე დაშვებულიყო და თითქოს რაღაც დაუკარგავს და ეძებსო, მიწას მიშტერებოდა. ბიჭი დაინტერესდა, შურდული დაუშვა და ბებოსკენ გაემართა. მოხუცმა თავი ასწია და ბიჭუნამ პირველად დაინახა ბებოს გაღიმებული სახე. ხელი დაუქნია შვილიშვილს, ანიშნა, ჩქარა მოდიო: „აი, შვილო, ბებოს თვალის სინათლეე", მღელვარების გამო ძლივს მოახერხა მოხუცმა ხმის გაღება, „ეს არის, გენაცვალე, გაუძლია... პაპას დარგულია"...

როგორც კი მტერი გაიგულა, მრავალჯერ მოხნულსა და გადაქელილ ვაზს თავი ფრთხილად ამოეღო და სწორედ იმ მაცდური ღიმილით იღიმებოდა, იმ სიხარულისა და ბედნიერების აღმთქმელი ღიმილით. „ახლა აღარაფერი გვიჭირს, შვილო!"... ბებო ბიჭის ქოჩორს მისწვდა, მიიზიდა და გულში ჩაიკრა. დედაც უკვე აქ მოსულიყო და სანამ ურმიდან ხის ნიჩაბს გადმოიღებდნენ, ჩაიმუხლეს და ვაზის ძირს ხელით დაუწყეს ჩიჩქნა და გაფხვიერება.

●

ასე თანდათანობით, „მცირე-მცირედ", ხალხი ნელ-ნელა უბრუნდებოდა კერას. ეს ხდებოდა მცირე, პატარა მასშტაბის, ლოკალური ხასიათის ბრძოლების პარალელურად. ცალკეულ სოფლებს გაათავისუფლებდნენ, მტრისგან გაწმენდდნენ და იქ მოსახლეობა დაბრუნდებოდა, სახნისს გადაჩვეული მიწა მოიხებოდა, ხნულში თესლი გაღივდებოდა, ეზო შემოიღობებოდა, ვაზი ჩაიყრებოდა, სოფელში თანდათანობით ძაღლის ყეფა და მამლის ყივილი გახშირდებოდა, კერა გათბებოდა, ცაში კვამლის მოლურჯო სვეტი დაეკიდებოდა და კვამლს დარდიც ნელ-ნელა მიპქონდა...

მეფისა და მის „თანაგამზრახთა" უდიდესი სიბრძნე სწორდ აქ გამოჩნდა. მტრის წინააღმდეგ გენერალური შეტევის მომზადება იმ პირობებში წარმოუდგენელი იყო და სასურველი შედეგი, რა თქმა უნდა, არ მოჰყვებოდა. პატარა ბრძოლებითა და სოფლების თანდათანობით აღდგენითა და მოშენებით ხალხს ჩამქრალი იმედი

ულვივდებოდა და საბრძოლო განწყობილებას უქმნიდა. მთებიდან ჩამოყვანილი, თავისსავე კერაზე დაფუძნებული ხალხი დღეს გუთანს გამართავდა, ეაზს გაახარებდა, კერას გაათბობდა და ეს იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ სახვალიოდ უკვე მეომრებს შეპმატებდა მეფის ლაშქარს. ის პატარა ბიჭები, მთიდან რომ ჩამოპყენენ გახიზნულ ოჯახებს და დღეს თოხსა თუ ბარს ძლიეს ერევიან, ხნულის გასწვრივ ზღაპრული ცეროდენებივით დატანტალებენ, ხვალ მეფის უერთგულესი ჯარისკაცები იქნებიან: მის გვერდით იბრძოლებენ იმ დიდ ომებში, რაც გარდაუვალია, მას უერთგულებენ, მისთვის თავს გასწირავენ!

მეფე შორს იყურება — მრავალი დიდი ბრძოლა მოელის მის ქვეყანას, სანამ საბოლოო გამარჯვებას მიაღწევდეს...

ასე გაილია ოთხი წელი. ძნელი სათქმელია, იმ ოთხ წელიწადში რომელ სოფლებში განახლდა ცხოვრება, რამდენი ადამიანი დაუბრუნდა თავის კარ-მიდამოს... სამწუხაროდ, ასეთი დაწვრილებითი ცნობებით განებივრებულნი არა ვართ... მაგრამ ფაქტი ის არის, რომ ქვეყანამ სული მოითქვა და ძნელი აღარ უნდა იყოს იმის წარმოდგენა, რა ენერგიითა და მონდომებით მუშაობდა შრომასა და ოჯახს მონატრებული ხალხი თავიანთივე მეურნეობის აღსადგენად; რა მადლობელი იქნებოდნენ ისინი მზრუნველი და გაჭირვების დროს მათივე გვერდში მდგომი მეფისა, რომელიც, წლოვანების მიუხედავად, მრავალმოთმინებისა და სულგრძელობის მაგალითს აძლევდა ქვეშევრდომებს.

მაგრამ, როგორც ზემოთ ითქვა, ორგული ერისთავებიც აღმოჩნდნენ და გადაუდგნენ მეფეს...

და გამეფების მეოთხე წლისთავზე ახალგაზრდა მეფემ სავსებით აშკარად და თვალსაჩინოდ დაანახა ყველას, რომ მტრის მიმართ იგი შეუბრალებელი და სასტიკი იყო — სულ ერთია, გარეშე მტერი იქნებოდა თუ შინაური; დავითმა ურჩი ფეოდალების ალაგმვა გადაწყვიტა.

და ვინ იქნებოდა ასალაგმავი, თუ არა ბაღვაშების მემკვიდრე!

დავითის თანამედროვე ბაღვაშსაც ლიპარიტი ერქვა და ამ ლიპარიტმა ახალგაზრდა მეფის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობა მოინდომა. საგულისხმოა, რომ მემატიანე უკვე „ამირად“ მოიხსენიებს ამ ლიპარიტს — „ლიპარიტ ამირამან იწყო მათვე მამულ-პაპურთა კვალთა სვლაო“, ჯერ შედარებით რბილად გადმოგვცემს ფაქტს. მართალია, გარეგნულად ქრისტიანი იყო, მაგრამ გვარში ასე

მოსდგამდა, — მთელი მისი არსება ღვარძლითა და ორგულობით იყო სავსეო.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ლიპარიტის „ამირობით“ მოხსენიება უკვე იმის ნიშანია, რომ იგი კიდევ უფრო სწრაფად დაცურებულა ღალატის სლიპ ბილიკზე და მაპმადიანობა მიუღია. ასეთი მოსაზრებისაა, მაგალითად, მარი ბროსე. რამდენად სწორი ვარაუდია, ამის გარკვევა ახლა ძნელია, ის კი ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ დავითის თანამედროვე ლიპარიტი მჭიდროდ შეეკრა სულთანს. ამიტომაც არ დააყოვნა მისი ალაგმვა აღმაშენებელმა. თუმცა იმ ადრეულ წლებში, სანამ ახალგაზრდა მეფე მოღონიერდებოდა და ნიადაგს მოამზადებდა, ეს სარისკო იყო. მაგრამ კლდეკარის ერისთავის დაუსჯელობა და ისე დატოვება უფრო დიდ რისკთან იქნებოდა დაკავშირებული: იმ განუწყვეტელ ბრძოლებში, რაც ქართველ ხალხს უნდა დაეწყო თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ, ლიპარიტ ბალვაშის საერისთავო სტრატეგიული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი მხარე იყო და მტრის კონტროლის ქვეშ მისი დატოვება უფრო და უფრო საშიში გახდებოდა, ქართველ ხალხს მომავალ დიდ ბრძოლებში შეუშლიდა ხელს.

მაშინვე საქვეყნოდ აშკარა გახდა, რომ დავითი მამასავით სუსტი და მერყეი არა ყოფილა, მტკიცე ხასიათისა გამოდგა, მაშინვე „ინება გაწურთა მისი“ (ლიპარიტისა).

ხედავთ, რა მტკიცედ და არცთუ უირონიოდ აცხადებს მემატიანე — მისი „გაწურთა ინებაო“. ამ სიტყვებში სხვა „გასაწურთელი“ ურჩებისა და ორგულების გაფრთხილებაც აშკარად იგრძნობა... მუქარაც...

ერთი სიტყვით, შეიპყრო მეფემ ლიპარიტ ბალვაში და ერთხანს საპყრობილეში პყავდა დამწყვდეული. ზუსტად რამდენ ხანს, არ გვეუბნება მემატიანე, მაგრამ ამის თქმა კი არ ავიწყდება: გონიერი ადამიანისთვის ეს დრო სავსებით საკმარისი იყო, ჭკუა ესწავლაო.

ისევ მწარე ირონია! და გაფრთხილება, მუქარა!

ლიპარიტმა მტკიცე ფიცი მისცა მეფეს — ეს ერთი მაპატიე და სამუდამოდ შენი ერთგული ვიქნებიო. და ახლა უკვე დიდსულოვნება და სიმამაცეც გამოიჩინა მეფემ — ენდო, აპატია. და გაათავისუფლა — „მითივე დიდებითა ადიდა და არა შეუცვალა“ — ესე იგი, ერისთავობა არ წაურთმევია, კვლავ კლდეკარის მბრძანებლად დატოვა.

„არა შეუცვალაო“, მემატიანე წერს, მაგრამ ალბათ ცოტა განმარტება მაინც სჭირდება ამ ფაქტს.

მეფე დავითმა თავიდანვე გადაწყვიტა, რომ ისეთი ხასიათი ფეოდალური ურთიერთობისა, რასაც მისივე მამა-პაპა ითმენდა, უკვე აღარ გამოდგებოდა, ეს უკვე ქვეყნის შემდგომ განვითარებას ბორკილად ედებოდა და მოსათმენი აღარ იყო. „საჭირო იყო ახალი ხარისხის საზოგადოების შესაფერისი სახელმწიფოებრივი წყობილებაო", ნიკო ბერძენიშვილი შენიშნავს. მეფეს ვეღარ დააკმაყოფილებდა პირველობა თანასწორთა შორის — ანუ როგორც ამას უფრო მარჯვედ გამოთქვამენ უცხოური ტერმინით — Primus inter pares... და ეს ხელადვე იგრძნეს აზნაურებმა, იგრძნო, უპირველეს ყოვლისა, კლდეკარის ერისთავმა, რომელიც ასეთ მორჩილებას ვერ შეურიგდებოდა.

და, აპა, თუმცაღა მტკიცე ფიცი მისცა, თავის ბუნებას მაინც ვერ უღალატა ორგულმა ერისთავმა: ფიცის შემდეგ დიდი ხანი აღარ გასულა, რომ „ვითარცა ძაღლი მიექცა ნათხევარსა და ვითარცა ღორი ინწუბა საგორელსა მწვირისასა" — ძაღლივით თავისივე ამონთხეულს დაუწყო ლოკვა და ღორივით წუმპეში დაიწყო გორვაო, კლდეკარის ერისთავზეა ეს ნათქვამი, ლიპარიტ ბაღვაშზე. ხომ ხედავთ, ახლა როგორ არ ერიდება მემატიანე გამდგარი ერისთავის უკადრისი სიტყვებით ძაგებას.

ერთი სიტყვით, იმ ფიცის შემდეგ ერთ წელსაც არ გაევლო, რომ კლდეკარის ერისთავი კვლავ აღუდგა მეფეს. ახლა კი აღარ აპატია დავითმა. დარწმუნდა, ძაღლის კუდი არ გასწორდებაო, მემატიანე გვეუბნება, კირჩხიბი სწორედ არ გაიელისო. და კვლავ შეიპყრო. ამჯერად ორი წელი ჰყავდა საპყრობილეში, მერე კი, გამოიყვანა და სიკვდილით არ დაუსჯია, მაგრამ აღარც სამშობლოში გააჩერა, — სამუდამოდ გაასახლა ბიზანტიაში. აქვე შევნიშნოთ, რომ აღარც ღირსებია ლიპარიტს სამშობლოში დაბრუნება, ბიზანტიაშივე გარდაიცვალა.

მემკვიდრე დარჩა ლიპარიტს და ალბათ ხვდებით, რომ მას რატი ერქმეოდა. თქვენ იქნებ იმასაც მოელით, რომ დავით მეფე დაიბარებდა ამ ახალგაზრდა ფეოდალს, თავზე ხელს გადაუსვამდა და თავისუფალი მოქმედების საშუალებას მისცემდა. სულ ასე ხდებოდა ხოლმე, რამდენადაც ჩვენ ბაღვაშების ისტორიას ვიცნობთ და ქართველი მეფეებისა და ამ ურჩი ფეოდალების ურთიერთობას თვალს ვადევნებთ.

ახლა ასე არ მოხდა. მეფემ შეკვეცა მისი უფლებები.

დიდხანს აღარ უცოცხლია რატის, ამის შემდეგ მალე

გარდაიცვალა და „ესრეთ დასრულდა სახლი ბაღვიეაშთა, სახლი განმამწარებელთაო“[1]. გვამცნობს მემატიანე. არც კი ცდილობს, თავისი დიდი გულისწყრომა და სიძულვილი ამქვეყნიდან წასული კაცის მიმართ მაინც დაფაროს და შეარბილოს. პირიქით, „ნაშობი იქედნესიო“, სწორედ ამ უდროოდ გარდაცვლილ რატიზე ამბობს, „სუა უკანასკნელი თხლე რისხვისაო“...

მოკვდა რატი და „მამული მათი აღიღო მეფემან“. ეს მიწა-წყალი თავის ერთგულ მოხელეს ჩააბარა, ღირსეულ მამულიშვილს თევდორეს — გიორგი მწიგნობართუხუცესის დისწულს. კლდეკარის საერისთავო გაუქმდა!..

ეს არ ყოფილა უბრალო მოვლენა. დიდი ისტორიული აქტი გახლდათ. ამით იწყებოდა დავით აღმაშენებლის დიდი რეფორმები. ამ აქტით მეფე საჯაროდ აცხადებდა, რომ ამიერიდან მალალი თანამდებობები მიენიჭებოდათ არა მემკვიდრეობითა და შორეული წინაპრების დამსახურებათა მიხედვით, არამედ პირადი ნიჭის, ცოდნის, ღირსებისა და დამსახურების კეალობაზე. და რაკი პირადი დამსახურების მიხედვით მიუბოძებდნენ, თავისთავად იგულისხმება, რომ ეს თანამდებობები მემკვიდრეობითი აღარც მომავალში იქნებოდა.

ამრიგად, კლდეკარის ძველი ერისთავი ახალი ერისთავით კი არ იცვლებოდა, კლდეკარის საერისთავო უქმდებოდა, ეს მიწა-წყალი სამეფო საკუთრებად ცხადდებოდა. ამიერიდან ამ მიწა-წყალს მეფე თავის მოხელეს მიუბოძებდა ხოლმე — ისევ და ისევ დამსახურებისა და აქედან გამომდინარე თანამდებობის მიხედვით.

როგორც ხედავთ, ეს უკვე ძალიან დიდი ცვლილება იყო ქვეყნის ცხოვრებაში, წინ გადადგმული გაბედული და პროგრესული ნაბიჯი!

იქნებ „ვეფხისტყაოსნიდანაც“ გახსოვდეთ ერთი ტერმინი, საისტორიო წიგნებშიაც შეხვდებით — „საკარგავი“, „მოსაკარგავე“... „საკარგავი“ ის მიწა-წყალია, რომელსაც მეფე გარკვეული დროის განმავლობაში თავის მოხელეს ჩააბარებდა ხოლმე სამართავად, განსაგებლად. „მოსაკარგავე“ — ამ მიწა-წყლის გამგებელია. „მოსაკარგავეობის“ ინსტიტუტმა დასრულებული სახე დავით აღმაშენებლის დროს მიიღო, წაიკითხავთ ისტორიის წიგნებში. სწორედ მოსაკარგავეები ცვლიდნენ იმ ერისთავებს, რომელთაც თავის დროზე მეფეთა მიერ განსაგებლად მიცემული მამულები სამემკვიდრეო-საერისთავოებად აქციეს და თანდათან ისე

1 ერთი საინტერესო ფაქტი: საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ რომ ჩაიხედოთ, ასეთ განმარტებას ნახავთ: „ბაღვიეაში — სახლი გამამწარებელთა“...

გაფართოვდნენ, რომ მეფეებსაც დაუპირისპირდნენ.

აღარ შევუდგებით იმის ანალიზს, რამდენად პროგრესული იყო ეს მოვლენა, როგორ უხსნიდა გზას ნიჭსა და პირად ღირსებას, როგორ ეძლეოდა საშუალება მეფეს, ერთგული და ღირსეული ხალხი შემოეკრიბა, თვით თანამდებობის პირნი როგორ მოინდომებდნენ, საკუთარი ღვაწლით სახელი მოეხვეჭათ და მეფის ნდობა დაემსახურებინათ... საბოლოოდ კი, როგორ შეუწყობდა ეს ხელს ქვეყნის შემდგომ განვითარებასა და აღორძინებას...

ეს ყველაფერი თავისთავად იგულისხმება.

აქ მთავარი ის არის და მკითხველის ყურადღებაც იმაზე უნდა გავამახვილოთ, რომ ძველი ფეოდალური ურთიერთობა იცვლებოდა... ჩვენ ვიცით, რომ ერისთავების ასალაგმავად მეფეების ბრძოლას ძალიან დიდი ხნის ისტორია აქვს. მაგრამ მანამდელი საუკუნოვანი ბრძოლები სავსებით განსხვავდებოდა იმ ბრძოლისაგან, რაც დავითმა წამოიწყო და გააჩაღა.

აქამდე ჩვენ იმის მოწმე ვიყავით, რომ მეფე ცალკეულ გათავხედებულ ერისთავს ებრძოდა და მის ალაგმვას ცდილობდა. თუკი მოახერხებდა მის ალაგმვას, საერისთავო „ალაგმულისაენ“ მემკვიდრეს რჩებოდა და ფაქტიურად, თითქმის არაფერი იცვლებოდა, ყველაფერი თავიდან იწყებოდა.

ახლა უკვე არა ცალკეულ ერისთავებს, არამედ საერთოდ ერისთავობას ებრძოდა დავით აღმაშენებელი.

საინტერესო დაკვირვება აქვს ნიკო ბერძენიშვილს — მთელს თავის ვრცელ მონათხრობში დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ერთხელაც არ ახსენებს სიტყვა „ერისთავს“. ეს შემთხვევითი არ არის, როგორც უკვე ითქვა, ამიერიდან მეფე თანასწორთა შორის პირველი კი აღარ იყო, არამედ იგი სულ ცალკე იდგა. მაღლა. და ყველანი მისი მორჩილები იყვნენ. მეფემ ერისთავობის საუკუნოებით დაკანონებულ ინსტიტუტს სავსებით ახალი სახელმწიფოებრივი წყობა დაუპირისპირა...

აქვე უნდა შევნიშნოთ: ამ ახალი წყობის სახელმწიფოსთვის ნიადაგი დიდი ხნის მომზადებული იყო. გაიხსენეთ, როგორ დაერია ჯერ კიდევ ბაგრატ მესამე ურჩ ფეოდალებს, თავისივე ახლობლები არ დაინდო, თმოგვის ციხეში ჩაყარა, სადაც დაიხოცნენ კიდეც. ეს იყო ბრძოლა სწორედ იმ ძველი საერისთავო თუ საუფლისწულო სისტემის წინააღმდეგ. ხომ ხედავთ, საიდან მოდის ეს ბრძოლა, და ახლა გადამწყვეტი შეტევა დავით აღმაშენებელსა ხედა წილად.

გადამწყვეტი შეტევა და არა დაგვირგვინება, რადგან ეს ბრძოლა მერეც გაგრძელდა.

ახლა ისიც ვიკითხოთ, რატომ მაშინვე ვერ მოახერხა ბაგრატ მესამემ, გადამწყვეტი იერიში მიეტანა და გამანადგურებელი ლახვარი ჩაეცა იმ მოძველებული წყობისათვის, რომელიც აშკარად უშლიდა ხელს ქვეყნის გაერთიანებასა და განვითარება-გაძლიერებას? აკი ბაგრატ მესამე ბრძენი გამგებელი იყო, არც სიმტკიცე აკლდა და ჩვენ იმაშიაც დავრწმუნდით, რა თავგამოდებით იბრძოდა და იღვწოდა იგი ქვეყნის გაერთიანებისთვის! მაშ, რა მოხდა, რატომ ვერ მოახერხა ბაგრატმა ის, რაც მისმა შორეულმა შთამომავალმა, საუსებით ახალგაზრდა მეფემ გააკეთა?

სანამ ამ კითხვაზე გავცემდეთ პასუხს, გავიხსენოთ, სად გადაიხვეწნენ მემკვიდრეები იმ დიდებულებისა, რომლებიც ბაგრატ მესამემ თმოგვის ციხეში ჩაყარა.

ამას რომ გავითვალისწინებთ, პასუხის გაცემა ჩვენს კითხვაზე ძნელი აღარ უნდა იყოს.

გარეშე ძალები აბრკოლებდნენ ამ, უკვე მომწიფებული რეფორმის გატარებას. და, უპირველეს ყოვლისა, ბიზანტია. ბიზანტია აბრკოლებდა, რადგან მისთვის ხელსაყრელი არ იყო მეზობელი ქვეყნის გაძლიერება. ბიზანტია თავს უყრიდა ყველა უკმაყოფილო ქართველ დიდებულს, კალთას აფარებდა და, მიეცემოდა თუ არა ხელსაყრელი შემთხვევა, ქართველი მეფის წინააღმდეგ გამოჰყავდა. ეს რომ უფრო ნათელი იყოს, ბარემ ისიც გავიხსენოთ, როგორ სცადა ბიზანტიამ, გამოეყენებინა ბაგრატ მეოთხის ნახევარძმა დემეტრე, რომელმაც თავის დროზე ბიზანტიას შეაფარა თავი; გვხსომებათ, როგორ გამოატანა ბიზანტიის იმპერატორმა იგი ბაღვაშს, რათა ბაგრატ მეოთხე ტახტიდან ჩამოეგდო და ის გაემეფებინათ.

ლიპარიტ ბაღვაში ერთადერთი ურჩი ფეოდალი როდი იყო. ახალგაზრდა მეფეს სხვებიც გადაუდგნენ, მაგრამ მათზე ქვემოთ გვექნება საუბარი. ახლა კი უნდა გავიხსენოთ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რაც სწორედ იმ ხანებში მოხდა (კერძოდ 1092 წელს) და რამაც დავითს საქმე გაუადვილა, ხელი შეუწყო მისი გეგმების განხორციელებას.

გარდაიცვალა დიდი სულთანი მალიქშაპი. როგორც ვარაუდობენ, მოწამლეს. და რაკი შეთქმულება იყო, იგულისხმება, შინა ბრძოლებიც იქნებოდა. ეს კი თავისთავად გულისხმობს იმას, რომ სელჩუკები სხვებისთვის აგრერიგად ველარ მოიცლიდნენ.

სელჩუკთა დიდი სახელმწიფოს დაშლა, რაც ისედაც უკვე დაწყებული იყო, დიდი სულთანის სიკვდილის შემდეგ კიდევ უფრო დაჩქარდა. შინაომებმა, რაც სულთანის შვილებსა და დიდ მოხელე ამირებს შორის ატყდა, მწვავე ხასიათი მიიღო. უზარმაზარი სახელმწიფო სელჩუკებისა თანდათანობით დაიშალა მცირე საამიროებად, რომელთაც ერთმანეთში გაუთავებელი შუღლი და ჭიდილი ჰქონდათ. „...შეიქმნა სელჩუკთა სახელმწიფოები სირიაში, ერაყში, ქერმანში, მცირე აზიაში...“ — ვკითხულობთ ნ. შენგელიას გამოკვლევაში, რომელიც წინა წიგნშიაც დავიმოწმეთ, — მთელი იმპერია 12 პროვინციად დაიყო და ერთი მათგანი, ანატოლიის სელჩუკთა სახელმწიფო, 19 საამიროსაგან შედგებოდა... თითოეული საამირო „სრულიად დამოუკიდებლად გრძნობდა თავს და, თავის მხრივ, ყოველნაირად ცდილობდა საკუთარი ტერიტორიის გაფართოებას მეზობლის ხარჯზე... დროთა ვითარებაში ზოგიერთი საამირო იმდენად გაძლიერდა, რომ დამოუკიდებლობა მოიპოვა და ნაკლებად ცნობდა სელჩუკთა უზენაეს ხელისუფლებას“.

ბუნებრივია, ასეთ პირობებში ქართველი ხალხის ბრძოლა სელჩუკ დამპყრობთა წინააღმდეგ უფრო გაადვილდებოდა. დავით აღმაშენებელმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ისარგებლა ამით და კიდევ უფრო ენერგიულად განაგრძო საქართველოს მიწა-წყალზე მტრის შეეიწროება, ქვეყნის გაერთიანებისთვის დაუცხრომელი ბრძოლა

როგორც ვხედავთ, საქართველოსა და მისი მოწინააღმდეგის ბანაკში სულ სხვადასხვა, ერთმანეთის საწინააღმდეგო სოციალური მოვლენები ხდებოდა. ამასთან, ის, რაც საქართველოში ხდებოდა, ქვეყნის გაძლიერებას უწყობდა ხელს, ხოლო მტრის სახელმწიფო სულ უფრო და უფრო სუსტდებოდა. აქ ქვეყნის ცენტრალიზაცია ხდებოდა, იქ — დეცენტრალიზაცია...

რაკი ქართველ მეფეს დიდი ლაშქარი არა ჰყოლია და მეომართა სიმრავლით ვერ დაუპირისპირდებოდა მტრის მრავალრიცხოვან მხედრობას, სხვა რამე უნდა ეღონა, რაიმე ხერხისათვის უნდა მიემართა. მემატიანე პირდაპირ მიუთითებს ასეთ ხერხზე.

ზოგჯერ მეფე მტრის თვალის ასახვევად დიდი ამალით გაემგზავრებოდა ხოლმე დასავლეთ საქართველოს შორეულ კუთხეში. მეფის გამგზავრების ამბავს მტერიც გაიგებდა და გათამამებული დაიძრებოდა „უპატრონოდ“ მიტოვებული ადგილების კვლავ დასარბევად და მოსათარეშებლად.

მეფეც ამას ელოდა. ჯარი წინასწარვე ჰყავდა ჩასაფრებული და საომრად გამზადებული; წამოვიდოდა ხოლმე (გადმოფრინდებოდაო, ზოგან ასე წერს მემატიანე) და სანამ მტერი გონს მოსელას მოასწრებდა, ქართული მხედრობა დაერეოდა — ამარცხებდა. ასეთი თანმიმდევრული ბრძოლებით, ასე პატარ-პატარა გამარჯვებებით მეფემ მალე კარგა დიდი მიწა-წყალი გაათავისუფლა და დაიბრუნა. ასეთი მოულოდნელი შეტევით მტრის ცალკეულ რაზმებს ამარცხებდა, გამარჯვებას აღწევდა. ხშირ გამარჯვებებს კი, დიდი მორალური მნიშვნელობაც ჰქონდა — ქართველებს აღაფრთოვანებდა, იმედსა და რწმენას ჰმატებდა; მტერს, პირიქით — გულს უტეხდა, რწმენას ურყევდა.

ამავე ხანებში მოხდა მეორე მნიშვნელოვანი მოვლენა საერთაშორისო ცხოვრებაში. ქართველი მემატიანე მოკლედ გადმოგვცემს: „ამას ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი, აღიღეს იერუსალემი და ანტიოქია“.

აქ ლაპარაკია ისტორიაში ცნობილ ჯვაროსნულ ლაშქრობაზე. და რამდენადაც მას ჩვენი ქვეყნისთვისაც ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ცოტა უფრო დაწვრილებით უნდა მოვუთხროთ ეს ამბავი მკითხველს.

●

„ფრანგნიო“ ქართველი მემატიანე აღნიშნავს. მაგრამ აქ მარტო საფრანგეთი კი არა, საერთოდ ევროპის ქვეყნები იგულისხმება. სწორედ დასავლეთ ევროპაში დაიწყო ის დიდი მოძრაობა, რასაც ჯვაროსნული ლაშქრობები დაერქვა. ეს იყო მეთერთმეტე საუკუნის მიწურულს, ანუ რამდენიმე წლის შემდეგ, რაც საქართველოში სამეფო ტახტზე დავით აღმაშენებელი ავიდა.

ეს ის დროა, როცა „ძალი ბერძენთა შემცირებულ იყო და რომელნი ქუეყანანი მათ აღმოსავლეთს ჰქონდეს ზღვასა გარეთ ყოველი თურქთა დაეპყრა“... ქართველი მემატიანის ზემოთ მოტანილმა წინადადებამ დიმიტრი ბაქრაძეს უცხოელი სებატიეს სიტყვები გაახსენა: გარდა იმისა, რომ ძალიან შთამბეჭდავია ეს სიტყვები, ჩვენთვის იმითაც არის საინტერესო, თითქოს საგანგებოდ ქართველი მემატიანის ფრაზების შესავსებად და დასაკონკრეტებლად დაუწერიაო: „...ბერძნების იმპერია, გარემოცული ყველა მხრით და ფრთაშეკვეცილი, უფრო და უფრო ილეოდა: ედესა, იკონიუმი, ტარსი,

ანტიოქია, ნიკეა, ბითინია, კაპადოკია სრულებით დაკარგულნი იყვნენ კონსტანტინე დიდის მემკვიდრეთათვის. შემდეგ იმისა, როდესაც სელჩუკის დინასტიამ მოგლიჯა ბიზანტიას სირია და მცირე აზია, დამონავებულის თემების ბერძენნი... ამაოდ შესცქეროდნენ ბიზანტიის მეფეებს, რომელთაც ყოველივე ძალა მიღებული (ესე იგი, წართმეული, გამოცლილი) ჰქონდათ. თვით დანაშთენი იმპერია იმათი, შერყეული საღვთისმეტყველო ბაასით, სასახლის განხეთქილებით და შინაგანის ბრძოლით (ჩვენ უკვე ვიცით ეს საეკლესიო ბრძოლებიცა და შინაგანი განხეთქილებანიც) ცხადად ირღვეოდა"...

მუსულმანებისგან უკიდურესად შევიწროებულმა ქრისტიანულმა ბიზანტიამ დახმარებისთვის მიმართა ევროპის ქრისტიანულ ქვეყნებს, მოუწოდა, რათა საერთო ძალით გაეთავისუფლებინათ წმინდა ადგილი — პალესტინა — სადაც მიწის ყოველი გოჯი ქრისტეს სახელთან იყო დაკავშირებული. როგორც ითქვა, ეს ამბავი მეთერთმეტე საუკუნის მიწურულს ხდება, როცა მთელი მცირე აზია თურქსელჩუკებს უპყრიათ.

მაგრამ დახმარებისთვის ევროპის ქვეყნებისადმი ასეთი მიმართვა პირველი არ ყოფილა. ჯერ კიდევ მეცხრე საუკუნეში, არაბთაგან დაშინებულმა ბიზანტიის იმპერატორმა თეოფილემ სთხოვა შველა ფრანკებს. ზოგიერთი მეცნიერი თეოფილეს ამ წერილს ჯვაროსნული ლაშქრობების პრელუდიას უწოდებს.

მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები უფრო გამოიკვეთა და ჩამოყალიბდა. თვითონ ევროპის ქვეყნებში შემზადდა ნიადაგი აღმოსავლეთისკენ გასალაშქრებლად. მოხეტიალე-მოწანწალე რაინდები, რომელთა რიცხვი, რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო მატულობდა, მზად იყვნენ, პირველივე მოწოდებაზე დაძრულიყვნენ და საკუთარ ქვეყნებში დამშეულებს, ბედი აღმოსავლეთის ნოყიერ მიწა-წყალზე ეძიათ.

ქება აღმოსავლეთის მდიდარი, ნოყიერი მიწებისა, სულ უფრო და უფრო ვრცელდებოდა და მთელს ევროპას ეფინებოდა — საარაკო ამბებს ჰყვებოდნენ ხოლმე ამ ქვეყნების სიმდიდრეზე, იქაურ უზრუნველ და სანატრელ ცხოვრებაზე — და ეს მაშინ, როცა მთელი ევროპა შიმშილობდა. წინა წიგნში უკვე შევნიშნეთ: თითქმის მთელ მეთერთმეტე საუკუნეში — განსაკუთრებით, მის მეორე ნახევარში, ანუ სწორედ იმ წლებში, როცა ჯვაროსნული ლაშქრობები დაიწყო, — ევროპაში უამინდობა იყო და ამის შედეგად საშინელი შიმშილი და ეპიდემიები მძვინვარებდა. ასე რომ, მარტო მოხეტიალე რაინდებს

კი არ ეჭირათ თვალი „მდიდარი აღმოსავლეთისკენ“, გლეხებსაც მოეკრათ ყური, აღმოსავლეთში სანატრელი ცხოვრებაა და ოღონდ კი თავიანთ ყოველდღიურ გასაჭირს – შიმშილს, სნეულებას, მემამულეთა და ეკლესიის მძიმე გადასახადებს – გაქცეოდნენ, მზად იყვნენ, ქვეყნის კიდემდე ე�eloთ და ეწანწალათ...

ასეთი იყო ვითარება ევროპის ქვეყნებში, როცა თურქ-სელჩუკები და პაჭანიკები ღრმად შეიჭრნენ ბიზანტიაში და თვით კონსტანტინოპოლს დაემუქრნენ. კონსტანტინოპოლის მცხოვრებლები მზიან ამინდში საკუთარი სახლის აივნებიდანაც კი ხედავდნენ ბოსფორის აზიურ სანაპიროზე თურქ-სელჩუკთა გამომწვეევად მოელვარე კარვებს. თურქებისაევ მონათესაევ ხალხი — პაჭანიკები — მეორე მხრიდან მოსდგომოდა ბიზანტიის დედაქალაქს. იმპერია საშინელ განსაცდელში იყო. ხსნა არსაიდან ჩანდა... დედაქალაქი პანიკას მოეცვა. დღე-დღეზე მოელოდნენ ქალაქის ქუჩებში მტრის რაზმების შემოჭრას...

იმპერატორი ალექსი კომნენი იძულებული გახდა, დახმარების სათხოვნელად გრაფ რობერტ ფლანდრიელისთვის მიემართა: ბერძენ ქრისტიანთა უწმინდესი იმპერია განსაცდელშია – თურქები და პაჭანიკები მოსწოლიან. იერუსალიმიდან მოკიდებული საბერძნეთამდე ყველაფერი დაარბიეს და ააოხრეს. კონსტანტინოპოლიღა შეგვრჩა, მაგრამ ამასაც ემუქრებიან და, თუ დროზე არ მოგვეშველეთ დასავლეთის ქრისტიანები, ყველაფერი დაკარგულია. თვით მე, იმპერატორს ვერაფერი მიღონია და მალე იძულებული გავხდები, გავიქცე. რაღა უწმინდურ პაჭანიკებსა და თურქებს დარჩეთ კონსტანტინოპოლი — არა სჯობია, თქვენ აიღოთ! აურაცხელი სიმდიდრე და განძია ჩვენს დედაქალაქში. მარტო კონსტანტინოპოლის ეკლესიათა საგანძურიც კი სამკაულად ეყოფა მთელი მსოფლიოს ეკლესიებს. ყოფილი იმპერატორებისა და ბერძენი დიდებულების სიმდიდრეს ხომ ვინ დათვლის! მაშ, რაღას უდგახართ — წამოუძეხით თქვენს ხალხს და წამოდით, გამოილაშქრეთ, ამ სიმდიდრეს თურქებსა და პაჭანიკებს ნუ დაუტოვებთ... ჩქარა, სანამ ჯერ კიდევ არის დრო!

ასეთია იმ წერილის შინაარსი, რაც თითქოს ბიზანტიის იმპერატორს რობერტ ფლანდრიელისთვის გაუგზავნია.

დაუჯერებელია, რომ ასეთი წერილი გაეგზავნოს ბიზანტიის იმპერატორსაო, მეცნიერები წერენ. მართლაც დაუჯერებელია, ასე ერთბაშად აეღოს ხელი იმპერატორს ყველაფერზე და მთელი

იმპერია თავისივე ნებით სხვისთვის დაეთმოს. რა თქმა უნდა, ასეთი არ იქნებოდა ბიზანტიის იმპერატორის წერილის შინაარსი, მაგრამ ამას მაშინ რა მნიშვნელობა ჰქონდა, ვინ იყო გამრკვევი და გამკითხავი — ყალბი იყო თუ ნამდვილი, წერილი მთელს ქვეყანას მოეფინა და ისედაც გასალაშქრებლად შემართული ხალხი კიდევ უფრო გააღიზიანა...

1095 წელს რომის პაპმა ურბან მეორემ სამხრეთ საფრანგეთში — კლერმონში — დიდი საეკლესიო კრება მოიწვია. ცამეტი არქიეპისკოპოსი ესწრებოდა ამ კრებას, ორას ოცდახუთი ეპისკოპოსი, აბატები ხომ, ვინ მოთელის, რამდენი, ფეოდალები, მემამულეები, დიდებულები... იმდენი ხალხი შეგროვდა, რომ ვერავითარმა დარბაზმა ვერ დაიტია... შეკრებილთ სიტყვით მიმართა პაპმა. და, უნდა ითქვას, იგი არცა ცდილა, ნამდვილი ზრახვები შეენიღბა. პირდაპირ მოუწოდა ხალხს — აქ თქვენ მჭიდროდ ხართ დასახლებული, ველარ ეტევით, მწირი მიწა გაქვთ, წელებზე ფეხს იდგამთ, მაგრამ საკმარისი პური ვერ მოგიყვანიათ... იმიტომაა, რომ ლამის ერთმანეთი შეჭამოთ, გაუთავებელი ომები გაქვთ, ჭრილობა ვერ მოგიშუშებიათ... აპა, მარჯვე შემთხვევა გეძლევათ, აღკვეთოთ ეს ომები და სისხლისღვრა, მტრობა დააცხროთ. წადით წმინდა კუბოს გამოსახსნელად, წაართვით ის მიწა-წყალი უწმინდურ ხალხს და თქვენ დაისაკუთრეთ, იქ რძე და თაფლი დაუსრულებლად მოედინება; იერუსალიმი დედამიწის მარგალიტია, მეორე სამოთხე და სასუფეველი... წადით, იერუსალიმი გელოდებათ...

აღტყინებულ ბრბოს რაღა ბევრი წაქეზება უნდოდა! კრების დამთავრებისთანავე შეადგინეს ლაშქარი, დაიკერეს ტანსაცმელზე წითელი ჯვრები (სახელწოდება „ჯვაროსნებიც“ აქედანაა) და 1096 წლის გაზაფხულზე დაიძრნენ...

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პირველი მათი ლაშქრობა წარუმატებელი იყო, პირველ ბრძოლებში მარცხი იგემეს, შემდგომ უფრო ორგანიზებულად მიდიოდნენ და გამარჯვებებსაც აღწევდნენ. რამდენიმე ლაშქრობა მოეწყო.

საინტერესოა შემადგენლობა პირველივე ლაშქრობისა. აქ ევროპის ყველა ქვეყნის, ყველა ჯურისა და ასაკის ხალხს ნახავდით — ესპანელებს, ნორმანებს, ბრეტანელებს, ფრანკებს, ინგლისელებს, გერმანელებს... ბერიკაცებს, ჭაბუკებს, პატარა ბიჭებს... მონასტრებიდან გამოქცეულ ბერებს, მოხეტიალე რაინდებს, საკუთარი

მიწა-წყლიდან ლტოლვილ გლეხებს, დამშეულ ქალაქელებს...

სულ სხვადასხვა ხალხი იყო, მაგრამ ერთი მიზანი ასულდგმულებდათ — მალე ჩასულიყვნენ იმ მდიდარ ქვეყნებში და გამძლარიყვნენ, მოესვენათ, არხეინ ცხოვრებას მისცემოდნენ, გამდიდრებულიყვნენ. ამიტომ ტანჯვასა და გასაჭირს, რაც იმ ძნელ ლაშქრობასთან იყო დაკავშირებული, აღარ დაგიდევდნენ...

აქ აღარ შეეჩერდებით იმაზე, რომ, სანამ იერუსალიმამდე ჩააღწევდნენ, ჯერ მთელი ევროპა უნდა გადაელახათ, აეოხრებიანთ, გადაეძოვათ... გარდა იმისა, რომ ამ ქვეყნებსა და ხალხებს ატეხდნენ საშინელ უბედურებას, თვითონაც არაადამიანურად იტანჯებოდნენ. გადმოგვცემენ, რომ მარტო ერთ დღეს, აგვისტოში, ხუთასი კაცი წყურვილით მოკვდა — პირი დაეფჩინათ და პაერს ღრმად ისუნთქავდნენ, იქნებ ცოტა შეება მოგვეცესო... ხოლო, როცა ბოლოს მდინარეს მიადგნენ, კიდევ უფრო მეტი იმით დაიხოცა, რომ ზომიერება ველარ დაიცვეს და წყლით გაიბერნენ.

ისტორიულ რომანებში — განსაკუთრებით ევროპელ მწერალთა ნაწარმოებებში – რომლებიც ჯვაროსნული ომების პერიოდს შეეხება, კარგადა ჩანს, რა დიდი მასშტაბი მიიღო ამ მოძრაობამ, რა საამაყოდ ითვლებოდა აღმოსავლეთისკენ — ჯვაროსნულ ლაშქრობაში წასვლა, რა სასოებითა და მოწიწებით ახსნებდნენ ლაშქრობის მონაწილეებს, რა პატივით ღებულობდნენ იქიდან დაბრუნებულთ, რა ლეგენდებსა თხზავდნენ, რა რომანტიკულ საბურველში ხვევდნენ ყველაფერ ამას. ფაქტიურად ეს იყო არა რელიგიური ბრძოლა „წმიდა მიწის“ გამოსახსნელად, არამედ ჩვეულებრივი დაპყრობითი ომები — გამდიდრებისა და ნოყიერი მიწა-წყლის ხელში ჩასაგდებად.

სპეციალურ ლიტერატურაში დაწვრილებით არის მოთხრობილი ეს ამბები და დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია გაეცნოს.

ჩვენ კი იმიტომ შევაჩერეთ მკითხველის ყურადღება, რომ ზოგი თაობის ჯვაროსნები, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ქართველ მეომართა პირდაპირი მოკაშირეები აღმოჩნდებიან.

1098 წელს ჯვაროსნებმა აიღეს ანტიოქია, 1099 წელს — იერუსალიმი. სხვათა შორის, სწორედ იერუსალიმის აღების დროს გამოჩნდა მთელი სიშიშვლითა და სისასტიკით ნამდვილი არსი ჯვაროსნული ლაშქრობებისა. ქალაქის აღების შემდეგაც გამარჯვებულები განურჩევლად ჟლეტდნენ მოსახლეობას, ქუჩებში სისხლის რუები დიოდა, ყველგან ადამიანთა დაგლეჯილი სხეულის

ნაწილები ეყარა და ამ გაჟლეტილი ხალხის გროვაზე თავით ფეხებამდე სისხლში ამოთხვრილი გამარჯვებულები დაბობღავდნენ.

●

ჯერ საშინაო არევ-დარევამ და მერე ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა, რაც მალევე მოპყვა სულთანის კარზე გაჩაღებულ ურთიერთბრძოლებსა და განხეთქილებას, სელჩუკები დაასუსტა, მათ ახლა უკვე საქართველოსა და კავკასიისთვის აღარა სცხელოდათ და დიდ წინააღმდეგობას ვეღარ გაუწევდნენ ქართველებს, თუკი ისინი შექმნილი მდგომარეობით ისარგებლებდნენ და შეტევებს გაახშირებდნენ და გააძლიერებდნენ.

დავით აღმაშენებელი, რაღა თქმა უნდა, ხელიდან არ გაუშვებდა ასეთ შემთხვევას და სწორედ ამ ხანებში გაათავისუფლა მან ქვეყნის უდიდესი ნაწილი.

ამავე დროს მოხდა საგულისხმო ფაქტი, რაც მარტო ეკონომიკური თვალსაზრისით კი არ იყო მნიშვნელოვანი, დიდ პოლიტიკურ და მორალურ გამარჯვებასაც ნიშნავდა.

დავითმა ხარკის ძლევა შეუწყვიტა სულთანს — „არღარა მისცა სოლტანსა ხარაჯა“, სწორედ ჯვაროსნულ ლაშქრობებს უკავშირებს ამ ფაქტს მემატიანე.

თქვენ გახსოვთ, როგორ თავგამოდებით ცდილობდა ბაგრატ მეოთხე, თავიდან აეცდინა თურქებისათვის ხარკის ძლევა. მან ეს მოახერხა. შემდეგ ისე გამწვავდა მდგომარეობა, ისეთი ძალით მოაწვნენ თურქ-სელჩუკები საქართველოს, რომ გიორგი მეორეს სხვა გზა აღარ ჰქონდა, იძულებული გახდა, ხარკის ძლევაზე დათანხმებულიყო.

და ვიმეორებთ, ეს მარცხი უსიამოვნო იყო არა მარტო ეკონომიკური თვალსაზრისით: ყოველწლიური ხარკი მორალურადაც აბეჩავებდა ხალხს, გულს უტეხდა, რწმენას უკარგავდა...

ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა ნაწილობრივ საქმე გაუადვილეს დავითს თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში, ისევე როგორც ქართველების ბრძოლები უადვილებდა საქმეს ჯვაროსნებს: მთავარი კი მაინც ქართველი ხალხის შემართება და შეუპოვრობა იყო, დავითის გონივრული პოლიტიკის თანმიმდევრული გატარება.

ხარკის შეწყვეტა დიდი გამოწვევა იყო. ქართველი მეფე ამითი აცხადებდა, რომ მას აქამდე მოპოვებული მცირე, ლოკალური მნიშვნელობის გამარჯვებები აღარ აკმაყოფილებდა, მზად იყო უფრო დიდი ბრძოლებისათვის, გენერალური შეტევისთვის, მთელი საქართველოს და მახლობელი ქვეყნების გასათავისუფლებლად. ასეთ გამოწვევას ქვეყნის ახალი აოხრება უნდა მოპყოლოდა — სულთანს სამაგალითოდ უნდა დაესაჯა ახალგაზრდა მეფე. მაგრამ, საქმეც ის არის, რომ სულთანს ამისი ძალი აღარ შესწევდა...

სულთანი შეურიგდა ხარკის დაკარგვას და ეს უკვე კარგი ნიშანი იყო. საქმე სასიკეთოდ წარიმართა, დავითის ლაშქარი სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა და მტრისაგან გათავისუფლებული მიწა-წყალიც სულ უფრო ფართოვდებოდა.

მაგრამ დიდი და ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი ქვეყნისა ისევ მოწყვეტილი იყო საქართველოს. კახეთს საკუთარი მეფე განაგებდა და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საქართველოს მეფეს სულ იმისი შიში უნდა ჰქონოდა, კახეთის მბრძანებელი მტერმა არ გადაიბიროს და არ დამიპირისპიროსო, კახეთის შემოერთებას უდიდესი სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა (თავი რომ დავანებოთ ეკონომიკურს), უმთავრესად სწორედ აქედან შემოდიოდა მტერი.:.. ამიტომაც პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქვეყნის მმართველები. ჩვენ ვიცით, რამდენჯერ სცადეს კახეთის შემოერთება ქართველმა მეფეებმა. შემოიერთეს კიდეც, მაგრამ საგარეო მდგომარეობის შეცვლასთან ერთად კახეთის მთავრები კელავ ახერხებდნენ დიდი სამეფოდან გამოყოფას.

დავითის ყურადღება, რაღა თქმა უნდა, თავიდანვე იყო მიპყრობილი კახეთისაკენ, მაგრამ მეფობის დასაწყისს, იმ მძიმე პირობებში, ეს მან ვერ მოახერხა, ახლა კი, როცა თურქებს თავისი მიწა-წყლის უმეტესი ნაწილი წაართვა და უკანვე დაიბრუნა, როცა აგერ ხარკის ძლევაც შეუწყვიტა და მნიშვნელოვან პოლიტიკურ გამარჯვებას მიაღწია, მან გადაწყვიტა, კახეთიც შემოეერთებინა.

მაგრამ, წინა მმართველებისგან განსხვავებით, დავითი ცოტა უფრო სხვაგვარად მოიქცა. ისეთი სულწასულობა არ გამოუჩენია...

ჩვენ გვახსოვს, დავითის წინამორბედი მეფეები როგორ დასძრავდნენ ერთბაშად ლაშქარს და მთელს კახეთს შეესეოდნენ, რამდენიმე ციხეს ერთბაშად შემოარტყამდნენ ალყას — ხან გატეხდნენ მეციხოვნეთა წინააღმდეგობას, ხან თვითონვე გატყდებოდნენ, და

საბოლოოდ კიდეც რომ აეღოთ ეს კუთხე, მაინც ყველაფერი თავიდან იწყებოდა.

დავითმა აქაც სიფრთხილე იხმარა და ერთბაშად მთელი კახეთის შემოერთება კი არ განიზრახა, ზედაზნის ციხე აიღო (კახეთში ამ დროს კვირიკე მეფობდა)...

როგორც ეტყობა, ეს მოხდა 1102 თუ 1103 წელს.

ამ ციხის მდებარეობას რომ წარმოვიდგენთ, მაშინვე ნათელი გახდება, როგორა „ჭვრეტს" იგი, ეახუშტის გამოთქმისა არ იყოს, ერთი მხრივ, ჩრდილო კავკასიასთან ურთიერთობის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვან არაგვის ხეობას, მუხრანის ვრცლად გადაჭიმულ ველს, და მეორე მხრივ, როგორა სწვდება იქიდან თვალი მტკვრის დინებას, დიღმის ხეობასა და თბილისის მისადგომებს... ამის შემდეგ უკვე გასაგებია, რატომ დაეშურა მეფე იმ ციხის აღებას, მაშინ როდესაც კახეთის გულისკენ გალაშქრებას ჯერ თურმე არ აპირებდა.

სანამ მთელი კახეთის შემოერთებას გადაწყვეტდა, მეფეს მოსაგვარებელი ჰქონდა დიდი მნიშვნელობის საშინაო საქმე. უკვე მეთოთხმეტე წელი იყო, რაც დავითი სამეფო ტახტზე ავიდა და საკითხი, რომელიც მას თავიდანვე აწუხებდა და აშფოთებდა, ახლაღა ჩათვალა მომწიფებულად.

●

ზემოთაც ვილაპარაკეთ ამაზე გაკვრით და თქვენ ალბათ ხედებით, რომ საქმე ეხება ეკლესიას, ეკლესიაში შექმნილ დაძაბულ და მოუთმენელ მდგომარეობას. ეს ახალი ამბავი არ იყო. თქვენ გეხსომებათ, რომ ჯერ კიდევ დიდმა გიორგი მთაწმინდელმა დასვა ეს საკითხი ძალიან მწვავედ და მოურიდებლად დავითის პაპის — ბაგრატ მეოთხის წინაშე. მაშინ — სელჩუკების გააფთრებული შემოსევების დროს — ვერ მოხერხდა ამის მოგვარება. და აი, ამ რთული პრობლემის მოგვარებაც წილად ხვდა დავითს.

„რამეთუ წმიდანი ეკლესიანი, სახლნი ღმრთისანი, ქუაბ ავაზაკთა ქმნილ იყვნეს და უღირსთა და უწესოთა მამულობით უფროს, ვიდრე ღირსებით დაეპყრნეს უფროსნი საეპისკოპოსონი, ვითარცა ავაზაკთა და მათნიეე მსგავსნი ხუცესნი და ქორეპისკოპოსნი დაედგინნეს, რომელნი ნაცელად სჯულთა საღმრთოთა უსჯულოებასა აწურთიდეს

მათ ქუეშეთა ყოველთა. და თვით სახლით უფლისათ და მღდელთაგან გამოვიდოდა ყოველი უსჯულოება და ცოდვა“...

ასე გადმოგვცემს დავითის ისტორიკოსი ეკლესიაში შექმნილ მდგომარეობას.

ხედავთ, რა გაბედულად და პირდაპირ ამბობს — წმიდა ეკლესიანი... ქუაბ ავაზაკთა ქმნილ იყვნესო... საგულისხმოა, რომ ეს გამოთქმა მემატიანეს სახარებიდან უსესხებია („...სახლსა ჩემსა სახლ სალოცველ ეწოდოს, ხოლო თქუენ გიყოფიეს იგი ქუაბ ავაზაკთა...“). ამით, ჯერ ერთი, სათქმელის მნიშვნელობას ამაღლებს და აძლიერებს მემატიანე, და მეორეც — დავითის რადიკალურ ზომებს ამართლებს... რადგან ქვემოთ ვნახავთ, თავისი პოლიტიკის გატარებაში მეფეს დიდი წინააღმდეგობები ხედებოდა...

ისევე დავაკვირდეთ მემატიანის სტრიქონებს!

რა არის ეს?

მატიანეა?

თუ სამსჯავროზე წარმოთქმული საბრალდებო სიტყვა, როცა ბრალმდებელს მიზნად დაუსახავს, ნიღაბი ჩამოგლიჯოს საზოგადოებრივად საშიშ დამნაშავეებს და მათი ბოროტმოქმედება მთელ ხალხს დაანახვოს?!

არა, ეს ნამდვილად არა ჰგავს ჩვეულებრივ მატიანეს, სადაც ზოგჯერ დიდი გულისტკივილით და სიმკაცრითაც კი არის გადმოცემული ფაქტები, მაგრამ მაინც დინჯად, უკვე გამოელილი ტკივილებისა და გადატანილი მწუხარების მშვიდი განსჯითა და ანალიზით...

ეს სიტყვას ჰგავს, მგზნებარე, საბრალდებო სიტყვას, სადაც ცოცხალი ემოციები მძლავრობს... თითქოს კი არ კითხულობ ძას, არამედ გესმის... და ამ ბგერებთან ერთად ორატორის გულის გახშირებული ფეთქვაც სწვდება შენს სმენას...

აგერ, ბოლო აკორდიც სიტყვისა, როცა ორატორი. თითქოს მოერია ემოციებსა და გულისთქმას, ვნებათაღელვა დაიცხრო და უფრო მშვიდად, მაგრამ კატეგორიულად მიმართა უკვე მსაჯულებს:

„რამეთუ არა სწორ არს ცოდვა მღდელისა და მხედრისა (ესე იგი, მღვდლისა და მეომრის ცოდვას ერთნაირად ვერ შეეხედავთ და ვერ განვსჯითო), არცა ერისა და მღდელთ-მთავრისა, არცა მწყემსისა და სამწყსოსა, ვითარცა წერილ არს: „მონამან, რომელმან, იცოდეს ნება უფლისა თვისისა და არა განეშზადოს ნებისაებრ მისისა, იგუემოს ფრიად“...

ხედავთ?

ბრალმდებელმა კოდექსი მოიშველა და — „ფრიად იგუემოსო!“ — სასჯელის უმაღლესი ზომა მოითხოვა!..

იქნებ მართლაც სიტყვა იყოს ეს, წარმოთქმული კრებაზე, რომლის აღწერასაც მემატიანე ზემოთ მოტანილი სტრიქონებით იწყებს!..

ეს, რა თქმა უნდა, თამამი ვარაუდია. ის კი ეჭვს არ იწვევს, რომ ამ სიტყვების ავტორი — დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი — დავითისავე თანამედროვე ყოფილა. ეს კიდევ ცოტაა. სუმბატ დავითის ძეც იყო თანამედროვე ბაგრატ მესამისა, მაგრამ ქრონიკის სიმშრალით, სიდინჯითა და ლაკონიურობით გადმოგვცემდა საკუთარი თვალით დანახულ ფაქტებს! აქ სულ სხვა მდგომარეობაა — მეფის თანამედროვე იყოო, მხოლოდ ეს რომ ვთქვათ, ცოტა იქნება... ყველაფრით ჩანს, რომ იგი პასიური მჭვრეტელი არა ყოფილა მოვლენებისა, ისიც „განმზრახი“ იყო დავით მეფისა, მისი მრჩეველი და მისი იდეების თანამოზიარე, მისი თანამებრძოლი და „თანაგანმკაფელი.

იმიტომაც აქვს მის შესანიშნავ თხზულებას დიდი ემოციური ზემოქმედების ძალა.

რაკი ვინაობა თხზულების ავტორისა ჯერჯერობით დადგენილი არ არის, მას პირობით დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს უწოდებენ. ისე კი, გამოთქმულია ვარაუდი, ნაწარმოების ავტორი არსენ იყალთოელი არისო. ეს მხოლოდ ვარაუდია და ყველა მკვლევარი არ იზიარებს. მაგრამ ვინც უნდა იყოს ავტორი, ფაქტი ის არის, რომ მეფის თანამედროვე და მასთან დაახლოებული პირი ყოფილა — როგორც უკვე ითქვა, მისი „განმზრახი“ და თანამებრძოლი.

ერთ ასეთ „განზრახსა“ და „თანაგამკაფელს“ ჩვენ უკვე გავეცანით.

აგერ, მეორეც!

ხედავთ?!

ეს არის ჯგუფი პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებისა, მამულის ღირსეული შვილებისა, რომელთაც, მტკიცედ გადაუწყვეტიათ, მთელი თავისი არსებით ემსახურონ მშობელ ხალხსა და მშობელ ქვეყანას, იხსნან იგი მძიმე განსაცდელისგან და კვლავ დააყენონ განვითარებისა და აღორძინების დიდ გზაზე, საიდანაც მას გადაგდებას უპირებდნენ, ლამის გადააგდეს კიდეც. ამ ადამიანების მხარდაჭერითა და უშუალო მონაწილეობით მზადდებოდა დიდი რეფორმები, რაც დავით აღმაშენებელმა გაატარა, და რითაც საშინელი განსაცდელისგან იხსნა არა მარტო თავისი ხალხი და მამული.

ამ ადამიანთა უშუალო მონაწილეობით მზადდებოდა საეკლესიო კრება, რომლის ამბავი ახლა უნდა მოგითხროთ.

კრების სამ მთავარ ორგანიზატორსა და მონაწილეს ჩვენ უკვე ვიცნობთ: თვით დავით მეფე, რომელიც ამ დროისათვის უკვე 30 წლის ვაჟკაცია — დიდად განსწავლული ბრძენი და გამოცდილი მოღვაწე და მამულიშვილი; მეორე — დავით აღმაშენებლის მატიანის ავტორი, რომლის ვინაობაზე გამოთქმულ ვარაუდს ჩვენ უკვე გაეცანით; და რაღა თქმა უნდა, გიორგი ჭყონდიდელი, ურომლისოდაც მეფე არავითარ მნიშვნელოვან სახელმწიფო საკითხს არა წყვეტდა და რომელიც ამ კრების მთავარი ორგანიზატორი, მისი სული და გული, ანუ, როგორც ერთი მაშინდელი ძეგლი გვაუწყებს, მისი თ ვ ა ლ ი იყო...

სამ ისტორიულ პირს რომ ვასახელებთ, ამით ჩვენთვის ასე თუ ისე ცნობილ მთავარ ორგანიზატორებს ვგულისხმობთ, თორემ მხარდამჭერი და თანამოაზრე, რაღა თქმა უნდა, სხვებიც ეყოლებოდა მეფეს. თუ თავიდან ბევრი არა ჰყავდა ასეთი თანამოაზრე, თანდათანობით გაუჩნდებოდა იმ თოთხმეტი წლის განმავლობაში, როცა ყველა პატიოსანმა და გონიერმა ადამიანმა აშკარად დაინახა ახალგაზრდა მეფის დიდი ენერგიაცა და შემართებაც, მისი პოლიტიკის სისწორე.

სანამ კრების ამბებს გავეცნობოდეთ, ერთი სტრიქონი იქცევს მატიანეში ჩვენს ყურადღებას: კრების ამბავი უშუალოდ მოსდევს მას: „ქართლის ცხოვრების“ ყაუხჩიშვილისეულ გამოცემაში ეს სტრიქონი განსხვაებული შრიფტით არის აწყობილი და მაშინვე თვალში მოგვხვდება. განსხვაებული შრიფტით იმიტომ, რომ ჩანართია, ჩანართად მიაჩნიათ. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ ეს ჩანართი თავის ადგილას არ უნდა იყოს. როცა ამ სტრიქონს წაიკითხავ და იმასაც გაითვალისწინებ, რაც ახლა უნდა ვთქვათ, თითქოს ეჭვს აღარაფერი უნდა იწვევდეს, რომ ის ნამდვილად თავის ადგილას არის.

ჯერ ვკითხულობთ: „მას ჟამსა განიცადა მეფემან გონებისა თუალითა და კეთილად გულისხმა ყო საქმე, რომლითა მოიმადლებდა ღმერთსა და სარგებელი დიდი იქმნებოდა“.

და იქვე:

„გარდაიცვალა კათალიკოზი გაბრიელ საფარელი და დაჯდა კათალიკოზად იოანე“...

აი, ეს სტრიქონია ჩანართი და მას უშუალოდ მოსდევს კრების ამბავი:

„რამეთუ წმიდანი ეკლესიანი, სახლნი ღმრთისანი“... და ა. შ. ჩვენ უკვე ვიცით ეს ადგილი.

აირჩიეს კათალიკოსად იოანე და დიდი ხნის მომზადებული საეკლესიო კრებაც მოიწვიეს!

რა უფლება გვაქვს, კათალიკოს გაბრიელ საფარელზე რაიმე ცუდი ვიფიქროთ, მაგრამ ის კი თითქოს ფაქტია, რომ იოანეს კათალიკოსობის დროს მეფეს უფრო გაუადვილდებოდა ძალიან ძნელი საეკლესიო კრების წარმართვა. იმიტომ, რომ იოანეც დავითისა და გიორგი ჭყონდიდელის თანამოაზრე ჩანს. მხოლოდ ამ ცნობაზე დაყრდნობით იმისი გადაჭრით თქმა ძნელია, მათივე თანამებრძოლი და საერთოდ აქტიური მებრძოლი იყოო, მაგრამ თანამგრძნობი და თანამოაზრე უსათუოდ უნდა ყოფილიყო. სწორედ იოანე თავმჯდომარეობდა კრებას...

მაგრამ ისევ იმ სიტყვებს დავუბრუნდეთ, რითაც კრების ამბავი დავიწყეთ.

ამრიგად, წმიდა სახლნი ღვთისა ავაზაკთა თავშესაფარად ქცეულან, მემკვიდრეობის წესით და არა პირადი ღირსების მიხედვით საეპისკოპოსოები ყაჩაღურად დაუპყრიათ ულირს და უწესო დიდგვაროვან აზნაურებს („მამულობით უფროს, ვიდრე ღირსებით დაეპყრნეს“), სავსებით ბუნებრივია, რომ ასეთი ხალხი ღირსეულ და პატიოსან ხელქვეითებს არ დაუწყებდნენ ძებნას; თავად ულირსნი და უწესონი მათივე მსგავს არამზადებს დანიშნავდნენ („მათნივე მსგავსნი ხუცესნი და ქორეპისკოპოსნი დაედგინნეს“), ვისგანაც ყოველგვარ უკანონო და უსამართლო საქმეში უსიტყვო მხარდაჭერისა და მორჩილების იმედი ექნებოდათ...

წყალი სათავეში აიმღვრევაო — როცა დიდ-დიდი ეპისკოპოსები თვითონ ავაზაკები იყვნენ, თვითონ იძლეოდნენ უკანონობისა და უზნეობის მაგალითს, იმათი წაბაძულობით, რაღა თქმა უნდა, პატარა ხუცებიც აიშვებდნენ და მრავალ უწესობას ჩაიდენდნენ.

ეს უწესობა-უკანონობა ათას წვრილმანში გამოიხატებოდა: აგერ უკანონოდ დასწერდა ჯვარს უკვე ცოლშვილიან კაცს, იქით მცირეწლოვანთა ქორწინებას აკურთხებდა, ეკლესიის ქონებას მიითვისებდა, ტყე-ტყე ნადირობას გაახშირებდა, ილოთებდა, იმრუშებდა... ცხოვრება ასეთი წვრილმანებისაგან შედგება. ქრთამს იღებდნენ, ქვეყანა ზნეობრივად იხრწნებოდა... მართალია, ეკლესია

ცალკე სამყარო იყო, მაგრამ საერთო სამყაროსაგან მოწყვეტილი ხომ არ ყოფილა — მთელი ეს მანკიერებანი საერთო ცხოვრებასაც ეხებოდა...

ეს ხდება ეკლესიაში, რომელიც მაღალ ზნეობას უნდა ქადაგებდეს. პატიოსნებასა და სათნოებას ნერგავდეს. ხოლო რამდენადაც ეკლესია იმ დროს მთელი ცხოვრების იდეოლოგიის გამომხატველი და წარმმართველი იყო, ეს ბოროტება და უბედურება არ შეიძლება ლოკალური მნიშვნელობის მოვლენად აღვიქვათ. იგი ფართო რადიუსის მანკიერება იყო და დაღს ასვამდა ცხოვრების სულიერ მხარეს, შეუთავსებელი იყო ჩვენი ხალხის მაღალი ზნეობრივი ტრადიციებისთვის. აქ პატარა რეფორმა, ცალკეული უღირსი პირების შეცვლა შედარებით ღირსეულებით, და ამგვარად წესრიგის დამყარების ცდა არ კმაროდა, თავის მოტყუება იქნებოდა. ასეთი პატარა რეფორმები თავის დროზე ალბათ ბაგრატ მეოთხემაც გაატარა, როცა გიორგი მთაწმიდელი მოიწვია საქართველოში. როგორც ითქვა, ეს ამბავი დიდი ხნის დაწყებული იყო და ქვეყნის ჭეშმარიტ მესვეურებს, ბუნებრივია, მუდამ აწუხებდა. ბაგრატის პატარა რეფორმებს და ცალკეული უღირსი პირების დატუქსვას არაფერი შედეგი მოჰყოლია. უფრო გადამწყვეტი ზომების მიღება იყო საჭირო... საჭირო იყო გულახდილი, მკაცრი და საქმიანი მხილება მთელი მანკიერებისა, მხილება საქვეყნოდ, ყველას გასაგონად, ამ უკანონობათა ფართო სამსჯავროზე გამოტანა და პირუთვნელი განსჯა... ძირფესვიანად შერყევა მთელს ქვეყანაში ფართოდ განტოტვილი ორგანიზაციისა.

მაგრამ ეს სათქმელად არის ადვილი. ეკლესიას განუსაზღვრელი გავლენის ძალა ჰქონდა; იგი, როგორც იტყვიან ხოლმე, სახელმწიფოში მეორე სახელმწიფო იყო და ასეთი ავტორიტეტული ორგანიზაციის წინააღმდეგ გამოსვლა ძნელი იქნებოდა; მით უმეტეს ასეთ პირობებში — როცა საეკლესიო იერარქიის უმაღლეს საფეხურზე დიდგვაროვანთა ოჯახის წარმომადგენლები იდგნენ — ეკლესიას მხარს დაუჭერდნენ მსხვილი და გავლენიანი აზნაურები.

სარისკო იყო ეს საქმე. მიტომაც ასე ფრთხილად ამზადებდნენ ნიადაგს და მხოლოდ დავითის გამეფების მეთოთხმეტე წელს მოხერხდა დიდი საეკლესიო კრების მოწვევა, რომელიც ისტორიაში ცნობილია რუის-ურბნისის კრების სახელით.

ეს მოხდა 1103 წელს.

ეს ორი სოფელი — რუისი და ურბნისი — ერთმანეთის მეზობლად არიან. ქართლის გულში მდებარეობენ. გორიდან სამხრეთ-დასავლეთისკენ რომ წახვალთ დიდი საავტომობილო გზატკეცილით, რამდენიმე კილომეტრს გაივლით და რუისს მიადგებით. თქვენგან ხელმარჯვნით გრძლად არის გაჭიმული ეს დიდი და ბარაქიანი სოფელი. ურბნისი უფრო სამხრეთით მდებარეობს, მდინარის პირას, შემაღლებული ნაპირიდან გადასცქერის მტკვარს. იმ დროს რუისშიაც და ურბნისშიაც დიდი საეპისკოპოსოები იყო.

სად ჩატარდა ეს დიდი საეკლესიო კრება, დაზუსტებული არ არის — „სანახებთა ქართლისათა, მახლობელად ორთა საეპისკოპოსოთა რუისა და ურბნისისაო“, ერთი ძეგლი გადმოგვცემს. ეტყობა, სადღაც ამ მიდამოებში ჩატარებულა.

დიდძალი ხალხი მოუწვევიათ კრებაზე. ასეთი თავყრილობა იშვიათად იცის ჩვენმა ისტორიამ. ეს იმიტომ, რომ მიზეზი, რის გამოც კრება მოიწვიეს, ძალიან მნიშვნელოვანი იყო, დიდად სცილდებოდა მხოლოდ საეკლესიო ფარგლებს და სასიცოცხლო ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებსა და პრობლემებს მოიცავდა.

აი, როგორ გვიხასიათებს კრების შემადგენლობას ერთი მაშინდელი ძეგლი:

„კრებაი ღმრთის მოყუარეთა ეპისკოპოსთა, პატიოსანთა მღდელთა და ღირსთა დიაკონთა, ქრისტეს მოყუარეთა მონაზონთა, დაყუდებულთა და მეუდაბნოეთა“...

ახლა ჩვენს ნაცნობ მემატიანესაც მოვუსმინოთ:

„დიდთა წყლულებათა კურნებად შემოკრბა ერი მრავალი: რამეთუ სამეფოთა თვისისა კათალიკოსი, მღდელთ-მთავარნი, მეუდაბნოენი, მოძღუარნი და მეცნიერნი შემოკრიბნა მისსა ჟამსა და ადგილსა ჯეროვანსა“...

ჯერ ისე შეეადაროთ ეს ორი ცნობა ერთმანეთს.

როგორც ვხედავთ, პირველი ძეგლი უკომენტაროდ გადმოგვცემს ფაქტს, მხოლოდ იმას გვატყობინებს, რა ფართოდ დასწრებიან კრებას საეკლესიო მოღვაწენი — დიდი თანამდებობის მღვდელ-მთავრებიცა და უბრალო საეკლესიო მსახურნიც — ხუცები, დიაკენები, მნათეები, მათთან ერთად მეუდაბნოე ბერებიც და მონაზვნებიც.

მემატიანე კი...

აბა, დააკვირდით, როგორ არ უშვებს შემთხვევას მემატიანე,

რათა კიდევ ერთხელ დაგვიხატოს ქვეყნად შექმნილი საეალალო მდგომარეობა: დიდთა წყლულებათა კურნებადაო, კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, თითქოს შიშობდეს, ვაითუ კარგად ვერ გამიგეს, ან დაივიწყესო; თუმცა ასეთი შიშის საფუძველი არ არსებობს, რადგან ის მძაფრი მხილების სიტყვები, რითაც მან მდგომარეობა დაგვიხასიათა, უშუალოდ წინ უძღვის ამ ცნობას.

ახლა კი იმ თვალსაზრისით გადავხედოთ ამ ორ ცნობას, მართლაც რა ხალხმრავალი და რა შემადგენლობისა ყოფილა კრება. დააკვირდით, როგორ უსვამს ხაზს მემატიანე კრების მუშაობაში მეცნიერთა მონაწილეობას (რა თქმა უნდა, უცხოეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერებიც იყვნენ მოწვეულნი)...

კრებისთვის რომ დიდი მნიშვნელობა მიეცა, მისი ავტორიტეტი აემაღლებინა და ყოველგვარი მოსალოდნელი გაუგებრობა თავიდან აეცილებინა, დაეთმა მოიწვია გამოჩენილი მეცნიერ-მწიგნობარნი, ფილოსოფოსნი, ყველა განათლებული და ჭეშმარიტად პატრიოტი ქართველი, ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდანაც და უცხოეთში მოღვაწეც. ეს, სხვათა შორის, იმასაც მიგვანიშნებს, რომ მეფეს განუწყვეტელი ურთიერთობა ჰქონდა უცხოეთში მოღვაწე ქართველებთან.

მეფის ასეთი სიფრთხილე ზედმეტად და გადაჭარებებულად ნუ მოგეჩვენებათ; საერო ხელისუფლების ურთიერთობა ეკლესიასთან მუდამ რთული იყო და ფრთხილ, ფაქიზ მოქმედებას მოითხოვდა. ერთ დაუფიქრებელ ნაბიჯს იქნებ სულ გაეფუჭებინა საქმე და მეფეს სამარის კარამდე სანანებელი გახდომოდა. პირველ წიგნში ჩვენ ვნახეთ, ეკლესიასთან ურთიერთობაში რა სიფრთხილით მოქმედებდა ვახტანგ გორგასალი. იმიტომაც მოახერხა მან განუხრელად გაეტარებინა თავისი რეფორმა. იქვე გავიხსენეთ ერთი ეპიზოდი ინგლისის ისტორიიდან, როცა მეფე ჰენრი მეორემ სათანადო სიფრთხილე და თავშეკავება ვერ გამოიჩინა, გულისთქმას აჰყვა, გაცხარდა და კენტერბერის ეპისკოპოსი მოაკვლევინა. სხვათა შორის. ეს ეპიზოდი ქრონოლოგიურად სწორედ ამ პერიოდს — მეთორმეტე საუკუნეს — განეკუთვნება... გულისთქმას აყოლილ მეფეს არა თუ სანანებელი გაუხდა თავისი უადგილო გაცხარება, იგი იძულებული გახდა „წმიდა წამებულის“ საფლავთან დაეჩოქა და თავი საფლავის ქვაზე ეხალა...

დიახ, ქართველი მეფე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა კრებას და იმიტომაც განსაკუთრებული სიფრთხილითა და ყველაფრის გათვალისწინებით მოამზადეს იგი.

ამდენად, არა მარტო კრების გადაწყვეტილებას ჰქონდა დიდი რეზონანსი, სრული უფლება გვაქვს ვიეარაუდოთ, რომ მისი უშუალო წინასამზადისიც ფართოდ გახმაურდა, საზოგადოების სხვადასხვა ფენებს მოედო და დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია... რა ხმებს არ ავრცელებდნენ მეფის მტრები და ორგულები, რა ჭორები არ დაირხა! ლამის ერეტიკოსობა დასწამეს ქრისტიან მეფეს – ქრისტიანულ ეკლესიას არბევსო, ღვთის შიში და სიყვარული არა აქვსო... რაღა ურჯულო თურქ-სელჩუკები და რაღა ეს ჩვენი მეფეო...

ამას პირდაპირ ასე არ გადმოგვცემს მემატიანე, მაგრამ მისი მომდევნო მსჯელობიდან, რასაც ცოტა უფრო ქვემოთ გაეცნობით, უსათუოდ იგულისხმება, რომ მტრები ყოველნაირად ცდილობდნენ, სახელი გაეტეხათ მეფისათვის. ეს ბუნებრივიცაა — „ავაზაკები", რომელთაც „მამულობით უფროს, ვიდრე ღირსებით" დაუპყრიათ მაღალი თანამდებობები, რომელთაც ცა ქუდად აღარ მიაჩნიათ და დედამიწა ქალამნად, რომლებიც თავისუფლად პარპაშებენ და რასაც უნდა აკეთებენ... ასეთი ხალხი, რაღა თქმა უნდა, გამწარებით იბრძოლებს და შეეცდება, პოზიციები არ დათმოს, მაღალი თანამდებობა არ დაკარგოს, ძველებურადვე დაუსჯელად იპარპაშოს...

ეს ბრძოლა, ბუნებრივია, კრებამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო. როგორც კი იგრძნეს, მეფე ასეთ სერიოზულ შეტევას ამზადებსო, აწრიალდნენ, ერთმანეთში მისვლა-მოსვლას უმატეს, საიდუმლო მოლაპარაკებანი გაახშირეს, ჯაშუშები გაამრავლეს, საგანგებოდ შეთითხნეს ჭორები და გაავრცელეს, უკმაყოფილო ხალხი შემოიკრიბეს, ნიადაგი მოსინჯეს – აბა, ნეიტრალურად განწყობილი ხალხის გადმობირებას თუ მოვახერხებთო. მეფის უკმაყოფილო ფეოდალებთან ურთიერთობა განამტკიცეს... არაფერს ერიდებოდნენ ეს „ავაზაკობის " გზაზე დამდგარი დიდგვაროვანი მღვდელმთავრები, ბრძოლის არავითარ უკადრის ხერხს არ თაკილობდნენ.

იმიტომაც წერს მემატიანე: „არა ადვილ იყო ესე ნათესავთა ძლიერებითა"... ამის სიძნელე ისედაც იგულისხმებოდა, რადგან ეკლესიიდან მოსაშორებელი ხალხი წარჩინებული ოჯახის შვილები იყვნენ: „რამეთუ იყვნეს მთავართა და წარჩინებულთა შვილნი".

ახლაც, აგერ, რუის-ურბნისის „სანახებთა მახლობლად" ვხედავთ მათ, ადრეევ ჩამოსულან კრებაზე... თუ კარგად დააკვირდებით, იმ ხალხში არ აგერევათ, ვისაც ზემოთ ჩამოთვლილი ცოდვები არ აწევთ. აწრიალებულები არიან, ვერ მოუსვენიათ, ძალიან ცდილობენ, უდარდელი და დამშვიდებული ადამიანის სახე მიიღონ, მაგრამ

არ გამოსდით, ვერ ახერხებენ, აბორგებულან, აფორიაქებულან... იხტიბარს მაინც არ იტეხენ, ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებიან, თათბირობენ, თავიანთი ჯაშუშებიც აქა ჰყავთ, კელავ იმის ცდაში არიან, ნეიტრალურად განწყობილ პირებთან შეკრან კაეშირი, გადაიბირონ.. ზოგ მათგანს გარეგნულადაც იცნობ — სამღვდლო შესამოსელშიც კი სხეულის სისრულის დაფარვა უჭირთ, სახის ფერი და ამღვრეულ-ჩასისხლიანებული თვალები თავისთავად მეტყველებენ, რომ მარხულობასა, ლოცვასა და წმიდა წიგნების კითხვაში არ აღამათენებენ, სულ სხვანაირ ღამისთევებს არიან დაჩვეულები...

ჯერ მეფე არ მობრძანებულა და ამათ დანამდვილებით არც იციან, საერთოდ მოვა თუ არა... ურჩევნიათ კი, არ მოვიდეს. თუმცა რაო, — ერთმანეთს ამხნევებენ, — თუ მოვიდა, ბევრ რამეს კი წაიღებსო... აქეთ მოვახდევინოთ ბოდიში, რომ წმიდა ეკლესიას სახელს უტეხსო... ამას ერთმანეთს ეუბნებიან, იხტიბარს არ იტეხენ, თორემ ისე მალ-მალე გააპარებენ ხოლმე გზისკენ შიშნარევი მოლოდინით თვალს. ერთმანეთს არ უტყდებიან, მაგრამ გულის სიღრმეში ეშინიათ მეფისა, სძულთ... სძულთ მეფე, ზარაეთ... ხმა გავრცელდა, მეფე იქნებ არც მობრძანდესო... და ახლა ხშირ-ხშირად იკითხავენ, ნეტა მართლა არ მობრძნადება მეფეო... და ამითაც ამხელენ თავიანთ აფორიაქებას...

მაგრამ მობრძანდა მეფე და თითქოს ახლაღა იგრძნო ყველამ, რომ ბრძოლა სასტიკი და შეუპოვარი იქნებოდა.

კრებას კათალიკოსი იოანე თავმჯდომარეობდა (ის იყო „თავ და წინამძღუარ"). დავით აღმაშენებელი მეფის უფლებებით არ მისულა კრებაზე – „თვითცა მუნ მჯდომი არა ვითარცა მეფე, არამედ, ვითარცა მონაო", ვახუშტი ბატონიშვილი წერს.

ეს ასე ითქმის, თორემ დავითს უკვე ისეთი სახელი ჰქონდა, ისეთი შიშის ზარი გამხდარიყო ყველა ორგულისა და მოღალატისთვის, რომ იტყოდა რამეს თუ არ იტყოდა, სულ ერთი იყო: რაკი ესწრებოდა კრებას, ეს უკვე ყველაფერს ნიშნავდა.

გაიხსნა ისტორიული კრება, რომელსაც ბევრი რამ უნდა შეეცვალა ქვეყნის ცხოვრებაში...

დაწერილებითი ანგარიში კრებისა ჩვენ არა გვაქვს: ისე კი კარგად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რა მღელვარე და ცხარე კამათი გაიმართებოდა, რა დაუნდობელი მხილება იქნებოდა „ავაზაკებისა"... ასეთ წარმოდგენას ჩვენ გვიქმნის მემატიანისავე სიტყვები: „დღეთა მრავალთა ფრიადითა გამოწულილეთა კეთილად გამოიძიეს და ყოველი ცთომა განმართეს, კეთილი და სათნო ღმრთისა წესი ყოველი დაამტკიცეს".

ძალიან დიდხანს გაგრძელებულა კრება და საფუძვლიანად გაურკვევიათ ყველაფერი. სწორედ ისე, როგორც დავით აღმაშენებელს სჩვეოდა ყოველი საქმის მოგვარება.

ასეთ წარმოდგენას გვიქმნის აგრეთვე დადგენილება თუ გადაწყვეტილება კრებისა, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია და სადაც ზუსტად, პუნქტებად არის ჩამოყალიბებული ყველა საკითხი, რაზეც კრებას უმსჯელია.

ეს არის ერთ-ერთი ყველაზე უნიკალური ოქმი იმ ოქმთა შორის, რაც საერთოდ ისტორიას შემოუნახავს.

სახელწოდება ამ ოქმისა თუ დადგენილება-გადაწყვეტილებისა ასეთია: „ძეგლისწერაი წმიდისა და ღმრთივ შეკრებულისა კრებისაი, რომელი შემოკრბა ბრძანებითა კეთილად მსახურისა და ღმრთივ დაცულისა მეფისა ჩუენისა დავით აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა მეფისაითა, პირთათვის, რომელნი ქუემო მოხსენებულ არიან“. როგორც ხედავთ, აქ პირდაპირ არის მითითებული, რომ კრება მეფე დავითის სურვილითა და ბრძანებით მოიწვიეს; ამიტომაც მოვიტანეთ ეს ვრცელი სახელწოდება ოქმისა. უფრო შემოკლებულად მას რუის-ურბნისის კრების ძეგლის წერას უწოდებენ.

აქვე უნდა შევნიშნოთ: ზემოთ რომ ვთქვით, თვალი რუის ურბნისის კრებისა გიორგი ჭყონდიდელი იყოო, ამ ცნობას სწორედ ეს საოცარი ოქმი გვაწვდის, ეს „ძეგლისწერა“, „ღირსისა მეუფისა ჩუენისა და თუალად წმიდისა ამის კრებისა ცნობილისა გიორგი მონაზონისა და მწიგნობართ უხუცესისა“... ვკითხულობთ ოქმში.

ამ შესანიშნავ მოღვაწესა და მამულიშვილს ისტორიულ მასალებში ყველგან „ჭყონდიდელობით“ მოიხსენიებენ — გიორგი ჭყონდიდელიო, ყველგან ასე ვკითხულობთ, და აქ რომ მხოლოდ „მწიგნობართუხუცესობით“ არის მოხსენებული და არა „ჭყონდიდელობით“, ეს თქვენ ნუ გაგაკვირვებთ და დაგაეჭვებთ — ამის მიზეზს ქვემოთ ვიხილავთ.

ამ ოქმიდან ვგებულობთ, რომ მთავარი გადაწყვეტილება, რაც კრებამ მიიღო და რისთვისაც კრება მოიწვიეს, იყო მემკვიდრეობითი ნიშნით დადგენილი ყველა უღირსი მღვდელმთავრის გაძევება ეკლესიიდან.

უკვე ითქვა, რომ ეს ძალიან ძნელი საქმე იყო. ამასვე გვიდასტურებს კიდევ ერთხელ მემატიანე: თუმცა „ძნელიღა იყო ესე, რამეთუ იყვნეს კაცნი მთავართა და წარჩინებულთა შვილნი, რომელთა უწესოდ დაეპყრნეს საყდრები“. მაგრამ ისე გონივრულად და ფრთხილად

მოამზადეს კრება, რომ ეს შეძლეს. ეკლესიიდან გაძევებულ უღირსთა ნაცვლად კრებამ ღირსეული ხალხი დანიშნა („და მათ წილ ჭეშმარიტნი მწყემსნი და სათნონი ღმრთისანი დაადგინეს“ — ესეც მემატიანის სიტყვებია).

თვითონ ოქმში — ანუ „ძეგლისწერაში“ — ასე ჟღერს ეს ადგილი: „და პირველად ეპისკოპოსნი ვინმე ვერ ღირსებით შემოსრულნი პატივსა მღდელმთავრობისასა და უღირსნი ქრისტეს პირველისა მის მწყემსმთავრისანი განეკუეთენით და უცხო ეყენით მღდელობისაგან... და ნაცვლად მათდა სხუანი დავადგინენით, რომელთა პასაკისაგანცა და საქმეთაგან აქუნდა წამებაი და კეთილად განეწურთნეს ხორცნი დამორჩილებად სულისა“.

ალბათ ისეთი საზეიმო სიმტკიცით წაიკითხავდნენ ამ სიტყვებს კრების საბოლოო სხდომაზე, როგორც განაჩენს, როგორც სამართლიანობის აღდგენის მაღალ და სასურველ ფაქტს. და, აგერ ცხრაასი წლის შემდეგაც ასეთი მაღალი სიმტკიცით ჩაგვესმის იგი.

დავითის ისტორიკოსი უფრო მძაფრად და სახოვნად გადმოგვცემს ამბის ამ მონაკვეთს: „უღირსად გამოჩინებულნი განკუეთნეს და შეაჩუენეს, გარდამოსთხინეს საყდართაგან“...

დააკვირდით, ერთსა და იმავე ცნობას როგორ სხვადასხვაგვარად გადმოგვცემს ეს ორი ძეგლი. ზემოთ უკვე ითქვა — მემატიანე მეფის თანამზრახველი და აქტიური თანამებრძოლიაო. ეს ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც კარგად ჩანს:

„განკუეთნესო“, ხომ თქვა, მაგრამ ამას არ დასჯერდა — „გარდამოსთხინესო“, დასძინა, თითქოს ნიშნისმოგებით, თითქოს გული მოიფხანაო. რადგან თვითონვეა მონაწილე იმ სამართლიანი ბრძოლებისა და არ შეუძლია გარეშე ადამიანის გულგრილობით გადმოგვცეს ფაქტები.

სულ თხუთმეტი მეტნაკლებად მნიშვნელოვანი კანონი მიუღია კრებას: აუკრძალავს, მაგალითად, ხელდასხმისათვის — ანუ მღვდლად კურთხევისათვის ქრთამის აღება: „...მოისპოს ეგვეითარი იგი ეკლესიისაგან და აღიხოცოს მღვდელობისაგან მაკურთხეველისა თვისისა თანა (ე. ი. ხელდასხმისათვის ქრთამის მიმცემიცა და ამღებიც ორივენი უნდა განაძევონ), რომლისა ქმნაი ამიერითგან ნუღარამცა ვის უკადრებიეს“... (ამიერიდან ნუღარავინ გაბედავს ამასო); მტკიცედ დაუდგენიათ ასაკი — რამდენი წლისა შეიძლება დაინიშნოს ეპისკოპოსად, მღვდლად, და ა. შ.; აუკრძალავთ ეკლესიისთვის შეწირული ნივთების არაპირდაპირი მნიშვნელობით

გამოყენება; აუკრძალავთ მონასტერში ვაჭრობა; აუკრძალავთ უწლოვანთა დაქორწინება („ამიერითგან არღარა ეკურთხეოდინ გვირგვინი ჩჩვილთა ქალ-ყრმათა"), თუ მშობლებს მაინცდამაინც დამოყვრება ეჩქარებოდათ, შეეძლოთ წინდაწინვე დაეწინდათ — დაენიშნათ უწლოვანები; აუკრძალავთ მეორედ დაქორწინება...

ეს „ძეგლისწერა" შედგენილია დავით აღმაშენებლისავე თანამედროვის არსენ ბერის მიერ. როგორც ჩანს, არსენ ბერი უნდა იყოს იგივე არსენ იყალთოელი — დავით აღმაშენებლის მოძღვარი, ცნობილი მწიგნობარი და ფილოსოფოსი, დამაარსებელი სახელგანთქმული იყალთოს აკადემიისა (თუმცა ყველა მკვლევარი არ იზიარებს ამ მოსაზრებას და არსენ ბერი და არსენ იყალთოელი სხვადასხვა პირებად მიაჩნიათ).

აი, როგორ მოამზადა ეს კრება დავით აღმაშენებელმა, როგორი ხალხი დაუპირისპირა ულირს და ავაზაკ მღვდელმთავრებს.

უკვე ითქვა და კიდევ უნდა გავიმეოროთ: ამ კრებას მარტო საეკლესიო მნიშვნელობა არა ჰქონია, და ეს აშკარად ჩანს კრების მასშტაბითაც. კრების გადაწყვეტილებათა ხასიათითაც და მისი რეზონანსითაც.

„დავით აღმაშენებლის პირველ დიდ ღვაწლად საქართველოს სოციალური წარმატების წინაშე უნდა საეკლესიო წესწყობილების ის დიდი ცვლილება ჩაითვალოს, რომელიც მეფის თაოსნობით რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ განახორციელა", — წერს ივანე ჯავახიშვილი და იქვე დასძენს: „ამ გადაწყვეტილებას მეფისა და სახელმწიფოსათვის მარტო საეკლესიო ცხოვრების მხრივ არა ჰქონია მნიშვნელობა, არამედ იგი იმდროინდელს ქართულს საზოგადოებაში წინამორბედსავით იმ აზრის განმტკიცებას მოუმზადებდა ნიადაგს, რომ სახელმწიფო და სამოხელეო წეს-წყობილებაში პირად ღირსებას გვარიშვილობაზე მეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს"... ახლა მეფეს, „უფრო ადვილად შეეძლო, მეორე დიადი ცვლილება შეეტანა საქართველოს სახელმწიფო და საზოგადოებრივ წეს-წყობილებაში. სახელმწიფო ცხოვრებაში დიდგვარიან მემკვიდრეობით მოხელეთა თვითნებობა და ურჩობა აელაგმა, ხოლო სამოხელეო წეს-წყობილებაში წოდებრივი უპირატესობა მოესპო და მოხელეთა პირად და არა „მამულობით" ღირსებისათვის შესაფერისი პატივი დაედო".

ის არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს საეკლესიო რეფორმებს და რეფორმებს, რასაც მეფე სახელმწიფო წყობასა და აპარატში ატარებდა, მკვეთრად მოხაზული მიჯნები და თარიღები ჰქონდეს,

თითქოს ჩაატარა დავითმა ერთი რეფორმა და რაკიღა ამას მორჩა და ამისგან მოიცალა, მეორის გატარებას შეუდგა. არა, ეს თანდათანობით და ერთმანეთის პარალელურად ხდებოდა. ეკლესიაში გამეფებულ უკანონობასა და ბოროტებას, უნდა ვიგულისხმოთ, ადრეც ებრძოდა მეფე, ხოლო რუის-ურბნისის კრება გენერალური შეტევა იყო.

ასევე სახელმწიფო წყობაში ცვლილებები თანდათანობით ხდებოდა — იმისდა მიხედვით, როდის დადგებოდა ამა თუ იმ კონკრეტული საკითხის გადასაწყვეტად ხელსაყრელი დრო. რუის-ურბნისის კრებამ და იმ დიდმა რეფორმებმა უფრო განუმტკიცეს მეფეს პოზიციები, უფრო გაუადვილეს შემდგომი ბრძოლა და მოქმედება, რამდენადაც ულირს დიდგვარიან აზნაურებს, რომელთაც მეფე ებრძოდა, უკვე ზურგი აღარა ჰქონდათ, ეკლესიაში ვეღარ პოულობდნენ თავშესაფარს და სამეფო კარის წინააღმდეგ ბრძოლის მხარდაჭერას. ახლა ეკლესია უკვე ოპოზიციაში კი აღარ ედგა მეფეს, არამედ მისი მხარდამჭერი იყო.

დიდგვაროვან ფეოდალთა ღალატსა და ურჩობაზე როცა ელაპარაკობდით, ჩვენ მხოლოდ ლიპარიტ ბაღვაში დავასახელეთ. არ იფიქროთ, სხვა არავინ ჰყოლოდეს მეფეს ურჩი და ორგული. მემატიანე ერთგან მიუთითებს, ასეთი მოღალატეები ბლომად იყვნენო, თუმცა არ ასახელებს მათ. ჩვენ შეგვიძლია სხვა წყაროების მოშველიებით უფრო ახლოს გავეცნოთ ზოგ მათგანს...

და საინტერესო ის არის, რომ ამ მოღალატე ფეოდალებს თვითონ მეფე გვაცნობს — დავით აღმაშენებელი.

ძმები ძაგანი და მოდისტო...

კარგ დახასიათებას ვერ აძლევს ქართველი მეფე ამ დიდ ფეოდალებს, აუგად მოიხსენიებს მთელ მათ საგვარეულოს — ძაგანსაც, მოდისტოსაც და მათ წინაპრებსაც (მერე ვნახავთ, არც მათი შთამომავლები გამოდგნენ დიდი ერთგულები). „არავის ოდეს ექმნა ჩუენი ერთგულობაო", ამათ გვარზე ამბობს დავით აღმაშენებელი. მუდამ ოპოზიციაში ედგნენ მეფესა და სამეფო კარს, აშკარად მტრობდნენ, ხელს უშლიდნენ ქვეყნის გაერთიანებასა და გაძლიერებას. იქნებ ის გამოთქმა — არავის ოდეს ექმნა ჩვენი ერთგულებაო — ისე მკაცრი არ მოგეჩვენათ! ნუ დაგავიწყდებათ, რომ ამას მეფე ამბობს, და რაკი მეფის სიტყვებია, თავისთავად ემატება სიმკაცრე.

ამ სიტყვებს ჩვენ ვკითხულობთ დავით აღმაშენებლის ანდერძში, რომელიც გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე — 1123 წელს —

შეუდგენია მეფეს და მიუბოძებია შიო მღვიმის მონასტრისთვის. ალბათ, გეხსომებათ, რომ ეს არის ერთ-ერთი უძველესი მონასტერი; ახლა კი დავით აღმაშენებელს ღვთისმშობლის სახელობის ახალი ეკლესია აუშენებია მონასტრის ეზოში... „საშუალ მონასტრისა სახელსა ზედა ყოვლად წმიდისა ღვისმშობლისასა...“ — და განსაკუთრებული მადლიერების ნიშნად კარგა დიდი სიმდიდრეც მიუბოძებია მონასტრისათვის...

ეს ყველაფერი თავისთავად ძალიან საინტერესოა, რამდენადაც საშუალება გვეძლევა, თვით დავით აღმაშენებლის შედგენილ ანდერძს გავეცნოთ... მაგრამ ამჟამად ჩვენთვის უფრო საინტერესო ის არის, რომ მეფე ანდერძში სწორედ იმ ურჩ ფეოდალებს მოიხსენიებს, თანაც ზოგადად კი არ არის ნახსენები მათი ორგულობის ამბავი — კონკრეტულადაც არის მინიშნებული დანაშაული, რასაც მეფე განურისხებია...

„და ერთმან მათგანმან, ძაგანმან, შემაწუხებელმან ღმრთისა და მონათა მისთამან, მძლავრებით ღმრთისაცა არამრიდმან, თანაევე ძმისა თვისისა მოდისტოს, წინაუკმოისა მღდელთმოძღუარისა, აღმახუა, ხოლო მეორემან ღმრთისადა გ[ან]კუთვნითა ეკლესიები საზეზთმჩენად თვისად მიიტაცა“...

ანდერძის პირველი კომენტატორი თედო ჟორდანია სინათლესა ჰფენს აქ აღნიშნულ ფაქტებს, რაც მაშინ, იმათთვის, ვისთვისაც მეფე ანდერძს წერდა, გასაგები იქნებოდა, და ამიტომაც უფრო შეკუმშულად არის გადმოცემული, ზოგი რამ მინიშნებითაა: მეფე გულისხმობდა, რომ მაინც გაუგებდნენ; ჩვენთვის კი, რაღა თქმა უნდა, უფრო ბუნდოვანია.

როცა ასე კონკრეტულად ჩამოყალიბებულს გაეცნობით ამ დანაშაულს, უკვე აშკარად ჩანს, რა შიშის ზარს სცემდა ქართველ ფეოდალებს მეფის მტკიცე პოლიტიკა, როგორ უფრთხობდა ძილსა და მოსვენებას საქართველოს გაერთიანება და ცენტრალისტური ხელისუფლების გაძლიერება, და როგორ ცდილობდნენ ისინი, ხელი შეეშალათ ქვეყნის გაერთიანება-გაძლიერებისთვის: ამდგარან ეს გათავხედებული ფეოდალები და მუხრანი და ზედაზნის ციხე, რაც მათ მეფისგანვე ჰქონდათ ჩაბარებული დასაცავად და საპატრონოდ, კახთა მეფისათვის გადაუციათ, ახლომახლო მამულებიც თვითნებურად დაუტაცებიათ... „...მცხეთისა საქონებელნი მრავალნი დაემჭირნეს და წილკანი საყდრისა მონასტრისა რაც იყო: მთასა ციხე მარანი

ანუ მატური იგი სოფელი და მღვიმე მონასტერი შიგან ციხედ და სადგომად პქონდეს თვით...“

ესე იგი, აუშვიათ და აუწყვეტიათ, რაც მოსურვებიათ, ის უკეთებიათ, რაკიღა ერთმანეთის იმედით მოქმედებდნენ: ფეოდალს მღვდელმთავარი ძმისა და, ამრიგად, ეკლესიის იმედი პქონდა, მღვდელმთავარს — ფეოდალისა. თანაც, დააკვირდით: ზედაზნის ციხეცა და მუხრანიც დიდად მნიშვნელოვანია როგორც ჩრდილოეთის კარები, რომ აღარაფერი ვთქვათ საერთოდ კახეთის საკითხზე.

სხვა რამეც არის ჩვენთვის საინტერესო. ზემოთ აკი ითქვა, გათავხედებული დიდგვაროვნები ეკლესიაში მოკალათდნენ და იქიდან ებრძოდნენ მეფესო; ეს რომ ლიტონი სიტყვები არ არის და მართლაც ასე იყო, ამ ფაქტებითაც დასტურდება. ძაგანს თავისი ძმის მოდისტოსათვის წილკნის ეპისკოპოსობა მოუხერხებია — იმიტომაც არის ანდერძში ნახსენები წილკნის საყდარი. ხელი ხელს ბანსო. ჯერ ერთი დაეხმარა მეორეს — ეპისკოპოსობა მოაპოვებინა, მერე კი მღვდელ-მთავრად ქცეული ფეოდალი აქტიურად ეხმარება და ზურგს უმაგრებს ერისკაც ძმას მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში...

ზუსტად როდის მოხდა ეს, რომელ წლებში — ჯერჯერობით დადგენილი არ არის. ისე კი, ეტყობა, მეფის მიერ ზედაზნის ციხის აღებასა და რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მახლობლად უნდა მომხდარიყო. როგორც ანდერძიდან ჩანს, მეფისგან დევნილი ძაგანი შიო მღვიმის მონასტერს შეფარებია და ღვთის წმინდა სახლი ციხედაც კი გაუხდია...

და სწორედ ის არის საყურადღებო, რომ, საბოლოოდ, გადასდგომიან მონასტრის ბერები, ურჩი ფეოდალი მეფისთვის ჩაუბარებიათ.

„...და ძაგანი, მღუიმეს შელტოლეილი, მომცა ღმერთმან, რომელსა შინა არა მცირედი ერთგულებაი აჩუენეს ჩუენდა მომართ მამათა მღვიმეთა“...

იმიტომაც ვთქვეით, ეს ამბავი იქნებ რუის-ურბნისის კრებასაც უკავშირდებოდესო. ბუნებრივია, რომ კრების შემდეგ ყველაფერი შეიცვალა საეკლესიო ცხოვრებაში და თუ მანამდე თავშესაფარს ადვილად იპოვნიდა მეფის მტერი მონასტერში, ახლა უკვე ბერები ველარც გაბედავდნენ და ალბათ, არც ინდომებდნენ მეფის საწინააღმდეგო მოქმედებას, რადგან ახალი წინამძღვარი, როგორც ანდერძიდანაც ჩანს, მეფის ერთგული ყოფილა.

●

საჭირო იყო მოპოვებული გამარჯვების განმტკიცება, საჭირო იყო მეფეს მუდმივი კონტროლის საშუალება პქონოდა ეკლესიაზე... და, აი, რათა იგი კვლავ მეფისა და ქვეყნის საწინააღმდეგოდ არ გამოეყენებინათ მსხვილ ფეოდალებს, კვლავ „ქუაბად ავაზაკთა“ არ ექცათ, დავით აღმაშენებელმა ორი დიდი თანამდებობა — ჭყონდიდელისა და მწიგნობართუხუცესისა, ანუ საეკლესიო და საერო თანამდებობანი — შეაერთა.

ზემოთ ჩვენ რამდენჯერმე ვახსენეთ „ჭყონდიდელი“ და ის კი არ გვითქვამს, რომ ჭყონდიდელი ქვეყნის ერთ-ერთი დიდი და მნიშვნელოვანი საეპისკოპოსოს — ჭყონდიდის (მარტვილის) საეპისკოპოსოს მთავარეპისკოპოსს ერქვა და ძალიან დიდი გავლენით სარგებლობდა არა მარტო საეკლესიო, არამედ საერო სფეროშიაც. ისე დიდი გავლენითა და ავტორიტეტით სარგებლობდა, ისეთი მაღალი და საპატიო თანამდებობა იყო, რომ ალბათ გახსოვთ, თავის დროზე ბაგრატ მეოთხემ გიორგი მთაწმინდელს — ამ დიდ ქართველ ეროვნულ-საეკლესიო მოღვაწესა და მწიგნობარს, ჭყონდიდის მთავარეპისკოპოსობა შესთავაზა. როცა კარგად გავითვალისწინებთ, ვინ იყო გიორგი მთაწმიდელი და როგორა ცდილობდა ქართველი მეფე მის წამოყვანას, მისი გულის მოგებას, მარტო ამითაც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რა საპატიო იყო ჭყონდიდლობა, რა გავლენა და ავტორიტეტი ექნებოდა ჭყონდიდელ მთავარეპისკოპოსს.

მაგრამ რუის-ურბნისის დიდი საეკლესიო კრების თვალად და თაოსნად რომ გიორგი ჭყონდიდელი ვახსენეთ, ის იმ დროს ფაქტიურად ჭყონდიდელი არა ყოფილა, ეს წოდება მერე დაემატა.

„დაემატა“ ალბათ უხერხულ გამოთქმად მოგეჩვენათ, მაგრამ ამით იქნებ უფრო თვალსაჩინოდ გამოეხატოთ საქმის ნამდვილი არსი. გიორგი იმ დროს მწიგნობართუხუცესი იყო. ანუ მეფის მარჯვენა ხელი, მეფის დასაყრდენი, სამეფო კარზე პირველი კაცი, პირველი ვაზირი. ჭყონდიდელის თანამდებობა საეკლესიო სფეროში იყო ძალიან დიდი და გავლენიანი; მწიგნობართუხუცესისა — საეროში, სამეფო კარზე. დავით მეფემ გადაწყვიტა, შეეერთებინა ეს ორი დიდი თანამდებობა და მათი ფუნქციები ერთი კაცის ხელში მოექცია.

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს ამ გადაწყვეტილების არსი და მიზანი: ეკლესიას, რომელიც აქამდე სახელმწიფოში მეორე სახელმწიფო და თანაც აქტიურ მტრად მოკიდებული სახელმწიფო

იყო, მეფე იახლოვებდა და თავის სამსახურში აყენებდა: თუ აქამდე ეკლესია თვითონვე იყო დაუძინებელი მტერი და ყოველგვარ საქმეში ხელს უშლიდა, ამიერიდან მეფე თანაშემწედ იხდიდა და მტრების წინააღმდეგ გამოიყენებდა.

როცა ვამბობთ, ეკლესია სამეფო კარს ყველაფერში ხელს უშლიდაო, ჩვენ ეგულისხმობთ ეკლესიას დავით აღმაშენებლის დროს და უშუალოდ მის წინა პერიოდში. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს უკვე აღარ არის გრიგოლ ხანძთელის დროინდელი ეკლესია, რომელიც თავად მესვეურობდა ქვეყნის გაერთიანებას — ამ უდიდეს ეროვნულ-პოლიტიკური მნიშვნელობის საქმეს. და ამდენად, პროგრესულ როლს ასრულებდა, ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკურ განთვითარებას უწყობდა ხელს, იმათ უპირისპირდებოდა, ვინაც ამ განვითარებას აბრკოლებდა.

ამ დროისათვის, როგორც ვნახეთ, სურათი სავსებით შეიცვალა, ახლა უკვე ეკლესიაში რეაქციონურმა სულისკვეთებამ იმძლავრა და ახლა თვითონვე ეღობებოდა ქვეყნის ბუნებრივ განვითარებას, იმ პროგრესს, რის მესვეურადაც, ჩვეულებრივ, მეფე და ამ შემთხვევაში დავით აღმაშენებელი გვევლინებოდა. მაგრამ, კიდევ ვიმეორებ, ეს პროცესი ერთბაშად არ დაწყებულა და არ მომხდარა. ეს რეაქციონური ფრთა ეკლესიაში, როგორც ვნახეთ, ჯერ კიდევ გიორგი მთაწმიდელის დროს გამოჩნდა და გამომჟღავნდა: ამის დასადასტურებლად ჩვენ შეგვიძლია კონკრეტული მაგალითებიც მოვიყვანოთ — გავიხსენოთ ბანელი ეპისკოპოსი, რომელიც დავითის პაპის, ბაგრატ მეოთხის დროს, სხვა მოღალატე დიდგვაროვნებთან ერთად „განუდგეს ბაგრატს და მიერთნეს [ბიზანტიის იმპერატორ] კონსტანტინეს...“ ისიც უნდა ითქვას, რომ მაშინ ის რეაქციული ფრთა ისე ძლიერი არ ყოფილა. ჩვენს გვახსოვს, მაშინვე, იმავ წლებში როგორ დაუპირისპირდა მათ ჭეშმარიტი მამულიშვილი და ქვეყნის კეთილდღეობისთვის დაუცხრომელი მოღვაწე საბა — მტბევარი ეპისკოპოსი... მაგრამ ეს თითქმის ოთხმოცი წლის წინანდელი ამბავია. ახლა კი, დავით აღმაშენებლის დროს, ეკლესიაში ასეთი მდგომარეობა იყო შექმნილი, ახლა პირიქით, რეაქციული ფრთა მძლავრობდა.

ერთი სიტყვით, დავით აღმაშენებელმა ეკლესიაში მოკალათებულ დიდგვაროვანთა თავისუფალი პარპაშიც ალაგმა და ეკლესია სახელმწიფოს დაუმორჩილა.

ასე შეიქმნა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობა და პირველი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი გიორგი მონაზონი

გახდა, მეფის უახლოესი პირი, მისი აღმზრდელი და თანააღზრდილი, გონიერი და სათნოებით შემკული ადამიანი. ამიერიდან მეფეს შეეძლო, ყოველდღიური კონტროლი გაეწია ეკლესიისათვის და უწევდა კიდეც კონტროლს, ეკლესია ამის შემდეგ მეფეს ემორჩილებოდა. მემატიანე პირდაპირ წერს: „მონასტერნი და საეპისკოპოსონი და ყოველნი ეკლესიანი წესსა და რიგსა ლოცვისასა და ყოვლისა საეკლესიოსა განგებისასა დ ა რ ბ ა ზ ი ს კ ა რ ი თ მიიღებდიან, ვითარცა კ ა ნ ო ნ ს ა უცთომელსა“.

სამეფოს პირველი ვაზირი, ანუ მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი, როგორც უკვე ითქვა, პირველი კაცი იყო სამეფო კარზე, მეფის უახლოესი პირი, ურომლისოდაც არც ერთი მნიშვნელოვანი საქმე არ გადაწყდებოდა. არსებობს ერთი შესანიშნავი ისტორიული ძეგლი — „ხელმწიფის კარის გარიგება“, რომელსაც ჩვენ ქვემოთ უფრო დაწვრილებით გავეცნობით, სწორედ ამ ძეგლიდან ვგებულობთ, რომ მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი „ვითა მამა არს მეფისა, აგრე ყველა საურავი (საზრუნაი, მოსაგვარებელი საქმე) უმისოდ არ იქნების“. უფრო სრულად რომ წარმოვიდგინოთ მისი საქმიანობისა და გავლენის სფერო, გავიხსენოთ, რომ მასვე დაავალა მეფემ „მართლმსაჯულება“ — სასამართლო საქმეები. საგულისხმოა, რომ ასეთი თანამდებობა იმ დროს სხვა მეზობელი ქვეყნების სახელმწიფო წყობილებაში არა ჰქონიათ.

რაკი საეკლესიო საქმეებიც ებარა ამ პირველ ვაზირს, თავისთავად იგულისხმება, რომ იგი ბერი უნდა ყოფილიყო (არასასულიერო პირს საეკლესიო საქმეებში ჩარევის უფლებას ეკლესია არ მისცემდა). უცოლშვილო, უმემკვიდრო ადამიანი არც მამულებით იქნებოდა დაინტერესებული. მისი ერთადერთი საზრუნავი მეფის კეთილდღეობა და სამეფო ხელისუფლების გაძლიერება იქნებოდა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აქამდეც — ამ ორი თანამდებობის გაერთიანებამდეც — მწიგნობართუხუცესი, ჩვეულებრივ, ბერი იყო.

ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის შემდეგ საეაზიროში მოდიოდა მანდატურთუხუცესის თანამდებობა, შინაგან საქმეთა გამგებლობა. „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი ერთნაირი პატივით სარგებლობდნენ („პატივი [მათი] სწორი არის“), მაგრამ, რაკიღა დავითის დროს სპასალარობა თვით მეფეს ებარა, მანდატურთუხუცესი მის კარზე ამირსპასალარის წინ მოიხსენიება. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამირსპასალარის პირველ თანაშემწედ პროტოსტრატორი ანუ ამირახორი ყოფილა.

მკვლევარების აზრით, დავითის დროიდანვეა მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობა. ეს იყო საფინანსო საქმეების გამგებელი, რომელსაც სამეფო ხაზინა, განძეულობა და საერთოდ სახელმწიფოს ფინანსთა საქმე ებარა. მეჭურჭლეთუხუცესს, ვითარცა ფინანსთა მინისტრს, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდაო, ივანე ჯავახიშვილი შენიშნავს და იმოწმებს „ხელმწიფის კარის გარიგებას", სადაც ნათქვამია, რომ ვაზირთა უპირველესის შემდეგ მეჭურჭლეთუხუცესი ღირსებით ყველა სხვა დიდი ვაზირის ტოლიაო...

რამდენადაც სამეფო კარისა და საავაზიროს დახასიათება ქვემოთ უფრო ერცლად გვექნება, ახლა ამ მოკლე ცნობებით დავკმაყოფილდეთ. აქვე შევნიშნოთ, რომ ამ დიდ თანამდებობებს მეფე ხშირად საქართველოს სხვადასხვა კუთხეთა ერისთავებსა თუ გამგებლებს მიუბოძებდა და ამით კიდევ უფრო უწყობდა ხელს სამეფო ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებას.

●

მას შემდეგ, რაც ზედაზნის ციხე წაართვა დავითმა კახთა მეფეს, კვირიკე მალე გარდაიცვალა და სამეფო ტახტზე მისი ძმისწული აღსართანი ავიდა.

წინა აღსართანისა არ იყოს, ამ აღსართანსაც ვერ გვიხასიათებს კარგად მემატიანე — მეფობის ნიჭი არ ჰქონდაო. „ცუნდრუკი რამე, უსჯულო და უმეცრად უსამართლო" იყოო...

ტახტის გვირგვინოსნის ამაზე ცუდად დახასიათება წარმოუდგენელია. არც ნიჭი ჰქონია მეფობისა, ცუნდრუკი და ცეტიც ყოფილა... თითქოს უსამართლობა არა კმაროდეს მეფისათვის სალანძღავად, უ მ ე ც რ ა დ უსამართლო იყოო!..

ქვეყნის აშენებაა ძნელი, თორემ დაღუპვას ბევრი არაფერი უნდა. ასეთი მეფე მალე მოუღებდა ბოლოს, რაგინდ დიდებული ქვეყნის პატრონი ყოფილიყო. მით უმეტეს, მტერი იქვე ჰყავდა მოძუძგურებული და ამ დიდებული მხარის გადაყლაპვის მოსურნე.

საბედნიეროდ, ქვეყნად აღმოჩნდა გონიერი და პატიოსანი ხალხი. რა ნახეს, მათი პატრონი ასეთი უბადრუკი იყო, ხოლო იქვე თავისივე განაყოფებსა და ძმებს ჭკვიანი და გონიერი მეფე ჰყავდათ, შეიპყრეს ეს ცუნდრუკი მეფე და დავით აღმაშენებელს მიპგვარეს, თავისი მხარეც ჩააბარეს.

უსამართლობა იქნება, ეს ქვეყნის ერთგული და გონიერი მამულიშვილები არ დავასახელოთ: ჰერთა დიდებულები არიშიანი და ბარამ, და ბიძა მათი ქავთარ ბარამის ძე.

„და დაიპყრნა [დავითმა] ჰერ-კახნი ნებიერადო", ვახუშტი წერს.

ესე იგი, თითქმის უომრად დაუპყრია ჰერეთ-კახეთი. შესაძლებელია — და ალბათ, ასეც იყო, — რომ ჰერელ დიდებულებს ქართველმა მეფემაც შეუწყო ხელი ასეთი გადაწყვეტილების მიღებაში: წინასწარ მოსინჯავდა, ნიადაგს შეამზადებდა, ხალხს მიუგზავნიდა, მოილაპარაკებდნენ, შეთანხმდებოდნენ... რაღა თქმა უნდა, მშვიდობიანი გზით ჯობდა საქმის მოგვარება.

მაგრამ უსისხლოდ მაინც არ დამთავრებულა საქმე.

ზემოთ შემთხვევით არ გვითქვამს, მტერი იქვე იყო მოძუძგურებულიო. ეტყობა, სულთანს მართლაც ჰქონდა განზრახული ამ ცუნდრუკა მეფის წინააღმდეგ გალაშქრება და მისი ქვეყნის დაპყრობა. მართალია, კახეთი ისედაც თავისად მიაჩნდა, მას ემორჩილებოდა, მისი მოხარკე იყო, მაგრამ მთლიანად დაპყრობა მაინც სულ სხვაა. მეფე დავითის გაძლიერება და მისი სამეფოს სულ უფრო და უფრო გაფართოება ძილსა და მოსვენებას უკარგავდა მტერს. უკვე ყველასათვის აშკარა გამხდარიყო ქართველი მეფის მიზანი — მტრის ურდოებისგან მთელი საქართველოს გათავისუფლება: იგი დინჯად და თანმიმდევრულად ახორციელებდა თავის მიზანს; ადრე თუ გვიან, კახეთის ჯერიც დადგებოდა, კახეთისკენაც გაილაშქრებდა და ამით ასრულდებოდა ქართველი ხალხის დიდი და სანუკვარი ოცნება, მთელი საქართველოს გაერთიანება, რასაც აგერ რამდენი ხნის წინათ — თითქმის სამი საუკუნის წინათ, ჯერ ისევ ნერსე დიდის დროს ჩაეყარა მტკიცე საფუძველი, მაგრამ ჩვენთვის უკვე ცნობილი გართულებული საგარეო და საშინაო სიტუაციების გამო აქამდე ვერა და ვერ მოხერხდა.

კახეთის შემოერთებას თუ მოახერხებდა ქართველი მეფე, ეს მტრისთვის მხოლოდ ამ კუთხის დაკარგვას კი არ ნიშნავდა, ამით საფუძველი შეერყეოდა მის სიმტკიცეს მთელ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, ხვალ-ზეგ უკვე შარვანსაც შეედავებოდა გამარჯვებას მიჩვეული და გაძლიერებული ქართველი მეფე... ასე რომ, როცა მეფე დავითმა კახეთი შეიერთა, მტერს უკვე არჩევანი აღარა ჰქონდა — უსათუოდ უნდა გაელაშქრა და იგი კახეთიდან განედევნა. ადვილი არ იყო ეს, მაგრამ უსათუოდ უნდა გაეკეთებინა... ამიტომაც იყო, რომ მტერმა მრავალრიცხოვან მხედრობას მოუყარა თავი —

გამოიყვანა „სულტანისა იგი ურიცხუნი სპანი, ათაბაგი განძისა“ (ეს მემატიანის სიტყვებია), და მტრის ლაშქარშიეე აღმოჩნდა აღსართანის მხედრობის დიდი ნაწილიც, რომელიც სულთანმა გადაიბირა და მეფე დავითის წინააღმდეგ გამოიყვანა („ქუეყანისა ერი მტერთავე თანა გარემოდგომილი ჩუენდა“. ანუ როგორც ნ. ბერძენიშვილი შიფრავს მემატიანის სიტყვებს — „დავით მეფის შინაური მოწინააღმდეგენიც“).

როგორც ვხედავთ, საგულდაგულოდ მომზადებულა მტერი და გამარჯვებაში ალბათ ეჭვი არ ეპარებოდა. იოლი არ იქნებოდა ეს გამარჯვება, მაგრამ, სულ ერთია, რა მსხვერპლის ფასადაც უნდა დასჯდომოდა, ქართველი მეფე უსათუოდ უნდა დაემარცხებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მის ძლიერებას შეერყეოდა საფუძველი, რადგან ამ ომში დამარცხებული, როგორც ითქვა, მარტო კახეთზე გაელენას კი არ კარგავდა, ეს დიდი პოლიტიკური მარცხიც იყო...

სულთანს სამხრეთითაც ცუდად მისდიოდა საქმე ჯვაროსანთა მოწოლის გამო, და ახლა აქ თუ წააგებდა ომს, ეს იმას ნიშნავდა, რომ კავკასიის დაპყრობის იმედსაც გამოსთხოვებოდა: მას ვერ მოენელებინა ქართველი მეფის ზედიზედ მრავალი გამარჯვება, იმდენი მიწა-წყლის „დაკარგვა“, და აი, დადგა დრო, როცა მისი ტრიუმფალური სელა უნდა შეეჩერებინათ, ყველასთვის ეჩვენებინათ, რომ ქართველი მეფის წინა გამარჯვებები შემთხვევითი იყო, არაკანონზომიერი, და სელჩუკები სულაც არ შერიგებიან ამას... უბრალოდ, აქამდე ვერ მოიცალეს მის ასალაგმავად. ასე უნდა ეჩვენებინათ მტრისთვისაც და მოყვრისთვისაც. სხვაგვარად არ შეიძლებოდა.

ამიტომაც საგულდაგულოდ მოემზადა მტერი და იქნებ მართლაც მიეღწია გამარჯვებისთვის, თუ ყველაფერ ამას ქართველებიც არ გაითვალისწინებდნენ. მაგრამ, რაც ჩვენ ზემოთ ვთქვით, ეს ყველაფერი ქართველთა მეფე-სარდალსაც კარგად ჰქონდა შეგნებული და გათვალისწინებული, იცოდა ამ ბრძოლის დიდი პოლიტიკურ-მორალური მნიშვნელობა, იცოდა, როგორი რეზონანსი ექნებოდა მას. იცოდა, რომ საქმე შეეხებოდა არა მხოლოდ ქვეყნის ამ კუთხის დაკარგვას; ეს ერთგვარი შემოწმებაც იყო საკუთარი ძალებისა — შემოწმება საკუთარი რწმენის განსამტკიცებლადაც და სხვათა თვალში აუტორიტეტის ასამაღლებლადაც. ამიტომ გულხელდაკრეფილი არც ის მჯდარა, ისიც საგულდაგულოდ მოემზადა ამ დიდი ბრძოლისთვის. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მეფის ლაშქარი ახლა უკვე ის აღარ იყო,

რაც თხუთმეტიოდე წლის წინათ. მას შემდეგ ქართველთა ლაშქარი შეიკრა, გამრავლდა, კარგად აღიჭურვა, გაიწვრთნა, მორალურადაც ამაღლდა, ბრძოლებში გამოიწრთო, მტრის დამარცხებას შეეჩვია, გამარჯვება გახდა მისი მუდმივი თანამგზავრი, მეომრებს საკუთარი თავის რწმენა განუმტკიცდათ, მტრის რისხვა და შიშის ზარი შეიქნენ...

და აი, 1104 წელს ერწუხში — როგორც ვარაუდობენ, დღევანდელი საინგილოს მიწა-წყალზე — მრავალი ლოკალური მნიშვნელობის ბრძოლისა და გამარჯვების შემდეგ ქართველთა ლაშქარმა დავით აღმაშენებლის სარდლობით გადაიხადა პირველი დიდი ომი მტრის მრავალრიცხოვანი ლაშქრის წინააღმდეგ.

ომი მართლაც სასტიკი და მძიმე გამოდგა, და მით უფრო დიდი იყო ქართველთა ლაშქრის გამარჯვების წონა და მნიშვნელობა. წინა მრავალი ბრძოლისა და ომის შემდეგ, რაც ქართველებმა გადაიხადეს მეფე დავითის სარდლობით საქართველოს სხვადასხვა კუთხეების გასათავისუფლებლად, ამ ომს ეპითეტიც გაუჩნდა — „ხმაგასმენილი იგი დიადი ძლევა!“

როგორც ითქვა, აქამდე თუ ლოკალური მნიშვნელობის პატარა ბრძოლებს უმართავდნენ ქართველები მტერს, ახლა სულთანმა გამოიყენა „ურიცხული სპანი“. ეს იყო შეერთებული მხედრობა და მტრის ამ ურიცხვ ლაშქარს უნდა შებმოდა ქართველთა შედარებით მცირერიცხოვანი ჯარი.

ომის დაწერილებითი ანგარიში არ შემოუნახავს ჩვენთვის ისტორიას, მხოლოდ ზოგადად გადმოგვცემს მემატიანე: დავითმა „ერწუხს ქმნნა წყობანი დიდნი და ხმაგასმენილი იგი დიდი ძლევა, რომელ მცირედითა ლაშქრითა და განწირულითა ერითა დახოცა სულტანისა იგი ურიცხული სპანი“...

როგორც ვხედავთ, ზოგადი ცნობაა. მაგრამ იგივე მემატიანე იქვე რამდენიმე დეტალით თვით მეფეს გვიხასიათებს და იმდენად საგულისხმოა ეს დახასიათება, რომ წარმოდგენას გვიქმნის არა მარტო დავითის თავგანწირულებასა და სიმამაცეზე, არამედ, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, საშუალებას გვაძლევს, ნათლად დავინახოთ ერწუხის ომის სიმძაფრე და გრანდიოზულობა.

„ხოლო თვით მეფე არა თუ ვითარცა სხვა ვინმე ზურგით უდგა ოდენ სპათა თვისთა, ანუ შორით უზახებდა, ვითარცა ერთი მთავართაგანი ვინმე, არამედ უპირატეს ყოველთასა თვით წინა უვიდოდა და ვითა ლომი შეუზახებდა ხმითა მაღლითა და ვითა

გრიგალი მი-და-მო იქცეოდა; და თვით გოლიათებრ მიმართებდა და მკლავითა მტკიცითა დაამხობდა ახოვანთა, სრვიდა და დასცემდა წინა დამთხუელთა ყოველთა“...

ქართველთა მეფე-სარდალი თავის მხედრობას თვითონვე აძლევდა გმირული შემართებისა და მამაცობის მაგალითს, გრიგალივით დაჰქროდა, ლომივით გრგვინავდა — მტერს შიშის ზარსა სცემდა, საკუთარ მეომრებს ამხნევებდა, ბრძოლის დროს სადაც მეტ გასაჭირს შენიშნავდა, იქითკენ გააქანებდა ცხენს, მუსრს აკლებდა მოწინააღმდეგის ჯარს, მის ხმალს იმ დღეს ქარქაში არ უნახავს... იცოდა, რომ წაგება ამ ბრძოლისა არაფრის დიდებით არ შეიძლებოდა, ეს ერთი ბრძოლის წაგების ტოლი არ იქნებოდა, ეს მომავალი მისი გეგმების განხორციელებას დააბრკოლებდა...

როცა ჯარს ასეთი სარდალი და წინამძღოლი ჰყავს, იგი გაათკეცებული მონდომებითა და ენერგიით იბრძვის, შიში აეიწყდება, დაღლას ეღარა გრძნობს და ბრძოლის ბედი სათუოდ აღარ აქვს, მხოლოდ გამარჯვებაზე ფიქრობს...

აგერ, სხვა დეტალიც მემატიანის მოთხრობიდან.

„მას დღესა (მეფეს) სამნი ცხენნი გამოუკლნეს და მეოთხესაღა ზედა მჯდომმან სრულყო მის დღისა ომი“.

ძნელი წარმოსადგენი აღარ უნდა იყოს, რა გააფთრებული და მძიმე ომი იქნებოდა, რა თავგანწირვით და გმირულად უბრძოლია მეფეს, როცა ერთი დღის განმავლობაში სამი ცხენი მოუკლეს და მეოთხე ცხენზე მჯდომმა გაასრულა, გამარჯვებამდე მიიყვანა „ხმაგასმენილი“ დიდი ომი...

და კიდევ ერთი ბევრისმთქმელი დეტალი.

ომი რომ დამთავრდა და მთელი დღის ბრძოლით დამაშვრალ მეფეს სარტყელი შემოხსნეს, პერანგიდან ერთბაშად ითქრიალა შედ-ედებულმა სისხლმა, მიწაზე სქლად დადგა სისხლის ტბორი. მეფის ახლობლები შეშინდნენ, იფიქრეს, ალბათ დაიჭრა და სისხლისგან იცლებაო. მერეღა გაირკვა, რომ ეს მტრის სისხლი ყოფილა — „ხრმლით მისით, უკუმომდინარითა სისხლითა წელნი აღსავსე ესხნეს, რომელი შემდგომად ომისა გარდახდისა და სარტყელისა განხსნისა საცნაურ იქმნა, ქუეყანად რა დაითხია ესეოდენის მტკნარის სისხლისა შეყინებულისა, რომელსა პირველ განხილვისა თვით მისგან ეგონებდით გამოსრულად“. ეს მემატიანეა. ხოლო ვახუშტი ბატონიშვილი ცოტა უფრო სხვა სიტყვებით გადმოგვცემს: „ხმლის ნაცემობისაგან ჩანაწვეთი“ სისხლიო. ხელჩართული ბრძოლის

დროს ხმლის ღარებს მოპყვებოდა მტრის სისხლი, მეფეს მაჯაში ეწვეთებოდა და პერანგის უბე ევსებოდა. ბრძოლაში გართულს ეს ვერ შეუნიშნავს. აქედანვე ჩანს, რომ მას წამით არ შეუსვენია.

რაღა თქმა უნდა, ერთი ადამიანის თავგანწირული ბრძოლა არ გადაწყვეტდა ასეთი დიდი ომის ბედს, არც ომის ღმერთის სასწორი... გამარჯვების მთავარი მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, რაღა თქმა უნდა, ჩვენი ხალხის შემარიებაში უნდა ვეძიოთ, საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ თავისუფლების სიყვარულში, დამარცხებებისა და მონური მორჩილებისადმი შეურიგებლობაში.. ასეთი სულისკვეთებით გამსჭვალულ მხედრობას მიუძღოდა გმირი სარდალი...

დავით აღმაშენებელი რეალისტი პოლიტიკოსი და სარდალი იყო. არ უნდა დავიიწყოთ, ამ ომს წინ უძღოდა ჯარის მრავალწლიანი სისტემატური და გულმოდგინე წვრთნა, შევსება, აღჭურვა...

მემატიანე საგანგებოდ შენიშნავს: მას შემდეგ, რაც დავითი სამეფო ტახტზე ავიდა, ძილი და მოსვენება არა პქონია, — რაკი საშიში დამპყრობლისგან ქვეყნის გათავისუფლება იყო უმნიშვნელოვანესი და გადაუდებელი ამოცანა, სწორედ ლაშქრის გამართვა დასახა პირველხარისხოვან საკითხად, აქეთკენ იყო მიმართული მისი გულისყური. ეს ჩვენ უკვე ვიცით. ვნახეთ, რა მოთმინებით ზრდიდა და წვრთნიდა, დროსა და ენერგიას არ ზოგავდა. ჯერ პატარა ბრძოლებით დაიწყო („მცირედ-მცირედ ბრძოლითა და სწაულითა გუარიანად და ღონიერად წინაძღომითა... განეწუართნეს სპანი თვისნი"). ამ პატარა ბრძოლებში მტრის დამარცხებას აჩვევდა თავის მეომრებს, რომლებიც თავდაპირველად „თურქთა მიმართ წყობისა ყოვლად უმეცარნი და ფრიად მოშიშნი" იყვნენ. დაშლილი, დაფლეთილი, მორალურად განადგურებული ლაშქარი, რომელიც ტახტზე ასვლისას ჩაიბარა ახალგაზრდა მეფემ, შედარებით მოკლე ხანში ასე გაწვრთნა, გაზარდა, აღჭურვა, ბრძოლისუნარიანი გახადა და, აგერ ასეთი ომი მოაგებინა.

და აქ უადგილო არ იქნება გაეიხსენოთ ნიკოლოზ ურბნელის სიტყვები: „ერწოს [ერწუხის] ბრძოლით იწყება დავით აღმაშენებლის სამხედრო ძლიერება".

თანმიმდევრულად მიეყვეთ ამ მოვლენებს.

მაგრამ ჯერ ალბათ საინტერესო იქნება გაეიხსენოთ ერთი საგულისხმო ფაქტი.

ეს ბრძოლას არ ეხება. კვლავ მატიანის ავტორს შეეხება.

როცა აღმაშენებლის ისტორიკოსი „შეყინებული“ (შედედებული) სისხლის ამბავს გადმოგვცემს, იქვე წერს: სისხლმა რომ ითქრიალა, უცებ მეფისა გეგონაო — „რომელსა პირველ განხილვისა, თვით მისგან ვ გ ო ნ ე ბ დ ი თ გამოსრულად“. აქედან ჩანს, რომ მემატიანე მეფის თანამედროვე და ახლობელი ყოფილა.

„ვგონებდითო“. ხომ ხედავთ, ეს კაცი ერწუხის ომშიაც თანა ხლებია მეფეს. ამის შემდეგ მით უფრო საინტერესოა ბრძოლის ცალკეული დეტალები, რითაც ავტორი ცოცხალი სურათის დახატვას ახერხებს: როგორ თავგანწირვით იბრძვის დავითი ხმლით, და აგერ უცებ ხელით სწვდება მტრის ჯარისკაცებს და შეიპყრობს, ხელჩართულ ბრძოლაში როგორ მოუკლავენ ცხენს — ერთს, მეორეს, მესამეს... როგორ ლომივით გრგვინავს და თავის მეომრებს ამხნევებს — „ვითა ლომი შეუზახებდა ხმითა მაღლითა, და ვითა გრიგალი მიდა-მო იქცეოდა“ (გრიგალივით ჩამოიქროლებდა ბრძოლის ველზე).

ესე მრავლისაგან ყოველად მცირედი და კნინი წარმოვთქვითო, ამ ბრძოლის აღწერის შემდეგ მოგვიბოდიშებს მემატიანე.

ახლა უკვე კახეთ-ჰერეთი შემოერთებული იყო — თანაც მტკიცედ, საფუძვლიანად; ქართველთა ჯარის უძლეველობის ამბავიც შორს გაიჭრა და დავით მეფე მტრის რისხვად იქცა... საქართველოს ძირითადი მიწა-წყალი უკვე თავისუფალი იყო მტრის ურდოებისგან, მთებში გახიზნული ხალხი თანდათანობით დაბრუნდა და დაემკვიდრა ძველ სამყოფელს. სოფელი კვლავ სოფელს დაემსგავსა, ხვნა-თესვა გაჩაღდა. ჭრილობამოშუშებულმა ხალხმა სული მოითქვა... საეკლესიო რეფორმა გაატარა მეფემ, სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში ნაწილობრივ მოახდინა ცვლილებები... ამდენი რამე გაკეთდა... ამას თითქოს სრული გამარჯვება ერქვა...

მაგრამ თბილისი და მისი მიდამოები, ახლომდებარე მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრეები კვლავ მტერს ეპყრა და სანამ დედაქალაქსა და ამ ციხეებს არ შემოიერთებდა, ქვეყანას მთლიანი საქართველო არ ეთქმოდა, და არც გამარჯვება ყოფილა სრული გამარჯვება.

აღმაშენებელი ბრძენი მმართველი იყო. საალალბედოდა და სარისკოდ არ გახდიდა საქმეს. თბილისის ასაღებად გალაშქრება არ იჩქარა მეფემ, გადადო, თუმცა კარგად ჰქონდა შეგნებული თბილისის აღების დიდი პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა.

თავი II

1106 წელს დაიწყო გელათის სახელგანთქმული სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა ✦ იოანე პეტრიწის მოღვაწეობა ✦ იყალთოს აკადემია ✦ იმერეთი – ეს ტერმინი დავით აღმაშენებლის დროს გაჩნდა, სავარაუდოდ მისივე ან როველიმე მისი „განმზრახის“ მიერ „ბედნიერი მიგნების“ წყალობით – XII საუკუნიდან მთელ დასავლეთ საქართველოს იმერეთი ეწოდება ✦ თბილისის გათავისუფლება სტრატეგიული თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სამეფილდის ციხესიმაგრის აღებით დაიწყო ✦ დიდგორის ბრძოლა – „ძლევაი საკვირველი“ ✦ 1122 წელს დავით მეფემ 400-წლიანი მონობისგან გაათავისუფლა თბილისი და მეფის რეზიდენცია ქუთაისიდან თბილისში გადაიტანა

ამრიგად საქართველოს უდიდესი ნაწილი მტრის ურდოებისგან განთავისუფლებულია, კახეთ-ჰერეთი შემოერთებულია. მეფემ ახლა ქვეყნის კულტურულ მშენებლობას მიაქცია ყურადღება. თურქ-სელჩუკთა თარეშმა მარტო სოფლის მეურნეობა კი არ დაზარალა, ხალხის სულიერ ცხოვრებასაც თავისი დაღი დაასვა. ასეთ პირობებში, როცა ტაძრები და საყდრები ცხენების სადგომად აქციეს, რაღა თქმა უნდა, მწიგნობრობა და სწავლა-განათლება, რაც უშუალოდ ამ ტაძრებთან იყო დაკავშირებული, ჩამორჩებოდა და დაზარალდებოდა და, აი, როგორც კი ცოტათი წელში გაიმართა ხალხი, ქვეყნის ბრძენმა მმართველმა სწორედ სულიერ ცხოვრებას მიაქცია ყურადღება.

ერწუხის ომის შემდეგ დიდი ხანი არ გასულა, რომ 1106 წელს დავით აღმაშენებელმა გელათის სახელგანთქმული მონასტრის აშენება დაიწყო.

ზემოთ არაერთხელ შევნიშნეთ, რომ ჩვენი ძველი ეკლესია-ტაძრები რელიგიურ-საკულტო დანიშნულებისთვის შენდებოდა, მაგრამ მნიშვნელოვანი იმით იყო, რომ იქ, ამასთან, შემოქმედებითი ცხოვრება დუღდა, წიგნები იქმნებოდა, მხატვრობა ვითარდებოდა,

ფილოსოფიური აზრი მწიფდებოდა... გელათის მონასტერი კი ისე დაგეგმეს და ააშენეს, რომ თავიდანვე მიეცა და დაესახა ორივე დანიშნულება: აქ საერო კულტურის სამსახური „შეთავსებით“ კი არ იქნებოდა სასულიეროსთან, არამედ თავიდანვე ისე იყო ნავარაუდევი, რომ ორივეს ერთნაირი უფლება და განვითარების ერთნაირი პირობები ჰქონოდა. ყველაფერი თავიდანვე გაითვალისწინეს იმისათვის, რომ აქ მეცნიერები აღზრდილიყვნენ, მწიგნობრობა და ხელოვნება განვითარებულიყო... აქ აკადემია უნდა გახსნილიყო, ცნობილი ფილოსოფოს-მწიგნობრები უნდა მოეწვიათ, ახალგაზრდები აღეზარდათ. ლიტერატურა და ხელოვნება, ფილოსოფიური აზრი ახალ საფეხურზე აეყვანათ.

ამას პირდაპირ ასე გვეუბნება მემატიანე: ეს ტაძარი „არს ყოელისა აღმოსავალისა მეორედ იერუსალემად, სასწაველოდ ყოელისა კეთილისად, მოძღურად სწავლულებისად, სხუად ათინად“...

ყურადღება მიაქციეთ ამ ფრაზას, რომელიც დიდი აბზაციდან არის ამოღებული: აქ ნახსენები იერუსალიმი და ათინა სწორედ ამ ორ სფეროზე მიგვანიშნებენ — სასულიეროსა და საეროზე, თეოლოგიისა და საერთოდ კულტურის — მწიგნობრობის, ხელოვნების, მეცნიერების განვითარებაზე, რამდენადაც იერუსალიმი სწორედ ქრისტიანული რელიგიის ცენტრად ითვლებოდა, ხოლო ათინა — ანტიკური (და საერთოდ) ხელოვნების აკვნად.

საგულისხმოა მემატიანის სიტყვები, როცა იგი გადმოგვცემს, როგორ მოიწვია მეფემ თავის დაარსებულ აკადემიაში მეცნიერები: „და მუნეე შემოკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოერებითა და შემკულნი ყოელითა სათნოებითა“...

ეს სიტყვები შემთხვევით არ არის დაწერილი. მას შემდეგ, რაც რუის-ურბნისის კრებამ სასტიკად დაგმო ეკლესიაში გამეფებული ბოროტებანი და „ავაზაკნი საყდართაგან გარდამოსთხინეს“, ეტყობა, ახალ ტაძარში საგანგებოდ არჩევდნენ ხალხს — მცოდნეებსა და განათლებულებს, პატიოსანი ცხოერებითა და სათნოებით შემკულებს. არჩევდნენ არა მარტო საქართველოში („არა თვისთა ოდენ სამეფოთა შინა პოვნილნი“), არამედ „ქუეყანისა კიდეთათ, სადათცა ესმა ვიეთმე სიწმიდე, სიკეთე... სულიერითა და ხორციელითა სათნოებითა აღსავსეობა“... დააკვირდით: კიდევ სიწმიდეს, სიკეთესა და სულიერ სათნოებას უსვამს ხაზს!.. მართლაც საგულდაგულოდ არჩევდა — „იძინა და კეთილად გამოიძინაო“ (ესე იგი, იძია და გამოიძიაო), იქვე დასძენს. ბარემ ისიც შევნიშნოთ, რომ ამ კეთილად მოძიებულ

და მოწვეულ მეცნიერთა შორის უპირველესი ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი იყო.

გელათის ანსამბლში რამდენიმე შენობა შედის. ძირითადია ის ტაძარი, რომელიც დავით აღმაშენებელმა ღვთისმშობლის სახელზე ააშენა. დანარჩენი უფრო მომცრო ეკლესიები — წმიდა გიორგისა და წმიდა ნიკოლოზისა — ცოტა უფრო მოგვიანო დროს აშენებულია. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ეს ტაძრები ერთმანეთს ერწყმის, საერთო ანსამბლსა ქმნის. ეს კი უფლებას გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ დავით აღმაშენებელს თავიდანვე ჰქონდა გათვალისწინებული ამ დიდი „საკრებულოს“ შექმნა.

მთავარ ტაძარს რომ შემოუვლი, იმოდენა ქვებითა და ლოდებით არის ნაგები, გიკვირს — იმ დროს, ტექნიკის მაშინდელ პირობებში იმ სიმაღლეზე როგორ მოხერხდა ამოდენა ქვების ატანა.

გელათის გალავანშემოვლებულ ეზოში მუდამ ხალხმრავლობაა, წინაპართა დიდი შემოქმედებით აღფრთოვანებული მადლიერი შთამომავლების სულ ახალი და ახალი თაობები მოდიან და პატივისცემის ნიშნად თავსა ხრიან ხელოვნების ამ დიდებული ძეგლის წინაშე. და როცა შორიდან მრსული სტუმარი ტაძრის კედელში დატანებულ დიდ ლოდებს დააკვირდება, აქაური გიდი ამაყი ღიმილით ეტყვის — ეს ლოდები დავით აღმაშენებელს თავისი ხელით ამოუტანიაო...

ეს ლეგენდა ახალი შეთხზული არ არის. ძველი დროიდანვე მოდის. ხალხმა ზეპირი გადმოცემით იცის, რომ სახელოვანი მეფე თვითონვე მუშაობდა ტაძრის მშენებლობაზე და კედლები ამოჰყავდა. იმოდენა ლოდებით არის ამოყვანილი ტაძრის კედლები, რაგინდ გოლიათი ყოფილიყო მეფე, მაინც ძნელი დასაჯერებელია, ერთ კაცს დაეძრას და მხრებით ამოეტანოს. ეს არც არის მთავარი. აქ მთავარია თვით ხალხისეული დახასიათება დიდი მამულიშვილისა, ხალხის დიდი მადლიერების გამოხატულება, როცა იგი ამაგს არ უკარგავს თავის სასიქადულო მოღვაწეს... და თუნდაც გაზვიადებული იყოს ეს და ქვემოთ მოტანილი ცალკეული ფაქტები, მაინც დიდად საინტერესო და საგულისხმოა, როგორც დაუცხრომელი სურვილი ხალხისა — ქვეყნის მმართველის ბუნებასა და ხასიათში დემოკრატიზმსა და უბრალოებას ხედავდეს. ბროსე თავის წიგნში იმასაც კი წერს, მეფე კედლიდან გადმოვარდა და დაშავდაო. ესეც ხალხური გადმოცემაა. იქვე ისიც არის მოთხრობილი, როგორ განკურნეს მეფე ადგილობრივმა დასტაქრებმა — ირმის რძეში აბანავებდნენო...

ეტყობა, იმავე ხანებში მეორე დიდ საქმეს მოება თავი. მემატიანე წერს, მეფემ შესაფერ ადგილას ქსენონი აღაშენაო. ქსენონი საავადმყოფოს ანუ სნეულთა თავშესაფარს ნიშნავს. მითითებული არ არის, სახელდობრ რა ადგილას აშენდა ეს ქსენონი. ალბათ, მონასტრისავე მახლობლად, რამდენადაც ეს „ყოველად შეუვნიერი და ყოელითურ უნაკლულო ადგილი" ქსენონისთვისაც სწორედ რომ შესაფერი იყო. ადგილობრივი მცხოვრებლები მიგვანიშნებენ კიდეც ტაძრის მახლობლად ნანგრევებს, სადაც, გადმოცემით, ქსენონი უნდა ყოფილიყო.

მაგრამ ამისი თქმა, მეფემ საავადმყოფო ანუ ქსენონი ააშენაო, ცოტა იქნება. მემატიანის მოთხრობიდან ისიც კარგად ჩანს, როგორ ყოფილა დაინტერესებული დავით აღმაშენებელი ამ საქმით. მანვე შეკრიბა და მოიწვია მკურნალები და მომელელები, „მოუმზადა ყოველი სახმარი მათი, უნაკლულოდ და უხუებით". მემატიანე იმასაც საგანგებოდ აღნიშნავს, რომ აქ სხვადასხვა სახის დაავადებას ჰკურნავდნენ.

მარტო ქსენონის აშენებითა და მკურნალების მოწვევით არ დაკმაყოფილებულა დავით მეფე, იგი ხშირად დადიოდა ქსენონში, სნეულებს მოინახულებდა, სათითაოდ ჩამოუელიდა („მოიკითხნის და ამბორს უყენის თვითოეულსა"), დაუყვაევებდა, გაამხნევებდა, „მამებრ" მზრუნველობდა, ამოწმებდა, როგორი საწოლი, სამოსელი და ჭურჭელი აქვთო, მომელელებს გააფრთხილებდა... უნდა ვიგულისხმოთ, რომ აქ მის ჯარისკაცებსაც კურნავდნენ, მის მხედართმთავრებს, სპასალარებს...

ასეთი მასშტაბის სამკურნალო დაწესებულების დაარსება იმ დროს და იმ პირობებში თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია და კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენი ხალხის დიდ კულტურას.

მაგრამ აქ სხვა რამეა უფრო მნიშვნელოვანი და საგულისხმო.

როგორც ჩანს, ქსენონის დაარსებაცა და მეფის ასეთი განუწყვეტელი მზრუნველობა-დაინტერესებაც უბრალო ადამიანური გულმოწყალებით არ აიხსნება. ნიკოლოზ ურბნელი მოსაზრებას გამოთქვამს: ამ ქსენონის მნიშვნელობა მარტო იმით კი არ განისაზღვრება, რომ ავადმყოფებს მკურნალობდნენ, არამედ უმთავრესად იმით, რომ ეს სამკურნალო აკადემიაც იყო, აქ მკურნალობას ასწავლიდნენ, ექიმებს ზრდიდნენ, დასტაქრობაში ხელოვნდებოდნენ...

სამკურნალო აკადემია!.. მაშინ, მეთორმეტე საუკუნის დასაწყისში, ისეთ პოლიტიკურ ვითარებაში, როცა ქვეყანა მტრის ურდოებით იყო

გარშემორტყმული, წელში ახლაღა იმართებოდა, ჯერ მტერი ქვეყნის მთელი ტერიტორიიდან არ განედევნა...

ვინც დავით აღმაშენებლის მოღვაწეობას იცნობს, იმისთვის ადვილი დასაჯერებელია ეს ვარაუდი. საესებით ბუნებრივია, რომ დავით აღმაშენებელი სააქიმო ხელოვნების განვითარებისთვის იზრუნებდა და საამისოდ საჭირო პირობებს შექმნიდა. რასაც დავით აღმაშენებელი აკეთებდა, ყველაფერი დიდი და საშვილიშვილო იყო...

ამგვარად, შეიქმნა დაწესებულება, რომელიც ხელს შეუწყობდა ქართული სამედიცინო მეცნიერების შემდგომ განვითარებას, ქართულ მედიცინას კი უკვე ჰქონდა თავისი დიდი ტრადიცია.

ისე გვიხასიათებს მემატიანე გელათის მონასტერსა და აკადემიას, ისეთი ამბით გვატყობინებს, როგორ შეარჩია და მოიწვია მეფემ აქ სამოღვაწეოდ გამოჩენილი მეცნიერ-მწიგნობარნი, რომ არ გაგვიძნელდება, წარმოვიდგინოთ იმ დაწესებულების გრანდიოზულობა და მასშტაბი. აქ ასწავლიდნენ მრავალ საგანს — სასულიერო‌საც და საეროსაც, აქ მიმდინარეობდა დიდი სამეცნიერო მუშაობა, აქ იწერებოდა და ითარგმნებოდა წიგნები, იქმნებოდა ხელოვნების შედევრები...

როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო მაინც გელათის აკადემია?

ჩვენ საშუალება გვაქვს, ახლაც შევავლოთ თვალი ერთ-ერთი უძველესი ქართული უმაღლესი სასწავლებლის ნაშთს. და, მიუხედავად იმისა, რომ ნანგრევებია, იგი საუცხოო წარმოდგენას გვიქმნის აკადემიის გრანდიოზულობასა და მასშტაბზე; ხოლო ეს წარმოდგენა რომ სრულყოფილი იყოს, შეგვიძლია სხვადასხვა ლიტერატურული წყაროდანაც მოვიშველიოთ ზოგიერთი ცნობა.

გელათის აკადემიის ნანგრევებს იქვე იხილავთ, მონასტრის გალავანშივე, წმინდა ნიკოლოზის ტაძრის გვერდით, მთავარი ტაძრიდან ცოტა მოშორებით, მისგან დასავლეთით. ახლა რომ გადააბიჯებთ ამ ნანგრევების ზღუდეს, რაკიღა წინასწარ იცით, რომ იგი ძველი აკადემიის ნაშთია, საეჭვო აღარაფერი მოგეჩვენებათ — ერთბაშად აღმოჩნდებით დიდ დარბაზში, რომლის სიგრძე ოცდახუთ მეტრზე მეტია — სიგანე — ათნახევარ მეტრს უდრის. ჭერი დიდი ხანია ჩამონგრეულია ამ დარბაზს, მაგრამ თუ დაინტერესდებით, მაინც არ გაგიძნელდებათ განსაზღვროთ, რა სიმაღლისა ყოფილა იგი. ჩამონგრეულ-ჩამორღვეული კედლებიც კარგად მიგანიშნებს ამას; დღემდე დაცული კედლების სიმაღლე ათ მეტრს უდრის...

რაკი თავიდანვე აკადემიის დიდ დარბაზად მიიღებთ, იმ ეეებერთელა ლოდის დანიშნულებასაც ადვილად გამოიცნობთ, რომელიც შესვლისთანავე უსათუოდ მიიქცევს თქვენს ყურადღებას — იგი დასავლეთის კედლის გასწვრივ დევს. ეს კათედრაა აკადემიის რექტორის, ანუ მოძღვართ-მოძღვრისა. ეს ტერმინი შემდეგი დროის მკვლევარების მოგონილი არ გეგონოთ, მაშინვე ჰქონია ასეთი სახელწოდება, როგორც ვარაუდობენ, ბიზანტიური სასწავლებლების გაელენით. მოძღვართ-მოძღვარიც ჰყოლია გელათს და წინამძღვარიც. ამასთან, როგორც ჩანს, მოძღვართ-მოძღვარი უფრო საპატიო თანამდებობაა. „სწავლა-განათლებისა და მწერლობის საქმის წინ წაწევას, უეჭველია ხელს უწყობდა მ ო ძ ღ ვ ა რ თ - მ ო ძ ღ ვ ა რ ი ს ინსტიტუტი, რომელიც, რამდენადაც არსებული მასალებით შეიძლება გათვალისწინებული იქნეს, ამ პერიოდში უნდა წარმოშობილიყო, — წერს კორნელი კეკელიძე, — მოძღვართ-მოძღვარი სასულიერო პირი იყო. კარის გარიგების წარჩინებულ დიდხარისხოვან მონაზონთა ოთხეულში მას პირველი ადგილი უკავია, მას მეტი პატივი აქვს სხვა ეპისკოპოსებთან, წარმოიდგინეთ, თვით კათალიკოსთან შედარებით... მოძღვართ-მოძღვარი ცხოვრობდა გელათში ეპისკოპოსის ხარისხით... ტერმინი მოძღვართ-მოძღვარი გვაჩვენებს, რომ ყოფილან ამავე დროს მ ო ძ ღ ვ ა რ ნ ი ც. ასე იწოდებიან ალბათ ის ოსტატები ან მასწავლებლები, რომელთა ხელში იყო სწავლა-აღზრდისა და განათლების საქმე“...

მოძღვართ-მოძღვარის მიმართ განსაკუთრებული პატივისცემა მერე დაკანონდა კიდეც. ძალიან საინტერესო ცნობა შემოუნახავს „ხელმწიფის კარის გარიგებას“. „მოძღვართ-მოძღვარი დარბაზს აწვიონ, და შინაური დარბაზის ერი უნდა, და ერთი ჯორი და სამი ცხენი მოძღვართ-მოძღვარისათვის და ორნი მისთა მოწაფეთათვის“.

ესე იგი, როცა დარბაზობაზე მიიწვევდნენ მოძღვართ-მოძღვარს, მას უნდა ხლებოდნენ კარისკაცები და დიდებულები, უნდა გაეგზავნათ ერთი ჯორი და სამი ცხენი პირადად მისთვის, ხოლო მისი მოწაფეებისთვის — დამატებით ორი ცხენი. და როცა დარბაზში მიეიდოდა, მეფე მას მეტ პატივსა სცემდა, ვიდრე კათალიკოსს, ჭყონდიდელს და თავისივე ვაზირებს: ნოხის პირამდე მოეგებებოდა, მაშინ, როდესაც სხვებისთვის „ნოხსა ზედა მესამედი წამოიაროს“. „ეს იმის თვალსაჩინო მაჩვენებელია, — წერს ექვთიმე თაყაიშვილი, — თუ როგორ აფასებდნენ ცოდნას და სწავლა-მეცნიერებას ძველად საქართველოში“...

ეს ტრადიცია, როგორც ვნახეთ, გელათიდან მოდის, დავით აღმაშენებლიდან.

ამრიგად, აკადემიის დარბაზს რომ მოვაელეთ თვალი, პირველად მოძღვართ-მოძღვარის კათედრა დავინახეთ.

ახლა მეტი დაკვირვებით დავათვალიეროთ აქაურობა. კედლებში თახჩებია გამოჭრილი — ალბათ, სამედიცინო იარაღებისა და ხელსაწყოებისთვისო, ზოგიერთი მკვლევარი შენიშნავს. თუ ამას ვირწმუნებთ, მაშინ საფუძველი უმაგრდება იმის ვარაუდსაც, რომ ქსენონი ამავე დროს სასწავლებელიც იყო და იგი გელათის აკადემიასთან არსებობდა. აქ ასწავლიდნენ მედიცინის ხელოვნებას. თანამედროვე ტერმინი რომ გამოვიყენოთ, აქ სამედიცინო ფაკულტეტი იყო დიდი აკადემიისა.

აგერ ქვისაგე მერხები კედლების გასწვრივ. ამ მერხებზე სტუდენტები სხედან — მომავალი დიდი მეცნიერები, ხუროთმოძღვრები, სახელმწიფო მოღვაწეები...

ჩვენ იმ დროს ჩავრთეთ ჩვენი საუკუნეთა მხილველი მანქანა, როცა აკადემიის დიდი დარბაზი სტუდენტებს აუვსიათ და ლექციის დაწყებას ელოდებიან. ამ დიდ დარბაზში, ეტყობა, მაშინ იკრიბებიან, როცა ან პაექრობა აქვთ, ვთქვათ, რაიმე სადავო ფილოსოფიურ საკითხზე, ან საუბარი იშვიათ ასტრონომიულ აღმოჩენაზე, რაიმე დიდ სამეცნიერო პრობლემაზე... ან მაშინ, როცა უცხოეთიდან მოიწვევენ დიდ მეცნიერს, და, იგულისხმება, ყველას სურს მოუსმინოს... ახლაც, აკადემიის მოძღვართ-მოძღვარის იოანე პეტრიწის (მკვლევარები ვარაუდობენ, რომ იოანე პეტრიწი აკადემიის მოძღვართ-მოძღვარი იქნებოდა) შემოსვლას ელოდებიან. დღეს მისი საუბარი უნდა მოისმინონ და დარბაზში შეკრებილან არა მარტო გელათის აკადემიის სტუდენტები. საგანგებოდ ჩამოსულან იყალთოს აკადემიის მოძღვრები, უცხოელებსაც შენიშნავთ აქ, მაღალ სასულიერო პირებსაც... კარი იღება, დიდი მეცნიერი შემოდის; დარბაზში მსხდომნი წამოდგებიან და მოწიწებით დახრიან თავს...

ჩვეულებრივი ლექციებისთვის უფრო მომცრო დარბაზები და ოთახები აქვთ (ამ დიდი დარბაზიდან რომ გახვალთ, ნახავთ „ნაგებობათა მთელ სისტემას, სისტემას ოთახებისა, რომლებიც ერთი დიდი დაწესებულების კუთვნილი უნდა ყოფილიყო“ — ს. ყაუხჩიშვილი). სწორედ ამ ოთახებში ტარდება ჩვეულებრივი ლექციები.

გრანდიოზულია შენობა აკადემიისა და თუმცა საუკუნეების ქარტეხილებს თავისი ულმობელი დაღი ამისთვისაც დაუსვამს,

დღემდე შემორჩენილი ნანგრევების მიხედვითაც არ გაგეიძნელდება, წარმოვიდგინოთ მისი სიდიადე. „კაპიტალური გრანდიოზული შენობაო“, — სწორედ ასე წერს სიმონ ყაუხჩიშვილი, რომელმაც მეოცე საუკუნის ოციან წლებში აქ პირველი სადაზვერვო გამოკვლევა ჩაატარა: „აქ საქმე გვაქვს... რაღაც კაპიტალურ გრანდიოზულ შენობასთან, რომელსაც დასავლეთის მხრიდან პქონდა ფასადი. აქვე, დასავლეთის მხრიდან, მთელი დარბაზის გასწვრივ შენობას ზიდგმული აქვს ე. წ. კონტრფორსები, ქვით ნაგები. შენობა საერო-სამოქალაქო ხასიათისა უნდა ყოფილიყო: ამის მაჩვენებელია ფართო კარ-ფანჯრები თავიანთი ნახევარწრიული თაღებით. ვესტიბიული ზედ დადგმული ოთახებით, რომელთაგან უკანასკნელი ღია ბანს წარმოადგენს. იქნებ ამასვე ამტკიცებდეს, ამ შენობის აღმოსავლეთიდან მიდგმული მონასტერთან დამაკავშირებელი სტოა, თავისი დეკორაციული მორთულობით“.

მაინც რა საგნებს ასწავლიდნენ აკადემიაში? მკვლევარები ცდილობენ ამის აღდგენას იმ ძუნწი ცნობების მიხედვით, რაც ძველ წყაროებს შემოუნახავთ, აგრეთვე ბიზანტიური სწავლების სისტემის ანალოგიითაც. მოვუსმინოთ კორნელი კეკელიძეს: აქ ასწავლიდნენ „დიალექტიკას ან ფილოსოფიას, რომელიც გულისხმობდა ღვთისმეტყველებასაც (ფილოსოფოსი იყო იგივე თეოლოგი, თეოლოგი — იგივე ფილოსოფოსი), რიტორიკას, გრამატიკას, არითმეტიკას, ასტრონომიასა და მუსიკას (ფართოდ — პოეზია)... გადიოდნენ იურისპრუდენციასაც“...

თქვენ ალბათ ყურადღება მიაქციეთ „ასტრონომიას“. საგულისხმოა, რომ ასტონომიით დავით აღმაშენებელიც ყოფილა დაინტერესებული, ობსერვატორია პქონია მოწყობილი, საიდანაც დაკვირვებას ახდენდა ციურ სხეულებზე... გაგახსენდებოდათ რუსთაველიც, რომლის თხზულებაში ასტრონომიის ღრმა განსწავლულობა ჩანს. მეცნიერების ეს დარგი განვითარებული ყოფილა საქართველოში.

●

როგორც ვნახეთ, ვარაუდობენ, რომ პირველი რექტორი — ანუ მოძღვართ-მოძღვარი გელათის აკადემიისა ქართველი მეცნიერი იოანე პეტრიწი იყო. იგი უცხოეთიდან საგანგებოდ მოიწვია დავით აღმაშენებელმა და ამით, ერთი მხრივ, თავიდანვე განსაზღვრა,

თავიდანვე აამაღლა ახალდაარსებული სასწავლებლის როლი და მნიშვნელობა, რამდენადაც პეტრიწი უკვე სახელგანთქმული მწიგნობარი გახლდათ ჩვენშიაც და ბიზანტიაშიაც, და, მეორე მხრივ, თვით მეცნიერსაც დიდი პატივი დასდო, რაკიღა ასეთი მასშტაბის სასწავლებლის რექტორად მოიწვია.

თუმცა, ეს იყო არა მარტო პატივისცემა და დაფასება, არამედ დიდი მხარდაჭერაც, რადგან ქართველი მეცნიერი ამ დროს ბიზანტიაში დევნას განიცდიდა.

ალბათ, გეხსომებათ, რომ ბიზანტიაში ქართველი მეცნიერის ასეთი დევნა პირველი არა ყოფილა. ჩვენ ვნახეთ, როგორ დევნიდნენ და ავიწროებდნენ დიდ ქართველ მწიგნობარსა და მოღვაწეს ექვთიმე მთაწმინდელს, სხვა ქართველ მოღვაწეებსაც... მას შემდეგ მთელი საუკუნე გავიდა და აჰა, — დევნა ისევ გრძელდება. ამჟამად მეორე ქართველი მწიგნობარი იოანე პეტრიწი განიცდის დევნა-შევიწროებას.

რატომ სდევნიდნენ ერთი საუკუნის წინანდელ მოღვაწეს უცხოეთში, ეს ჩვენ უკვე ვიცით. ახლა? ახლა რატომღა სდევნიან ქართველ მოღვაწეს? იგივე მიზეზია თუ სხვა რამე?

ალბათ, იგივე მიზეზიც არის, რისთვისაც თავის დროზე ექვთიმე მთაწმინდელსა და მის თანამედროვეებს სდევნიდნენ... რამაც იოანე ზოსიმეს ის საოცარი ნაწარმოები დააწერინა — „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“... მაგრამ ამჟამად მთავარი და უშუალო მიზეზი სხვა იყო, სხვა გარემოება უნდა დავასახელოთ.

ოღონდ ჯერ ერთ საინტერესო სურათს გადავაველოთ თვალი.

ჩვენ რომ მიახლოებითი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ვცადოთ შედგენა იმ გამოჩენილ ქართველ მწიგნობართა სიისა, რომელთაც გრიგოლ ხანძთელის შემდეგ დავით აღმაშენებლის ეპოქამდე უმოღვაწიათ, ვნახავთ, რომ მწერალთა თაობები ტალღისებურად მოდიან. მოვა ერთი ტალღა, მწიგნობარ-მოღვაწეთა ერთი დიდი ჯგუფი, როგორც ერთი ამოსუნთქვა, და მალევე მეორე მოჰყვება, მერე — მესამე... ამ ტალღებს თან მოაქვთ თავიანთი დროისა და ეპოქის სუნთქვა, მისწრაფებანი, იდეები, ენებათღელვანი...

თუ გრიგოლ ხანძთელამდე დროდადრო, შემთხვევიდან შემთხვევამდე იფეთქებდა ხოლმე შემოქმედებითი ეროვნული ენერგია, ახლა უკვე სულ სხვაგვარად არის საქმე.

გრიგოლ ხანძთელმა და მისი დროის მოღვაწეებმა (აქ, რა თქმა უნდა, ნერსე დიდიც იგულისხმება და აშოტ პირველი კურაპალატიც)

ისეთი მტკიცე საფუძველი შეუქმნეს ქართული კულტურის, და უპირველეს ყოვლისა, მწერლობის განვითარებას, რომ ახლა უკვე კანონზომიერი გახდა მწიგნობარ-მეცნიერთა ახალ-ახალი თაობების მოსვლა. ძალიანაც რომ მოვინდომოთ, ასეთი ხასიათის წიგნში გაგვიჭირდება იმ თაობათა ყველა წარმომადგენელი მოვიხსენიოთ.

ჩვენ უკვე გავეცანით, რამდენადაც ამის საშუალებას ჩვენი წიგნის ხასიათი მოგვცემდა, იმ პირველ დიდ თაობას, მეათე საუკუნის მოღვაწეებს... ვნახეთ, როგორ მოპყვა იმას მეორე ძლიერი ტალღა მეთერთმეტე საუკუნის მოღვაწეებისა (საუკუნეებს პირობითად ვამბობთ, რადგან, ბუნებრივია, საუკუნის ჩარჩოებით არ შემოიფარგლება მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის წლები), მთაწმინდელების შესანიშნავი პლეადა — ექვთიმე მთაწმინდელი, გიორგი, სტეფანე, ეზრა, ისევე გიორგი... და აი, მოვიდა მესამე ასეთივე ძლიერი ტალღა (ეს უკვე მეთერთმეტე საუკუნის დასასრულსა და მეთორმეტის დასაწყისს განეკუთვნება), და ამ თაობიდან უკვე ვახსენეთ არსენ იყალთოელი, ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი...

ახალი თაობის წარმომადგენლები ზოგჯერ, ზოგიერთ საკითხში უპირისპირდებიან კიდეც თავიანთ წინამორბედებს, ეპაექრებიან, ეკამათებიან... როგორც საერთოდ ხდება ხოლმე ერის კულტურის ბუნებრივი განვითარების დროს. ასეთ პაექრობას მხოლოდ სარგებლობა მოაქვს ეროვნული კულტურისთვის, აზრი ვითარდება, კულტურა მრავალფეროვნდება და უფრო საინტერესო ხდება, ცხოვრება წინ მიდის...

იქნებ, გაგიკვირდეთ კიდეც, როცა გაიგებთ, რა დიდი, პრინციპული პაექრობა პქონდათ მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნის საკითხებზე ეფრემ მცირესა და იოანე პეტრიწს თავიანთ წინამორბედებთან, მთაწმინდელებთან... „პაექრობას“ აქ პირობითად თუ ვიტყვით, რადგან ერთი მხარე „მოპაექრეებისა“ უკვე წასული იყო ამ ქვეყნიდან. ახალი დროის მეცნიერები კრიტიკული თვალით აანალიზებენ თავიანთი წინამორბედების შემოქმედებით მეთოდსა და პრინციპებს, საგნისადმი თავის დამოკიდებულებას გვაცნობენ, კონკრეტული მაგალითებით ამტკიცებენ თავიანთ დებულებათა სისწორეს... და გიკვირთ იმიტომ, რომ ეს მეთერთმეტე საუკუნეში ხდება. კამათი თარგმნის პრინციპებზე მეთერთმეტე საუკუნეში!

კამათის დროს წამოიჭრა თითქმის იგივე საკითხები, რაზედაც ახლაც დაობენ მთარგმნელობითი საქმის თანამედროვე თეორეტიკოსები — დედნის მიმართ ერთგულების საკითხი, მხატვრული და

სამეცნიერო ლიტერატურის სპეციფიკის გათვალისწინება თარგმნის დროს, მოჩვენებითი სიზუსტე... მართლაც სადავო და საინტერესო, ძნელად გადასაწყვეტი საკითხები. და ეს ხდება ცხრაასი წლის წინათ.

ჩვენ აქ ნურც იმ კამათის ანალიზს ვცდით, ნურც იმის გადაწყვეტას ვიკისრებთ, ვინ იყო მართალი პაექრობაში. ეს დიდ დროსა და ადგილს მოითხოვს, და ჩვენი საუბრის საგნიდან გადახვევაც გამოვა. ეს არც არის ამჟამად ჩვენთვის მთავარი. მთავარია თვით ფაქტი — მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნის საკითხებზე პაექრობისა მეთერთმეტე საუკუნეში. და თუმცა „მოპაექრეთა" ერთი მხარე, როგორც შევნიშნეთ, უკვე წასული იყო ამ ქვეყნიდან, ამით კამათს სიმწვავე და მნიშვნელობა არ მოკლებია.

იქნებ, გაგიკვირდეთ კიდეც, მაგრამ გამოთქმულია მოსაზრება, თითქოს პეტრიწის დევნის ერთ-ერთი მიზეზი ეს პაექრობაც იყოს.

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ჩვენ ნუ შევუდგებით იმის გადაწყვეტას, რამდენად მართალი შეიძლება იყოს ეს ვარაუდი, ანუ რატომ არ შეიძლება ეს მოსაზრება სინამდვილეს შეეფერებოდეს. თუნდაც ვირწმუნოთ ეს ვარაუდი, პეტრიწის დევნის მთავარი მიზეზი მაინც სულ სხვა რამ არის, და ამას, თითქმის აღარავინ უარყოფს.

იოანე პეტრიწს საბერძნეთში მიუღია განათლება. ათინაშიო, უჭოჭმანოდ წერს „კალმასობის" ავტორი იოანე ბატონიშვილი, მაგრამ შემდეგი დროის მეცნიერები უარყოფენ ამას. ათენში არ უსწავლია, მაგრამ საბერძნეთში სწავლობდა. იოანე პეტრიწიც იქნებ ერთ-ერთი იმათგანი იყოს, რომელთაც სწავლა-განათლების მისაღებად საბერძნეთში აგზავნიდნენ ხოლმე ქართველი მეფეები. ჩვენ აკი ვნახეთ, როგორ წაიყვანა საბერძნეთში ნიჭიერი ბავშვების ერთი ჯგუფი გიორგი მთაწმინდელმა ბაგრატ მეოთხის მეფობის დროს; ქვემოთ ვნახავთ, დავით აღმაშენებელმაც გაგზავნა 40 ბავშვი საბერძნეთის სასწავლებლებში... ამას სისტემატური ხასიათი ჰქონდა. იოანე პეტრიწი მოწაფე ყოფილა იმ დროისათვის გამოჩენილი ფილოსოფოსების მიქელ პსელოსისა და იოანე იტალოსისა. ამასთან, იგი იყო არა მარტო მოწაფე, ამ სიტყვის პირდაპირი და ვიწრო მნიშვნელობით, არამედ მათი მიმდევარი, მათი თანამოაზრე, რომელმაც შემდგომი განვითარება მისცა მათ იდეებს.

და ალბათ უკვე ნათელიც გახდა პეტრიწის დევნის მიზეზი, თუკი გაქვთ გაგონილი, რომ მისმა მასწავლებლებმა თავის დროზე

სასტიკი დევნა და შეჩვენება განიცადეს. მიქელ პსელოსი და იოანე იტალოსი პროგრესულად მოაზრონეე მეცნიერები იყვნენ, უპირისპირდებოდნენ საეკლესიო დოგმებს და ეყრდნობოდნენ ძველ ბერძენ ფილოსოფოსებს, წინაქრისტიანული, ანტიკური ხანის მწერლებს. სწორედ ამ პროგრესული იდეებისთვის გაკიცხეს ჯერ პსელოსი და მერე იოანე იტალოსი. იოანე იტალოსი, რომელთანაც იოანე პეტრიწს უფრო ახლო კავშირი და ურთიერთობა ჰქონდა, 1083 წლეს გაასამართლეს და შეაჩვენეს...

ირკვევა, რომ იტალოსის გასამართლების დროს იოანე პეტრიწი მოწმედ ყოფილა მიწვეული სასამართლოში და მას ვაჟკაცურად დაუცავს თავისი მეგობარი და მასწავლებელი. იოანე იტალოსისა და პეტრიწის ახლო ურთიერთობის დასამტკიცებლად ერთი საინტერესო „პირველწყარო" არსებობს. ეს არის პირადი წერილი ბერძენი ფილოსოფოსისა, მიწერილი ეინმე აფხაზისადმი („ესე იგი, მაშინდელი ბერძნული ტერმინოლოგიით „ქართველისადმიო" — განმარტავს სიმონ ყაუხჩიშვილი). ნიკო მარმა ამ წერილის ადრესატად იოანე პეტრიწი შეიცნო. ამ აზრს იზიარებენ მომდევნო თაობათა მეცნიერებიც. წერილის შესავალში ბერძენი ფილოსოფოსი მადლიერებას გამოხატავს ქართველი მეცნიერის მიმართ, რომ იგი ერთგული დარჩა ძველი მეგობრობისა. და ეს მოულოდნელი არც ყოფილა ჩემთვის, რამდენადაც კარგად გიცნობო, მიხარია, რომ არ შეცელილხარ. მე ხომ ვიცნობ შენს აზრებსა და შეხედულებებს, ისიც ვიცი, როგორი მეგობრობა შეგიძლია. ზოგიერთები კი სოფისტები არიან. ცრუმეცნიერები, და ჭეშმარიტებას ღალატობენო. ამას მოსდევს საინტერესო საუბარი გრამატიკის საკითხებზე. ასეთივე სათაური აქვს წერილს — „აფხაზ გრამატიკოსს, შეკითხვები გრამატიკის ზოგიერთ საკითხებზე".

ამრიგად, 1083 წელს იოანე იტალოსი გაასამართლეს და შეაჩვენეს. მოწმედ იოანე პეტრიწიც ყოფილა გამოძახებული.

ორჯერ გავიმეორეთ ეს წელი, ალბათ გაგიკვირდათ, რა საჭირო იყო იტალოსის გასამართლების თარიღის ასე ხაზგასმით აღნიშვნა, ამას ჩვენთვის რა დიდი მნიშვნელობა აქვსო. თითქოს მართლაც არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა, მაგრამ....

აბა, დააკვირდით ამ თარიღს, იქნებ რამე მოგაგონოთ. იგი მნიშვნელოვანია ქართული კულტურის ისტორიაში...

ამ წელს — 1083 წელს — დიდმა ქართველმა მოღვაწემ გრიგოლ ბაკურიანის ძემ, ბულგარეთში, მაშინდელი ბიზანტიის ტერიტორიაზე,

დააარსა მონასტერი, რომელიც შემდეგ პეტრიწონის მონასტრის სახელით გახდა ცნობილი. იმდროინდელი ქართული მონასტრების უმრავლესობის მსგავსად, ესეც ქართული კულტურის კერად იქცა, თანაც მძლავრ და მნიშვნელოვან კერად. ბუნებრივია, რომ გრიგოლ ბაკურიანის ძე თაეის დაარსებულ მონასტერში ღირსეულ მეცნიერებს მოიწვევდა. უნდა ვიეარაუდოთ, რომ იგი ადრეც იცნობდა იოანე პეტრიწს. ხოლო ახლა, როცა იოანე იტალოსი გაასამართლეს და შეაჩვენეს, და მისმა მოწაფეებმაც, — მათ შორის, უპირველეს ყოელისა, იოანე პეტრიწმა (რომლის გაკიცხვა, როგორც უცხოელისა, უფრო ადვილი იქნებოდა ბერძნებისათვის) დეენა განიცადეს, გრიგოლმა თაეის მონასტერში მიიწვია უკვე სახელგანთქმული ქართველი მეცნიერი, პეტრიწიც, ბუნებრივია, დათანხმდებოდა. ეს ორი მოელენა — ახალი ქართული მონასტრის დაარსება და ბერძენი ფილოსოფოსის გასამართლება – რაღა თქმა უნდა, შემთხვევით დაემთხვა ერთმანეთს. და აი, 1083 წლიდან პეტრიწონის მონასტერში ჩვენ ეხედავთ ქართველ მეცნიერს იოანე პეტრიწს. ორი ათეული წელი იმოღვაწა მან აქ. და, როგორც ვარაუდობენ ეს იყო მისი შემოქმედების ყველაზე ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი მონაკვეთი.

პეტრიწონის მონასტერი... იოანე პეტრიწი...

უნებურად დაუკავშირებ ერთმანეთს ქართული მონასტრის სახელწოდებასა და ქართველი მეცნიერის მეტსახელს. დიდი ნაწილი მკვლევარებისა მართლაც იმ აზრისაა, რომ ქართველმა მეცნიერმა სწორედ აქ, პეტრიწონის მონასტერში, პეტრიწონის, პატივისცემით მიიღო ასეთი სახელი — პეტრიწი. და ეს მართლაც ასე უნდა იყოს. თუმცა არსებობს სხვა მოსაზრებაც; და რამდენადაც იგი ხელს შეგვიწყობს, უფრო კარგად ჩაეწედეთ მეცნიერის ხასიათსა და ბუნებას, იმ მოსაზრებასაც ახლავე გაგაცნობთ.

პეტრიწი, „რომელ არს ქვის მფხეკელი", წერს იოანე ბატონიშვილი.

დავით რექტორი უფრო ფართოდ განმარტავს ამ მოსაზრებას: „პეტრ, რომელი ითქმის ქვად და მარცვალი ქვემორე (ანუ სიტყვის მეორე ნაწილი) მფხეკელად გამოითარგმნების.

და ვინაითგან (განვაგრძობთ დავით რექტორის ციტირებას) ესე იოანე იყო წერილთა ფრიად მჩხრეკელი, ამისთვის უწოდეს პეტრიწად, ესე იგი ქვის ფხეკელად.

მეტსახელის შერქმევა კი, იმავე დავით რექტორის ცნობით, ჩვეულებრივი მოელენა იყო.

ახლა ისევე იოანე ბატონიშვილს მოვუსმინოთ, რა კონკრეტულ ვითარებაში მომხდარა ამ სახელის შერქმევა: „და ოდეს (იოანემ) დაასრულა სწავლანი, მაშინ მიიყვანეს მოძღვართა მისთა და უჩვენეს ციხისა კლდეთა ზედა დაწერილნი ძველთა ფილოსოფოსთაგან თქმულნი ჰაზრები, რომელმანცა უკეთეს განმარტნა თვისთა მოძღვართა ზედა და უკეთეს ნათლად აღმოაჩინნა. და ამის მიზეზისთვის სახელდვეს პეტრიწადა (რომელ არს ქვის მფხეკელი)“...

ამითაც კარგად მტკიცდება, რა გულმოდგინე, ღრმა და ბეჯითი მკვლევარი ყოფილა იოანე პეტრიწი.

როგორც ითქვა, შემდეგი დროის მკვლევარები მონასტრის სახელს უკავშირებენ მეცნიერის მეტსახელს. იქნებ ორივე მოსაზრება სწორი იყოს; ხომ შეიძლება ორი მიზეზი პქონოდა ამ მეტსახელის შერქმევას.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არ არის მთავარი. მთავარი ის არის, რომ პეტრიწი უკვე სახელგანთქმული მეცნიერი იყო, პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი, მტკიცე, შეუპოვარი, მგზნებარე პატრიოტი, რაც ხელს არ უშლიდა სხვა ხალხთა კულტურაც კარგად სცოდნოდა და სათანადოდ დაეფასებინა...

და, აი, დავით აღმაშენებელმა იგი მოიწვია თავის დაარსებულ აკადემიაში.

კონკრეტული ცნობები მისი გელათში მოღვაწეობისა ისტორიას არ შემოუნახავს. ისტორიამ შემოგვინახა შრომები იოანე პეტრიწისა (რომელთაგან ზოგი ალბათ გელათის აკადემიაშიც დაიწერა). იოანე პეტრიწის ფილოსოფიური შრომებითა და მთელი მოღვაწეობით მეთვრამეტე საუკუნეშივე დაინტერესებულან — საბა, ანტონ კათალიკოსი... ივანე ლოლაშვილს, რომელმაც გამოკვლევა უძღვნა დიდ ქართველ მეცნიერს, თავის წიგნში მოჰყავს სოლომონ დოდაშვილის სიტყვები: პეტრიწმა დაგვიტოვა ნაწერები „ყოველთა გუართა შინა სიტყვიერებისათა და ყოველთა გუართა შინა პპოვა ჩინებულება და პატივისცემა, არა მხოლოდ თანამედროვეთა თვისთა, არამედ ყოველთა განათლებულთა შთამოებათა თვისისა მამულისათა“.

ჩვენს დროში ისევე განახლდა დაინტერესება მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეების დიდი ქართველი მეცნიერით, დაიწერა და გამოიცა მრავალი შრომა. პეტრიწი „უდიდესი მოაზროვნე იყო თავისი ეპოქისა, ეპოქის მიერ დასმული საკითხების მკვლევარი და ამით მომავალი განვითარების მეგზური... მან წამოაყენა და იკვლია

საკითხები, რომლებიც იმდროინდელი მოწინავე კაცობრიობის კვლევისა და ძიების საგანს შეადგენდა. იგი შეეცადა განახლების სინათლე შეეტანა ქრისტიანობაში. მან დაუმტკიცა თავის ეპოქას კლასიკური ფილოსოფიის ძეგლების შესწავლის აუცილებლობა... (მანვე) ქართველებს უთარგმნა, წაუკითხა თუ ასწავლა არისტოტელი, პლატონი, პროკლე, ნემესიოსი"...

ეს უკვე თანამედროვე მეცნიერის მოსე გოგიბერიძის სიტყვებია და მიგვანიშნებს იმაზე, რომ პეტრიწმა ნიადაგი მოუმზადა შემდეგი დროის დიდ მოაზროვნეებსა და მხატვრებს, ქართულ რენესანსს.

ამიტომაც შევაჩერეთ მკითხველის ყურადღება გელათის აკადემიის პირველ რექტორზე. და თუმცა სიტყვა გაგვიგრძელდა, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ კიდევ ერთ მხარეს დიდი ქართველი მეცნიერის მოღვაწეობისა.

თანამედროვე ახალგაზრდა მეცნიერმა დამანა მელიქიშვილმა საგანგებო გამოკვლევა უძღვნა იოანე პეტრიწის ენასა და სტილს. იგი კონკრეტული მაგალითებით ამტკიცებს პეტრიწის ენობრივ გავლენას მეთორმეტე საუკუნის პოეტ-მეხოტბეებზე — ჩახრუხაძეზე, შავთელზე... ასეთივე გავლენა იგრძნობა „ვეფხისტყაოსნის" ლექსიკაზეც კი — ცალკე საკითხია პეტრიწის გავლენა რუსთაველის მსოფლმხედველობაზე). ხოლო საბას „სიტყვის კონის" ერთ-ერთი მოსამზადებელი წყარო იოანე პეტრიწის შრომები ყოფილა. და მკვლევარების აზრით, საბა თავისი ლექსიკონის შედგენის დროს, ბიბლიის შემდეგ ყველაზე მეტად იოანე პეტრიწის შრომებს დასესხებია. როცა ამ დიდებული ლექსიკონის მნიშვნელობას გავითვალისწინებთ, კიდევ უფრო კარგად გამოიკვეთება პეტრიწის დამსახურება ქართული კულტურის წინაშე.

ასეთი ადამიანები მოიწვია დავით აღმაშენებელმა მის მიერვე ახლადდაარსებულ აკადემიაში.

●

აქვე, გელათში ხელოვნების შედევრები იქმნებოდაო, ზემოთ ითქვა; ეს მემატიანის სიტყვებშიაც იგრძნობა, როცა იგი გელათს „სხვად" (მეორე) ათინად გაგვაცნობს.

მემატიანის სიტყვებსაც რომ არ მივხედოთ და მარტო იმის მიხედვით ვიმსჯელოთ, რაც დიდებული ტაძრის კედლებს მძიმე

საუკუნეების შემდეგ შემოუნახავთ, საკმარისი იქნება თვალსაჩინოდ წარმოვიდგინოთ, თუ რა გაცხოველებული შემოქმედებითი და სამეცნიერო მუშაობა იყო აქა და რა ცხოვრებით ცხოვრობდა ეს აკადემია, რა მასშტაბის დაწესებულება იყო იგი.

მთავარ ტაძარში რომ შეხვალთ, საკურთხეველის მაღალი ყელიდან მოგანათებთ ზეციური სიმშვიდისა და სათნოების გამომსხივებელი თვალები. ეს მოზაიკური პორტრეტია, რომელსაც ოქროსფერ სივრცეში თითქოს რელიეფურად აღიქვამთ. ასეული წლები გაეიდა მას შემდეგ, რაც მხატვარი დიდი შთაგონებითა და გემოვნებით წერილი ქვებისგან ქმნიდა ამ საოცარ ნაწარმოებს, მაგრამ მძიმე ქარიშხლიან საუკუნეებს, მოზაიკის ქვეშ დანთებულ ყოვლისმომსპობ ხანძარს, მრავალ ჭირსა და უბედურებას, მაინც ვერაფერი დაუკლია დიდებული ქმნილებისთვის — ვრცელი ოქროსფერი ფონი ახლაც მზის სხივების პირველი ბრწყინვალებით ელვარებს და დიდრონი ნაღვლიანი თვალები ისეთივე გულმოწყალებით დაგვცქერის მაღალი კედლიდან, როგორც რვანახევარი საუკუნის წინ მისი პირველმხილველს დასცქეროდა. მეცნიერების აზრით, ეს მოზაიკა 1125-1130 წლებით უნდა დათარიღდეს. ღვთისმშობლის აბსტრაქტულ ხატად არის იგი შექმნილი, მაგრამ უარღესად რეალისტური პორტრეტია მხატვრის თანამედროვე ადამიანისა, რომელსაც შემოქმედი შთაუგონებია, სამუდამოდ შეენახა შთამომავლობისთვის ის საოცრად მიმზიდველი სახე, რომელიც ერთსა და იმავე დროს სიმშვიდესაც გგვრით, ცხოვრების სილამაზითაც გატკბობთ და გამაღლებთ კიდეც... სავსებით რეალისტურია და მხატვრის თანამედროვეთა ადამიანურ ვნებათაღელვას გადმოგვცემს მთავარანგელოზთა პორტრეტებიც, რომლებიც ამავე მოზაიკურ კომპოზიციაში შედიან...

ტაძარში შესულს პირველად სწორედ ეს მოზაიკური კომპოზიცია მოგვხვდებათ თვალში, მერე კი, როცა კედლებს გადახედავთ, აქაც იმ დიდი რეალიზმით, იმ ცხოვრებისეული სიმართლითა და ვნება-თაღელვით მოიხიბლებით... მიუხედავად იმისა, რომ ფრესკებზე სიუჟეტურად რელიგიური თემებია წარმოდგენილი, თქვენ აქ ხედავთ მიწიერ ადამიანებს თავიანთი დიდი სიხარულით, მწუხარებით, იმედით, სასოწარკვეთილებით, სიკეთით, ბოროტებით, სათნოებით, ცბიერებით, რწმენით, განწირულობით... ყველა იმ გრძნობით, რითაც ადამიანური ცხოვრებაა სავსე. ასე რომ, როცა ამ ფრესკებს შეპყურებთ, ამაოდ ნუ დაუწყებთ ძებნას რელიგიური თქმულებების პერსონაჟებს, ესენი იმ ძველი დროის შემოქმედთა თანამედროვე

ადამიანები არიან. იგივე ბაღვაშები თუ აბულეთისძეები, ორბელები თუ ვარდანისძეები... კარისკაცები, მეომრები, აკადემიის ოსტატები და შეგირდები... სჯობს ფანტაზია მოიშველიოთ და, პორტრეტების დახმარებით, სწორედ ის ისტორიული სიუჟეტები გააცოცხლოთ, რაც ძველ წყაროებს ასე კანტიკუნტად შემოუნახავთ...

გელათის მონასტერი მთელი მუზეუმიაო, მეცნიერები წერენ და გულისხმობენ არა მარტო ამ ქმნილებათა ჭეშმარიტად მაღალ მხატვრულ დონეს, არამედ იმასაც, რომ ისინი სხვადასხვა დროს იქმნებოდნენ. სხვადასხვა თაობების მიერ... ეს თავისთავად ძალიან საინტერესოა და იმაზეც მიუთითებს, რომ აქ გაცხოველებული შემოქმედებითი მუშაობა იყო. ეს კიდევ ცოტაა: აქ შემოქმედებითი აზრის ჭიდილი იყო, ცხოვრებასა და ხელოვნებაზე სხვადასხვა შეხედულებებისა და წარმოდგენების დაპირისპირება, შემოქმედებითი პაექრობა, შემოქმედებითი ძიება, შემოქმედ თაობათა ცვლა...

ახლა ერთი პრაქტიკული, თითქოს პატარა და პროზაული, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი საკითხიც.

ამოდენა დაწესებულებას რჩენა და შენახვა სჭირდებოდა, ეკონომიკური საფუძველი, სუბსიდიები... მით უმეტეს, იმ ვარაუდსაც თუ ვირწმუნებთ, რომ ქსენონი იმავე დროს სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულება იყო და გელათის აკადემიის ერთგვარ ფილიალს წარმოადგენდა.

როგორც ჭეშმარიტად დიდ სახელმწიფო მოღვაწეს შეეფერება, დავით აღმაშენებელმა კარგად გაითვალისწინა, რომ ასეთი მნიშვნელობისა და მასშტაბის დაწესებულებას მყარი ეკონომიკური საფუძველი თუ არ ექნებოდა, მალე მოიშლებოდა, მარტო შემოქმედებითი აღმაფრენა და კეთილი სურვილები არ უშველიდა საქმეს. და მეფემ მას მტკიცე ეკონომიკური საფუძველიც მოუმზადა.

საინტერესოა ეს ეკონომიკური საფუძველი. პირველად იქნებ გაგიკვირდეთ კიდეც, როცა გაიგებთ.

ჩვენ უკვე ვიცით, რა მდიდარი და შემოსავლიანი იყო ბაღვაშების დიდი საერისთავო თრიალეთში. მეფეს ეჯიბრებოდა და ტოლს არ უდებდა. ისიც ვიცით, რომ დავითმა ეს დიდი საერისთავო სამეფო კარის კუთვნილებად გამოაცხადა და მას გამგებელი დაუნიშნა — არა მემკვიდრეობითი წესით, არამედ დროებით.

და აი, კლდეკარის დიდი და დოვლათიანი საერისთავო, რომელიც მან ამის წინ ბაღვაშებს ჩამოართვა და გააუქმა, „უზრუნველ ტრაპეზად" (ესე იგი საარსებო წყაროდ, ეკონომიკურ საფუძვლად) გაუჩინა გელათის მონასტერსა და აკადემიას.

ბაღვაშების სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებს ჩვენ ბევრჯერ შეეხვდით ჩვენი გრძელი მოთხრობის სხვადასხვა ეტაპზე, და კარგადაც გაეიცანით. მოუსვენარი ხალხი იყო — პატიემოყვარე, მტკიცე, შეუპოვარი, გაუტეხავი, ამაყი, მაგრამ სიამაყე სულაც არ უშლიდათ ხელს, ცბიერებიც ყოფილიყვნენ; ფიცხელი სისხლი ჰქონდათ და თაობიდან თაობაში გადასვლის დროს, საუკუნეების განმავლობაში ამ სისხლს სიფიცხე არ განელებია: იქნებ, გენანებათ კიდეც მათთან საბოლოო გამოთხოვება. თითქოს არც გინდათ დაიჯეროთ, რომ საბოლოოდ გადაეგნენ და მეტად აღარ შეგეხვდებიან ჩვენი მოთხრობის შემდგომ თავებში. გუმანი არ გღალატობთ, არც იფიქროთ, თითქოს ამით დამთავრებულიყოს ბაღვაშ-ორბელიანების გვარის ბობოქარი ცხოვრების თაეგადასავალი. გამძლე გენები ჰქონდათ: მალე ისევ ვიხილავთ მათ აბორგებულებს, პატიემოყვარეობის ჟინით გზნებულებს, მეფის წინააღმდეგ ამხედრებულებს...

მაგრამ ნუ ვიჩქარებთ, ჯერ ჩვენს ამბავს დავუბრუნდეთ.

ტაძრები და ეკლესიები სხვაც ბევრი აუშენებიათ იმ დროს, მაგრამ მემატიანე სათითაოდ არ ჩამოთვლის, ზოგადად აღნიშნავს. ამასთან, ტაძრებსა და კულტურის კერებს დავით მეფე მფარველობასა და მზრუნველობას უწევდა არა მარტო საქართველოს მიწა-წყალზე: ლავრანი და საკრებულონი[1] და მონასტერნი არა თვისთა ოდენ სამეფოთა, არამედ საბერძნეთისნიცა, მთაწმინდისა და ბორღალეთისანი, მერმეცა ასურეთისა და კვიპრისა, შავის მთისა, პალესტინისანი, აღავსნა კეთილითა... და მყოფნი იერუსალემისანი თვითოფერთა მიერ შესაწირავთა განამდიდრნა. კუალად უშორესცა ამათსა: რამეთუ მთასა სინასა... აღაშენა მონასტერი და წარსცა

1 ეს სიტყვა („საკრებულო") ილია აბულაძეს თავის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში" განმარტებული აქვს, როგორც — „მონასტერი, სავანე; სამონასტრო, საზოგადო". „ქართლის ცხოვრებისათვის" დართულ ლექსიკონში სიმონ ყაუხჩიშვილი განმარტავს, როგორც „შესაკრებ ადგილს". ეს განმარტებანი ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან: მონასტრებსა და ტაძრებთან, ალბათ საგანგებოდ ჰქონდათ ასეთი საზოგადო შესაკრები ადგილები. როცა რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ადგილის შესახებ მსჯელობს, ივანე ჯავახიშვილი წერს: „იყო თუ არა რაიმე დაბა ან მონასტერი, არ ჩანს, მხოლოდ ცხადია, ფართო და შესაფერისად მოწყობილი შენობები რომ არ ჰქონოდათ იქ შეკრებილთა და თავმოყრილებს, მას დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი არ უწოდებდა „ადგილს ჯეროვანს"... ამგვარი საფუძვლიანი და ხანგრძლივი მუშაობისათვის, მართლაც და შესაფერისი სადგომი იყო საჭირო".

ოქრო მრავალათასეული და მოსაკიდელნი ოქსინონი, და წიგნები საეკლესიო სრულებით"...

აქ ჩამოთვლილ მონასტრებსა და კულტურის ძეგლებს ჩვენ წინა წიგნიდან ვიცნობთ და ახლა აღარ შევჩერდებით. როცა „ბორღალეთის" მონასტერს ახსენებს, მემატიანე პეტრიწონის მონასტერს გულისხმობს.

ამავე ხანებში, გარდა გელათისა, აკადემია დაარსდა იყალთოშიაც. თელავის მახლობლად. აქ ძველი ტაძარი იდგა, და ახლა ამ ძველ ტაძართან აკადემიაც ჩამოყალიბდა. მისი დამაარსებელი და პირველი რექტორი არსენი იყო. როგორც ზემოთ ითქვა, შესანიშნავი მწიგნობარი და ფილოსოფოსი, შემდეგში არსენ იყალთოელად წოდებული.

ალბათ შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ იყალთოს აკადემიის დიდი დარბაზი, რომლის ნაშთს ახლაც აღტაცებაში მოჰყავს მნახველი, გელათის აკადემიისას ჰგავს. მკითხველისთვის იქნებ ინტერესს მოკლებული არ იყოს, რომ ჩვენმა მეცნიერებმა პირველად სწორედ იყალთოს აკადემიის შენობას მიაქციეს ყურადღება, პირველად ის დაადგინეს, რომ იყალთოს ტაძრის გვერდით ორსართულიანი შენობის ნანგრევი უძველესი სამეცნიერო აკადემიის ნაშთი იყო; მერე კი, გელათის ასეთივე შენობის მსგავსების მიხედვით ივარაუდეს — აქაც, ეს გრანდიოზული შენობის ნანგრევები აკადემიისა იქნებაო.

იყალთოსა და გრემში აკადემიის დაარსებას სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა. ეს იყო იმ სწორი სახელმწიფოებრივ-ეროვნული პოლიტიკის კიდევ ერთი გამოვლინება, რასაც საქართველოში მუდამ დიდი ყურადღება ექცეოდა, და ამიტომაც საგანგებო აღნიშვნის ღირსია: ის გონივრული პოლიტიკა, რომ ქვეყნის დიდ კულტურულ, რელიგიურ, სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციულ დაწესებულებათა და კერებისათვის ერთ ადგილას კი არ მოეყარათ თავი, არამედ სხვადასხვა კუთხეში დაეფუძნებინათ.

კერძოდ, იყალთოს აკადემიის დაარსებას ახლა, როცა ის-ის იყო კახეთ-ჰერეთი მტრის გავლენის სფეროს ჩამოშორდა და კვლავ დედა სამშობლოს შემოუერთდა, დიდი ეროვნული და პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა.

და აქვე კიდევ ერთი საგულისხმო საკითხი.

მიუხედავად იმისა, რომ ახლადდაარსებულ აკადემიებში ახალგაზრდობის აღსაზრდელად საგანგებოდ შერჩეული, საქვეყნოდ სახელგანთქმული მეცნიერები მოიწვიეს, დავითი მაინც საჭიროდ

მიიჩნევდა, ახალგაზრდობის ერთი ნაწილი განათლების მისაღებად უცხოეთში ეგზავნა. ცნობილია, რომ აღმაშენებელმა 40 ყმაწვილი გაგზავნა საბერძნეთში სასწავლებლად (სხვათა შორის, ამ ცნობას გვაწვდის სომეხი მემატიანე ვარდან დიდი). სასწავლებლები ხომ აქაც იყო, მაგრამ ამას თავისი დიდი სიკეთე და გამართლება ჰქონდა: გეოგრაფიული საზღვრის გაფართოება ახალგაზრდის თვალსაწიერს აფართოებდა... გარდა ამისა, ეს საშუალებას იძლეოდა, ჩვენს სამეცნიერო ცენტრებს უფრო მჭიდრო კავშირი დაემყარებინათ უცხოეთის კულტურულ ცენტრებთან, სისტემატური ურთიერთობა ჰქონოდათ მათთან და მოწყვეტილი არ ყოფილიყვნენ საერთო-საკაცობრიო კულტურას...

ყველაფერი გათვალისწინებული იყო.

●

როცა დავით აღმაშენებლის დროის სამშენებლო საქმიანობაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება საგანგებოდ არ აღვნიშნოთ ის უდიდესი მუშაობა, რაც გზებისა და ხიდების მოწესრიგებას დაეთმო. ეს თავისთავად მაღალი ყოფითი კულტურის ნიშანია და იმიტომაც შეეაჩერეთ მკითხველის ყურადღება. მემატიანე საგანგებოდ შენიშნავს: „...რაოდენნი ხიდნი მდინარეთა სასტიკთა ზედა, რაოდენნი გზანი, საწყინოდ სავალნი, ქვაფენილი ყენა“... ახალი გზების გაყვანასთან ერთად, ძველი დანგრეული და ძნელად („საწყინოდ“) სავალიც შეუკეთებიათ და ქვაფენილით დაუფარავთ. ხოლო არაბი ისტორიკოსის ცნობით, გზისპირას მრავალი ქარვასლა და ფუნდუკი აუგიათ.

არაბი ისტორიკოსის სიტყვები მრავალმხრივ საგულისხმოა. იგი, ისევე როგორც ქართველი მემატიანის ცნობა ხიდებისა და გზების გაცხოველებული მშენებლობის შესახებ, პირდაპირ მიგვანიშნებს, როგორ ენერგიულად იღვწოდა დავით აღმაშენებელი ვაჭრობის აღორძინებისა და შემდგომი განვითარებისთვის, რაც წინა ათეულ წლებში მტრისგან ქვეყნის აოხრების შედეგად სავალალოდ დაეცა. ამასთანავეა დაკავშირებული ქალაქების აღდგენა-აღორძინება და ახალი ქალაქების დაარსება, რაც აგრეთვე სწრაფი ტემპით წარიმართა. მეფე განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა ვაჭრებისა და ხელოსნების მიმართ. საგულისხმოა სომეხი მემატიანის ცნობა, რომ

დავითმა საქართველოში დააფუძნა ქალაქი კორა (გორი), სადაც სომეხი ვაჭრებიც დაასახლეს.

ალბათ, ვაჭრობისადმი დავით აღმაშენებლის განსაკუთრებულ ყურადღებაზე მიუთითებს ფულის მონეტები, რომლებიც იმ დროს მოიჭრა. სხვათა შორის, ამ მონეტებზე ქართულთან ერთად არაბულ წარწერებსაც ვხვდებით. ამან ზოგიერთ მკვლევარს მცდარი აზრი შეუქმნა. ჩვენ კი იმიტომ გავიხსენეთ ეს ფაქტი, რომ იგი სწორედ ჩვენთვის საინტერესო მოვლენაზე მიუთითებს — კერძოდ იმაზე, რომ დავით აღმაშენებელი ქვეყნის იმ არასახარბიელო და ვაჭრობისათვის არახელსაყრელი გარემოცვის პირობებშიაც კი ცდილობდა, საავაჭრო ურთიერთობა დაემყარებინა მაჰმადიანურ სამყაროსთან. არაბული წარწერები მონეტებზე სწორედ ამით უნდა აიხსნებოდეს! ეს მოსაზრება მახვილგონივრულად აქვს ჩამოყალიბებული განსვენებულ მეცნიერს შოთა მესხიას თავის ძალიან საინტერესო წიგნში, რომელიც დავით აღმაშენებელს მიეძღვნა.

სხვათა შორის, არაბულია ის წარწერაც მონეტაზე, რაც თქვენ ალბათ გაგონილი გექნებათ:

მეფე მეფეთა დავით ძე გიორგისი მესიის მახვილი...

ვაჭრობისათვის არასახარბიელო და არახელსაყრელი გარემოცვაო, შევნიშნეთ. განა მარტო ვაჭრობა — აღება-მიცემობის გაშლას უშლიდა ხელს ჩვენს ქვეყანაში და ჩვენი ქვეყნის ირგვლივ შექმნილი მდგომარეობა. საერთოდ, ყოველგვარ საქმიანობას აბრკოლებდა, და როცა დიდ საქმეებსა და სიკეთეს ჩამოვთვლით, რაც იმ ეპოქაში ჩვენმა ხალხმა ღირსეული მამულიშვილის ხელმძღვანელობით გააკეთა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველაფერი ეს წარმოუდგენლად რთულ პირობებში ხდებოდა — როცა მრისხანე მტრის ურდოებისგან აოხრებული ქვეყანა და აშლილი ცხოვრება ძლივს „მოეგო თავის კვალს“, ძლივს „მოეშენა“; როცა სამხრეთითა და აღმოსავლეთით კვლავ მოძუძგურებული მტერი დგას და ხელსაყრელ შემთხვევასღა ელის, რომ ურიცხვი ლაშქრით შემოესიოს ქვეყანას; როცა ქვეყნის გული და მის მახლობლად მდებარე დიდი ციხეები ისევ მტერს უჭირავს...

იმ პირობებშიაც კი დავით აღმაშენებელს მხედველობიდან არ გამორჩენია ისეთი მნიშვნელოვანი დარგი, როგორიც არის მართლმსაჯულება, სამართლის საქმე.

მემატიანე საგანგებოდ შენიშნავს: გამუდმებული ლაშქრობების დროს მეფე, ბუნებრივია, ვერ მოიცლიდა, ყველა უსამართლოდ

დაჩაგრულისა თუ შეეიწროებულის საჩივარი მოესმინა და დახმარებოდა („რამეთუ სლვათა შინა თვისთა სამეფოთასა სიმრავლითა სპათათა და სიმალითა სლვისათა ვერ ადვილად მიემთხუეოდიან მოჩივარნი და დაჭირვებულნი"...).

აქვე ცოცხალ სურათს გვიხატავს მემატიანე, როგორ „მიემთხუევიან" შველისა და შემწეობისათვის ლაშქრობიდან დაბრუნებულ ან ლაშქრად მიმავალ მეფეს უკიდურესად გაჭირვებული და უსამართლოდ დაჩაგრული ადამიანები, როგორ აძვრებიან ხოლმე ხეებზე, ან ბორცვებსა და კლდეებზე როგორ აბობღდებიან, რათა მეფის ყურადღება მიიპყრონ და ხმა მიაწვდინონ: „...განაღა ვიეთღამე რომელთა საჭიროდ უხმდის განკითხვა და შეწევნა მეფობრივი, ნუ უკუე და ვინმე აღვიდის ბორცუსა ზედა რასმე, გზისა მახლობელსა, ანუ კლდესა, გინა ხესა, ვითარცა ზაქე- უკეთუ ოდენ ეპოვის ესევითარი რამე, და მუნით საცნაურ უყვის ჭრტინვა თვისი"...

ერთი სიტყვით, ადვილად ვერ მიაწვდენდნენ ხოლმე ხმას და თავის გასაჭირს ვერ გააგებინებდნენ. ამიტომ მეფემ საგანგებო დაწესებულება შექმნა — „დაედგინნეს კაცნი მართლად მცნობელნი და განმკითხვარნი მოჩივართანი"...

ეს იყო ერთგვარი უზენაესი სასამართლო დაწესებულება (კოლეგიურ წესზე აგებული, სამი მსაჯულისაგან შემდგარი საქართველოს უზენაესი სასამართლოო, ივანე ჯავახიშვილი შენიშნავს), რომელსაც „სააჯო კარი" ერქვა. ამ დაწესებულებას სათავეში ედგა ქვეყნის პირველი ვაზირი. ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი — „მართლმსაჯული და ხელმპყრობელი უღონოთა და ქერივთა".

იმ დრომდე, მეფე იყო პირველი მსაჯული სახელმწიფოში, მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, მუდმივ ლაშქრობაში მყოფსა და სახელმწიფო საქმეებით მეტისმეტად გადატვირთულ მეფეს, უკვე აღარ შეეძლო გასძღოლოდა ამ თავისთავად დიდ საქმესაც, რომელიც ამასთან განსაკუთრებულ სიფრთხილესა და აუჩქარებელ, ფაქიზ დამოკიდებულებას მოითხოვდა. როგორც ირკვევა, სწორედ დავით აღმაშენებლის დროიდან დაეკისრა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესს ეს მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობა. ის ხომ პირველი ვაზირი იყო, მეფის პირველი მრჩეველი და გზის თანაგანმკაფელი. მეფე მას ყოველგვარ საკითხს უთანხმებდა და რჩევასა ჰკითხავდა... აქედანვე ჩანს, რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა დავით აღმაშენებელი სამართლის საქმეს და კანონიერების დაცვას.

„ხელმწიფის კარის გარიგებიდან“ ეგებულობთ, რომ ჭყონ-დიდელს სასამართლოს საქმეების გასარჩევად და მოჩივართა მისაღებად საგანგებო დღე ჰქონდა დანიშნული: ყოველ ორშაბათს იგი სასამართლოში — სააჯო კარში — მოჩივრებს იღებდა, ქვრივ-ობლებსა და მიმძლავრებულებს (უსამართლოდ დაჩაგრულებს) განიკითხავდა; საგანგებოდ დააგზავნიდა საამისოდ გამოყოფილ ხალხს და ამოწმებდა, რამდენად სწორი იყო საჩივარი, არკვევდა, თუ ვის რა აწუხებდა, ვის რა უჭირდა... როცა შეატყობდა, უმისოდ საქმეს ვერ მოაწესრიგებდნენ, ადგებოდა და, რა დროც უნდა ყოფილიყო, თვითონვე მივიდოდა, თვითონვე გაარკვევდა ყველაფერს, სამართალს გააჩენდა („ადგების და თვით მივა და მაშინ იურვის, რაც ვის უსამართლო სჭირს“), სანამ ყველაფერს არ მოაწესრიგებდა, არ მოეშვებოდა („არ მოეშვების, რომ არ დაიურვოს“).

ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს, როგორი დიდი სახელმწი-ფოებრივი მნიშვნელობა ენიჭებოდა სამართლის საქმეს.

აქვე უნდა შევნიშნოთ: დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი რომ ქართველი მეფის მოღვაწეობიდან მართლმსაჯულების საკითხს ცალკე გამოყოფს, ეს შემთხვევითი სულაც არ არის, წინა საუკუნეთა მემა-ტიანენიც საგანგებოდ ამახვილებდნენ ამაზე ყურადღებას. თავიანთ მოკლე ქრონიკებში, სადაც ძალზე შეკუმშულად არის მოთხრობილი მთავარი ისტორიული მოვლენები, იმასაც გადმოგვცემენ ხოლმე, რა მდგომარეობა იყო ამ მხრივ ქვეყანაში, უთმობდა თუ არა სათანადო ყურადღებას ესა თუ ის მმართველი სამართლის საკითხებს, ახალი რა გააკეთა, რა ნაბიჯი გადაიდგა წინ... თანაც, ასეთი საუბარი პირუთვნელი და ზოგჯერ საკმაოდ მკაცრიც იყო.

ბაგრატ მეოთხეზე, მაგალითად, მემატიანე წერს: მის დროს სრული განუკითხაობა იყო, უსამართლობა ზეიმობდაო, „ეკლესიანი, გლახაკნი, აზნაურნი ვერ იკითხვებოდესო“... გაკიცხვითაა ეს ნათ-ქვამი. გაკიცხვით და გულისტკივილით. და საგულისხმო ის არის, რომ ამას მარტო მემატიანე კი არ შენიშნავს, სხვებისთვისაც საწუხარი და სავალალო გამხდარა ეს ამბავი, მაშინდელი ინტელიგენციისთვის, მათთვის, ვინც ქვეყნისა და ხალხის ბედზე ფიქრობდნენ.

„გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების“ ავტორის გადმოცემით, ბიზანტიიდან საქართველოში მეფის მოწვევით ჩამოსულმა დიდმა მწიგნობარმა და მოღვაწემ პირველად ყოვლისა, სწორედ ბაგრატ მეოთხის უსამართლობა ამხილა. პირველად ყოვლისაო, საგანგებოდ უსვამს ხაზს „ცხოვრების“ ავტორი: „...პირველად ყოვლისა აღლესა

მახვილი მხილებისაი მეფისა მიმართ მრავალთა უწესობათათვის... რათა უშჯიდეს ობოლსა და ქვრივსა სიტყვისაებრ დავითისა (აქ დავით წინასწარმეტყველია ნაგულისხმეი)... რ ა თ ა ა რ ა მ ი-ს დ რ ე კ დ ე ს ს ა ს წ ო რ ს ა ს ი მ ა რ თ ლ ი ს ა ს ა დიდისა მიმართ, გინა მცირისა... რათა ყოველი არაწმიდებაი და უწესობაი მოისპოს თვით მისგან პირველად და მერე ერისა მისისაგან"...

დააკვირდით: პირველად თვითვე მისგანო!

ხედავთ, რა ნათლად და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული მართლმსაჯულების არსი! საინტერესო ის არის და მეც იმიტომ შევაჩერე მკითხველის ყურადღება, რომ „ცხოვრების" ავტორს თითქოს გაუმეორებია უფრო ძველი ძეგლის დებულებები, სადაც ასევე ნათლად და თითქმის ამავე სიტყვებით ყოფილა ეს ჩამოყალიბებული გაცილებით უფრო ადრე შედგენილ სამართლის წიგნში.

ამას ჩვენ ახლავე გავეცნობით, ჯერ კი ის უნდა შევნიშნოთ, რომ სულ სხვა ვითარება ყოფილა ბაგრატ მეოთხის პაპის, ბაგრატ მესამის დროს. იგივე მემატიანე, ვინც ბაგრატ მეოთხე ასე პირუთვნელად და მკაცრად დაგვიხასიათა, ბაგრატ მესამეზე გადმოგვცემს: „...იყო გლახაკთა მოწყალე და სამართლის მოქმედი ყოველთა კაცთათვის".

ივანე ჯავახიშვილი წერს: „უეჭველია, ამ მეფეს (ბაგრატ მესამეს) სამართლის საქმისათვის სხვებზე მომეტებით უზრუნვია და გაუკეთებია კიდეც"... და დიდ მეცნიერს მოპყავს შესავალი ნაწილი წიგნისა, რომელიც შეუდგენიათ ბაგრატ მესამის „ბრძანებითა და მერმე ეპისკოპოზთა, დიდებულთა და აზნაურთა და ჭკვიანთა კაცთა მეფეთა წინაშე ერთბაშად გაჩენილი განგებითა ღვთისათა"...

ხედავთ, რა ავტორიტეტული კომისიისთვის დაუვალებია მეფეს კანონმდებლობის შედგენა!..

და, აი, ის შესავალიც — სწორედ ამაზე ვამბობდით, „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების" ავტორს თითქმის გაუმეორებიაო:

„ვინც საბჭოდ სჯდებოდეთ და მართალსა საჩივარსა მართლად მოიხსენიებდეთ, თქვენთა გულთა შიგან ღვთის შიში უნდა დაიჭიროთ და არვის ს თ ნ ი ო თ — არა მამასა და დედასა, არა პატრონსა, არა ძმათა და მეყვისთა არას ქრთამის ქადებისათვის არადარა, მართალი სამართალი უნდა გააჩინოთ"...

ამას ვკითხულობთ არა ბაგრატ მესამის დროინდელ, არამედ გაცილებით უფრო მერმინდელ ქართული სამართლის წიგნში. თანაც, ეს სიტყვები აქ შესავალად კი არ წარმოგვიდგება, არამედ იმ სამართლის წიგნის ერთ-ერთ მუხლად.

მაშ, რატომ ვუკავშირებთ ამ გაცილებით უფრო გვიანდელ შედგენილ წიგნს ბაგრატ მესამეს? ან „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების“ ავტორს, რომელიც აგრეთვე უფრო ადრინდელია, როგორ შეეძლო გაემეორებინა გაცილებით უფრო მოგვიანებით შედგენილი წიგნის სიტყვები?

ივანე ჯავახიშვილმა დაამტკიცა, რომ ზემოთ მოტანილი სიტყვები დაწერილია ბაგრატ მესამის დროს და შესავალ ნაწილად ჰქონდა წამძღვარებული სამართლის წიგნს, რომელიც ბაგრატ მესამისავე დავალებით შეუდგენიათ. დროთა ვითარებაში ეს წიგნი დაკარგულა, ხოლო ძველი წიგნის შესავალი ნაწილი უფრო მოგვიანებით შედგენილ სამართლის წიგნში ერთ-ერთ მუხლად გადმოსულა. ჩვენ არ ვიცით, რა კონკრეტული სამართლებრივი მუხლები მოსდევდა ამ შესავალ ნაწილს. იმ მუხლთაგან ბევრი, რაღა თქმა უნდა, მერმინდელ წიგნებშიაც გადმოვიდოდა; კერძოდ, იმ წიგნშიაც, სადაც ზემოთ მოტანილი შესავალი ცალკე მუხლად შესულა. ბუნებრივია, რომ ეს კანონები სათანადო ცვლილებებს განიცდიდა, დაიხვეწებოდა, ახალი რედაქციით გადმოვიდოდა... შესავალი ნაწილი კი, სწორედ იმიტომ, რომ ზოგად მსჯელობას შეიცავს, უცვლელად გადმოვიდა...

●

თბილისის გათავისუფლება ისე ვერ მოხერხდებოდა, თუ ჯერ მისი ახლომდებარე ციხეებიდან არ განდევნიდნენ მტერს. „რუსთავი და სომხითი, და ყოველი სამშვილდე და აგარანი“ ისევ თურქების ხელში იყო, მემატიანე გადმოგვცემს.

აბა, თვალსაჩინოდ მოვხაზოთ, რა მნიშვნელობა აქვს ამ ადგილებში განლაგებულ ციხეებს თბილისისათვის. რა თქმა უნდა, ეს ჩვენი მონახაზი ტლანქია, მიახლოებითი, მხოლოდ ზოგადი წარმოდგენისთვის, რუკის სიზუსტის პრეტენზია არა აქვს. ისე კი, აშკარად ჩანს — აბა, კარგად დააკვირდით — ამ ციხეების მნიშვნელობა და არა მარტო სტრატეგიული, არამედ ეკონომიკურ-პოლიტიკურიც... ეს ციხეები „თბილისის მისასვლელებს იცავდნენ და ერთიან მძლავრ თავდაცვის სისტემას ქმნიდნენ“, ეკითხულობთ „თბილისის ისტორიაში“.

ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც რუსთავი და სამშვილდე ჩანს — უძველესი ქართული ციხე-სიმაგრეები და ქალაქები.

● თბილისი

● სამშვილდე

● რუსთაი

● დმანისი

და აი, დადგა ჯერი სამშვილდის გათავისუფლებისა.

მეფემ ჩვეულ ხერხს მიმართა — დასავლეთ საქართველოში გადავიდა: „რა მეფე გარდავიდის აფხაზეთად, უმცრორე ეშინოდის თურქთა და მათთა ციხოვანთაო“, მემატიანე გვაუწყებს. რაკი ქართველი მეფე შორს ეგულებოდათ, თურქები უფრო თამამად იყვნენ, სიფხიზლე მოდუნებული ჰქონდათ. ეს ყველაფერი წინასწარ იყო გათვალისწინებული. ამიტომაც გაემგზავრა მეფე დასავლეთ საქართველოში.

მაგრამ, სანამ სამშვილდის ბედს გავიგებდეთ, ერთ საგულისხმო ფაქტზე უნდა შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება. ამ ამბებს რომ გადმოგვცემს მემატიანე, იქვე პირველად ახსენებს სიტყვას — გეოგრაფიულ ტერმინსა თუ სახელწოდებას — რასაც მანამდელ წყაროებში არა ეხვდებით, ეტყობა, ახალი შემოღებულია. მემატიანის ზემოთ მოტანილ წინადადებას უშუალოდ მოსდევს ასეთი ფრაზა: „მას ჟამსა მეფე გარდავიდა ი მ ე რ ე თ ს“...

იმერეთი ახლა ქვეყნის ერთ-ერთი კუთხეა — დასავლეთ საქართველოს ნაწილი, მისი აღმოსავლეთი მხარე, — და აქაური ხალხი, საქართველოს სხვა კუთხეთა დარად, განთქმულია შრომის სიყვარულით, შემართებით, სიდარბაისლით, სტუმართმოყვარეობით...

„ზრდილნი არიან იმერნი, მტერთა მიმცემი რისხვისა“, — წერს უფრო მოგვიანო ეპოქის პოეტი.

ან: განთქმულია „გმირი იმერი ზრდილობით“...

ეს სიტყვები კიდევ უფრო მერმინდელი დროის მწერალს ეკუთვნის.

საუკუნეთა განმავლობაში დაიმკვიდრა ამ მშვენიერი კუთხის ხალხმა ასეთი სახელი.

ამრიგად, იმერეთი ახლა საქართველოს ერთ-ერთი კუთხის სახელია, მაგრამ თავიდან ასე არ ყოფილა და საგულისხმოც სწორედ

ეს არის. პირველად რომ გაისმა ეს სიტყვა, გაცილებით უფრო ფართო ტერიტორიას გულისხმობდა და მნიშვნელობაც ძალიან ღრმა და ფართო მასშტაბისა ჰქონდა. ლექსიკონებში რომ ნახავთ ამ სიტყვის განმარტებას — „საქართველოს ერთ-ერთი კუთხე, ლიხის ქედის დასავლეთით" — იქვე შენიშნავს წაიკითხავთ და მიხვდებით, რომ „იმერეთი" ძველი მნიშვნელობით, საერთოდ მთელი დასავლეთი საქართველოს სახელწოდება ყოფილა. ძველი მნიშვნელობითო, გადმოგვცემს ლექსიკონი. და იმასაც გვაუწყებს, რომ სასაუბრო მეტყველებაში დღემდე შემორჩენილა ის ძველი მნიშვნელობა, ახლის პარალელურად. მაშინ კი, იმ დროს, როცა პირველად გაისმა ეს სიტყვა, მარტო ის ფართო მნიშვნელობა ჰქონდა.

ფაქტიურად, უბრალო სიტყვა კი არ იყო ეს — ღრმა აზრი იყო, ღრმა იდეა, და განუსაზღვრელად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ზოგჯერ მარჯვედ შერჩეული სიტყვა თუ სახელი, არა მარტო ამ სიტყვით კონკრეტულად გამოხატულ ცნებას გვაგებინებს, არამედ გაცილებით უფრო დიდ როლს ასრულებს ხალხის ფსიქიკაში.

ეს ტერმინი დავით აღმაშენებლის მიგნებული უნდა იყოს... ან რომელიმე მისი „განმზრახისა", ერთ-ერთი ბრძენი მამულიშვილისა.

ბედნიერი მიგნება იყო!

დავით აღმაშენებლის მთავარი საზრუნავი ხომ საქართველოს გაერთიანება იყო. მთელ მის მოღვაწეობაში ცხადად გამოიკვეთება ეს დიდი იდეა და მისწრაფება...

ახლა დააკვირდით: ეს ახალი ტერმინი სიტყვის ისეთი ძირიდან არის ნაწარმოები, რაც იქვე მეორე სიტყვას გულისხმობს, თავისივე განაყოფს, თავისიეე ტყუპისცალს... „იმერს" რომ ვიტყვით, იქვე „ამერსაც" ვგულისხმობთ, ამათი დაშორება არ შეიძლება, არ მოხერხდება, სიტყვის მკაფიოდ და ნათლად გამოხატული მნიშვნელობა არ მოგვცემს ამის საშუალებას. და როცა სიტყვა „იმერეთი" მთელი დასავლეთი საქართველოს სახელად გაისმა, მას თავისთავად ამოუდგა გვერდში თავისი მეორე განუყოფელი ნაწილი ამერეთი, როგორც მისი ძმა, მისი ტყუპისცალი, განუყრელი და განუყოფელი. მხოლოდ ლიხის ბუნებრივი ზღუდე ჰყოფდა ამ ორ ძმას, ისე კი ერთი იყო — ამერი და იმერი...

მაშინდელი ფეოდალური დაქსაქსულობის პირობებში — როცა გარეშე მტერიცა და გაერთიანება-შეკავშირების მოწინააღმდეგე ადგილობრივი ფეოდალებიც ყოველნაირად უშლიდნენ ხელს ამ გაერთიანებას და ქვეყნის დაფლეთა-დაქუცმაცებას ლამობდნენ —

ადამიანთა ფსიქიკაში ასეთი აზრის დამკვიდრებას განუზომელად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, და ბედნიერად მიგნებულმა სიტყვამ მართლაც დიდი როლი შეასრულა...

მერე, საუკუნეთა განმავლობაში, თანდათან მტკიცდებოდა და ყალიბდებოდა ეს დიდი ცნება.

„ჭირიც და ლხინიც საერთო — კავშირი იმერ-ამიერ"!..

სამშობლო „უხმობს იმერთ და ამერთა, ვისაც თავი აქვს შეელისა"...

პირველი სტრიქონი აკაკი წერეთელს ეკუთვნის, მეორე — ვაჟა ფშაველას... როგორც ხედავთ, ამ სტრიქონებშიაც იმ ფართო მნიშვნელობით არის ნაგულისხმევი სიტყვა. ხშირად შეახსენებდნენ ხოლმე ამას ჩვენი სასიქადულო მწერლები ხალხს — უკვე მოგვიანებითაც კი, როცა სიტყვას პირვანდელი ფართო მნიშვნელობა თითქმის დაკარგული ჰქონდა...

ხალხურ ზღაპრებშიაც, მსუბუქი და უწყინარი იუმორით რომ ეპაექრება ერთმანეთს ეს ორი ძმა, ესეც მათ განუყრელობას და მათი ძმობის განმტკიცებას უწყობდა ხელს.

ერთი სიტყვით, მეთორმეტე საუკუნიდან, ანუ დავით აღმაშენებლის დროიდან, მთელს დასავლეთ საქართველოს უკვე იმერეთი ეწოდება.

ეგრისის ქვეყანა, ანუ აფხაზეთი, ანუ იმერეთი, წერს ვახუშტი ბატონიშვილი, „პირველად ეგრისი, მეორედ აფხაზეთი, მესამედ იმერეთი" და ამას მოსდევს სიტყვები, რაც მიგვანიშნებს, რა იდეას ემყარებოდა ამ ახალი სახელწოდების შემოღება.

●

ისევე ჩვენს ამბავს დავუბრუნდეთ.

სამშვილდის გათავისუფლების ჯერიც დადგა, ვთქვით. დედაქალაქის გათავისუფლება ისე ვერ მოხერხდებოდა, თუ ჯერ მტერს მის ახლომდებარე ციხეებიდან არ განდევნიდნენ. ჯერ სამშვილდეს თუ არ გაათავისუფლებდნენ, თბილისზე იერიშს აზრი არა ჰქონდა.

კლდეკარის გამგებელი ხომ გიორგი ჭყონდიდელის დისწული თეედორე იყო, მეფის ერთგული „გონიერი" კაცი... სწორედ ეს თეედორე, აბულეთი და ივანე ორბელი მიეახლნენ გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესს, სწრაფად გაილაშქრეს სამშვი-

ლდეზე და მტერმა გონს მოსელაც ვერ მოასწრო, რომ ეს დიდი და მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქი აღებული იყო. „სიმარჯვით მოიპარეს სამშვილდეო“, მემატიანე წერს: ეს გამოთქმა სწორედ იმას მიგვანიშნებს, რომ მოულოდნელად და უცებ, დიდი სისწლის დაუღვრელად მომხდარა ყველაფერი. აქ უკვე გიორგი ჭყონდიდელის დიდი სამხედრო ნიჭიც უნდა ვიგულისხმოთ.

ეს უძველესი ქართული ციხე-სიმაგრე, სტრატეგიული თვალსაზრისით — ერთ-ერთი ყველაზე უმნიშვნელოვანესი, სიმტკიცით — ერთ-ერთი უმტკიცესი, ხოლო მდებარეობით — შეუდარებელი სილამაზისა, კლავ დედა-საქართველოს დაუბრუნდა. ამჯერად, უკვე დიდი ხნით. როგორც ვხედავთ, ამ გამარჯვებას განუსაზღვრელად დიდი პოლიტიკური და მორალური მნიშვნელობა ჰქონდა.

აი, სად გამოადგა მეფეს, რომ ორგული ერისთავის ნაცვლად კლდეკარში თავისი ერთგული ადამიანი ჰყავდა. სწორედ იქიდან დაიძრებოდა ლაშქარი სამშვილდისაკენ.

სამშვილდის აღებით ქართველი მეფის მდგომარეობა ერთბაშად გაუმჯობესდა. სამშვილდე ახლა პირდაპირ კლდეკარს უერთდებოდა და სამხრეთის ამ ორი ძლიერი ციხე-ქალაქის კავშირი დიდი სიკეთე იყო ქვეყნისთვის. აქ გადიოდა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოკლე და მარჯვე სავაჭრო-საქარავნო გზა და ამდენად, ეკონომიკური თვალსაზრისით იყო სასარგებლო. მეორეს მხრივ, ქვეყნის სამხრეთით, თრიალეთის ზეგანზე აღმართულ ამ ორი უძლიერესი ციხის კავშირს სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა — ჯერ ერთი, თბილისის გათავისუფლებისთვის და, მეორეც, იმ დიდი ბრძოლების დროს, რაც სამხრეთით იყო მოსალოდნელი, რამდენადაც მტერი სწორედ სამხრეთით ახდენდა თავისი ძალების კონცენტრაციას.

რა პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა ამ ციხის აღებას, იმავე ღამეს დამტკიცდა:

„ცნეს რა თურქთა აღება სამშვილდისა, უმრავლესნი ციხენი სომხითისანი დაუტევნეს და ღამით მეოტ იქმნნეს“... „სომხითისანიო“, როცა წერს (ამ ტერმინს ალბათ დააკვირდით კიდეც, ხშირად ვხედებით ძველ წყაროებში), აქ ქართლის სამხრეთი პროვინციები იგულისხმება.

როგორც კი იხილეს, სამშვილდე დაეცაო, ისეთმა პანიკამ მოიცვა სამხრეთის მომცრო ციხე-სიმაგრეების გარნიზონები, რომ არც ქართველების ჯარს დაელოდნენ, აღარც თავიანთი უფროსების

ბრძანებას, დაპკრეს ფეხი და იმავე ღამეს გადაიხვეწნენ — სიბნელეში იქნებ ვერ დაგვინახონ და გადავრჩეთო.

დაახლოებით ამასვე მოელოდნენ ქართველები, როცა სამშვილდის ასაღებად გაილაშქრეს.

აბა, ცოტათი გავაფართოოთ ის ჩვენი მონახაზი, კლდეკარიც დავუმატოთ, რათა უფრო აშკარა და თვალსაჩინო გახდეს, როგორ ერთბაშად გაუმჯობესდებოდა ქართველთა მდგომარეობა სამხრეთის ამ ორი დიდი პუნქტის შეკავშირებით.



საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო — ახლა იმ პატარა ციხეების გუშაგთა მოქმედებაც უფრო მისატევებელი ჩანს: მართლაც აზრი აღარ ექნებოდა წინააღმდეგობას და გაცლა ამჯობინეს.

ამავე წელს ქართველ მეფეს განძა დაულაშქრავს და აუღია...

ეს იყო 1110 წელს.

ეტყობა, მოგვიანებით შემოირტყეს თურქებმა თავში ხელი, ეს რა მოგვიეიდა, ჯერ იყო და სამშვილდე ასე იოლად დავთმეთ, მერე კი წერილი ციხეები ჩვენი ნებით დავუტოვეთ ქართველებსაო. შურისძიების გზნებით აღიესნენ, თითქოს მართლაც დაეკარგოთ რამე და ის დიდი ციხე-ქალაქიცა და პატარა ციხეებიც სინამდვილეში მათი ყოფილიყოს. საჭიროდ ჩათვალეს, სწრაფად გამოესწორებინათ მდგომარეობა, სწრაფად გამოესყიდათ თავიანთიანი „შეცდომა". საკუთარი თავის პოლიტიკური რეაბილიტაცია მოეხდინათ.

ბევრი აღარ უფიქრიათ. მოამზადეს დიდი ლაშქარი (100.000 კაცი, დავითის ისტორიკოსი წერს; ვახუშტის ცნობით, 200.000 მეომარი ჰყოლიათ, ოღონდ საიდან აქვს ვახუშტის ეს ცნობა, გაუგებარია: ალბათ, დავითის ისტორიკოსი უფრო სარწმუნოა), და ამოდენა ლაშქრით გულმოცემულებმა და უეჭველ გამარჯვებაში დარწმუნებულებმა ქართველი მეფის იმერეთში გადასვლას აღარ დაუცადეს, პირდაპირ დაიძრნენ თრიალეთისკენ.

ქართველი მეფე ამ დროს ნაჭარმაგევში მდგარა, თან მცირე-

რიცხოვანი ჯარი ხლებია — 1.500 ტაძრეულიო[1], მემატიანე წერს. საღამო ხანს გაუგია მეფეს თრიალეთში მტრის ჯარის შემოსვლის ამბავი. ეტყობა, დაცდისა და ჯარის შეგროვების დრო აღარ იყო — თუ მტერი მთავარი ციხეების აღებას მოასწრებდა თრიალეთში, მერე უფრო გაძნელდებოდა საქმე. დაიძრა დავით აღმაშენებელი, იმ ათასხუთასიანი მხედრობით თრიალეთისკენ, მთელი ღამე იარა და გათენებისას თურქების ლაშქარს წაადგნენ თავს („მეწინავე რაზმსაო", ივანე ჯავახიშვილი ვარაუდობს).

მტრის ლაშქარს უკვე მოესწრო დაბანაკება, კარვების გამართვა... საგულდაგულოდ ემზადებოდნენ დიდი ბრძოლების მოლოდინში, კიდეე არაფერი შეცდომა მოგვიიდესო, ბრძნული სიფრთხილით მოქმედებდნენ, უეჭველი გამარჯვებისთვის ემზადებოდნენ...

ბრძენი სიფრთხილით წახდებაო — სიფრთხილეს მაშინ ექნებოდა აზრი, მოწინააღმდეგის სავარაუდებელი მოქმედებაც რომ გაეთვალისწინებინათ. ზედმეტი სიფრთხილე გამოუვიდათ. ქართველების ასე უეცარი გამოჩენა მოულოდნელი გამოდგა. ეტყობა, ამ მოულოდნელმა გამოჩენამაც თავისი ქნა. სწორედ ეს ჰქონდა ნავარაუდევი ქართველ მეფეს, ათასხუთასიანი რაზმით რომ გაემართა იმოდენა ლაშქრის წინააღმდეგ. რისკი იყო, მაგრამ გამოცდილი სარდლის მიერ კარგად მოფიქრებულ-დამუშავებული. დავითის სახელი ისედაც უკვე შიშის ზარი იყო მტრისთვის. მეფის მხლებელი მხედრობაც, უნდა ვიფიქროთ, დარჩეული ვაჟკაცები იქნებოდნენ. გაიმართა ფიცხელი ბრძოლა და „მიდრეკასა დღისას (ესე იგი, მზე რომ გადაიხარა), მიდრკეს სიელტოლად ესოდენ ზარგახდილნი და მოსწრაფენი"...

მორალურად გაუტეხიათ მტრის ლაშქარი, გაუქცევიათ. კარვებისთვისაც აღარ მიუხედავთ, ისე კუდამოძუებულები გაქცეულან „არცა თუ კარავთა მათთა და ჭურჭელთა მოხედნეს ყოვლად... ესრეთ განიბნივნეს თვისთა ქუეყანათა").

მაგრამ იმდენად მოულოდნელი და დაუჯერებელი იყო ათას ხუთასი კაცით ამოდენა ლაშქრის დამარცხება, რომ ქართველებსავე აღარ სჯეროდათ — ალბათ, გატყუება უნდათ ჩვენი და იმიტომ გაიქცნენო, და შორს აღარ გაჰყვნენ, აღარ გასდიეს.

---

1 ნიკო ბერძენიშვილის განმარტებით „ტაძრეულნი" სამხედრო პირნი არიან, რომელნიც სასახლეში (ტაძარში) სხვადასხვა საქმეს ასრულებდნენ: იყვნენ მეფის ტალანი, გუშაგნი, მესაწოლენი და სხვა დავალებათა შემსრულებელნი.

ამ ამბებს რომ გადმოგეცემს მემატიანე, იქვე შენიშნავს, რომ ამის შემდეგ გიორგი ჭყონდიდელმა რუსთაველიც გაათავისუფლა. მეფე ამ დროს მუხრანში მდგარა და ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია. უშუალო მონაწილეობა არ მიუღია ბრძოლაში, თორემ ისე, რაღა თქმა უნდა, მისი მოფიქრებული და მომზადებული იყო. ალბათ, გამზადებული იქნებოდა — თუ შეატყობინებდნენ, შენი დახმარებაა საჭიროო, მაშინვე გაემართებოდა. მაგრამ არა, ჭყონდიდელს მეფის შეელა აღარ დასჭირვებია — რუსთაველი გათავისუფლდა და ამით თბილისის გათავისუფლების გზაზე მტრის კიდევ ერთი სიმაგრე მოიშალა.

რკალი თბილისის ირგვლივ თანდათან ვიწროვდებოდაო, მკვლევარები შენიშნავენ. მართლაც, ხომ ხედავთ, როგორ თანდათან იკვრება და ვიწროვდება წრე თბილისის გარშემო, როგორ დინჯად და მტკიცედ! ეს უკვე შემთხვევითი ბრძოლები აღარ არის — საცა უფრო ადვილად მიეაღწევ გამარჯვებას, იქ შეეუტევო. როგორც ითქვა, მეფემ ამ დროისათვის უკვე თავი მოუყარა ლაშქარს, საგულდაგულოდ გაწვრთნა, კარგად აუღო ალღო თურქების საომარ ტაქტიკას და უფრო ეფექტური მოქმედება დაიწყო, წინასწარ დასახული გეგმის მიხედვით.

მაგრამ თბილისზე შეტევას ჯერ არა ჩქარობდა მეფე-სარდალი. ჯერ მთლად ვერ მოეშორებინა მტრის მოთარეშე რაზმები, რომლებიც ისევ და ისევ გამოჩნდებოდნენ ხოლმე ხან აქ, ხან იქ, ხან სად და ხან სად. დავით აღმაშენებელმა უფრო გაახშირა ამ მოთარეშე რაზმების დალაშქვრა.

რუსთაველის დაკარგვა განსაკუთრებით მძიმე გამოდგა თურქებისთვის. აქედან მეფე, ეტყობა, უფრო მარჯვედ ზვერავდა მათი რაზმების სამყოფელს და მოულოდნელად ესხმოდა თავს. წინასწარ დაზვერავდნენ, შეამოწმებდნენ რაზმების ძლიერებას და მოულოდნელად დაესხმოდნენ, დაამარცხებდნენ არა ერთგზის, ორგზის ან თუნდაც სამგზისო, მემატიანე შენიშნავს, არამედ მრავალგზისო.

ეს იყო პატარ-პატარა ბრძოლები, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი, რამდენადაც ამით, ჯერ ერთი, სულ უფრო და უფრო უმტკიცდებოდა ჩვენს ხალხს გამარჯვების რწმენა — ხალხი გამარჯვებას ეჩვეოდა; მეორე: ზღვა კოვზით დაილიაო — თანდათანობით ირყეოდა თურქების

ძლიერება და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ირღვეოდა მითი მტრის უძლეველობისა; მესამე: ამითვე მზადდებოდა ნიადაგი თბილისზე გენერალური შეტევისათვის.

●

სანამ თბილისის ასაღებად მოემზადებოდა, მეფეს კიდევ მოელოდა რამდენიმე დიდი ბრძოლა.

ერთი ასეთი ბრძოლა 1116 წელს გაიმართა. ამჯერად უკვე არა ქვემო ან შიდა ქართლში, არამედ უფრო შორს, სამხრეთ-დასავლეთით, მრავალტანჯულ ტაოში.

ეტყობა, თურქებს მოეჩვენათ, რომ ამ მხარეში ქართველებს მოდუნებული ჰქონდათ ყურადღება და გადაწყვიტეს, ახლა აქეთ გაეხშირებინათ რბევა; ზამთრის სიფიცხესა და მთების საფარველს მიენდვნენო, მემატიანე გადმოგვცემს და „ტაოს ჩამოდგეს... ხარგებითაო" — ტაოს მხარეს დაბანაკდნენ. ძალიან დამშვიდებულები ყოფილან, იმის შიში არა ჰქონიათ, ქართველები დაგვესხმიანო.

როგორც მოსალოდნელი იყო, დავით აღმაშენებელმა არ დააყოვნა, ქართლის ჯარები საომრად გამზადებული დატოვა, თვითონ კი, ვითომც არაფერიო, ბრძოლას ვითომ სულაც არ აპირებდა, ქუთაისს გაემგზავრა. თურქებს მზვერავები ჰყავდათ, ქართველი მეფის წასვლა-წამოსვლა არ გამოეპარებოდათ — „...რამეთუ მათნიცა მსტოვარნი ზედა ადგიან მეფესა და ეძებდიან გზათა მისთა", მემატიანე წერს; რაკი ნახეს, მეფე თავისი დიდი ამალით ქუთაისს გაემგზავრაო, გული უფრო დაიარხეინეს; რას წარმოიდგენდნენ, რომ საშინელ ზამთარში მაშინვე უკან გამობრუნდებოდა.

იმ შუა ზამთარში („თუესა თებერვალსა") დავით აღმაშენებელმა ქართლელებსა და მესხებს შეუთვალა (ესენი ხომ წინასწარვე დატოვა საომრად გამზადებულები) — ამა და ამ დღეს კლარჯეთში შევიყაროთო. თვითონ ქუთაისიდან ხუფათს ჩავიდა თავისი ამალით და იქიდან კი სწრაფად შემოჰყვა ჭოროხის ხეობას. დათქმულ ადგილას ქართლელი და მესხი მეომრები დახვდნენ, დაესხნენ თავს „გულდებით მსხდომ" თურქებს და მუსრი გააელეს, ბასიანიდან კარნიფორამდე სდიეს და გარეკეს; წამოიღეს დიდძალი ნადაელი — „ცხენები, ცხოვარი, აქლემები და ყოველი ნაქონები მათი, რომლითა აღიესო ყოველი სამეფო მისი ყოვლითა კეთილითა". სამეფო ხაზინა

განძეულობით ივსებოდა, თაელები კი — ცხენებით... ცხენები მეფეს მალე დასჭირდებოდა.

გამარჯვება გახდა ქართველების განუყრელი თანამგზავრი.

მომდევნო წლებში ქართველებმა აიღეს ჰერეთის ციხე გიში (1117 წელს), შემდეგ დიდი ციხე ლორე, ციხე აგარანი — ეს მოხდა უკვე 1118 წელს. ამ ციხეების აღებასა და ცალკეულ გამარჯვებებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მომდევნო ამბებისთვის. ლორეზე, მაგალითად, ივანე ჯავახიშვილი წერს: იმდენად მნიშვნელოვანი ციხე იყო, რომ საქართველოს ამირსპასალარს ჰქონდა ხოლმე ჩაბარებულიო. ამის წინ, 1117 წელსვე, ქართველმა მეომრებმა შირვანს გაილაშქრეს და დიდი ციხე ქალაძორი აიღეს...

შირვანის ლაშქრობასა და ქალაძორის ციხის აღებას მეფისთვის ის განსაკუთრებული მნიშვნელობაც ჰქონდა, რომ მან აქ სარდლობა თავის შვილს მიანდო — უფლისწულ დემეტრეს. თვითონ არ წასულა ამ ლაშქრობაში. განგებ არ წავიდა. შვილსა სწერთნიდა; სცდიდა, ამოწმებდა, რწმენას უნერგავდა, ქვეშევრდომებში ავტორიტეტს უხვეჭდა.

დემეტრეს ლაშქრობაზე საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას მემატიანე. ეტყობა, მეფეცა და მისი ახლობლებიც დიდად გაახარა უფლისწულის გამარჯვებამ: „ქმნა ომნი საკვირველნი, რომლითა განაკვირვნა მხილველნი და მსმენელნიო“...

დააკვირდით: მსმენელნიო! მსმენელნი გააკვირაო! ომის მსმენელნი რაღას ნიშნავს?!

ხედავთ, როგორ ფართოდ დარხეულა უფლისწულის გამარჯვების ამბავი! გამარჯვებები უკვე ისე ჩვეულებრივი გახდა, რომ ასეთი დიდი გაკვირვება აღარ უნდა გამოეწვია. თვით გამარჯვებაზე მნიშვნელოვანი სხვა რამე ჩანს აქ.

მეფე-მამის სიხარული იყო მთავარი და მემატიანემაც იმიტომ დაუთმო საგანგებო ყურადღება. თანაც, ნახეთ, როგორ ამთავრებს ამ ეპიზოდს; უფლისწულმა გამოიღო ციხე ქალაძორი და ძლევამოსილი მოვიდა წინაშე მამისა თვისასაო... ხომ ხედავთ, მეფის სიხარულს ესმება ხაზი, თორემ რაც უნდა საკვირველი და საგანგებოდ აღსანიშნავი გამარჯვება ყოფილიყო, უბრალოდ გადმოგვცემდა, ძლევამოსილი დაბრუნდაო და იმას აღარ იტყოდა, მამის წინაშე მოვიდაო.

შეგვიძლია, წარმოვიდგინოთ, როგორ ულოცავდნენ სახელოვან მამას შვილის წარმატების ამბავს, როგორ დაწერილებით ჰყვებოდნენ ბრძოლის ეპიზოდებს, რა ხოტბას ასხამდნენ უფლისწულს, როგორ

მოედო ქვეყანას უფლისწულის გამარჯვების ამბავი და როგორ უწყობდნენ ხელს ამ ხმების გავრცელებას, რა ზეიმი იყო სამეფო კარზე...

დავით აღმაშენებლის ბრძოლებისა და მოღვაწეობის ამბებმა გაგვიტაცეს და მისი ოჯახი კი ჯერ არ გაგვიცვნია.

ორი ვაჟიშვილი ჰყოლია ქართველ მეფეს — დემეტრე (ის დემეტრე, რომელიც ლაშქარს წაუძღვა შირვანში და ქალაძორის ციხე აიღო) და ვახტანგი ანუ ცვატა. ვახტანგი გვიან შეეძინა მეფეს, უფროსი ძმა რომ სალაშქროდ წავიდა, ის დაბადებულიც კი არ ყოფილა — როგორც ეტყობა, ერთი წლის შემდეგ დაიბადა. ჰყავდა ქალიშვილებიც, ოღონდ რამდენი, ამაზე ერთი აზრი არ არის. ორი ქალი ნამდვილად ჰყოლია — თამარი და კატა; ზოგი წყაროს მიხედვით, მესამე ქალიც ჰყავდა, მაგრამ არც სახელია ზუსტად ცნობილი და ყველა წყარო არც ადასტურებს ამ ცნობას. იმ ორ ასულთაგან უფროსი — თამარ — შირვანს იყო გათხოვილი, კატა კი, — სწორედ იმ წელს, როცა ქართველებმა ლორე და აგარანი აიღეს (ესე იგი, 1118 წელს) ბიზანტიაში გაათხოვეს — „ასული თვისი კატა გაგზავნა საბერძნეთს სძლად ბერძენთა მეფისად“.

ორივე ქალის გათხოვება შორს გამიზნული პოლიტიკით იყო ნაკარნახევი: მომავალ დიდ ბრძოლებში, რაც ქართველ მეფეს უნდა გადაეხადა ამიერკავკასიის ქვეყნების გათავისუფლებისა და მთელს ამ მხარეში ჰეგემონობის მოსაპოვებლად, მას მხარდაჭერა სჭირდებოდა — აღმოსავლეთითაც და დასავლეთითაც. მართალია, ბიზანტია ამ დროისთვის დასუსტებული იყო და დიდ დახმარებას ვერ გაუწევდა, მაგრამ ქართველი მეფე შორს იხედებოდა — თვითონ სელჩუკებსაც არა ჰქონდათ მაშინ მყარი და მტკიცე მდგომარეობა და ვერავინ იტყოდა, როგორ წარიმართებოდა საქმე სახვალიოდ, ვისკენ გადაიხრებოდა ბედის სასწორი.

იმ ერთი ცნობის მიხედვით, მესამე ქალი ოსეთში ჰყოლია ქართველ მეფეს გათხოვილი და ოსთა მეფის დამოყვრებაც პოლიტიკით იყო ნაკარნახევი, ვარაუდობენ; უფრო მეტიც შეიძლება ითქვას: თუ ბიზანტიის მხარდაჭერა შეიძლებოდა მომავალში დასჭირვებოდა, ოსეთის დამხარება ახლავე სჭირდებოდა ქართველ მეფეს, ახლავე, ამ 1118 წელს.

●

დავით აღმაშენებლის მოღვაწეობას ზოგი მკვლევარი პერიოდებად პყოფს. ასეთი დაყოფა მხოლოდ პირობითი შეიძლება იყოს. თავის პოლიტიკაში მას ტეხილები და მკვეთრი შემობრუნებანი არა პქონია. დაკვირვებით და დაწვრილებით რომ შეისწავლი მის მოღვაწეობას, გაოცება მოგიცავს: თითქოს თავიდანვე, — როცა თექვსმეტი წლის ჭაბუკი სამეფო ტახტზე ავიდა, — ზუსტად პქონოდეს ჩამოყალიბებული არა მარტო სახელმწიფოებრივი პოლიტიკა ზოგადად, არამედ მთელი მომავალი მოღვაწეობის გრძელი გზა, ყოველი საფეხურის თუ ნაბიჯის, ყოველი შესაძლო შეფერხების გათვალისწინებით... თითქოს წინასწარვე არა მარტო მოეხაზოს, არამედ დაენახოს ეს გრძელი გზა, დეტალურად აეწონ-დაეწონოს ყველაფერი, თანმიმდევრობაც კი, იმ დიდი რეფორმებისა, რაც მან შემდეგ გაატარა. აქ იგულისხმება არა სწორხაზოვნობა ამ გზისა, არამედ მთლიანობა, დიდი სახელმწიფოებრივი გეგმისადმი დაქვემდებარებულობა... საოცარია მისი სიმტკიცე და შეუპოვრობა, მისი დიდი გეგმის ლოგიკურობა...

და, აი, დავით აღმაშენებელმა უნდა გაატაროს მორიგი დიდი რეფორმა.

●

მას შემდეგ, რაც მტრის ურდოებისგან თითქმის მთლიანად გაიწმინდა საქართველოს მიწა-წყალი და მხოლოდ თბილისში დარჩა მეტად შევიწროებული, თითქმის ყოველი მხრიდან ალყაშემორტყმული მტერი, მას შემდეგ რაც ქვეყანა „მოეშენა“, გაურკვეველი მომავლის შიშის მძიმე საბურველი გაიფანტა და ახლა შიშით თვითონ დამპყრობელს პქონდა ჩვენი ქვეყნისკენ მოპყრობილი თვალები; რაც ქართულმა მეურნეობის წესმა თავისი სახე დაიბრუნა; რაც სოფლები და ქალაქები აღდგა; გზები გაიმართა და ამ გზებზე საავჭრო ქარავნები გამოჩნდა; ეკლესია სახელმწიფოს სამსახურში ჩადგა და ქედფიცხელ ფეოდალებსაც ნელ-ნელა ქედი მოახრევინეს... ყოველივე ამის შემდეგ წამოიჭრა მნიშვნელოვანი ამოცანა, რაც ქართველ მეფეს თავიდანვე პქონდა გათვალისწინებული და შესაფერ დროს ელოდა.

აღმაშენებლის გეგმები ფართო იყო და შორს მიდიოდა.

ჯერ კიდევ საუკუნენახევრის წინ მისმა წინაპრებმა დაისახეს მიზნად, კავკასიაში პოლიტიკური პეგემონობა მოეპოვებინათ და ბიზანტიის დიდ იმპერიას დაუპირისპირდნენ. ბევრი რამე გადაეღობა მაშინ ამ გაბედულ სურვილს: უპირველეს ყოვლისა, ფეოდალური ურთიერთობით განპირობებული შინაგანი წინააღმდეგობანი; მერე თვით ბიზანტია, რომელმაც ძალიან მწვავედ განიცადა თავისად დაგულებულ გავლენის სფეროში ახალი ძალის აღზევება — როგორც ვნახეთ, თვითონ ისე გაერთო დასავლეთის „საქმეებით", რომ აღმოსავლეთისკენ მის მიერ პატარა ქვეყნად მიჩნეული სახელმწიფოს გაძლიერება გამოეპარა; მესამეც: ამის შემდეგ საასპარეზო ჰორიზონტზე მოულოდნელად გამოჩენილი დიდი სამხედრო ძალა, რომელმაც მთელი აღმოსავლეთი დაარბია და ბიზანტიასაც კი ქედი მოახრევინა...

სერიოზული დაბრკოლებანი გადაეღობა იმ გაბედულ სურვილს.

მაგრამ ისეთი ძლიერი იყო ძალა და სუნთქვა შორეული დიდი მიზნისა, ისეთ ნოყიერ ნიადაგზე აღმოცენებული გამოდგა იგი და საფუძველიც ისეთი მყარი აღმოაჩნდა, რომ არ ჩამქრალა და ახლა, როგორც კი შემთხვევა მიეცა, ახალი სუნთქვით გაღვივდა.

და, აი, დავით აღმაშენებელი კვლავ მიზნად ისახავს „უზრუნველყოს კავკასიის ხალხთა გაერთიანება-განვითარება" (ციტირებული ფრაზა ნიკო ბერძენიშვილს ეკუთვნის).

გაიხსენეთ მემატიანის სიტყვები, როცა იგი გელათის აშენებაზე გვესაუბრებოდა:

„...ა რ ს ყ ო ვ ლ ი ს ა ა ღ მ ო ს ა ვ ა ლ ი ს ა მეორე იერუსალემად"...

აქ აღმოსავლეთი შემთხვევით არ არის ნახსენები. მემატიანე, როგორც ვნახეთ, მეფის თანამოაზრე და სულიერი მეგობარია, მისი განმზრახი და თანამებრძოლი. მან კარგად იცის დავით აღმაშენებლის გეგმები. თვითონვეა მონაწილე ამ გეგმების ჩამოყალიბებისაც და შესრულებისაც. და როცა გელათზე ამბობს, ეს არის ყოვლისა აღმოსავლეთის მეორე იერუსალემიო, ამით აშკარად მიგვანიშნებს იმ დიდ პროგრესულ როლზე, რისი შესრულებაც წილადა ხვდა საქართველოს.

დავით აღმაშენებელმა ძნელ საერთაშორისო პირობებში გადაწყვიტა, მიეღწია იმისათვის, რაზედაც მისი წინაპრები ოცნებობდნენ და ვერ მოახერხეს: ქვეყნის გათავისუფლება თურქ დამპყრობთაგან

არა კმაროდა, საქართველოს უნდა მოეპოვებინა ჰეგემონობა მთელს კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში. მეტიც: მას ახლა უფრო დიდი და საპატიო მისია ერგო — კავკასიის ხალხთა დაცვა და გადარჩენა, ამ ხალხის დარაზმვა, დახმარების გაწევა მცირე აზიის სხვა ქვეყნებისთვისაც და ძლიერი საერთო მტრის გატეხა...

შემთხვევითი არ არის, რომ აგერ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, ქართველ მეფეთაგან პირველმა დავით აღმაშენებელმა იუკადრისა ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულები; ბავშვობაში, ათითერთმეტი წლისას ჰქონია ბიზანტიური ტიტული, მერე კი მორჩა, აღარ გაიკარა!

რატომ? რა მიზეზით?..

უნდა ვიფიქროთ, რომ იგი დამამცირებლად თელის ბიზანტიის საკარისკაცო ტიტულს, ქართველი მეფის სახელი უფრო საამაყოდ მიაჩნია!

ახლა ისიც გავიხსენოთ, რა სასოებით მოელოდნენ ხოლმე ქართველი დიდებულები არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ამ ტიტულებს; როგორ სკდებოდნენ გულზე, როცა მეტოქე მიიღებდა ასეთ ტიტულს და თვითონ კი არა. რა ურთიერთმტრობისა და ქიშპობის წყარო გამხდარა ეს ტიტულები!.. ბიზანტიის იმპერატორებიც რა მარჯვედ იყენებდნენ მათ მოწინააღმდეგის ბანაკში მტრობისა და სიძულვილის გასაღვივებლად!.. ამას რომ გავიხსენებთ, უფრო თვალსაჩინოდ წარმოვიდგენთ, როგორ შეიცვალა ყველაფერი ამ საუკუნენახევრის განმავლობაში. უპირველეს ყოვლისა, როგორ შეიცვალა ძალთა თანაფარდობა აღმოსავლეთში.

ახლა ქართველ მეფეს ბიზანტიური ტიტულები არათუ ეამაყება, სულაც არ ეჭაშნიკება. უკადრისობს კიდეც. ახლა მისი გონება სულ სხვა ფიქრებს მოუცავს, სხვა მიზანს ესწრაფვის, სხვა გეგმები დაუსახავს.

ამ დიდი გეგმების განხორციელებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იქნებოდა, თუ მეფეს კარგად შეიარაღებული და გაწვრთნილი ლაშქარი არ ეყოლებოდა.

ამასთან, მტრისგან მიწა-წყლის გათავისუფლება და გამარჯვებების მოპოვება კი არა კმაროდა, მოპოვებულის დაცვა და განმტკიცება იყო საჭირო. „ხედვიდა რა მეფე დავით ესეოდენთა... გამარჯუებათა თვისთა, და რომელთა ღმერთი მოსცემდა... ქალაქთა და ციხეთა, რამეთუ არა იყო ესეოდენი სიმრავლე ლაშქართა სამეფოსა შინა მისსა, რათამცა ქალაქთა და ციხეთა შინა მდგომად და

დამჭირველად და კუალად თვით მის თანა მყოფად და მოლაშქრედმცა კმა ეყვნეს დაუცხრომელად მიმოსელასა ლაშქრობასა მისსა ზამთარ და ზაფხულ“.

ერთი სიტყვით, საჭირო იყო დიდი ლაშქარი, და ასეთი ლაშქარი არა ჰყავდათ, არ არსებობდა.

მას შემდეგ, რაც მტერმა მოსახლეობა გაანადგურა, ბუნებრივია, მეომრების რიცხვი შეთხელდა; მეურნეობის საბოლოო აღორძინებასა და ქვეყნის ეკონომიკურ გაძლიერებას მუშახელი სჭირდებოდა და თუ ამ მუშახელს მთლიანად ჯარში გაიწვევედა მეფე, არათუ ფართო მასშტაბით ეკონომიკური გაძლიერება, ლუკმაპურის მოპოვებაც კი გაძნელდებოდა; გარდა ამისა, ყოველი ლაშქრობის დროს სამეფო კარი ცალკეული ფეოდალებისგან უნდა ყოფილიყო დამოკიდებული, მათთვის უნდა შეეწერათ მეომრები და ეცადათ, როდის გამოუგზავნიდნენ.

ამასთანდაკავშირებითერთიგარემოებაცუნდაგავითვალისწინოთ: მართალია, მეფემ ფეოდალების წინააღმდეგობა გატეხა და მათი თვითნებობა ალაგმა, მაგრამ, მემატიანისავე სიტყვები რომ გავიხსენოთ, ძაღლის კუდს რა გამართავს, კიბოს „მართლად სვლას“ ვინ შეაჩვევს!.. ფეოდალის ბუნება ვერ შეიცვლებოდა. ბევრი მათგანი, თავისთავად იგულისხმება, უკმაყოფილო იყო მეფის მკაცრი პოლიტიკით და ახლა შიშს გაეჩუმებინა, თორემ სიძულვილს ღრმად ინახავდა გულში. ამას, რაღა თქმა უნდა, კარგად გრძნობდა დავით აღმაშენებელი და ამიტომაც საჭირო იყო, არა ამ ფეოდალებისთვის შეეწერა ყველა ცალკეულ შემთხვევაში მეომრები და მერე ეცადა, როდის გამოუგზავნიდნენ, არამედ თვითონ ჰყოლოდა საკუთარი, კარგად გაწვრთნილი მუდმივი, რეგულარული ლაშქარი, რომლის შიში ექნებოდათ სწორედ ამ ფეოდალებს.

რაკი სიტყვამ მოიტანა, ბარემ უფრო საფუძვლიანად შეეეხოთ ამ მნიშვნელოვან საკითხს.

დავით აღმაშენებლის პოლიტიკით, ბუნებრივია, ბევრი უკმაყოფილო იქნებოდა. ჩვენ რამდენიმე კონკრეტულ მაგალითს გავეცანით, როცა ფეოდალები აშკარად დაუპირისპირდნენ დავით აღმაშენებელს. მარტო ისინი როდი მტრობდნენ მეფეს. სხვადასხვა ისტორიულ წყაროს შემოუნახავს სხვა ფაქტები ფეოდალების განდგომისა, რომელთაც აქ აღარ ჩამოვთვლით.

აქ უნდა გავიხსენოთ მემატიანის ერთი საგულისხმო ცნობა.

მტრის მიერ დაჭერილი რომელიღაც ციხის აღების დროს,

ქართლში, შუადღისას, პერანგისამარა მეფე თავისი კარვის წინ მდგარა. უცებ ციხიდან ისარი წამოსულა და მეფეს მკერდზე მოხვედრია; ისეთი ძალით ყოფილა ნატყორცნი ისარი, რომ გაუპობდა კიდეც მეფეს გულს, შემთხვევით ხატს რომ არ ეხსნა; მკერდზე მთავარ-ანგელოზის ხატი ეკიდა და მეფის გასაგმირად გამოტყორცნილი ისარი ხატს აუსხლეტია...

მემატიანე პირდაპირ არ ამბობს, მაგრამ ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ: აღმაშენებელი ისეთი მეომარი არა ყოფილა, მკერდი მტრის ისრისთვის მიეშვირა. ეს უსათუოდ მოღალატის ისარი იყო.

მემატიანე იქვე გვაუწყებს, არა ერთჯერ დაუპირებიათ მეფის მოკვლა ღალატითო...

როგორც ითქვა, ეს იმ საზოგადოებრივ ურთიერთობაში ბუნებრივი მოვლენა იყო და მეფეს აიძულებდა, განსაკუთრებული სიფრთხილე ეხმარა. დავით აღმაშენებელს მზვერავთა დიდი ორგანიზაცია ჰქონდა და ყველაფერს გებულობდა, რაც კი მის ქვეყანაში, თუ ქვეყნის გარეთ, მოხდებოდა. „არა-რა შორიელი არცა სამეფოთა შინა მისთა, არცა ლაშქართა შინა მისთა მყოფთა კაცთა, დიდთა და მცირედთა, საქმე ქმნილი, კეთილი, გინა სიტყუა ბოროტი თქმული — არა-რა დაეფარვოდა ყოველადვე, არამედ რაოდენცა ვის ფარულად ექმნის თუ ანუ ეთქვის, ყოველივე ცხად იყო წინაშე მისსა ვიდრემდის გულის სიტყუანიცა და მოგონებანი ვიეთნიმე მიუთხრნის მათ, რომელთა ზარგანხდილ ყვნის“... გულში რომ გაევლო ადამიანს რამე, უკვე მეფემ იცოდაო...

ერთი სიტყვით, ასეთ პირობებში, როცა ბევრი მტერი და არაკეთილისმსურველი ჰყავდა, მეფეს თავისი პირადი გვარდიაც სჭირდებოდა...

და ესეც გაითვალისწინა დავითმა თავის „სალაშქრო რეფორმაში“.

ხედავთ, ჯარის რამდენი სახეობა გამოვიდა! რა ფართო მასშტაბის გეგმები ჰქონია აღმაშენებელს! ჯარის ნაწილები — გარნიზონები — ციხე-ქალაქებში ჩასაყენებლად („ქალაქთა და ციხეთა შინამდგომად და დამჭირველად“), ჯარის ნაწილები, რომლებიც მეფეს მუდამ თან უნდა ხლებოდა — პირადი დაცვა, პირადი გვარდია („მის თანა მყოფად“), მთავარი ძალა მოლაშქრეებისა, რომელსაც მტრის მიერ დაკავებული მიწა-წყალი უნდა გაეთავისუფლებინა, ხოლო თუ ახლად შემოიჭრებოდა მტერი, საზღვარზე დახვედროდა და გაებრუნებინა, ქვეყნის მშვიდობა და ნორმალური განვითარება უზრუნველეყო...

აი, რა მრავალფეროვანი მიზნები განაპირობებდა ლაშქრის ამგვარ ორგანიზაციას.

მაგრამ სად უნდა გამოეძებნა მეფეს ამდენი მეომარი, რომ მეურნეობასაც მუშახელი არ მოჰკლებოდა და ქვეყანა ეკონომიკურად არ დაქვეითებულიყო?

დავით აღმაშენებელმა გადაწყვიტა, ძირითადი ნაწილი თავისი მუდმივი ლაშქრისა ქვეყნის გარედან შემოეყვანა.

მაგრამ ეს არ უნდა ყოფილიყო ისტორიაში კარგად ცნობილი ჩვეულებრივი დაქირავებული ჯარი, რომელიც ხშირად იმედს უცრუებდა ხოლმე დამქირავებელს, — არც გულიანად იბრძოდა, არც დიდ ერთგულებას იჩენდა და ზოგჯერ ღალატსაც არ თაკილობდა, განსაკუთრებით ისეთ წუთებში, როცა ყველაზე მეტად საჭიროებდა მის შველას დამქირავებელი.

არა, ეს არ იყო ჩვეულებრივი დაქირავებული ლაშქარი. დაქირავებული ჯარის ნაწილებიც ჰყავდა დავით აღმაშენებელს, მაგრამ ეს, რაზედაც ახლა ვლაპარაკობთ, სულ სხვა იყო.

ქართველმა მეფემ თავიანთი ოჯახებიანად შემოიყვანა ეს მეომრები და საქართველოს ტერიტორიაზე დაასახლა. თანაც, ცოტა კი არა — ორმოცი ათასი ოჯახი! ორმოცი ათასი! თითო ოჯახში მკვლევარები საშუალოდ ხუთ სულს ვარაუდობენ და ამ ანგარიშით, 200.000 სული გამოდის. 200.000 უცხოელი ერთბაშად შემოუყვანია ქვეყანაში!

თითო ოჯახს საშუალოდ თითო კაცი უნდა ეძლია ლაშქრისათვის. ეს სისტემატურად.

როგორც ითქვა, ეს იქნებოდა მთავარი სამხედრო ძალა, მუდმივი ლაშქარი...

როცა საბოლოოდ ჩამოყალიბდა მუდმივი ლაშქარი, მისი რიცხვი სამოცი ათას მეომარს შეადგენდა. ამ 60.000 მეომრიდან 20 ათასი ქართველი იყო, ხოლო 40.000 — ჩამოსახლებული უცხოელი.

თუმცა ცოტა ხანში უცხოელები უკვე აღარ ეთქმოდა ამ ხალხს, ისინი მალე გაითქვიფნენ ქართველებში. ქრისტიანობა მიიღეს, ადვილად შეეგუენ ადგილობრივი ხალხის ცხოვრების წესსა და კანონებს, თანდათანობით გაიძვალრბილეს ჩვენი ხალხის ჩვეულებები, საკუთარი კი დაივიწყეს, ქართული ენაც მალე შეისწავლეს და დედაენად გაიხადეს, საკუთარი ენა კი, თანდათანობით გადაავიწყდათ... ერთი სიტყვით, მალე გაითქვიფნენ ქართველებში, მალე გაქართველდნენ.

ვინ იყო ეს ხალხი, დავით აღმაშენებელმა რომ კარი გაუღო და დედაწულიანად დაასახლა თავის ქვეყანაში?

გარდა ძველისძველი მეზობელი და მეგობარი ხალხებისა, რომლებიც ჩრდილოეთით ესაზღვრებოდნენ ჩვენს ქვეყანას, იმავე მხარეს დროდადრო გამოჩნდებოდნენ ხოლმე უცხო ტომები და გარკვეული დროის შემდეგ გაქრებოდნენ...

ასე გამოჩნდნენ ოდესღაც ჰუნები, ხაზარები...

იმ დროისთვის, რომლის ამბებსაც ახლა მოგითხრობთ, საქართველოს ჩრდილოეთის საზღვრების მიღმა ყივჩაყები იყვნენ. ეს შუა აზიიდან დაძრული თურქული მოდგმის მომთაბარე ტომები ჯერ კიევის რუსეთის დიდ სახელმწიფოს მიაწყდნენ, მაგრამ, რაკი იქ ძლიერ წინააღმდეგობას შეხვდნენ, თანდათანობით სამხრეთით დაიწიეს და ჩრდილო კავკასიაში შეიჭრნენ.

სწორედ ეს ხალხი — ყივჩაყები — შემოიყვანა დავით აღმაშენებელმა საქართველოში.

დავით აღმაშენებლის მეუღლე გურანდუხტი ყივჩაყთა მთავრის ათრაქა შარღანის ძის ასული იყო და ალბათ ამანაც უფრო ადვილად გადააწყვეტინა სამეფო კარს ყივჩაყების ჩამოსახლების საკითხი. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ქართველმა მეფემ სწორედ იმიტომ შეირთო ყივჩაყთა მთავრის ასული, რომ მომავალში ყივჩაყთა ჩამოსახლება ჰქონდა გადაწყვეტილიო.

ჩვენი ისტორიკოსები ვარაუდობენ, რომ, როცა ყივჩაყთა შემოყვანის საკითხი წყდებოდა, ქართველებს მოლაპარაკება ექნებოდათ რუსეთის დიდ მთავრებთან, კერძოდ, ვლადიმერ მონომახთან.

ეს მნიშვნელოვანი საკითხია, რამდენადაც ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი გახლავთ რუსეთთან მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის გზაზე; მომდევნო ხანებში ეს ურთიერთობა სულ უფრო და უფრო მტკიცდებოდა და ღრმავდებოდა.

კონკრეტული საბუთები ყივჩაყების შემოყვანასთან დაკავშირებით რუს მთავრებთან მოლაპარაკებისა, წყაროებს არ შემოუნახავს, მხოლოდ ვარაუდობენ ამას. მაგრამ საესებით დამაჯერებელი ვარაუდია.

საქმე ის არის, რომ ყივჩაყებსა და რუსეთის სახელმწიფოს დიდი ხანია ერთმანეთში უთანხმოება და ბრძოლები ჰქონდათ: შუა აზიიდან წამოსული ყივჩაყები ხომ რუსეთის მიწა-წყალზე შეიჭრნენ; რაკი წინააღმდეგობას წააწყდნენ, სამხრეთით დაიწიეს; ბრძოლა ამის შემდეგაც გრძელდებოდა... ასეთ პირობებში, ქართველთა მოლაპარაკება ყივჩაყებთან, მათთან დაახლოება, მისვლა-მოსვლა,

სამხედრო კავშირის შეკვრა გაუმართლებელი და საშიში უნდა ყოფილიყო, რამდენადაც რუს მთავრებს საფუძველი ექნებოდათ ეფიქრათ, რომ საეჭვო მოლაპარაკება და დაახლოება მათ წინააღმდეგ ხდებოდა... არ შეიძლებოდა ეს არ გაეთვალისწინებინა საქართველოს სამეფო კარს. ამიტომაც არის დამაჯერებელი ვარაუდი, რომ ქართველ მეფეს წინასწარ მოლაპარაკება ექნებოდა ვლადიმერ მონომახთან. მემატიანის ცნობას, ყიჩაყების გადმოყვანასთან დაკავშირებით, დავითმა მოსალაპარაკებლად წარავლინნა კაცნი სარწმუნონიო, ჩვენი ისტორიკოსები ისე ხსნიან, რომ ეს „წარვლენილნი კაცნი" არც მარტო ყიჩაყეთში, არამედ კიევში მთავართანაც უნდა მისულიყვნენ...

ასეთი ვარაუდისა და დასკვნის საფუძველს იძლევა მაშინდელი მდგომარეობის სწორი და საფუძვლიანი ანალიზი.

ეს ერთი.

არის მეორე მნიშვნელოვანი გარემოებაც.

ისეთ პირობებში, როცა საქართველო დამპყრობელი მაპმადიანი მტრების ალყაში აღმოჩნდა, როცა ქვეყნის სამხრეთითა და აღმოსავლეთით ამ მტრული ძალების გამალებული კონცენტრაცია ხდებოდა და მათი შემაკავებელი ძალა კი არა ჩანდა, როცა ქრისტიანული ბიზანტია სულ უფრო და უფრო სუსტდებოდა და ძალას კარგავდა, შეუძლებელია, რომ ქართველებს, რომელთაც მეგობრისა და მოყვასის ძიება დასაბამიდან მოსდგამდათ და სისხლში ჰქონდათ გამჯდარი, ყურადღება არ მიექციათ მზარდი, ერთმორწმუნე რუსეთის სახელმწიფოსთვის და მასთან არა მარტო უბრალო კეთილგანწყობილების, არამედ კონკრეტული სამოკავშირეო ურთიერთობის დამყარებას არა ცდილიყვნენ. წარმოუდგენელია, ასეთი ურთიერთობის დამყარებას არა ცდილიყო ისეთი ჭკვიანი და შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი, როგორიც დავით აღმაშენებელი იყო.

ასეთი ვარაუდის საფუძველს, სხვათა შორის, მოვლენათა შემდგომი მსვლელობაც გვაძლევს — კონკრეტულად გამოვლენილი ფაქტები ამ ურთიერთობის განვითარებისა.

ზემოთ შევნიშნეთ, ოსთა მეფის მოყვრობა მალე გამოადგა დავით აღმაშენებელსო (ერთი წყაროს მიხედვით, მეფემ თავისი ასული ხომ ოსთა მეფეს მიათხოვა). ეს სწორედ ყიჩაყების გადმოსახლებასთან არის დაკავშირებული.

ყიჩაყები შორიდან მოსული ხალხი იყო და, ბუნებრივია, ოსებთან კეთილი ურთიერთობა ვერ ექნებოდათ, რამდენადაც ისინი ოსებსაც ავიწროებდნენ საკუთარ მიწა-წყალზე. რაღა გასაკვირია,

რომ მტრის 40.000 ოჯახს ოსები მშვიდობიანად არ გამოატარებდნენ დარიალის ხეობაში. ამიტომაც შენიშნავს მემატიანე: ყიჩაყებმა რომ სიხარულით მიიღეს ქართველთა წინადადება, თან „ითხოვეს, გზა მშვიდობისა ოვსთაგან“.

საჭირო იყო ოსებთან მოლაპარაკება, რათა ყიჩაყთა ორმოცი ათასი ოჯახი მშვიდობიანად გამოეტარებინათ საქართველოში. ამას გარდა, ქართველები უნდა ცდილიყვნენ ამ ორი ხალხის შერიგებას და მათ შორის კეთილი ურთიერთობის დამყარებას...

ქართველ მეფეს სხვა დიდი საქმეც ჰქონდა ჩრდილო კავკასიაში...

იმდენად მნიშვნელოვანი იყო ეს საკითხები, რომ მეფემ სხვას ვერ მიანდო, თვითონვე გაემგზავრა ოსეთს.

და, რაღა თქმა უნდა, „თანაწარიტანა“ უახლოესი თანამშრომელი და მეგობარი გიორგი ჭყონდიდელი.

რას იფიქრებდნენ, რომ ეს იქნებოდა გიორგი ჭყონდიდელის უკანასკნელი სამსახური თავისი მეფისადმი, მშობელი ხალხისადმი!..

1118 წელმა ბევრი სიხარულიც მოუტანა მეფეს და მწუხარების სიმწარეც აგემა.

არ ვიცით, ავადმყოფობდა და იქ გაურთულდა სნეულება, თუ ტრაგიკულად დაიღუპა...

მემატიანე აქაც სიტყვაძვირია:

„ხოლო მაშინ ოსეთს ყოფასა მიიცვალა გიორგი ჭყონდიდელი...“

ასე მოკლედ გვაუწყებს მემატიანე მეფის უახლოესი ადამიანის გარდაცვალებას.

ხოლო როგორ დაიტირა იგი მეფემ, ამას, მართალია, მოკლედ, მაგრამ ძალიან შთამბეჭდავად გადმოგვცემს: „თავადგა სიყრმითგანთა პატრონისა მსახურებათათვის; და პატივითა დიდითა წარმოგზავნა მონასტერსა ახალსა და მუნ დაემარხა. რომელი იგლოვა ყოველმან სამეფომან და თვით მეფემან, ვითა მამა და უმეტესცა მამისა, შემოსითა შავისათა ორმეოც დღე, ვიდრემდის იშვა ვახტანგ, რომლისა ხარებითა დაიხსნა გლოვა“.

სწორედ ამ სიტყვებმა შთააგონეს კონსტანტინე გამსახურდიას გულისშემძვრელად დაეხატა თავის რომანში — როგორ მოასვენებს ათი ათასი მეომრისგან შემდგარი მხედრობა იმ მიუვალ მთებსა და ხეობებში ღირსეულ მამულიშვილს.

მართლაც შთამბეჭდავი სურათია.

სად მიაბარეს გიორგი ჭყონდიდელი მშობელ მიწას, ამაზე ორი აზრია: რაკი გელათის შემდეგ დავით აღმაშენებელმა შიო მღვიმის მონასტრის ეზოში დიდი ეკლესია ააშენა, ხოლო მემატიანის ტექსტში სწორედ ახალი მონასტერია ნახსენები, ზოგი ვარაუდობს, რომ შიო მღვიმეშია დაკრძალული მეფის უახლოესი ადამიანი; სხვა საბუთებიც მოპყავთ ამ ვარაუდის გასამაგრებლად...

ტრადიციული გადმოცემის მიხედვით, გიორგი ჭყონდიდელი გელათის მონასტრის ეზოშია დაკრძალული. ჩვენც ამ ტრადიციას ვერწმუნოთ, და როცა გელათის ტაძრის ეზოში შევალთ, ამ შესანიშნავი მამულიშვილის ხსოვნასაც პატივი ვცეთ.

●

ამრიგად, ქართველმა მეფემ შეარიგა ეს ორი ხალხი — ოსები და ყივჩაყები. ოსებმა გზა გაუხსნეს ყივჩაყებს — „შექმნა გზა მშვიდობისა ყივჩაყთათვის“...

და აქვე ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი, რისთვისაც ქართველი მეფე ჩრდილო კავკასიაში გამეგზავრა და რასაც განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი: დავით აღმაშენებელმა „აღიხუნა ციხენი დარიალასა და ყოველთა კართა ოვსეთისათა და კავკასიისა მთისათანი“...

დააკვირდით მემატიანის ბოლო ფრაზას: ჩრდილო კავკასიის ყველა ციხე და ზეკარი ქართველი მეფის ხელში მოექცა. ეს დიდი გამარჯვება და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენა იყო — ვახტანგ გორგასალის შემდეგ ქართველი მეფე ასე მტკიცედ აღარ მდგარა ჩრდილო კავკასიის მთებში. გარდა იმისა, რომ დავითმა ჩრდილოეთით ციხეები „აღიხუნა“, მას ამ მხარეში ახალი ციხეებიც აუგია. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით: „...ამ ხევს ქვევით დავიწროვდების ხევი ესე კლდითა, და აქა არს ციხე დავითისა, არაგვის აღმოსავლით კიდესა ზედა, აღმაშენებელის აშენებული“.

ეს მნიშვნელოვანი იყო, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ამიერიდან ქართველებს უფრო თამამად შეეძლოთ ებრძოლათ სამხრეთით და აღმოსავლეთით მომდგარი მტრის წინააღმდეგ — ზურგი მტკიცედ დაცული და გამაგრებული ჰქონდათ, იქიდან თავდასხმის საშიშროება აღარ იყო; მეორეც: საქართველოს გზა ეხსნებოდა ჩრდილოეთით მდებარე სახელმწიფოებთან, უპირველეს ყოვლისა, რუსეთის სახელმწიფოსთან ურთიერთობისთვის.

ერთბაშად ამდენი უცხოელი მეომრის შემოყვანა მტრისგან ნარბევ და აოხრებულ ქვეყანაში, რაღა თქმა უნდა, რისკთან იყო დაკავშირებული და, არ არის გასაკვირი, რომ ამ იდეას მოწინააღმდეგეც ეყოლებოდა. დაკვირვებით რომ წაიკითხავ მემატიანის მოთხრობას, დარწმუნდები, რომ ასეთი მოწინააღმდეგეები კარგა ბლომადაც იყვნენ და, აშკარად თუ ფარულად, თავიანთ ეჭვსა და უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ; არც იმას ერიდებოდნენ, რომ ფართოდ გაევრცელებინათ შიში და დაეჭვება.

განა მეფემ და მისმა თანამზრახებმა კი არ იცოდნენ, რომ ეს საქმე სარისკო იყო! მაგრამ სხვებისგან განსხვავებით, მათ ისიც ღრმად ჰქონდათ შეგნებული, — და ამის შეგნება ძილსა და მოსვენებას უკრთობდათ, — რომ ქვეყნად შექმნილი მდგომარეობა და მომავლის ინტერესები უსათუოდ მოითხოვდა ასეთი ნაბიჯის გადადგმას. სწორედ ამიტომ ისინი დიდი სიფრთხილით ეკიდებოდნენ მეტად რთულსა და სერიოზულ საქმეს.

სანამ ამ დიდ საქმეს გადაწყვეტდნენ, საგულდაგულოდ აწონ-დაწონეს ყველაფერი, ყველაფერი გაითვალისწინეს, საფუძვლიანად გაიცნეს ეს ხალხი, მოილაპარაკეს, ნიადაგი შეამზადეს... წინასწარ გაამზადეს ის ადგილები, სადაც უცხოელები უნდა ჩაესახლებინათ. თანაც ერთბაშად კი არ გადმოუყვანიათ 40.000 ოჯახი... არც ერთ ადგილას დაუსახლებიათ: ორი წლის განმავლობაში გადმოპყავდათ (1118 — 1120 წლებში) და გაფანტეს; როგორც ირკვევა, გაფანტეს ქართლში, ჩრდილო სომხეთში, პერეთში...

ახლა ისა ვთქვათ, რატომ მაინცდამაინც ყიჩაყები შეარჩიეს?

ამ კითხვას პირდაპირ უპასუხებს მემატიანე.

ჯერ ერთი, სიმამაცესა და მეომრულ ბუნებას უქებს ამ ხალხს:

ჰქონდათ „წყობათა შინა (ესე იგი, ბრძოლაში) სიმხნე, სისუბუქე და მიმოსვლა, სიფიცხე მიმართებისა“.

ჩინებული მეომრები ყოფილან;

გარდა ამისა, ადვილად შესანახი და მოსაველელი იყვნენ — განვითარების დაბალ დონეზე იდგნენ და დიდი მოთხოვნილება არ ექნებოდათ: მემატიანე საგანგებოდ აღნიშნავს მათ „ადვილად დასამჭირვლობას“;

ასევე ადვილად დასამორჩილებლები ჩანდნენ: „ყოვლითურთ მომზავებლობა ნებისა თვისისაო“ — ესე იგი, ბრძანებას უსიტყვოდ

შეასრულებდნენ, უსიტყვოდ დაემორჩილებოდნენ მეფის ნებას...

ამისთანა ხალხს უფრო ადვილადაც მოაქცევდნენ თავიანთ რჯულზე, ადვილად გააქართველებდნენ. საინტერესოა, რომ ამაზე ადრე ყივჩაყი მეომრები ბიზანტიასაც დაუქირავებია და ეს გრიგოლ ბაკურიანის ძის თაოსნობით მომხდარა.

დავით აღმაშენებელმა რომ თავიდანვე დაიჭირა თადარიგი და ახალ გადმოყვანილ ლაშქარს ცხენები და იარაღ-საჭურველი მოუმზადა, თანაც, თავისივე ხელმძღვანელობითა და მეთვალყურეობით რომ შეუდგა მათ საგანგებო წვრთნას, ეს ერთი მხარეა. მეფე არანაკლები გაფაციცებით ზრუნავდა, რათა რაც შეიძლება მალე გაექრისტიანებინათ ყივჩაყები, მალე მომხდარიყო მათი ასიმილაცია: მაჰმადიანი მტრების წინააღმდეგ განუწყვეტელ ბრძოლებში ამას უსათუოდ დიდი მნიშვნელობა ექნებოდა...

და მართლაც, მემატიანე საგანგებოდ შენიშნავს, „..თვით ყივჩაყნიცა უმრავლესნი ქრისტიანე იქმნებოდეს დღითი-დღე და სიმრავლე ურიცხვი შეეძინებოდა ქრისტესაო“.

ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ საქმე, თითქოს ეს თავისით ხდებოდა. ჩვენ უკვე რამდენჯერ ვნახეთ ზემოთ, რომ რწმენის შეცვლა და სხვა რჯულზე მოქცევა ასე ადვილად და უმტკივნეულოდ არა ხდებოდა. ეს იყო უძნელესი და ურთულესი საქმე, დაკავშირებული ათას წვრილმან, ხშირად ძალიან ძნელად გასათვალისწინებელ უხერხულობასთან... და აქაც გამოჩნდა დავით აღმაშენებლის მტკიცე ხელი — მეფე უსათუოდ უშუალოდ ხელმძღვანელობდა ყივჩაყების გადმოყვანის, დამკვიდრებისა და წვრთნის საქმეს.

სხვათა შორის, ყივჩაყები სხვა ქრისტიანულ ქვეყნებშიაც გადასახლებულან და საინტერესო ის არის, რომ მათ ერთბაშად, ან ასე მალე კი არ დაუთმიათ რჯული, ასე მალე კი არ მოქცეულან. მეთერთმეტე საუკუნის ბოლოს ერთი ნაწილი ყივჩაყებისა უნგრეთში დასახლებულა და მათ ქრისტიანობა მიიღეს მხოლოდ მეთხუთმეტე საუკუნის დასაწყისში! სამ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ! აქ კი, საქართველოში, როგორც ვხედავთ, მალე მომხდარა ეს პროცესი, რადგან საგანგებოდ ზრუნავდნენ ამისთვის. თავიდანვე რომ გააცალკევეს გადმოყვანილი ოჯახები და სხვადასხვა ადგილას დაასახლეს, ეს ამიტომაც იყო.

ქართველმა მეფემ დაჰყო — „გუარ-გუარად დააწყუნა“ — ყივჩაყთა ჯარი და სპასალარები მიუჩინა. ვივარაუდოთ, ამ სპასალარებს მარტო სამხედრო წვრთნა და ხელმძღვანელობა

კი არა ჰქონიათ დაკისრებული; მათი მოვალეობა უფრო ფართო იყო: ისინი ერთსა და იმავე დროს ამ უცხო ხალხის სარდლებიც იყვნენ, ნათლიებიც, სულიერი მოძღვრებიც, მასწავლებლებიც, მეურვეებიცა და ყოველდღიური მზრუნველებიც... ვახუშტი ბატონიშვილი სწორედ ამ სპასალარებს უკავშირებს ყივჩაყების სწრაფ გაქართველებას: „ხოლო ყივჩაყთა დაუდგინა სპასალარნი მთავარნი დასდასად და შეიძინებოდნენ მრავალნი ქრისტიანედ". დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი სხვადასხვა ადგილას გვაწვდის ამ ორ ცნობას — ყივჩაყების „გუარ-გუარად" დანაწილებასა და მათ გაქრისტიანებას, ხოლო, რაკი ვახუშტი აერთიანებს ორ ფაქტს და ერთად გადმოგვცემს, ეს იმიტომ რომ იგი უსათუოდ ერთმანეთს უკავშირებს მათ და პირდაპირ მიგვანიშნებს, სპასალარებს ესეც ჰქონდათ დავალებულიო.

●

საბოლოოდ ასეთი სახე მიუღია ქართველთა ლაშქარს: მუდმივი ლაშქარი (ვახუშტის გამოთქმით „მარადის მცველი") — 60.000 კაცი (აქედან 40.000 ყივჩაყი და 20.000 ქართველი); მეფის პირადი გვარდია, „მონასპა" — 5.000 („რჩეულნი და განსწავლულნი ღუაწლსა... მისანდონი და გამოცდილნი სიმხნითა"); და „ეგრეთვე თვისისა სამეფოსა სპანი, რჩეულნი და მოკაზმულნი, ცხენ-კეთილნი და პირშეუქცეველნი". ესე იგი, ის ლაშქარი, რომელსაც საჭიროების დროს შეკრებდა მეფე და ამ ლაშქრის რიცხვიც საჭიროების მიხედვით განისაზღვრებოდა (ზოგჯერ ქუდზე კაცსაც შეკრებდა). ეს იყო სხვადასხვა კუთხეებისა და საერისმთავროებისგან შედგენილი ჯარი[1]. ზოგჯერ, კიდეე თუ დასჭირდებოდა დამატებითი სამხედრო ძალა მეფეს, სხვა ქვეყნებიდანაც დაიქირავებდა ჯარს და ამას როქის[2] სპა ეწოდებოდა. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, მეფეს აღუკვეთავს ბრძოლებში ალაფად მოპოვებული საჭურჭლის მეომრებისთვის განაწილების ძველებური წესი: „და დავითთასა არღარა განიყოფიდა

1. ვახუშტი ბატონიშვილი თავისი დიდი შრომის შესავალში, სადაც ქართულ ლაშქარზე აქვს ლაპარაკი, სწორედ დავით აღმაშენებლის ლაშქარზე წერს, „60.000 მარადის მცველი", ესე იგი, მუდმივი ჯარი ჰყავდაო; და იქვე: „ხოლო სხვანი სპანი იყვნენ ქვეყანათაგან და ერისთავთა ქეშე დაწესებულნი, რომელთა მოუწოდიან ჟამად", — ესე იგი, როცა დასჭირდებოდათ, მაშინ შეკრებდნენ.

2 როქი — საბას განმარტებით „გასაცემელს" ნიშნავს — ანუ ქირას, ჯამაგირს.

საჭურჭლე სპათა ზედა“, ანაზღაურება სხვა წესით შემოულია — „პატიჟი ამათი იყო სხვა“. ჯარისკაცებს ჯამაგირი ენიშნებოდათ.

უნდა ვიფიქროთ, რომ ეს წესი ჯარში დისციპლინის განმტკიცების მიზნით შემოიღო მეფემ.

დისციპლინის განმტკიცებასა და ლაშქრის აუტორიტეტის ამაღლებას პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდა დავით აღმაშენებელი. როცა მემატიანე ძველ ლაშქარს აგვიწერს, თითქოს ცოცხლად ვხედავდეთ დაშლილ-დარღვეულ, უდისციპლინო, მორალურად განადგურებულ, დაბეჩავებულ, დამშეულ, შეუიარაღებელ ჯარის ნაფლეთებს. ალბათ გეხსომებათ მემატიანისეული დახასიათება იმ ჯარისა, აქ აღარ გავიმეორებ.

შედარებით მცირე ხანში დავით აღმაშენებელმა შექმნა იმ დროისთვის შესანიშნავად შეიარაღებული, გაწვრთნილი, დისციპლინიანი, პირველხარისხოვანი ლაშქარი და ამას დიდი ენერგია და დრო მოუნდა.

პირველ ყოვლისა, როგორც ითქვა, დისციპლინა დაამყარა მან ჯარში. დამახასიათებელია, როგორ საგანგებოდ აღნიშნავს მემატიანე, მეფემ ლაშქარში ყოველგვარი უწესობა, გარყვნილება ლაზღანდარობა აკრძალაო... „ხოლო საემშაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი... და ყოველი უწესოება მოსპობილ იყო ლაშქართა შინა მისთა“...

საინტერესოა მემატიანის სიტყვები, როცა იგი მოგვითხრობს, როგორ გარდაქმნა აღმაშენებელმა ჯარი: რაც დახვდა, იმასაც გადმოგვცემს, როგორი შექმნა, იმასაც გვეუბნება. და მერე ერთბაშად შესძახებს, თითქოს ვიღაცას ეკამათებაო...

თითქოს კი არა, ნამდვილად ეკამათება, ეს ხომ პოლემიკის ტონია. ივანე ჯავახიშვილი პირდაპირ ასე წერს — ეკამათებაო. მემატიანე, რომელიც ამავე დროს მეფის უახლოესი ადამიანი და თანაშემწეა, იმ მღელვარე ეპიზოდების მოწმე და თვითმხილველი, — ვიღაცას ცხარედ ეკამათება. ეს ვიღაცა ერთი და ორი კაცი არ არის, ეს მთელი ჯგუფია, გაელენიანი საზოგადოების დიდი ნაწილი, რომელსაც მაგრად მოხვედრია მეფის მტკიცე ხელი, შეუვიწროებიათ, აულაგმავთ, და ახლა ღვარძლს ანთხევენ, ბოროტ ხმებს აერცელებენ, ცდილობენ, მეფე დაამცირონ... ახალგაზრდა მეფის ყოველ ახალ რეფორმას მტრულად ხედებიან, ეჭვსა და უნდობლობას თესავენ, ცინიზმის ბაცილებს ამრავლებენ, ხელს უშლიან. ხოლო როცა თვითონვე დარწმუნდებიან, რომ ახალგაზრდა მეფემ დიდი ენერგიის დაძაბვით,

დიდი სულიერი ამტანობითა და მოთმინებით, აზრის ღრმა ლოგიკისა და ფოლადის შეუპოვრობით მიაღწია საწადელს, უკვე სხვაგვარად ღიღინებენ: „დიდი ამბავი! მაგასაც რომ რამე უნდა!“

აი, ამ ხალხს ეკამათება მემატიანე, პირში სწვდება და არცხვენს... დღე და ღამეს ათენებდა და ამას ისე მიაღწიაო, ეუბნება: მდელოზე არხეინად წამოწოლილი ღვინოს კი არ შეექცეოდა და ნებიერობდა, თვალი არ მოუხუჭავს, მუხლი არ მოუხრია, ისე იღვწოდაო: „ნუ უკუე ძილითა ანუ ადგილთა მწუანვილოვანთა ზედა მოსმურობითა და განცხრომითა და მაჩუკნებელთა საქმეთა შედგომითა“...

ხომ აშკარად იგულისხმება, რომ იგი პირდაპირ მიმართავს და კიცხავს იმ ხალხს, ვინც თავად დღე და ღამე განცხრომაშია, სულ ქეიფობს და საქვეყნო საქმისთვის თავს არ იწუხებს.

არა, ამითი არა მთავრდება მემატიანის პოლემიკა... იგი გამოცდილი ორატორია: ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ ჯერ თითქოს ცოტათი დაცხრება, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ კიდევ უფრო მაგრად იფეთქოს. უფრო დიდი ნახტომისთვის ემზადება, მკითხველსაც ამზადებს...

ქართველი მეფის ალექსანდრე მაკედონელთან შედარება უყვარს მემატიანეს და ახლაც, იმ საყვედურის შემდეგ, მაკედონელს გაიხსენებს — ისიც ასე იყოო, არც იმას ჰქონდა ძილი და მოსვენებაო...

ჩამოთვლის ალექსანდრე მაკედონელის საბრძოლო დიდების ამბებს და იქვე:

აბა, ერთი, დავითის მცირე ჯარის ამარა ყოფილიყო მაკედონელი, თუ მიაღწევდა რამეს!

ან არადა, დავითს მიეცი სპარსთა მეფობა, ანუ ბერძენთა და რომაელთა ძალი, ან სხვათა დიდთა სამეფოთა და „მაშინმცა გენახნეს ნაქმნარნი მისნი, უაღრესნი სხუათა ქებულთანი“...

და ახლა კი ვეღარ მოითმენს და იფეთქებს მემატიანე:

„ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველითგანვე თვისთა უფალთა. რამეთუ, რაჟამს განდიდნენ, განსუქნენ და დიდება პოონ და განსუენება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა, ვითარცა მოგვითხრობს ძველი მატიანე ქართლისა და საქმენი აწ ხილულნი“...

ეს სიტყვები ნუ შეგვაშფოთებს და ნუ დაგვაფიქრებს. ესეც ორატორული ხერხია: მაგრად უნდა შეანჯღრიოს მოწინააღმდეგე, ვისთანაც ეს პოლემიკა გაუმართავს; მკითხველიც უნდა შეარხიოს და დააფიქროს, გული დაწყვიტოს, გააბრაზოს კიდეც იმ ხალხზე,

რომელთა მისამართს ქვემოთ უფრო კონკრეტულად იტყვის.

ამიტომაც ნუ შეგვაშფოთებს ეს სიტყვები. ეს, რა თქმა უნდა, საერთოდ ქართველებს არ ეხება. ქართველი ის მეფეა, ის შესანიშნავი მამულიშვილი, რომელსაც ასეთ ხოტბას ასხამს მემატიანე; ქართველი ის გიორგი ჭყონდიდელია, რომლის მემატიანისეულ დახასიათებას უკვე გავეცანით; ქართველი ის იოანე პეტრიწია, გელათის აკადემიაში ახალგაზრდებს რომ ზრდის და გულში სამშობლოს სიყვარულს უნთებს; ქართველი თავად არის, სამშობლოს ბედზე მზრუნველი და დაფიქრებული; ქართველები ის ბიჭები არიან, მამულს მკერდით რომ იცავენ და სამშობლოს გმირულად ეწირებიან, ის ბიჭები, მხრებით რომ ამოზიდეს უშველებელი ლოდები გელათის კედლების ამოსაყვანად, ქვეყნის დოვლათს რომ ქმნიან, მშობლიურ კულტურას რომ ემსახურებიან... აი, ესენი არიან ქართველები, და ეს თვითონვე ძალიან კარგად იცის მემატიანემ. ეს რომ არა სცოდნოდა, არც იმ შესანიშნავ მატიანეს დაგვიტოვებდა. ხოლო აქ რომ ასე მოიხსენიებს ქართველებს, ეს ორატორული ხერხია, სწორედ იმის ნიშანი, რომ მემატიანე ვიღაცას ეკამათება და ეუბნება: ასეთი ხალხი ვართ, ჩვენივე მამას არა ეცემთ პატივს, ჩვენივე ღირსეული მამულიშვილი სათანადოდ ვერ დაგვიფასებიაო. ეს ძალიან გავრცელებული ფორმაა კამათისა, იმის წინათაც ბევრჯერ უთქვამთ ალბათ ასე, მაშინაც ამბობდნენ და ახლაც გაიგონებთ...

მემატიანე კი განაგრძობს...

და ახლა უკვე კონკრეტული მისამართიც გამოიკვეთა. ხოლო რაკი კონკრეტული ადრესატი გაჩნდა, პოლემიკამაც მეტი სიმწვავე შეიძინა.

ეს „მაბრალობელნი“ (ანუ გამკითხველნი, ბრალმდებელნი) ჯერ ხომ იმას უსაყვედურებდნენ მეფეს — სულ ლაშქარი და ლაშქარი, აღარ შეიძლება ამდენი გაჭირვება (თითქოს აღმაშენებლის ახირება ყოფილიყოს ის ლაშქარი და ის გაჭირვებაც — მისი ბრალი!), ამდენი თმენა!.. მოსვენება აღარ არის, სიმიც კი ვერ უძლებს ამდენ დაჭიმვასო. ახლა, უკვე ვეღარ მოუზომავთ და პირდაპირ უთქვამთ, რაც სინამდვილეში აწუხებდათ. „კუალად სხუასა ბრალობასა შემოიღებენ მეტყუელნი ესრეთ: შეიყუარნის ვინმე და განადიდნის ვინმეო, და კუალად მოიძულნის ვინმე და დაამცირნისო, ესე აღამაღლის და ესე დაამდაბლისო“...

აი, რა აწუხებთ იმ მაბრალობელთ!

რას უკიჟინებენ მეფეს!

დიდებულები რად დაამდაბლე და უღირსი ხალხი რად აამაღლეო?!

ტენდენციურობასა სწამებენ და ამით მეფისადმი მტრობისა და სიძულვილის ნამდვილ მიზეზს ამჟღავნებენ. ჩვენ ხომ ვიცით: თანამდებობისთვის შეუფერებელი დიდგვაროვანი აზნაურები მართლა დაამდაბლა და გააძევა მეფემ, და ღირსეულნი აამაღლა.. აი, რა ჭია უღრღნით გულს მაბრალობელთ... და რაკი ამხილა ისინი მემატიანემ, რაკი ჩვენს დასანახად ნიღაბი ჩამოგლიჯა, უკვე პირდაპირ მიმართავს მათ და არცხვენს: „ეჰა, უსამართლოებასა, ჰოი უგუნურებასა! ამისთვის აბრალება, რამეთუ კაცი მიწისაგანი ღმერთსა ემსგავსა რომლითაცა საქმითა? ვინ იხილა ესე საუკუნითგან, ჰოი, კაცო?! (დააკვირდით, რა ცოცხლად ჟღერს: თითქოს აგერ ვხედავდეთ და გვესმოდეს კიდეც, როგორ არცხვენს!) ამისთვის რად არა ღმერთსაცა აბრალებ, უგუნურო, ამასვე ესრეთ მოქმედსა?.. უკეთუ მეფემან ერთგულნი, ფრთხილნი, ახოვანნი, ნაცვლად ორგულთა, ჯაბანთა, უღირსთა, ადიდნეს, რა უსამართლო ქმნა?.. უხმარნი და უღირსნი ნუ მას, არამედ თავთა თვისთა აბრალებდნენ“...

პოლემიკა, რა თქმა უნდა, პირობით ვახსენეთ — ზოგადად უფრო, ვიდრე პირდაპირ და კონკრეტულად. ჭკვიანი კაცია მემატიანე. იცის, რომ ყოველი მეფის მოქმედება შემდეგ, საუკუნეების განმავლობაში, თაობათა შეფასების, განსჯის, პოლემიკის საგანი უნდა გახდეს... და ახლა, გარდა იმისა, რომ იმ კონკრეტულად ნაგულისხმევ და უკვე მისგანვე ნიღაბჩამოგლეჯილ მოწინააღდეგეებს ედავება და ეპაექრება, იგი მომდევნო თაობათა ცხარე პოლემიკაში ერევა.

ახლა კი დავაკვირდეთ ერთ მნიშვნელოვან ფაქტს.

დავით აღმაშენებელმა მაშინ გადმოიყვანა ყიჩაყები, როცა, თითქმის მთელი ქვეყანა — გარდა თბილისისა — სელჩუკ დამპყრობთაგან გათავისუფლებული იყო: საქართველო მან აღგილობრივი ძალებით, ქართველთაგან შემდგარი ლაშქრით გაათავისუფლა.

ეს, ეტყობა, შემთხვევით არ მომხდარა.

ამის შემდეგაც, განსაკუთრებით პრინციპულ და გადამწყვეტ ბრძოლებში მეფე ცდილობს, უმთავრესად საკუთარ ძალებს დაეყრდნოს, ქართველი მეომრები აიმოს.

ამას თავისი საფუძველი და გამართლება აქვს. გარდა სხვა პრინციპული საკითხებისა, რაც თავისთავად იგულისხმება, მეფე, ალბათ დამპყრობთა მიერ უკვე აოხრებულ სოფლებში ზედმეტ თარეშსაც მოერიდა: ორი უცხო ლაშქრის შებმა საკუთარ ტერიტორიაზე

სულ გაანადგურებდა იმ კუთხეებს, სადაც ეს ბრძოლები ხდებოდა: მტრისგან პირველ დარბევას თუ გადაურჩა რამ, იმასაც ერთიანად მოსპობდა, მშვიდობიანი და უმწეო მოსახლეობის მსხვერპლიც მეტი იქნებოდა... ბუნებრივია, ქართველი მეომრები უფრო ფრთხილად იმოქმედებდნენ საკუთარ მიწა-წყალზე.

ამრიგად, 1120 წლისთვის ქართველ მეფეს უკვე მზადა ჰყავს საომრად ახალი დიდი ლაშქარი... და იწყება განუწყვეტელი ბრძოლები — ამჟამად, უკვე თურქ-სელჩუკ დამპყრობთაგან საქართველოს მოსაზღვრე ტერიტორიის გასათავისუფლებლად.

აქ უნდა გავიხსენოთ ნიკო ბერძენიშვილის მოსაზრება, რასაც, თითქმის ყველა ჩვენი ისტორიკოსი იზიარებს: „საქართველო მაინც საფრთხეში იყო, ვიდრე ამიერკავკასიის აღმოსავლეთი (შარვანი, რანი) და სამხრეთი (სომხეთი) თურქების ხელში რჩებოდა, ვიდრე საქართველოს მისადგომებზე — ყაბალა-განძა-ანისში — თურქები ბატონობდნენ. ასე რომ, საქართველოს საზღვრებს იქით ომის გადატანა სრულიად აუცილებელი იყო საქართველოსავე თავდაცვისათვის“.

დავით აღმაშენებელს დიდი მისია ერგო. საქმე ისაა, რომ ჩვენი მეზობელი ხალხები თვითონვე იბრძოდნენ დამპყრობლების წინააღმდეგ, ამ ბრძოლით ისინი ქართველებს ეხმარებოდნენ, „თურქების განდევნას ამიერკავკასიის ხალხთა გაერთიანება მოჰყვებოდა, ხოლო გამაერთიანებლის როლში საქართველო გამოდიოდა“.

დადგა თუ არა 1120 წელი და ზამთრის სიცივეები დაიჭირა...

ეს ის დროა, როცა სელჩუკებს თავადაც უძნელდებათ ბრძოლა და თან ჰგონიათ, ამნაირ სიცივეში ქართველებიც თავს აარიდებენ ომსაო...

ერთი სიტყვით, დადგა თუ არა 1120 წელი, მეფემ თავის ძველ ხერხს მიმართა — „გარდავიდა გეგუთს და მიერ ხუფათს, და ამით გულპყრობილ ყენა იგინი“ (გული გაუმაგრაო, არცთუ უირონიოდ შენიშნავს მემატიანე) — იმერეთში გადასულა, ჯერ გეგუთი მოუნახულებია, იქიდან საზღვაო ქალაქ ხუფათისთვისაც დაუხედავს; დარწმუნებული იქნებ არც იყო, ისევ თუ წამოეგებოდნენ თურქები ამ მარტივი ხერხის ანკესზე, მაგრამ ნაგულისხმევი კი ესეც ჰქონდა — თუ მოტყუვდებოდნენ და ჩამოვიდოდნენ „საზამთროთა ადგილთა მტკვრის პირისათა“, მხედრობა გამზადებული ჰყავდა...

ღმერთმა ისე ყველაფერი კარგი აგისრულოთ: გადავიდა თუ არა მეფე გეგუთს, „ცნეს რა სიშორე მისი“, სელჩუკები ხელადვე ჩამოვიდნენ და „ჩამოდგეს ბოტორას“, ანუ ბორტიას და არხეინად

დაიზამთრეს; თანაც ცოტა კი არა — „დიდნი ფრიადო“ — ბევრნი ყოფილან...

მეფე შორიდან გაფაციცებით ადევნებდა თვალს. დაბანაკება კი აცალა მტერს და მაშინვე დაიძრა — „გარდამოიფრინეაო“, მემატიანე წერს — და ისე მოულოდნელად დაესხა თავს, რომ თურქებმა განძრევაც ველარ მოახერხეს: ვინც მოასწრო ცხენს მოხტომოდა და გაექუსლა, ის კი გადარჩა, მგონი, მაგრამ, ასეთები ცოტანი იყვნენ, დანარჩენებს მუსრი გააყლეს, „აღიღეს ტყუე და ალაფი ურიცხვი“...

ეს მოხდა 1120 წლის 14 თებერვალს.

რაკი ძალიან იოლ გამარჯვებას მიაღწიეს და დიდი მსხვერპლი არ გაუღიათ, თან, რაკი ლაშქარი საომრად იყო გაშზადებული და განწყობილი, მეფემ გადაწყვიტა, შეტევა გაეგრძელებინა. აქედან შარვანში გაილაშქრა — „აიღო შარვანს ქალაქი ყაბალა და აღავსო სამეფო თავისი ოქროთა და ვეცხლითა და ყოვლითა სიმდიდრითა“.

გამარჯვებებით ფრთაშესხმულ ლაშქარს ბევრი დასვენება კი აღარ სჭირდება. ამის შემდეგ დიდი ხანი არ გასულა, რომ მაისის დასაწყისში (7 მაისს) ქართველმა მეფემ ისევ გაილაშქრა შარვანისკენ, „არბია ლიჟათათ ვიდრე ქურდევანამდე და ხიშტალანთამდე“. ამ ადგილებს კავკასიონის მთების სამხრეთით კალთებზე ვარაუდობენ მკვლევარები.

დააკვირდით, როგორ გაახშირა დავით აღმაშენებელმა შარვანისაკენ ლაშქრობა! შარვანის გათავისუფლებას ძალიან დიდი მნიშვნელობა პქონდა — ამაზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ და აქ აღარ გავაგრძელებთ სიტყვას. აშკარაა, მეფეს მტკიცედ გადაუწყვეტია ეს მყარი პლაცდარმი მოუსპოს მტერს. ნიკო ბერძენიშვილი წერს — შარვანის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი თურქთა წინააღმდეგი იყო და ქართველებს აქტიურად ეხმარებოდაო.

ამ დროს შარვანში დიდი ამბავი მოხდა — ეტყობა, ქართველი მეფის მონაწილეობითო, მკვლევარები შენიშნავენ: „მათვე ღღეთა (ესე იგი, იმ ხანებში, როცა ქართველებმა შარვანისკენ გაილაშქრეს) შეიბნეს შარვანელი და დარუბანდელი, მოკლეს აფრიდონ და მოსწყვიდნეს შარვანელნი“... დარუბანდელებს შარვანშაპი აფრიდონი მოუკლავთ, რომელიც თურქული ორიენტაციისა იყო...

ამიერიდან შარვანი უკვე სელჩუკების წინააღმდეგ გამოდის! ეს დიდად მნიშვნელოვანი იყო.

იმავე 1120 წლის შემოდგომაზე დავით აღმაშენებლის ლაშქარს უკვე სამხრეთით ეხედავთ: „თუესა ნოემბერსა წარვიდა მეფე აშორ-

ნიას, დაესხა თურქმანთა, მოსრნა და იავარყენა, და წარმოიღო ნატყუენაი მათი ურიცხვი“.

საინტერესო ის არის, რომ იქიდან შინისკენ გამობრუნებული, გზად კვლავ დასხმია თავს მტერს და ერთიანად მოუსრავს: „ჩამოვლო მგზავრ, დაესხა სევგელამეჯს თურქმანთაევ და არა დაუტევა მოტირალი კარავთა მათთა“ (გზად გამოვლილმაო!.. არც ამ სიტყვებს აკლია ირონია! ცოცხალი ემოციები ჯერაც არ დამცხრალა და ამითაც კი ჩანს, რომ დავითის ბრძოლებისა და მოღვაწეობის უშუალო მონაწილეს დაუწერია ეს თხზულება)...

შეხედეთ, იმ ერთ წელიწადში რამდენი ომი გადაუხდია და რამდენი გამარჯვება უზეიმია ქართველთა ლაშქარს. ამ ბრძოლებს რომ ჩამოთვლის, მემატიანე დაუფარავი სიამაყით (თითქოს ნიშნისმოგებითაც კი) შენიშნავს: „ესე ერთისა წლისაო!“

ჩვენ ხომ ვიცით, რომ დავით აღმაშენებლის მთავარი ამოცანა იყო საქართველოდან და მთელი მახლობელი აღმოსავლეთიდან თურქსელჩუკების განდევნა და მათი ძლიერების თანდათანობით გატეხა, უცხოელ დამპყრობთაგან ქვეყნის განთავისუფლება და ამ თავისუფლების მტკიცედ დამკვიდრება. სწორედ ამიტომ სჭირდებოდა მას კარგად გაწვრთნილი და აღჭურვილი დიდი ლაშქარი. ამიტომვე არ არის გასაკვირი ქართველთა მხედრობის გახშირებული თავდასხმები მტერზე.

და მაინც ერთი წლის განმავლობაში ასე დაჟინებით გადაბმულ ბრძოლებს რომ გაადევნებ თვალს, გინდა, უფრო კონკრეტული მიზეზი და საფუძველი მოუძებნო. შოთა მესხია თავის წიგნში დამაჯერებელ ვარაუდს გვთავაზობს.

ჯერ ის გავიხსენოთ, რომ იმ ხანებში, 1119 წლიდან მოკიდებული, თურქებმა განსაკუთრებით გააძლიერეს შეტევები ჯვაროსნების წინააღმდეგ და მძიმე დღეში ჩააგდეს ისინი; ზედიზედ ზეიმობდნენ გამარჯვებას დასავლეთით, არაერთი განთქმული ევროპელი რაინდი და სარდალი დაიღუპა თურქებთან ხელჩართულ ბრძოლებში, არაერთი რაინდი და სარდალი ტყვედ ჩავარდა, ჯვაროსნები შველას საჭიროებდნენ.

თუ აღმოსავლეთითაც გააქტიურდებოდა თურქების წინააღმდეგ შეტევები, ჯვაროსნების მდგომარეობა, რაღა თქმა უნდა, შემსუბუქდებოდა და ამით, თავისთავად, საერთო მიზნის — თურქთა ძლიერების გატეხისა და დასუსტების საქმეც დაჩქარდებოდა. მკვლევარებს სარწმუნოდ მიაჩნიათ სხვადასხვა წყაროს მიერ ზოგადად

გამოთქმული ცნობები დავით აღმაშენებლისა და ჯვაროსანთა ურთიერთობა-მოკავშირეობის შესახებ.

ახლა კი გავიხსენოთ უფრო კონკრეტული ცნობა, რომელსაც შესანიშნავი ქართული წიგნის „კალმასობის“ ავტორი იოანე ბატონიშვილი გადმოგვცემს.

მას შემდეგ, რაც ჯვაროსნებმა იერუსალიმი აიღეს, იქ თავისი მეფე პყავდათ ხოლმე. 1119 წლიდან — ესე იგი, სწორედ იმ მძიმე დროს, როდესაც თურქები გააქტიურდნენ და გააძლიერეს ჯვაროსნების წინააღმდეგ შეტევა, — იერუსალიმის მეფეა ბალდუინ მეორე. აქვე შევნიშნოთ, რომ ცოტა უფრო მოგვიანებით ამ ბალდუინსაც აგემა ბედმა ტყვეობის სიმწარე...

მანამდე კი, — ალბათ იმავე ხანებში, როცა იგი სამეფო ტახტზე ავიდა, — იერუსალიმის მეფე ბალდუინ მეორეს ჩვენ ქართველი მეფის სასახლეში ვხედავთ.

ასეთია ცნობა, რომელსაც უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით იოანე ბატონიშვილი გვაწვდის.

იერუსალიმის მეფის ვიზიტი საიდუმლო ყოფილა — საქართველოს სამეფო კარზეც კი ყველას არ გაუგია — „ესე ბალდვოინ მოვიდა იდუმალ ქართლსა შინა მოთხრობისაებრ სხვათა ისტორიებთა“, გადმოგვცემს ქართველი მწერალი და იქვე შენიშნავს: „ვერა რომელთამე ქართველთა სცნეს ამათი იდუმალი მოსელაი“...

ამრიგად, ბალდუინის ვიზიტი საიდუმლო იყო; ამასთან მოკლე და საქმიანი. და თუმცა ჩვენ არ მოგვეპოვება წყარო, რომელიც გადმოგვცემდეს ქართველი მეფის დავით აღმაშენებლისა და მეფე ბალდუინ მეორეს მოლაპარაკების შინაარსს, ძნელი სულაც არ არის იმის ვარაუდი, რაზე ილაპარაკეს მათ.

საუბარი, რაღა თქმა უნდა, თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლას შეეხებოდა. ხოლო იმ ისტორიული ფაქტების მიხედვით, რაც მათ შეხვედრას მოპყვა, არც იმის ვარაუდია ძნელი, თუ რა შეთანხმებას მიაღწიეს.

საქართველო უკვე ძლიერი ქვეყანა იყო, დავით აღმაშენებელი და ქართველთა ლაშქარი შიშის ზარი გახდა მტრისთვის. ქართველმა მეფემ აღუთქვა ბალდუინს, რომ იგი კვლავ უფრო გაახშირებდა და გააძლიერებდა მტრის წინააღმდეგ შეტევებს, და ამით საქმეს გაუადვილებდა ჯვაროსნებს დასავლეთით.

ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ქართველმა მეფემ პირნათლად შეასრულა თავისი დაპირება. აი, რით შეიძლება აიხსნას იმ ერთ წელიწადს

ქართველთა განსაკუთრებით გაბშირებული ბრძოლები სელჩუკების წინააღმდეგ: სული აღარ მოათქმევინეს სელჩუკებს, საშუალება არ მისცეს, აქედან დასავლეთით გადაეყვანათ ჯარები. ამით კი ჯვაროსნებს შეუწყვეს ხელი.

ამასთან დაკავშირებით ერთ საკითხზე უნდა შევაჩერო მკითხველის ყურადღება:

როგორც ვნახეთ, თურქ-სელჩუკებს ებრძვიან დასავლეთით ჯვაროსნები და თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა აქვთ გამართული ქართველებს. მტერი საერთო იყო ჯვაროსნებისთვისაც და ჩვენი ხალხისთვისაც, მაგრამ ჩვენი ხალხის ბრძოლას სულ სხვა ხასიათი და მიზნები ჰქონდა. ჩვენ ზემოთ ვნახეთ ჯვაროსანთა ბრძოლების ნამდვილი მიზნები. მათგან განსხვავებით, ქართველები ებრძოდნენ დამპყრობლებს, თავიანთ მიწა-წყალზე შემოჭრილ მტერს, რომელმაც მშვიდობიანი ცხოვრება დაურღვია, მეურნეობა დაუნგრია, ქალაქები და სოფლები დაუქცია, ხალხი გაუჟლიტა... ეს ბრძოლა რელიგიური ფანატიზმის ნიშნით კი არ წარმოებდა, ქართველები მუსულმანებს, როგორც სხვა რჯულისა და რწმენის ხალხს კი არ უპირისპირდებოდნენ, არამედ, როგორც დამპყრობელს. მაპმადიანური სამყაროთი გარემოცულ საქართველოს არ შეიძლებოდა მშვიდობიანი ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობა არა ჰქონოდა ამ სამყაროსთან, ანუ ასეთი ურთიერთობის დამყარებას არა ცდილიყო, როცა კი მტერს თავისი მიწა-წყლიდან განდევნიდა. აი, რით აიხსნება იმ ხანებში მოჭრილ ქართულ მონეტებზე არაბული წარწერები: ზემოთაც ითქვა, ესეც ამკარად მიგვანიშნებს, რომ ჩვენს ქვეყანას სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა მაპმადიანურ სამყაროსთან.

ერთი სიტყვით, უსათუოდ უნდა განვასხვაოთ მიზნები და ხასიათი ჩვენი ხალხის განმთავისუფლებელი ბრძოლებისა ჯვაროსანთა ლაშქრობისაგან.

ქართველთა ლაშქრის შეტევები გრძელდებოდა. ჩვენ უკვე ვახსენეთ 1120 წლის მიწურულს გადახდილი ბრძოლები. იმავე ზამთარს — ესე იგი, ეს უნდა ყოფილიყო ან 1120 წლის დეკემბერს ან 1121 წლის დასაწყისში — მეფე აფხაზეთს გადავიდა. ეტყობა, იქაური დიდებულები გადაუდგნენ და საჭირო გახდა მათი „წურთნა". სწორედ ასე გადმოგვცემს მემატიანე: „...განაგნა საქმენი მანდაურნი... შემცოდენი დაიპყრნა და წუართნაო" („შემცოდენი სტანჯნაო", ვახუშტი ბატონიშვილი წერს).

ამჯერად თურქთა „ჩამოსატყუებლად“ არ წასულა მეფე, როგორცა ენახეთ, სერიოზული საქმეები გასჩენია. მაგრამ საოცარია — ვერა და ვერ ისწავლეს სელჩუკებმა ჭკუა: ალბათ, დიდი თოვლის იმედით (მკაცრი ზამთარი ყოფილა — ლიხის გადასასელელზე სამი მხარი — ესე იგი, 5 მეტრამდე — თოვლი იდოო), ისევ „გულდებით ჩამოდგეს პირსა მტკურისასა!“ ეგონათ, ახლა მაინც ვერ გადმოლახავს მეფე მთებსო, გაზაფხულამდე კი იმედი ჰქონდათ, მოვეშზადებით, გაემაგრდებითო... კაცი იმედით ცოცხლობს.

მაგრამ ამჯერადაც განწირული გამოდგა მტრის იმედი. თოვლმაც ვერ დააკავა მეფე: „წარმოვიდა მსწრაფლ აფხაზეთით თოვლთა საშინელთა“...

და არ იკითხავთ, როგორ გამოაღწია იმსიღრმე თოვლში?! ხალხი გამოიყვანა და გააკვალვინა თოვლი — „გარდაათხრევინა მთა ლიხისაო“, — მემატიანე წერს, ხოლო სიმაღლე „გარდანაკუეთსა“ თოვლს სამი მხარი ჰქონდაო...

ეს სათქმელად არის ადვილი! ხუთი მეტრის სიღრმის თოვლში გზის გაკვალვას (მიუვალ მთებში, იმ საშინელ ზამთარში) ეხუმრებით! თანაც რა გზის — მთელი ლიხის გადასასელელისა! ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა არაადამიანური შრომა დასჭირდებოდა!

მტკიცე კაცი იყო დავით აღმაშენებელი, მტერზე გამარჯვების საქმეს ყველაფერს ანაცვალებდა. ამას მეორე მხარეც ჰქონდა — კარგად იცოდა, რომ მარტო ეს ფაქტიც კი — იმ ზამთარში ლიხის მთის გადალახვისა — საშინელი შიშის ზარი იყო მტრისთვის და ერთ დიდ გამარჯვებას უდრიდა.

ამის შემდეგ მკითხველისთვის უკვე მოულოდნელი აღარ იქნება, რომ ქართველთა ლაშქარი თავს დაესხა „საზამთროდ ჩამომდგარ“ სელჩუკებს ხუნანში — „აღავსო ლაშქარმან მთით მტკურამდე და გაგთათ ბერდუჯამდე“ — და ისე გაქლიტეს ურიცხვი მტერი, რომ ამბის წამღებიც არავინ დარჩა: „არა დაუშთა მთხრობი ამბავისა“.

ეს მომხდარა 1121 წლის მარტში.

იოანე ბატონიშვილის ცნობით, სანამ ქართული მხედრობა ხუნანში დაესხმოდა თავს სელჩუკებს, ჯერ იქვე, ლიხის ძირშიევე, სურამშიევე, გადაუხდია ბრძოლა. „კალმასობაში“ მოტანილი ცნობა სწორედ ამ ლაშქრობას უნდა გულისხმობდეს: „...შემოიკრიბნა იდუმალ მხედრობანი აფხაზთა და იმერთა და დანაშთთა ქართველთანი დროსა ზამთრისასა, და გარდახვეტეს მთაი საფიჩხისა და დაესხნენ იდუმალ სურამსა მდგომთა თათართა... აოტნეს და მოსწყვიდნეს“...

ჩვენში ხომ მოკლე გაზაფხული იცის — ერთბაშად დააჭერს ხოლმე მზე და ჩამოცხება. დიდთოვლობას საშინელი წყალდიდობა მოჰყვა. მდინარეებმა ლამის სულ წალეკეს ყველაფერი. რაღა თქმა უნდა, მტკვარიც ადიდდა, კალაპოტში აღარ ეტეოდა, გრგვინავდა და მრისხანებდა, მთა და ბარი მოპქონდა... იმის იმედით, მტკვარს მაინც ვერ გადმოცურავენო, თურქები ამჯერად „ჩადგეს ბარდავს გულდებითა“.

ანკი რას წარმოიდგენდნენ, რომ ქართველთა მხედრობა აბობოქრებულ ზღვად ქცეულ მდინარეს გადალახავდა!

მეფემ არც ახლა აპატია მტერს: მხედრობამ ადიდებული მდინარე გადასცურა და თურქებს დაერია. ამაზე იტყვიან ხოლმე — არც მარტმა არგო და არც აპრილმაო. ანდაზაშია ასე ნათქვამი, თორემ ისე ეს ამბავი ზაფხულის დამდეგს მომხდარა, ივნისში. ზამთარმა რა ხეირი დააყარა, ხომ ენახეთ და ახლა გაზაფხულ-ზაფხულზედაც ამ დღეში აღმოჩნდნენ. ანდაზაშიაც ირონიულად არის ნათქვამი, თორემ ამინდი და წელიწადის დრონი აქ რა მოსატანია — ხალხი დაირაზმა, ხალხი აღსდგა დამპყრობლის წინააღმდეგ. ქართველთა ლაშქარი დღითი დღე ძლიერდებოდა.

●

სანამ გამარჯვებებით ფრთაშესხმული ქართველი მხედრობა აქ მუსრს აკლებდა მტერს, იქ, სულთნის კარზე, ცოტა არ იყოს, კომიკური სცენა იმართებოდა, თუმცა ყველაფერი პირობითია, ჩვენთვის ჩანს ახლა ეს კომიკური, თორემ იმათთვის, ვინც მაშინ იმ სცენაში მონაწილეობდა, საშინელი ტრაგედია და უბედურება იყო.

ქართველი მემატიანე ასე გადმოგვცემს ამ სცენას:

„ესეეითართა ჭირთაგან შეიწრებულნი თურქმანნი და კუალად ეაჭარნი განძელ-ტფილელ-დმანელნი წარვიდეს სულტანსა წინაშე“...

დელეგაცია ხლებია სულთანს საჩიერით, თანაც საკმაოდ დიდი და შთამბეჭდავი დელეგაცია – ქართველთაგან შევიწროებული სხვადასხვა კუთხის თურქთა ელჩები და სამი დიდი ქალაქის წარმომადგენლები!

ამ დიდი დელეგაციის მისია ადვილი მისახვედრია — ვინც ტყუოდა, ის წყრებოდაო: შესჩივიან სულთანს, ამ დღეში ჩაგვაგდეს ქართველებმა და ვიღუპებით, გვიშველეო. ორი თავგატეხილი

კოდალისა არ იყოს, ერთმანეთს შესჩიოდნენ. თავად გაჭირვებული სულთანი სხვას რაღას დაეხმარებოდა.

და კომიკური მარტო ის კი არ არის, რომ, ვთქვათ, თბილისში დაბუდებული გადამთიელი ჩიების — ქართველები ჩვენს ქალაქში არ გვასვენებენ და ჭკუა ასწავლეთ, ჩვენთვის დაგვაყენონ, როდემდე უნდა ვითმინოთ ამდენი უსამართლობა და ძალმომრეობაო. კომიკურია, თუ შეიძლება ასე ითქვას, თვითონ გარეგნული სახე ამ სცენისა: მეტი ეფექტისთვის, უკიდურესი განწირულების გამოსახატავად და სულთანზე ზემოქმედების მოსახდენად, დელეგაციის წევრებს შავად ⸢შეუღებავთ — ზოგს პირისახე, ზოგს ხელები და ზოგიც თავით ფეხამდე გამურულა... ახლა ისიც წარმოიდგინეთ, რანაირად უხატავდა თავიანთ სავალალო მდგომარეობას ეს გამურული და შავად შემოსილი, თავზე მიწადაყრილი, აბღავლებული ხალხი სულთანს: „და ესრეთ მიუთხრნეს ყოველნი ჭირნი, მოწეენულნი მათ ზედა, რომლითა აღძრნეს წყალობად თვისა და იქმნა გლოვა ფრიადი შორის მათსა“.

აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ამნაირი დელეგაციები სხვაგანაც გაუგზავნიათ, „ყოველსა სპარსეთსაო“ — ესე იგი, სხვა მაპმადიან მმართველებთან. ქართველი მემატიანის ცნობას სომხური და სხვა წყაროებიც ადასტურებენ. უკიდურესი გასაჭირის დროს ტანსაცმლის შემოფლეთა და თავზე მიწის დაყრა ჩვეულებად პქონიათ და დავით აღმაშენებლის დროს ხშირად მიუმართავთ ამ ჩვეულებისთვის. სომეხი მემატიანე მათე ურპაელი გადმოგვცემს, რომ ამის წინათაც, რამდენიმე თვით ადრე, ქართველთაგან მწარედ დამარცხებულ განძელ ამირას — „სისხლისმღერელს, ბოროტსა და ეშმაკს“ — და მის მეომრებს (ვინც კი ამ ბრძოლაში გადარჩაო, არც თუ უირონიოდ შენიშნავს სომეხი მემატიანე) შემოუფლეთიათ ტანსაცმელი, თავზე მიწა დაუყრიათ და თავიანთ სულთანს, მელიქ გაფარის ძეს ხლებიან, ქართველი მხედრობა და მისი სარდალი დაუსმენიათ.

კაცმა რომ თქვას, დელეგაციები ანკი რა საჭირო იყო: მაპმადიანური ქვეყნების მესვეურები ისედაც ხედავდნენ, რომ ახლო აღმოსავლეთში მათ საშიში მოწინააღმდეგე გამოუჩნდათ, ძლიერი ქრისტიანული ქვეყანა საქართველო. რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა ეს ქვეყანა და შიშის ზარად ეელინებოდა მთელ მაპმადიანურ სამყაროს.

ასე რომ, მიეიდოდა თუ არ მიეიდოდა სულთანთან შველის სათხოვნელად გამურული დელეგაცია, ამას, ალბათ მნიშვნელობა

აღარ ჰქონდა — მაჰმადიანური ქვეყნების მესვეურებს ისედაც გადაეწყვიტათ, საფუძვლიანად მომზადებულიყვნენ და ერთხელ და საბოლოოდ ესწავლებინათ ჭკუა ამ ჯიუტი და დაუმორჩილებელი ხალხისთვის.

ვინ შეკრიბა ამ ქვეყნების გამგებელნი, ან როდის შეიკრიბნენ, სად შეიკრიბნენ და როგორ მოილაპარაკეს, ეს ცნობილი არ არის... ფაქტი ისაა, რომ საფუძვლიანი მოლაპარაკება ჰქონდათ და გადაწყვეტილებაც მტკიცე და სერიოზული მიიღეს. ალბათ, ამ თათბირზე ითქვა და გადაწყდა, რომ ჯვაროსნების წინააღმდეგ მომზადებული დიდი შეტევა გარკვეული დროით გადაედოთ და მთელი ძალები აღმოსავლეთისკენ გადმოეყვანათ საქართველოს დასალაშქრად. ქართული მხედრობის დამარცხებისა და საქართველოს აღების შემდეგ უფრო გულდამშვიდებით განაგრძობდნენ ბრძოლებს დასავლეთის ფრონტზე. ასევე გადმოგვცემს ამას ჯვაროსანთა ლაშქრობის მემატიანე გოტიე: მაჰმადიანებს გადაუწყვეტიათ — ქართველი მეფის მოსპობის შემდეგ დაუბრკოლებლად შევუდგებით ანტიოქიის დამარცხებას და ახლა დასავლეთშიაც გავაელებთ ქრისტიანებს მუსრსაო.

მთავარსარდლობა ამ დიდი ლაშქრობისა საქართველოს წინააღმდეგ დაევალა ნეჯმ ად-დინ ილღაზს. განთქმულ სარდალს, კაცს „დაპმანსა და მრავალღონეს" (ესე იგი, მოხერხებულიც ყოფილა და ძლიერიც, მამაციც); სომეხი ისტორიკოსის სიტყვით — „ზვიადსა და ძლიერს", ჯვაროსანთა მეისტორიის დახასიათებით — „გოროზსა და თავგასულს"...

ზემოთ რომ ვამბობდით, 1119 წლიდან ჯვაროსნებს ძალიან გაუჭირდათ მაჰმადიანების წინააღმდეგ ბრძოლებშიო, მთავარ დარტყმებს ეს ილღაზი აგემებდა ჯვაროსნებს. სწორედ ამ დროს უწოდეს მას ნეჯმ ად-დინ ანუ სარწმუნოების ვარსკვლავი და მუსლიმანმა პოეტებმა ქება შეასხეს „საღვთო ომის მებრძოლს"... ეს ამბები დაწვრილებით აქვს მოთხრობილი მკლევარ ქველი ჩხატარაიშვილს თავის წიგნში.

ამჟამადაც სწორედ ილღაზი იყო გამზადებული ანტიოქიაზე გასალაშქრებლად... მაგრამ, როგორც ვნახეთ, ეს დიდი შეტევა გადაიდო, ჯერ საქართველო უნდა აეღოთ და დაემორჩილებინათ.

თუ რა საფუძვლიანად და საგულდაგულოდ მოამზადეს საქართველოს წინააღმდეგ გალაშქრება, კარგად შეგვიძლია ვივარაუდოთ ამ კოალიციის შემადგენლობის მიხედვით; ეს იყო მაჰმადიანური

სამყაროს დიდი კოალიცია საქართველოს წინააღმდეგ. მემატიანეს მოეუსმინოთ: „სულტანმა მოუწოდა არაბეთისა მეფესა დურბეზს, სადაყას ძესა, და მოსცა ძე თვისი მალიქი და ყოველი ძალი მისი; და აჩინა სპასალარად ელღაზი, ძე არდუხისი, კაცი დაპმანი და მრავალღონე და უბრძანა თურქმანობასა, სადაღაცა ვინ იყო, დამასკოთ და პალაბითგან ამოღმართ, ყოველსა მხედრობად შემძლებელსა, ამათ თანა ათაბაგსა განძისასა მისითა ძალითა და ყოველთა სომხითისა ამირათა“.

დააკვირდით: უბრძანა თურქმანობასა, სადაღაცა ვინ იყოო!.. და თანაც, ყოვლისა მხედრობად შემძლებელსაო! ეს იმას ნიშნავს, რომ ქუდზე კაცი გაუწვევიათ! ამის შემდეგ გასაკვირი აღარ უნდა იყოს ის, იმდროისათვის, ზღაპრული რიცხვი საქართველოს წინააღმდეგ წამოსულ მაპმადიანთა შეერთებული ლაშქრისა, რასაც სომხური და უცხოური წყაროები ასახელებენ.

ზოგიერთი წყაროს მიხედვით, 600.000 ჯარისკაცისგან შემდგარი ლაშქარი დაძრულა საქართველოსკენ. ასეთ ცნობას გვაწვდის ზემოთ უკვე ნახსენები გოტიე, ანტიოქიის ომების მემატიანე. მათე ედესელის ცნობით, მაპმადიანთა შეერთებული ლაშქარი 560.000 აღწევდა. როგორც ვხედავთ, დიდი განსხვავება არ არის ამ ორ ცნობას შორის... და მკვლევარებს გაზვიადებულად მიაჩნიათ ეს რიცხვი; იოანე ჯავახიშვილი, მაგალითად, ვარაუდობს, რომ მტრის ლაშქარი სამასი ათასი მეომარი იქნებოდა. ზუსტი რიცხვის დადგენა ახლა, რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია, მაგრამ ფაქტია, — ამას ჩვენამდე მოღწეული ყველა ცნობა ადასტურებს — რომ მტერმა ძალიან დიდი ლაშქარი გამოიყვანა...

ჩვენს მეცნიერებს ქართველი მემატიანის ზემოთ მოტანილი ცნობა მაპმადიანურ ქვეყანათა კოალიციის შემადგენლობის შესახებ, შეჯერებული აქვთ უცხოურ წყაროებთან. ვფიქრობ, საინტერესო იქნება გავეცნოთ იმ შემადგენლობას, როგორც იგი წარმოდგენილი აქვს შოთა მესხიას თავის წიგნში.

თვით ილღაზი — „სულთნის მიერ ბაღდადის გამგებლად დანიშნული, აუღებლად მიჩნეული ციხის მარდინის მფლობელი, ალეპოს დამპყრობი, ხოლო 1121 წლიდან მაიაფარიკინის გამგებელი“.

დურბეიზი — „ქალაქ ჰილას (მდ. ევფრატზე) პატრონი... „არაბეთის მეფე“... აქვეა მოტანილი ამ დურბეიზის მათე ურჰაელისეული დახასიათება: „კაცი გულადი და მებრძოლი. მან დაატყვევა ქალაქი ბაღდადი და სამი ბრძოლა გადაიხადა სპარსთა სულთანთან —

ტუფასთან“... დურბეიზი, სხვათა შორის, სიძე ყოფილა ამ დიდი ლაშქრობის სარდლის ილღაზისა: ლაშქრობის ერთი წლის წინ მისი ქალი შეურთავს ცოლად.

თოღრულ მოჰამედის ძე — „ყაზვინის, ზენჯანის, გილანის და სხვათა, ხოლო 1121 — 1122 წლებში არანისა და განძის გამგებელი; სიცოცხლის ბოლო სამ წელს სულთნადაც იყო“.

თუღან არსლან კუზიანი — თურქი ამირა ბითლისისა და არზანის პატრონი და ქალაქ დვინის დამპყრობი“.

განძის ათაბაგი — „...უნდა იგულისხმებოდეს განძის იმდროინდელი მფლობელის თოღრულის ათაბაგი ქენ-თოღდი... განძის ათაბაგი არა მარტო თოღრულის ლაშქარს უძღვებოდა, არამედ მას ჰყავდა საკუთარიც“.

„სომხეთის ტერიტორიის წვრილ-წვრილი მაჰმადიანი გამგებლები, ამირები“ — ქართველი მემატიანის მიერ მოხსენიებული „ყოველთა სომხითისა ამირათა“.

ხედავთ, რა დიდი კოალიცია ყოფილა!..

მაგრამ ჯერ არ დაგვიმთავრებია.

„ზემოდასახელებულთა გარდა, — წერს მკვლევარი, — კოალიციურ ლაშქრობაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ დუბეისთან ერთად ამ მიზნით არზრუმში (ერზერუმში), მოსულთა და დაბანაკებულთ; ყადს ელმ-ად-დინ-იბნ ჯაბრის, მის შვილს, ქალაქ მარდინის ყადს აბულ-ფათხის და ვეზირს აბუ-თამამ-იბნ-აბდუნას“...

სულთანსა და მის თანამზრახველთ მტკიცედ გადაუწყვეტიათ გაჟლიტონ და მოსპონ, ერთიანად გაანადგურონ ქართველები. მართალია, ქართველთა ლაშქარმა ბოლო წლებში დიდი გამარჯვება იზეიმა, როგორც ითქვა, შიშის ზარი გახდა მახლობელი აღმოსავლეთის მაჰმადიანური ქვეყნებისა, ზოგჯერ საარაკოც კი იყო ეს გამარჯვება, როცა, მაგალითად, დავით აღმაშენებლის ათას ხუთასი მეომრისგან შემდგარმა მხედრობამ სელჩუკების 100.000-იანი ლაშქარი დაამარცხა, მაგრამ ეს მაინც მაჰმადიანთა ცალკეული ქვეყნების ლაშქრებთან შებმა იყო. ახლა კი, როგორც ვნახეთ, სულ სხვა სურათი შეიქმნა, ახლა, ამ ქვეყანათა შორის შინაგანი წინააღმდეგობების მიუხედავად, რაც თავისთავად იგულისხმება, ისინი ერთი დროშის ქვეშ გაერთიანდნენ, ერთი მიზნით არიან შეკავშირებულნი და ძალიან კარგად აქვთ შეგნებული, რომ ეს გადამწყვეტი ბრძოლა იქნება.

ან გაიმარჯვებენ და მახლობელ აღმოსავლეთში საბოლოოდ

გაბატონდებიან, ხოლო ეს უკვე თავისთავად, დასავლეთში, ჯვაროსნებზე გამარჯვების მეტად მნიშვნელოვანი და საფუძვლიანი გარანტია იქნება;

ან, თუ გამარჯვებას ვერ მიაღწიეს, საბოლოოდ უნდა გამოეთხოვონ აღმოსავლეთში გაბატონების განზრახვასა და ოცნებას (ხოლო რამდენად მწარე უნდა იყოს ეს გამოთხოვება, იმითი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ მათ უკვე მოპოვებული ჰქონდათ ბატონობა, და, სანამ დავით აღმაშენებელი სამეფო ტახტზე ავიდოდა, თავისუფლადაც პარპაშებდნენ) და ამდენად, დასავლეთში გამარჯვებაც საეჭვოდ გაიხადონ...

თუმცა, ამას ჩვენ ვამბობთ ახლა ასე – იმათ სათუოდა და საჭოჭმანოდ სულაც არ წარმოედგინათ საქმე.

ისინი მრისხანე ლაშქრით დაიძრნენ საქართველოსკენ და თრიალეთის ქედს უახლოვდებიან... მოდიან მტკიცედ, თავდაჯერებულნი, გალაღებულნი, მომავალი უეჭველი გამარჯვების რწმენით გაამაყებულნი... წინ ვინ უნდა დაუდგეს — მთელი მაჰმადიანური სამყარო დაძრულა!

ასეთი განწყობილებაა მტრის ლაშქარში.

საქართველოში?

საქართველოში რა ხდება?

ქართული ლაშქარი როგორა ხვდება მრისხანე მტრის ურიცხვ ჯარს?

●

საოცარია, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს ძალიან მოკლედ და თითქოს გაკვრით აქვს გადმოცემული მაჰმადიანთა შეერთებული ლაშქრობის ამბავი. დაუჯერებელია, დიდად მნიშვნელოვანი ომი ასე ძუნწად აეწეროს. იქნებ, დაიკარგა ეს ადგილები დროთა ვითარებაში, თხზულებიდან ამოვარდა და ჩვენამდე ეელარ მოაღწია!..

ზემოთ გავეცანით მემატიანის ცნობას მაჰმადიანთა შეერთებული ლაშქრის შემადგენლობის შესახებ, ამას უშუალოდ მოსდევს სიტყვები:

„შეკრბეს ესე ყოველნი, შეითქუნეს, შეიმტკიცნეს სიმრავლითა ვითარცა ქვიშა ზღვისა, რომლითა აღიესო ქუეყანა, და აგვისტოსა

თორმეტსა მოვიდეს თრიალეთს, მანგლისს და დიდგორთა, რომელ თვით ფერხთა ზედა ვერ ეტეოდეს ამათ ადგილთა".

ასე მოკლედ, მაგრამ ცოცხლად და შთამბეჭდავად აგვიწერს მემატიანე მტრის ლაშქრის მოსვლას. გულდასაწყვეტი ის არის, რომ ქართველთა მზადებას არ გადმოგვცემს იგი ასე თვალსაჩინოდ და კონკრეტულად.

„ხოლო მეფემან დავით, უშიშმან და ყოველად უძრავმან გულითა, თუ ვითარ წინა განაწყო სპა მისი და თუ ვითარ ყოველი საქმე შუენიერად და ღონიერად ყო, რაბამ (როგორ) რამე წყნარად, უშფოთველად და გამოცდილებით და ყოველად ბრძნად განაგო, და ვითარ თვისნი სპანი დაიცვნა უვნებელად, ამათ ყოველთათვის არა ჩუენი, არამედ ვგონებ, რომელ ყოველთა ბრძენთა სოფლისათა ენა ვერ შემძლებელ არს მოთხრობად ზედმიწევნით ყოველსავე".

უცხოურმა წყაროებმა უფრო დეტალური აღწერა შემოგვინახეს. ასეთი წყაროები საკმაოდ ბევრი და მრავალფეროვანია და სწორედ ამ წყაროებმა მისცეს საშუალება ქართველ მკვლევარებს, სასურველი სიცხადით გაეცოცხლებინათ რვაას ორმოცდაათი წლის წინათ გადახდილი დიდი ომის მთელი სურათი. გარდა წინა თაობათა ქართველი მეცნიერების გამოკვლევებისა, ამ მოვლენას საგანგებო შრომები უძღვნეს თანამედროვე მკვლევარებმა. ზემოთ რამდენჯერმე მოვიხსენიეთ შოთა მესხიას წიგნი „ძლევაი საკვირველი". ეს შრომა, დიდგორის ომის რვაასორმოცდამეათე წლისთავისადმია მიძღვნილი. ამავე დიდ თარიღს მიეძღვნა კიდევ ერთი მშვენიერი წიგნი — ქველი ჩხატარაიშვილისა და ივანე შაიშმელაშვილის „დიდგორის ბრძოლა". ამ წიგნის ღირსება ის არის, რომ მეცნიერულად შემოწმებული და სხვადასხვა წყაროებით შეჯერებული ფაქტები ძალიან საინტერესოდ არის მოთხრობილი და, როგორც ითქვა, დიდი ომის მთელ ისტორიას გვიცოცხლებს — მის მიზეზებსაც, მომზადებასაც, ბრძოლების ცალკეულ ეპიზოდებსაც, შედეგებსაც და მნიშვნელობასაც.

აქ მოკლედ გადმოგცემთ ბრძოლის ამბავს.

ქართველებისთვის მოულოდნელი არ ყოფილა არც ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ მაჰმადიანური სამყაროს დიდი კოალიციის შექმნისა და არც გამოლაშქრების კონკრეტული სამზადისის ამბები: უნდა ვიფიქროთ, დავით აღმაშენებელმა მტრის წინასწარი დიდი სამზადისიც კარგად იცოდა და საქართველოსკენ დაძრული შეერთებული მაჰმადიანური მხედრობის შემადგენლობაც.

მაჰმადიანთა დიდი ლაშქარი რომ თრიალეთს მიუახლოვდა,

ქართული მხედრობა უკვე დაბანაკებული იყო და მტრის გამოჩენას ელოდა. მართალი არ იქნება იმისი თქმა, თითქოს უეჭველი გამარჯვების მოლოდინში ძალიან გულდამშვიდებითა და გულარხეინად ყოფილიყვნენ ქართველი მეომრები. მაგრამ, ალბათ ჭეშმარიტებას არ ვუღალატებთ, თუ ვიტყვით, რომ მტერს ელოდნენ მტკიცე გადაწყვეტილებით: უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ებრძოლათ სამშობლოს თავისუფლების დასაცავად და ან გაემარჯვათ, ან იქვე გაწყვეტილიყვნენ.

გოტიე წერს, ბრძოლის წინ დავით მეფემ თავის ჯარს მიმართა: გვიჯობს, დავიხოცოთ ბრძოლის ველზე და გაქცევით კი ნუ გავიქცევითო... და რომ მოვისპოთ გაქცევის საშუალება, ამ ხეობის შესასველელი (ხეობაში ჩასაფრებული იყო ქართველთა არმიაო, იქვე გადმოგვცემს იგი) ჩაეხერგოთ, „ხეთა ხშირი ხორგებით" შევკრათო...

რაკი საშუალება გვაქვს, ბარემ უფრო ერცლად მოვიტანოთ ეს სიტყვა, წარმოთქმული დიდი ქართველი მამულიშვილის მიერ 850 წლის წინათ და ჩვენამდე მოღწეული უცხოელი მეისტორიის ჩანაწერით. როგორც ვნახავთ, სიტყვა ძალიან მოკლეა, მაგრამ მნიშვნელოვანია იმით, რომ ომის თანამედროვესა და შემსწრეს ჩაუწერია; ქართულიდან თარგმნილი ეს სიტყვა შემდეგ, მრავალი საუკუნის მერე, ისევ ქართულად ითარგმნა. თუნდაც ამიტომ, ბევრი რამ დაკარგული იქნება... ბუნებრივია, სიტყვის ჩამწერი უცხოელი ყურადღებას ამახვილებს რელიგიურ საწყისზე — იგი ხომ ჯვაროსნულ ლაშქრობათა მემატიანეა. მას სწორედ ამ თვალსაზრისით აინტერესებს ქართველი მეფე-სარდლის სიტყვა. მაგრამ ჩვენ თვითონ უნდა ვიგულისხმოთ, როგორ მოუწოდებდა დიდი მამულიშვილი მეომრებს მშობლიური მიწა-წყლის დასაცავად. რაღა თქმა უნდა, დაკარგულია დავით აღმაშენებლის მეტყველების სტილიც. საბედნიეროდ, ჩვენ საშუალება გვაქვს, აღმაშენებლისავე სხვა ნაწარმოებით გავეცნოთ მას. ახლა კი მოვიტანოთ მეფე-სარდლის სიტყვა, წარმოთქმული ომის დაწყების წინ (ისე როგორც, კანცლერ გოტიეს ჩაუწერია):

„ეჰა, მეომარნო ქრისტესანო. თუ ღვთის სჯულის დასაცავად წესიერად ვიბრძვით, არამცთუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ, და ერთს რამეს გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისთვის და სარგებლობისთვის კარგი იქნება: ესაა, რომ ჩვენ ყველამ, ხელთა ცისადმი აპყრობით, ძლიერ ღმერთს

აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისთვის ამ ბრძოლის ველზე უფრო მოვკვდებით, ვიდრე გავიქცევით. და რომ არ შეგვეძლოს გაქცევა, რომც მოვინდომოთ, ამ ხეობის შესავალი, რომლით შემოვსულვართ, ხეთა ხშირი ხორგებით შევკრათ და მტკიცე გულით მტრებს, როცა მოგვიახლოვდებიან ჩვენზე იერიშის მოსატანად, სასტიკად შევუტიოთ“.

ჩვენ ვიცით, რომ დავით აღმაშენებელს უკვე ჰყავდა ყივჩაყების კარგად გაწვრთნილი და საგულდაგულოდ აღჭურვილი ორმოციათასიანი ჯარი. და როდის უნდა გამოეყენებინა ეს მრისხანე მხედრობა, თუ არა ამნაირი განსაცდელის დროს?

თითქოს ასეთი უნდა იყოს ლოგიკური დასკვნა!

და ერთბაშად იქნებ გაგიკვრიდეს კიდეც, როცა გაიგებ, რომ იმ ორმოცდათექვსმეტათასიან ლაშქარში, რომელიც ქართველმა მეფემ „ზღვის ქვიშასავით“ ურიცხვი მტრის წინააღმდეგ გამოიყვანა, ყივჩაყთა მუდმივი ჯარიდან მხოლოდ თხუთმეტი ათასი მეომარი ახლდა. დანარჩენები ქართველები იყვნენ — ორმოცი ათასი ძლიერი და მამაცი, ომში გამოწრთობილი ვაჟკაცი, სომეხი მემატიანე მათე ურჰაელი გვაუწყებს.

ქართველ მეფე-სარდალს კარგად ჰქონდა გათვალისწინებული, რომ ეს იყო დიდი პრინციპული მნიშვნელობის, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა და ომს მხოლოდ ის მეომრები მოიგებდნენ, რომლებიც საკუთარ ღირსებასა და თავისუფლებას, საკუთარ ოჯახს, წინაპართა სისხლითა და ოფლით მორწყულ მიწა-წყალს იცავდნენ. მხოლოდ ასეთი ხალხი იბრძოლებდა იმ ჭეშმარიტად გმირული სულისკვეთებით — ან გამარჯვება, ან სამშობლოს ხსნა და სიკვდილიო!

ყივჩაყთა მუდმივი ჯარიდან მხოლოდ თხუთმეტი ათასი მეომარი შეარჩია დავით აღმაშენებელმა, რჩეული ვაჟკაცები, ისეთები, ვისაც ნამდვილად მიენდობოდა. უფრო მეტი უცხოელის გამოყვანა სარისკოდ მიიჩნია.

ჩვენ რომ ქართველთა ორმოცდათექვსმეტათასიანი ლაშქარი ვახსენეთ, ეს მათე ურჰაელის ცნობაა და, ფაქტიურად, 56.000 არც კი გამოდის, ორმოცი ათას ქართველსა და თხუთმეტი ათას ყივჩაყს გარდა ქართველ მეფეს გამოუყვანია კიდევ ხუთასი მეომარი „ალანთა ტომისა“... და ასი „ფრანგი“...

თქვენ ალბათ უკვე ხვდებით, რომ ეს „ფრანგები“ ევროპელი ჯვაროსნები იყვნენ.

ასი უცხოელი მეომრის მიმატება, რაღა თქმა უნდა, არაფერს

შეცვლიდა: ორმოცდათხუთმეტიათასიან ლაშქარს ამით არც შეემატებოდა რამე და არც დააკლდებოდა. თითქოს სათქმელადაც კი არა ღირს, მაგრამ ამ ფაქტს უსათუოდ სხვა მნიშვნელობა ჰქონდა — სიმბოლურიცა და უფრო არსებითიც. ჯერ ერთი, ამით ხაზი ესმებოდა ჯვაროსნებისა და ქართველების მოკავშირეობას, რასაც, თავისთავად, დიდი შთაგონების ძალა ექნებოდა საკუთარი ჯარის გასამხნევებლადაც და მტრის დასაშინებლადაც: და აქედანვე გამომდინარე, ეს ერთგვარი კონკრეტული სამხედრო ეშმაკობაც იყო: მტერი მარტო სიმბოლურად კი არ აღიქვამდა ჯვაროსანთა მოკავშირეობას, ქართველი მეფე ალბათ ისე განალაგებდა ამ პატარა რაზმს, რომ მოწინააღმდეგეს მოსჩვენებოდა, თითქოს ჯვაროსანთა დიდი ლაშქარი იქვე ჰყოლოდეთ დამხმარედ და ომის მონაწილედ.

ესეც იქნებ ბალდუინის საქართველოში ყოფნის დროს გადაწყვიტეს.

ერთი სიტყვით, ამ ლაშქრით იდგა მეფე „ერთ ხეობაში... ორ მთათა შუა დაბურულ ტყეში“...

ზემოთ ნახსენებ წიგნში დაზუსტებულია ეს ხეობაც, სადაც ქართველთა ლაშქარი იდგა, და მტრის განლაგების ადგილებიც, ბრძოლების საკარაუდებელი ასპარეზიც... ერთ-ერთი ავტორი ამ წიგნისა თავად მხედართმთავარია და ცოცხლად განგვაცდევინებს დიდი ომის სურათს.

ზემოთ ჩვენ ერთი უცხოელი მემატიანის ცნობა ვახსენეთ — ქართველთა ლაშქარი ორი მთის შუა განლაგდაო. დავით აღმაშენებელს, როგორც მოსალოდნელი იყო, შეილიც ხლებია ომში, უკვე გამოცდილი და სახელოვანი სარდალი დემეტრე; და ლაშქრის ერთი ნაწილი დემეტრეს სარდლობით სწორედ ერთ-ერთ მთაზე ყოფილა დაბანაკებული — „აქედან აპირებდა მტერზე მოულოდნელ თავდასხმას“.

ერთი სიტყვით, 1121 წლის 12 აგვისტოს, მანგლისის მახლობლად, დიდგორის მისადგომებთან, ერთმანეთის პირისპირ იდგა ორი ლაშქარი და ბრძოლის დაწყებას ელოდა...

შორიდან თვალის შეელებითაც ადვილად შეამჩნევთ, რომ ეს ორი ლაშქარი დიდად განსხვავდება ერთმანეთისგან.

ერთ მხარეს ჩამიჩუმი არ ისმის.

ეს დამხვდურია, ქართველთა ლაშქარი.

შორიდან მოსული კი უფრო გალაღებული ჩანს, უფრო თავდაჯერებულიც, უფრო ხმაურიანიც... ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩებათ,

თითქოს სულწასულობას ვერ მორევიან და მომავალი ბრწყინვალე გამარჯვების სიხარულით წინასწარ ტკბებიანო... სანამ მშვილდებს მოზიდავდნენ და ისრებს ასხლეტდნენ, ჯერ მუქარისა და უკადრისი გინების სიტყვებს ისვრიან მოწინააღმდეგისკენ; ვერ მოუსვენიათ, აღტაცებულნი არიან და, როგორც ასეთ შემთხვევაში მუდამ ხდება ხოლმე, მხედრების განწყობილება ცხენებსაც გადასდებია, ლაგამდაჭერილები ერთ ადგილზე ტრიალებენ, ყალყზე დგებიან, ჭიხვინებენ (გოტიე სწორედ ასე გვიხასიათებს ამ ლაშქარსა და მის სარდალს: თურქმანთა და არაბთა ურიცხვი ჯარი რომ შეკრიბა, მერე თვალი გადაავლო ლაშქრის სიმრავლეს, უაღრესი ამპარტავნობით გაყოყოჩებულმაო).

მაგრამ ყველაზე უფრო თვალში საცემი განსხვავება ის არის, რომ შორიდან მოსულთა ლაშქარი გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანია — ექვსჯერ, შვიდჯერ აღემატება დამხვდურს... ერთმანეთის პირისპირ იდგნენო, ამას პირობით თუ იტყვი, თორემ მტრის ჯარი მთელს იმ არემარეს, თრიალეთის ერცელ ქედს მოსდებია. თვალს ვერ გადააწვდენ.

...ეს არა ჰგავდა ერთბაშად მოვარდნილი მტრის ლაშქრისა და სახელდახელოდ შეკრებილ დამხვდურთა შეტაკებას, როცა ბევრი რამ არის გაუთვალისწინებელი და ბრძოლის ბედს ზოგჯერ შემთხვევითი მოვლენა გადაწყვეტს. ასეთი ბრძოლებიც გადაუხდია ამ ორ მოწინააღმდეგეს. ჩვენ ეს უკვე ვიცით. ეს ბრძოლა კი გადამწყვეტი იყო, პრინციპული მნიშვნელობისა და, როგორც ვნახეთ, დიდი ხნის განმავლობაში საგულდაგულოდ მზადდებოდა. მოწინააღმდეგე სარდლებს დროც ბევრი ჰქონდათ და წინა ბრძოლების გამოცდილებაც (თუმცა ისინი პირისპირ, ეტყობა, ჯერ არ შეხვედროდნენ ერთმანეთს), ყველაფერი კარგად აეწონ-დაეწონათ და გაეთვალისწინებინათ. როგორც იტყვიან ხოლმე, შემთხვევითობა აქ თითქმის გამორიცხული იყო — შედეგი უსათუოდ კანონზომიერი უნდა ყოფილიყო.

მაგრამ მხოლოდ მოწინააღმდეგეთა რიცხობრივ თანაფარდობას თუ მივიღებთ მხედველობაში, მაშინ ამ ბრძოლის შედეგი იქნებ კანონზომიერი არ მოეჩვენოს ადამიანს: სწორედ იმ მხარემ გაიმარჯვა, რომელიც რიცხვით ექვსჯერ და კიდევ უფრო მეტჯერაც ნაკლები იყო...

ძველ ქრონიკებში, ზეპირ გადმოცემებში, მხატვრულ ნაწარმოებებში არცთუ იშვიათად შეხვდებით ცნობას, როცა ქართველთა

ლაშქარი რიცხვით გაცილებით უფრო მეტს — ზოგჯერ ლამის ათჯერ მეტ მტერს ამარცხებს. თითქოს დაუჯერებელია!.. ზოგჯერ იქნებ მართლაც გაზვიადებული იყოს ეს ცნობა, მაგრამ ხშირად იგი სინამდვილეს გადმოგვცემს, და ეს რაღაც საარაკო განსაკუთრებულობით კი არ უნდა აეხსნათ, არამედ, საკმაოდ მარტივი და გასაგები მიზეზები აქვს, რომელთაგან ზოგიერთი აქვე შეგვიძლია დავასახელოთ.

გრძელი საუკუნეების განმავლობაში მტრის გარემოცვაში მყოფ ხალხს ტრადიციულად ჩამოუყალიბდა, სისხლსა და ხორცში გაუჯდა მეომრის თვისებები; ვაჟკაცობის, გმირობის, თავისუფლებისათვის მამაცური ბრძოლისა და შეუპოვრობის პატივისცემა ხალხურ ლექსებსა და თქმულებებში ადამიანის უპირველეს ღირსებად იყო დასახული და მთელი ისტორიის მანძილზე ამ ლექსებით იდგამდა ბავშვი ენას, ამ თვისებებს ლამის დედის რძესთან ერთად იწოვდა.

„ქართველნი ვართ ნათესავით მხნენი და მხედრობითა აღზრდილნი და მარადის ჭირვეულსა ცხოერებასა ჩვეულნი... მცირედნიღა ვინ ჩუენი მომკუდარ არიან სარეცელსა ზედა თვისსა მშვიდობით“. ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეს სიტყვები დავით აღმაშენებლის სიცოცხლეშია დაწერილი (1084 წელს) და მისი ავტორია დავითისავე თანამემამულე დიდი მხედართმთავარი გრიგოლ ბაკურიანის ძე.

ზემოთ ჩამოთვლილ მოტივებს გარდა, უდიდესი მნიშვნელობა პქონდა იმას, რომ ქართველები, უმთავრესად, თავდაცვით ბრძოლებს ეწეოდნენ და როგორც თავისი ქვეყნის, თავისი ოჯახის, ცოლ-შვილის, პატიოსნების, მამაპაპათა ძვლების, თავისი ჭირნახულის დამცველნი, ბუნებრივია, უფრო გააფთრებითა და თავგამეტებით ებრძოდნენ მტერს. ის უპირატესობაც პქონდათ, რომ საკუთარ ქვეყანაში ზეპირად იცოდნენ ყველა ბილიკი და საიდუმლო ხვრელი (ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მთებში ბრძოლების დროს), თანაც მარჯვედ შერჩეულ ადგილებზე წინასწარ აგებულ ციხეებში გამაგრდებოდნენ ხოლმე; ამას გარდა, თუკი არჩევანი მათზე იქნებოდა, ცდილობდნენ ისეთ ადგილზე შებმოდნენ მოწინააღმდეგეს, სადაც მტრის სიჭარბე ფუჭი იქნებოდა, მოწინააღმდეგის ლაშქარი ვერ გაიშლებოდა და ბრძოლის დროს, ფაქტიურად, ერთი ერთზე მოდიოდა...

ახლაც ასე მოხდა, ახლაც ვერ მოახერხა მტერმა თავისი ძალების გაშლა და დიდი რიცხობრივი უპირატესობის გამოყენება. პირიქით, მოწინავე მოლაშქრეთა ზურგში მოზღვავებულმა მეომრებმა

პანიკის გავრცელებას შეუწყვეს ხელი და საშინელი არევ-დარევა გამოიწვიეს...

პანიკამ კი თითქმის ბრძოლის დაწყებისთანავე მოიცვა მტერი. საერთოდ, ძალიან მალე დამთავრდა ყველაფერი. რამდენი ხნისა და როგორი მზადება ჰქონდათ ამ ბრძოლისთვის, და ქართველი მემატიანის ცნობით, სამიოდე საათში კი გადაწყდა ბრძოლის ბედი!

ზემოთ ითქვა, ორი მოწინააღმდეგე ლაშქარი ერთმანეთის პირისპირ იდგა და ბრძოლის დაწყებას ელოდაო. რომელმა მხარემ დაიწყო შეტევა, ამაზე განსხვავებული აზრი არსებობს.

სხვადასხვა წყაროს მიხედვით შემონახული ცნობების მიხედვით, თითქოს ასე უნდა მომხდარიყო:

გაყოყოჩებულმა და იოლ გამარჯვებაში დარწმუნებულმა მტრის სარდალმა, როცა მოწინააღმდეგის ძალები დაზვერა და შეისწავლა, ბრძოლის გეგმა მოიფიქრა და ამის მიხედვით განალაგა ჯარი, რაზმებს მტკიცე საბრძოლო დავალება მისცა, დაარიგა...

და, აი, 12 აგვისტოს, „ხეობის მეორე ნაწილში ანუ ფრონტზე მოლაშქრეთა ძლიერი ყიჟინით, ცხენთა და აბჯართა უკიდურესი ხმაურით, ურჯულოთა ზარდამცემი ბაირაღები გამოჩნდნენ... მთა და ბარი ბანს აძლევდა სხვადასხვა საკრავთა ხმაურს“.

ეს არის გოტიეს ცნობა და ქართველი მხედართმთავარი და მკვლევარი ივანე შაიშმელაშვილი ასე აკონკრეტებს ამ ცნობას: აქ „მითითებული ხეობა უნდა გულისხმობდეს ნიჩბისის წყლის სათავის იმ ღელეს, რომელიც... ქართველთა წინა ხაზის ცენტრსა და მარცხენა ნაწილს ჩაუდიოდა. თურქთა პირველი მოძალების ამ ზოგადად გამოსახულ მიმართულებაშიც უნდა გამოვლენილიყო მათი მისწრაფება იმ მანევრის განხორციელებისადმი, რომელსაც ქართველთა ზურგში გასვლა უნდა მოჰყოლოდა... ქართველთა მარცხენა ფრთას განგებაც რომ დაეწია უკან, ამას უფრო მეტად უნდა დაერწმუნებინა თურქები, რომ ჭეშმარიტად სწორ გზაზე იდგნენ, უფრო თამამად უნდა შეჭრილიყვნენ ნატბეური ზეუბნის მიმართულებაზე“...

ამრიგად, ერთი ხაზი გაარღვიეს თურქებმა და გამაყრუებელი ყიჟინით წინ მიიწევენ. ქართველები იმ ადგილას იქნებ უკანაც იხევენ ამ დროს, რათა ყალბი წარმოდგენა შეუქმნან მოწინააღმდეგეს... ბრძოლის დასაწყისი, ეტყობა, ქართველი მეფის ჩანაფიქრს ემთხვეოდა.

თურქმანთა ის პირველი გამაყრუებელი ყიჟინა თანდათანობით მიწყდა.

ქართველთა ბანაკიდან კვლავ არ ისმის ჩამიჩუმი. მაპმადიანთა შეერთებული მხედრობის მრისხანე სარდალს სარწმუნო ცნობა აქვს, ქართველი მეფე დიდი ლაშქრით ხეობაში არის ჩასაფრებულიო, და უკვირს ახლა, მათი სიცოცხლის ნიშანწყალიც რომ არა ჩანს. რამ გააქვავა ასე ამოდენა მხედრობა?! მოწინააღმდეგის პირველ იერიშს რატომ არ გამოეხმაურნენ?

ქართველი მეფე-სარდალი, ეტყობა, ელოდა მტრის ამ ჩვეულ ხერხს — გამაყრუებელი ყიჟინით შეტევას, რაც მოწინააღმდეგეზე ფსიქიკური ზემოქმედებისთვის იყო გათვალისწინებული. ელოდა ამას და წინასწარ დაიჭირა თადარიგი, მხედრობა გააფრთხილა. ახალგაზრდა ჯარისკაცები გამოცდილებს, ბრძოლაში ნაწრთობ მეომრებს ჩააბარა... მაპმადიანთა შეერთებული ლაშქრობის სარდალმა ეს არ იცის და გაოცებულია. ისე ვერ აეწყო ბრძოლა, როგორც თავად წარმოედგინა და მოელოდა. ნეტა რა მოხდა? ქართველ მეფეს ჭკვიანი სარდლის სახელი აქვს — იქნებ მიხვდა, რომ წინააღმდეგობის გაწევა უნაყოფოა და გაცლას ამჯობინებს? მაშინ უკანდახევის ხმა რატომ არ ისმის? ან დანებების ნიშანს რად არ იძლევა?! ცოტა კიდევ დავაცადოთ, ალბათ მოგვცემს ნიშანს!..

ამას მტრის სარდალი ფიქრობს ასე და გაფაციცებით ადევნებს თვალყურს იმ ადგილს, სადაც მოწინააღმდეგე ეგულება. სასიამოვნო მღელვარებას მოუცავს. გულში უკვე შეპარვია დიდი გამარჯვების სიხარული... მისი ბედაურიც გრძნობს სარდლის განწყობილებას და ცმუკავს, მიწაზე ტორებსა სცემს, ვერ მოუსვენია, კამარის შესაკრავად ემზადება, რათა თავისი ძლევამოსილი პატრონი მტრის უკუქცეული ლაშქრისკენ გააქანოს...

ხეობაში განლაგებულ ქართველთა ლაშქარს თუ დავხედავთ ამ დროს, მართლაც უცნაური სურათის მოწმენი გავხდებით. ეს ამოდენა მხედრობა თითქოს მართლაც გაქვავებულა, თითქოს სუნთქვა შეუკრავთ და უძრავად დგანან რაღაცის მოლოდინში. ცხენებიც ყურებდალურსული ერთ ადგილზე გახევებულან...

დავით აღმაშენებელს ამ ომისთვის საგანგებოდ შეურჩევია ბრძოლებში გამოწრთობილი, ერთგული და მამულისთვის თაედადებული მეომრები. მათი ცხენებიც მრავალ ომგამოვლილი და გამოწრთობილები არიან, თავიანთი მხედრების ფიქრთა დენასაც კი გრძნობენ და ემორჩილებიან. კარგად თუ დააკვირდებით, ამ დიდ ლაშქარში ახალგაზრდებსაც შენიშნავთ, რომელთაც ჯერ ომი არ გამოუცდიათ, მაგრამ ისინიც მკაცრი სიჩუმით შესცქერიან თავიანთ

მეთაურებს, ომში გამობრძმედილ ჭაღარაშერეულ ეაჟკაცებს და ნიშანს ელიან.

დავითი წინ დგას შემაღლებულ ადგილზე და დროდადრო მშვიდად გადახედავს ხოლმე თავის მხედრობას. ეს სიმშვიდე ჯარისკაცებსაც გადასდებიათ და მრისხანე დუმილით ელიან სარდლის ნიშანს.

საინტერესოა, როგორ ემთხვევა ერთმანეთს ორი სხვადასხვა მემატიანის ცნობა, დაწერილი სხვადასხვა ენაზე, სულ სხვადასხვა ვითარებაში, ისე რომ ერთმა მეორის არსებობის ამბავი არ იცოდა. ორივეში ხაზგასმულია ქართველი მეფის სიმშვიდე და სიმამაცე.

„ხოლო მეფემან დავით, უშიშმან და ყოელად უძრავმან გულითა... ყოველი საქმე შუენიერად და ღონიერად ყო, რაბამ რამე წყნარად, უშფოთველად და გამოცდილებით და ყოელად ბრძნად განაგო“...

ეს ქართველი მემატიანის სიტყვებია.

ახლა ჯუაროსანთა ომების უცხოელ მემატიანეს მოვუსმინოთ:

„...დავით მეფე ამდენ სიმხეცეს მოთმინებით განიცდის და თავის მხედრობას მამაცი სულით ამხნევებს და ანუგეშებს“...

ბრძოლებში გამოცდილი და გამობრძმედილი მთავარსარდალი მაჰმადიანთა შეერთებული მხედრობისა გაფაციცებით ადევნებს თვალს მოწინააღმდეგის ლაშქარს და უკვე ველარ ფარავს მოუსვენრობას, ველარ გადაუწყვეტია, ისევ უცადოს მოწინააღმდეგის შეტევას ან დამორჩილების ნიშანს თუ ახალი რაზმი დაძრას საიერიშოდ. იქნებ ელის კიდეც ქართველთა ცენტრალური ნაწილის შემოტევას!..

მაგრამ რაკი ეს არ მოხდა, გადაწყვიტა, ახლა ამ ფრონტზეც დაეძრა თავისი ლაშქარი. ამასობაში წინ გაჭრილი მარცხენა ფრთა უკვე ალყაში მოაქცევდა ქართველებს...

ის იყო, ილღაზს შეტევის ნიშანი უნდა მიეცა მეწინავე რაზმისთვის, რომ უცანური, მაგრამ ძალიან სასურველი ამბავი მოხდა: ქართულ ლაშქარს ორასი მეომრისგან შემდგარი ქვეითი რაზმი გამოეყო და სწრაფი ნაბიჯით, მაგრამ არა საბრძოლო მარშით, თურქმანებისკენ დაიძრა. სამრად აღჭურვილი იყო ეს რაზმი, მაგრამ იარაღი შემართული არა ჰქონიათ. აშკარად ჩანდა, საბრძოლველად არ მოდიოდნენ. ეტყობა, ქართველი მეფის სურვილის წინააღმდეგ მოქმედებდნენ ისინი, მას გამოექცნენ. უცნაური სწორედ ის იყო, რომ ჯერ ძირითადი შეტევა არ დაეწყოთ და მოწინააღმდეგე უკვე ნებდებოდა!

ომს რომ მოიგებდა, ამისი ეჭვი ალბათ არცა ჰქონია თურქმანთა

მთავარსარდალს, მაგრამ ბრძოლის დაწყებამდე თუ გატყდებოდა მორალურად მოწინააღმდეგის სახელგანთქმული ლაშქარი, ამისი წარმოდგენა ძნელი იყო და მაპმადიანი სარდალიცა და მისი მეომრებიც სახტად დარჩნენ, დაიბნენ კიდეც.

ადამიანის ცნობიერება ტალღებად აღიქვამს ხოლმე მოვლენას. იმ ფაქტის აღქმას, რომ მოწინააღმდეგე მორალურად გატყდა და მეომრების ერთი რაზმი ტყვედ უვარდება გამარჯვებულ სარდალს, ელვის სისწრაფით მოპყვა მეორე ფაქტი: ილღაზი გამოცდილი სარდალი იყო და ხელადვე იცნო, რომ ქართველ მეომრებთან ერთად, რომელთა რიცხვი რაზმში აშკარად ჭარბობდა, სხვებიც ერევნენ — ყივჩაყები, ალანები, ჯვაროსნები!..

ყველაფერს წარმოიდგენდა ატიოქიის ომების გმირი, მაგრამ აქაც თუ შეხვდებოდა ჯვაროსნებს, ეს აღარ ეგონა![1]

მაგრამ არათუ სათანადოდ გაანალიზება, ამ უცნაური მოვლენის ბოლომდე აღქმაც კი ვერ მოასწრო, რომ მოწინააღმდეგის ლტოლვილი რაზმი თურქმანების შუა გაყოფილ ლაშქარში შეიჭრა...

და დაიწყო კიდეც...

ხელჩართული ბრძოლა დაიწყო.

საგანგებოდ შერჩეული ორასი მამაცი მეომარი თურქმანების ლაშქარს დაერია და გონს მოსვლა აღარ აცალა.

ვის ჰქონდა მოშზადებული ფსიქიური შეტევა და ვინ განახორციელა!

ბუნებრივია, თურქმანები შეცბნენ, დაიბნენ... და გონს მოსვლაც ვერ მოასწრეს, რომ ქართველთა ძირითადი ლაშქრის გამაყრუებელი ყიჟინა გაისმა, რასაც ერთბაშად მოჰყვა ცხენების თქარათქური, ხმლების ჭახაჭუხი, ისრების გამაყრუებელი ზუზუნი, გმინვა, კვნესა, მწვავე ტკივილისა და სხეულზე თბილი სისხლის შეგრძნება...

უცებ ასეთივე ყიჟინა, თქარათქური, ისრების ზუზუნი და ხმლებით გაკვეთილი ჰაერის სისინი ქართველთა მეორე ფლანგიდანაც წამოვიდა, იმ მეორე მთიდან, სადაც უფლისწულის მხედრობა

---

1. ორასი კაცისგან შემდგარი რაზმის ამბავს ორი წყარო გადმოგვცემს, მაგრამ შემადგენლობა რაზმისა განსხვავებულად არის მოცემული: ერთის მიხედვით, ყივჩაყები იყვნენ, მეორეს თუ ვერწმუნეთ — „ფრანგები" (ჯვაროსნები). მკვლევარები სამართლიანად შენიშნავენ, რომ ეს რაზმი უსათუოდ ქართველებისგან უნდა ყოფილიყო შემდგარი. ასეთია ლოგიკური დასკვნა. მაგრამ ის ცნობები იქნებ სიმართლესთან ახლოს მაინც იყოს. დავით აღმაშენებელმა იქნებ მაინც გაურია ქართველების ორასკაციან რაზმში — ყივჩაყები, ალანები, ჯვაროსნები... ეს უფრო შთამბეჭდავი იქნებოდა, შიშის ზარი გახდებოდა მტრისთვის... იმის მიმანიშნებელი გახდებოდა, თითქოს ქართველებს დიდი მოკავშირე სამხედრო ძალები ახლდა...

იდგა... ესეც მოულოდნელი და თავზარდამცემი გამოდგა. მაპმადიანი სარდალი იქიდან არ ელოდა შემოტევას.

ძალიან მალე დამთავრდა ყველაფერი...

„რამეთუ პირველსავე ომსა (ესე იგი, ბრძოლის დაწყებისთანავე) იოტა ბანაკი მათი და ივლტოდა...“ ეს ქართველი მემატიანის სიტყვებია.

მაშინ ღმერთი შეეწია ქართველებს და შეებნენ თუ არა, თურქთა მთელი ლაშქარი უკუაქციეს, — გვაუწყებს სომეხი ისტორიკოსი.

...ქართველებს რომ ორასი მეომარი გამოეყო, მუსულმანებმა იფიქრეს, ალბათ გვნებდებიანო და უცებ, ველარაფერი მოისაზრეს... მაგრამროცაესორასი„ტყვედჩავარდნილი“გააფთრებითდატრიალდა მტრის ზურგში, თურქმანების რაზმები აირია, უკანმდგომებმა იფიქრეს, დავმარცხდითო, შეტრიალდნენ და გაიქცნენ. ისე აირია ყველაფერი, რომ ფეხით გადაქელეს ერთმანეთი და ბევრი ასე გაიჟლიტა. ურჯულოები (ესე იგი, ქართველები — ამას მაპმადიანი ისტორიკოსი გადმოგვცემს და იმიტომ არიან მოხსენიებული ქართველები ურჯულოებად) დაედევნენ გაქცეულებს... მუსრს აელებდნენ, ვინც გადარჩა, ტყვედ მიჰყავდათ... — ეს იბნ ალ-ასირის ცნობები გახლავთ და ყველაზე უფრო სრული ჩანს.

თვით ილღაზი, თავში დაჭრილი, მცირეოდენი ლტოლვილით, უიარაღო და დამშეული, შინ დაბრუნდა ნახევრად მკვდარი, — ეს უკვე გოტიეს სიტყვებია.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ილღაზი, ეტყობა, ამ ჭრილობის მსხვერპლი გახდა, ამის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია: მომდევნო წლის შემოდგომაზე დამბლა დაეცა — იქნებ ამ მძიმე ჭრილობის გამოც — და მოკვდა.

...რამეთუ გლეხთა იხილემცა, ოდეს არაბთა მეფენი მოჰყვანდეს ტყუედ, — ეს სიტყვებიც ქართველ მემატიანეს ეკუთვნის.

ახლა ვნახოთ, ვახუშტი როგორ გადმოგვცემს ამ ფაქტს: „არამედ გეხილამცა, ოდეს არაბთა სპარსთა მთავარნი, ჩვენთა გლეხთა მოჰყვანდათ წინაშე დავით მეფისა“...

ამ წყაროების ცნობითვე, რვა დღეს სდიეს ქართველებმა გაქცეულ მტერს და გონს მოსვლისა და ძალების მოკრების საშუალება არ მისცეს, ქალაქ ანისის საზღვრამდე მიჰყვნენ და ერთიანად გაჟლიტეს.

სომეხი მემატიანის ცნობით, მტრის ლაშქარში დახოცილთა რიცხვმა იმ დღეს 400.000 მიაღწია. 30.000 ჯარისკაცი ტყვედ

ჩაიგდეს. ერთი არაბული წყაროს ცნობით, ამ ამბის შემდეგ სამი ათეული წელი გავიდა, დავით აღმაშენებელი უკვე ცოცხალი აღარ იყო და დიდგორის ომში შეპყრობილი მუსულმანები ისევ ტყვეობაში ჰყოლიათ ქართველებს. ამ ცნობას არაბი ისტორიკოსი გადმოგვცემს.

ისევ ის გავიხსენოთ, რომ მტერმა ვერ მოახერხა თავისი მრავალრიცხოვანი ლაშქრის გაშლა.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველების ჯარი გაცილებით ნაკლები იყო, ბრძოლის დასაწყისში, სანამ მტრის ლაშქარს პანიკა მოიცავდა, მოწინააღმდეგენი თანაბარი ძალით შეებნენ ერთმანეთს. ბრძოლის ადგილი საგანგებოდ შეარჩია დავით აღმაშენებელმა.

ეს იქნებ უცნაურად მოგეჩვენოთ — მტერი აკი თვითონ მოდიოდა უთვალავი ლაშქრით ქართველთა შედარებით მცირერიცხოვანი მხედრობის წინააღმდეგ და რაღა ქართველი სარდლის სურვილს აპყვა?! ბუნებრივად ისმის კითხვა: თუკი ასე არახელსაყრელი იყო ეს ადგილი მტრისთვის, რაღა აქ გაუმართა ბრძოლა ქართველებს? აევლო დავითის ლაშქრისთვის გვერდი, ქვეყნის სიღრმეში შესულიყო და საქართველოს სხვადასხვა კუთხე დაერბია, აეოხრებინა!

თითქოს მართლაც გაკვირვებას უნდა იწვევდეს ეს ფაქტი.

ამას ვერ იზამდა მტერი და ეს ქართველმა მეფემ წინასწარ განჭვრიტა, მტრის მთავარი მიზანი ამჟამად ქართველთა ძლევამოსილი ლაშქრის დამარცხება და განადგურება იყო. ეს ლაშქარი დიდ უსიამოვნებას აყენებდა მას, მოსვენებას უფრთხობდა, საშუალებას არ აძლევდა, მთელი ყურადღება დასავლეთის ფრონტზე გადაეტანა ჯვაროსნების წინააღმდეგ. ქვეყნის დარბევა ახლა არ ყოფილა მთავარი, თან ეს სარისკოც იქნებოდა: ქართული ლაშქარი შებრუნდებოდა და ალყაში მოიქცევდა ქვეყნის სიღრმეში მოქცეულ მტერს, პარტიზანულ ბრძოლებს გაუმართავდა, დალაშქრავდა და გატეხდა... დავითსა და მის ლაშქარს სახელი შორს გავარდნოდა, შიშის ზარი გამხდარიყო მტრისთვის...

ამგვარად, ჩვენ რომ წელან კანონზომიერებაზე ველაპარაკობდით, ეს გამარჯვება საესებით კანონზომიერი იყო: იმან გაიმარჯვა, ვინც საკუთარ მიწა-წყალს იცავდა. ქართველთა სარდლის სასახელოდ ისიც უნდა ითქვას, რომ მან, როგორც ეტყობა, ძალიან მცირე მსხვერპლით მიაღწია ამ დიდ გამარჯვებას.

ამ დიდი ბრძოლისა და ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვების ამბავი დიდხანს არ დავიწყებიათ არც მტრებსა და არც მოყვარეთ.

დამახასიათებელია, რომ ოცდათერთმეტი წლის შემდეგ, როცა ქართველ მეფეს დემეტრე პირველს, ალბათ დიპლომატიური მისიით არაბი მოღვაწე ეწვია, თბილისისკენ მომავალმა საგანგებოდ მოინახულა დიდი ბრძოლის ადგილი, სადაც ქართველმა მეომრებმა დავითის სარდლობით მათზე გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი მუსლიმანთა შეერთებული მხედრობა დაამარცხეს. ეს კაცი იბნ ალ-აზრაკ ალ-ფარიკია, შემდგომში გამოჩენილი არაბი ისტორიკოსი. იგი სამოცდაათ დღეს ყოფილა დემეტრე პირველის სტუმრად და ქართველ მეფესთან ერთად თითქმის მთელი საქართველო მოუვლია. ზემოთ მოყვანილი ცნობაც დიდგორში შეპყრობილი ტყვეების შესახებ სწორედ მას ეკუთვნის.

დასასრულ აქ ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ დიდგორის ომიდან ქართველი მეომრები აურაცხელი ნადავლით დაბრუნებულან. ამას დავითის ისტორიკოსი საგანგებოდ აღნიშნავს: „...აღიესო (სამეფო) ოქროთა და ვერცხლითა, არაბულითა ცხენებითა, ასურულითა ჯორებითა, კარვებითა, სრაფარდაგებითა, სხვითა უცხოთა ჭურჭლებითა საბრძოლელთა თვითოსახეთათა, ქოსთა და ფილაკავანთათა, სასმურთა ტურფათა და სანადიმოთათა, საბანელთა და საშზარეულოთათა — რაოდენმან ქარტამან და მელანმან დაიტიოს აღწერად“...

და აქვე განსაკუთრებით უნდა მოვიხსენიოთ იმ ომში დაცლად მოპოვებული ძვირფასი თვლებით შემკული ოქროს მანიაკი, რომელიც დავით აღმაშენებელმა ხახულის ღვთისმშობლის ხატს მიუძღვნა. განსაკუთრებით უნდა მოვიხსენიოთ არა მარტო იმიტომ, რომ თავისთავად ეს ნივთი ძალიან ძვირფასი იყო, არამედ უფრო იმის გამო, რომ იგი განსაკუთრებულ ვითარებაში მოიპოვეს. სულ რამდენიმე სიტყვით გადმოგვცემს ამას მემატიანე, მაგრამ, როგორც ითქვა, ისეთ ვითარებაში მომხდარა, რომ ძალიან კარგად გვიცოცხლებს ომის ეპიზოდს, ცოცხლად განგვაცდევინებს მაშინდელ განწყობილებას — თითქოს აგერ ვხედავდეთ, როგორ ფაცხაფუცხით გარბის დამარცხებული მტერი და რა კომიკურ მდგომარეობაში ჩავარდნილა შეერთებული მხედრობის ერთ-ერთი დიდი სარდალი: ეს ძვირფასი თვლებით შემკული ოქროს მანიაკი კისერზე მოგლიჯეს ბრძოლის ველიდან გაქცეულ მრისხანე სარდალს დურბეზ სადაყას ძეს...

ნახეთ, როგორ გადმოგვცემს მემატიანე:

„...მოძრცვილი ქედისაგან დორბეზე სადაყაის ძისა, ჟამთა დიდგორსა გაქცეისათა“...

ქედისაგანო, განა! ქედისაგან მოგლეჯილიო!

დააკვირდით, როგორ ცოცხლდება სურათი:

ჯერ დაუმცხრალი ომის საშინელ არეულობასა და ღრიანცელში, როცა მტერი საითაც მოუხდება იქით გარბის და გამარჯვებული მხედრობა კი მგრგვინავი ყიჟინით მისდევს, ოფლით გაქაფულ დაფეთებულ ბედაურს როგორღაც ეიწრო ბილიკი უპოვია და მასზე არანაკლებ დაფეთებულ, ნაგვემ, გაოგნებისა და მოულოდნელი ელდისაგან ჯერ გონს ვერ მოსულ მხედარს მიაქროლებს.

ზედვე ეტყობა, რომ ეს უბრალო მხედარი არ არის და იმიტომაც თავგამოდებით მისდევს ქართველ მეომართა პატარა ჯგუფი, მაგრამ მაშინდელი განწყობილების აღსადგენად და გასაცოცხლებლად ჯერ ამ სარდლის დახასიათება გავიხსენოთ და მერე ვნახოთ, რა მოუვა.

დურბეიზი — ქალაქ ჰილას (მდ. ევფრატზე) პატრონი, არაბეთის მეფე. კაცი მხნე, გულადი და მებრძოლი, რომელსაც სამი ბრძოლა გადაუხდია სპარსთა სულთან ტუფასთან, უძლეველია და გაუმარჯვია... ნურც იმას დაივიწყებთ, რომ მთავარსარდლის სიძე ბრძანდება ეს ამაყი კაცი, სწორედ დიდგორის ომის წინ შეურთავს ილღაზის ქალიშვილი... რაკიღა ეს ვიცით, იმის წარმოდგენა აღარ უნდა იყოს ძნელი, რა ამბავში იყო, როგორ ტრაბახობდა და ბაქიაობდა, სიმამრის წინაშე თავს იწონებდა სიძე-ბატონი, რა უკადრის სიტყვებს აფრქვევდა ქართველების მისამართით... ან პატარძალს რა ნადავლის მიტანა აღუთქვა!.. მაინც რა თავდაჭერა მართებს ხოლმე ადამიანს, რომ უხერხულ მდგომარეობაში არ აღმოჩნდეს!

და სწორედ ამ თავმომწონე სარდალსა ეხედავთ გაქაფულ, დაფეთებულ ბედაურზე ოდნავ წინ წახრილს, თითქოს ასე უფრო ადვილად დააღწევდეს თავს დადევნებულ ისარს — თავად დაფეთებულსა და სახეარეულს, სიმამრიც დავიწყებია, პატარძლისთვის დაპირებული საჩუქარიც, და თავგამეტებით ურტყამს დეზებს ისედაც დამფრთხალ-დაფეთებულ ცხენს, წინ გარბის, მაგრამ გულისყური უკან აქვს, გრძნობს, როგორ უახლოვდებიან დადევნებული ცხენები, იმ ცხენების სულ უფრო და უფრო მოახლოებული თქარათქური ესმის... დადევნებული მხედრის სუნთქვაც ესმისო, ამას ვერ ვიტყვით, სწორი არ იქნება, იმ ვითარებაში მხედრის სუნთქვას ვერ გაიგონებდა, მაგრამ შიშნაჭამ მხედარს მართლაც ეჩვენება, თითქოს გალაღებული მდევრის სუნთქვაც ესმოდეს. აგერ, მდევართა პატარა ჯგუფიდან ერთი ჭაბუკი გავარდება წინ, მისწვდება გაქცეულ სარდალს და ხმალს კი არ მოუქნევს — რა საკადრისია დავითის გამარჯვებულმა მეომარმა

დამარცხებულ სარდალს ხმალი შემოჰკრას! — ქეჩოში წაეპოტინება! გადაუწყვეტია ცოცხლად შეიპყრას. ამაზე მეტი დამცირება რაღა უნდა იყოს... ქეჩოში წააელებს ხელს, მაგრამ ეს ძვირფასი მანიაკი შერჩება, პატრონი ამ მანიაკისა გაექცევა. იქნებ, სწორედ ამ მანიაკმა იხსნა! ქეჩოში სწვდნენ და უცებ, მანიაკი რომ შერჩათ ხელში — თანაც, აგვისტოს მზეზე ბრჭყვიალა ოქროში ჩასმულმა ძვირფასმა თვლებმა რომ იელვეს, ჭაბუკმა უნებურად დახედა, გაიკვირვა... წამიერად მოხდა ეს, მაგრამ ეს უმცირესი დრო საკმარისი აღმოჩნდა, გაქცეულ სარდალს მანძილი მოეგო და მდევრებს გასხლტომოდა...

ამ მანიაკთანვე დაკავშირებით კიდევ ერთი საგულისხმო რამ უნდა მოვახსენო მკითხველს. ცნობას ნადავლად წამოღებული მანიაკის ხახულის ღვთისმშობლისთვის შეწირვის შესახებ ჩვენ ვხვდებით არა დავითის ისტორიკოსის მოთხრობაში, არამედ გაცილებით უფრო გვიანდელ ძეგლში — თამარის ისტორიკოსის ნაამბობში. და საგულისხმო სწორედ ის არის, რომ დიდგორის ომის ცალკეული ეპიზოდები ძალიან დიდხანს ცოცხალ მოგონებად შემორჩა ხალხს, თაობიდან თაობაზე გადადიოდა, ომის გმირებს არ ივიწყებდნენ და მუდამ მოწიწებით გაიხსენებდნენ...

●

დიდგორის ასეთ საარაკო და მართლაც საკვირველ გამარჯვებას („ძლევაი საკვირველი“ უწოდა ამ გამარჯვებას დავით აღმაშენებლის ისტორიკოსმა) უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მომავალი ამბებისთვის. ქართველი მხედრობისა და მისი შესანიშნავი სარდლის სახელი ამ გამარჯვების შემდეგ კიდევ უფრო შორს გავარდა. საქართველოს სიმტკიცესა და ძლიერებას უკვე მტერიც აღიარებდა და მოყვარეც.

ქართველთა გამარჯვებას, ბუნებრივია, მარტო ლოკალური მნიშვნელობა არა ჰქონია. მაშინვე აშკარა გახდა, რომ თურქ-სელჩუკების ძლიერებას ახლა უკვე საკმაოდ შეერყა საფუძველი; ჯერ ერთი, განხეთქილება მოხდა თვით მაჰმადიან მმართველთა შორის, დიდგორთან ისე მწარედ დამარცხებულ ილღაზს აუჯანყდა თავისივე შვილი, რომელიც მამას ალეპოს მმართველად ჰყავდა დანიშნული. როგორც მოსალოდნელი იყო, დიდგორის გამარჯვებამ საქმე გაუადვილა ჯვაროსნებს. ქართველებთან დამარცხებულმა მტერმა გონს მოსვლა ვერც კი მოასწრო, რომ იმავე წლის აგვისტო-

სექტემბერშიეე ჩვენმა ნაცნობმა ბალდუინ მეორემ დასძრა ჯარი და მედგრად შემოუტია დასავლეთიდან, მოწინააღმდეგე დაამარცხა და მის ტერიტორიაზე შეიჭრა, ალეპო დაარბია...

ქართველებისთვის კი გამარჯვება მაშინ იქნებოდა სრული, როცა დიდგორის ომს ლოგიკური წერტილი დაესმოდა, როცა იმ სანატრელ საწადელს ეწეოდნენ, რისთვისაც, ფაქტიურად, ეს დიდი ომი გადაიხადეს, როცა საუკუნეობით ტანჯულ დედაქალაქს გაათავისუფლებდნენ...

დიდგორის გამარჯვების შემდეგ ეს უკვე არც ძნელი იყო და არც სათუოდ დაუსახავს ვინმეს.

მაგრამ ქართველთა გამოცდილი სარდალი არ აჩქარებულა.

ჩვენ ვიცით, რა სიფრთხილით მოქმედებდა დავითი ქვეყნის ცალკეულ კუთხეთა გათავისუფლების დროს. აგერ, რამდენი ხნის მეფეა, რამდენ სასახელო გამარჯვებას მიაღწია, რა შიშის ზარი გახდა მტრისთვის და ქვეყნის გულის, მისი მშვენიერი დედაქალაქის გათავისუფლება კი ჯერ არ უცდია. დიდგორის ბრძოლისა და სახელოვანი გამარჯვების შემდეგ დავით აღმაშენებელმა უკვე შესაძლებლადჩათვალადედაქალაქისგათავისუფლება.თბილისისთვის ბრძოლა დიდგორის ბრძოლის გაგრძელებად მიაჩნიათ. თბილისის ამირას მოკავშირეები და მხარდამჭერები შემოცლილი ჰყავდა. თავს აღარავინ გამოიდებდა მის გამოსაქომაგებლად და დასაცავად.

რა მორალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა თბილისის გათავისუფლებას, ამის განმეორებას აღარ მოვ-ყვებით, ეს ისედაც ცხადია. აქ მხოლოდ ის გავიხსენოთ, რამდენჯერ სცადეს მისი გათავისუფლება დავით აღმაშენებლის წინაპრებმა, და ყოველთვის ამაოდ!

ერთი სიტყვით, დადგა ჟამი საქართველოს მრავალტანჯული დედაქალაქის გათავისუფლებისა.

ოთხი საუკუნე ეწამებოდა თბილისი უცხოელთა ტყვეობაში. ადვილი წარმოსადგენია, რა ხდებოდა აქ ამ ოთხი მძიმე საუკუნის განმავლობაში, რა დღეში იქნებოდა დედაქალაქის მკვიდრი მოსახლეობა...

მოვუსმინოთ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს: „ქალაქი ტფი-ლისი, ოდეს ჯერეთ არა სრულიად შემოყენებულ იყო უღელსა ქუეშე მორჩილებისასა, ვითარცა აწ, არამედ სავსე იყო სისხლითა ქრის-ტიანეთათა: რამეთუ ოდესმე ყვიან ღაღვავი და თვინიერ მიზეზისაცა მოსრნიან რაოდენნი პოვნიან ქრისტიანენი, ხოლო ოდესმე ქარა-

ვანსა თანა შემოყოლილთა თურქთა ზედა გასცნიან შემომავალ-გამომავალნი ქრისტიანენი, და ტყუეობად და სიკუდილად მისცნიან, და ესრეთ ისრეოდა ქუეყანა მრავალჟამ“...

დააკვირდით ფრაზებს: „თვინიერ მიზეზისაცა მოსრნიან“ (უმიზეზოდ ჟლეტდნენ)... „ტყუეობად და სიკუდილად მისცნიან“... „ესრეთ ისრეოდა ქუეყანა მრავალჟამ“...

ეს ყველაფერი მკვიდრ ქრისტიან მოსახლეობას შეეხება.

„ხოლო მეორესა წელსა, — ესე იგი, დიდგორის ბრძოლის ერთი წლის შემდეგ, 1122 წელს — აიღო მეფემან ქალაქი ტფილისი, პირველსავე ომსა, ოთხას წელ ქონებული სპარსთა, და დაუმკვიდრა შვილთა თვისთა საჭურჭლედ და სახლად თვისად საუკუნოდ“.

ეს ქართველი მემატიანის ცნობა გახლავთ. იგი, ჩვეულებრივ, სიტყვაძვირობს და ძალიან მოკლედ გადმოგვცემს ამ დიდი ისტორიული მნიშვნელობის ამბავს.

არსებობს უცხოური წყაროებიც და ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს, უფრო დაწვრილებით გავეცნოთ თბილისის გათავისუფლების ისტორიას.

უბრძოლველად მაინც არ დაუთმია პოზიციები თბილისის ამირას.

როგორც კი დიდგორის ბრძოლიდან გაქცეული მტრის დევნას მორჩა, ქართველთა ლაშქარს ალყა შემოურტყამს თბილისისთვის, მაგრამ ბრძოლა მაშინვე არ დაუწყია. მიზეზი ჩვენთვის გასაგებია: იმ დიდი გამარჯვების შემდეგ მოკავშირედაკარგული და შველის იმედწართმეული ამირას დამარცხება არ გაუჭირდებოდა დავით აღმაშენებელს, მაგრამ ზედმეტ სისხლს მოერიდა და იმიტომ შეიცადა. მტერს გონს მოსვლა დააცადა. იქნებ უბრძოლველად დაგვნებდესო.

გაიმართა მოლაპარაკება ალყაში მოქცეული ქალაქის უცხოელ მმართველებსა და ქართველ მეფეს შორის.

ადამიანს ისე არაფერი უძნელდება, როგორც იმედთან გამოთხოვება და ეს ფართოდ გავრცელებული ანდაზაც — წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო — ამ განცდას გამოხატავს. მართლაც, წყალწაღებულის ხავსზე მოჭიდებასა ჰგავდა თბილისის ამირას მაშინდელი მდგომარეობა.

მაინც არ გატყდა, მაინც არ გაიტეხა იხტიბარი.

ნეტა რისი ან ვისი იმედით?!

აკი თვითონვე გახდა მოწმე, რა მწარე მარცხი იგემეს მისმა მოკავშირეებმა — ამალაშეფერთხილებმა, ნაგვემებმა და განა-

დგურებულებმა თავი ძლივს რომ დააღწიეს ტყვეობას!.. როდის უნდა მოღონიერებულიყვნენ ისინი იმგვარად, რომ თბილისის ამირასთვის სამხედრო დახმარებისა და თუნდაც უბრალო თანაგრძნობის თავი ჰქონოდათ. ძალიან ბუნდოვანი იყო ასეთი პერსპექტივა... მაგრამ, აკი ვთქვით, იმედთან გამოთხოვება ძნელი გამოდგა და თბილისის ამირაც, ალბათ იმ გაურკვეველი მომავლის იმედით, მოლაპარაკებას აჭიანურებდა, არა ტყდებოდა.

დიდი უჭკუობაც მოუვიდა, რადგან დავით აღმაშენებელი გააბრაზა...

სწორედ ასე წერს ივანე ჯავახიშვილი: „რაკი ტფილისელები გაშმაგებით მეფეს წინააღმდეგობას უწევდნენ, იგი თურმე გაჯავრებულ გულზე ჯერ მკაცრად მოპყრობია“...

უცხოური წყაროების ცნობებით, მართლაც დიდი სიმკაცრე გამოუჩენია მეფეს. მუსრი გაუელია დამპყრობთათვის, გაუჟლეტია... ხუთასი კაცი სარებზე ჩამოაცვა და წამებით მოკლაო, ერთი სომხური წყარო გადმოგვცემს... ქალაქის დიდი ნაწილი ცეცხლს მისცაო, ეკითხულობთ მეორე უცხოურ წყაროში...

მაგრამ ასეთი სიმკაცრე დიდხანს არ გაგრძელებულა, პირიქით, მალე დიდი ლმობიერება გამოუჩენია დავით აღმაშენებელს. რაკიღა ქალაქს დაეუფლა და მტრის წინააღმდეგობა გატეხა, რაკი დედაქალაქის კელავ დაკარგვის აღარავითარი საშიშროება აღარ იყო, ქართველ მეფეს დიდი გულმოწყალეობა გამოუმჟღავნებია მაჰმადიანი მოსახლეობის მიმართ: მუსლიმანების უბნებში, სადაც, ალბათ ქრისტინებიც ცხოვრობდნენ, აკრძალა ღორის ყოლა და დაკვლა, მაჰმადიანებს თავისუფალი ლოცვისა და ლოცვისთვის მოწოდების უფლება მისცა, მაჰმადიანების აბანოში აუკრძალა შესვლა ქრისტიანებსა და ებრაელებს. მეფე ყოველ პარასკევს თავის შვილთან — დემეტრესთან — ერთად მეჩეთში შედიოდა, ისმენდა ლოცვასა და ყურანის კითხვას...

ადვილი მისახვედრია, რომ ამით იგი სხვებს აძლევდა სარწმუნეობრივი შემწყნარებლობის მაგალითს და რელიგიურ შუღლს აღკვეთავდა. „მან ააშენა უცხო ტომთათვის ქარვასლები, და პოეტთათვის, რომელთაც ულუფას უნიშნავდა... დავითი უფრო მეტ პატივსა სცემდა მუსულმანთა, ვიდრე მთავარნი მუსლიმანთანი“...

როგორც ითქვა, ამას უცხოური წყაროები გადმოგვცემდნენ.

ალ-ფარიკი ერთ საინტერესო და ერთი შეხედვით უცნაურ კონკრეტულ ცნობას გვაწვდის: თბილისის აღების შემდეგ ქართველ

მეფეს დაუწესებია ყოველწლიური გადასახადი: ქრისტიანებისთვის — 5 დინარი, ებრაელებისთვის — 4, მუსლიმანებისთვის — 3...

არაბ ისტორიკოსს იქვე პარალელი მოაქვს — როგორ არა ჰგავდნენ დავითს მაჰმადიანი ხელმწიფეები, რომლებიც არავითარ შემწყნარებლობას არ იჩენდნენ სხვა ხალხისა და სარწმუნოების მიმართ.

ფაქტებს ქართველი მეფის ასეთი გულმოწყალებისა და შემწყნარებლობის შესახებ შემდეგი დროის მკვლევარები სულ სხვადასხვანაირად ხსნიან; ზოგჯერ ისე უკეღმართადაც კი, თითქოს ეს გულმოწყალება იძულებითი ყოფილიყოს, მტრის ნაკარნახევი. ასეთი განმარტება ქართველთა იმ ბრწყინვალე გამარჯვებისა და მომდევნო არანაკლებ დიდი წარმატებების შემდეგ, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი, რაღა თქმა უნდა, დაუჯერებელი და ღიმილისმომგვრელია, და შეუძლებელია გაიზიაროს ასე თუ ისე საქმეში ჩახედულმა და ობიექტურმა ადამიანმა.

რამ გამოიწვია ქართველი მეფის ასეთი გულმოწყალება და შემწყნარებლობა?

იმ დიდი სიმკაცრის შემდეგ, რითაც მან თბილისის დამპყრობლები დასაჯა, რითი შეიძლება აიხსნას ეს ყველაფერი?

აქ მე მკვლევართა რამდენიმე მოსაზრებას მოვიტან, რაც, ვფიქრობ, საკმაოდ დამაჯერებლად უპასუხებს ზემოთ დასმულ კითხვებს.

ჯერ გავიხსენოთ ის, თითქოს უცნაური, მოვლენა, რაზედაც ზემოთაც გვქონდა საუბარი. როცა ჩვენ დავით აღმაშენებლის მოჭრილ ფულზე არაბულ წარწერას ვხედებით, ამ ფაქტის ასახსნელად კარგად დასაბუთებული მოსაზრება მოვიშველიეთ: დავით აღმაშენებელი ბრძენი მმართველი იყო, კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ ქვეყნის შემდგომი განვითარებისთვის, იმ დიდი გეგმებისა და ამოცანების განხორციელებისთვის, რაც ქართველი ხალხის წინაშე იდგა, უპირველესი მნიშვნელობა ეკონომიკურ საფუძველს ჰქონდა, ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის შედგომ გაშლას, სხვა ქვეყნებთან და ხალხებთან ურთიერთობის გაფართოებასა და განმტკიცებას... ისეთ ვითარებაში, როცა ჩვენი ქვეყნის მეზობლად ძლიერი მაჰმადიანური სახელმწიფოები ჩამოყალიბდნენ, აუცილებლად საჭირო იყო, — და დავით აღმაშენებელი ყოველი ღონისძიებით ცდილობდა ამას, — ამ ქვეყნებთან მშვიდობიანი ურთიერთობის გზების გამოძებნა, მათთან გაცხოველებული ვაჭრობის და აღებ-მიცემობის გაშლა,

რასაც თავისთავად მოჰყვებოდა მტკიცე პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობა. ასეთ საქმეში უპირველესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ურთიერთნდობას, პატივისცემას, მომავალი ეკონომიკური თანამშრომლობისთვის კეთილი პერსპექტივების დასახვას.

საინტერესო და დამაჯერებელია ცნობილი ქართველი მეცნიერის ვლადიმერ ფუთურიძის დასკვნა:

„...დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის (მაპმადიანი) მცხოვრებთათვის სხვადასხვა შეღავათების მიცემა მარტო იმით კი არ აიხსნება, რომ მაღალი ბუნების პატრონი მეფე პატივს სცემდა მუსლიმანურ კულტურას და რელიგიას. დავითს კარგად ესმოდა, რომ ვერ გააუქმებდა ქალაქის დაპყრობამდე მასში არსებულ ყველა წესსა და კანონებს ისე, თუ არ დაარბევდა და არ მოშლიდა ქალაქის მთელ ცხოვრებას, ასეთი შეეიწროება თბილისისა კი, მას, როგორც ჭკვიან ხელმწიფეს, არ უნდოდა, რათა საქართველოს ახლად დაბრუნებულ დედაქალაქს არ დაპკარგოდა დიდი კულტურული და სავაჭრო ცენტრის მნიშვნელობა“.

„...იმდროინდელი საქართველო უმთავრესად მუსლიმანური ქვეყნების გარემოცვაში იმყოფებოდა და ამ გარემოსთან ეკონომიკური თუ პოლიტიკური ერთიანობა ასეთი ღონისძიების გატარებას მოითხოვდა“, — წერს ზემოხსენებულ წიგნში შოთა მესხია.

მეცნიერი იქვე ძალიან საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს, „ალფარიკის ცნობა (ზემოთ ნახსენები გადასახადების შესახებ)... იქნებ იმაზე მიგვითითებს, რომ [დავით] მეფემ მუსლიმანურ მოსახლეობას, რომელიც თბილისის აღების დროს უფრო დაზარალდა, ვიდრე სხვა დანარჩენი, მართლაც მიანიჭა გარკვეული საგადასახადო შეღავათები არა მუდმივად, არამედ ერთი ან ორიოდე წლის ვადით“.

და კიდევ ერთი საინტერესო მოსაზრება ქართველი მკვლევარის ბ. ლომინაძისა. ეს კონკრეტულად რელიგიურ შემწყნარებლობას შეეხება:

„სარწმუნოებრივი თავისუფლება საქართველოში ფართოდ ყოფილა გამოხატული, რასაც არა მხოლოდ ისტორიული გარემო და მეფის პოლიტიკა, არამედ თვით ქართველი ხალხის ისტორიულად გამომუშავებული კულტურაც განსაზღვრავდა“...

და იქვე:

„მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეების განმავლობაში დამპყრობელთა როლში მაპმადიანი ქვეყნები გამოდიოდნენ, ქართულ შეგნებაში დამპყრობელთადმი პოლიტიკური მტრობა არ გადაზრდ-

ილა სარწმუნოებრივ-ეროვნულ მტრობაში. რელიგიური ფანატიზმი ქართველი მოსახლეობის თვისებას არ შეადგენდა. განათლებული ქართველობა პატივს სცემდა და იზიარებდა ისლამური ქვეყნების კულტურას".

თბილისის ბრძოლით აღება და შემოერთება იმდენად ძნელი არ იყო დავით აღმაშენებლისთვის, რამდენადაც ცხოვრების იმ წესების აღდგენა, რაც საქართველოს სხვა კუთხეებსა და ქალაქებში იყო დამკვიდრებული და, რაც უცხოელთა ოთხასწლიანი ბატონობის დროს, თავისთავად ცხადია, თბილისში შერყვნილი იქნებოდა. ძალიან დიდი და ძნელი ღონისძიებების ჩატარება იყო საჭირო, რათა საქართველოს ძველი დედაქალაქი კვლავ ქვეყნის პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიკურ ცენტრად ექცია თ, კვლავ ქართული ცხოვრების წესი აღედგინათ და უკვე ძლიერი და დიდი ქვეყნის მეთაურობა დაეკისრებინათ. სამწუხაროდ, წყაროებს არ შემოუნახავთ ამ მუშაობისა და ღონისძიებების კონკრეტული ფაქტები — ჩვენ ჯერჯერობით შეგვიძლია ძალიან ზოგადად წარმოვიდგინოთ. ეს საკითხი საფუძვლიან შესწავლას მოითხოვს.

თუ რა დიდი მუშაობა გასწია მეფემ ამ მხრივ, კარგად ჩანს იმით, რომ შემოერთების შემდეგ მეფის რეზიდენცია ქუთაისიდან თბილისში გადავიდა.

საქართველოს სატახტო ქალაქი კვლავ თბილისი გახდა.

უცხოელთა ოთხასი წლის ბატონობის შემდეგ — მრავალტანჯული, გაწამებული, შებღალული, მაგრამ მაინც გაუტეხავი დედაქალაქი ქვეყნისა კვლავ თავის დედასამშობლოს, თავის ხალხს, დაუბრუნდა, მის ქუჩებში კვლავ ამაყად გაისმა ქართული მეტყველება, აივნებსა და ბანებზე კვლავ მხიარულად გამოეფინენ ქართველი გოგო-ბიჭები, სახლებიდან კვლავ ლაღად გამოიჭრა ქართული სიმღერა, უძველეს ციხესიმაგრეზე კვლავ ამაყად გაიშალა ქართული დროშა...

●

როგორც უკვე ვნახეთ, ბოლო წლებში მტერმა ბევრჯერ იგემა დამარცხების სიმწარე. განსაკუთრებით მწარე გამოდგა დიდგორის მარცხი. ამის შემდეგ თბილისის საკითხი ფაქტიურად უკვე გადაწყვეტილი იყო (თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ თბილისის გარშემო ციხე-ქალაქები ადრევე დაიბრუნეს ქართველებმა).

ეს ალბათ მტერსაც კარგად ჰქონდა შეგნებული და თუ მაინც გაუწია გააფთრებული წინააღმდეგობა ქართველთა ლაშქარს თბილისისთვის ბრძოლის დროს, იმდენად არა იმიტომ, თითქოს ქალაქის შენარჩუნების დიდი იმედი ჰქონოდეს, რამდენადაც არ ეთმობოდა, ძნელი გამოდგა „გამეტება“ თავისად დაგულებული დიდი ქალაქისა, სადაც იგი არხეინად მოკალათებულიყო და ცხოვრების თავისებური წესი დაენერგა... უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, — თბილისური ცხოვრების განუმეორებელი ეშხი და ლაზათი თავისი ცხოვრების წესისათვის მოერგო, შესჩვეოდა, გალაღებულიყო, გაშინაურებულიყო...

მაგრამ, აი, მტერს თბილისიც „დაათმობინეს“, და ეს დიდ პოლიტიკურ გამარჯვებასთან ერთად სტრატეგიულად იყო ძალიან მნიშვნელოვანი. ამის შემდეგ ქართველებს, რაღა თქმა უნდა, აღარ გაუჭირდებოდათ დმანისისა და სამხრეთის სხვა ქალაქების აღება.

დმანისი ახლა რაიონის ცენტრს წარმოადგენს, პატარა ქალაქია, მაგრამ მაშინ დიდი სავაჭრო-სამრეწველო ცენტრი იყო. თანაც, აქ გადიოდა მეტად მნიშვნელოვანი სავაჭრო-საქარავნო გზა, რომელიც სამხრეთ საქართველოს აღმოსავლეთ მხარეებთან აკავშირებდა.

დმანისიდან უკვე განძისაკენ იხსნებოდა გზა და სამხრეთის სხვა ქალაქებსაც იგივე ბედი ელოდა, რაც თბილისს, რუსთავს, სამშვილდესა და დმანისს ეწია.

როგორც ჩანს, თბილისის შემდეგ ქართველებს მალევე აუღიათ დმანისი, თუმცა ქართველი მემატიანე ამ მოვლენას ცოტა უფრო გვიან ახსენებს; ისე მოკლედ და ძუნწად აქვს მოთხრობილი მას ამ წლებში მომხდარი ამბები, რომ გასაკვირი სულაც არ არის, მოვლენათა თანამიმდევრობის ოდნავი გადაადგილება თუ მოხდა, ყოველ შემთხვევაში, გამოთქმულია მოსაზრება, რომ თბილისის შემდეგ ქართველებმა მალე აიღეს დმანისი.

ჩვენ უკვე ვთქვით, რა დიდი პოლიტიკური, ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰონდა დმანისს და გასაკვირი სულაც არ არის, რომ მტერს ამ ქალაქის დაკარგვა ძალიან ემწარა. ზედიზედ განცდილი ამდენი მარცხის შემდეგ კიდევ უფრო ძნელი გამოდგა დამარცხებასთან შერიგება. დამარცხებას, არცთუ იშვიათად, ერთი კომიკური მდგომარეობა მოჰყვება ხოლმე: იშვიათად მოხდება, რომ დამარცხებულმა ობიექტური და სწორი ანალიზი გაუკეთოს მომხდარ მოვლენას. მასა ჰგონია, სულ ახლოს ვიყავი გამარჯვებასთან და მარცხი შემთხვევით მოხდა, ბედმა უსამართლოდ მიმტყუნაო...

ეტყობა, სულთან მაპმუდსაც ამ ადამიანურმა სისუსტემ წამოუარა — მასაც ასე მოუვიდა, ამგვარი ფიქრები აეშალა. განვლილ მოვლენებს რომ დაუფიქრდა და კარგად აწონ-დაწონა ყველაფერი, მოეჩვენა, რომ სულ შემთხვევით და უკულმართად დატრიალდა საქმე. გული მოუვიდა ბედისწერაზე. ჩვენებს უნდა გაემარჯვათო, თავის გულში დაიჟინა. გაიმარჯვებდნენ კიდეც, ბედისწერას რომ არ ემუხთლაო... რას იზამ, ბედისწერა სწორედ იმიტომ არის მოგონილი, რომ ასეთ დროს კაცმა თავი ინუგეშოს, ყველაფერი იმას გადააბრალოს, თავის ულონობას თუ უჭკუობას ნამუსი მოწმინდოს...

ერთი სიტყვით, ასეთი ფიქრებით გულმოცემულ სულთან მაპმადს, როცა საკუთარ სიძლიერესა და იმ განცდილი მარცხის შემთხვევითობაში დაარწმუნა თავი, აღარც დაუყოვნებია — სწრაფად შეპყარა ლაშქარი და სწრაფადვე გაემართა უკულმა დატრიალებული ბედის მოსაბრუნებლად, მოწინააღმდეგისთვის ჭკუის სასწავლებლად. ოღონდ გაემართა არა დმანისისა და თბილისისაკენ, რომელთა უსამართლო დაკარგვაზე ჩიოდა, არამედ შარვანისკენ. შორიდან მოუარა. ასე უფრო გონიერულად მიიჩნია. ჯერ შორიდან შემოვუტევო, ალბათ ასე იფიქრა.

ქართველი მემატიანე გვაცნობებს, რომ თბილისის აღებიდან ერთი წლის შემდეგ, ანუ 1123 წელს — სულთან მაპმუდს შარვანზე გაულაშქრია და შარვან-შაპი შეუპყრია, — გეხსომებათ, რომ ეს შარვან-შაპი ქართველი მეფის მომხრე და მორჩილი იყო, სიძე იყო ქართველი მეფისა — თამარის ქმარი ფახრ-ად-დინ მანუჩიპრ მეორე. აუღია ქალაქი შამახია სულთან მაპმუდს და ქართველი მეფისთვის წიგნი მოუწერია: შენ ტყეთა მეფე ხარ და ველზე გამოსვლას ვერც გაბედავო — „ვერა ოდეს გამოხვალ ველთა“ (თვითონ ამ დროს თავისი დიდი მხედრობით ველზეა დაბანაკებული, ქალაქგარეთ), — შენი ყმადნაფიცი შირვან-შაპი შეპყრობილი მყავს, ხარაჯას ვართმევ, შენც გირჩევ, ძღვენი გამომიგზავნო, ან გამოდი, რას იმალები, ველზე შემხვდიო.

ან იმ ტყეს რას ერჩოდა ნეტა, სადაც ქართველი მეფე ეგულებოდა, ან იმ ველით რას მოპქონდა თავი, სადაც თვითონ დაბანაკებულიყო — არც ერთი და არც მეორე მისი არ ყოფილა. სხვისი იყო.

ქადილი და მუქარა ნამდვილი სულთანური გამოუვიდა. ოღონდ მერე უმტყუნა ვაჟკაცობამ და არასულთანურად მოიქცა.

ასეა ხოლმე, ლაჩარსა და დაშინებულს უფრო უჭირს მუქარის მოზომვა. რა ვაჟკაციც ბრძანებულა, ახლავე ენახავთ.

ჩვენ კარგად დავრწმუნდით, რომ დავით აღმაშენებელს ამისთანა საქმის გადადება არ უყვარდა. სწრაფად შეკრიბა ლაშქარი და 50.000 მეომრით შარვანისკენ გაემართა.

სულთანი კი ამ დროს ქალაქგარეთ დაბანაკებულა და, როგორც ეტყობა, დავით აღმაშენებლისგან მართლა ძღვენს მოელის. ხოლო როცა მსტოვრებმა ამბავი მოუტანეს, ქართველი მეფე დიდი მხედრობით მოემართება და მისი ლაშქრის სიმრავლემ ლამის მზე ჩააბნელოსო (უყვარდათ იმ დროს ასეთი მაღალფარდოვანი ლაპარაკი, განსაკუთრებით აღმოსავლეთში), ერთბაშად დაფეთდა სულთანი („განკრთაო", მემატიანე წერს), თვითონვე აიყარა ველიდან და თავისი დიდი მხედრობით ფაცხაფუცხით შეეიდა ქალაქში, ახლა იქ გამაგრდა ეს ველის ტრფიალი სარდალი. ვერც გაამტყუნებ — ქალაქს თხრილები და ზღუდეები ერტყა საგანგებოდ.

ამრიგად, სულთანი ქალაქში გამაგრდა, ქართველი მეფე კი ქალაქგარეთ დაბანაკდა, იმ ველზე, სადაც რამდენიმე ხნის წინ სულთანის მხედრობა იდგა. დავით აღმაშენებელი არ აჩქარებულა, ზედმეტ სისხლისღვრას მოერიდა თავის ყმადნაფიც ქვეყანაში, დაიცადა; გრძნობდა, რომ მტერი მაინც მის ხელში იყო.

სულთანი, როგორც ეტყობა, მაშველ ძალას ელოდა, მაგრამ შველა იგვიანებდა; არა-და, დრო გადიოდა, ქალაქში „გამაგრებულ" დიდ მხედრობას ჭამა-სმა უნდოდა, ცხენებს — საკვები... რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო რთულდებოდა საქმე. გაგიხარიათ, ახლა უკვე გაცლა ერჩივნა სულთანს. მაგრამ ვინ გაუშვებდა — თავის ნებაზე აღარ გახლდათ! 50.000-იანი კარგად განწერთნილი და საქვეყნოდ სახლგანთქმული ლაშქარი იქვე იყო დაბანაკებული ქალაქგარეთ. ველზე მდგომარეობა სულ უფრო და უფრო სერიოზული ხდებოდა. ქალაქიც დაიმშა... ახლა წარმოიდგინეთ ქალაქის მოსახლეობისა და იქ იძულებით დაბანაკებული, დამშეული ჯარის ურთიერთობა...

და სულთანმა უკეთესი ველარაფერი მოიგონა — საზავო მოლაპარაკების გამართვა სცადა მოწინააღმდეგესთან. თავდაპირველად ხომ თვითონ მოითხოვდა ძღვენს „ტყეთა მეფისაგან", ახლა ისე წარიმართა საქმე, რომ ძღვენი აქეთ გამოუგზავნა დავით აღმაშენებელს და „შეიწრებულმან შიმშილითა და წყურილითა მრავალ დღე" „გზა ითხოვა („გზა სალტოლვარო") — აღარაფერს გერჩით, გამიშვეთ, თქვენი ჭირიმე, გამატარეთო. იმ ბაქიბუქის შემდეგ ასეთი თავმდაბლური თხოვნა, რაღა თქმა უნდა, ეაჟკაცურ მოქმედებად

არ მოგეჩვენებათ: „ფრიად რამე სიმდაბლით და არასულტანურად“ მოიქცაო, მემატიანე შენიშნავს.

და ამ დროს გამოჩნდა კიდეც მაშველი ძალა.

რანის ათაბაგი აღსუნღული მოეშურებოდა დიდი მხედრობითა და დიდის რიხით.

ათაბაგს, ეტყობა, ვერ გაეგო ქართველთა მოსვლისა და ქალაქგარეთ დაბანაკების ამბავი, და „ძალითა მრავლითა“ პირდაპირ სულთანისკენ მიეშურებოდა — ალბათ, შეთანხმებულები იყვნენ, რომ აქ შეიყრებოდნენ და აქედან ერთად გასწევდნენ სალაშქროდ ქართველი მეფის წინააღმდეგ...

მაგრამ, სადაც სულთანის მხედრობა ეგულებოდა, იქ ქართული ლაშქარი დახვდა ათაბაგს და ძნელი წარმოსადგენი აღარ უნდა იყოს, რა ღღეში ჩავარდებოდა. ერთბაშად პირკატა ეცა. ისე მოულოდნელი გამოდგა ეს რანის ათაბაგისა და მისი მხედრობისთვის, რომ ვეღარაფერი მოახერხეს; მანამ გონს მოეგებოდნენ, გაიჟლიტნენ კიდეც. ოთხი ათასი მეომარი მოუკლეს. აღსუნღულმა ძლიეს მოასწრო გაქცევა — იგი „ოდენ მარტო მეოტი ძლით მივიდა სულტანსა წინაშე“. ასე უცებ და ასე უსახელოდ დასრულდა ათაბაგ აღსუნღულის გალაშქრების ამბავი. კუდა ხარი თავად არ იყო და სხვას ბუზს უგერიებდაო — ასე გგონია, საგანგებოდ რანის ათაბაგზე იყოს მოგონილი ეს ანდაზა.

სულთანი ხომ ქართველი მეფის პასუხს ელოდებოდა... და ახლა პასუხის ნაცვლად შეფერთხილი და ნირწამხდარი ათაბაგი რომ იხილა, კიდევ უფრო დაშინდა და მისი არასულთნური მოქმედებაც ახლა იკითხეთ: ადგა ეს დიდგულა მბრძანებელი და მწვირის სადინარი ხერელით გაიპარა იმავე ღამეს.

ასებედნიერად, უომრად და სისხლის დაუღვრელად დამთავრებულა ყველაფერი და ქართველი მეფე უკანვე გამობრუნებულა, ქალაქში აღარ შესულა.

ეს, ეტყობა, მაისში მომხდარა, 1123 წლის მაისში, რადგან მემატიანე იქვე შენიშნავს, „მეორესა თუესა, ივნისსა (ესე იგი, 1123 წლის ივნისში) კუალად წარვიდა შარვანს“ — კვლავ გაბრუნებულა ქართველი მეფე, აუღია ქალაქი გულისტანი (შარვანის „თავადი“ [ანუ მთავარი] ქალაქიო, ასე ახასიათებს მემატიანე) და მერე ქართლში გადმოსულა...

●

მაგრამ შარვანში, ეტყობა, მაინც არ დაწყნარებულა ცხოვრება. რაკი საქართველოს ტერიტორიიდან ფეხი ამოაკვეთინეს და სამხრეთითაც უფრო მეტად აეიწროებდნენ, მტერმა გადაწყვიტა, როგორმე აქ მოეკიდებინა ფეხი, აღმოსავლეთში.

ზემოთაც ითქვა: დავით აღმაშენებელმა კარგად იცოდა, რომ თუ მტერს ამიერკავკასიის მოძმე ქვეყნებიდანაც არ განდევნიდნენ, თავისუფლება და მშვიდობა არც საქართველოში იქნებოდა მყარი. ამიტომ იგი იძულებული შეიქნა, ზედიზედ რამდენჯერმე გაელაშქრებინა შარვანისაკენ. ამას მეზობლობისა და მეგობრობის ერთგულებაც ავალებდა — ეს ხომ ალბანეთის ტერიტორია იყო, ძმებისა და კეთილი მეზობლების მიწა-წყალი, რომელიც ახლა მტერს დაეპყრო და წვრილი საამიროები დაეარსებინა; ადგილობრივი ქრისტიანი მოსახლეობა ზოგი გაეჟლიტა, ზოგიც დამონებული ჰყავდა.

საკუთარ ქვეყანაში მშვიდობისა და თავისუფლების უზრუნველსაყოფად, მეგობრულ-მეზობლური ვალის მოსახდელად, აღმაშენებელმა გადაწყვიტა, შემოეერთებინა ეს ქვეყანა.

მაგრამ, ვიდრე საბოლოოდ შემოიერთებდა შარვანს, ჯერ სამხრეთით გაილაშქრა...

დააკვირდით, რა სწრაფად იცვლება ხოლმე გალაშქრების მიმართულება: სამხრეთიდან — აღმოსავლეთისკენ, აღმოსაელეთიდან — ისევ სამხრეთისკენ...

მტერი აწრიალებულა, უჭირს მოპოვებულისა და დაპყრობილის დათმობა, უკანასკნელ ძალას იკრებს... როგორც კი გაიგულებენ ქართველ მეფეს ერთი კუთხიდან, როგორც კი მოეჩვენებათ, მისი ყურადღება აქეთკენ შესუსტდაო, კიდევ ერთხელ სცდიან ბედს და იქით დაიძრებიან, ხავსს ეკიდებიან... მაგრამ დავით აღმაშენებელი ფხიზლადაა, მას მტკიცედ გადაუწყვეტია, საესებით გაწმინდოს მტრისგან ამიერკავკასიის ქვეყნები... და განუწყვეტელ ბრძოლებშია, ხან სამხრეთით ლაშქრობს, ხან — აღმოსავლეთით.

ერთმანეთის მიყოლებით აიღეს ქართველებმა სამხრეთის ციხეები — გაგნი, ტერონაკალი, ქაეაზინნი, ნორბედი, მანასგომნი და ტალინჯაქარი.

სწორედ ასე ზედიზედ ჩამოთვლის ამ ციხეებს მემატიანე.

აშკარად ეტყობა, რომ მტერი დიდ წინააღმდეგობას ვერ უწევდა, დამარცხებას დამარცხებაზე განიცდიდა.

ამის შემდეგ არც დაუსვენია ქართულ ლაშქარს, ისე განელეს ჯავახეთი, კოლა, კარნიფორა, ბასიანი სპერამდის, „და რაც პოვა თურქმანი, მოსრა და ტყუე ყო; ჩამოელო ბულთა-ყური და დაწუნა ოლთისნი, და მოვიდა თრიალეთს დიდითა გამარჯუებითა“

როგორც ვნახეთ, გამარჯვება მართლაც დიდია; და საკვირველიც. თუ გავითვალისწინებთ, რომ ყველაფერი ეს რამდენიმე თვეში მოხდა.

სწორედ რომ საარაკო გამარჯვებაა! მაგრამ სრული არ გახლავთ. ესე იგი, ბოლომდე არ ჩამოგვითვლია იმ წლის გამარჯვებანი, გვირგვინი ამ გამარჯვებებისა ჯერ არ გვითქვამს.

თრიალეთში რომ მობრუნდნენ, მეფემ ამდენი ლაშქრობით დამაშვრალი ჯარი დაითხოვა — „განიყარა ლაშქარი თვის-თვისად“ — და, ეტყობა, თვითონაც დასვენება გადაწყვიტა.

მაგრამ დასვენება ველარ მოასწრეს — ჯარს ჯერ კიდევ ხეირიანად არ დაესვენაო, ივანე ჯავახიშვილი შენიშნავს, როცა ისევ მოუხდათ გალაშქრება.

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ ამ ლაშქრობაზე, რადგან იგი შეეხება ჩვენი ნაცნობი მშვენიერი ქალაქის ბედს...

20 აგვისტოს ქართველ მეფეს თრიალეთშივე ეახლნენ „მწიგნობარნი ანელთა თავადთანი და მოახსენეს მოცემა ქალაქისა“...

მრავალტანჯვაგამოვლილი ანისის გათავისუფლება სთხოვეს მეფეს.

ესეც კი თავისთავად იმას ამტკიცებს, რომ დავით აღმაშენებელს კავკასიის ხალხები იმედის თვალით შეჰყურებდნენ და როგორც მხსნელს, ისე მიმართავდნენ, ხშირად მის ლაშქარშიც იბრძოდნენ საერთო მტრის წინააღდეგ.

„დავით მეფის გამარჯვებანი საერთო მტრის წინააღმდეგ საერთო აღფრთოვანებას იწვევდა საქართველოს მოსაზღვრე, სომხებით დასახლებულ სანახებში და იმედს უნერგავდნენ სომხებს, რომ საქართველოს დახმარებით, თვითონაც შეძლებდნენ ფეხზე წამოდგომას და უცხო ბატონობისგან გათავისუფლებას“, — წერს სომეხი მეცნიერი, აკადემიკოსი ჰ. მანანდიანი.

და აი, სომეხმა მწიგნობრებმა დახმარება სთხოვეს ქართველ მეფეს.

ანისის მმართველი იმ დროს „ლაჩარი და გულდედალი“ (ეს სომეხი მემატიანის ვარდან დიდის სიტყვებია) კაცი ყოფილა — აბუ-ლ-ასვარ შაეურ მეორე, იგივე აბუ-ლ-ასვარ შაეურ მანუჩერი, წარმოშობით

ქურთი; სომეხი მემატიანისაეე ცნობით, თურქების განუწყეეტელი შემოტეეებისგან დაშინებულ ამ ულირს კაცს გადაუწყეეტია, დიდებული ქალაქი ანისი მიეყიდა ქალაქ ყარსის (კარის) სელჩუკ ამირასათვის 60.000 დინარად; სანამ ამას გააკეთებდა, ხლათიდან მოატანინა ვერცხლის ვეებერთელა ნახეეარმთვარე („ნალიო" — სომხური წყაროები დაცინვით და აგდებულად მოიხსენიებენ), რათა ანისის განთქმულ კათედრალზე აღემართა იმ პატარა ნახეეარმთვარის ნაცელად, რომელიც აქ ამის წინათ დაემაგრებინათ.

დავითმა სწრაფად შეკრიბა 60.000-იანი ლაშქარი და „წარემართა და ვითარცა მიიწია, მესამესა დღესა აიღო ქალაქი ანისი და ციხენი მისნი უჭირველად, და სოფელნი და ქუეყანანი მიმდგომნი ანისისანი".

ძნელი არ არის, ცოცხლად წარმოვიდგინოთ, ჯერ რა გლოვა იდგა დიდ ქალაქში, როცა ხლათიდან ჩამოტანილ ვეებერთელა ახალ მთვარეს (ნალს) ამაგრებდნენ...

იქით მტერი როგორ ზეიმობდა, რა გამომწეეად იქცეოდა და აქეთ მკვიდრი ქრისტიანი მოსახლეობა რა დღეში იყო, რა ტირილი, მოთქმა, მკერდში ხელის ცემა!.. სახლებში მიმალულები როგორი შიშითა და სიძულვილით უთვალთვალებდნენ შორიდან...

და სულ მალეეე როგორ გაიხარებდა ხალხი, როგორ გამოეფინებოდა ქუჩებში, როგორ ადიდებდნენ დავითის სახელს, რომელმაც უბედურებისგან იხსნა... როცა ვეებერთელა ახალი მთვარე ზიზღით გადმოაგდეს და ლურჯი ცის ფონზე, მზით დაფერილი, მაღალი მოოქროვილი ჯვარი აღმართეს.

საინტერესო ცნობა შემოუნახავს ერთ ძველ წყაროს:

ანისის დიდი საკათედრო ტაძარი, რომელიც „აღეშენა ბერძენთა [მეფის] ასულსა დედუფალსა კატრონიტეს და იქვე ესაფლავა", თურქებს „მიზგითად ექმნათ. შემოპკრიბა მეფემან [დავითმა] კათალიკოს-ეპისკოპოსნი და განაახლა კურთხევით" [ეს ვახუშტის სიტყვებია]. „მაშინ მიეიდა თვით მეფე დავით და კათალიკოზი, ეპისკოპოზნი და ერთობლივი ლაშქარი საფლავსა ზედა და ახლად წესი აღუგეს. და თვით მეფემან სამგზის საფლავსა ჩასძახა („უყიელაო" ვახუშტი წერს): გიხაროდენ შენ, წმიდაო დედოფალო, რამეთუ იხსნა ღმერთმან საყდარი შენი უსჯულოთა ხელთაგან".

ისეთი შთაგონებით ლოცულობდა მტრისგან გათავისუფლებული ხალხი ტაძარში, რომ ბევრს მოეჩვენა, თითქოს საფლავიდან ამოსული და ცად აელენილი მადლიერების სიტყვები გაეგონოს. სწორედ ასე

წერია ამ ძველ წყაროში: „ამასა ზედან (ესე იგი, მას შემდეგ, როცა დავითმა დედოფალს ჩასძახა, გიხაროდენო), მკუდრისა ძუალთა საფლავით ხმა გამოსცეს. და ღმერთსა მადლება მისცა. განუკვირდა მეფესა და ერთობილ ერთა“.

ამ დიდებული ქალაქის მცველებად ქართველმა მეფემ დატოვა „აზნაურნი მესხნი, ხოლო გამგებლობა დაავალა მამა-შვილს — აბულეთსა და ივანე ორბელიანებს. ამ ივანესა და აბულეთს ჩვენ უკვე ვიცნობთ, მამაცი მეომრები გახლავთ; გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესთან ერთად სწორედ მათ „მოიპარეს სიმარჯვით სამშვილდე“ ამ რამდენიმე წლის წინათ... და თუმცა ორბელიანების გვარისანი არიან, მეფე, როგორც ვხედავთ, ენდობა. ყოველ შემთხვევაში, ჯერ ენდობა.

სამშვილდე, როგორც უკვე ვიცით, 1110 წელს გაათავისუფლეს, ახლა კი, 1123 წელია. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

ის ლაჩარი და გულდედალი ვაჟბატონი, რომელსაც ქალაქის გაყიდვა ჰქონდა გადაწყვეტილი, თავის რვა ძიანად წამოუყვანია და აფხაზეთში ჩაუსახლებია ქართველ მეფეს.

როცა ქართველი მემატიანე დავით აღმაშენებლის მიერ ანისის გათავისუფლების ამბავს გადმოგვცემს, ჩვენს ყურადღებას იქცევს ერთი ფრაზა: „...აიღო [დავითმა] ქალაქი ანისი და ციხენი მისნი უჭირველად“... აქედან ჩანს, რომ დიდი სისხლისღერა არ მომხდარა ანისის აღების დროს, და ეს კარგად ეგუება დავით აღმაშენებლის ბუნებას, რომელიც ყოველთვის ცდილობდა, ნაკლები მსხვერპლის ფასად მოეპოვებინა გამარჯვება.

ბუნებრივად ისმის კითხვა, როგორ დათმო მტერმა უბრძოლველად პოლიტიკურ-სტრატეგიული და ეკონომიკური თვალსაზრისით ასეთი მნიშვნელოვანი ქალაქი?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად დიდი ვარაუდი არ არის საჭირო, როცა სომხურ წყაროებსაც გავეცნობით. სამუელ ანელი გადმოგვცემს:

ანისელმა დიდებულებმა „მოატყუეს ამირა აბულსუვარი მანუჩეს ძე და შემოიყვანეს [დავითი] ქალაქში ისე, რომ არ დაღვრილა არც ერთი წვეთი სისხლი“.

აშკარად ჩანს, რომ აქ იყო კარგად მოფიქრებული შეთქმულება ძველი მმართველების წინააღმდეგ, რასაც პოლიტიკური გადატრიალება მოჰყვა. აქედანაც ჩანს, რომ დავით აღმაშენებელი ამიერკავკასიის ხალხთა გამაერთიანებელია და მათ ბრძოლას

წარმართავს საერთო მტრის წინააღმდეგ, მათთან მუდმივი კავშირი და ურთიერთობა აქვს.

ანისის გათავისუფლება დიდი გამარჯვება იყო. და როგორც კი მოაწესრიგა ქართველმა მეფემ აქ საქმეები, „მცირედთა დღეთა მოუსუენა სპათა თვისთა“ და ისევ აღმოსავლეთისკენ დაიძრა, „აღიღო ქალაქი შამახია და ციხე ბირიტი“. საბოლოოდ შარვანი საქართველოს შემოუერთა, ციხეებსა და ქალაქებში თავისი მეციხოვნეები ჩააყენა — პერები და კახელები; იქაური საქმეების გამგებელად და ზედამხედველად თავისივე მწიგნობართუხუცესი დანიშნა, ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი, მაშინ ბედიელ-ალავერდელი სვიმონი, დისწული საყვარელი მეგობრისა და მოძღვრის გიორგი მწიგნობართუხუცესისა, ესეც „ყოველითურთ სრული და ბრძენი“.

ახლა ერთ მნიშვნელოვან ფაქტს დავაკვირდეთ:

შარვანის ციხე-ქალაქებში მეციხოვნეებად დავით აღმაშენებელმა პერები და კახელები ჩააყენა. როცა ამ ცნობას გვაუწყებს, თითქოს საგანგებოდ ხაზს უსვამს მემატიანე. თავისი ჯარისკაცები ან თავისი ხალხი ჩააყენაო, ასე ზოგადად კი არ გადმოგვცემს, პირდაპირ მიუთითებს — პერები და კახელებიო. ამ ფაქტმა იმითაც მიიქცია ჩვენი ყურადღება, რომ უნებურად გაგვახსენდა: როცა ამის წინ ანისი აიღო ქართველმა მეფემ, მეციხოვნეებად იქ მესხები ჩააყენა. თითქოს ამასაც საგანგებოდ გადმოგვცემს მემატიანე, აქაც ზოგადად არ გვეუბნება — თავისი ხალხი ჩააყენაო.

რით შეიძლება ამისი ახსნა?

მართლა აქვს ამ ფაქტს განსაკუთრებული მნიშვნელობა?

უსათუოდ აქვს და ეს დავით აღმაშენებლის პოლიტიკის თანმიმდევრული გატარებაა, მისი სიბრძნიდან და კაცთმოყვარული ხასიათიდან გამომდინარეობს. ზემოთ ჩვენ დავითის შემწყნარებლობაზე ელაპარაკობდით, როცა ახალაღებულ ქალაქ თბილისში მან საგანგებო შეღავათები დაუწესა მუსლიმან მცხოვრებლებს. აქაც იგივე ამბავია. ანისში მეციხოვნეებად იმ ქართველ მეომრებს ჩააყენებს მეფე, რომლებიც აქვე მეზობლად ცხოვრობენ, უფრო კარგად იცნობენ ანისის მკვიდრი მოსახლეობის ზნე-ჩვეულებებს, მათი ცხოვრების წესს, იქნებ რამდენადმე ენაც იცოდნენ მათი; ისინი უფრო გაუგებენ, ვიდრე, ვთქვათ, უფრო შორეული კუთხიდან მოყვანილი მეციხოვნეები; გაუგებრობა, რაც ყოველთვის მოსალოდნელი და საშიშია, როცა ქალაქში უცხოელთაგან შემდგარი გარნიზონი დგას, ასეთ

შემთხვევაში ნაკლები იქნება. უპირველეს ყოვლისა, ადგილობრივი მოსახლეობისთვის იქნება ეს კარგი, და ამასთან, საქმისთვისაც. ასე უფრო გაუადვილდება მეფეს თავისი პოლიტიკის გატარება.

და ახალშემოერთებულ შარვანში მეციხოვნეებად რომ კახელებსა და ჰერებს, ანუ ამ მხარის მეზობელ ქართველებს ჩააყენებს და არა სხვა კუთხეებიდან მოყვანილთ, აქაც ქართველი მეფის სწორი და ჰუმანური პოლიტიკის გაგრძელება უნდა ვიგულისხმოთ.

სხვაც ბევრი ვიცით მაგალითები იმისა, თუ რა ჰუმანური იყო დავით აღმაშენებელი და რა ჰუმანურ პოლიტიკას ატარებდა იგი თავის მოღვაწეობაში. ამასთან დაკავშირებით უადგილო არ იქნება გავიხსენოთ დიმიტრი ბაქრაძის სიტყვები, თუ როგორი პატივისცემით ექცეოდა დავით აღმაშენებელი მოძმე სომეხ ხალხს: „დავითი პატივით ეპყრობოდა როგორც ეროვნებას სომხისას, აგრეთვე მის სარწმუნოებას, მაშინ, როდესაც წინააღმდეგს ეპოულობთ ქართულ მწერლობაში სომხობაზე და სომხურ მწერლობაში ქართველობაზე. ეს თვისება დავითს ამკობს სამაგალითო ღირსებით“.

და იქვე სომეხი მემატიანის მათე ედესელის სიტყვები მოაქვს დიმიტრი ბაქრაძეს:

„დავით იყო წმინდა, კეთილმსახური, სავსე ქველმოქმედებით და მართლმსაჯული. დავითის გარშემო იკრიბებოდა დანაშთენი სომეხთ ნათესავი... მან მიაგო ჩვენს ნათესავს ყოველგვარი ნუგეშისცემა და შვება“...

მეორე სომეხი მემატიანე ვარდან დიდი (ესეც დიმიტრი ბაქრაძის თარგმანით მოგვაქვს):

„დავითს არავითარი სიძულვილი არა პქონდა სომხურის წირვა-ლოცვისა და ეკლესიისა; იგი ხშირად იდრეკდა თავს ჩვენ ხელქვეშ და ითხოვდა ჩვენს ლოცვა-კურთხევას“.

კიდევ შეიძლებოდა სხვა სომეხი მემატიანეების სიტყვები მოგვეტანა დავით აღმაშენებელზე, სადაც ასევე კარგად ჩანს სომეხი ხალხის დიდი მადლიერება და პატივისცემა ქართველი მეფის მიმართ. მაგრამ, ვფიქრობთ, საჭირო აღარ არის: ეს სიტყვები, ფაქტიურად, ერთ აზრს გამოხატავენ. მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებით ერთი საყურადღებო რამ მაინც უნდა გავიხსენოთ.

იმის დასამტკიცებლად, თუ როგორი სიყვარულით სარგებლობდა სომეხ ხალხში დავით აღმაშენებელი და როგორ ცდილობდნენ ხალხის ცალკეული წარმომადგენლები ყოველ ვითარებაში მადლიერება და სიყვარული გამოეხატათ მის მიმართ, საინტერესოა

ერთი დეტალი, რომელიც მოტანილი აქვს ბ. სილაგაძეს თავის ერთ-ერთ გამოკვლევაში. „ქართლის ცხოვრების“ სომხურ თარგმანში, რომელიც შესრულებულია დავითისავე თანამედროვე სომეხი მწერლის მიერ, ჩამატებულია ასეთი ფრაზა, რასაც ქართულ ტექსტში არა ვხვდებით:

დავითს „უყვარდა სომეხთა ტომი, ეკლესიები და ერთი ეინმე რიტორი (მონასტრის) წინამძღვარი ჰახმატს, სახელად სარკავაგი“. აი, ეს არის ჩამატებული სომხურ თარგმანში. მთარგმნელის მიერ ჩამატებულ ასეთ ფრაზებს სხვასაც ვხვდებით „ქართლის ცხოვრების“ სომხურ თარგმანში, და ესეც ძალიან კარგად გვაჩვენებს დავითისავე თანამედროვე სომეხი მწიგნობრების განწყობილებას; მათ სიყვარულსა და მადლიერებას ქართველი მეფის მიმართ.

ზემოთ ვარდან დიდის სიტყვები მოვიტანეთ, თუ როგორი პატივისცემით ეპყრობოდა დავითი სომხურ წირვა-ლოცვასა და ეკლესიას. ამასთან დაკავშირებით ერთი ფაქტი უნდა გავიხსენოთ:

დავით აღმაშენებელს, ეტყობა, აწუხებდა ორ მოძმე ერს შორის სარწმუნოებრივი განხეთქილების ამბავი და ცდილობდა შეერიგებინა ორი ეკლესია. რადგან განხეთქილება ორი მოძმე ხალხის ეკლესიათა შორის, რაც დროდადრო მეტად მწვავე ხასიათს ღებულობდა, ხშირად მარტო საეკლესიო ჩარჩოებით არ იზღუდებოდა, იყო ხოლმე საშიშროება, არ გაზრდილიყო უთანხმოება და ეკლესიის საზღვრებს არ გასცილებოდა. მით უმეტეს, რომ მტერი ამას ხშირად თავის სასარგებლოდ და ორი მოძმე ხალხის საზიანოდ იყენებდა.

ამრიგად, დავით აღმაშენებელმა გადაწყვიტა, შეერიგებინა ორი მოძმე და მეზობელი ხალხის ეკლესია, გაერკვია მათი ურთიერთობა და საბოლოოდ აღმოეფხვრა მათ შორის უთანხმოება... როგორც ეტყობა, ეს ანისის აღების შემდეგ მომხდარა. ასეთი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გადმოგვცემს ამ ორ ფაქტს მემატიანე. რაღა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ანისის აღების შემდეგ ჩათვალა მიზანშეწონილად დავითმა საეკლესიო უთანხმოებათა აღმოფხვრა — ესე იგი, მას შემდეგ, რაც მეგობრობა ორ მოძმე ხალხს შორის ბოლო დიდმა მოვლენამ კიდევ უფრო განამტკიცა და ყველასთვის თვალსაჩინო გახადა... საამისოდ უფრო შესაფერ დროს ვერც ინატრებდა.

ერთი სიტყვით, ქართველმა მეფემ მოიწვია ორივე ეკლესიის მაღალი წარმომადგენლები საპაექროდ და საქმის გადასაწყვეტად.

მაგრამ ისეთი მწვავე იყო განხეთქილება, რომ, ეტყობა, ვერც

აღმაშენებლის ავტორიტეტმა უშველა, ვერც იმ ხანებში მომხდარმა დიდმა მოვლენებმა და ვერც იმის შეგნებამ, რომ შერიგება ორი მეზობელი ხალხის ეკლესიისა მათივე ინტერესებისთვის იყო საჭირო.

ქართველთაგან ამ პაექრობაში არსენ იყალთოელს მიუღია მონაწილეობა, „თარგმანსა და მეცნიერსა ბერძენთა და ქართველთა ენათასა, და განმანათლებელსა ყოველთა ეკლესიათასა". ამას საგანგებოდ შენიშნავს მემატიანე. აქვე იყვნენ, რაღა თქმა უნდა, ქართლის კათალიკოსი იოანე და სხვა მაღალი თანამდებობის საეკლესიო მოღვაწენი.

როგორც ეხედავთ, კრება ძალიან მაღალ დონეზე ჩატარებულა, კარგად ყოფილა მოშზადებული და, აშკარაა, სასურველ შედეგსაც ელოდა ქართველი მეფე. მაგრამ ასე არ მოხდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ძალიან ცხარე პაექრობა გამართულა. ადრე დილიდან გვიან ღამემდე უკამათიათ, მაგრამ ამაოდ — „ვერას უძლეს დაბოლოებად". თავი ვერ მოაბეს კამათს, მეტისმეტად განყენებული ლაპარაკი გამოსვლიათ ზოგად საეკლესიო საკითხებზე და, ეტყობა, იმისთვის კი ველარ გაუწევიათ ანგარიში, რომ ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესებისთვის საჭირო იყო ზოგი რამ დაეთმოთ.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი შესანიშნავი მხატვარია, სიტყვის დიდი ოსტატი და ახლაც სულ რამდენიმე სიტყვით კარგად გვიხატავს კრების სურათსა და განწყობილებას. ზემოთ მოტანილ წინადადებას ასეთი სიტყვები მოსდევს: „რამეთუ იყო ორკერძოვე ძლევის მოყუარება ოდენ და ცუდ სიტყუათა პაექრობა: რამეთუ შევიდიან შეუვალთა საქმეთა და ძნიად გამოსავალთა". თავიანთივე რთულ და დახლართულ არგუმენტების ბადეში თვითონვე იბნეოდნენ და იხლართებოდნენ.

ქართველმა მეფემ, ეტყობა, ისმინა და ითმინა დილიდან საღამომდე, მერე კი, რაკი გაგრძელებას აღარაფერი აზრი ჰქონდა („შეეწყინა მეფესაო", პირდაპირ თქმას არ ერიდება მემატიანე), შეაწყვეტინა კამათი და კრების მონაწილეებს მიმართა:

„თქუენ, მამანო, სიღრმეთა სადამე შესრულ ხართ და უცნაურთა ხედვათა, ვითარცა ფილოსოფოსნი, და ჩუენ ვერა-რას უძლებთ ცნობად, ვითარცა უსწავლელნი და ყოველად მსოფლიონი...

დიდი დაკვირვება არ არის საჭირო, მივხვდეთ, რომ ამ სიტყვებში, რასაც აშკარა ირონია დაპკრავს, გულისტკივილთან ერთად საყვედურიც ისმის, იმის გამო, რომ ორი მოძმე ხალხის მაღალი საეკლესიო

წარმომადგენელნი სათანადოდ ვერ ჩასწვდნენ კრების დანიშნულებასა და შეთანხმების დიდ აზრსა და მნიშვნელობას.

●

ქართველთა ბოლო ლაშქრობებმა, ეტყობა, ძალიან დააშინა მტერი; სულთანი შიშითა ძრწოდაო, მემატიანე გადმოგვცემს: წინააღმდეგობასა და სალაშქროდ წამოსვლას რას გაბედავდა, ძილში ელანდებოდა ქართველი მეფე და მოსვენებას უკარგავდაო. იმიტომაც გაახშირა დავით აღმაშენებლისთვის ძღვენის გზავნა: „წარმოსცნის საჭურჭლენი მძიმენი, ტურფანი, მრავალფერნი, მფრინველნი და ნადირნი უცხონი და ძვირად საპოვნელნი და ეძიებნ მშვიდობასა და სიყუარულსა“...

და ამას მოსდევს მემატიანისავე სიტყვები:

„და ვგონებ, ვითარმედ მამათა და პაპათაგან წაღებულნი ქუეყანანი, ტყუენი და სიმდიდრენი მრავალწილად უკუმოიზღუნა ამან მხნემან. დაამშვიდა ქუეყანა, აღივსო და გარდაეცა ყოვლითა კეთილითა. განავსო და აღაშენა ყოველი ოხერქმნილი. და გარდაემატა ყოველთა ჟამთა მშვიდობითა და სიმდიდრითა სამეფო ჩუენი, ნაცვლად გარდასულთა ოხრებათასა“.

ეს ქართველი მემატიანის სიტყვებია და ჩვენ რომ დავით აღმაშენებლის მთელ მოღვაწეობას არ გავცნობოდით და მარტო ეს სიტყვები წაგვეკითხა, იქნებ გადაჭარბებულიც მოგვჩვენებოდა. მაგრამ ჩვენ ხომ ვნახეთ, როგორი ქვეყანა ჩაიბარა დავით აღმაშენებელმა და რა გახდა ეს ქვეყანა მისი ზეობის დროს, იმ ოცდათექვსმეტ წელიწადში. უცხოელ მემატიანეთა დახასიათებანიც გვაქვს. სწორედ ასე ახასიათებენ მას ისინი; ზოგს უკვე გავეცანით კიდეც.

მემატიანის მონათხრობი დავით აღმაშენებლის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მოცულობით დიდი არ არის, მაგრამ ავტორი ისეთი გამოცდილი და დახელოვნებული მწერალი გახლავთ, მაინც ახერხებს ფართოდ წარმოგვიდგინოს ქართველი მეფის ღვაწლი, სასურველი სისრულით მოგვცეს მისი დახასიათება, მისი პორტრეტი დაგვიხატოს; თანაც შესანიშნავად აკეთებს აქცენტებს მისი მოღვაწეობის განსაკუთრებით მნიშვნელოვან მხარეებზე.

მკითხველის ყურადღებას დიდი ხნით აღარ შევაჩერებ ქართ-

ველი მოღვაწის ისეთ პირად თვისებებზე, როგორიცაა, ვთქვათ, გულმოწყალება: მეფეს საგანგებო ქისაკი ჰქონდა და ღატაკთა და გაჭირვებულთ სისტემატურად ეხმარებოდა (ს ა კ უ თ ა რ ი მ ო ნ ა გ რ ი თ ო, საგანგებოდ შენიშნავს მემატიანე), როცა დაცლიდა ამ ქისას — ესე იგი, მოწყალებას ბლომად გასცემდა, სულიერ კმაყოფილებას მაშინ გრძნობდა, ხოლო ნახევრად თუ დაცლიდა და მეტს ვერა, იმ ღღით უკმაყოფილო იყოო...

ანდა, მემატიანის მიერ ასევე ხაზგასმული ტრფიალი წიგნებისა. აღმაშენებელმა დიდებულად იცოდა არა მარტო ქართული მწერლობა და არა მარტო საქრისტიანო მწერლობა, არამედ მაჰმადიანურიც. კითხულობდა მაჰმადიან მეცნიერთა და მწერალთა თხზულებებს და, — ამას უკვე უცხოური წყაროდან ვგებულობთ, — ისე კარგად სცოდნია ისლამი, რომ განჯის ყადს ყურანის საკითხებზედაც ეკამათებოდაო. წიგნს კითხულობდა მუდამ, ლაშქრობის დროსაც კი წიგნები ჯორ-აქლემებით თან დაჰქონდა... როცა კითხვით თვალი დაეღლებოდა, სხვებს აკითხებდა და უსმენდაო...

წიგნის სიყვარულთან დაკავშირებით ერთ საინტერესო დეტალს გადმოგვცემს მემატიანე: ერთი ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლის დროს ისე გაერთო დავითი კითხვით, რომ გადააკვიწყდა, სად და რა პირობებში იყო და თავის მებრძოლთა მცირე რაზმს შეპირებული დახმარება დროზე ვერ აღმოუჩინა, განსაცდელში ჩააგდო ისინი; გვიანღა მისწვდა ბრძოლის ხმაური მის სმენას, როცა საქმე სავალალოდ წასულიყო; მეფემ წიგნი მაშინვე გვერდზე გადადო და თავად გაეშურა მებრძოლთა დასახმარებლად. ისე მამაცურად დაერია მტერს, რომ მაშინვე გაპფანტა... და ისე უბრძოლია, იმდენი უტრიალებია ხმალი, რომ შემდეგ ველარ ჩააგო — „ფრიადისა ცემისაგან ხრმალმანცა დაღულარჭნილმან უარ ყო ქარქაში თვისი“.

ასეთ დეტალებზე აღარ შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას, ისედაც გაგვიგრძელდა მოთხრობა.

დავით აღმაშენებლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას რომ გაეცნობი (წყაროები კი, როგორც ენახეთ, საკმაოდ მოგვეპოვება – როგორც ქართული, ასევე უცხოური), უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს მისი საოცარი პროგრესულობა. იგი მხოლოდ იმდღევანდელი ინტერესებით არა ცხოვრობს. და ეს მთელი მისი მოღვაწეობიდან გამოსჭვივის. იგი შორს იცქირება და ცხოვრებისეულ მოვლენებს ფართოდ უყურებს – მომავლის თვალთახედვით, საშვილიშვილო ინტერესებით...

მას საოცრად გაფაქიზებული სმენა და ხედვა აქვს — თითქოს უკვე გრძნობს დასავლეთის ქვეყნებში ჯერ არდარხეულ, მაგრამ მოახლოებულ სუნთქვას ახალი ცხოვრებისა, ახალი აზროვნებისა, და ჩვენ უკვე ვნახეთ, რა ადრიანად იჭერს თადარიგს, როგორ ამზადებს ნიადაგს, რომ მისი ქვეყანა და ხალხი კაცობრიობის ისტორიაში იმ დიდ მოძრაობასა და ძვრებს არ ჩამორჩეს, არ გაირიყოს. აკადემიებს აარსებს, დიდ მეცნიერებს თავს უყრის, მომავალ მეცნიერ-მწიგნობართა აღზრდისთვის ზრუნავს, ბაზას და საფუძველს უმზადებს... რაღაც დიდისთვის ამზადებს ნიადაგს...

...და ჩვენ მოწმენი ვართ, რა დიდი მასშტაბით იწყებს იგი მშენებლობას — გზებისა, ხიდებისა, ქარვასლებისა... რაც იმ ახალ კლასსა და ახალ ცხოვრებას დასჭირდება საასპარეზოდ. სწორედ ამ გზებზე იელიან მერე რუსთაველისეული დიდვაჭრები და ქარავნები, ამ ქარვასლებში იცხოვრებენ, აქ იტრიალებს ის დიდი სული, რასაც რუსთაველის ეპოქა დაერქმევა...

ეროვნული თვალსაზრისით, ასევე ერთ-ერთი ყველაზე დიდი (თუმცა, კაცმა რომ თქვას, ამ საკითხების ცალკე გამოყოფა არც შეიძლება, ისე მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული) დამსახურება დავით აღმაშენებლისა არის ქვეყნის გაერთიანებისთვის განუხრელი ზრუნვა. დააკვირდით, როგორ ყველაფერში გამოსჭვივის ეს მისწრაფება. არა მხოლოდ ფიზიკური გაერთიანება ქვეყნისა, არამედ, რაც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ასეთი გაერთიანება ადამიანთა ფსიქიკაში, შეგნებაში.

ზემოთ უკვე ითქვა, გეოგრაფიული ტერმინი „იმერეთი" დავით აღმაშენებლის შემოღებული უნდა იყოსო. და, როგორც შეგვეძლო, იქვე ავხსენით ამისი დიდი ეროვნული მნიშვნელობა. როცა კარგად დააკვირდებით, ნახავთ, რომ ეს მისწრაფება და ზრუნვა ყველაფერში ჩანს. აგერ, იგი შეილს უბარებს, როგორ უნდა მოხატონ და მოლესონ ახალი ტაძარი, და აქვე არ ივიწყებს გააფრთხილოს: „აკურთხონ ხელითა იოანე ქართლისა კათალიკოზისათა, თანადახუდმითა ი მ ე რ თ ა და ა მ ე რ თ ა ყოველთა ეპისკოპოსთაითა". აჩვევს, რომ ყველაფერში ერთად იყოს ლიხის ბუნებრივი ზღუდით გაყოფილი ეს ორი დიდი მხარე ერთი ხალხისა.

ქვემოთ თანდათანობით დავრწმუნდებით, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბრძენი მამულიშვილის ამ გონიერულ პოლიტიკას.

ზემოთ თქვენ ალბათ ყურადღება მიაქციეთ ერთ ტერმინს, რომელიც იმ დრომდე არ შეგეხვედრია. შარვანის გამგებლად დავით

აღმაშენებელმა დანიშნა თავისი ერთგული კაცი — ბ ე დ ი ე ლ - ა ლ ა ვ ე რ დ ე ლ ი სეიმონი. აკადემიკოს ნიკოლოზ ბერძენიშვილს თავის ჩანაწერებში, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ, მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ, VII-VIII ტომებად გამოიცა, ასეთი ჩანაწერი პქონია: „ბედიელ-ალავერდელი", და მეტი არაფერი. თითქოს გაუგებარია, რატომ მიაქცია მეცნიერმა ყურადღება ამ სიტყვებს; მაგრამ ყველაფერი გასაგები გახდება, იმას თუ დავაკვირდებით, წიგნის რომელ განყოფილებაში ეხვდებით ამ გამოთქმას.

ეს ჩანაწერი სხვა ჩანაწერებთან ერთად მოთავსებულია საერთო განყოფილებაში, რასაც სათაურად აქვს „საქართველოს გაერთიანების საკითხები". როგორც ხედავთ, მეცნიერის ყურადღება საგანგებოდ მიიპყრო ამ დეტალმა მემატიანის მოთხრობაში. ბედია, როგორც მოგეხსენებათ, ქვეყნის უკიდურეს დასავლეთშია, ალავერდი — აღმოსავლეთში; ხოლო, როცა ეს ორი თანამდებობა გააერთიანა, ამას ბრძენმა პოლიტიკოსმა თავისი ღრმა აზრი მისცა; იგი არა მარტო სიმბოლური გამოხატულება იყო ქვეყნის გაერთიანებისა, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც პქონდა, ღრმად იჭრებოდა ადამიანის ფსიქიკაში...

დავით აღმაშენებელმა „ერთად მოუყარა თავი ქართველობას, აოხრებული ქვეყანა ააშენა, მტერი გაუფრთხო და გაუფანტა, და დღეს თუ ჩვენს ბინაზედ ვართ, — ეს იქნება იმისი ღვაწლი, იმისი სამსახურიც უფრო იყოს". ეს სიტყვები ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის.

●

მიიწურა 1124 წელი, არ შემორჩენილა ცნობა — ავადმყოფობდა თუ არა დავით აღმაშენებელი, მაგრამ სიკვდილი უკვე მოახლოებულიყო და მეფემ, ეტყობა, ყველაზე ადრე გაიგონა მისი შემპარავი ფეხის ხმა.

ავადმყოფობდა თუ არა, ეს არ ვიცით, მაგრამ იმის მიხვედრას დიდი ცოდნა არა სჭირდება, რომ დაიღალა მეფე. როგორი ჯანის სიმრთელეც უნდა პქონდეს, ადამიანის ფიზიკურ-ფსიქოლოგიური შესაძლებლობანი მაინც განსაზღვრულია და განუწყვეტელ ზეადამიანურ დაძაბვას ვერ გაუძლებს. როცა მემატიანე ზოგადად მეფისა და მეფობის დახასიათებას გვაძლევს, იქ მას კონკრეტულად დავით აღმაშენებელი უდგას თვალწინ, თორემ რამდენი მეფე და

ქვეყნის გამგებელი ყოფილა ჩვენს ისტორიაშიც, სხვათა ქვეყნების ისტორიაშიც, როცა მბრძანებელს ასე არ შეუწუხებია თავი...

„...ვითარ ვინ აღრაცხნეს, რაოდენნი საქმენი ეთხოვებიან მეფობასა, რაოდენნი მართებანი და განსაგებელნი, კიდეთა პყრობანი, ნაპირთა ჭირვანი, განხეთქილობათა კრძალვანი, სამეფოსა წუნარებისა ღონენი, ლაშქრობათა მეცადინეობანი, მთავართა ზაკვისა ცნობანი, მხედართა განწესებანი, საერონი შიშნი, სახელოთა და საბჭოთა სჯანი, საჭურჭლეთა შემოსავალნი, მოციქულთა შემთხუევანი და პასუხნი, მეძღუნეთა ჯეროვანნი მისაგებელნი, შემცოდეთა წყალობითნი წურთანი, მსახურებელთა ნიჭმრავლობანი, მოჩიენართა მართალნი გამოძიებანი, მოსაკითხავთა შესატყვისნი მოკითხვანი, სპათა დაწყობანი და ღონიერნი მიმართებანი, და რაოდენნი ვინ აღმოწყუნეს სიტყვითა უფსკრულისაგან სამეფოთა საქმეთასა“...

აშკარაა, რომ მემატიანისეული ზოგადი დახასიათება მეფობისა კონკრეტული მაგალითიდან გამომდინარეობს და ეს დავით აღმაშენებლის მრავალფეროვანი დაუცხრომელი მოღვაწეობაა. სწორედ ის იყო ასეთი. მისი საზრუნავი იყო უფსკრულივით უძირო და უკიდეგანო.

„...რამეთუ არა სცა ძილი თუალთა, არცა ჰრული წამთა, არცა განსუენება ხორცთა თვისთა; არა მიდრკა გემოვნებათა მიმართა, არცა ნებასა ხორცთასა; არა სასმელ-საჭმელთა, არცა სიმღერა-სიღოდათა და არათურთითა არარა ხორციელთა შეაკრა გონება“...

ზემოთმოტანილი დახასიათება მეფის მოვალეობისა თითქოს ზოგადი იყო, ეს კი კონკრეტულად დავით აღმაშენებელს შეეხება... და ამის შემდეგ, რაღა თქმა უნდა, სრული უფლება გვაქვს, იმ სიტყვებსაც კონკრეტული მისამართი მივცეთ.

დაიღალა მეფე. ზებუნებრივ დაძაბვას ვერ გაუძლო ადამიანის ბუნებამ. მეფის გამახვილებულ სმენას უკვე მისწვდა სიკვდილის შემპარავი ფეხის ხმა.

და, აი, თბილისის სასახლეში ჩვენ დავით აღმაშენებლისთვის უჩვეულო სურათს ვხედავთ. ქართველი მეფე, ჯერ ისევ ახალგაზრდა, 53 წლის კაცი, ლოგინზეა მისვენებული, მძიმედ სუნთქავს, მძიმედ მეტყველებს... ეტყობა, ეს სიტყვები, რასაც იგი წარმოთქვამს, ბევრჯერ აწონილ-დაწონილია გონებაში. და თუმცა უკარნახებს იქვე მჯდომ ბერს — თავისსავე მოძღვარ არსენს, არ იმეორებს ამ სიტყვებს, არც უკვე დაწერილს აკითხებს მოძღვარს, რომ აზრი

უფრო ლოგიკურად გადაბას. ეტყობა, გონებაში ათასჯერ აწონილია ეს სიტყვები.

გაერცელებული ანდაზაა — ანდერძი კაცს არა კლავსო, და მართლაც, როგორ შეიძლება ანდერძმა კაცი მოკლას. მაგრამ ხშირად სიკვდილის მოახლოებასთან ერთად მოდის ანდერძის დაწერის სურვილი. ქართველი მეფე გრძნობს სიკვდილის მოახლოებას. თვალები ღია აქვს. მშვიდად მოაელებს ხოლმე მოხატულ ჭერსა და კედლებს, სასოებით შეხედავს სინათლის სუსტი შუქით განათებულ ღვთისმშობლის გამოსახულებას... შეჰყურებს და ფიქრობს, ფიქრობს... ბოლოს მძიმედ გადაიტანს მზერას მოძღვრისაკენ და დინჯადვე დაიწყებს:

„გიბრძანებს და მოგახსენებს მეფეთა-მეფე დავით, დღეთა შინა სიკუდილისა და სოფლით განსვლისა მისისათა“...

ვინ წასულა ამ ქვეყნიდან ისე, დარდი არ გაჰყოლოდეს, იმის შეუსრულებლობის წუხილი და სინანული, რისი გაკეთებაც სიცოცხლეში სწადდა და ვერ მოასწრო. ასეთი დარდი დავით აღმაშენებელსაც ბევრი გაჰყვებოდა. მაგრამ აქ, ამ პატარა ანდერძში ყველას, რაღა თქმა უნდა, ვერ ჩამოთვლიდა. დავით აღმაშენებელი განსაკუთრებით წუხს („წარმყვა ტკივილი სამარადისოო“) იმაზე, რომ გელათის დიდებული კომპლექსის დამთავრება ვერ მოასწრო და შვილს უბარებს, — დემეტრეს, რომ მან გაასრულოს — „მან სრულპყოს ყოვლითურთ საუკუნოდ“...

სწუხს იმაზეც, რომ უცროსი ძე ვახტანგი [იგივე ცვატა] უწლოვანი დარჩა, გაზრდა ვერ მოასწრო. და უფროს შვილსა სთხოვს, დემეტრეს — „რათა ძმაი მისი გაზარდოს“...

კაცმა რომ თქვას, ამას ანდერძი ან კი რად უნდოდა, უფროსი ძმა ყოველთვის ვალდებულია, ობლად დარჩენილი უმცროსი გაზარდოს და უპატრონოს. მით უმეტეს, ამის შეხსენება და შეგონება არ დასჭირდებოდა დავით აღმაშენებლის შვილს დემეტრეს — შესანიშნავ ვაჟკაცსა და დიდად განათლებულ ადამიანს.

მაგრამ აქ ეს არ არის მთავარი. მთავარი ჯერ არ გვითქვამს. მთავარი სათქმელი, რისთვისაც, ალბათ, ანდერძი დაიწერა, ზემოთ მოტანილ ფრაზას მოსდევს. მთავარ სათქმელს ახლა იტყვის მეფე და ისე უცნაურად მოეჩვენება ეს სიტყვები მის მოძღვარს, მოხუც ბრძენ კაცს, რომ სანამ დაწერდეს, თავს მეფისკენ მიაბრუნებს, თითქოს ჰკითხავს, ხომ არ მომეყურაო. მომაკვდავ მეფეს არ გამოპპარვია

მოხუცი მოძღვრის მოძრაობა და ამჯერად გაუმეორებს ასევე მძიმედ და უემოციოდ, ისეთივე ინტონაციით, ისეთივე პაუზებით:

„და თუ ინებოს ღმერთმან და ვარგ-ყოს ცუატა, შემდგომად მისსა მეფე-ჰყოს მამულსა ზედა“...

აი, რისთვის დაიწერა ანდერძი. დავით აღმაშენებელი უანდერძებს თავის უფროს ძეს — დემეტრეს, რომ ღირსეულად გაზარდოს უმცროსი ძმა ცვატა და მის შემდეგ (ესე იგი, დემეტრეს მეფობის შემდეგ) იგი გაამეფოს, ის აიყვანოს ტახტზე. არა თავისი შვილი (არა შვილი დემეტრესი), როგორც აქამდე იყო მიღებული საქართველოში მემკვიდრეობის წესით, არამედ ძმა!

ეს უკვე დიდი ტრადიციით გადმოცემული და დაკანონებული წესის შეცვლა იყო.

ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რამდენი უსიამოვნება მოუტანა დემეტრესაც და ქვეყანასაც ამ ანდერძმა.

შეიძლებოდა, ისეთ ბრძენ ადამიანს, როგორიც დავით აღმაშენებელი იყო, არ გაეთვალისწინებინა ეს? შეიძლებოდა, უმცროსი ძის სიყვარულსა თუ სიბრალულს ემძლავრა, გულისთქმას აპყოლოდა და მოსალოდნელი უხერხულობანი არ გაეთვალისწინებინა?..

თითქოს დაუჯერებელია!

მაგრამ საუკუნეებს ასე შემოუნახავთ ეს ანდერძი, რომელიც პირველად სიბინინის ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენებ „საქართველოს სამოთხეში“ გამოქვეყნდა! და თუმცა ბოლო ხანებში ეჭვი გამოითქვა (ნიკოლოზ ბერძენიშვილი), ეს ანდერძი ყალბი უნდა იყოს, დავითის შემდეგ სხვათა მიერ შედგენილიო, მტკიცედ რისიმე თქმა, ჯერჯერობით, სანამ მეტი სინათლე არ მოეფინებოდეს საკითხს, რასაკვირველია, არ შეიძლება; ჩვენ მხოლოდ როგორც ვარაუდი, ისე შეგვიძლია მივიღოთ ეს ეჭვი.

ამიტომ დავიხსომოთ ეს ანდერძი და ვნახოთ, როდის იჩენს თავს ის უხერხულობა, რაც აქ ამ ფაქტთან არის დაკავშირებული.

ანდერძი რომ დაასრულა, მეფემ მოძღვარს ანიშნა, გასულიყო. ძალა მოიკრიბა და თავისივე ხელით შეუდგა სხვა ანდერძის წერას. აღსარების წერას. ეს სწორედ რომ დიდი ადამიანის აღსარებაა, ღმერთთან უშუალო საუბარი. ისეთი აღსარებაა, რომლის მსგავსი საოცარი უშუალობითა და გულახდილობით, ქვეყნად იქნებ არც ერთ მირონცხებულს არაფერი დაუწერია. ამ ანდერძს კონკრეტული აღმსრულებელი არა ჰყავს. იგი ყველას ეკუთვნის და ყველას ეხება; ღვთის გაჩენილ ყველა ადამიანს. ტახტზე მორჭმით მჯდარ მეფესაც

ისევე, როგორც მის უბრალო ქვეშევრდომს. ეს მეფის დაწერილი არ არის — იგი ღმერთთან მარტო დარჩენილი ადამიანის დაწერილია.

„ჟამი რაი წუხილთა და ავთა აღმოფშვინვათაი წარმოდგეს, ზარი მეფობისაი წარხდეს და დიდებაი დაშრტეს, შუებანი უქმ იქმნენ, ყუავილოვნებაი დაჭნეს, სხუამან მიიღოს სკიპტრაი, სხუასა შეუდგენ სპანი... მაშინ შემიწყალე, მსაჯულო ჩემო.

გან-რაი-ელოს წიგნი დღესა შინა სასჯელისასა და მე ქედდადრეკილი წარმოგიდგე განკითხვად, მსაჯული მართლ სჯიდეს, მსახურთა რისხუაი ქროდის, მართალნი ნეტარებდნენ, ცოდვილთა ჰგუემდეს ცეცხლი... მაშინ შემიწყალე, იესუ ჩემო“...

აქ მთლიანად აღარ მოვიტან ამ დიდებულ თხზულებას. მკითხველს ვთხოვ, თვითონვე მოძებნოს და წაიკითხოს, ოღონდ მაშინ, როცა საამისო განწყობილება ექნება. ღმერთთან საუბარი ყოველთვის ვერ მოხერხდება, განსაკუთრებული განწყობილება სჭირდებაო; ეს უფრო მოგვიანო დროის ქართველი მოღვაწის სიტყვებია: იქნებ აღმაშენებლის თხზულების წაკითხვის შემდეგ დაწერილი. და თუმცა იგი მაღალ სასულიერო პირს ეკუთვნის, აქ ღმერთი უფრო ფართო მნიშვნელობით უნდა გავიგოთ: ეს საკუთარ თავთან გულახდილ აღსარებას ნიშნავს, სულიერ თვითგანწმენდას, რაც დროდადრო ყველა განათლებულ ადამიანს სჭირდება და რაც განსაკუთრებულ განწყობილებასაც მოითხოვს და სულიერ სისპეტაკესაც.

„გალობანი სინანულისანი“ — ამ სახელწოდებით არის ეს თხზულება ცნობილი ქართულ ლიტერატურაში და ეს საოცარი აღსარება ჩვენი ლიტერატურის მშვენებაა. ისე მარჯვედ და მოხდენილად დაახასიათა ეს ნაწარმოები ორი სიტყვით ივანე ჯავახიშვილმა, რომ უკეთესად, ალბათ, მისი დახასიათება ვეღარ მოხერხდება — „მომხიბლავის გულწრფელობით და შემზარავის ძლიერებით აქვს ნათქვამიო“...

მომხიბლავის გულწრფელობით და შემზარავის ძლიერებით...

შესაშური სიმარჯვეითა და ლაკონიურობით არის დახასიათებული.

და აღმაშენებლის მოთხრობის დასასრულადაც ისე მარჯვედ ალბათ ვერ მოხერხდება აზრის ჩამოყალიბება, როგორც ეს ივანე ჯავახიშვილს აქვს. იგი იხსენებს დავით აღმაშენებლის დიდებულ ქმნილებას და დაასკვნის:

„მაგრამ არსებობს აგრეთვე სხვა უფრო მკაცრი და ულმობელი მსჯავრიც შთამომავლობისა, ერისა და ისტორიისა, რომელსაც ვერ

ასცდება ხოლმე ვერც ერთი სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწე. და მან დიდიხანია უკვე, რაც თავისი პირუთვნელი განაჩენი გამოსთქვა: ქართველმა ერმა და ისტორიამ უკვდავყო დიდებულ მეფე დავითის, საქართველოს გამაერთიანებლის, მისი პოლიტიკურისა და ეკონომიურის ძლიერების შემქმნელის, სოციალური სამართლიანობისათვის მებრძოლის სათაყვანებელი სახელი. ქართველი ხალხი დავით აღმაშენებლის სამარადისო ხსოვნას თავის გულის სიღრმეში ატარებს და შეპხარის მას ვითარცა სრულიად საქართველოს ერთობისა და ძლიერების სიმბოლოს".

ზემონახსენებ ანდერძს 1125 წლის იანვრით ათარიღებენ. ამავე წლის 24 იანვარს გარდაიცვალა დავით აღმაშენებელი. გარდაიცვალა თბილისში და იქიდან ქუთაისს წაასვენეს.

დავით აღმაშენებლის მთელ მოღვაწეობას რომ გადავაველებთ თვალს, თავისთავად წამოიჭრება ერთი საგულისხმო საკითხი. თურქ-სელჩუკების მიერ აოხრებული და განადგურებული ქვეყანა როგორ წამოდგა ისე მალე ფეხზე, როგორ განვითარდა ისე საზღაპროდ, როგორ მიაღწია კულტურისა და მეურნეობის აღორძინების მანამდე არნახულ დონეს?.. რითი უნდა აიხსნას ეს? როგორი გენიოსი და დიდი მასშტაბის სახელმწიფო მოღვაწეც არ უნდა ყოფილიყო დავით აღმაშენებელი, დაუჯერებელია, რომ ეს ყველაფერი ერთი ადამიანის ღვაწლს მიეწეროს! მაშ, რა მოხდა?

ილია ჭავჭავაძეს საგულისხმო მოსაზრება აქვს იმის თაობაზე, თუ „რითი გაუძლო" ჩვენმა ხალხმა ორი ათასი წლის განუწყვეტელ ბრძოლებს. ამ საკითხს ჩვენ დავუბრუნდებით და სრულად გაგაცნობთ დიდი მწერლის მოსაზრებას...

ახლა ცოტა უფრო სხვაგვარად ვსვამთ საკითხს: როგორ მოხერხდა ერთიანად დანგრეულ-განადგურებული ქვეყნის აღდგენა ასე მოკლე ხანში?

დავით აღმაშენებლის ღვაწლი და დამსახურება მართლაც განუზომლად დიდია, იგი ჭეშმარიტად უდიდესი მასშტაბის ნიჭიერი და ბრძენი მმართველი იყო... ამისი არდანახვა და სათანადოდ დაუფასებლობა, არ შეიძლება, შთამომაელობის მხრივ დიდი უმადურობა იქნება; დიდი ილია ბრძანებდა: „ამისთანა კაცის არხსოვნა მომაკვდინებელ ცოდვად უნდა ჩაეთვალოს ერსა, რომელმაც იგი შვა და თავის ძუძუთი გამოზარდა"... ეს ნამდვილად ასეა. მაგრამ აქ სხვა რამეც უნდა ითქვას.

თურქ-სელჩუკებმა მართლაც გაანადგურეს ქვეყანა, ააოხრეს,

მეურნეობა მოშალეს, ქალაქები დაანგრიეს... მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ყველაფერი მოხდა შედარებით მოკლე დროში; ე. წ. „დიდი თურქობის“ (1080 წ) დაწყებიდან დავითის გამეფებამდე სულ ცხრა წელი გავიდა. სელჩუკებმა ქვეყანა გაანადგურეს ფიზიკურად, მაგრამ ვერ მოასწრეს მისი სულიერი დათრგუნვა და დამორჩილება, დიდი და თვითმყოფადი კულტურის ამოძირკვა და განადგურება, ადამიანთა ფსიქიკის შეცვლა... ის დიდი ინერცია, რაც აშოტ კურაპალატ-გრიგოლ ხანძთელისაგან და დავით კურაპალატ-ბაგრატ III-სგან მოდიოდა, ისეთი ძალისა გამოდგა, რომ ქვეყნის ფიზიკური განადგურების მიუხედავად, დავით აღმაშენებლის გამეფებისა და საერთაშორისო მდგომარეობის შეცვლის შემდეგ კვლავ მალე გაცოცხლდა და ძველი ძალით განვითარდა. ამდენად, ეს განსხვავდებოდა არაბების მრავალსაუკუნოვანი ბატონობისაგან.

თავი III

დროშა გორგასლიანი და დავითიანი ✦ დავით აღმაშენებლის დროინდელი საბრძოლო იარაღები ✦ საგმირო ლექსების გახსენება

დავით აღმაშენებლის შემდგომდროინდელ რამდენიმე ისტორიულ-ლიტერატურულ წყაროში ეხედებით ფრაზას, სადაც მეთორმეტე საუკუნის ქართველი მეფე თავის შორეულ წინაპართან ერთად არის მოხსნებული; და რაკი ეს დაწყვილება ყველგან ერთნაირ, განსაკუთრებულ კონტექსტშია მოქცეული, უნებურად იპყრობს ჩვენს ყურადღებას.

„...მოიღო დროშა სვიანად ხმარებული გ ო რ გ ა ს ლ ი ა ნ ი და დ ა ვ ი თ ი ა ნ ი“...

ვკითხულობთ თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობილ თხზულებაში („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“).

ანდა:

„იყვის რა ზმითა, ურიცხვ რაზმითა გულისმდებელად თვისთა სპათათვის, გ ო რ გ ა ს ლ ი ა ნ ი, დ ა ვ ი თ ი ა ნ ი დროშა იახლის მსრველად მტერთათვის“. ეს შავთელის „ანდულმესიანიდან“ არის ამოწერილი.

როგორც ვხედავთ, აქ საქართველოს სახელმწიფო დროშაა ნაგულისხმევი და გასაკვირი და უცნაური თითქოს არაფერი უნდა იყოს. დროშა უძველესი დროიდანვე ჰქონია ჩვენს ხალხს, ჯერ კიდევ შორეულ წარსულში. ეს დასტურდება არქეოლოგიური მონა-პოვრებით, ამასვე გვიდასტურებს უფრო მოგვიანო დროინდელი ისტორიული წყაროები... აქ დაწვრილებით არ შევჩერდებით ამაზე, დაინტერესებული მკითხველი ამასთან დაკავშირებით ბევრ საგულისხმო ცნობას იპოვის სარა ბარნაველის წიგნში („ქარ-თული დროშები“). მხოლოდ რამდენიმე ფაქტს შეგახსენებთ,

როცა ისტორიულ წყაროებში განსაკუთრებული ხაზგასმით არის მოხსენებული დროშა.

ქართლის მოქცევის წინ, როცა მთელი ქალაქი არმაზის დღესასწაულზე ქუჩებში გამოეფინება, საზეიმოდ განწყობილ ხალხს დროშები უჭირავს ხელში, ყველგან დროშა ფრიალებს — „აღიეს ნეს მთანი იგი დ რ ო შ ა ი თ ა და ერითა, ვითა ყუავილითა". დააკვირდით: მემატიანე ცდილობს, განსაკუთრებით ამაღლებული განწყობილება გადმოგვცეს ხალხისა და ხედავთ, რა დეტალით აღწევს ამას!

ეს წინაქრისტიანული პერიოდია.

ახლა უფრო მერმინდელ ამბებსაც გადავხედოთ.

თქვენ ალბათ გახსოვთ ლაზიკის მეფე წათე. გახსოვთ, რა პირობებში მოხდა მისი გამეფება. ეს იყო მეექვსე საუკუნის შუა წლებში, როცა გუბაზ მეფე ვერაგულად მოკლეს და შეწუხებულ-შეშფოთებული ხალხი მღელვარებით ელოდა, რა მოხდებოდა, შეასრულებდა თუ არა იმპერატორი იუსტინიანე ლაზების სურვილს და გამოგზავნიდა თუ არა მეფედ მოკლულისაკენ ძმას წათეს. ხოლო როცა ეს ასე მოხდა, როცა ახალმა მეფემ ფეხი შემოდგა თავის ქვეყანაში, გახარებული ხალხი მას მიეგება... და ამაღლებულ საზეიმო განწყობილებას უცხოელი მწერალი აგათია სქოლასტიკოსი აქაც ასეთი დეტალით გადმოგვცემს: ყველგან საყვირების ხმა ისმოდა და დროშები ამაყად ფრიალებდაო.

ალბათ გეხსომებათ კიდევ ერთი დროშის ისტორია, როცა არტანუჯის ციხეზე სულმოკლე ქართველი ფეოდალის მიერ აღმართულ ბიზანტიურ დროშას ჩამოხსნიან და ზედ კელავ ქართულ დროშას აღმართავენ... ხედავთ, აქაც რა მაღალი მნიშვნელობა მიეცა დროშას, როგორც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სიმბოლოს.

ერთი სიტყვით, ქართულ დროშას ძალიან დიდი ხნის ისტორია აქვს და გასაკვირი სულაც არ არის, რომ დავითის შემდგომდროინდელ ისტორიულ-ლიტერატურულ წყაროებში ეხვდებით.

არა. ეს არც გვიკვირს. ჩვენი ყურადღება სულ სხვა რამემ მიიქცია.

„...დროშა სვიანად ხმარებული გ ო რ გ ა ს ლ ი ა ნ ი და დ ა ვ ი თ ი ა ნ ი"...

„...გ ო რ გ ა ს ლ ი ა ნ ი, დ ა ვ ი თ ი ა ნ ი დროშა იახლის"...

როგორც ხედავთ, აქ დროშა მარტო იმ მნიშვნელობით კი არ არის ნახსენები, როგორც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის

სიმბოლო, არამედ სახელდებულია, დიდი მამულიშვილების — ვახტანგ გორგასალისა და დავით აღმაშენებლის სახელი დაურქმევიათ. თანაც აშკარად იგრძნობა, რომ ამით ხალხს, რომელსაც დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის ბრძოლაში დროშა წინ მიუძღვის, გამარჯვების რწმენაც ემატება, თითქოს ის ორი დიდი მამულიშვილიც თან ახლავთ განუყრელად და კვლავ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისკენ მოუწოდებს. დააკვირდით, რა მაღალი და მტკიცე რწმენით ამბობს პოეტი — გორგასლიანი, დავითიანი დროშა იახლის მსრეველად მტერთათვის. და რაკი ორი ადამიანის სახელს უკავშირებენ მას, აქ კიდევ ერთ სიმბოლოს გამოხატავენ: ხალხის ერთიანობის სიმბოლოს; რადგან ყველაზე მეტად ამ ორი მამულიშვილის სახელთან არის დაკავშირებული ბრძოლა ხალხის ერთიანობის მისაღწევად.

ეს დროშა საუკუნეების მანძილზე მიუძღოდა ჩვენს ხალხს თავისუფლებისა, დამოუკიდებლობისა და ერთიანობისთვის ბრძოლაში.

თითქოს ძნელი დასაჯერებელია, რომ გორგასლისდროინდელ დროშას მეთორმეტე საუკუნემდე მოეღწიოს, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ დროშა ყოველთვის ქსოვილისა არ ყოფილა. თანაც დაეჭვების საფუძველს გვისპობს კიდევ ერთი ცნობა; ისიც თამარის ისტორიკოსს ეკუთვნის და ამდენად, სარწმუნოა, ნდობით განგვაწყობს, რამდენადაც თამარის ისტორიკოსის თხზულება, ივანე ჯავახიშვილის გამოთქმა რომ გამოვიყენოთ, მაღალი ნდობის ღირსია. ამ თხზულებაში აღწერილია თამარის დროინდელი ერთ-ერთი ბრძოლა და იქ, სხვათა შორის, ნათქვამია: „და მომხედველთა იხილეს: მიახლებოდა მეფე და მისი რაზმი; დროშა იგი გორგასლიანი, რომელი სინდეთს შესლეითგან მოსპეტაკდებოდა“.

როგორც ხედავთ, აქ ლაპარაკია ვახტანგ გორგასლის ინდოეთს ლაშქრობაზე და იმ დროშაზე, რომელიც მას თან ჰქონდა...

ამ ფაქტს ამაგრებს მეორე ცნობაც, რომელიც ჩვენ აგრეთვე მოტანილი გვქონდა, პირველ წიგნში: არსენ ბერის გადმოცემით, გორგასლის აბჯარი და სამოსელი მეთორმეტე საუკუნემდე ყოფილა დაცული და ეტყობა, მერე დაკარგულა. როგორც იმ აბჯარ-სამოსელმა მოაღწია მეთორმეტე საუკუნემდე, ისევე შეიძლება დროშასაც მოეღწიაო, ივანე ჯავახიშვილი შენიშნავს.

მიუხედავად იმისა, ერქვა თუ არა ქართულ დროშას დავით აღმაშენებლამდე გორგასლიანი, ფაქტი თავისთავად ძალიან საინტერესოა. საგულისხმოა, როგორ დააკავშირა ხალხმა ქვეყნის

თავისუფლებისა, დამოუკიდებლობისა და ერთიანობისთვის მებრძოლი ორი გამოჩენილი მოღვაწე, რომლებიც ერთმანეთისგან ექვსასზე მეტი წლით არიან დაშორებული. რამდენი შესანიშნავი გამგებელი პყოლია ქვეყანას ვახტანგ გორგასალის შემდეგ დავით აღმაშენებლამდე. რამდენი ჭკვიანი, ბრძენი, ჭეშმარიტად ღირსეული მამულიშვილი, და მაინც ხიდი ამ ორ დიდ მოღვაწეს შორის გადო. ერთიანობა გამხდარა ქართველი ხალხის სანატრელ იდეალად ოდითგან, რადგან მტერი ყოველთვის მას ებრძოდა. როგორც ჩვენი ხალხის ძლიერებისა და დაუძლეველობის წყაროს: შეგნებული ჰქონდა, რომ ამ ერთიანობის დარღვევას თუ მოახერხებდა, მერე დამორჩილება ხალხისა ადვილი იყო.

ჩვენ ვნახეთ, რა საოცარი შორსმჭვრეტელობით მოქმედებდა ვახტანგ გორგასალი, როცა კავკასიის მეზობელ ხალხებთან მეგობრობას განამტკიცებდა. როცა კულტურის კერებით მოპფინა ქვეყანა. განსაკუთრებით განაპირა კუთხეები, საიდანაც მისმა შორსმხედველმა გონებამ მტრის მოსალოდნელი შემოჭრა განჭვრიტა და შემდეგ, თანდათანობით, საუკუნეების განმავლობაში, მართლაც როგორ საჭირო გამოდგა ეს თავდაცვის ზღუდეები ყველგან, ქვეყნის ყოველ კუთხეში, თუნდაც უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთით.

ალბათ გახსოვთ, როგორ გააფრთხილა ვახტანგ გორგასალმა თავისი უახლოესი ადამიანი — არტანუჯში ციხე და ტაძარი ავაგოთ, სპარსთა მოსალოდნელი თავდასხმის დროს გამოგვადგებაო. და მერე ისიც ვიხილეთ, მართლაც რა საჭირო გამოდგა ეს ციხე-ქალაქი, როგორ შეეხიზნა არტანუჯს არაბთაგან დევნილი ქართლის სამეფო კარი, თანდათანობით რა მასშტაბის კულტურული მოღვაწეობა გაჩაღდა აქ, რამაც მერე მტკიცე საფუძველი შეუქმნა ქვეყნის გაერთიანება-აღორძინებას; გახსოვთ, რა პირობებში ააგო ციხესიმაგრეები ჩრდილოეთით, დარიალის ხეობაში და რამდენჯერ დადასტურდა, რომ ამას მოითხოვდა ქვეყნის ინტერესები. გახსოვთ, კულტურის ტაძრები ქვეყნის უკიდურეს აღმოსავლეთში...

ძალიან დიდია ღვაწლი, რაც სამშობლოს წინაშე ვახტანგ გორგასალს მიუძღვის.

ხალხის ერთიანობისთვის, ფარნავაზის შემდეგ გორგასლამდე მთელი რვა საუკუნის განმავლობაში, ასე არავის უზრუნვია და ასეთი წარმატებისთვის არავის მიუღწევია.

დავით აღმაშენებლის ღვაწლს, ეს არის გაეცანით, ვნახეთ, რომ მთელი მისი მოღვაწეობა საუკეთესო დაგვირგვინება გამოდგა

იმისა, რაც მისმა შორეულმა წინაპარმა ისეთი დიდი მასშტაბით დაიწყო. ეს ჩვენ უკვე დაწერილებით გავიცანით და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ისევე იმას უნდა დავუბრუნდეთ, რომ ხალხმა ერთმანეთს დაუკავშირა ორი დიდი მამულიშვილის სახელი და თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მაღალ სიმბოლოს — დროშას — დაარქვა. ამაში ღრმა აზრი და დიდი სიბრძნეა.

ამრიგად, დაეით აღმაშენებლის დროიდან მოკიდებული, ქართულ დროშას, როგორც თავისუფლებისა, დამოუკიდებლობისა და ერთიანობის სიმბოლოს, გორგასლიან-დავითიანი რქმევია.

ბუნებრივია, სურვილი აღიძრება — თვალსაჩინოდ წარმოიდგინო ეს დროშა, მისი ფერი და სახე, დროშასთან დაკავშირებული ზოგი მოვლენა.

ამის საშუალება ჩვენ გვაქვს და არა მარტო დროშის შემორჩენილი ნიმუშით, რაც უფრო გვიანდელ დროს განეკუთვნება, არამედ ზუსტი აღწერებითაც, რაც უძველეს ქართულ თუ უცხოურ ისტორიულ წყაროებს შემოუნახავთ.

ასეთ ზუსტ აღწერილობას ვხვდებით, მაგალითად, მეცამეტე საუკუნის სომეხი მოღვაწის სტეფანოზ ორბელიანის თხზულებაში.

ალბათ გვარი გეუცნაურათ და გაგიკვირდათ. დიახ, იმ კლდეკარელი ორბელიანების შორეული შთამომავალი გახლავთ, რომლებიც დროდადრო მხარში ედგნენ ქართველ მეფეებს და მათთან ერთად გმირულად იცავდნენ სამშობლო ქვეყანას, დროდადრო, და უფრო ხშირადაც — გადაუდგებოდნენ და სისხლს უშრობდნენ. როგორ გახდა მათი შთამომავალი სომეხი ისტორიკოსი, ამას თავისი საინტერესო ისტორია აქვს და ქვემოთ მოგითხრობთ. ახლა კი გაეიხსენოთ მისი თხზულებიდან ის ადგილი, რაც საშუალებას მოგვცემს თვალსაჩინოდ წარმოვიდგინოთ ძველი ქართული სახელმწიფო ანუ სამეფო, იგივე სეფე დროშა, როგორც ხშირად უწოდებდნენ ხოლმე.

ჯერ ის შევნიშნოთ, რომ სამეფო დროშა ორნაირი ყოფილა: „დიდი დროშა, რომელსაც, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში გამოიტანდნენ ხოლმე, მეორე კიდევ პატარა დროშა, რომელიც ალბათ სანიადაგოდ სახმარებლად იქნებოდა“. ეს მეორე დროშა პირადად მეფისა იქნებოდაო, იქვე შენიშნავს ივანე ჯავახიშვილი. სხვათა შორის, ბიზანტიის იმპერატორებსაც სახელმწიფო დროშის გარდა პირადი დროშებიც ჰქონიათ. თავთავიანთი დროშები ჰქონდათ აგრეთვე ამირსპასალარებს, სპასალარებს, ერისთავთ-ერისთავებსა და ერისთავებს.

ივანე ჯავახიშვილს აქვს აღწერილობა დროშისა. ტარს ბუნი რქმევია, ისევე როგორც შუბის ტარს ერქვა ბუნი (ეს სიბას განმარტებაა); თვით ტილოს კი — ალამი. დროშას ამას გარდა ჰქონდა თავი („დროშის თავი") და ბუდე („დროშის ბუდე"). დროშის თავი ჯვარის გამოსახულება ყოფილა (ყოველ შემთხვევაში, მეთორმეტე საუკუნიდან მაინცო, ივანე ჯავახიშვილი შენიშნავს) და მის გამოჭედვას ყველას როდი ანდობდნენ — საუკეთესო ოქრომჭედლებს ავალებდნენ ხოლმე; ასევე ალმების დამზადება და მოხატვა საუკეთესო ოსტატებს ეკისრებოდათ. ზემოთ სოფეხი მემატიანე სტეფანოზ ორბელიანი ეახსენეთ. მისი ცნობით, ქართული სახელმწიფო დროშის ალამი თეთრი ყოფილა, ხოლო ზედ გამოხატული ნიშანი — წითელი; ამირსპასალარის დროშა კი, პირიქით — წითელი ალამი ზედ თეთრი გამოსახულებით.

თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით, სახელმწიფო დროშაზე გამოსახული იყო წმინდა გიორგი — „მეფენი მარადის დროშათა ზედა და ღერბთა მათთა დასწერდეს სახესა წმიდისა... გიორგისასა".

და აქ სრულად უნდა მოვიტანოთ შუა საუკუნეების პოლონელი მოგზაურის სიტყვები, რაც ივანე ჯავახიშვილს უთარგმნია: „ქართველები (გეორგიანი) გიორგი მთავარმოწამეს (რომლის სახელი თავიანთთვის ეროვნულ სახელადაც კი აქვთ შეთვისებული) უაღრეს თაყვანსა სცემენ და სხვა წმინდანებზე მეტად განსაკუთრებით სცემენ პატივს, თავის მფარველადაც (პატრონადაც) მიაჩნიათ (ადიდებენ) და სამხედრო დროშებზე დახატული მისი სახე ყოველთვის დააქვთ ხოლმე.

საგულისხმოა, რომ პოლონელ მოგზაურს ქართული დროშა იერუსალიმში უნახავს. იერუსალიმშივე უნახავს ქართული დროშა სხვა უცხოელსაც და მისი ცნობა იმით არის საინტერესო, რომ იგი პირდაპირ აცხადებს: ქართველებს განსაკუთრებული უფლება ჰქონიათ, გაშლილი დროშებით შესულიყვნენ იერუსალიმში. განსაკუთრებული უფლებაო! ესე იგი, სხვას არა ჰქონია ამის უფლება.

ზემოთ შევნიშნეთ, ქართულ სახელმწიფო დროშაზე სხვადასხვა გამოხატულებანი იყოო. ამასთან დაკავშირებით ერთ საინტერესო ამბავს უნდა დაეუბრუნდე.

როგორც უკვე ითქვა, დავით აღმაშენებლის სახელთან ბევრი ლეგენდაა დაკავშირებული. ერთ ასეთ ლეგენდარულ ამბავს გადმოგვცემს თავის „კალმასობაში" იოანე ბატონიშვილი. დავითი თბილისიდან ქუთაისს მიდიოდა „საშენებლად". მცხეთას რომ

მიაღწია („მცხეთის იწროთა ადგილთა შინა“), იხილა რქოსანი ცხენი. შეიპყრა მეფემ ეს ცხენი და ამოსდო წმინდა გიორგის ცხენის ლაგამი. ამ ცხენით დადიოდა აღმაშენებელი თავის ერცელ ქვეყანაში, და „ცხენი იგი ესრეთი იყო მკვირცხლი და მალი, რომელ ერთს დღეს ადრე მივიდის ტფილისიდგან ქუთაისს და მუნიდგან ქართლს, და ქართლიდან კახეთს, და ეს ცხენი არცა გახდის და არცა მოიღალის“.

როგორც ვხედავთ, ამ თავისთავად ლამაზ ლეგენდაში კარგად არის მინიშნებული დავით აღმაშენებლის საოცარი ენერგია, მუდმივი ზრუნვა, ის ფაქტი, რომ ხშირ-ხშირად შემოიელიდა ხოლმე თავისი ქვეყნის ყოველ კუთხეს და მის თვალსა და ყურს არაფერი გამოეპარებოდა. ეს ჩვენ ისედაც ვნახეთ, როცა დავით აღმაშენებლის ცხოვრებას ვეცნობოდით და ამის დასამტკიცებლად არ მოგვიტანია ლეგენდა. აქ სხვა რამ არის საინტერესო. სარა ბარნაველი თავის ზემოთ ნახსენებ წიგნში ვარაუდს გამოთქვამს: შესაძლოა აქ იგულისხმებოდეს გამოხატულება გორგასლიანი დროშისა და „ამ გამოხატულებამ გამოიწვია ლეგენდაცო“.

ამრიგად, დროშა იყო ხალხის თავისუფლების, დამოუკიდებლობისა, ერთიანობისა და გამარჯვების მაღალი სიმბოლო და მის მიმართ უდიდესი მოწიწებაც ამით აიხსნება. დროშა მიუძღოდა წინ მებრძოლებს ქვეყნის გათავისუფლების დროს, მას შეპყურებდნენ, მისი ამაყი ფრიალი ამხნევებდათ. არ შემიძლია აქვე არ მოვიტანო ერთი შესანიშნავი ფრაზა თამარის ისტორიკოსის თხზულებიდან, როგორც დიდებული ლექსის სტრიქონი: „აღმართეს სკიპტრა დიდებულთა, ძელი ჯუარისა და მის თანა დროშა დავითისი, არაოდეს მობერილი წინააღმდგომთაგან ნიავთა“...

ხედავთ, როგორც სულიერს, ცოცხალ, საყვარელ ადამიანს, ისე შეპყურებენ ამ დროშას.

ახლა ისიც ვნახოთ, როგორ აგვიწერს დამარცხებას უფრო მოგვიანო დროის ისტორიკოსი, აქაც როგორ ცოცხალი ადამიანივით არის განცდილი დროშა:

„იქმნა უკუქცევა სუესვიანისა ბედისა, მაღლისა და საჩინოსა დავითიანისა დროშისა გამარჯუებულისა... აქა ჟამამდე სვიანი იგი ბრძოლათა შინა დროშა დავითიანი და გორგასლიანი... ხოლო აქა ვითარ იქმნა ცვალება ბედისა ქართველთა ნათესავისა“...

აქ კარგადა ჩანს არა მარტო ის, თუ რა მაღალი სიმბოლო იყო ქართული დროშა ომებში, და ყოველდღიურ ცხოვრებაშიც, არამედ

ისიც გამოსჭვივის, რა დიდი როლი ჰქონდა მას ბრძოლის დროს, როგორ ამხნევებდა მისი ფრიალი მეომრებს... როცა იმას ხედავდნენ და იმის შრიალს ისმენდნენ, თითქოს ესმოდათ ცოლ-შვილისა და დედ-მამის მოწოდება, წინაპრების მოწოდება, სატრფოს მოწოდება, მიწისა და კერის მოწოდება. ამ დროშას რომ იცავდა, თავის ოჯახსაც იცავდა, სამშობლოსაც იცავდა. ხოლო როცა ეს დროშა, დახრილი, უკუიქცეოდა... ჩვენ ვნახეთ, რა მწუხარებით გადმოგვცემს ამას მემატიანე.

●

მთელი ისტორია ჩვენი ხალხისა მომხდური მტრის წინააღმდეგ ბრძოლების ისტორიაა და იმიტომაც ხშირად გვიხდება ლაპარაკი ლაშქარზე, ლაშქრის წყობაზე, ჯარის სხვადასხვა სახეობაზე... აგერ, დროშა ვახსენეთ და ისიც ბრძოლებს დაუკავშირეთ. ჯერ არაფერი გვითქვამს საბრძოლო იარაღებზე. ბრძოლებზე ამდენს ვლაპარაკობთ და ალბათ საინტერესო იქნება, საომარ იარაღებსაც გავეცნოთ. ამის შესახებ მრავალი ცნობა შემოუნახავთ წყაროებს.

რაღა თქმა უნდა, ჩვენი ხალხის მაშინდელი საბრძოლო იარაღებიც დიდად არ განსხვავდებოდა სხვა ხალხების იარაღებისგან. მიუხედავად ამისა, მაინც საინტერესო იქნება ჩამოთვლა. საინტერესო იქნება თუნდაც ენობრივი კულტურის თვალსაზრისით, როცა ფაქტიურად ერთსა და იმავე იარაღს, ერთმანეთისგან ოდნავ განსხვავებულს, თავისი სახელი აქვს. მეორე წიგნში ამ თვალსაზრისით გუთნის ნაწილებზე გვქონდა საუბარი და მაშინაც შევნიშნეთ, რომ ეს მაღალი კულტურის ნიშანია.

ამჟამადაც, ავიღოთ თუნდ ერთი მაგალითი. ქვემოთ საჭურველის ჩამოთვლაში მშვილდ-ისარს შევხვდებით. ეს ფართოდ გავრცელებული საომარი და სანადირო იარაღია და გასაკვირი სულაც არ არის, რომ მას ქართულად თავისი სახელი ჰქვია. სასიამოვნოდ გასაკვირი ის არის, რამდენი სახელი ჰქონია ამ ერთ იარაღს. ვნახოთ, რამდენი სახის ისარი აქვს ჩამოთვლილი საბას:

ს ა ყ ა ლ ნ ო — ფრთედაბალი და პირწურილი (და იქვე შენიშნავს, რომ ამას ყიჩაყნი და თურქნი ხმარობენ, ალბათ სახელიც იქიდან არის ნასესხები);

ს ა რ ჩ ა — ზომიერი, ფრთემობრტყე;

ქ ე ი ბ უ რ ი — მისგან უგრძესი პირდიდი და ფრთემაღალი;

ქ ი ბ ო რ ჯ ი — სარჩის მსგავსი და პირგანპებული;

ბ ო ძ ა ლ ი — ქეიბურის მსგავსი, პირდიდი და განპებული;

ყ ო დ ა ლ ი — სარჩის ტოლი, სამფრთოსანი, უპირო, წუერმრგუალი (პირუწვერო და მრგვალიო, ასე აზუსტებს ჩუბინაშვილი);

ღ რ ჯ ა — ყოდლისა უგრძესი, წუერმწუეტი, ჯვარულად ჩხირდასხმული;

ს ე ფ ქ ა — ფრთემაღალი, გრძელი, რკალშემობმული;

გ ე ზ ი — უფრთო, უპირო;

ს ა მ ა ლ ი — ღარი რკინისა სატყორცებელი და ისარი მტკაველზედ მეტი ღარით სასროლი (ჩუბინაშვილი უფრო მარტივად გადმოგვცემს: მტკაველზედ მეტი რკინის ღარით სასროლი)...

ხედავთ, რამდენი სახეობის ისარი ყოფილა, ანუ რამდენი სახელი დაურქმეეიათ ერთმანეთი საგანმცირედ განსხვავებულ ისრებისთვის. და ეს სრული სია არც არის, საბა იქვე შენიშნავს — ყრმათა ისარ ცუდასა წინწკიტელა ჰქვიაო.

ბუნებრივია, ომებში ისრები ბლომად სჭირდებოდათ და ბევრსაც ამზადებდნენ, ძალიან ბევრს; და ომში თან მიპქონდათ ცხენებით, აქლემებით... იქნებ გახსოვთ კიდეც, ზემოთ ერთგან სტეფანე მტბევარის მოთხრობა გავიხსენეთ; იქ საინტერესო წინადადებას ვხედებით: „სიმრაველე ტყორცებულთა მათ ისართაი შეიპყრობდა ჰაერსა მზისასა, რომელსა აქუნდა ასეული ტვირთი აქლემისაი ისარი ოდენ და ეგრეთვე ჰოროლი“. ხედავთ, რამდენი ისრის მარაგით წამოსულა მტერი!..

საბრძოლო იარაღის სახელებს ვხედებით ძველ ისტორიკოსთა თხზულებებში გაფანტულს, სხვადასხვა ვითარებასა და სიტუაციაში ნახსენებს; ამ იარაღებს ვხედებით, რაღა თქმა უნდა, არქეოლოგიური გათხრების დროს, ვხედებით ძველ ფრესკებსა და მინიატურებზე.

მაგალითად: „აღიღეს მახვილი და წათები“, — ვკითხულობთ ერთ იმდროინდელ ისტორიულ თხზულებაში და რაკი წათები მახვილთან არის ნახსენები, ვხედებით, რომ საომარი იარაღი ყოფილა.

ჩავიხედოთ საბას ლექსიკონში, ვნახოთ, როგორ აქვს განმარტებული:

„წ ა თ ი — აფთ-შუბი“.

აფთიც საომარი იარაღია და საბასავე განმარტებით ნიშნავს ბრტყელ და ტარგრძელ მახვილს. ესე იგი, წათი შუბივით მოგრძოა და შუბზე უფრო გაბრტყელებული, რითაც იგი მახვილსაც ემსგავსება.

წეერი შუბიეით წაწვეტებული ჰქონია. ასეეე განმარტავს ჩუბინაშ-ვილი: „წათი — აფთი, გრძელი შუბი, ანუ კეტი გამწვეტებული“.

რამდენჯერმე ვახსენეთ „ხელმწიფის კარის გარიგება“, რომელსაც ქვემოთ უფრო ახლოს გაეცნობით. აქ ჩამოთვლილია აბჯარ-საჭურველი, ოღონდ სრულად არა: ჯაჭვი, მუზარადი, ხმალი, ქაფა, საბარკული, მშვილდ-კაპარჭი, ლახტი, შუბი...

ვახუშტი თავის წიგნში ასეეე ჩამოგვითვლის — „ხოლო საომარნი საჭურჭლენი აქვნდათ: ჯავშანი, ხაფთანი, პოლოტიკნი, საბარკულნი, მუზარადნი, ჩაბალახნი, ხმალნი, ხანჯალნი, ჩუგლუგნი, გურზნი, ოროლნი, შუბნი, ხიშტნი და მშვილდ-ისარნი“.

იოანე ბატონიშვილიც ასეეე ჩამოგვითვლის საჭურველს: „ჯავშანი, ხაფთანი, პოლოტიკნი, რკინანი, საბარკლულნი, მუზარადნი, ჩაბალახნი, სამკლავენი, ფარნი, ხმალნი, ხანჯალნი, ჩუგლუგნი, მაზრაკნი, გურზნი, მშვილდ-ისარნი, შუბნი, ოროლნი, ხიშტნი, წათნი, ქეიბურნი, სარჩა, ქიბორჯი“... და ამას მოჰყვება სანადირო იარაღები, რომელთა ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს, თუმცა საინტერესოა; ბოლოს დაასკვნის: „ესრეთ აქვნდათ განწყობილობა ძველთა მხედართა, ვინემდის თოფს შემოიღებდნენ“.

ზემოთ ჩამოთვლილი იარაღების განმარტება შორს წაგვიყვანს და ალბათ, საჭირო არც არის. დიმიტრი ბაქრაძე ამათგან რამდენიმეს გამოჰყოფს, ისეთებს, რომლებიც განსაკუთრებით ხშირად იხმარებოდა: ჩ უ გ ლ უ გ ი — ანუ საბას განმარტებით, მცირე წერაქვი; ო რ ო ლ ი — ანუ ორპირი მახვილი (საბას განმარტებული აქვს, როგორც „შუბი“; განმარტებითი ლექსიკონი: „გრძელბუნიანი ორპირი შუბი“); მშვილდ-ისარი, ჯაჭვ-ჩაბალახი და ფარი. დიმიტრი ბაქრაძე იქვე განაგრძობს: „როგორცა ჩანს, ჩვენებს სცოდნიათ ხელობა კედლების შეთხრისა... სცოდნიათ აგრეთვე ხმარება ლოდის სასროლის მაშინისა, რომელსაც ერქვა ფილაკავანი“.

ეს იარაღი საბას ამნაირად აქვს განმარტებული: „ყამთა პირველთა ციხის მებრძოლნი სასხლეტსა რასმე მიმართავდნენ დიდი ლოდის სასროლად ციხის შესამუსრავად“.

ეტყობა, დიმიტრი ბაქრაძეს გამორჩა, და არც ვახუშტის და იოანე ბატონიშვილს აქვთ ნახსენები კიდევ ერთი გავრცელებული იარაღი — შურდული.

ამჟამად ჩვენს წარმოდგენაში ეს იარაღი უნებურად დაუკავშირდება ბავშვების სათამაშო ორკაპა ჯოხს, რომელსაც რეზინის ნაჭერი აქვს მობმული წვრილი კენჭის სასროლად. საომარი შურდული

სხვაგვარი იყო. იგი ორად მოკეცილ ბაწარს წარმოადგენს, რომელსაც შუაში ბრტყელი ნაწილი აქვს ქვის ჩასადებად და სასროლად. ქვა, იგულისხმება, დიდი არ იქნებოდა, მაგრამ გამოცდილი მეომრის გასროლილი ისე სწრაფად მიჰქროდა, რომ მტერს დიდ ზიანს აყენებდა (სწორედ სისწრაფის გამოსახატავად არის გამოთქმა — შურდულივით გავარდა, ან შურდულივით გაექანაო).

ზემოთ მოტანილ სიებში გამორჩენილია აგრეთვე ძველთაგანვე გავრცელებული იარაღი ლახვარი.

საერთოდ, გაცილებით უფრო დიდია საბრძოლო იარაღების სია. ამ საკითხს საგანგებო გამოკვლევა მიუძღვნა კოტე ჩოლოყაშვილმა და მის სადისერტაციო შრომაში, რომელიც ჯერ, სამწუხაროდ, წიგნად არ მომზადებულა, ძალიან საინტერესო მასალას ნახავს კაცი. საინტერესოა, მაგალითად, რისგან ამზადებდნენ შურდულს. იყენებდნენ თურმე ხბოს ან მოზვრის ტყავს, ცხენის ძუას, ქალის თმასაც კი!.. ისრისთვის საგანგებოდ არჩევდნენ შინდს, ზოგიერთი ცხოველის რქას... ვახუშტის ცნობით, გუდამაყრელები განთქმულნი ყოფილან ჯიხვის რქის ბუნიკიანი ისრების დამზადებით.

განუწყვეტელი ბრძოლებისთვის ამდენი იარაღის დამზადებას საგანგებო სახელოსნოები სჭირდებოდა. მართლაც იყვნენ განთქმული ოსტატები, განთქმული სოფლებიც კი, რომელთაც საუკეთესო იარაღის კეთებით სახელი შორს ჰქონდათ გავარდნილი.

იარაღ-საჭურველს საგანგებო საწყობებში ინახავდნენ, რომელთაც ზარადხანა ერქვა (გაიხსენეთ „ვეფხისტყაოსნიდან“: „ჰპოვეს ერთი ზარადხანა, აბჯრისათვის სახლად ქმნილი“). ამ ზარადხანებში დიდი წესრიგი ჰქონიათ. ეს დიდმნიშვნელოვან სახელმწიფო საქმედ იყო მიჩნეული. ყოველწლიურად ხდებოდა ზარადხანების აღწერა-აღრიცხვა და ეს დავალებული ჰქონდა ავტორიტეტულ კომისიას. აი, რა საინტერესო ცნობას ვხვდებით „ხელმწიფის კარის გარიგებაში“.

„ამილახორი, მეაბჯრეთუხუცესი, ზარდახნისუხუცესი და მწიგნობარი წელიწადსა შიგან ერთხელ ზარდახანს შევლენ და ზარდახნის მწიგნობარი დასწერს, ანგარიშს იქმენ და საანგარიშოს გოდორსა შიგან ჩადებს“. საგანგებო აქტს შეადგენდნენ და შეინახავდნენ. აღწერის გასამრჯელოდ ზარადხანის მწიგნობარს ერთი უნაგირი მიეცემოდა საახალწლოდ და ერთი ხელი ტანსაცმელი სააღდგომოდ.

ზემოთ მოყვანილ სიებში თქვენი ყურადღება ალბათ მიიპყრო რამდენიმე სიტყვამ, რომლებიც თითქოს საბრძოლო იარაღებს არ

უნდა ჰგავდეს. დიახ, „სამკლავე“, „საბარკული“, „პოლოტიკი“ მართლაც არ არიან საბრძოლო იარაღები ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით; ამათ, ისევე როგორც ფარს, ბრძოლის დროს ხმარობდნენ მტრის იარაღისგან თავდასაცავად, და რაკი ბრძოლაში იხმარებოდა, საბრძოლო იარაღებთან ერთად, ზოგადი სახელწოდება ჰქონდათ — აბჯარი, ანუ აბჯარ-საჭურველი, იგივე აბჯარ-აბგარი... და მუდამ ერთად ახსენებდნენ; ოღონდ ფარისგან განსხვავებით, ესენი ჩასაცმელები იყო და ჰქონდათ საკუთრივ ზოგადი სახელწოდება — „ჯავშანი“. ამათ — საბრძოლო და თავდასაცავ იარაღებს — ყოველთვის ერთად მოიხსენიებდნენ ხოლმე. უნებურად რუსთაველის სტრიქონები გაგახსენდებათ:

კიდობანი გახსნეს, პოეს მუნ აბჯარი სამი ტანი,
რასაცა ვით შეიმოსნენ მეომარნი სამი ყმანი
ჯაჭვი, ხრმალი, მუზარადი, საბარკული მათი გვანი...

ადვილად მისახვედრია, რომ „სამკლავე“ და „საბარკული“, მკლავებისა და წვივ-ბარკლების წამოსაცმელი იყო; ასევე განმარტავს საბა: „საომარი სამკლავე“ და „საწვივე აბჯარი“... ჩუბინაშვილი უფრო დაწვრილებით დახასიათებას გვაძლევს: „სამკლავე — ხელთშესაცმელნი აბჯარნი მხრებამდე“, „საბარკულნი — ფერხთშესაცმელნი ბარკლებამდე“. „პოლოტიკი — რკინის ფიცარი, მკერდთა და სხვა სატკენთა ადგილთა მისაკრავი ომთა შინა და ბრძოლათა“...

ჩვენ აქ სამი ასეთი „საცმელი“ ვახსენეთ. სხვაც ბევრი იყო, და აქვე ჩამოვთვალოთ, ზოგი მთავარი და მნიშვნელოვანი მაინც.

„ჯაჭვი“ (ანუ „ჯაჭვის პერანგი“), „ბექთარი“, „თორნი“, — „მთლივ ტანის ჩასაცმელები“ იყო. ბრძოლაში, მკლავის გამუდმებული მოძრაობის დროს, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იღლიის დაფარვას და საამისოდ „ქაშქანი“ — ანუ „სამხარღლიევ ჯავშანი“ იყო (რა მნიშვნელობა ჰქონდა სამხარღლიევ ჯავშანს, ჩვენ ეს უკვე ვნახეთ: ვახტანგ გორგასალს სწორედ ეს ქაშქანი არა ჰქონია, და ეს იცოდა მოღალატე მონამ).

ეს მეომარის სხეულის დასაცავად.

თავის დასაფარავად კი საგანგებო „სარქველები“ იყო, და მათ ზოგად ტერმინად შეიძლებოდა „ზუჩი“ დაგვესახელებინა; ჩუბინაშვილი ასე განმარტავს ზუჩს: „თავის დასარქმელი საომარი

რკინა, რომელსაც უხმობენ კვერცხსაც. წინათ და უკანით აქვს მოელებული ჯაჭვის ბადე, რომელსა ჰქვიან ზარადი".

ზუჩისგან მცირედ განსხვაეებულია „მუზარადი" („პირზედ აქვს გრძელი საცხვირეო", ჩუბინაშვილი წერს). ჩუბინაშვილისაევ განმარტებით, ჩაფხუტი (აგრეთვე ბრძოლის დროს თავის სარქველი ლითონის იარაღი) უზარადო ყოფილა და „თხემსა ზედა მცირე პოლოტიკი" ჰქონია. თავის სარქველია აგრეთვე ჩაჩქანი და „აქვს კისრის კერძოთა ზედა მცირე ზარადი და პირი ახდილი"...

ეს იარაღ-საჭურველი, რა თქმა უნდა, ფართოდ იყო გავრცელებული მაშინდელ მსოფლიოში; მათ დახასიათებას სპეციალურ ლიტერატურაში ყველგან ვხვდებით; აქ კი ჩვენ დაგვაინტერესა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი ქართველ მეომრებსაც ჰქონდათ და მუდამ განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მათ გაუმჯობესებას, მათ მოვლას...

თავისთავადამიარაღებისადმიქართველიკაცისდამოკიდებულებაა საინტერესო. მომხდური მტრის წინააღმდეგ იმ გამუდმებული ბრძოლების დროს იარაღი განუყრელი იყო ჩვენი წინაპრებისთვის, ბავშვობიდანვე ეჩვეოდნენ, უფრთხილდებოდნენ, პატივს სცემდნენ... ერთ-ერთ იარაღზე ისე წერს საბა – ამას განსაკუთრებით ჰყვარობდნენ ქართველებიო, გეგონება, ცოცხალ არსებაზე ამბობდეს...

მაგრამ საგულისხმო ის არის, რომ ასე საგულდაგულოდ აღჭურვილ ქართველ მეომარს სხვა საჭურველ-იარაღიც ახლდა ომში — რომელიც იცავდა მას, გაამხნევებდა, ძალას მატებდა, მოვალეობას შეახსენებდა, გმირობისკენ მოუწოდებდა, რაგინდ გაჭირვებაში ჩავარდნილიყო, სულმოკლეობას დააგმობინებდა...

ეს იყო საუკუნეების განმავლობაში გამომუშავებული და ჩამოყალიბებული მოწოდება მამულისა, ხალხისა, ლექსებად და ანდაზებად ჩამოსხმული, თქმულებებად შეკრული, რომლებიც პირდაპირ მიმართავდნენ მეომრებს: როცა სამშობლოსა და მშობელი ხალხის ღირსებას იცავ, ეს აბჯარ-აბგარი კი არ არის მთავარი, მთავარია გული, შენი ქვეყნის სიყვარული, მამულისათვის თავდადება, მამაცობა და გაუტეხელობა, უკიდურესი გასაჭირის დროსაც კი სულიერი სიმტკიცისა და მხნეობის შენარჩუნება...

რა უშლის ხმალსა სიმოკლე,
ფეხი წინ წარსდგი, მისწვდება...

ანდა:

ვინც რომ კაცია, ჩოხა — ჯაჭვია,
ქუდი ნაბდისა — ჩაბალახია.

ან კიდევ:

ვაჟკაცსა გული რკინისა, აბჯარი თუნდა ხისაო...

მთავარი ადამიანის შემართებაა და არა იარაღიო, ამას ეუბნებოდა ეს ლექსები მეომარს.

ზემოთ რომ იარაღებისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე ვლაპარაკობდით, ეს სიყვარული და პატივისცემაა გამოხატული იმ მრავალრიცხოვან საგმირო ლექსებში, რითაც ძალიან მდიდარია ჩვენი ხალხური პოეზია. ზოგი მათგანი უმაღლესი პოეზიის ნიმუშად გვეელინება. ალბათ ყველას გახსოვთ:

ბეთლემის კარზე ჰკიდია
ვაჟა ჯურხაის ფარიო,
მაუელის ომის წადილი,
ხანდისხან შასძრაავს ქარიო.

ხმალი და გუთანი! ხმალი და გუთანი!.. რამდენჯერმე ვახსენეთ ჩვენს გრძელ მოთხრობაში, დიდი ილიას სიტყვებიც გავიხსენეთ. ესენი იყვნენ განუყრელი მეგობრები ჩვენი წინაპრებისა. ზემოთ ვნახეთ, როგორ ესაუბრება ჩვენი წინაპარი თავის გუთანს — როგორც სულიერს, თავის ახლობელსა და განუყრელს — რა სიყვარულით, რა სასოებით, რა პატივისცემით.

ახლა ხმალთან საუბარსაც დავუგდოთ ყური:

გასჭერი, ჩემო ხმალაო,
ზოგი დღეს, ზოგი ხვალაო...

ანდა:

ხმალ, გასჭერ, თორე გაგყიდი,
ვაჭარი ამიჩენია...
რისაყე მყიდი, პატრონო,
რა წუნი ჩაგიმჩნევია?
მამიკლავ შენი მამკლავი,
ჯავრი არ შამირჩენია!

როგორი ქებით მოიხსენიებენ ვაჟკაცს, რომელმაც იარაღის ღირსეულად ხმარება იცის, და როგორ დასცინიან ჯაბანს:

ხმალმა თქვა: პირი დამჟანგდა,
ჯაბანმა ვინმემ ჩამაგო,
ნეტავი ვაჟკაც შამყარა,
პირიდან სისხლი ამაღო,
მაელვარებდეს მტრის კარსა,
ქარქაშით გარეთ გამალო,
მაჯა მაგრობდეს ბექთარით,
პირი ვადამდე ჩამაღო.

ასეთი ლექსების, ანდაზებისა და თქმულებების ჩამოთვლას, რაზეც საუკუნეთა განმავლობაში თაობები იზრდებოდა, ძალიანაც რომ მოვინდომოთ, ვერ მოვახერხებთ. ზღვა მასალაა, აურაცხელია, აუწონელი, მისი აღრიცხვა ვერ მოხერხდება, ვერავითარ მრავალტომიან გამოცემაში ვერ ჩაეტევა, ზღვარი არა აქვს...

და არა მარტო ხალხურ ლექსებსა და ზღაპრებში, იარაღის ამგვარ პატივისცემასა და სიყვარულს ჩვენი დიდი მწერლების შემოქმედებაშიც ხშირად შეეხვდებით. მარტო ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას რომ გადახედოთ, რამდენ ასეთ მაგალითს იპოვით. მარტო მისი პოემა, „ძაღლიკა ხიმიკაური“ რადა ღირს, სადაც იშვიათი სიფაქიზით არის მოცემული ვაჟკაცის საოცარი ერთგულება და სიყვარული თავისი იარაღის მიმართ.

აბჯარ-აბგარზე ესაუბრობთ და არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ვაჟა-ფშაველასავე საოცარი ლექსი: მეომარი კვდება და თავისივე იარაღს თანამებრძოლებს უნაწილებს. აქ საინტერესო ის არის, რომ თავდაცვის იარაღს — ფარსა და ჯაჭვის პერანგს — ახალბედა მეომარს უტოვებს:

ფარი და ჯაჭვი ლეგასა —
ჯერ ომში შეუვალია.

რაკი საბრძოლო იარაღს გავეცანით, ახლა აღარ გაგეიჭირდება თვალსაჩინოდ წარმოვიდგინოთ ომში მიმავალი ვაჟკაცი... ეგერ, თუნდა, ის პირტიტველა ჭაბუკი... რაკი სახელი არ ვიცით, ამასაც ლეგა ეუწოდოთ — ეგეც „ჯერ ომში შეუვალია“. ტანმორჩილ ცხენზე ამხედრებულა და ომში მიმავალს გული უფართქალებს. პირველად

მიდის საომრად და, მოუსვენრობას თუ შეატყობთ, ნუ გაგიკვირდებათ, ნურც დაძრახავთ. მრავალგვარია მისი განცდა – ეს არის ბრძოლების წინ სრულიად გასაგები მღელვარებაც, თავის გამოჩენის სურვილიც. ოჯახთან, და იქნებ სატრფოსთან გამოთხოვების სევდაც, სიკვდილის შიში, იმის შიში, რომ თავი არ შეირცხვინოს, იმის შიშიც, რომ ეს შიში არავინ შეატყოს...

იარაღი ასხმული აქვს ჭაბუკს (და ჩვენ უკვე ვიცნობთ ამ იარაღს), ჯავშნით ჯერ არ შემოსილა. ხურჯინის ცალ თვალში აქეს ჯავშანი.

ხურჯინის მეორე თვალში რაღაა?..

სხვის ხურჯინში ჩახედვა და ხელის ფათური ვერაფერი წესია, მაგრამ რაკი ძალიან საინტერესოა, ამ ერთხელ გვეპატიოს. ხურჯინის მეორე თვალში საგზალი ყოფილა, ომში მიმავალი ჯარისკაცის საგზალი, დედის ჩალაგებული, მისი ლოცვით ნაკურთხი. და ჩვენ ხელადვე ქართული თონის მომცრო პურები გაგვახსენდება, მახობელა პური, ლურჯი ძარღვები რომ დაპყვება!.. მაგრამ შორ გზაზე დამდგარ კაცს, პური რამდენ ხანს უნდა ეყოს? სადღეისოდ, სახვალიოდ, იქნებ ზეგაც გამოადგეს და მორჩა...

არა, პური ზემოდან აწყვია, ქვეშ კი უფრო მკვრივი საგანია.

და როცა ამ საგანს შეიცნობთ, საამურად გაგელიმებათ.

ჩურჩხელა ყოფილა, ჩვენი ტკბილი ჩურჩხელა, ჩვენებური კაკლის და ვენახის ნაყოფი. სახალისო საჭმელიც არის, ყუათიანიც, დიდხანსაც გასძლებს, სატარებლადაც ადვილია. მართლაც, დიდებული საგზალია მეომრისათვის. ჩურჩხელის უბრალო გახსენებაც კი რაღაცნაირ გაურკვეველ სიხარულს აღუძრავს... იმიტომაც იქნებოდა ეს მეომრისათვის კარგი საგზალი, რომ მუდამ თავის სახლს მოაგონებდა, თავის კერას, დედას... კერისა და დედის სითბო მიპყვება ამ საგზალს.

მეომართა რაზმი უკვე მოეწყო. აგერ, წინამძღოლიც გამოვიდა, ჭალარაშერთული, მრავალ ბრძოლაში გამობრძმედილი, ნაიარევით სახედაღარული ვაჟკაცი, და დაიძრნენ კიდეც... თვალს მიეფარნენ. რამდენი ხანია მათი მგზავრულიც მიწყდა, მაგრამ სიმღერის ექო ჩვენს გულში მაინც დიდხანს რეკავს, ის ჭაბუკიც თვალწინ გვიდგას...

ღმერთო, შენ უშველე; ღმერთო, გაუმარჯვე; ღმერთო, მშვიდობით დააბრუნე... ამას ჭიშკართან მომდგარი და მთებში გაუჩინარებულ გზას მიჩერებული დედის გული ამბობს, და ჩვენც სასოებით ვიმეორებთ: ღმერთო, გაუმარჯვე!.. ღმერთო, მშვიდობით დააბრუნე!..

თავი IV

„მეფეთა მეფე“, „მესიის მახვილი“ დემეტრე – ძე დავითისა ✦ ისევ გაუთავებელი ბრძოლები შინაურ თუ გარეულ მტერთან, შინაურების ალაგმვა, მომხდურების განდევნა ✦ დემეტრე პირველის დროს მოჭრილი მონეტა, რომლის ავერსიდან თავმომწონედ შემოგვცქერის ლამაზი ქართული ასომთავრული „დ“, რაც „დემეტრეს“ ნიშნავს ✦ დიდებული „შენ ხარ ვენახის...“ ავტორი დემეტრე პირველი შესანიშნავი პოეტიც იყო

ამრიგად, მიიწურა პირველი მეოთხედი მეთორმეტე საუკუნისა. დადგა 1125 წელი.

ქართველი მემატიანის სიტყვით, დავით აღმაშენებელს დიდი გეგმები დარჩა განუხორციელებელი. მოულოდნელად გარდაიცვალა ჯერ ისევ ახალგაზრდა კაცი... კონკრეტულად რა გეგმები იყო ეს, ცნობილი არ არის — არც მეფეს უხსენებია იმ ჩვენთვის უკვე ნაცნობ ორ ანდერძში და არც მემატიანე გვეუბნება. ამიტომ გადაჭრით თქმა, რა გეგმები ჰქონდა დიდ მამულიშვილს, ძნელია; შეიძლება მხოლოდ ვარაუდი, დაფუძნებული იმ ღვაწლსა და საქმიანობაზე, რასაც განუხრელად ახორციელებდა დავით აღმაშენებელი დღიდან გამეფებისა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე. როცა ამ ოცდათექვსმეტწლიან შრომისა და ბრძოლის ძნელ და გრძელ გზას გავაყოლებთ თვალს, უკვე გზის ის კონტურებიც შეგვიძლია დავინახოთ, რაც მას უნდა გაეელო, რომ დასცლოდა.

წინა წლებში იმ ძნელ გზაზე ქართველებმა, როგორც ვნახეთ, საშიში და ძნელად დასამარცხებელი მტერი განდევნეს, ქვეყანა გაათავისუფლეს და არა მარტო საკუთარი მიწა-წყალი გაწმინდეს დამპყრობთაგან, არამედ მეზობელი და მეგობარი ხალხების დარაზმვაც მოახერხეს და საზღვრებს იქით შორს გავიდნენ სამხრეთით, აღმოსავლეთით... „დიდი თურქობის“ გამანადგურებელი რბევისა და ტანჯვა-წამების შემდეგ ხალხმა, როგორც იქნა, თავისუფლად

ამოისუნთქა, ცხოვრების რიტმი ნორმალური გახდა... ახლა ამისი შენარჩუნებაც გაძნელდებოდა, თუ ჩვენი ხალხი, მეზობელი და მეგობარი ხალხების დახმარებითა და უშუალო მონაწილეობით, ამიერკავკასიის ტერიტორიიდან მთლიანად არ განდევნიდა მტერს და ამ მიწა-წყალზე მშვიდობას არ დაამყარებდა.

აი, ეს ამოცანა იდგა ამჟამად ჩვენი ხალხის წინაშე.

ახლა ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, იმ დაძაბულ ვითარებაში, — როდესაც ჩვენი ქვეყნის ირგვლივ მოძუძგურებული ცალკეული საამირო-სასულთნოები ხელსაყრელ მომენტს ელოდნენ, რათა წინა ბრძოლებში დაკარგულ მიწა-წყალს კვლავ დაპატრონებოდნენ, — ასეთ ვითარებაში რა სიმტკიცეს გამოიჩენდნენ ქართველები; მოახერხებდნენ თუ არა, ისიც შეეენარჩუნებინათ, რაც დავით აღმაშენებლის დროს მოიპოვეს, მედგრად გამკლავებოდნენ მრავალრიცხოვანი მტრების შემოსევებს და ახალი წარმატებებისთვის მიეღწიათ.

შესძლებდა ამას ჩვენი ხალხი? საამისო ძალა და ენერგია ექნებოდა? ან მის მეფეს თუ აღმოაჩნდებოდა სათანადო სიბრძნე და მხნეობა, ერის ღირსეული წინამძღოლობა გაეწია და ეს ძნელი ამოცანა გადაეწყვიტა?..

თითქოს ჩვეულებად იქცა — ყოველი ახალი მეფის ტახტზე ასვლისთანავე თავს წამოყოფენ ხოლმე უკმაყოფილო ფეოდალები, მტერთან კავშირს გააბამენ და სამეფო კარს დაუპირისპირდებიან, სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გატარებაში მეფეს ხელს უშლიან, გასაქანს არ აძლევენ, სიცოცხლეს უმწარებენ...

ახლა რა მოხდა?

ჩვენ ვნახეთ, როგორ სასტიკად გაუსწორდა დავითი მოღალატე ფეოდალებს, როგორ ალაგმა ისინი...

ახლა?

ისევ აღუდგნენ ისინი დემეტრეს?

ან ქვეყნის კულტურული მშენებლობა როგორ წარიმართა?

გელათის მთელი კომპლექსის დამთავრება ვერ მოასწრო დავით აღმაშენებელმა — აკი ანდერძშიაც თქვა, ამისი დარდი სამარადისო ტკივილად მიმყევებაო... დემეტრემ თუ მოახერხა მისი გასრულება? ან ახალი რა კულტურის კერები აშენდა მომდევნო წლებში? ან რამე თუ დაიწერა, ან რამე თუ შეიქმნა?..

უნებურად წამოიჭრება ეს კითხვები ჩვენს წინაშე, გინდა ყველაფერი გაიგო, გულისფანცქალით ფურცლავ ისტორიის დიდ

წიგნს... და ამ დროს, უცებ წყდება თხრობა! სამ ათეულ წელზე მეტი იმეფა დემეტრე პირველმა, „ქართლის ცხოვრებაში“ კი მისი ამბავი ოციოდე სტრიქონით არის მოთხრობილი: ვახუშტი ბატონიშვილი 8 თუ 9 სტრიქონით გადმოგვცემს... სხვა ქართულ წყაროებშიაც ორიოდე ბუნდოვან ფრაზას თუ წააწყდები, იმ წლების რაიმე კონკრეტულ მოვლენ[illegible] და გარემოებაზე მიგვანიშნებდეს.

ამ პერიოდის შესახებ მეტი ცნობები შემოუნახავს უცხოურ წყაროებს და ჩვენი ისტორიკოსები სწორედ მათზე დაყრდნობით ავსებენ ჩვენს წარმოდგენას დემეტრე პირველისა და მისი დროის შესახებ. და რაკი ამ პერიოდის ამსახველი ცნობები ცოტაღა შემორჩენილა, მეტი ყურადღებით დავაკვირდეთ ყოველ პატარა ფაქტს, ყოველ ცალკეულ ფრაზასა თუ სიტყვას, რაც ისტორიას შემოუნახავს.

●

ჯერ მოვუხმოთ იმ წლების ყველაზე მოძრავსა და მოქნილ მოწმეს; ერთსა და იმავე დროს ყველაზე უფრო დემოკრატსაც და ყველაზე ბატონკაცსაც, მედიდურსაც და გაქნილსაც, თავმომწონესაც და თავმოყვარეობა-შელახულსაც, რომელსაც, ვინ იცის, ქვეყნად რამდენი უწანწალია, რა შარაგზები მოუვლია, რამდენი სოფელი და ქალაქი მოუნახულებია, რამდენ ეზო-კარში შესულა, რამდენი კაცის სახლში შეუხედავს, რა არ უნახავს, რა შუღლისა და სისხლისღვრის, რა სანატრელი იმედისა და მწარე იმედგაცრუების, რა წამიერი სიამოვნებისა და საშინელი უბედურების მიზეზი გამხდარა...

მკითხველი იქნებ განსაკუთრებულ რამეს ელის, ჩვენ კი პაწაწკინტელა საგანი უნდა დავასახელოთ, რომელიც ერთ გრამს ძლივს იწონის...

ეს გახლავთ მონეტა, დემეტრე პირველის დროს მოჭრილი მონეტა, რომელიც სასწაულით გადარჩენილა და მიუხედავად იმისა, რომ ასე პატარაა, ბევრი საგულისხმო ცნობა შემოუნახავს.

მონეტის ავერსიდან თავმომწონედ შემოგვცქერის ლამაზი ქართული ასომთავრული „დ“ — ეს „დემეტრეს“ ნიშნავს; და რაკიღა ქვეყნის გვირგვინოსნის მეობას გვაცნობს, თავმომწონედაც იმიტომ შემოგვცქერის, იმიტომ ამოუტვიფრავთ ასე ლამაზად და შოამბეჭდავად.

მაგრამ მთავარი, რისთვისაც ეს მონეტა მოვიხმეთ, ქართული ასომთავრული „დონი“ კი არ გახლავთ, არამედ იმავე მონეტაზე ამოტეიფრული არაბული წარწერა, რომელიც არანაკლები თავმოწონებით გვიცხადებს — „მეფეთა მეფე“ და „მესიის მახვილიო“. ჩვენთვის უკვე ნაცნობია ეს სიტყვები და ის დიდი და ღრმა აზრის შემცველი ქვეტექსტი, რაც აქ იგულისხმება.

დიახ, ბევრის მთქმელია პატარა, თხელ ლითონზე ამოტეიფრული ერთი ქართული ასო და რამდენიმე არაბული სიტყვა. ქართველი მეფე დემეტრე პირველი საქვეყნოდ აცხადებს, რომ იგი, თავისი მამის მსგავსად, მთელს მახლობელ აღმოსავლეთში ქრისტიანობის დამცველი და ქომაგია. ეს არის მისი პოლიტიკის მთავარი არსი, ასე უნდა წარიმართოს კონკრეტულად მისი მოღვაწეობა, დათმობასა და უკანდახევას არც კი ფიქრობს — მან უნდა გააგრძელოს მამის დაწყებული საქმე და ქართველ ლაშქარს მომავალ ბრძოლებში წაუძღვეს „მესიის მახვილით“...

ქართული ასომთავრული „დ“, ცხადია, იმაზე მიგვანიშნებს, რომ დემეტრე დამოუკიდებელი და დიდი სახელმწიფოს გვირგვინოსანია; ხოლო თუ რატომ დასჭირდა იმ სიტყვების არაბულად დაწერა, ამის პასუხიც ვიცით, მეცნიერებმა ამასაც მოუძებნეს ახსნა, და კიდევ ერთხელ გავიმეოროთ: ქართველი მეფე შემწყნარებელია სხვა სარწმუნოებისა და მზად არის, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა იქონიოს ყველა მეზობელ თუ შორეულ ქვეყანასთან. სავაჭრო ურთიერთობისთვის კი ამ დროს არაბული აუცილებელი იყო; არაბული ენა, როგორც ვიცით, გავრცელებული გახლდათ და ამიტომ მონეტაზე არაბული სიტყვები არც უნდა გაგვიკვირდეს, თუნდაც იმიტომ, რომ ეს სიტყვები და ამ სიტყვებში დაფარული მიზანი თუ მუქარა მან სწორედ იმ სამყაროს უნდა გააცნოს, რომელიც არაბულად კითხულობს და ლაპარაკობს.

ბერძნული?..

ბიზანტია?..

„სოკოებიეით მომრავლებული“ თურქული საამირო-სასულთნოები ეახსენეთ და ბიზანტია კი, დიდი ბიზანტია — ჩვენი ძველი მეზობელი, ჩვენი მტერიცა და მოყვარეც, რომელიც ერთ დროს შიშის ზარი იყო ახლობელი თუ შორეული ქვეყნებისთვის, თითქოს დაგვავიწყდა...

ბიზანტიამ დაკარგა ძლიერებაც, გაელენაც... თავისი ძველი მეზობელი ქვეყნებით დაინტერესების ხალისიც, და, ეტყობა, უკვე საბოლოოდ მეორე პლანზე გადაინაცვლა... თითქოს გასაკვირია,

მაგრამ ქართული მონეტაც გამოხატავს ბიზანტიის მაშინდელ მდგომარეობას, მიუხედავად იმისა, რომ ბიზანტია სულაც არ არის ნახსენები იმ წარწერებში. „თუ ბაგრატ IV-დან მოყოლებული აქამდისინ მას (ესე იგი, ქართულ მონეტას) ბიზანტიურ მონეტებთან ჰქონდა მსგავსება, ახლა გარკვეულად აღმოსავლეთისაკენ უბრუნებია პირი, – წერს ქართველი მეცნიერი თამარ ლომოური, — მონეტაზე ჩნდება აღმოსავლური ხასიათის ორნამენტები და არაბული წარწერები... დიმიტრი პირველს... ნაკლები ურთიერთობა ჰქონია დასავლეთთან, სახელდობრ, ბიზანტიასთან, და მთელი მისი ყურადღება და ინტერესები მიმართული ყოფილა მის აღმოსავლეთის და სამხრეთის მახლობელ მეზობლებისაკენ“.

ისევ იმ სიტყვებს დაეუბრუნდეთ — „მესიის მახვილს“. მესიის მახვილი!.. გამომწვევად ჟღერს ეს სიტყვები. გარდა იმისა, რომ თითქოს მთელ მაპმადიანურ სამყაროს ბრძოლაში იწვევს და მახლობელ აღმოსავლეთში ქრისტიანობის ერთადერთ ქომაგად გვეელინება, ამ სიტყვებში თავდაჯერებული კილოც იგრძნობა. ბარემ აქვე შევნიშნოთ: ძალიან მოსწონებიათ ეს სიტყვები ბაგრატიონ გვირგვინოსნებს და არა მარტო შვილი დავით აღმაშენებლისა, არამედ შორეული მემკვიდრეებიც დაჟინებით იმეორებენ, მესიის მახვილი ვარო...

უფრო კონკრეტულადაც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, საითკენ არის მოღერებული ეს მახვილი. ახლა უკვე სამხრეთით და აღმოსავლეთით! იქითკენ, საითაც დავით აღმაშენებლის მზერა იყო მიმართული.რანისაკენ,შირვანისაკენ...ახლა,ესმხარეებიუფრთხობენ მოსვენებას ქართველ გვირგვინოსნებს, აქ დამკვიდრებულან თურქული საამირო-სასულთნოები, აქედან უთვალთვალებენ გაძლიერებულ ქრისტიანულ სახელმწიფოს და ხელსაყრელ დროს უცდიან, რათა კვლავ შემოესიონ და კვლავ დაიპყრონ, კვლავ ააოხრონ და ცხოვრების თავიანთი „წესი“ დაამყარონ... ამიტომ საკუთარი ქვეყნის თავდაცვისა, დამოუკიდებლობისა და ძლიერების შენარჩუნების ინტერესებიეე მოითხოვს, უკვე ამდენი გამარჯვებისა და წარმატების შემდეგ ქართველებმა შეავიწროონ ეს სასულთნოები, დაპყრობილი მიწა-წყლიდან გადარეკონ, თუ ვერ შემოიერთებენ, ისე მაინც შემოიმტკიცონ, როგორც ყმადნაფიცი და დამოკიდებული ქვეყნები!..

ასეთი იყო დავითის გეგმები და რაკიღა ამ გაძლიერებული სახელმწიფოს მეფობა დაეკისრა, მისმა მემკვიდრემაც უნდა გააგრძელოს სახელოვანი მამის დაწყებული საქმე... შიშის კანკალით

უნდა შემოპყურებდნენ ეს საამირო-სასულთნოები „მესიის მახვილის“ ელვარებას!..

ეს სათქმელად არის ადვილი, თორემ დავით აღმაშენებლის დაწყებული საქმის გაგრძელება, თავისთავად იგულისხმება, ძალიან ძნელი იქნებოდა...

●

იმდენ დამარცხებასა და საქართველოს საზღვრების ისე გაფართოებას მტერი, რა თქმა უნდა, ვერ შეურიგდებოდა. მართალია, სელჩუკები უკვე აღარ წარმოადგენდნენ იმ ძველს, პირვანდელ ძალას; საერთაშორისო მოვლენებმა და უმთავრესად კი ქვეყნის შიგნით ფეოდალიზაციის სწრაფმა განვითარებამ, მართალია, თავისი ქნა და ვეება სივრცეზე გადაჭიმული დიდი იმპერია სელჩუკებისა დაიცალა, ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებად დაქუცმაცდა და ამით ძლიერება ნაწილობრივ დაკარგა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს ძველი გაელენის აღდგენისა და „დაკარგული“ მიწა-წყლის დაბრუნების იმედს საბოლოოდ გამოსთხოვებოდნენ.

ზემოთაც გავიხსენეთ ფართოდ გავრცელებული გამოთქმა — კაცი იმედით ცოცხლობსო. იმედი ყველას გულში ადვილად მიიკვლევს გზას, გარჩევა არ იცის, და გაგიკვირდება, ზოგჯერ ისეთ პატარა რამეს მოებღაუჭება ხოლმე.

თუმცა ახლა მტრის გულში ჩასახული იმედი სუსტი და უმნიშვნელო როდი იყო...

გაიგეს თუ არა აღმაშენებლის გარდაცვალება, მტრებმა ეტყობა გადაწყვიტეს, ჩვენი დრო დამდგარაო...

ერთ ძველ ხელნაწერს ასეთი ფრაზა შემოუნახავს, რომელსაც ჯერ ვახუშტი გადმოგვცემს მცირე პერიფრაზირებით, მერე კი, 1913 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა მიაქცია ყურადღება და გამოაქვეყნა. ჯერ წავიკითხოთ თავისი პირვანდელი სახით, როგორც ის ექვთიმე თაყაიშვილმა გამოაქვეყნა.

„...ამავე ქორონიკონსა (ე. ი. 1125 წელს, დავით აღმაშენებლის გარდაცვალების წელს)... მიუხდა (დემეტრე) დმანისს, წაულო ციხე“...

ახლა ვახუშტის პერეფრაზირებით:

„მეფე იქმნა... დიმიტრი და ამასვე წელსა მოადგა დმანისს და აღიღო იგი ციხითურთ“...

ესე იგი, გამეფებისთანავე მეფე დემეტრეს სამხრეთით გაულაშქრია და ძალიან მნიშვნელოვანი უძველესი ქართული ციხე და ქალაქი აუღია, საქართველოსთვის შემოუერთებია.

გასაკვირი აქ არაფერია, როცა გავითვალისწინებთ, რომ მომაღლო ზეგანზე ამაყად გადმომდგარ ქალაქს, რომელსაც იქვე მოზრდილი მდინარე ჩაუდიოდა, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, და არა მარტო პოლიტიკური. ეს იყო დიდი სახელოსნო და სავაჭრო ცენტრი, და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ერთ-ერთ უძველეს და უმნიშვნელოვანეს საავაჭრო გზაზე მდებარებოდა.

თუკი ამ ქალაქს დაიპყრობდა მტერი, მთელი სამხრეთის დასახლებული ადგილების დაპყრობაც გაუადვილდებოდა. თრიალეთი და მისი მოსაზღვრე ადგილები სტრატეგიულად ძალიან მნიშვნელოვანი იყო და ვინც იქ კარგად გამაგრდებოდა, იმას მერე საქმე გაადვილებული ჰქონდა, ამდენად, გასაკვირი სულაც არ არის, რომ ქართველმა მეფემ უპირველესად ყოელისა გადაწყვიტა, სწორედ დმანისი გაეთავისუფლებინა. და ჩვენი ყურადღებაც უპირატესად არა თავისთავად ამ ფაქტმა, არამედ სულ სხვა რამემ მიიპყრო.

საქმე ის არის, რომ ეს დიდი ქალაქი, რომლის გათავისუფლება ახლა ქართველებს მოუხდათ, ერთხელ უკვე, რამდენიმე წლის წინათ, დავით აღმაშენებელმა გაათავისუფლა მტრისგან და კელავ საქართველოს დაუბრუნა.

გათავისუფლებულ ქალაქს რაღა გათავისუფლება სჭირდებოდა!

რაკიღა მეორედ მოუხდათ ქართველებს გათავისუფლება, თავისუფლად იგულისხმება, რომ ქალაქი წაურთმევია მტერს. თანაც ეს მაშინვე მომხდარა, დავით აღმაშენებლის გარდაცვალებისთანავე. მოძუძგურებულები იყვნენ, შემოსეულები — გონს მოსვლაც არ აცალეს ახალ მეფეს, გარდაიცვალა თუ არა დავით აღმაშენებელი, შეესიენენ დმანისს და აიღეს.

ცნობა იმის შესახებ, რომ დემეტრეს კელავ მოუხდა დმანისის გათავისუფლება, სომხურ წყაროებსაც შემოუნახავთ, მაგრამ აქაც ძალიან მოკლედ არის ამბავი მოთხრობილი და არ ვიცით, რა კონკრეტულ ვითარებაში მოხდა ეს, რომელი საამირო დაესხა თავს ჩვენს უძველეს ქალაქს. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ საამიროსასულთნოები ძალიან მომრავლდა. მარტო ანატოლიის სელჩუკთა სახელმწიფოში ცხრამეტი საამირო შედიოდაო, ისტორიულ გამოკვლევებში ეკითხულობთ... ზოგიერთი საამირო ისე გაძლიერდა,

რომ თავი დამოუკიდებლად წარმოიდგინა და სელჩუკთა უზენაეს ხელისუფლებას აღარ სცნობდაო.

ალბათ გენიშნათ! ისეთივე ამბავია, რაც არაბთა სახალიფოს მოუვიდა.

გარდა იმისა, რომ უზენაეს მმართველობას აღარ სცნობდნენ, ეს საამიროები, რაღა თქმა უნდა, ერთმანეთის მიმართაც არა ყოფილან კეთილად განწყობილი და, უნდა ვიფიქროთ, დაფაცურებულები იქნებოდნენ, ვინ დაასწრებდა, მნიშვნელოვანი ქალაქები წაეგლიჯათ მეზობელი ქრისტიანული სახელმწიფოსთვის, რომელმაც ის იყო, ძლიერი და მრისხანე პატრონი დაკარგა.

ერთი სიტყვით, მტერმა გული მოიცა... და, აჰა, აღარ დააყოვნეს — შეესივნენ სამხრეთის ამ დიდ ქალაქს და აიღეს, დაეპატრონნენ.

დმანისს როდი დასჯერდნენ — სამხრეთის მეორე მნიშვნელოვანი ქალაქიც დაიპყრეს, ხუნანი, რომელიც აგრეთვე დავით აღმაშენებელმა გაათავისუფლა და ახლა ქართველებს ხელმეორედ გათავისუფლება მოუხდათ.

ოღონდ ეს მოხდა ცოტა უფრო მოგვიანებით. იმავე სომხური წყაროს მიხედვით, ხუნანი 1128 წელს გაუთავისუფლებიათ ქართველებს.

აკი ვთქვით: მტერს კარგად ჰქონდა შეგნებული ამ მხარის სტრატეგიულ-პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა და ვერ ელეოდა, ვერა თმობდა, მათ „დაკარგვას" ვერ ურიგდებოდა.

ქართველებსაც, რაღა თქმა უნდა, კარგად ესმოდათ ამ მხარის მნიშვნელობა. ამიტომაც იყო, რომ არც მტერს ეთმობოდა, არც ქართველებს და ასე ხელიდან ხელში გადადიოდა.

სამწუხაროდ, მოკლებული ვართ საშუალებას მოგითხროთ, რა კონკრეტულ ვითარებაში მოხდა ან ხუნანის გათავისუფლება, ან — დმანისისა. მაგრამ, თუ რა გააფთრებული და დაძაბული ბრძოლები გაჩაღებულა ქვეყნის სამხრეთით, ამის ზოგადად წარმოდგენა სულაც არ არის ძნელი, როცა იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ეს ქალაქები ძნელი მისადგომი იყო.

და როცა სამხრეთის ამ ქალაქების — ხუნანისა და დმანისისათვის — გამართულ ბრძოლებს წარმოვიდგენთ, უნებურად გაგვახსენდება სამხრეთით მდებარე კიდევ ერთი დიდებული ქალაქი, რომელიც პოლიტიკურ-სტრატეგიულადაც, ეკონომიკურადაც, მორალურადაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო მთელს იმ მხარეში მდებარე ქალაქთა შორის...

ალბათ მიხვდით, რომ მრავალტანჯულ ქალაქ ანისს ვგულისხმობთ, სომხეთის ძველ დედაქალაქს.

ყველაზე გააფთრებული ბრძოლები სწორედ ანისის გამო გაიმართა და ძალიან დიდხანსაც გაგრძელდა.

როგორც უკვე ვიცით, დავით აღმაშენებელმა 1124 წელს გაათავისუფლა ანისი, ქალაქის მაჰმადიანი მფლობელები — მანუჩე ბენ აბულ-ასვარის მემკვიდრეები დასავლეთ საქართველოში გადმოასახლა და ქალაქი ქართველებს — აბულეთსა და მის ძეს ივანე ორბელიანებს ჩააბარა, შიგ ქართველი მეცხოვნეები ჩააყენა — მესხები.

მრავალგზის ნარბევმა, განაწამებმა და განძარცულმა ქალაქმა ჭრილობების მოშუშება იწყო, ხალხმა შვებით ამოისუნთქა, გახიზნული მკვიდრი მცხოვრებლები თავის ბუდეში დაბრუნდნენ, ცხოვრება კვლავ ძველ კალაპოტში ჩადგა, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნებოდა იმ ვითარებაში...

და ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა ქალაქის ბედი, რომ ამ დროს მოულოდნელად არ გარდაცვლილიყო ჯერ ისევ ახალგაზრდა მეფე დავითი.

რაღა გასაკვირია, რომ შორიდან მოძუძგურებული მტერი აღარ დააყოვნებდა, სახელოვანი ქართველი მეფის გარდაცვალებით ისარგებლებდა და სანუკვარი განზრახვის შესრულებას — ანისის კვლავ ხელში ჩაგდებას — დააჩქარებდა.

მტერს ძალიან „შეუწუხებია“ ეს უძველესი ქალაქი. სწორედ ასე გადმოგვცემს სომეხი მემატიანე მათე ურჰაელი: „მრავალი შევიწროება განიცადა ანიმ სპარსთა ლაშქრისგან იმ დროს, როცა გარდაიცვალა დავითი“...

ქართველები იძულებული გამხდარან, ანისი კვლავ ძველი მაჰმადიანი მფლობელისთვის — მანუჩეს მემკვიდრეებისთვის დაებრუნებინათ.

ეს წინასწარი შეთანხმებით და ნებაყოფლობით მომხდარა. ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო. მართლაც ასე აჯობა. რადგან ქალაქი კი გადასცა ქართველმა მეფემ — დემეტრემ — მაგრამ თან ყმობისა და მორჩილების ფიცი ჩამოართვა. ესე იგი, მაინც ვასალის მდგომარეობაში ჰყავდა ქალაქის მესვეურები.

როგორც სომეხი მემატიანე გადმოგვცემს, ეს ფიცი არც გაუტეხიათ მანუჩეს მემკვიდრეებს.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ყმადნაფიცობისა და მორჩილების

ფიცი ზოგადი კი არ ყოფილა — ეტყობა, კონკრეტულ საკითხებსაც ითვალისწინებდა. სომეხი მემატიანე საგანგებოდ შენიშნავს, მაგალითად, რომ წინასწარი შეთანხმების მიხედვით, ანისის განთქმული ტაძარი, წმინდა კათოლიკე, ქრისტიან სომხებს დარჩებოდათ და უფლება არა ჰქონდათ მაჰმადიანებს, შიგ შესულიყვნენ. მით უმეტეს, მის შებღალვას ვერავინ გაბედავდა.

ზოგიერთი წყარო თვით ქალაქის გადაცემის ფაქტსაც უფრო კონკრეტულად წარმოგვიდგენს.

აბულეთს რომ ჩააბარა დავით აღმაშენებელმა ანისი, ქალაქის ძველი მფლობელები — „ჯაბანი და გულდედალი“ აბულ-სოვარის შვილები საქართველოში გადმოასახლა: „რვათა ძეთა მისთა თანა და მხეევალთა და სძალთაო“, ქართველი მემატიანის სიტყვები გავიხსენეთ მაშინ. და გაგვიკვირდა კიდეც — ეს რამოდენა შთამომაველობა ჰყოლიაო!..

თურმე სადა ხარ — მეტიც ჰყოლია.

აბულ-სოვარის უფროსი ვაჟი ფადლუნი იმ დროს ანისში არ ყოფილა, ხორასანში ყოფილა სულთნის კარზე და ამან გადაარჩინა, აღმაშენებელმა ველარ შეიპყრო! ანისის „დაკარგვის“ ამბავი, რაღა თქმა უნდა, არ ესიამოვნებოდა შავურ მეორის მემკვიდრეს: „არ ესიამოვნებოდა“ რა სათქმელია — უნდა ვიფიქროთ, გაგულისდებოდა კიდეც. მაგრამ შიში ისეთი რამეა, ყოველგვარ გაგულისებას ხელადვე დააცხრობს. დავით აღმაშენებელი ჯერ ისევ ცოცხალი იყო და გასაკვირი სულაც არ არის, რომ მისი შიშით ბრაზი მალევე ჩაიკლა გულში ფადლუნმა; მაგრამ დავიწყებით არ დავიწყებია და არც ამ დიდებული ქალაქის დაკარგვას შერიგებია. წყენა და მომაველის გაურკვეველი იმედი გულში ჩაიმარხა და დაიცადა.

დიდი ლოდინი არ დასჭირვებია, ბედმა ჩქარა გაუღიმა — ქართველი მეფე ამის შემდეგ მალე გარდაიცვალა და ამან ერთბაშად არა მარტო წყენა და გაგულისება გაახსენა ფადლუნს, არამედ ძალა შემატა და ფრთა შეასხა, დიდი ლაშქრით ანისის ასაღებად დაიძრა.

ქალაქის მცველები აბულეთისა და იოანეს მეთაურობით მაგრად დახვდნენ. გმირულად იცავდნენ ქალაქს. ერთ-ერთი სომეხი მემატიანის ცნობით, მთელი წელიწადი ალყა ჰქონია შემორტყმული ანისს, მაგრამ დამცველთა წინააღმდეგობა მაინც ვერ გასტეხა ფადლუნმა, თუმცა ძალიან შეაწუხა...

და სწორედ ამას მოჰყვა ქალაქის გადაცემა ფადლუნისთვის

ყმადნაფიცობის პირობით, წინასწარი მოლაპარაკებისა და შეთანხმების მიხედვით. სწორედ მაშინ დადეს მანუჩეს შვილებმა ფიცი, რომ ანისის წმიდა კათოლიკე ხელშეუხებელი იქნებოდა.

მეორე სომეხი მემატიანის ცნობით, ფადლუნი აბულეთთან მისულა და მუდარა დაუწყია, ქალაქი დამიბრუნეო. რაკიღა მტერი ძალიან აწუხებდა ქალაქს, აბულეთმა გადაწყვიტა, ქრისტიან მოსახლეობასაც დაეინდობ და საკუთარ შვილს ივანესაცო და მშვიდობიანად დაუთმო ანისი მფლობელს.

ეს ვერსია ნაკლებად სარწმუნო ჩანს, პირველი უფრო ჰგავს მართალს.

მაგრამ, ასე იყო თუ ისე, ქალაქი კელავ ძველ მფლობელს — შადადიანების მემკვიდრეს ფადლუნ მეოთხეს გადასცეს ყმადნაფიცობის უფლებით.

ანისის დაუფლებამ ფადლუნს მადაც გაუღვიძა სხვა ქალაქების დასაპყრობად და საქმეც გაუადვილა; სომეხი მემატიანეებისაევე ცნობით, მდიდარი და სტრატეგიული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი ქალაქი დვინი და განძაკი აუღია ამის შემდეგ მას. თუმცა ტკბილი და მოსვენებული ცხოვრება ფადლუნ მეოთხეს არ ეწერა — დიდი ხანი აღარ გასულა და იგი მოკლეს, ეტყობა, ღალატით.

მაგრამ, ეს ჩვენთვის საინტერესო აღარ არის. ფადლუნის შემდეგ ანისი მისი სახლიკაცების ხელში გადაეიდა და გააფთრებული ბრძოლა ქალაქის ხელში ჩასაგდებად კელავ გაგრძელდა.

ერთი ასეთი ბრძოლის ამბავს მოგითხრობთ.

ეს ცოტა უფრო მოგვიანებით მოხდა, ოღონდ დემეტრესაევე მეფობაში. ფადლუნ მეოთხე ამ დროს ცოცხალი აღარ იყო. ამბავს არაბი ისტორიკოსი ალ-ფარიკი გადმოგვცემს. თარგმანი პერიფრაზირებით მოტანილი აქვს თავის წიგნში პ. თოფურიას.

შადადიანის გვარის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, ანისის მაშინდელმა მფლობელმა ამირა ფახრ ალდინ შადადმა არზრუმის მფლობელ სალთუკს (ანუ იგივე სალდუხს, უფრო ხშირად ასე მოიხსენიება ქართულ წყაროებში) შეუთვალა — ქართველებისგან მოსვენება აღარა მაქვს, გამამწარეს და თავი მომაძულეს, მოდი, ქალაქს მოგყიდი. რაღა ქრისტიანებს ჩაუვარდეს ხელშიო; შენი მორჩილი ვიქნები და ორივესთვის კარგი იქნებაო. სალთუკს, ბუნებრივია, გაუხარდებოდა — ანისის დაპყრობა ხლათის მფლობელებისთვის მუდამ მიუღწეველ ოცნებად გადაქცეულიყო და ახლა,

აგერ, თვითონ სთავაზობდნენ, ხელის გაუნძრეველადა და სისხლის დაუღვრელად. რაღა გასაკვირია, რომ არ დააყოვნებდა და მაშინვე იქითკენ გაემართებოდა.

მაგრამ ტყუილად იჩქარა სალთუკმა. მისი სიხარულიც ნაადრევი გამოდგა.

სანამ გახარებული სალთუკი ანისს ჩავიდოდა, შადადმა დემეტრე მეფესთან აფრინა კაცი — ასე და ასეო, შეუთვალა, საცაა სალთუკი მოვა ქალაქის ხელში ჩასაგდებად და მომეშველეო.

ეტყობა, ესენი წინასწარვე მოლაპარაკებულები იქნებოდნენ.

ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ ალ-ფარიკისაევ ცნობით, ქართველი მეფე ამ დროს სულ ახლოს აღმოჩნდა, ანისიდან ერთი დღის სავალზე.

დემეტრე, ალბათ ნიშანს ელოდა — მყისვე დაიძრა თავისი ლაშქრით ანისისკენ, დაესხა მოულოდნელად თავს სალთუკს, მისი მხედრობა დაამარცხა (ეს ძნელი არც იქნებოდა, რაკიღა ხლათის მბრძანებელი ქალაქის მშვიდობიანად ჩასაბარებლად მოვიდა, დიდი ჯარი არც ეყოლებოდა), თვით სალთუკი შეიპყრო და მრავალ უბრალო ჯარისკაცთან ერთად, ტყვედ წამოიყვანა. მერე სალთუკის გამოსასყიდი 100.000 დინარი მიიღო ქართველმა მეფემ. ახლა იმასაც თუ გავითვალისწინებთ, ტყვედ ჩავარდნილი ჯარისკაცების გამოსასყიდს რამდენს მიიღებდა დემეტრე, ძნელი წარმოსადგენი აღარ იქნება, რა ზარალში ჩავარდებოდა ხლათის მბრძანებელი.

რა მოხდა? რატომ ასე გასწირა შადადმა მეზობელი და თავისივე რჯულის კაცი? ასე მწარედ რად მოატყუა? წყაროებში პირდაპირ მითითებული არ არის ამისი პასუხი. ალბათ, ქართველი მეფისგან რაიმე სამაგიეროს ელოდა და ეს დღეს ჩვენ არ ვიცით...

ის კი ცნობილია, რომ არსებობს საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტი, რაც ანისის მაშინდელ გამგებელს ალბათ, წააქეზებდა ღალატისთვის.

ანისის მფლობელ შადადს მართლაც ჰქონია საფუძველი შურისძიებისა.

ამის წინ თურმე შადადმა ქალიშვილი სთხოვა ცოლად სალთუკს და უარი მიიღო. ქალი სხვას მიათხოვეს... ასე რომ, შადიდი შეურაცხყოფილი იყო და სამაგიერო ასე არავაჟკაცურად გადაუხადა.

მაგრამ ეს იყო 1154 წელს, მანამდე კი ბევრი მნიშვნელოვანი რამ მოხდა.

როგორც ეტყობა, მტერმა ერთხელ კიდევ შემოუტია ქალაქ დმანისს და აიღო: სომეხი მემატიანის ცნობით, ქართველებს მესამედ მოუხდათ ამ ქალაქის გათავისუფლება. ასევე მოკლედ გადმოგვცემს მემატიანე — როგორ და რა ვითარებაში მოხდა ეს, ცნობილი არ არის. ისე კი დაახლოებით 1130 წლის მახლობლად უნდა მომხდარიყო.

●

როგორც ჩანს, ამაევ ხანებში მოხდა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი რამ, რაზედაც საგანგებოდ უნდა შეეჩეროთ მკითხველის ყურადღება. ეს უკვე საგარეო საქმეებს კი არ ეხება, მწვავე შინაპოლიტიკური საკითხია და მით უფრო საინტერესო და საგულისხმო, რამდენადაც იგი ფეოდალური საზოგადოებისთვის არის დამახასიათებელი.

თქვენ უკვე ხედებით, რომ საქმე ეხება ფეოდალების შინაბრძოლას სამეფო კარის წინააღმდეგ. იქნებ იმასაც გრძნობთ, რომ ამჯერადაც ორბელიანები გამოდიან მეფის წინააღმდეგ. ჩვენ ხომ მიეჩვიეთ ამას!

ძალიან ბუნდოვანია ის ამბავი, რასაც სომეხი მემატიანე ამ შემთხვევის შესახებ გადმოგვცემს. ივანე და აბულეთ ორბელიანებთან ერთად აქ ნახსენები არის მეფის ძმა ვახტანგი, ანუ ცვატა.

თქვენ ალბათ გახსოვთ დავით აღმაშენებლის ანდერძი, უფროს შვილს, დემეტრეს რომ უბარებს – თუ ღმერთმა ინებოს და ვარგიყოს ცვატა, შემდგომად მისსა (ე. ი. დემეტრეს შემდეგ) მეფე-ჰყოს მამულსა ზედაო.

რაკიღა ივანე ორბელიანს თავისი უფლებები შეკვეცილი მოეჩვენა და გულში მეფის ღალატი ამოიჭრა, ვახტანგი წააქეზა – რამდენ ხანს უნდა ელოდო ტახტს, ეს კაცი იქნებ სიკვდილს არც აპირებს, მოვკლათ დემეტრე და ტახტიც შენი იქნება და მთელი ქვეყანაც. ვითომ რითი არა ხარ ღირსი; ამით შენი სახელოვანი მამის ნებაც აღსრულდებაო...

ასე გაუადვილა საქმე.

პატიემოყვარეობას ისეთი თვისება აქვს, რომ წარჩინებულთა გულში უფრო ადვილად დაისადგურებს ხოლმე. ვახტანგის გულისკენაც ადვილად გაიკელია გზა...

და აი, შეთქმულებს ჩვენ ქალაქ დმანისში ვხედავთ. ალბათ, დმანისი ივანესა და აბულეთს ჰქონდათ ჩაბარებული მას შემდეგ, რაც

ისინი ანისიდან წამოიყვანა მეფემ (აქეე შეენიშნოთ: განაწყენებულიც იმიტომ იქნებოდა ივანე ორბელიანი, რომ მეფემ დიდი ქალაქი ანისი ჩამოართვა და კვლავ შადადიანებს გადასცა). შეთქმულების გეგმა, ეტყობა, ასეთი იყო: დმანისიდან ივანესავე ჯარით დედაქალაქისკენ გაემართებოდნენ, მეფეს მოკლავდნენ და ტახტზე აბრძანდებოდა ახალი მეფე — ივანე ორბელიანის მორჩილი და გამგონე...

მაგრამ მეფის მოკვლამდე აღარ მისულა საქმე. რაღაც მოხდა. ვერ ვიტყვით კონკრეტულად — რა; ივანეს ხომ მამა ჰყავდა აბულეთი, უკვე მოხუცი, მაგრამ, როგორც ეტყობა, აქტიური პიროვნება. საგულისხმოა, რომ მამა-შვილს თითქმის ყველა წყაროში ერთად მოიხსენიებენ ხოლმე. აშკარად ჩანს, ერთ პოლიტიკას ატარებდნენ და ერთად მოქმედებდნენ. და გაურკვეველი ის არის, მამამ, აბულეთმა, აქამდე არ იცოდა შეთქმულების ამბავი და ახლაღა გაიგო?

თუ იქნებ იცოდა, მაგრამ ახლა წამოუარა შიშმა და სიფრთ-ხილემ!..

საქმე საქმეზე რომ მიდგა და შეთქმულებს უკვე მოქმედება უნდა დაეწყოთ წინასწარ მოფიქრებული გეგმის მიხედვით, მოხუცი კაცი შვილს წინ დაუდგა და შეეხვეწა, მაგას ნუ იზამ, სიბერეს ნუ ჩამამწარებო. „შვილის წინაშე ჭაღარა გაიშალა და განზრახულის აღსრულება დაუშალაო“, სომეხი მემატიანე გადმოგვცემს. მერე როგორ წარიმართა საქმე, ცნობილი არ არის, მაგრამ, ჩანს, მამა იძულებული გამხდარა, მეფისთვის შეეტყობინებინა ყველაფერი.

მეფემ რომ გაიგო შეთქმულების ამბავი, დმანისს გაეშურა.

„აჰა, ჩემი ფეხით მოვედი, შემიპყარი!“ — დაცინვით მიმართა მეფემ დილეგში გამომწყვდეულ ივანე ორბელიანს.

ეტყობა, მეფის ერთგულმა ხალხმა ადრევე შეიპყრო მოღალატე.

ცბიერ ფეოდალს პასუხი მზადა ჰქონდა:

„არა, მეფეე, მე ხელთ მოგეცი შენი ძმა, რომელიც შენს ტახტს ეძიებს“.

ხელად გასწირა ივანე ორბელიანმა მასზე მინდობილი ძმა მეფისა...

ძნელი დასაჯერებელია, ორბელიანის სიტყვები ერწმუნოს მეფეს, მაგრამ, ეტყობა, უფრო ხელსაყრელი ეჩვენა, ამ რთულ თამაშში თვითონაც ჩარეულიყო. „ირწმუნა“ ივანე ორბელიანის სიტყვები. და ძმას თვალები გამოთხარა, შეთქმულების მთავარი მონაწილე ორბელიანი კი ამჯერად შეიწყნარა.

ისიც ძნელი სათქმელია, რატომ შეიწყნარა მეფემ ივანე

ორბელიანი, თუკი მალე მაინც მოსაკლავად ჰყავდა განწირული. ამის შემდეგ, ეტყობა, დიდი ხანი არ გასულა, რომ მეფემ იგი მოაკვლევინა. ვერაგულად მოაკვლევინაო, სომეხი მემატიანე გადმოგვცემს. ოღონდ, სანამ მოაკვლევინებდა, მოღალატე ფეოდალმა დიდი სამსახური გაუწია მეფესაც და ქვეყანასაც — გარნისზე გაილაშქრა და გარნისი აიღო.

ივანე ორბელიანს შვილი ჰყავდა — სახელად თირქაში. ეტყობა, ისიც კარგი მეომარი. გაიგო თუ არა მამის მოკვლის ამბავი, დაპკრა თირქაშმა ფეხი და ამირთ-ამირა შაჰ არმენთან გაიქცა. მე შენ გეტყვი, ძალიან შორს იყო სასულთნო-საამიროები და ადვილად ვერ მიაღწევდა! ან არა და, დიდი პატივით არ მიიღებდნენ ქართველი მეფის მოღალატე ქვეშევრდომს.

ხლათის მფლობელი შაჰ-არმენები, რომელთაც სამხრეთით ერცლად გადაჭიმული დიდი ტერიტორია ეჭირათ, თითქმის ყველაზე აქტიური ძალა იყო იმ საამირო-სასულთნოებს შორის, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ირგვლივ და მახლობლად აღმოცენდა. ისინი განსაკუთრებით თავგამოდებით იბრძოდნენ ანისისათვის. მათ სომხეთის მიწა-წყალი ეპყრათ და, ადვილად მისახვედრია, რომ არმენებად იმიტომ იწოდებოდნენ. სომხეთის ამ ძველი დედაქალაქისკენ „მიდრეკილებაც“ იმიტომ ჰქონდათ.

შაჰ-არმენმა მართლაც დიდი პატივით მიიღო ქართველი ფეოდალი, მოეფერა, დაუყვავა, დაასაჩუქრა, არშარუნის ქვეყანა მიუბოძა და... დიდი წაქეზება, მგონი, აღარც დასჭირვებია: ამ ქართველმა კაცმა თავისიივე ქვეყნის აოხრება დაიწყო, თანაც „დიდის თავგამოდებითო“, სომეხი მემატიანე გვაუწყებს. პროტესტისა და შურისძიების უკეთესი საშუალება ვერ მოიგონა ულირსმა მამულიშვილმა, თავისი სამშობლოს მტერს დაუდგა სამსახურში და მტრისავე მხედრობითა და იარაღ-საჭურველით საკუთარი ქვეყნის აოხრებას შეუდგა, საკუთარი სოფლები არბია, საკუთარი ხალხი ჟლიტა.

ასეთივე სურათი, განსხვავებულ სიტუაციასა და ვითარებაში, ჩვენ ამასწინათაც ვიხილეთ, წინა საუკუნეებში... მომდევნო საუკუნეებშიაც ვნახავთ.

ტიპიური სურათია ფეოდალური საზოგადოების ცხოვრებისა...

დიდხანს გაგრძელდა ფეოდალიზმის ეპოქა. ბოლო არ უჩანდა თავაშვებული და გაპარპაშებული ფეოდალების ურთიერთბრძოლას, ბრძოლას ქვეყნის გაძლიერებისა და ცენტრალიზაციის წინააღმდეგ, საკუთარი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ ბრძოლას,

სამშობლოსა და მშობლიური ხალხის ინტერესების არადჩაგდებასა და უგულებელყოფას...

ერთი სიტყვით, თირქაში გაიქცა და შაპ-არმენს შეეხიზნა, შაპის წაქეზებით დაიწყო მოქმედება.

რამდენ ხანს აოხრა ასე მშობელი ქვეყანა და მშვიდობიანი მოსახლეობა მეფეზე გულმოსულმა დიდებულმა, ცნობილი არ არის. იმას კი პირდაპირ გადმოგვცემს სომეხი მემატიანე, რომ დემეტრე მეფემ საბოლოოდ შეიპყრო ეს ქვეყნის მარბეველი კაცი და საპყრობილეში ჩააგდო.

მეფეს თითქოს დამშვიდებისა და თავისუფალი მოქმედების საშუალება მიეცა: მთავარი მტერი ხომ ადრეევე მოაკელეეინა, შვილი იმისი — თირქაში — აგერ, საპყრობილეში ჰყავს... ამით თითქოს ფესვებიც ამოთხარა იმ შეთქმულებისა და მოისვენა.

არა. ივანე ჯავახიშვილი წერს: „დემეტრე I-ის მეფობის მთელს განმაელობაში 1130 წელს გამომჟღავნებული შეთქმულების ანარეკლი მაინც ჩანდა და ეს, რასაკვირველია, ბორკავდა დემეტრე I-ის საგარეო მოქმედების თავისუფლებას და მტრების წინააღმდეგ ბრძოლას უნელებდა“.

თქვენ უკვე გრძნობთ, რომ შეთქმულება კიდევ მოუწყვიათ მეფის წინააღმდეგ.

მაგრამ როდის? რა შეთქმულება? ვინ მოუწყო? რა ვითარებაში?

აბა, ისევ იმ ჩვენს მწირ ცნობებს ჩავხედოთ.

რამდენ ბნელით მოცულ ამბავს მოპფენს ხოლმე ნათელს სულ რამდენიმე სიტყვისგან შემდგარი ფრაზა!

„ქორონიკონსა: ტო: დასაბამითგან: ხღნდ: აქა დავით დემეტრეს გაადგა“, — ეკითხულობთ ერთ ძველ ქართულ ქრონიკაში და ქრონიკის გამომქვეყნებელი თედო ჟორდანია იქვე გვაძლევს განმარტებას: „ესე იგი, ძე მეფის დემეტრესი 1150 წელს „გაადგა“ (გადაუდგა) ანუ აუჯანყდა მეფეს, თავისს მამას“.

და მეტი არაფერი... ახლა ჩვენ უნდა ვარკვიოთ, რა მოხდა, რატომ გადაუდგა და აუჯანყდა შვილი მამას. ან მერე რა მოხდა, რა მოჰყვა ამ აჯანყებას.

მაგრამ, როგორც ითქვა, ქართული წყაროები ამაზე დუმს: დემეტრეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორია სულ რამდენიმე ზოგადი ფრაზით არის გადმოცემული.

სხვა წყაროების, უმთავრესად სომხური წყაროების, მოშველიებით ხერხდება სინამდვილის აღდგენა.

რაკი შეთქმულებაა, უნებურად გაგვახსენდება ორბელიანთა საგვარეულო, თითქოს წარმოუდგენელი გახდა იმათი მონაწილეობის გარეშე მეფის წინააღმდეგ დიდი შეთქმულება.

ეს შეთქმულება კი გაცილებით დიდი ყოფილა. მაგრამ იოანე ორბელიანი ამ დროს უკვე აღარ არის, იგი, როგორც ვიცით, დიდი ხნის წინათ მოაკვლევინა მეფემ, — მისი შვილი თირქაშიც საპყრობილეში ჰყავს დემეტრეს და, ამდენად, შეთქმულებაში ვერც ის გაერეოდა. ეტყობა, უფლისწულმა სხვა დიდებულები მიიმხრო, თანაც ბევრნი. ალბათ საეგებიოდ არ მიაჩნდათ საქმე, გამარჯვების სრული იმედი ჰქონდათ, საალალბედოდ ხომ არ გაიხდიდნენ საქმეს!.. მაგრამ მოტყუვდნენ.

ჯერ ის ვიკითხოთ, რატომ უნდა მოეწყო შეთქმულება უფლისწულს მამის წინააღმდეგ? რა კონკრეტული მიზეზები ჰქონდა ამისა? საშინელი ღალატისთვის რამ წააქეზა?

დემეტრე მეფეს ორი ვაჟი ჰყოლია — დავით და გიორგი. დავითი უფროსია, ესე იგი, ტახტის კანონიერი მემკვიდრეა...

რომ უფრო გაგვიადვილდეს თვალის მიდევნება, პატარა სქემა მოვხაზეთ:



ამრიგად, დავით აღმაშენებელს ორი ვაჟი დარჩა — დემეტრე და ვახტანგი (ცვატად წოდებული): ცვატა უშვილოდ გადაეგო. ჩვენ უკვე ვიცით, როგორ დასაჯა იგი მეფემ შეთქმულებისთვის. დემეტრე პირველს, როგორც ითქვა, ორი ვაჟი ჰყავს — დავითი და გიორგი.

არსებული წესის მიხედვით, ტახტის მემკვიდრეობა უფროს შვილზე გადადის, ასე მოდის ეს ჩვენში მეცხრე საუკუნიდან. ამდენად, სავსებით კანონიერი იყო დემეტრეს გამეფება, რადგან იგი დავით

აღმაშენებლის უფროსი შვილია (ვახტანგი რომ დაიბადა, დემეტრე უკვე 24 წლის ვაჟკაცი იყო); მემკვიდრეობითი უფლების მიხედვით, ასევე კანონიერი იქნება, დემეტრე პირველის შემდეგ სამეფო ტახტზე მისი უფროსი შვილი, მისი პირმშო, დავითი აეიდეს.

მაგრამ ამ წესის დარღვევა თვით გვირგვინოსან მეფეებს განუზრახავთ — ჯერ დავით აღმაშენებელს და მერე მის შვილს — დემეტრეს. თქვენ ალბათ გაგონდებათ დავით აღმაშენებლის ანდერძში ის უცნაური ფრაზა: მეფე თავის მემკვიდრეს დემეტრეს მიმართავს — ცვატა რომ გაიზრდება, თუ ღმერთმა ინებოს და ვარგ-იყოს, ტახტი მას გადაეცეო. ცვატა უწლოვანი იყო (შვიდი წლისა), როცა დავითი გარდაიცვალა; და მამამ რომ სიკვდილის წინ უმცროსი შვილი უფროსს ჩააბაროს, ამაში უცნაური და არაჩვეულებრივი არაფერია. არაჩვეულებრივი ის არის, რომ იგი ტახტს უანდერძებს უმცროს შვილს და ამით არსებულ წესს თვითონვე არღვევს: მემკვიდრეობითი უფლების მიხედვით, ტახტი დემეტრეს ეკუთვნის, ხოლო დემეტრეს შემდეგ მის უფროს ვაჟს (დავითს) და არა ძმას!

თვითონ დავით აღმაშენებელს დაურღვევია წესი.

და ამჯერად წესს არღვევს დავითის შვილიც — დემეტრე პირველი. აქ მამის ანდერძის დარღვევას კი არ ვგულისხმობთ (დემეტრემ მამის ანდერძი დაარღვია: ტახტის დათმობა უმცროსი ძმისთვის — ცვატასთვის — არც უფიქრია), არა, აქ იმას ვგულისხმობთ, რომ მის გულშიაც უმცროსი შვილის სიყვარულს უმძლავრია. გიორგი ჰყვარებია გამორჩეულად („მარჩეველი ძისა უმცროსისაო", შემდეგი დროის მემატიანე წერს) და გადაუწყვეტია გიორგისთვის გადაეცა ტახტი. ეს, რაღა თქმა, უნდა, უფროსი ძის დავითის საზიანოდ უნდა მომხდარიყო. და ამანვე წააქეზა უფროსი შვილი, „გასდგომოდა" მამას.

ამჯერადაც დამარცხდა შექმულება, მეფემ გაიმარჯვა და მკაცრადაც დასჯა შეთქმულნი:

„...ამოსწყვიდნა ამის სამეფოსა დიდებულნი, რომელნიმე ექსორია ქმნილნი, რომელნიმე სიკუდილითა და რომელნიმე განპატიჟებითა".

ზოგი სიკვდილით დაუსჯია, ზოგი გაუძევებია, ზოგისთვის სხვადასხვაგვარი სასჯელი დაუდვია.

ბევრნი ყოფილან შეთქმულნი.

შვილი დაუნდვია მეფეს, დანაშაული უპატიებია...

იქნებ გულმოწყალებითა და მამობრივი სიყვარულით არ მოსელია ეს, იქნებ იძულებული გახდა, ასე მოქცეულიყო.

ასეთი დაეჭვების საფუძველს გვაძლევს მომდევნო ამბები.

როგორც ვნახეთ, შეთქმულება მეფის წინააღმდეგ 1150 წელს მოეწყო, მეფემ გაიმარჯვა.

ამის შემდეგ დიდ ხანს არ გაუვლია, გავიდა სულ ოთხიოდე წელი, ის იყო ანისისთვის გამართულ ზემოთნახსენებ ბრძოლაში ხლათის მმართველ სალდუხის წინააღმდეგ მეფემ გაიმარჯვა... და მალე ამ ამბების შემდეგ დემეტრე პირველს დავით გარეჯის მონასტერში ვხედავთ. არა როგორც მეფეს, უძველესი მონასტრის მოსანახულებლად მისულს, არამედ როგორც მონაზონს, რომელსაც დემეტრე კი აღარ ჰქვია სახელად, არამედ ძმა დანიელი.

მკითხველისთვის ალბათ საინტერესო იქნება ერთი საგულისხმო ფაქტი. დემეტრე პირველის პორტრეტი გამოსახული ყოფილა დავით გარეჯის მონასტრის კედელზე. და იქნებ სწორედ ამ დროს შეიქმნა ის პორტრეტი, როცა მეფემ საერო ცხოვრება დათმო და ბერის ჩოხით შემოსილმა დავით გარეჯის უდაბნოს მიაშურა, როგორც ღვთის მონამ. ჩვენს მონასტრებში ხომ მწერლები და მხატვრები მუდამ მოღვაწეობდნენ. დიდხანს არსებულა ეს პორტრეტი — ანტონ კათალიკოსისა და პლატონ იოსელიანის დროსაც — ლამის შეიდირვა საუკუნე, და მერე გამქრალა — ან ახალი საღებაკის ქვეშ მოჰყვა ან ჩამოინგრა[1]...

ამრიგად, მეფე ბერად აღიკვეცა (იქნებ ხლათის მმართველ სალდუხის ტყვეობიდან გათავისუფლებაც ამ მოვლენას უკავშირდებოდეს).

და საგულისხმო ის არის, რომ სამეფო ტახტზე ავიდა არა მეფის საყვარელი და გამორჩეული შვილი გიორგი, არამედ უფროსი ვაჟი დავითი, რომელმაც ამას წინათ ისეთი დიდი შეთქმულება მოაწყო მეფის წინააღმდეგ.

დავითის მეფობა ძალიან ხანმოკლე გამოდგა. ერთი წყაროს მიხედვით, მხოლოდ ერთი თვე უმეფია, მეორე წყაროს მიხედვით

---

1. დემეტრე პირველის სახე მაინც შემოუნახავს ერთ ფრესკას. ზემო სვანეთის მაცხვარიშის ეკლესიის ერთ-ერთ კედელზე ნაჩვენებია დემეტრეს მეფედ კურთხევის მომენტი: არსებული წესის მიხედვით, ახალგაზრდა მეფეს ხმალს აბამენ ერისთავები; სწორედ ასეთი წარწერა აქვს ნახატს „ხრმალს აბმენ დავითისსა ერისთავნი". წარწერითვე ვგებულობთ, რომ მხატვარი მიქაელ მაღლაკელი ყოფილა („მოიხატა საყდარი ესე მეფობასა დემეტრესა წელსა: ეე: ხელითა მაღლაკელისათა".

„ეს ერთი იშვიათი შემთხვევათაგანია, როცა ქართული კედლის მხატვრობის ნაწარმოები ხელმოწერილი და დათარიღებულია ავტორის მიერ", წერს ვახტანგ ბერიძე.

— ორი წელიწადი, უფრო სარწმუნოა შემდეგი დროის ქართველი მემატიანე — დავითს 6 თვე უმეფია. და ამიტომ დასაძრახი არც არის, რომ სასახელო ვერაფერი გაუკეთებია, უფრო ობიექტურნი ვიქნებით, თუ ვიტყვით, ვერაფრის გაკეთება მოუსწრია, მნიშვნელოვანი არაფერი უკავშირდება მის სახელს მისსაევე ზეობის დროს.

რა პირობებში მოხდა დემეტრეს ბერად აღკვეცა და დავითის გამეფება, ეს საკითხი ბურუსით არის მოცული. ასეთი ვარაუდის საფუძველი კი გვაქვს: ეტყობა, აიძულეს დემეტრე, ბერად აღკვეცილიყო და ტახტი უფროსი შვილისთვის დაეთმო, ჩანს, ამჯერადაც შეთქმულება მოაწყვეს და უსისხლოდ გადაწყვიტეს ყველაფერი.

პირველ ხანებში — უსისხლოდ... რადგან სულ მალე, ექვსიოდე თვის შემდეგ, დავითი მოულოდნელად გარდაიცვალა და ტახტზე ავიდა ისევ დემეტრე, რომელმაც ბერის ჩოხა გაიხადა და პორფირით შეიმოსა, ხელში კვლავ სამეფო სკიპტრა დაიჭირა.

ღმერთმა შეისმინა დემეტრეს ვედრება და დავითს სიცოცხლის დღეები შეუმცირაო, შემდეგი დროის მემატიანე ცდილობს დაგვარწმუნოს; და რა გვეთქმის, ღმერთს მართლაც შეუძლია, როცა მოისურვებს, მაშინ წაიყვანოს ამქვეყნიდან სამარადისო სიცოცხლისთვის თავისივე გაჩენილი ადამიანი. მაგრამ ამ შემთხვევაში მიწიერი ძალის დაუხმარებლად, ეტყობა, არ მომხდარა ეს. მით უმეტეს, მემატიანისაევე სიტყვები ღვთის მიმართ დემეტრეს ვედრების შესახებ უნებურად დაგაეჭვებს ადამიანს. სომეხი მემატიანე ვარდან დიდი წერს...

მაგრამ ჯერ ერთი ფაქტი გავიხსენოთ, რომ უფრო გასაგები იყოს ყველაფერი.

ზემოთ ითქვა, თავისი ხანმოკლე მეფობის დროს დავითმა ვერაფრის გაკეთება მოასწროო.

ეს არ არის მთლად მართალი და ზუსტი.

დავითს მოუსწრია, მაგალითად, საპყრობილიდან გამოეყვანა თირქასი, ივანე ორბელიანის შვილი (რომელიც თავის დროზე დემეტრემ შეიპყრო) და მისთვის ამირსპასალარობა მიებოძებინა. ტყვედქმნილი და პატივაბდილი კაცი, სამშობლოს მოღალატე, თავისივე მამის მტერი, ერთბაშად ასე აუმაღლებია. ეს არ ყოფილა უბრალო პატიება და გულმოწყალება. საპყრობილიდან გამოიყვანა და ამირსპასალარობა მიუბოძა, ლამის უმაღლესი თანამდებობა მისცა, ამოდენა ლაშქარი ჩააბარა, გვერდში ამოიყენა.

მაგრამ ამირსპასალარობაზე პრეტენზია ორბელიანების მეორე

შტოს ჰქონდა — ივანესა და მის შვილს სუმბატ ორბელიანებს, იმათ ჰპირდებოდა დემეტრე მეფე ამ მაღალ თანამდებობას, ისინი ემზადებოდნენ საამირსპასალაროდ. თირქაში მაშინ საპყრობილეში იყო და არც უფიქრიათ, ის თუ გადაეღობებოდა გზაზე... ამიტომ თირქაშის გაამირსპასალარება, ბუნებრივია, საწყენად დარჩებოდა იმ მეორე შტოს — ივანესა და სუმბატს. უბრალო წყენა არაფერი, პატივმოყვარე და მაღალი თანამდებობისთვის გამზადებული კაცი წყენას რას დაყაბულდება... და სომეხი მემატიანე ვარდან დიდი სწორედ იმას გადმოგვცემს, რომ დავით მეფეს სიცოცხლე მოუსწრაფეს სუმბატმა და ივანემ (ოღონდ ასე დაბეჯითებით კი არ გადმოგვცემს სომეხი მემატიანე — სიფრთხილეს ხმარობს და იქვე დასძენს: „ზოგიერთის თქმითაო"), რადგან ამირსპასალარობას ესენი ელოდებოდნენ, თუკი ტახტზე დავითის მაგივრად მისი უმცროსი ძმა გიორგი ავიდოდაო.

ახლა დავითი უკვე ცოცხალი აღარ არის და მეფის გამორჩეულ შვილს აღარაფერი დაბრკოლება არ უნდა გადაეღობოს მართლაც. დაჯდა თუ არა მეორედ ტახტზე დემეტრე, ბევრი აღარ დაუყოვნებია და თავისი უმცროსი, საყვარელი შვილი გიორგი მეფედ აკურთხა, თანამოსაყდრედ დაისვა — „მამამან ძითურთ ძე ტკბილი, შემგუარი მამისა, აღამაღლა თავისა თანა და ძისა სწორად მოსაყდრედ გამოაჩინა"...

ან თირქაშს რა მოუვიდა, ან მის მეტოქე სუმბატსა და ივანეს, ამას ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, როცა ახალი მეფის გიორგი მესამის ზეობაზე გვექნება საუბარი. ახლა დემეტრეს ამბავი ჩავათავოთ, რადგან მისი სიცოცხლე უკვე დასასრულს მიუახლოვდა.

აკურთხა დემეტრემ უმცროსი შვილი გიორგი მეფედ და დიდხანს აღარც უცოცხლია, 1156 წელს გარდაიცვალა. სიკვდილმა მას ბელტის ციხეში მოუსწრო. დაკრძალეს გელათში, რომლის მშენებლობა მასვე დაუმთავრებია. როგორც ვიცით, გელათის აშენება დავით აღმაშენებელმა 1106 წელს დაიწყო და ვერ დაასრულა. ამას თვითონვე გვაუწყებს თავის ანდერძში. ამასვე ადასტურებს ერთი ქრონიკა, რომელიც თედო ჟორდანიამ გამოაქვეყნა: „წელსა ჩრლ (ე. ი. 1130 წელს): დავით აღმაშენებელმან გელათი აღაშენა".

„სჩანს, დიმიტრის, 1130 წელს სრულად გაუთავებია გელათის აღშენება, — შენიშნავს თედო ჟორდანია, — მექრონიკეს ალბათ საბუთი ჰქონდა, რომ ეს მომხდარა 1130 წელს", და იქვე: „მეფეს (დავით აღმაშენებელს) თავისსავე სიცოცხლეში ყველაფერი მოუ-

მზადებია გელათის შემკობისათვის და თითქმის შეუსრულებია, მცირე რამ დაჰკლებია, რომლის შესრულება ანდერძად დაუდვია დიმიტრისთვის... თვით მეფის (დავითის) დროსვე გელათი თითქმის შესრულებული ყოფილა და შიგ ბერებიც ცხოვრებულან".

აქვე გავიხსენოთ ერთი ფაქტი. ჯერ ეს იქნებ უმნიშვნელო გეჩვენოთ — სადღეისო ამბებთან თითქოს არაფერი კავშირი აქვს. მაგრამ შემდეგ დაგეჭირდება, ახლო მომავალში და ჯობს ახლავე დავიხსომოთ. დემეტრეს უფროსი შვილი დავითი რომ მოკვდა (თუ მოკლეს) იმ მეტად ხანმოკლე მეფობის შემდეგ, მას დარჩა მცირეწლოვანი მემკვიდრე, სახელად დემეტრე (პაპის სეხნია ყოფილა), რომელსაც საალერსოდ თურმე დემნას ეძახდნენ (თუმცა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, დიდი ალერსი და განებივრება არ ღირსებია არც ბედისგან და არც ახლობელი ადამიანებისგან) და ჩვენც ამ სახელით დავიხსომოთ, რათა შემდგომ პაპაში არ აგვერიოს.

ახლა კი ჩვენს ამბავს მივყვეთ.

ოცდაათ წელზე მეტს იმეფა დემეტრე პირველმა და ვერ ვიტყვით, რომ დამშვიდებული ზეობა ჰქონოდეს. სამწუხაროდ, დემეტრეს თავისი მემატიანე არა ჰყოლია, თორემ საშუალება გვექნებოდა. უფრო ახლოს გაგვეცნო თვით მეფისა და მთელი ჩვენი ხალხის მაშინდელი ცხოვრება. ჩვენამდე მოღწეული მწირი ცნობების მიხედვით დემეტრე „უფრო იგერიებდა მტერს, ვიდრე დავით აღმაშენებელსავით თვით მიჰქონდა მტერზე იერიშიო". ივანე ჯავახიშვილი წერს. „უფრო მეტადო", რადგან ზოგჯერ თვითონაც გაულაშქრია.

არსებობს თვალსაჩინო მოწმე იმისა, რომ ქართველ მეფეს წარმატებით გაულაშქრია განძისაკენ. ეს „მოწმე" დიდი რკინის კარია, რომელსაც ახლაც ნახავთ გელათის ტაძრის ეზოში, ძველ შესასვლელთან, სადაც დავით აღმაშენებლის საფლავის დიდი ქვა დევს. კედელზეა მიყუდებული ეს დიდი რკინის კარი, თითქოს დაღვრემილი და ძველ ელვარებადაკარგული. ორი წარწერა ჰქონია ამ კარს — ერთი არაბული, რომელიც გვამცნობს, რომ იგი გაჭედილი ყოფილა 1062 წელს. რაღა თქმა უნდა, ქალაქის გამაგრების მიზნით. ქართული წარწერა გვამცნობს ქართველთა ძლევამოსილი ლაშქრობის ამბავს, რის აღსანიშნავადაც ეს კარი წამოუღიათ.

ამჟამად უკვე აღარა ჩანს ეს წარწერა კარზე. გადაშლილია, თავის დროზე მარი ბროსეს წაუკითხავს და გადმოუღია, მაშინაც დაზიანებული ყოფილა. და თედო ჟორდანია, რომელმაც თავის „ქრონიკებში" დაბეჭდა იგი, ასე აღადგენს: „...მეფემან დიმიტრი...

ნანი (რანი?) დაარღვია და ეს კარი მუ (ნით მოიტანა) წელსა მეფობისასა (მისისა?); ი გ (ე. ი. 13), ხოლო დასაბამითგან (ხ ღ?) მ (ბ)".

საგანგებოდ შევაჩერეთ ყურადღება ამ წარწერაზე. ხალხში ფართოდ არის გავრცელებული თქმულება იმის შესახებ, რომ ეს დარუბანდის კარია, დავით აღმაშენებლის მიერ ჩამოტანილი, დარუბანდის მხარეს მისი ძლევამოსილი ლაშქრობის სამახსოვროდ. სინამდვილეში ასე არ გახლავთ. ეს განძის კარია, ქართველთა 1139 წლის გამარჯვების აღსანიშნავად წამოღებული.

საფუძველს მოკლებული არც ის ფართოდ გავრცელებული თქმულება ყოფილა. ამის შესახებ, აი, რასა წერს თედო ჟორდანია:

„ამ კარს (იგულისხმება ჩვენს მიერ უკვე ნახსენებ განძის კარს) შეცდომით უწოდებენ „დერბენტის" კარად. მაგრამ ეს იმისი მომასწავებელი როდია, ეითომ სიცრუეე იყოს თქმულება იმაზე, რომ გელათში მართლა დაცული იყო დარუბანდის რკინის კარი, რომელიც დავით აღმაშენებელს... დერბენდის შემუსვრის შემდეგ, გელათში გადმოუტანინებია „სახსენად და სამადლობლოდ ღვთისა ძლევისა მისთვის". გელათში ორი რკინის კარი ყოფილა დაცული და ორივე „დარუბანდის კარებად" იწოდებოდა. ერთი მათგანი, უმძიმესი, როგორც იტყვიან, რკინის მასალად უქცევიათ და გელათის მონასტრის განსაახლებლად მოუხმარებიათ".

●

შეიძლებოდა აქვე მოგვეტანა უცხოელი ისტორიკოსის კიდევ ერთი არცთუ უმნიშვნელო ცნობა, რომელიც პირველად ქართველმა მეცნიერმა ვლადიმერ ფუთურიძემ გამოაქვეყნა 1943 წელს, ზემოთ გაკვრით ვახსენეთ ეს ფაქტი. ცნობილი არაბი ისტორიკოსი ალ-ფარიკი 1153 წელს სტუმრად ყოფილა საქართველოში, მეფე დემეტრეს კარზე, ალბათ დიპლომატიური მისიით. მეფეს, ეტყობა, წესად ჰქონდა, დროდადრო თავისი ვრცელი სახელმწიფო შემოევლო, საკუთარი თვალით ენახა, სად რა ხდებოდა, სად რა მდგომარეობა იყო... ამჯერადაც უცხოელ მოგზაურთან ერთად, დემეტრეს მთელი სამეფო მოუვლია და ამას 70 დღე მოსდომებია.

უცხოელი ისტორიკოსი, სამწუხაროდ, ძალიან მოკლედ გადმოგვცემს ამ გრძელი და საოცარი მოგზაურობის ამბავს. არადა, საინტერესო იქნებოდა სწორედ უცხოელი კაცის თვალით დანახული

საქმიანი მოგზაურობა მეფისა თავისივე სახელმწიფოში, მისი შეხვედრები ქვეშევრდომებთან — ადგილობრივ ხელისუფლებასთან, ცალკეულ ფეოდალებთან, უბრალო ხალხთან... უცხოელი კაცის თვალით დანახული მისი ადამიანური ღირსებანი თუ სისუსტეები... ჩვენი ხალხის მაშინდელი ყოფა... ამ მოგზაურობის დროს საინტერესოა ერთი ეპიზოდი, რომელსაც ისტორიკოსი გადმოგვცემს.

ერთ ქალაქში, ახლაც კი, 1153 წელს, საპყრობილეში ჰყოლიათ დიდგორის ბრძოლის დროს შეპყრობილი ტყვე. მეფე შეპპირებია სტუმარს, ხვალ შეგახვედრებ ამ ტყვესო, მაგრამ იმ ღამეს რაღაც ამბავი შეატყობინეს დემეტრეს და იძულებული გამხდარან სასწრაფოდ გამომგზავრებულიყვნენ. ამ გრძელი მოგზაურობის დროს, რაღა თქმა უნდა, თბილისშიც იყვნენ, და არაბი მოგზაური და ისტორიკოსი ჰყვება, როგორ შესულა მეფე მიზგითში და „დაუკაკუნია თავისი ალაგი მაღალ სკამზე ხატიბის პირისპირ". როცა გამოდიოდნენ, მეფეს 200 დინარი შეუწირავს მიზგითისთვის. დემეტრე პირველი დიდი ყურადღებით და პატივისცემით ექცეოდა მეცნიერებსო. ადგილობრივ მუსლიმანებს უამბნიათ ფარიკისთვის, მეფე ისეთი პატივისცემით გვეპყრობა, რომ ასეთ მოპყრობას ბაღდადშიაც ვერ იხილავთო.

ზემოთაც ითქვა, მეფის ასეთი პოლიტიკა, რელიგიური შემწყნარებლობა და სხვა რჯულისა და ხალხის მიმართ მოკრძალება-პატივისცემა იმ კურსის ერთგულად დაცვა და გაგრძელებაა, რასაც მისი სახელოვანი მამა მტკიცედ ატარებდა.

ჩვენი მონათხრობი დემეტრე პირველზე სრული არ იქნებოდა, კიდევ ერთი საინტერესო და საგულისხმო ფაქტი რომ არ აღგვენიშნა.

დემეტრე პირველი შესანიშნავი პოეტი ყოფილა. ეს დიდებული ლექსი და საგალობელი დემეტრეს ეკუთვნის — „შენ ხარ ვენახი, ახლად აღყუავებული, მორჩი კეთილი, ედემში დანერგული, ალვა სულნნელი, სამოთხით გამოსრული, ღმერთმან შეგამკო, ვერაკინ გჯობს ქებული, და თავით თვისით მზე ხარ განბრწყინვებული".

როცა ამ დიდებულ სტრიქონებს ვკითხულობთ, თითქოს ყურში ჩაგვესმის ის კეთილშობილი ბგერებიც, რომლებიც სიტყვებისგან განუყრელია და ავტორსაც ალბათ, ერთდროულად შეუქმნია.

რვაას წელზე მეტია, მოდის დიდებული საგალობელი, თაობიდან თაობას გადაეცემა ხოლმე, და დღესაც იმავე ძალით გვხიბლავს, გვამაღლებს, გვასპეტაკებს, გვაოცებს, როგორც ხიბლავდა, ასპეტაკებდა და ამაღლებდა მრავალ თაობას, სულ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა სიტუაციასა და პირობებში... ეს ლექსი და საგალობელი

კარგად ცნობილია და ჩვენში ალბათ ბევრმა ისიც იცის, რომ იგი დემეტრეს ეკუთვნის. მაგრამ ყველასთვის ცნობილი იქნება ის არ იყოს, რომ ჩვენამდე მოაღწია კიდევ რამდენიმე ლექსმა დემეტრე მეფისა — მაღალი პოეზიის შესანიშნავმა ნიმუშებმა. ეს ლექსები დაბეჭდილია ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიებში და დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია წაიკითხოს, აქ აღარ მოვიტან. მაგრამ არ შემიძლია მათგან არ გავიხსენო ერთი, რომელსაც მარტო დიდებულ ლექსს ვერ უწოდებ, იგი საოცარიც არის. საოცარია თავისი მარადიული თანამედროვეობით, დიდი ფილოსოფიური სიღრმითა და მსუბუქი, გამჭვირვალე იუმორით, კლასიკური დახვეწილობითა და ხალხური სისადავით...

ცასა ბეწვითა ეკიდა, ვნახე, კაცი,
და მასვე კაცსა შუბის წვერსა ედგნეს დარბაზნი,
მუმლსა ზედა ჯდა, მინდორს სდევდა ქურციკთა, —
და ზღუასა ზედა მოარბევდა ცხენითა,
და ესრეთ ღაღადებდა: ღმერთო, შენ კურთხეულ ხარ!

ალბათ რამდენი ქართული ზღაპარი მოგაგონათ ამ ლექსმა და სიხარულის ღიმილი მოგგვარათ. სწორედ იმაშია მისი სიდიადე, რომ ხალხური საფუძველი აქვს...

კითხულობთ დემეტრეს ამ საოცარ ლექსებს, დავით აღმაშენებლის დიდებულ ქმნილებას და უნებურად გაგონდებათ ამათი თანამედროვე ევროპელი გვირგვინოსნის (გერმანიის იმპერატორი ჰენრი მეოთხე) მემატიანის სიამაყითა და ერთგვარი ნიშნისმოგებით დაწერილი სიტყვები — ჩვენმა იმპერატორმა ისე კარგად იცის კითხვა, რომ სხვებისგან მოწერილ წერილებს, წარმოიდგინეთ, თვითონვე კითხულობს და აზრიც გამოაქვსო; ხოლო ცოტა უფრო წინა დროის გვირგვინოსანმა კარლოს დიდმა ვერა და ვერ ისწავლა ყველა ასოს გამოყვანა და სამარეში ისე ჩავიდა, წერა-კითხვა არ იცოდა.

დემეტრე მეფის ლექსებზე როცა ვლაპარაკობთ, შეგვიძლია ისიც გავიხსენოთ, რომ მისთვისაც მიუძღვნიათ ლექსები და საინტერესო ისაა, რომ ამ ლექსების ავტორები შირვანელი პოეტები არიან — მისივე თანამედროვენი.

ერთი პოეტის — ხაკანის — ოდისა მხოლოდ 12 სტრიქონი შემორჩენილა და ამ სტრიქონებით ეგებულობთ: შირვანელი პოეტი ქართველ მეფესა სთხოვს, შენს დასთან, თამართან, და სიძესთან — შირვან

შაპ მანუჩ-იპრისთან მიშუამდგომლეო. თქვენ ალბათ გახსოვთ, რომ დაეით ალმაშენებელმა თავისი ქალი, დემეტრეს და, შირვან შაპს ფაპრ-ად-დინ მანუჩიპრ მეორეს მიათხოვა 1116 წელს.

მეორე ლექსი, რომელიც ფალაქი შირვანს ეკუთვნის, უფრო სევდიანია. იგი შეთხზულია ქართველი მეფის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. ჩვენთვის იმითაა საინტერესო, რომ მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის — დემეტრე პირველი სამოცდასამი წლისა გარდაცვლილა (ამ ანგარიშით, იგი 1093 წელს დაბადებულა). ეს ლექსები თავისთავად ქართველი მეფის პოპულარობაზე მეტყველებენ.

ქართულად არსებულა შესხმა-მოთხრობა, რომელიც „ალმოაჩენს დიმიტრისა, მხნესა ხდომათა შინა და მძლესა ბრძოლასა წინა". თამარ მეფის ისტორიკოსის ცნობით, იგი გამოჩენილ ქართველ ფილოსოფოსს იოანე ჭიმჭიმელს ეკუთვნოდა, მაგრამ დაკარგულა ეს თხზულება, ჩვენამდე არ მოუღწევია.

მეტი თითქმის აღარაფერია ცნობილი დემეტრე პირველის პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწეობის შესახებ. ეს ძუნწი ცნობებიც სხვადასხვა წყაროდან არის ამოკრეფილი — ზოგი საიდან და ზოგი საიდან. უნდა ვიეარაუდოთ, ალბათ არსებობდა მისი ცხოვრების წიგნიც და მერე დაიკარგებოდა. ისევე როგორც დაიკარგა მისი სხვა ლიტერატურული თხზულებანი. დაუჯერებელია, ამ ლექსების ავტორს სხვა ლექსებიც არა ჰქონოდა. მაგრამ ჯერჯერობით არა ჩანს. ჩვენც ამით დავამთავროთ ერთი თავი ჩვენი გრძელი მოთხრობისა და ვნახოთ, რა მოხდა 1156 წლის შემდეგ. ანუ იმ დროიდან, როცა დემეტრე პირველი გარდაიცვალა და ქვეყნის ერთმმართველად მისი უმცროსი შვილი გიორგი მესამე დარჩა.

თავი V

გიორგი მესამის მეფობა ✦ ანისი! ანისი! მრავალბრძოლაგადახდილი,მრავალტანჯული,ათასჯერ დანგრეული და კვლავ აშენებული,ათასჭირგამოვლილი. არ ფყდება ჩვენი მეზობელი ხალხის მარად ახალგაზრდა დედაქალაქის განთავისუფლებისათვის ბრძოლა – ანუ მუდმივად მტრის განდევნა მეზობელი ქვეყნიდან ✦ დიდი შეთქმულება ქართველი მეფის ფინაალდეგ, რასაც გიორგი III სასტიკად გაუსწორდა – მთელი ორბელიანების საგვარეულო დედა-ფულიანად გაჟლიტეს, ხოლო თავის ძმისწულ დემნას თვალები დათხარეს და დაასაჭურისეს, რის შემდეგაც იგი მალე გარდაიცვალა ✦ გიორგი მეფემ ორგული დიდგვარიანი ვაზირების ადგილზე სრულებით უგვარო ერთგული ხალხი დანიშნა – განახორციელა დარბაზის კარის მოხელეთა დემოკრატიზაცია ✦ 1178 ფელს გიორგი მესამემ თავისი ქალიშვილი თამარი მეფედ აკურთხა და თანამოსაყდრედ დაისვა ✦ სამეფო კარისა და დარბაზის საგანგებო, უმკაცრესი ლონისძიებანი მეკობრეობი სალსაკვეთად ✦ „ღვთისაგან მირონცხებული და ღვთის ნებით მოქმედი" გიორგი III 1184 ფლის ვნების კვირას გარდაიცვალა

შემორჩენილია რამდენიმე ფრესკული გამოსახულება გიორგი მესამისა, და თუმცა სახე ამ ფრესკებზე ისეთი მეტყველი არ არის, როგორც ვთქვათ, სახე მისი დიდებული პაპისა გელათის ტაძრის კედელზე ან მისივე ასულისა, რომელიც ჩვეულებრივ, მუდამ გვერდით უდგას მამას, მაინც მთელი მისი სხეული, დგომის მანერა, ის თავისებური დინამიზმი, რითაც ფრესკებზე მისი გამოსახულება გამოირჩევა, უსათუოდ მიგვანიშნებს ამ ადამიანის განსაკუთრებულ ენერგიაზე, დაუდგრომელ ხასიათზე, შეუპოვრობაზე... და იქნებ ცბიერება-სისასტიკეზედაც. ცოდვა გამოტეხილი ჯობს, ამ შთაბეჭდილების ჩამოყალიბებას ალბათ ისიც უწყობს ხელს, რომ ისტორიულ წყაროებს გიორგი მესამეზე საკმაოდ ბევრი

ცნობა შემოუნახავს და მისი ცხოვრება უფრო სრულად ვიცით. თითქოს სხვათა დაუდევრობის გამოსყიდვა გადაუწყვეტიათო, იმ ძუნწსიტყვაობის სანაცვლოდ, რაც ქართველმა მეისტორიეებმა დემეტრეს ცხოვრების გადმოცემისას გამოიჩინეს, ახლა, მომდევნო დროის მემატიანეები სრულად მოგვითხრობენ დემეტრეს გამორჩეულად საყვარელი შვილის თავგადასავალს. ამასთან, ქართველ მემატიანეთა თხზულებების გარდა, ჩვენ ხომ უცხოური წყაროებიც მოგვეპოვება, სხვა მატერიალური საბუთებიც, რაც საშუალებას მოგვცემს, კიდევ უფრო თვალსაჩინოდ წარმოვიდგინოთ ეპოქა მეთორმეტე საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან, თითქმის იმავე საუკუნის მიწურულამდე.

გიორგი მესამეც მესიის მახვილად გვაცნობს თავს, მასაც ეს სიტყვები წაუწერია თავის მონეტაზე... ისიც მიგვანიშნებს, რომ სახელოვანი პაპის დაწყებული საქმე უნდა გააგრძელოს — ამიერკავკასიის ტერიტორიიდან მტრის განდევნა დაუსახავს მიზნად. დემეტრე პირველს გაუძნელდა ამ ამოცანის შესრულება, იგი თითქოს უფრო გაუბედავად მოქმედებდა, ივანე ჯავახიშვილის თქმისა არ იყოს, მტრის შემოტევების მოგერიებას უნდებოდა და თავად ისე გაბედულად ვერ გადადიოდა შეტევაზე.

ახლა?

ახლა როგორ წარიმართება საქმე? გიორგი მესამის შემართული მახვილი და ასე გამომწვევად გაცხადებული სიტყვები რა შედეგს მოიტანს?

ახლა უკვე სხვა მდგომარება შეიქნა. გიორგი მესამეზე თამამად შეგვიძლია ვთქვათ გავრცელებული სიტყვები — ძალი შესწევდა ქადილსაო. ეს სიტყვები, ალბათ, იმიტომაც გაგვახსენდა, რომ იგი ეკუთვნის პოეტს, რომელიც სწორედ გიორგი მესამის ზეობის დროს დაიბადა. მაგრამ ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი, ახლა კი იმას ვამბობდით, რომ გიორგი მესამე მამაზე უფრო მტკიცე და თავისი პოლიტიკის თანმიმდევრულად გამტარებელი გამოდგა; გარეშე თუ შინაურ მტერს ერთნაირი შეუპოვრობით ხვდებოდა, პაპას უფრო დაემსგავსა. ნახეთ, რა რიხით იწყებს ქართველი მემატიანე მისი საქმიანობის აღწერას:

„ამან რა იპყრა შარავანდედი მეფობისა, შეიდ სამეფოდ განწესებული, აღმკულმან ზენათა პორფირითა და გვირგვინითა, აღიჭურნა მკლავნიცა მუსრვად და მოწყუედად წინააღმდგომთა ქრისტეს სჯულისათა: აგარიანთა, ისმაიტელთა და მამადიანთა“.

ხედავთ — ზენათა პორფირით და გვირგვინით აღმკულიო!.. ისევ იმას მიგვანიშნებს – ღვთისგან მირონცხებულია და ღვთის ნებით მოქმედებსო.

ახლა იმასაც დააკვირდით, როგორ ჩამოთვლის — აგარიანთა, ისმაიტელთა და მამადიანთაო!..

სამი სიტყვით გადმოგვცემს და ფაქტიურად კი ერთი და იგივე მტერი იგულისხმება!..

არ გეგონოთ, ეს შემთხვევით მოუვიდა.

არა, მემატიანემ კარგად იცის სიტყვის ყადრი და ფასი; ამით სათქმელის მნიშვნელობას აძლიერებს, მტრის ძალასა და მრისხანებას გვაჩვენებს, იმასაც მიგვანიშნებს, რომ იგი მრავალრიცხოვანია და ყოველი მხრით მოძუძგურებული, მეტი შთამაგონებლობით გადმოგვცემს, რა საშიშროების წინაშე დგას ჩვენი ქვეყანა!.. რათა მერე უფრო კარგად დაგვანახოს იმისი ღვაწლი, ვინც საშიში მტრის წინააღმდეგ ჩვენი ხალხის დარაზმვას მოახერხებს და შემდგომი გამარჯვებების სულისჩამდგმელი გახდება... ხოლო ასეთ ვითარებაში მეფის სიმკაცრე და სისასტიკეც — თუ ვინმეს სისასტიკედ მოეჩვენება შინაური მტრის მიმართ მიღებული ზომები — გაამართლოს და ახსნა მოუძებნოს...

იცის მემატიანემ თავისი საქმე!..

სამხრეთით, სომხეთის ტერიტორიაზე ხდებოდა მტრის ძალების კონცენტრაცია, იქიდან მეტი საშიშროება ემუქრებოდა ქვეყანას, და გიორგი მესამემაც სწორედ აქედან დაიწყო.

პირველად ქალაქ კალზევანზე გაულაშქრია და რაკი ეს ლაშქრობა საგულდაგულოდ ჰქონია მომზადებული (მემატიანე საგანგებოდ შენიშნავს, ქვეყნის ყველა კუთხიდან შეპყარა რჩეული მეომრები და მხედართმთავრებიო) — სახელოვანი გამარჯვებაც უზეიმია: „...და წარმოტყუენა ყოველი ხევნები კლდოვანი და ქალაქები აშორნისა, სომეხთა მეფედ წოდებულის შაპერმენისა“.

წინა თავიდან თქვენ გეხსომებათ, თავისი ზეობის იმ მეტისმეტად მოკლე დროში გიორგის უფროსმა ძმამ დავითმა როგორ გამოიყვანა საპყრობილიდან მამის მტერი თირქაში და ამირსპასალარად აღაზევა. ახლა გიორგი მესამის პირველ გალაშქრებაზე ელაპარაკობთ და ალბათ დაგაინტერესებთ, ამირსპასალარად ვინ ახლდა მეფეს ბრძოლებში.

ისევ თირქაში?

არა, რა თქმა უნდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ამირსპასალა-

რად ივანეს ვხედავთ, ორბელიანთა მეორე შტოს წარმომადგენელს. თირქაში ალბათ თვით დემეტრემ მოიშორა, როგორც კი მონასტრიდან დაბრუნდა და კვლავ სამეფო ტახტზე ავიდა.

კაღზევანიცა და აშორნიც სომხეთის ტერიტორია იყო, აწ მაჰმადიანი მტრის მიერ დაპყრობილი, ხოლო „შაჰერმენი“ — იგივე შაჰარმენი — ამ ტერიტორიის ძლიერი და გავლენიანი მაჰმადიანი დამპყრობელი, რომელსაც, ქართველი მემატიანის სიტყვით, სომხეთის მეფეს უწოდებდნენ.

პირველი ლაშქრობა, როგორც ვნახეთ, წარმატებით დასრულებულა. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. ძალის მოსინჯვას უფრო ჰგავდა მოსალოდნელი დიდი ბრძოლების წინ, იმ დიდ და სახელოვან ქალაქზე შეტევის წინ, რომელიც ტახტზე ასვლიდანვე ძილსა და მოსვენებას უფრთხობდა ქართველ მეფეს. რადგან მას კარგად ჰქონდა გათვალისწინებული: თუ იმ ქალაქში არ იქნებოდა სათანადოდ გამაგრებული, ისე შემდგომ წარმატებას ვერ მიაღწევდა სამხრეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით ურიცხვი მტრის წინააღმდეგ... შემდგომ წარმატებას კი არა-და, უკვე მოპოვებულის შენარჩუნებაც გაუჭირდებოდა. აი, ესა ჰქონდა შეგნებული და ამიტომაც ითქვა, პირველი გამარჯვება მხოლოდ ძალების მოსინჯვა თუ მომავალი დიდი ბრძოლების პრელუდია იყოო.

მაგრამ ეს მტერსაც კარგად ჰქონდა შეგნებული და გათვალისწინებული, და მისი ყურადღებაც იმ ქალაქისკენ იყო მიპყრობილი; რადგან თუ იქ საფუძვლიანად არ დამკვიდრდებოდა, ისე გაუძნელდებოდა იმ მიწა-წყლის დაბრუნება, რაც ქართველებმა დავით აღმაშენებლის დროს დაატოვებინეს (მტერი კი სულაც არ გამოსთხოვებოდა ამ ტერიტორიის კვლავ დაპყრობის იმედს); ის კი არადა, საფრთხეში იქნებოდა სამხრეთის სხვა ქალაქებიც, რომლებიც ამჟამად მას ეპყრა, იმიტომაც ახდენდა მთავარი ძალების კონცენტრაციას აქ, ამ ქალაქის მახლობლად, სამხრეთში.

თქვენ უკვე ხვდებით, რომ ეს ქალაქი ჩვენი ძველი ნაცნობი ანისია.

ანისი! ანისი! მრავალბრძოლაგადახდილი, მრავალტანჯული, ათასჯერ დანგრეული და კვლავ აშენებული, ათასჭირგამოვლილი და მაინც მხნე, უძველესი და მარად ახალგაზრდა დედაქალაქი ჩვენი მეზობელი ხალხისა.

ზემოთ, ერთგან, ამ ქალაქის სიდიდის უფრო თვალსაჩინოდ წარმოსადგენად ჩვენ ეკლესიების სიმრავლე აღვნიშნეთ. მას შემდეგ

ბევრი ნგრევა განიცადა მტრის განუწყვეტელი შესევებისგან ქალაქმა და მაინც, ყური დაუგდეთ, რას ამბობს ქართველი მემატიანე — ამ დიდ ქალაქს დღემდე შემორჩა ათას ერთი ეკლესიაო: „რომელსა შინა მოდღესამდე არს ათას და ერთი ეკლესია!..“ აქ შედარებით მომცრო ეკლესიები იგულისხმება, ის დიდი კათედრალი კი, რომელსაც სომეხი მემატიანე მათე ურჰაელი საკვირველ და დიდებულ ეკლესიას უწოდებს და რომელიც მტერმა ერთი პირობა მიზგითად აქცია, ზედ ხლათიდან მოტანილი დიდი ვერცხლის „ნალი“ გამოკიდა, სანამ დავით აღმაშენებელი არ ჩამოხსნიდა და კვლავ ქრისტიანულ ჯვარს არ აღმართავდა, ეს დიდებული ტაძარი, რა თქმა უნდა, ცალკე უნდა მოვიხსენიოთ...

იმ მძაფრი და განუწყვეტელი ბრძოლების წინ, რაც აქ ანისისათვის უნდა გაიმართოს და რომლის მოწმენიც გავხდებით, ერთხელ კიდევ გავიმეოროთ, რომ ყოველი თვალსაზრისით — პოლიტიკურით, სავაჭრო-ეკონომიკურით, სამხედრო-სტრატეგიულით, მორალურით — მას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ვინც მოახერხებდა ანისში კარგად დაფუძნებას, მისთვის მომავალი ბრძოლებიცა და თავისი პოლიტიკური კურსის გატარებაც გაადვილებული იქნებოდა. კერძოდ, ქართველებისთვის, რომელთაც უკვე მოახერხეს თავიანთი მიწა-წყლის მტრისგან გათავისუფლება და თრიალეთის ციხე-სიმაგრეები კვლავ აღადგინეს, ანისის შემოერთებას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა. მაპმადიანთა გაერთიანებული ძალის იერიშების მოგერიებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეაჩერებდნენ, თუ იმ გზების შეკერას მოახერხებდნენ, რითაც მათ საქართველოში შემოჭრის საშუალება ჰქონდათო, ივანე ჯავახიშვილი წერს.

და აი, ანისის საკითხი ისევ მწვავედ დადგა ქართველი მეფის წინაშე.

ჩვენ ვიცით, რომ რამდენიმე ხნის წინათ დემეტრე პირველი იძულებული გახდა, კვლავ მაპმადიანი მმართველებისათვის დაებრუნებინა იგი, მართალია ყმადნაფიცობის პირობით, მაგრამ ქალაქის გამგებელი მაინც მაპმადიანი მმართველი იყო, ქართველი მეფე მუდამ შიშში უნდა ყოფილიყო — არ მიღალატოს და მტერთან კავშირი არ შეპკრასო. ამიტომ გიორგი მესამეს აღარ აკმაყოფილებს ასეთი შეზღუდული უფლებები, გადაუწყვეტია ეს ქალაქი თავის სამეფოს შემოუერთოს და მისი სრული პატრონი გახდეს.

ამგვარად, ანისისაკენ არის მიპყრობილი ყურადღება მაპმადიანი

დამპყრობლებისაც და ქართველი მეფისაც. ყველა მოელის, რომ დღეს თუ ხვალ აქ დიდი ბრძოლები გაიმართება...

სამართლიანობა მოითხოვს აქვე შევნიშნოთ — ბრძოლაში ქართველებს უფრო გაადვილებული ექნებათ საქმე, რადგან მათ მხარში უდგათ ამ მიწა-წყლისა და ქალაქის ჭეშმარიტი პატრონები, ეს კი მარტო სამხედრო დახმარებას როდი ნიშნავს, არამედ გაცილებით უფრო მეტს — ეს იმას ნიშნავს, რომ მტრის წინააღმდეგ ქართველების ბრძოლა სამართლიანი იქნება. ხოლო სამართლიანობა ბრძოლაში გამარჯვების კარგი საძირკველია.

მართლაც, დიდი ხანი არ გასულა აშორნის მხარეში გალაშქრების შემდეგ, რომ გაიმართა სასტიკი ბრძოლა ანისისათვის და ამ ბრძოლაშიც ქართველებმა გაიმარჯვეს, შადადიანი მმართველები განდევნეს. ეს მოხდა 1161 წლის აგვისტოში. ბრძოლა, როგორც ითქვა, სასტიკი იყო და სამ დღეს გაგრძელდა — „...სამ დღე ყო ომთა სიმრავლე და ძგერა ჰუნეთა“.

ქალაქი მეფემ თავის მანდატურთუხუცესსა და ამირსპასალარ ივანე ორბელიანს ჩააბარა, თანაშემწედ კი სარგის მხარგრძელი დაუნიშნა, ჩააყენა ქალაქში ორი ათასი ჯარისკაცისგან შემდგარი გარნიზონი და უკანვე გამობრუნდა.

ალბათ შემთხვევით არ მომხდარა, რომ ქართველთა ანისისკენ გალაშქრებას დაემთხვა ქალაქის ადგილობრივი მოსახლეობის აჯანყება შადადიანთა მმართველობის წინააღმდეგ. აჯანყებას, ჩანს, სამღვდელოება ხელმძღვანელობდა. ალ-ფარიკის ეს ცნობა უსათუოდ იმას მიგვანიშნებს, რომ ქართველებს მუდმივი კავშირი ჰქონდათ მაჰმადიანთა მიერ დაპყრობილ ქვეყნებში სომეხ მოსახლეობასთან და შეთანხმებულად მოქმედებდნენ. სხვათა შორის, ამითაც ჩანს, როგორ გამოდიოდა ქართველი მეფე ამიერკავკასიის ხალხების დამრაზმველად მტრის წინააღმდეგ ძნელსა და განუწყვეტელ ბრძოლებში.

გიორგი მესამე ჭკვიანი მმართველი იყო და, რა თქმა უნდა, არც უფიქრია, რომ ამით საბოლოოდ გათავდებოდა საქმე; მან იცოდა, რომ მტერი ანისს ასე ადვილად ვერ შეელეოდა; იცოდა, რომ ადრე იქნებოდა თუ გვიან, ისევ მოუხდებოდა ანისისთვის ბრძოლა. მაგრამ იმას რას იფიქრებდა, ასე მალე თუ დასჭირდებოდა გალაშქრება.

ორი თვეც არ გასულა აგვისტოს გამარჯვების შემდეგ, ხოლო ზოგიერთი უცხოური ცნობის მიხედვით, იმავე თვეში, მეფეს,

რომელიც იმ დროს ნაჭარმაგევს იდგა, ამბავი მოუვიდა, მტერი ანისს დაესხა და მოგვეშველეო.

ანისის დაკარგვამ ძალიან შეაწუხა და ფეხზე დააყენა მაჰმადიანი მმართველები; ქართველი მემატიანე ხატოვნად გადმოგვცემს ამას: „რომლისა ჯაერისაგან (ანისის დაკარგვისაგან) აღიძრა ნაღველ-ფიცხელობა და ქედმაღლობა აგარიანთა და ისმაიტელთა“. მოთავეობა შაჰარმენს (ხლათის მფლობელ სუქმან მეორეს) უკისრია; ზემოთაც შევნიშნეთ, ყველაზე აქტიურად შაჰარმენები მოქმედებდნენ. წამოუძღვა იგი სირიის, მესოპოტამიის, დიარბექირისა და სხვა კუთხეთა თურქებსაო – იქვე ჩამოთვლის ამ კუთხეების მფლობელებს ჩვენი მემატიანე — და ასე „მრავალთა დიდთა მეპატრონეთა და ფადაშაჰთა სპარსეთისათა თანა... დიდითა და მიუწდომელითა ძალითა და უჰამრაეითა ლაშქრითა მოვიდა და მოადგა ანისსა“.

მიიღო თუ არა ეს ცნობა მეფემ, სასწრაფოდ შეუდგა ჯარის შეკრებას. მრავალრიცხოვანი, შეერთებული მხედრობის წინააღმდეგ დიდი ლაშქარი იყო საჭირო; მაგრამ თან სისწრაფეც მართებდა მეფეს — მტერი თუ მოასწრებდა ქალაქში შესვლას და გამაგრებას, მერე უფრო გაძნელდებოდა საქმე. ამიტომ აღარც კი დაუცადა ჯარის შეკრებას, ვისი შეგროებაც სახელდახელოდ მოასწრო, ის წაიყვანა, თან გაიყოლა ივანე მწიგნობართუხუცესი, სუმბატი (ბერობაში სვიმონი), ამირახორი ლიპარიტ სუმბატის ძე, ბექა სურამელი, ქირქიშ აბულეთის ძე...

სანამ ქართველთა ლაშქარი ნაჭარმაგეევიდან ანისს ჩავიდოდა, მტერს უკვე მოესწრო ქალაქის მისადგომებთან მისვლა და გამაგრებული ზღუდეების გარღვევას ლამობდა; მემატიანის სიტყვებიდან ჩანს, გამარჯვებაში დარწმუნებულები ძალიან თავდაჯერებულები ყოფილან — „კართა ზედა მბრძოლი მაშქერებელი და მაძგერებელი ცხენთა და აბჯართა“. ბაქიბუქობდნენ და დიდის ამბით აჟღარუნებდნენ აბჯარ-საჭურველს.

როგორც ითქვა, მტერი გამარჯვებაში დარწმუნებული იყო და ამის გამომჟღავნებას არც ერიდებოდა: ყვიროდნენ, ღრიალებდნენ... მხედრობის აღგზნება თითქოს ცხენებსაც გადასდებოდა — ყალყზე დგებოდნენ, ვერ მოესვენათ, ადგილიდან მოწყვეტას ლამობდნენ, ტორებით მიწასა თხრიდნენ, ჭიხვინებდნენ. ერთი სიტყვით, ფსიქოლოგიურად მზად იყვნენ შეტევისთვისაც და გამარჯვებისთვისაც. დროშა წინა ხაზისთვის მოეახლოებინათ და ქართველ მეომრებს ლამის ცხვირწინ გამომწვეევად უფრიალებდნენ,

გეგონებოდა, უკვე მოპოვებულ გამარჯვებას ზეიმობენო. მაგრამ ბრძოლა ჯერ-წინ იყო. და ქართველმა მეფე-სარდალმა სიტყვით მიმართა ჯარს. ეს სიტყვა მოტანილი აქვს მემატიანეს. ჩვეულებრივი სიტყვაა, რითაც სარდლები ხშირად მიმართავდნენ ხოლმე ბრძოლის წინ ლაშქარს.

რაკი მტრის დროშა სულ უფრო და უფრო გამომწვევად უფრიალებდათ თვალწინ, სიტყვის დასასრულს მეფემ თავისი სარდლები — ლიპარიტი, ბექა სურამელი და ქირქიში მოიხმო და სიცილით მიმართა: „ჩვენს შორის მჯობნი ის იყოს, ვინც ყველაზე ადრე მისწვდება მტრის მედროშეს და დროშას გააგდებინებსო.

ეს არ იყო უბრალო ახირება. დროშის წარმთვეას იმ ვითარებაში, როცა მტერი მეტისმეტად თავდაჯერებული ჩანდა და გამომწვევად იქცეოდა, დიდი ფსიქოლოგიური გავლენის ძალა ექნებოდა. თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა პირველ შეტევას; თუკი თავიდანვე მოახერხებდნენ მტრის რიგებში არევდარევის შეტანას, იმ გამომწვევ „ქედმაღლობასა და ნაღველფიცხელობას“ თუ დაუცხრობდნენ, მერე უფრო გაუადვილდებოდათ საქმე. ამიტომ თავისი სათქმელი კი უთხრა მეფემ სარდლებს, მაგრამ სხვებს როდი დააცადა იმის შესრულება, რისკენაც მოუწოდებდა — ჯერ სიტყვა არც კი გაეწყვიტა, რომ ერთბაშად მოსხლიტა ცხენი ადგილიდან და გამომწვევად მოფრიალე დროშისკენ გაიჭრა, მედროშეს შუბი აძგერა და დროშა გააგდებინა...

და როგორც მოვლენების შემდგომი განვითარებიდან ჩანს, ხელადვე დამცხრალა ქედფიცხლობა მტრისა. როგორც ქართველი მეფე მოელოდა, დროშის დაცემამ მორალურად გატეხა მტრის ლაშქარი.

ყველა მემატიანე — ქართველებიცა და უცხოელებიც — ერთხმად აღნიშნავენ, რომ იმ სისხლისმღვრელ ბრძოლაში, რომელიც შებინდებამდე გაგრძელებულა, ქართველებს თავგანწირვით უომიათ და გაუმარჯვნიათ. მტერი გააქციეს და მისდიეს. ხოლო როცა უკან მობრუნდნენ, მაშინღა იხილეს, რომ დიდი დაელა დარჩათ — „...სიმრავლე კარაეთა და სარაფარდათა, სიმდიდრე თუალთა და მარგალიტთა, ოქროთა ჭედილთა და უჭედელთა, აქლემთა, ცხენთა, ჯორთა და ყოველთა განძთა, სოფლისა სიმდიდრეთა და მონაგებთა“... ამასვე იმეორებს ყველა უცხოელი მემატიანე. მათე ურჰაელის ცნობით, ბრძოლის კარგა ხნის შემდეგაც ბალახებში მეომართა ჯაჭვნებს პოულობდნენ.

მტრის ლაშქარი ძალიან დაზარალებულა იმ დღეს. არაბი ისტორიკოსის ცნობით, შაპარმენი 400 მხედრით ძლივს გადარჩაო. მათე ურჰაელის ცნობით, 7.000 კაცი დახოცილა, 2.000 — ტყვედ ჩაუგდიათ ქართველებს, ამასთან 6 მთავარი და 150 დიდი ამირაო (სხვა უცხოელი მემატიანის ცნობით, 41.000 კაცი ჩაუგდიათ ტყვედ ქართველებს). საერთო რიცხვი შეერთებული რაზმისა, მათე ურჰაელის ცნობით, 80.000 ყოფილა... ბუნებრივია, რომ სხვადასხვა მემატიანე სხვადასხვა რიცხვს ასახელებს, ზუსტად, რა თქმა უნდა, ვერ აღნუსხავდნენ, მაგრამ, როცა ყველა ცნობას ერთმანეთს შეადარებთ, აშკარა გახდება: მტრის შეერთებული ლაშქარი მრავალრიცხოვანი ყოფილა, მათთან შედარებით მცირერიცხოვან ქართველებს თავგანწირვით უბრძოლიათ და სასახელო გამარჯვება მოუპოვებიათ.

ჩვენი მემატიანე შენიშნავს, რა სიხარული ყოფილა ქართველთა ლაშქარში. მეფე სამ დღეს დარჩენილა ანისში, იქაური საქმეები მოუწესრიგებია, 40.000 დრაჰკანი გაუცია საჩუქრად ანელი მოქალაქეებისთვის — განურჩევლად ეროვნებისა; გამოუსყიდია ანისიდან წაყვანილი ტყვეები — ქრისტიანებიცა და სხვა რჯულის ადამიანებიც.

●

ომიდან დაბრუნებული მეფე პირველად თავის გამზრდელ მამიდა თამარს ხლებია. ალბათ გახსოვთ, ეს ის თამარია, რომელიც შირვანის შაჰს მანუჩიჰრ მეორეს მიათხოვა დავით აღმაშენებელმა; შაჰი სწორედ გიორგის გამეფების წელს (1156) გარდაცვლილა, დაქერილ ევ ბულ ქართველი დედოფალი კი („დედოფალი დედოფალთაო" მემატიანე უწოდებს) საქართველოში დაბრუნებულა.

ანისში მეფე გიორგის ახალი ამირა დაუნიშნავს — სატუნი. მაგრამ მალე ქართველ მეფეს მოღალატეობა დაუწამებია მისთვის და გადაუყენებია (მეტისმეტმა თავგამოდებამ დაღუპა ახალი ამირა: ისე საგულდაგულოდ დაუწყია ქალაქის გამაგრება, რომ მეფეს ეჭვი შეუტანია), ანისის გამგებლად ახლა სარგის მხარგრძელი დაუყენებია.

სატუნი კი მართლა მოღალატე აღმოჩნდა: ამირობიდან გადაყენების შემდეგ ეს კაცი მაპმადიან ათაბაგს ხლებია; საბოლოოდ

მანაც ყველა მოღალატის ბედი გაიზიარა — ისევ ჩაეარდნია ხელში ქართველ მეფეს, რომელმაც იგი სიკვდილით დასაჯა.

იმავე 1161 წელს ქართველებს კიდევ გაულაშქრიათ; ახლა უფრო სამხრეთ-დასავლეთით, არზრუმზე, და აქაც გამარჯვებისთვის მიუღწევიათ. ქართველი მემატიანე ამის შესახებ არაფერს ამბობს, ამას უცხოური წყაროები გადმოგვცემენ. აქ მომაქვს არაბი მემატიანის იბნ ალ-ასირის ცნობა, როგორც ის მოტანილი აქვს თავის წერილში ბენიამინ სილაგაძეს:

„იმავე წელს გაიმართა ბრძოლა ქართველებსა და არზან არრუმის მფლობელ მეფე სალთიკს შორის. ქართველებმა სძლიეს მოწინააღმდეგეს და გაანადგურეს სალთიკის ლაშქარი. თვითონ სალთიკი შეიპყრეს და ტყვეობიდან მხოლოდ მაშინ გაათავისუფლეს, როდესაც მისმა დამ შაჰ-ბანუვარმა (ხლათის მპყრობელ შაჰარმენის ცოლმა) ქართველთა მეფეს ძვირფასი საჩუქრები გაუგზავნა და ძმის გათავისუფლება სთხოვა“.

ეს თავისთავად საინტერესო ფაქტია და მარტო ამითაც შეგვიძლია ცოცხლად წარმოვიდგინოთ, როგორ აუწრიალებია მტერი ქართველთა გახშირებულ გამარჯვებებს; რა მისვლა-მოსვლა, რა მოლაპარაკება იქნებოდა წინასწარ, სანამ გადაწყვეტდნენ, რომ პატივცემულ ბანოვანს თავად ეკისრა ქრისტიან მეფესთან შუამდგომლობა ტყვეობიდან ძმის გამოხსნის თაობაზე; როგორ შეარჩევდნენ მეფისთვის საგანგებოდ საჩუქრებს, რა მოციქულებს გაუგზავნიდნენ...

სომეხი მემატინე სტეფანოზ ორბელიანი პირდაპირ წერს, ქართველთა ლაშქარმა „...ყოველი სპარსეთი და თურქისტანი შეაძრწუნაო“...

ყველამ იგრძნო, რომ ახალგაზრდა ქართველი მეფე თავისი პაპის დაწყებულ საქმეს აგრძელებდა და პაპასავით შეუპოვარი იყო.

მაგრამ როგორადაც უნდა შეძრწუნებულიყო მტერი, ცხადია, იგი დამარცხებას არ შეურიგდებოდა და ფარ-ხმალს არ დაყრიდა. ბუნებრივია, რომ მაჰმადიან საამიროებს შორის გაიმართებოდა მოლაპარაკება ახალი შეერთებული ლაშქრობის მოსაწყობად, რათა, სანამ ძალიან გვიან არ იყო, ჭკუა ესწავლებინათ თავგასული ქართველი მეფისთვის...

სანამ ისინი მოილაპარაკებდნენ და ახალ ლაშქარს შეადგენდნენ, ქართველებმა დაასწრეს და კიდევ ერთი ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმეს.

ეს მოხდა ანისისათვის ბრძოლის ზუსტად ერთი წლის თავზე, 1162 წლის აგვისტოში.

ქართველებმა ამჯერად კიდევ უფრო შორს გაილაშქრეს, „მიმართა დიდად ქალაქად და სახელგანთქმულად დვინად", როგორც ქართველი მემატიანე გადმოგვცემს. დვინი ანისის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს და დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს; ამას იქვე მიუთითებს ქართველი მემატიანე: „აწ რომელ არს (ლაპარაკია დვინზე) არარატისა ძირსა ზღვარი სომხითისა და ადარბედაგანისა" — სწორედ ეს აძლევდა მას დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას.

თვალსაჩინოდ ვნახოთ, რა მტკიცე სამკუთხედი იკვრება და რა უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ-ეკონომიკურადაც და სტრატეგიულადაც ამ სამ დიდ სამხრეთულ ქალაქს.



ამ სამ დიდ ქალაქს შორის ხომ მრავალი პატარა ქალაქია და ახლა წარმოიდგინეთ, მშვიდობიანობის დროს რა გაცხოველებული მიმოსვლა იქნებოდა ქალაქების დამაკავშირებელ გზებზე სავაჭრო ქარავნებისა; რა მნიშვნელოვანი იყო თითოეული ეს დიდი თუ პატარა ქალაქი სამხედრო თვალსაზრისით.

ახლა ვნახოთ, როგორ წარიმართა ბრძოლა დვინისათვის.

ქართველი მემატიანეცა და ზოგიერთი უცხოური წყაროც საგანგებოდ მიუთითებენ, რომ პირველი შეტაკება ქართველებსა და დვინის დამცველ მაპმადიან მეომრებს შორის ქალაქის გარეთ მომხდარა. ქალაქის დამცველები, ეტყობა, ცდილან მოწინააღმდეგის მხედრობა დვინში არ შეეშვათ, ქალაქის გარეთ შეგებებოდნენ და ბრძოლა იქ გაემართათ, იქვე დაემარცხებინათ, იქვე გაეჟლიტათ და თუ ვინმე ცოცხალი დარჩებოდა, უკან იქიდანვე გაებრუნებინათ.

ვინ იცის, იქნებ იმიტომაც ერიდებოდნენ მოწინააღმდეგის შეშვებას ქალაქში, რომ ეშინოდათ, ქალაქის სომხური მოსახლეობა მხარში არ ამოუდგეს ქართველებს და საქმე კიდევ უფრო არ გაგვიძნელონო.

ამისი მწარე გაკვეთილი მათ ანისიდან და სხვა სომხური ქალაქებიდან ჰქონდათ.

ამრიგად, ეს სწორი და გონიერული გადაწყვეტილება იქნებოდა, თუკი შესრულებას მოახერხებდნენ, საამისო ძალა თუ აღმოაჩნდებოდათ. მაგრამ რაკი შესრულება ვერ შესძლეს, უარესიც გამოდგა.

ქართველი მეფე-სარდალი, ეტყობა, მიხვდა მტრის განზრახვას, საბრძოლველად გამოგებებული ჯარი გამოიტყუა (იქნებ ალყაშიაც კი მოაქცია, ასეთი ვარაუდის საფუძველიც არსებობს) და მერე ერთბაშად შეუტია, დაერია, უკან გაბრუნებაც აღარ დააცალა, მუსრი გააელო და ასე ბრძოლით შეიჭრა ქალაქში, ქალაქი დაარბია.

სომეხი მემატიანე ვარდანი საგანგებოდ აღნიშნავს, ამ რბევის დროს ქართველებს ქრისტიანი მოსახლეობისთვის ხელი არ უხლიათო.

ქალაქის ქრისტიანი მოსახლეობა ძირითადად სომხობა იყო და, ბუნებრივია, ქართველები მათ ხელს არ ახლებდნენ; მაგრამ იმ ვითარებაში, როცა ხმალშემართული და წინა შეტაკებებით გახურებული მხედრობა მოწინააღმდეგის ქალაქში შეიჭრა, როცა ხელჩართული ბრძოლა ახლა ქალაქის ქუჩებში გაიმართა, სადაც სისხლის რუები დის და ხმლისა და შუბთა ძგერების გამაყრუებელი ზრიალი მომაკვდავთა გულისმომწურავ კვნესას ერთვის, ასეთ ვითარებაში ძალიან ძნელია გარჩევა — ვინ დაინდო და ვინ დაარბიო. და რაკი სომეხი მემატიანე ხაზგასმით შენიშნავს, ქრისტიანი მოსახლეობისთვის ხელი არ უხლიათო, უსათუოდ უნდა ვიგულისხმოთ, რომ მეფეს საგანგებოდ ჰყავდა თავისი მხედრობა გაფრთხილებული.

აქაც დიდი დაცლა მოუპოვებია გიორგი მესამეს, დიდძალი ტყვეც წამოუყვანია, თბილისი გაივსო ტყვეებითა და ნადავლითო, ტყვის ფასი თბილისში თითო დრამა იყოო.

დვინის გამგებლად ქართველ მეფეს ადგილობრივი ფეოდალი ანანია დაუნიშნავს.

●

ამის შემდეგ მომხდარ ერთ დიდად მნიშვნელოვან მოვლენას ჩვენამდე მოღწეული სხვადასხვა წყარო სხვადასხვაგვარად გადმოგვცემს; ზოგი წყარო მთავარი ამბის გადმოცემისას ემთხვევა ერთმანეთს და მხოლოდ ცალკეული დეტალებით განსხვავდება, ზოგისა მთავარი ფაქტიც განსხვავებულია დანარჩენებისგან...

საქმე ეხება იმ დიდ ლაშქრობას, რომელიც მაპმადიან მმართველებს მოუწყვიათ საქართველოს წინააღმდეგ. ეს მომხდარა დვინთან ქართველების გამარჯვების რამდენიმე თვის შემდეგ, 1163 წლის იანვარ-თებერვალში. ამ ბრძოლებში ქართველები დამარცხებულან. ზოგიერთი უცხოური წყარო დამარცხების მიზეზსაც ასახელებს — ქართველები ზედმეტად თავდაჯერებულნი იყვნენ და დაუდევრობა გამოიჩინესო.

ყველა არსებული წყაროს ერთმანეთთან შეჯერების შედეგად ასეთი სურათი ისახება.

ქართველების მიერ დიდი ქალაქების აღებამ და ზედიზედ განცდილმა რამდენიმე მწარე დამარცხებამ შეშფოთება გამოიწვია მტრის ბანაკში. და ამჯერად უფრო დიდი და ძლიერი კოალიცია შეპკრეს ქართველების წინააღმდეგ (კოალიციაში შედიოდნენ მრავალი საამიროს მფლობელები, მათ შორის აზერბაიჯანის, ალ-ჯაბალისა და ისფაპანის მფლობელი ათაბაგი ელდიგუზ, ხლათის სულთანი შაპარმენ სუქმან კუტუბის ძე, მარაღას მმართველი აყსანკორის ძე და სხვები). „მაპმადიანთა ამირები, ათაბაგი და სულთანი თავგამოდებით ებრძოდნენ საქართველოს ანისის გამო: მეტად ძნელი იყო მისი დათმობა და ყოველის ღონისძიებით ცდილობდნენ ანისი კელავ ჩაეგდოთ ხელში", წერს ივანე ჯავახიშვილი.

როგორც ვხედავთ, ბრძოლა უმთავრესად ანისისათვის არის.

და იქნებ უცნაურადაც გეჩვენოთ, რომ მაპმადიანთა დიდი შეერთებული მხედრობა ამჯერად ანისს კი არ დაესხა, არც ანისის მიმართულებით წასულან... ისინი „რანს შეიყარნეს... და მოადგეს ციხესა გაგისასა. აიღეს იგი და მოაოხრნეს ყოველნი საზღვარნი".

ანისისგან დიდი მანძილით დაშორებულ უფრო პატარა ციხე-ქალაქს დაესხნენ.

თითქოს მართლაც უცნაურია: თუკი ანისისთვის იბრძოდნენ, გაგში რა უნდოდათ! მაგრამ ეტყობა, ეს სამხედრო მანევრი იყო. ქართველი მეფე იმხანად მტერს ალბათ აქეთ არც ელოდა. რაკი ყველას ყურადღება ანისისკენ იყო მიპყრობილი, რაკი ანისის დაპყრობა გამხდარიყო უპირველეს ამოცანად, რაღა თქმა უნდა, ქართველი მეფე მის გამაგრებაზე უფრო იზრუნებდა, გარდა იმისა, რომ ანისი ბუნებრივადაც, თავისი მდებარეობის გამო, ძნელად მისადგომი იყო.

მოვლენათა შემდგომი განვითარებაც უფლებას გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ მტერმა განგებ აირჩია გაგი და იქ შეჩერებას სულაც არ ფიქრობდა.

გაიგო თუ არა გიორგი მესამემ ციხე გაგზე მტრის თავდასხმისა და იქაურობის აოხრების ამბავი, სასწრაფოდ აწვია ლაშქარი, თანაც, ეტყობა, მრავალრიცხოვანი. დიდი ლაშქრის შეკრება ახლა ქართველი მეფისთვის სულაც არ იყო ძნელი: დავით აღმაშენებლის სამხედრო რეფორმის შემდეგ მისი მემკვიდრეებიც საგანგებოდ ზრუნავდნენ ამ საქმეზე და ლაშქრის შეკრება უკვე სწრაფად ხერხდებოდა ხოლმე. ქართველი მემატიანე გადმოგვცემს: როგორც კი გიორგი მეფემ „ცნა" გაგის აღებისა და აოხრების ამბავი, „მსწრაფლ შემყრელმან შეიდთავე მისთა სამეფოთა, იმერთა და ამერთამან და გამოასხნა ოვსნი და ქუეყანანი დიდძალნი"...

ძალიან დიდი ლაშქარი შეუყრია ქართველ მეფეს, ოსებიც მოუწვევია და „ქუეყანანი დიდძალნიო".

ჩვენი მემატიანისავე სიტყვით, კიდევ უფრო დიდი მხედრობა ჰყოლია მტერს, იგი იქვე დასძენს: „და მომართა სულტანსა, მყოფსა აურაცხელითა და უამრავითა ლაშქრითა".

მტერს რომ მართლაც მრავალრიცხოვანი, რჩეული ჯარი ჰყავდა გამოყვანილი, ეს ჩვენ უცხოური წყაროებიდანაც ვიცით. სტეფანოზ ორბელიანი წერს, ათაბაგი ელდიგუზი მოადგა „მინდორსა გაგისასა... ასი ათასისა კაცითა... და ენება ამოწყუეტა ყოველთა ქართველთა და შეპყრობა მეფისა".

სწრაფად გაემართა ქართველი მეფე თავისი დიდი ლაშქრით მტრის კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი მხედრობის წინააღმდეგ.

და ახლა ჩვენ მოწმენი უნდა გავხდეთ მძვინვარე, სამკვდრო-სასიცოცხლო ომისა — იქით მტრის შეერთებული მხედრობა დგას, აქედან შურისძიების ჟინით შეპყრობილი ქართველთა ლაშქარი მიეშურება და საცაა მისწვდება კიდეც პირველი იოლი გამარჯვებით ფრთაშესხმულ მტერს. ველით, რა მოხდება... მართალია, ძალიან შორეული ამბავია, მაგრამ რაკი შენი სამშობლოსა და შენი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს ეხება, დღესაც გაღელვებს ადამიანს. ერთი სიტყვით, მოუთმენლად ველოდებით, რა მოხდება...

და დღესაც კი გული გვწყდება, როცა ვგებულობთ, რომ დასანანი შეცდომა მოსვლია ქართველ მეფეს. მოტყუებულა. თავის მრჩევლებს შეუცდენიათ.

მტერმა რომ მოახლოებული ქართული მხედრობა დაინახა, ხელადვე შებრუნდა და იქაურობას გაეცალა. წასვლის წინ თითქოს ეთქვათ (ასე გადმოგვცემს ქართველი მემატიანე): „არა არს კაცი

ღღეს პირისპირ შემბმელი გიორგისი და მისთა ლაშქართა ქუეყანასა ზედა, მივრიდოთ თავი და ვეფაროთ“.

უთქვამთ ეს. იქვე დაუტოვებიათ ყველაფერი, რაც კი თან ჰქონდათ. და გაქცეულან.

ნამდვილად ასე თქვეს თუ უთქვამთ, ეს სულერთია, ისედაც იგულისხმება, რომ ქართველ ლაშქარს მოერიდნენ და გაეცალნენ.

ასეთი შთაბეჭდილება დარჩათ. ასე მოეჩვენა მეფესაც და სხვა მხედართმთავრებსაც.

ეს რომ დაინახა მეფემ, გამოენთო, „მიეტევა სახედ მხეცისაო“ მემატიანე წერს. და ქართველების მეწინავე რაზმი, რომელსაც, ეტყობა, მეფე ედგა სათავეში, წამოსწევია კიდეც მტრის არიერგარდს.

მაგრამ მოსალოდნელმა უეჭველმა გამარჯვებამ ფუჭად ჩაიარაო — „გარნა უქმ იქნაე ესევითარი ძლევად განმზადებულება“. მიცვივდნენ დიდებულები მეფეს და დაუშალეს, გასაქანი აღარ მისცეს („ანტაკრა ექმნეს“ — წინააღმდეგობა გაუწიეს). დაუჯერებელი ამბავი მოხდა, იქამდეც კი მივიდა საქმე, რომ მეფეს სადაევეში უტაცეს ხელი: გაუშვი, თავად გარბიან და რაღას გამოვეკიდოთ, თუკი თავად არაფერს გვერჩიან, ჩვენ რაღა ძალა გვადგას, რაღა ზედმეტი სისხლი ღვაროთ, ღმერთი რაღას განვარისხოთო. ასეთი უსაფუძვლო, უგუნური და ფუჭი მიზეზი მოუგონესო („ესრეთ მიზეზი უმიზეზო, სიტყუა უსიტყუე, საქმე უქმი“)...

მართლაც უსუსური მიზეზი იყო და მეფის შეცდომაც ის არის, რომ დაუჯერა დიდებულებს, მათ ნებას დაჰყვა. განსაკუთრებით ჰერეთის ერისთავი ვარდან კოლონკელის ძე აქტიურობდა თურმე, ესე იგი, იმ კუთხის ერისთავი, რომლის სამფლობელოსაც მტრისგან დარბეული გაგი ესაზღვრებოდა. ეს ყველაფერი „შურმან და მტერობამან ყო ერთი-ერთისამანო“, მემატიანე დაასკვნის; სულ შურისა და მტრობის გამო მოხდაო, რადგან კეთილ საქმეს ან უძლურების შეგრძნება თუ დაარღვევს ან შურიო.

მაგრამ „შური“ ძალიან რბილად შერჩეული სიტყვაა იმისათვის, რაც ალბათ სინამდვილეში მოხდა. აქ ღალატი უფრო ჩანს, და ამას მარტო გუმანი კი არ გვათქმევინებს, არამედ უცხოური წყაროების პირდაპირი მითითება ღალატზე; მართალია, ვითარება, რომელშიაც ეს ღალატი მოხდა, ცოტა უფრო სხვაგვარია, მაგრამ ეს ფაქტიურად არაფერს ცვლის.

მეფემ დაუჯერა დიდებულებს, ლაშქარი დაშალა, გაუშვა და, რაკიღა თავი გამარჯვებულად ჩათვალა, მხიარულებას მიეცა,

ნადირობა დაიწყო (აქვე შევნიშნოთ, გიორგი მესამე ძალიან კარგი და გატაცებული მონადირე იყო, ნამდვილი ტრფიალი ნადირობისა. საგულისხმოა ჩვენამდე მოღწეული ბეჭედი; მასზე გამოსახულია გიორგი მესამე, რომელსაც მარცხენა ხელზე შევარდენი უზის).

მაგრამ სინამდვილეში ეს ხომ გამარჯვება არ იყო.

სანამ ქართველი მეფე ნადირობდა და იშვებდა, მტერი დროს არა კარგავდა, იგი გელაქუნს მოადგა (გელაქუნი გაგის სამხრეთით მდებარეობს, გოგჩის ანუ სევანის ტბასთან; ტბასაც იმ დროს გელაქუნი ერქვა). აქ ახალი ძალებით შეიესო მტრის ისედაც მრავალრიცხოვანი ლაშქარი და ანისისაკენ დაიძრა. მათი მთავარი მიზანი ხომ ანისის დაპყრობა იყო! გაგს ხომ განგებ დაესხნენ, მეფის შეცდომაში შესაყვანად!

ანისის გარნიზონს ამ დროს თორელი მეთაურობდა. — „მას ჟამსა შინა ანისსა განამტკიცებდა თორელი დიდი და სახელგანთქმული მოლაშქრე“... ამ გვარის წარმომადგენლებს ჩვენ ამის შემდეგ კიდევ ხშირად შევხვდებით და მემატიანისეული დახასიათება იმათთვისაც გამოდგება — მუდამ გამოირჩეოდნენ ვაჟკაცობითა და შემართებით.

მეფე ამ დროს ისევ ნადირობს „შორის მთათა ლორისა და დმანისისათა“. რაკიღა მტრის ლაშქარი გაიქცა, გული საგულესა აქვს, დამშვიდებულია. მან ჯერ არ იცის, რა ხდება ანისში...

და ისევ ნადირობით იყო გართული, როცა „მოციქული სულტანისა“ ეახლა. მეფემ იგი მიიღო ჩვეულებრივ, როგორც მოციქულებს ღებულობენ ხოლმე.

სინამდვილეში ეს კაცი მოციქული არ ყოფილა, ჯაშუში იყო, მტრის მიერ მოგზავნილი ჯაშუში და დავალებული ჰქონდა, კარგად დაეზვერა ყველაფერი, გაეგო — სად იდგა ქართველი მეფე, თან რამდენი კაცი ახლდა და რამდენად მიზანშეწონილი იქნებოდა მასზე თავდასხმა.

იმდენად მოხერხებული და გაქნილი ჯაშუში გამოდგა ეს კაცი, („კაცი მოგვი და ტრელიო“, ასე ახასიათებს მემატიანე), რომ მის ნამდვილ მისიას ვერავინ მიხვდა. და მხოლოდ მაშინ გაირკვა ყველაფერი, როცა მძინარე მეფესა და მის ამალას გამთენიისას მტრის რაზმი დაესხა.

ჯაშუშმა მართლაც კარგად დაზვერა ყველაფერი, ნახა, რომ მეფეს მცველთა დიდი რაზმი არ ახლდა და აღარ დაუყოვნებია, ხელადვე გაილაღა, სულთანს მიეახლა და მოახსენა: არიქა, ნულარ დაყოვნდებით, შურისძიებას თუ აპირებთ, ამაზე უკეთეს დროს ვერ იპოვითო.

იმდენად მოულოდნელი იყო მტრის რაზმის თაედასხმა, რომ მეფე ერთბაშად გონს ვერ მოეგო და კინაღამ თავი განსაცდელში ჩაიგდო — მტრისკენ მიიწევდა...

ამირსპასალარმა ივანე ორბელიანმა და სხვა დიდებულებმა იმარჯვეს, მოასწრეს ტანთჩაცმა, აბჯრის ასხმა და ლამის შეპყრობილი წამოიყვანეს მეფე... ამშვიდებდნენ, მდგომარეობას უადვილებდნენ, რა მოხდაო, ეუბნებოდნენ, ხან ასე მოხდება და ხან ისეო, საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო; ღმერთს გადააბრალეს, — ეტყობა, განვარისხეთ და ეს სასჯელი მოგვიელინაო, მამობრივი სიმკაცრით დაგსაჯა, როგორც ერთხელ დავით წინასწარმეტყველიო; მორჩილად მივიღოთ ახლა ეს სასჯელი და გავეცალოთ იმის იმედით, რომ კვლავ, ჩვეულებრივ, ძლევას და გამარჯვებას მოგვიელენსო. სხვა მაგალითებიც გაიხსენეს, როცა ბრძენი და უძლეველი მეფე სუსტ ძალას დაუმარცხებია — ოდესმე ალექსანდრე მაკედონელიც „იძლივა დედაკაცის მიერ", სოლომონი — სიბილასაგან და სამსონი — დალილასგანო... მაგალითებს რა გამოლევდა!

ეტყობა, ძალიან ძნელი გახდა მეფის დამშვიდება, რომელსაც ალბათ, საკუთარ თავზეც მოსდიოდა გული, რად მოეტყუვდიო. ძნელია დამშვიდება ადამიანისა, რომელსაც სინდისის ქენჯნა აწუხებს.

მტერი კი ამ დროს გამარჯვებას ზეიმობდა. დიდი სიხარული იყო მაჰმადიანურ საამიროებში — ქეიფობდნენ, ილხენდნენ... მარტო ხლათში ალ-ფარიკის ცნობით, 300 ხარი დაუკლავთ ამ გამარჯვების აღსანიშნავად.

●

როგორც ითქვა, ეს იყო 1163 წლის იანვარ-თებერვალში.

ამას მოჰყვება ამბები, რომელთა ერთმანეთთან ლოგიკური დაკავშირება, თუ მხოლოდ ერთ წყაროს, — ვთქვათ, მარტო ქართველი მემატიანის ცნობებს, — დავეყრდნობით, ძალიან გაგვიძნელდება.

ქართველი მემატიანე ასეთ ცნობას გვაწვდის: „შემდგომად ამისა უბოძა ანისი თვისსავე მემამულესა და ითაყუანა თავისა თვისისა ყმად. და თვით შემოეხუეწა ელდიგუზ ათაბაგი და ჩამოდგა შუა სულტანსა და ქართველთა, და ითხოვა ზავი. აქეთ დედოფალი რუსუდან, დაი მათი, სულტნის ცოლყოფილი ჩამოდგა, და შეიქმნა მშვიდობა და ზავი ჟამ რაოდენმე".

ესე იგი, ქართველ მეფეს ანისი უბოძებია ქალაქის ძველი პატრონის ნათესავისთვის ყმადნაფიცობის პირობით. აქამდე ქალაქი შემოერთებული ჰქონდა და უშუალოდ თავის სამეფოში შედიოდა, ახლა კი ყმადნაფიცობის პირობით ახალი მაჰმადიანი მმართველისთვის გადაუცია. გამოდის, რომ იძულებული გამხდარა, დაეთმო: სად საკუთარ სამეფოში შემოყვანა და სად ვასალის უფლებებით დაქვემდებარება!

თანაც ეტყობა, დიდი მოლაპარაკება ჰქონდათ. ხომ ნახეთ, ათაბაგ ელდიგუზისა და მეფისავე დის, შარვანის სულთნის ცოლყოფილის რუსუდანის შუამდგომლობით მომხდარა ეს. და უცნაური სწორედ ის არის, რატომ დათანმხდა ქართველი მეფე ანისის დათმობას. ჩვენ აკი ვნახეთ, რა მნიშვნელობას ანიჭებდნენ ანისს ქართველი მეფეები, როგორ დაინტერესებულები იყვნენ ქალაქის ხელში ჩაგდებით. მაშ, ახლა რა მოხდა?

ამის ახსნას ქართულ მატიანეში ვერა ვპოულობთ. უცხოური წყაროები ავსებენ ამ ხარვეზს და ყველაფერი გასაგები ხდება.

საქმე ის არის, რომ გაგთან ქართველების მარცხის შემდეგ მთელი ოთხი წლის განმავლობაში მტერი თავგამოდებით იბრძოდა ანისისთვის — მის დაპყრობას ლამობდა. იყო განუწყვეტელი ბრძოლები და ვერც ერთ მხარეს ველარ მოესვენა. ვერც აეღო მტერს ქალაქი და არც ეშვებოდა. ქართველ მეფესაც გაუძნელდა მტრის წინააღმდეგ გამუდმებული ბრძოლა, სერიოზული საშიშროება შეიქნა ქალაქის სულ დაკარგვისა. და როცა შუამავლები ეახლნენ გიორგი მესამეს, იქნებ ესიამოვნა კიდეც. ასეა თუ ისე, ამჯერად დათმობა ამჯობინა. ნაწილობრივი დათმობა — ანისის ყმადნაფიცობის პირობით გადასცა სულთან არსლან მაჰმუდის ძეს.

ძნელი სათქმელია, სულთანი გრძნობდა თუ არა, რომ ეს არ იყო საბოლოო დათმობა; გიორგი მესამემ კი, გულში მაშინვე გადაწყვიტა: მიეცემოდა თუ არა ხელსაყრელი შემთხვევა, კვლავ განუსაზღვრელი უფლებით შემოეერთებინა ქალაქი. რამდენიმე წლის შემდეგ ეს მართლაც ასე მოხდა.

●

მაგრამ სანამ ეს მოხდებოდა, მემატიანე ერთი უცნაური გალაშქრების ამბავს გადმოგვცემს. მარტო ჩვენ კი არ გვეჩვენება

ეს ლაშქრობა უცნაურად, თვით მემატიანეც ასე სახავს; იქმნა ესე ვითარი უცნაური („უცხო) ლაშქრობა, რომლისა მსგავსი არავის არაფერი ეხილაო.

დიდებულებსა და სარდლებს მიუმართავთ ქართველი მეფისთვის, უქმადა ვართ, თუ არ ვიბრძოლეთ და ქვეყნები არ ვარბიეთ, ისე ვერ გავძლებთ, არ შეგვიძლიაო. დაიყოლიეს მეფე, მიიღეს ნებართვა, რამდენიმე რაზმად გაიყვნენ და მეზობელ ქვეყნებს შეესიენენ, სხვადასხვა მხარეს.

მემატიანეს ჩამოთვლილი აქვს, რომელი კუთხის მეომრებმა საით გასწიეს სალაშქროდ. ტაოელები, კლარჯები და შავშები — ოლთისსა და ბანას მოედნენ; მესხები და თორელები — კარისა და აშორნის მხარეს; პერები და კახელები — ალაზნის შესართავეთ, ვიდრე შარვანამდე; ლიხთიმერლები და ქართლელები — ხლათის მხარეს; ხოლო „ამირსპასალარსა და სომხითართა [ებრძანათ გალაშქრება] მტკუარს აქეთ, ვიდრე განძამდის“...

ასე გადმოგვცემს ამ უცნაური ლაშქრობის ამბავს მემატიანე.

ნუთუ მართლა იმის გამო მოეწყო ეს დიდი ლაშქრობა, რომ მხედრობამ უსაქმოდ ვერ გაძლო და მოეწყინა?!

იქნებ სხვა რამ მიზეზიც იყოს!..

თქვენ ალბათ ყურადღება მიაქციეთ იმ ლაშქარს, რომელსაც ამირსპასალარი გაუძღვა. ამას მემატიანეც საგანგებოდ შენიშნავს. სხვა რაზმებსაც ხომ ეყოლებოდათ სარდლები, მაგრამ იმათ არ ასახელებს. ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ იქითკენ, საითაც ამირსპასალარი გაემართა თავისი მხედრობით, უფრო სერიოზული ბრძოლები იყო მოსალოდნელი?! და იმიტომაც ანდო აქეთ გალაშქრება მეფემ გამოცდილ მეომარს!

არსებობს იბნ-ალ ასირის ერთი საინტერესო ცნობა: გაგთან ქართველებზე გამარჯვებით გულმოცემული მაამადიანები ელდიგუზის სარდლობით საქართველოზე ახალ თავდასხმას ამზადებდნენ, მაგრამ ქართველთა მეფემ დაასწრო. და სწორედ ამირსპასალარს დაავალა იქითკენ გალაშქრება. ალ-ასირის ცნობით, ამ რაზმს მართლაც წარმატებით ულაშქრია და დიდი გამარჯვებით დაბრუნებულა.

ესე იგი, აღმოსავლეთით გალაშქრება უსაქმობით გამოწვეული ახირება არ ყოფილა! ქართველებმა დაასწრეს მტერს და სანამ ისინი გამოსალაშქრებლად მოემზადებოდნენ, თავად გაილაშქრეს და გაიმარჯვეს.

იქნებ იმ უცნაური ლაშქრობის დროს სხვა რაზმების გალაშქრე-

ბასაც ასეთივე საფუძველი მოეძებნოს. დაახლოებით ასეთი: შემოსატევად გამზადებულ მტერს თავიანთი ძლევამოსილება აჩვენეს, დააშინეს, დააფიქრეს... ეს ვარაუდი მთლად საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს. თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ ამის შემდეგ მტერს მართლაც კარგა დიდი ხნით დაეკარგა საქართველოზე გამოლაშქრების ხალისი.

●

დიდი ხანი არ გასულა იმ უცნაურ ლაშქრობათა შემდეგ, რომ ქართველებს ისევ მოუხდათ გალაშქრება, ამჯერად ჩრდილო-აღმოსავლეთით. შარვანშაჰმა აღსართანმა შველა სთხოვა გიორგი მესამეს — დარუბანდელი ხაზარები მავიწროებენ და დამეხმარეო. შარვანშაჰი ყმადნაფიციც იყო გიორგი მეფისა და მამიდაშვილიც: გიორგი მესამეცა და აღსართანიც შვილიშვილები იყვნენ დავით აღმაშენებლისა. გიორგი, როგორც ვიცით, დემეტრეს შვილი იყო, ხოლო აღსართანი — დემეტრეს დის თამარისა, რომელიც შარვან-შაჰს მიათხოვეს — ამრიგად, გიორგი და აღსართანი ბიძაშვილ-მამიდაშვილი იყვნენ. გიორგი მესამე ვალდებული იყო, დახმარებოდა გაჭირვებაში ჩავარდნილ ყმადნაფიცსა და მამიდაშვილს.

შემთხვევით საქართველოში აღმოჩნდა ამ დროს კიდევ ერთი შვილიშვილი დავით აღმაშენებლისა — ანდრონიკ კომნენოსი... ეს იმ კატაის შვილი გახლდათ, რომელიც დავით აღმაშენებელმა საბერძნეთში გაათხოვა. ანდრონიკე და აღსართანი დეიდაშვილები იყვნენ, და საბერძნეთიდან ბიძაშვილთან სტუმრად ჩამოსულმა ბიზანტიელმა დიდებულმა — მომავალმა იმპერატორმა — სურვილი გამოთქვა, თავადაც წასულიყო ომში დეიდაშვილის დასახმარებლად.

ქართველებმა წარმატებით ილაშქრეს დარუბანდის მხარეს. აიღეს ქალაქი შაბურანი, რომელიც გიორგიმ აღსართანს გადასცა. ქართველი მემატიანის ცნობით, აქ მამაცურად უბრძოლია ბერძენი იმპერატორის ძმისწულს. ქართველ მეფესაც მოეწონა მისი სიმამაცე და მთელ მხედრობასაც.

ზემოთ შევნიშნეთ, რამდენიმე ხნის შემდეგ ანისი ქართველმა მეფემ ისევ შემოიერთაო. ეს მოხდა 1173 წელს. სომეხი მემატიანის ვარდანის ცნობით, ქალაქის ამირა მეფემ თან წამოიყვანა და აღარც გაუშვია.

მკვლევარების ვარაუდით, ქალაქის გამგებლობა ისევ ივანე ორბელისთვის ჩაუბარებია მეფეს. მაგრამ ამით არ გათავებულა საქმე. „როგორც მოსალოდნელი იყო, ამ აქტს საპასუხო მოქმედება მოპყვა. 1174-75 წელს ათაბაგი ელდიგუზი და სულთანი არსლანი თავს დაესხნენ ანისს, დაარბიეს შირაქის ველი, მაგრამ დამარცხდნენ და უკუიქცნენ", წერს უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით მარიამ ლორთქიფანიძე.

დამარცხდნენ, მაგრამ მაინც არ მოისვენეს. აკი ითქვა, მტერს ანისი არ ეთმობოდა. ამ ბრძოლების დროს მეფემ ღალატი შენიშნა ივანე ორბელს: ვარდანის გადმოცემით, მას თურმე გადაეწყვიტა, ანისი მტრისთვის დაეთმო. იგულისხმება ანგარებიანი მიზნებით. მეფემ გადააყენა ორბელი და ეპისკოპოს ბარსელის თხოვნით, ქალაქის ამირად აპირატი დანიშნა, ძმა ეპისკოპოსისა. ეს აპირატი ჯერ ტყვეობიდან გამოასყიდვინა თურმე მეფეს ბარსელმა.

ამის შემდეგ მალე ქართველებს ისევ მოუხდათ მტრის დიდი კოალიციის წინააღმდეგ ბრძოლა, მაგრამ ქართველი მემატიანე ამაზე დუმს, და ბოლო დრომდე, საერთოდ ქართულ ისტორიოგრაფიაშიაც არაფერი თქმულა. მარიამ ლორთქიფანიძე თავის შრომაში უცხოელ ისტორიკოსზე დაყრდნობით წერს: „1175 წელს შედგა ძლიერი კოალიცია ათაბაგ ელდიგუზის, სულთან არსლან შაპის, ხლათის მმართველ შაპ არმენის, ელდიგუზის შვილის ფაპლავანის მონაწილეობით, რომელიც დიარბექირის, აზერბაიჯანის, პამადანის ლაშქრით შემოიჭრა საქართველოს მიწა-წყალზე და შემოესია ლორესა და დმანისის მიდამოებს. დაიწყო მძიმე და სისხლისმღვრელი ომი, მაპმადიანნი აწიოკებდნენ და არბევდნენ ქვეყანას. შედეგი ამ ბრძოლისა გარკვევით არც ერთ წყაროში არ არის მითითებული".

შედეგს უცხოელი ისტორიკოსი პირდაპირ არ გადმოგვცემს, მაგრამ მ. ლორთქიფანიძე ვარაუდობს, რომ ბრძოლის შემდეგ ქართველებს კვლავ დაუთმიათ ანისი: „ბედმა, ეტყობა, ისევ შედადიდებს გაუღიმა, როგორც ამას ანისის 1198/9 წლების წარწერა გვიჩვენებს. ამ წარწერის თანახმად, 1198/9 წლებში ანისის გამგებლობა მუპამედის ძმის შედადიდის ხელთაა, რომელიც აქ აწესებს თავისუფალ ვაჭრობას ბამბის ნაწარმზე"... რა პირობებში გადაეცა შედადიდებს ანისი, ეს გასარკვევი და დასადგენია. ისე კი, ეტყობა, ქართველი მეფისთვისაც ხელსაყრელი იყო პირობები, რაკი ამის შემდეგ, კარგა ხანს ქართველებს ანისისთვის აღარ უბრძოლიათ.

დადგა მცირე შესვენების პერიოდი. იმ განუწყვეტელი ომების

დროს ხალხისთვის თითო-ოროლა წლით მშვიდობიანი ცხოვრებაც კი სასურველი იყო.

ერთი სიტყვით, მცირე ხნით მოისვენა ქვეყანამ. ყველაზე ადრე მტერი იგრძნობს ხოლმე შენს ძლიერებას. მტერმა კი, ეტყობა, მართლაც დაკარგა ხალისი შემოტევებისა, მიყუჩდა და გაინაბა იმის მოლოდინში, შემდეგ რა მოხდებაო. ხალხს მშვიდობიანი შრომისა და შენების საშუალება მიეცა. ნადირობის ტრფიალი მეფე იშვებდა და იხარებდა. ნახეთ, რა აღტაცებით გვაუწყებს მემატიანე: „სანადიროთა ქორთა და ძაღლთა სამრაველე და სიტურფე და მოკაზმულობა არაოდეს ვისგან ქმნილა, არცა წიაღ-მართ ყოფად არს" — ამდენი მშვენიერი და დიდებული სანადირო ქორი და ძაღლი არც აქამდე ჰყოლია ვინმეს და არც ამის შემდეგ ეყოლებაო. აქამდე რომ არა ჰყოლია, ეს კიდევ ჰო, გასაგებია, ამისი თქმა უფრო თამამად შეიძლება; მაგრამ ასე დაბეჯითებით რომ გვარწმუნებს, ამის შემდეგაც არ ეყოლებაო, აშკარად ეტყობა, მართლაც, აურაცხელი ქორ-მწევრები ჰყოლია. რაკი საგარეო კონფლიქტებისგან მოისვენა, მეფეს მეტი საშუალება და დრო მიეცა განცხრომისაც და საშინაო საქმეების მოსაგვარებლადაც.

და მით უფრო გასაკვირია, რომ მას გამორჩა, ვერ შენიშნა, რა დიდი კონფლიქტი მზადდებოდა თურმე სწორედ ქვეყნის შიგნით.

●

უკვე რამდენი მეფის ცხოვრებას გაეცანით, და ასეთი დიდი მასშტაბის შეთქმულებას, მგონი, ჯერ არ შევხვედრივართ. გიორგი მესამის წინააღმდეგ შეთქმული აღმოჩნდა თითქმის ყველა დიდებული. ეტყობა, დიდი ხანია, საგულდაგულოდ მზადდებოდა შეთქმულება, და გასაკვირიც ის არის, როგორ ვერ შეიტყო ეს მეფემ...

როცა შეიტყო, უკვე გვიან იყო. შეთქმულებს ოცდაათიათასიანი რჩეული ჯარი მზადა ჰყავდათ, მეფეს კი იმ დროს მცირერიცხოვანი მონასპის გარდა არავინ ახლდა.

მაგრამ ჯერ ამ შეთქმულების შინაარსს გაეცნოთ და მერე ვნახოთ, რა მოხდა.

თქვენ, რაღა თქმა უნდა, გახსოვთ, რომ გიორგი მესამეს უფროსი ძმა ჰყავდა, დავითი. და რაკი ის უფროსი იყო — ანუ პირმშო მეფე დემეტრესი — საქართველოში არსებული წესის მიხედვით,

ტახტი, სწორედ მას ეკუთვნოდა. ეს ზემოთაც ითქვა. მაგრამ მამას არ სურდა, ტახტი უფროსი შვილისთვის გადაეცა, უმცროსი — გიორგი — უყვარდა გამორჩეულად, და, როგორც ეტყობა, მისთვის აპირებდა ტახტის გადაცემას. თავდაპირველად ეს ვერ მოახერხა. მოულოდნელად სხვაგვარად დატრიალდა საქმე. როგორც ვნახეთ, დემეტრე აიძულეს, ტახტი უფროსი შვილისთვის, დავითისთვის, დაეთმო და თვითონ ბერად შემდგარიყო.

მერე ისიც ვნახეთ, რომ დავითის მეფობა ხანგრძლივი არ გამოდგა. ორიოდე თვე იმეფა და მოულოდნელად მეტად საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა.

არსებული მემკვიდრეობითი წესის მიხედვით, ტახტზე უნდა აეყვანათ დავითის მცირეწლოვანი შვილი, პაპის სეხნია დემეტრე, ანუ დემნა. ეს თითქოს ყოყმანს არ იწვევდა. მაგრამ ასე არ მოხდა. საქმე სულ სხვანაირად წარიმართა. ისევ ბერად შემდგარ დემეტრე პირველს მოუნდა მეფობა. და იშვიათი რამ მოხდა: გარეჯის მონასტერში ბერად შემდგარმა დემეტრემ ბერის ჩოხა გაიხადა, მონასტრიდან დაბრუნდა და კელაე ტახტზე ავიდა...

თურმე მხოლოდ იმისთვის, რომ მოესწრო და თანამოსაყდრედ დაესვა გამორჩეულად საყვარელი უმცროსი შვილი გიორგი, რომლის გამეფება აღრე ვერ მოახერხა.

მართლაც, ავიდა თუ არა ტახტზე მეორედ დემეტრე, მაშინვე მეფედ აკურთხა გიორგი (და არა დავითის უმცროსი შვილი, მცირეწლოვანი დემნა), და თანამოსაყდრედ დაისვა — ერთად მართავდნენ ქვეყანას. თუმცა, როგორც ითქვა, დიდხანს არ დასცალდათ ასე ერთობლივი მეფობა: თითქოს მართლაც მხოლოდ იმიტომ დაბრუნდა მამა ტახტზე, რომ მოესწრო, უმცროსი შვილი თანამესაყდრედ დაესვა და თვითონ კი ამქვეყნიდან წასულიყო: დემეტრე პირველი ამის შემდეგ მალე გარდაიცვალა და, როგორც ვნახეთ, აგერ, რამდენი ხანია, ბედნიერად და სვიანად მეფობდა გიორგი მესამე.

უფლისწული დემნა კი, ტახტის კანონიერი მემკვიდრე, აქამდე, მთელი ოცდაერთი წლის განმავლობაში აღარავის გახსენებია, არც მაშინ, როცა მცირეწლოვან უფლისწულს ტახტს ართმევდნენ და არც მერე, როცა იგი წამოიზარდა და სახელოვანი ვაჟკაცი გახდა; ნახეთ, როგორ გვიხასიათებს მემატიანე: „სახე-კეთილი და ყოელითა ხელითა მარჯუე, ნასწავლი, მსგავსი სახლიშვილობისა მათისაო"; ესე იგი, პაპასა და პეპერას ამსგავსებდნენ. ამაზე მეტი ქება აღარ შეიძლება.

ერთი სიტყვით, აქამდე არავის გახსენებია და მხოლოდ ახლა გაახსენდათ, ამ 1177 წელს, ანუ გიორგი მესამის ზეობის ოცდამეერთე წლის თავზე.

ქვემოთ შეეცდებით ავხსნათ, რატომ მაინცდამაინც ახლა გაახსენდათ. ჯერ კი ისა ვთქვათ, რომ ამ ხნის განმავლობაში დემნა არსად შეგეხვედრია, არავის მოუხსენებია — ან რას აკეთებდა, რას ფიქრობდა, ან რა იმედებით სულდგმულობდა; არ ვიცით, როგორ გაატარა ბავშვობა და ჭაბუკობა, არც ის ვიცით, თავიდანვე ეტრფოდა სამეფო გვირგვინს თუ ახლა წამოუარა მეფობის ჟინმა. მხოლოდ ის ვიცით, რომ ტახტის კანონიერი მემკვიდრე ორბელიანების ოჯახში იზრდებოდა და, რაც განსაკუთრებით საგულისხმოა, მათვე დაუმოყვრდა, ამირსპასალარ ივანე ორბელიანის ქალი შეირთო ცოლად.

და უკვე ხედებით ალბათ, რომ მეფის წინააღმდეგ შეთქმულებაც ისევე და ისევ ორბელიანებისგან მომდინარეობს!

ამიტომაც ვერ შეიტყო მეფემ დროზე შეთქმულების ამბავი. ივანე ორბელიანი ამირსპასალარი იყო და უფლება ჰქონდა, როცა საჭიროდ ჩათვლიდა, მაშინ შეეკრიბა ლაშქარი. ვალდებულიც იყო, საწერთნელად დროდადრო შეეკრიბა ჯარი. ამიტომაც ვერ გაიგო მეფემ იქვე, მის მახლობლად 30.000-იანი ჯარის შეგროვება; ან ყურადღება არ მიაქცია ამას, ბუნებრივად ჩათვალა. დიდებულებთან ხშირი მისვლა-მოსვლაც, რაც ალბათ თანა სდევდა ამოდენა შეთქმულების მომზადებას, ამირსპასალარისთვის ბუნებრივი იყო. მით უმეტეს, რომ იგი ამირსპასალარიც იყო და მანდატურთუხუცესიც. შეთქმულებაში კი ბევრი გარეულა. ჯერ ერთი, ყველა ორბელიანი და მათი ახლობლები — „შერისხდა ღმერთი ორბელთა და ყოველთა ტომთა მიმდგომთა მათთა: სამცხეთართა, ჰერეთთა, კახეთთა და სადაცა ნათესავი და ნატამალი მსმენარი მათდა იყო...“

სომეხი ისტორიკოსი სტეფანოზ ორბელიანი შეთქმულთა უფრო გაშლილ სიას გვაწვდის. უკვე ჩამოთვლილ დიდებულთა გარდა, შეთქმულები ყოფილან აგრეთვე ივანე ვარდანის ძე, შოთა ძე ართავაჩის ძისა, ქართლის ერისთავი ლიპარიტ სუმბატის ძე, მეჯინიბეთუხუცესი ქავთარ ივანეს ძე, ანანია დვინელი (ეს ის ანანიაა, რომელსაც მეფემ დვინი ჩაბარა), სარგის მხარგრძელი, შვილითა და ძმისწულით, ჯავახი კახაი შვილებითურთ, დიდი გამრეკელი, მემნა ჯაყელი, კაინელი ჰასან, გრიგოლ ანელი აპირატის ძე (იმ აპირატის შვილი, რომელსაც მეფემ ეპისკოპოს ბარსელის თხოვნით ანისი ჩააბარა)...

დიდი შეთქმულება იყო.

მეფე ამ დროს სახატეს მდგარა „მცირედითა კაცითა“ — მცირერიცხოვანი ამალა ხლებია. ახლა რუკაზე ვერ ნახავთ ამ ადგილს, ასეთი გეოგრაფიული პუნქტი აღარ არსებობს. ისე კი, ნიკო ბერძენიშვილის საინტერესო გამოკვლევით, თბილისთან ახლოს მდებარეობდა, თელეთ-შავნაბადას მიდამოებში. შეთქმულები უფრო მოშორებით შეკრებილან „აგარაკსა მას დარბაზად წოდებულსა“, ყველანი თავიანთი რაზმებით მოსულან და, როგორც უკვე ითქვა, ოცდაათიათასიანი ლაშქარი შეკრებილა.

აქ ნახსენებ „აგარაკსა“ და „დარბაზს“ ნიკო ბერძენიშვილი კოჯრის მიმართულებით, კოჯორთან ახლოს, გულისხმობს... სახატე ახლოს ყოფილა დედაქალაქთან, დარბაზი — უფრო მოშორებით.

ძნელი სათქმელია, რამდენად გულწრფელი იყო ივანე ორბელიანი და რას გააკეთებდა შეთქმულების გამარჯვების შემდეგ (თუკი შეთქმულება გაიმარჯვებდა), თავიდან კი ძალიან აშკარად და უყოყმანოდ განაცხადა: მეფეს ნუ მოვკლავთ, შევიპყრათ და ფიცი ჩამოვართვათ, ხელწერილი დავადებინოთ, რომ დემნას გამეფებაში ხელს არ შეგვიშლის და მისი მორჩილი იქნება. თვითონ კი საკუთარ მამულს დასჯერდეს, რაც მამამისმა უბოძაო.

აქვე მკითხველს ერთი საყურადღებო ფაქტი უნდა შევახსენო. ამ დიდი შეთქმულების ამბავს სხვადასხვა წყარო გადმოგვცემს — ქართულიცა და უცხოურიც. ამათგან ყველაზე ვრცელი და საინტერესო სომეხი მემატიანის სტეფანოზ ორბელიანის ნაამბობია. მაგრამ მის მოწოდებულ ზოგიერთ ფაქტს ფრთხილად და ეჭვით უნდა მოვეკიდოთ, რადგან იგი, როგორც ორბელიანთა გვარის შთამომავალი, ზოგჯერ სრული ობიექტურობის დაცვას ვერ ახერხებს და მიკერძოებას იჩენს. ასე მაგალითად, ის ამტკიცებს, თითქოს დავით მეფეს, გიორგის უფროს ძმას, თავისი ხანმოკლე მეფობის დასასრულს, როცა სიკვდილის მოახლოება იგრძნო, დიდებულები მოეხმოს და მათი თანდასწრებით უმცროსი ძმისთვის ფიცი ჩამოერთმიოს — დროებით შენ ადი ტახტზე, მაგრამ, როგორც კი დემნა წამოიზრდება, მეფობა მას გადაეციო. და თითქოს შემდეგ გიორგი მესამეს გაეტეხოს ფიცი. როგორც ხედავთ, ამით სტეფანოზ ორბელიანი ამართლებს ამირსპასალარ ივანე ორბელიანის მოქმედებას და, ამდენად, მთელს შეთქმულებას. ყველაფრიდან ირკვევა, რომ ეს ასე არ ყოფილა და მოგონილია.

ერთი სიტყვით, ამჯერად ასე განაცხადა ამირსპასალარმა —

მეფეს ნუ მოეკლავთ, შეეიპყრათ და ფიცი დაავადებინოთო. მაგრამ, ეინ იცის, რა გუნებაზე დადგებოდა მერე, როცა მეფეს შეიპყრობდნენ.

თუმცა მეფის შეპყრობამდე არ მისულა საქმე. ვერ მოასწრეს.

დიდი საიდუმლოებით მიმდინარეობდა შეთქმულება, მაგრამ ყველაფერი მაინც ვერ გაუთვალისწინებიათ. სულ უბრალო დაუდევრობის გამო გამჟღავნდა შეთქმულების ამბავი. მათ ლაპარაკს ყურს უგდებდა თურმე ერთი „შეურაცხი ყრმა" — ანუ უბრალო ბიჭი, არაფრად ჩასაგდები, ყურადღებასაც რომ არ აქცევდნენ, ისეთი, არც კი უფიქრიათ, ამ ბიჭს მათი გაცემა თუ შეეძლო. ღამით ჰქონიათ კრება „დარბაზში". მოუსმენია ამ ყმაწვილს ყველაფერი და გადაუწყვეტია, მეფისთვის შეეტყობინა; რატომ გადაწყვიტა ასე, ძნელი სათქმელია — ჯილდოს ელოდა თუ უანგაროდ დაუჭირა მხარი მეფეს.

ეტყობა მეფის სადგომი იცოდა ამ ყმაწვილმა. გამოპარულა და პირდაპირ სახატეს მივარდნილა, გიორგი მესამისთვის შეუტყობინებია შეთქმულების ამბავი: ასე და ასე, დარბაზს შეიკრიბნენ დიდებულები (სათითაოდ ჩამოუთვალა), დიდი ჯარი ჰყავთ და საცაა შენს შესაპყრობად გამოსწევენო.

მეფეს ალბათ ზოგი რამ ენიშნა კიდეც. რისთვისაც აქამდე ყურადღება არ მიუქცევია, ახლა უფრო აშკარა და ნათელი გახდა. აღარ დააყოვნა, შეჯდა მაშინვე ცხენზე და თბილისისკენ გაქუსლა. — „მუნ გამაგრდა".

თბილისში ძნელი იქნებოდა მეფის შეპყრობა, თითქმის შეუძლებელიც, მაგრამ მაინც მძიმე დღეში იყო — ჯარი არა ჰყავდა: „ჯდა ტფილისსა შინა თ ვ ი ნ ი ერ ძ ა ლ თ ა ო". თბილისის ციხეში უფრო კარგად გამაგრდებოდა, მაგრამ უჯაროდ რას გახდებოდა – ადრე თუ გვიან მაინც გატეხდნენ და შეიპყრობდნენ. საქმე საშური იყო.

მეფე არ დაიბნა, სწრაფად მოუხმო ნაყიჩაყარ ყუბასარს და ჯარის შეგროვება დაავალა. ყუბასარმაც სწრაფად შეპყარა ხუთი ათასი კაცი... ხუთი ათასი მეომარი ოცდაათი ათასის წინააღმდეგ ძალიან ცოტა იყო.

შეთქმულებმა რომ გაიგეს, მეფემ ყველაფერი შეიტყო და თბილისში გამაგრდაო, არ ესიამოვნათ, შეცბნენ და... „ვითარცა წესი არს კაცთა კეთილად დაუმტკიცებელთაო" — სტეფანოზ ორბელიანი შენიშნავს (ესე იგი, როგორც უკანონოდ მოქმედ ხალხს მოსდის ხოლმეო), ნელ-ნელა რღვევა იწყო შეთქმულებამ. დიდი ჯარი ჰყავდათ, მაგრამ თბილისში შესვლას მაინც ვერ ბედავდნენ — იქ კარგად იყო მეფე გამაგრებული. მეფის თბილისიდან გამოსვლას ელოდნენ. მაგრამ

გიორგი მესამე გამოცდილი, ბრძოლებში გამოწრთობილი კაცი იყო — ჯერ ქალაქიდან რას გამოვიდოდა!

შეთქმულებას ბზარი გაუჩნდა.

პირველი — გამრეკელი გატეხილა. მას ალბათ დანაშაულიც ნაკლები ჰქონდა, და გადაუდგა შეთქმულებს, მეფეს ეახლა. იმედოვნებდა — მეფე მაპატიებსო. მართლაც, აპატიეს. აპატიეს კი არა-და, სიხარულით მიიღეს: მეფე მოეხვია, გულში ჩაიკრა შეთქმულების ამბავი არც უხსენებია.

ჭკვიანი კაცი იყო გიორგი მესამე. ეს ამბავი ხელად გახმიანდა.

სხვა შეთქმულებმა რომ გაიგეს, მეფეს საყვედურიც არ დასცდენია და გამრეკელი დიდი პატივით მიიღოო, ახლა სხვებსაც წამოუარა სინანულის გრძნობამ — მანამ გვიან არ არის, მეც ვუშველი თავსო. და, მეორე — გრიგოლ ანელი გახლდათ, შეთქმულებს რომ გამოეპარა და მეფეს მიეახლა. ისიც, რაღა თქმა უნდა, დიდი პატივით მიიღო გიორგიმ.

და ამიერიდან უფრო სწრაფად იწყო რღვევა შეთქმულებამ. „იწყო განძლიერება გიორგის მხარემან და მოკლება მხარემან დემნასამან, რამეთუ რომელნიცა მივიდოდიან გიორგისთან, დიდითა პატივითა მიიღებდა, უზომოსა ნიჭითა განამდიდრებდა მათ და ყოველსავე მამულს ორბელიანთასა აღუთქმიდა მიცემად მათდა“. ეს სტეფანოზ ორბელიანის სიტყვებია (დაწერილია მისი წიგნი სომხურად, მაგრამ ძველად უთარგმნიათ ქართულად და არქაული ენა იმით აიხსნება).

ახლა უკვე შეეძლო მეფეს თბილისიდან გამოსვლა.

თავისი გაძლიერებული მხედრობით იგი სწორედ იმ დარბაზისკენ დაიძრა, სადაც ორბელიანი იდგა და სადაც შეთქმულებს მეფეზე თავდასხმის წინ კრება ჰქონდათ. ივანე ორბელიანი უკვე ელოდა ამას და წინასწარ დაიჭირა თადარიგი: მთელი ქონება სამშვილდის ციხეში გადაიტანა. ეს ციხეც მას ეკუთვნოდა, მეფისგან ჰქონდა ნაბოძები.

ზემოთაც რამდენჯერმე გვითქვამს, სამშვილდეს ისეთი მდებარეობა აქვს, დიდი გამაგრება არა სჭირდება, ძნელი ასაღებია. ასე რომ, ამირსპასალარმა იქ მცირე ჯგუფი დატოვა ციხის მცველი გუშაგებისა, თვითონ კი მთავარი ჯარით ლორესკენ გაემართა და, რაღა თქმა უნდა, დემნაც თან წაიყვანა. ლორეც ხომ ორბელიანებისა იყო, ჯერ კიდევ დავით აღმაშენებელმა უბოძა იგი ახლანდელი ამირსპასალარის წინაპარს.

ივანე ორბელიანი უკვე შეფიქრიანებული იყო. გულში იქნებ ნანობდა კიდეც — მეფის წინააღმდეგ ამბოხება რას წამოვიწყეო,

მაგრამ უკან დახევაც აღარ შეიძლებოდა. მართალია, მეფემ ყველა შეთქმული, ვინც კი მიეახლა, შეიწყნარა, მაგრამ ჭკვიანმა ამირსპასალარმა კარგად იცოდა, რომ მას არ აპატიებდა გიორგი მესამე. არა-და, სტეფანოზ ორბელიანის სიტყვებისა არ იყოს, მისი ძალა თანდათან კლებულობდა, მეფე კი, რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა.

და ქართველი ამირსპასალარი იმგვარსაევ საძრახის გზას დაადგა, რასაც რამდენიმე ხნის წინათ მისივე მოგვარე თირქაში: უმცროსი ძმა ლიპარიტი ორი ძითურთ, აგრეთვე ანანია დვინელი და მეჯინიბეთუხუცესი ქავთარ ივანეს ძე მაპმადიან ამირებთან გაგზავნა — ზოგი ელდიგუზთან, ზოგი შაპ-არმენთან: სასწრაფოდ ჯარი მოგვაშველეთ და ქართველ მეფეს შევუტიოთო.

საკუთარი მიწა-წყლისა და ხალხის ასაკლებად მოიწვია მტრის ჯარი!

თანაც ვინ? ამირსპასალარმა და მანდატურთუხუცესმა, რომელმაც ქვეყნის ყველა სამხედრო საიდუმლო იცის.

რომელი მტრულად განწყობილი სახელმწიფო დაუჭერდა მაშველ ძალას ამირსპასალარს — ეს ხომ ჯარის საალალბედოდ გაგზავნას არ ნიშნავდა! ასეთ ვითარებაში მოლაპარაკებაც უფრო ხელსაყრელი იქნებოდა გაჭირვებაში ჩავარდნილ ქართველ დიდებულთან!..

მაგრამ, როგორც ვნახავთ, მაშველი ჯარი მაინც ვერ მიიღო ამირსპასალარმა. მაპმადიანმა ამირებმა მეტი სიფრთხილე გამოიჩინეს — არ აჩქარდნენ, დააცადეს, ვის მხარეზე გადაიხრებოდა გამარჯვების სასწორი.

სანამ ივანე ორბელიანი ლორეს ციხეში გამაგრდებოდა და მაშველი ჯარის სათხოვნელად ხალხს მაპმადიან ამირებთან დაგზავნიდა, მეფე სამშვილდეს მიადგა. ოცდახუთი დღე ალყაში იყო მოქცეული ციხე და მხოლოდ შემდეგ მოახერხეს მისი აღება. ეს სტეფანოზ ორბელიანის ცნობაა. ქართველი მემატიანე უფრო ზოგადად გადმოგვცემს: „მოუხუნა ყოველნი სიმაგრენი და ციხენი“.

შეთქმულთა ბანაკმა კიდევ განიცადა დანაკლისი: ამჯერად მათ „წამოუვიდა სარგის მხარგრძელი შვილითა და ძმისწულითა მისითა, ძმა და საყუარელი ორბელთა“ (ალბათ გახსოვთ, სარგის მხარგრძელი ხომ მეფემ თანაშემწედ დაუნიშნა ორბელს ანისში. ქვემოთ ბევრჯერ შევხვდებით მას). მეფემ ესენიც ალერსითა და სიყვარულით მიიღო, დაუყვავა, დაასაჩუქრა. საყვედური, რაღა თქმა უნდა, არც ახლა დასცდენია.

საბოლოოდ მეფემ „დაიბანაკა აგარათა“ და თავისი ერთგული მხედრობა, აწ კიდევ უფრო გაძლიერებული, შეთქმულთა წინააღმდეგ გაგზავნა ლორეს მიმართულებით. მათ გააყოლა თავისივე გაზრდილი ერთგული კაცი, მეჯინიბეთუხუცესი ჭიაბერი. ეტყობა, მეამბოხეები პერეთიდან დახმარებას ელოდნენ. ასე აქვს თედო ჟორდანიას გაშიფრული ქართული მატიანეს ბუნდოვანი ტექსტი:

„რაკი შეიტყო, რომ მეამბოხეთა ჯარი პერეთ-კავკასიიდამ მოსაშველად მოდიოდნენ, მეფემ თავისი აღზრდილი ჭიაბერი ერთგულის ჯარით გაგზავნა მათ წინააღმდეგ, რომ მეამბოხეთა შორის კავშირი მოესპო და სწრაფ თავდასხმით ამბოხება იმთავითვე მოეშალა“.

და როგორც მემატიანე გადმოგვცემს: „შეიქმნეს ომნი ფიცხელნი და კუეთარ-კუეთებანი, რამეთუ იყენესცა გამოცდილნი და ლომნი ჭაბუკნი“.

ამ ბრძოლაში დაიღუპა გრიგოლ ასათის ძე – ცხენი მოუკლეს და თავადაც დაჭრეს ხმლით. შეიპყრეს ივანე ვარდანის ძე, ერთ-ერთი აქტიური შეთქმულთაგანი, რომელზედაც ამბობდნენ, მეფეს თავიდანვე უთხრიდა ორმოსაო. შეიპყრეს კიდევ ერთი შეთქმული დიდებული — შოთა ძე ართავაჩოს ძისა. შეპყრობილნი მეფეს მიჰგვარეს. თავისთავად ცხადია, შეპყრობილებს მეფე ტკბილად არ მიიღებდა!..

გიორგი მესამე იქნებ არც კი ელოდა ასეთ გამარჯვებას. ახლა თვითონვე დაიძრა ლორესაკენ.

ცამეტი სექტემბერი იყო, შეთქმულებმა ლორეს ციხეს რომ შეაფარეს თავი და მარტის ხუთამდე გაგრძელდა ციხის ალყა. როგორც ვიცით, შეთქმულებს დამხმარე ძალების იმედი ჰქონდათ, მაგრამ არც დამხმარე ჯარი ჩანდა და არც ამირსპასალარის მიერ გაგზავნილი ხალხი. რაც დრო გადიოდა, ციხეში მყოფთა მდგომარეობა სულ უფრო და უფრო რთულდებოდა. და ამასთან ერთად, თანდათან აკლდებოდათ შეთქმულების მონაწილენი: გადმოეშვებოდნენ საბელით და მეფესთან მიიპარებოდნენ. მეფეც ტკბილად ღებულობდა ყველას.

ამირსპასალარი კი, არა და არ ტყდებოდა. არა ტყდებოდა თვით უფლისწულიც, ვის გამოც ასე აირია მთელი ქვეყანა. მეფე გაბეზრდა და სცადა, მოლაპარაკება გაემართა ურჩ ამირსპასალართან. ამას ადასტურებს რამდენიმე ისტორიული წყარო. ფაქტია, რომ მეფეს მაინც შიში ჰქონდა მაპმადიანთა მაშველი ძალებისა. მას ხომ უსათუოდ ეცოდინებოდა, რომ ამირსპასალარს ხალხი ჰყავდა გაგზავნილი ამირებთან. ამიტომაც ეშურებოდა — ან აეღო ციხე,

ან მოლაპარაკებოდა და შეთანხმებოდა ამირსპასალარს. ოღონდ, თავად არ გამოჩენილა — თავი არ დაუმცირებია — სხვებს დაავალა: თქვენივე სახელით შეატყობინეთ, რომ დაგვმორჩილდეს და დანაშაულს ვაპატიებო.

მაგრამ როგორ უნდა შეეტყობინებინათ? ციხე მიუვალი იყო.

და ასეთი ხერხი მოიგონეს: ნაფოტზე დაწერეს წერილი, ისარს შეაბეს და ციხისკენ გასტყორცნეს. ციხეში მყოფებმა, რა თქმა უნდა, დაინახეს ეს უცნაური ბარათი და ამირსპასალარს მიართვეს. სტეფანოზ ორბელიანს ამ ბარათის შინაარსიც მოაქვს:

„დიდო ივანე ორბელიანო, მხნეო, ძლიერო და უძლეველო... აწ უკეთუ გნებავს განსუენება და სიცოცხლე, პატივი, სასურველი და განუზომელი მამული შენი, რომელი სჯობს ნახევარსა ქართლისასა, მოვედ და მოართვი ყრმა ეგე დავითისა, დემნა, რომელი იქმნა მიზეზი ბოროტისა შენისა და სხვათა მრავალთა“.

ასე სწერდნენ მეფის დიდებულები ამბოხების მეთაურს.

ახლა ამირსპასალარის პასუხსაც გავეცნოთ, მანაც იმავე ხერხით გაუგზავნა ბარათი დიდებულთ — ისარს შეაბა და გასტყორცნა.

„ჰოი, დიდებულნო, საყუარელნო ჩემნო, დიდნო და ძლიერნო, მთავარნო კეთილნო, მე, ივანე ორბელიანმან აღმოვიკითხე წერილი სწავებისა თქვენისა, გარნა მე არ მომწონს განზრახვა ესე თქუენი, რომელი მოგეწერათ ჩემდა... ორის დღის პატივისათვის მე ვერა გარდავალ მას, რომელიც აღმითქუამს და ვერცა უარვყოფ ფიცსა მას საშინელსა, არამედ მე მოვკუდები ფიცისათვის ჩემისა“...

როგორც ხედავთ, მართლაც არ გატეხილა ამირსპასალარი, სხვა შეთქმულებივით ქედი არ მოუდრეკია.

და როცა მეფის ლაშქარში „ესმათ დაუდრეკელი ნება მისი“, ახალი ძალით შეუტიეს ციხეს.

ეტყობა, ეს იყო მარტის დასაწყისში — ბრძოლის მეშვიდე თვეს. და ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ძმათა სისხლისღვრა, ან როგორი ბოლო ექნებოდა ამ გაჭიანურებულ შინა ომს, რომ თვით იმისთვის არ ეღალატნა ნერვებს, ვისი საბაბითაც იღვრებოდა მოძმეთა სისხლი. დემნამ ვეღარ გაუძლო ამდენ დაძაბულობას, ღამით კოშკიდან საბელით გადმოეშვა და ისიც გამოეპარა ამირსპასალარს. ბიძასთან მივიდა და, როგორც სტეფანოზ ორბელიანი გადმოგვცემს, შეემუდარა — სხვას აღარას გთხოვ, სიცოცხლე შემინარჩუნეო.

მეფემ დესპანი გაგზავნა ციხეში და ამირსპასალარს შეუთვალა:

„რომლისთვისცა შენ მებრძოდი, აჰა, მოვიდა ჩემდა. აწ ვისთვისღა ურჩობ? მოვედ ჩემდა“.

ამირსპასალარს თითქოს მეფისთვის შემოუთვლია — თუ შემომფიცებ, რომ არას მავნებ, მოვალო. ამასაც სტეფანოზ ორბელიანი გადმოგვცემს. მეფეს თითქოს ფიცი მიუცია, არას გავნებო.

მაგრამ როცა ციხიდან ყველა ორბელიანი გამოიყვანა, მეფემ საშინელი სასჯელი გამოუტანა მათ, იმ წინაპარი მეფეების შურიც იძია, რომლებიც, აგერ რამდენი საუკუნეა, გამწარებული ჰყავდა ამ გვარს. ამირსპასალარს თვალები დათხარეს და დაასაჭურისეს („რათა არა ჰყოლოდა მემკვიდრე“), მერე დაერიენენ მთელ საგვარეულოს ორბელიანებისა და დედა-წულიანად გაჟლიტეს — „ყოველი ტომნათესაი მისი და ყოველივე ყრმა-წული და დედანი თანასწორად აღხოცნა და წარსწყმიდნა, რომელნიმე მოშთობით და რომელნიმე წყალთა შთაგდებით და რომელნიმე კლდეთა გარდატევებით“... ეს სტეფანოზ ორბელიანის ცნობაა, და ქართველი მეისტორიე (ლაშას დროინდელი მემატიანე) — ადასტურებს ამ ცნობას, მაგრამ ასე დაწერილებით არ აგვიწერს — „მუნით (ლორეს ციხიდან) გამოასხნა ორბელნი მეფემან, და იპყრნა და დახოცნა“.

დემნა ლორედან კლდეკარში წაიყვანეს და იქ დასაჯეს — თვალები დათხარეს და დაასაჭურისეს. ამ ტანჯვას ვერ გაუძლო ახალგაზრდა უფლისწულმა და მოკვდა. დამარხეს მცხეთაში. „ბიძას დამნაშაევ ძმისწული მეფეთა საგვარეულო სამარხ მონასტრის გელათის ღირსიც კი არ გაუხდიაო“, ივანე ჯავახიშვილი წერს.

მკაცრად მოქცევია ამბოხებულებს. მკაცრი საუკუნეები იყო.

არა-და, მემატიანისავე დახასიათებით, რა მშვენიერი ვაჟკაცი ყოფილა უფლისწული... გახსოვთ, როგორ უსვამს ხაზს, ნ ა ს წ ა ვ ლ ი ო, და მისსავე სახელოვან წინაპრებს ადარებს!..

ახლაც, ამდენი ხნის შემდეგ, სინანულით ფურცლავ ისტორიის ამ პირქუშ ფურცლებს.

ორბელიანთა მთელი საგვარეულო გაიჟლიტაო, ვთქვით, მაგრამ ეს არ არის მთლად სწორი. რამდენიმე კაცი მაინც გადარჩა. ივანე ორბელიანმა, აკი თავისი ძმა ლიპარიტი ორი ძით ელდიგუზ ათაბაგთან გაგზავნა. და ისინი არც მობრუნებულან, ორბელთა ამოხოცვის დროს უცხოეთში იყვნენ. იმიტომაც გადარჩნენ. სტეფანოზ ორბელიანი იმათ თავგადასავალსაც გადმოგვცემს. ლიპარიტი უცხოობაში გარდაიცვალა. იმ ორ ძეთაგან კი ერთი, რომელიც თავდაპირველად განზაგის ამირას შეეფარა, საქართველოში მობრუნებულა — ეს

უკვე თამარის მეფობის დროს, თამარისაკენ მოწვევით — და მიუციათ მისთვის მხოლოდ ორბეთი, ხოლო ორბელიანთა დანარჩენი ვრცელი მამული მეფე გიორგის თავის ერთგული დიდებულებისთვის გაუნაწილებია.

იმ ძმას, საქართველოში რომ მობრუნდა, ივანე რქმევია, პაპის სეხნია ყოფილა, და მის შთამომავლობას გაუგრძელებია გვარი („რომელმან პშუა ძენი, და აწ იგინი არიან ორბელიანნი"). მეორე ძმა კი — ელიქუმი, რომელიც ელდიგუზთან დარჩა, — მერე სომხეთში მოხვედრილა. „ელიქუმისგან წარმოსდგნენ სომხეთის ორბელიანნი, რომელთაც ეკუთვნით (თვით) სტეფანოზიო", წერს დიმიტრი ბაქრაძე. ლაპარაკია სტეფანოზ ორბელიანზე, ცნობილ სომეხ მემატიანეზე, რომლის ცნობებიც ეს არის გამოვიყენეთ.

●

ზემოთ, როცა სტეფანოზ ორბელიანის ცნობები მოგვყავდა, შევნიშნეთ, იგი მიკერძოებითა წერს, და მიუხედავად იმისა, რომ ძალიან საინტერესო ფაქტებს გვაუწყებს, კრიტიკულად უნდა შევხედოთო. მართლაც, მისი ნაამბობიდან ისე გამოდის, თითქოს ამირსპასალარი ივანე ორბელიანი სამართლიანობის დაცვას შეეწირა, უანგაროდ იცავდა კანონიერი უფლისწულის ინტერესებს... და ვერ გაიმარჯვა, უთანასწორო ბრძოლაში დამარცხდა.

მართლა ასე იყო? მართლა სამართლიანობის დაცვას შეეწირა?

ამ დიდი შეთქმულების ისტორიიდან ორი გარემოება იქცევს უნებურად ჩვენს ყურადღებას.

ჯერ ერთი: თუ მართლა დემნას ინტერესებს იცავდნენ შეთქმულები, და თუკი მართლა ფიცი ჰქონდა დადებული გიორგი მესამეს — როგორც კი გაიზრდება დემნა, ტახტს დაუთმობო, აქამდე სად იყვნენ, რატომ აქამდე არ მოინდომეს დემნას ტახტზე აყვანა? რატომ აქამდე არ შეახსენეს მეფე გიორგის თავისი ფიცი? რაღა გიორგის მეფობის ოცდამეერთე წლისთავზე მოუნდათ სამართლიანობის აღდგენა — დემნა ხომ უკვე რამდენი ხანია „მოიწიფა!" შეთქმულების წინ იგი 23-25 წლის ვაჟკაცი მაინც იქნებოდა. რაღა მაინცდამაინც ახლა გაახსენდათ და ახლა მოუნდათ იმ უსამართლობის გამოსწორება?!

ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: თუ მართლა სამეფოდ ემზადებოდა დემნა,

რატომ შეირთო ცოლად თავისი ქვეშევრდომის ქალი? ამით ხომ თვითონვე გადაიჭრა ტახტისკენ მიმავალი გზა! ივანე ჯავახიშვილი შენიშნავს: მაშინდელი წესის მიხედვით, არ შეიძლებოდა მეფეს თავისი დიდებულის ქალი შეერთო, დედოფალი უსათუოდ სამეფო გვარისა უნდა ყოფილიყოო. სხვა დიდებულები მოითმენდნენ კი, თავიანთიანი ტოლი დიდებულის ასე აღზევებას? შეეგუებოდნენ თავიანთიანი ტოლი დიდებულის დედოფლობასა და მბრძანებლობას?..

იქნებ, დემნას გამეფების ამბავი საბაბი იყო ამ დიდი შეთქმულებისა, დემნა გამოიყენეს, ნამდვილი მიზეზი კი სხვა რამეში უნდა ეძებოთ! იქნებ, სწორედ იმ რაღაც მიზეზმა გაახსენათ დემნა?!

ან როგორ მოახერხა ივანე ორბელიანმა, დიდებულთა დიდი უმრავლესობა მიემხრო და მეფის წინააღმდეგ გამოეყვანა? ყველა როგორ გადაუდგა მეფეს? თანაც რისთვის? იმისთვის, რომ თავისიანი ტოლი დიდებულის ოჯახიდან გამოსული ქალი დედოფლად გაეხადათ? ამისთვის იბრძოდნენ? ამისთვის იხდიდნენ საქმეს საალალბედოდ? რამ აიძულა ისინი, ორბელიანისა და დემნასათვის დაეჭირათ მხარი?

ამ აჯანყების ისტორიას რომ გადმოგვცემს, ივანე ჯავახიშვილი წერს:

„გიორგი მეფემ დემნას განდგომილებით ისარგებლა და ვაზირებად დიდგვარიან ორგულ მოხელეთა მაგიერ ერთგულნი დანიშნა. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ივანე ორბელის ადგილას სრულიად საქართველოს ამირსპასალარად სრულებით უგვარო კაცი, ნაყიჩაყარი ყუბასარი დააყენა... ამგვარადვე მან აზნაურთა ყმობიდან აღზევებული მისგანვე აღზრდილი აფრიდონიც დააწინაურა და მსახურთუხუცესის თანამდებობა მისცა. ჭიაბერიც, რომელიც ამ აჯანყების დროს აგრეთვე მისი ერთგული აღმოჩნდა, ასევე დაწინაურებულ იქნა. გამრეკელ-თორელიც, რომელიც ივანე ორბელიანის ჯგუფითგან პირველი მიემხრო გიორგი მეფეს, ამგვარადვე მაღალი ხელისუფლების მინიჭებით დააჯილდოვა. ასევე და ამ დროს ჩანს ყუთლუ-არსლანიც დაწინაურებული“.

და ცოტა ქვემოთ მეცნიერი განაგრძობს:

„როგორც (დავით აღმაშენებლის დროს) ქართული ეკლესიის მღვდელმსახურთა დემოკრატიზაცია მოხდა, ისევე ახლაც საქართველოს დარბაზის კარსა მდგომ მოხელეთა დ ე მ ო კ რ ა ტ ი- ზ ა ც ი ა ი ქ მ ნ ა გ ა ნ ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ უ ლ ი. პირად ღირსებას ამ შემთხვევაშიც წოდებრიობის წინაშე უპირატესობა მიანიჭა და... მაღალი თანამდებობის პირნი... წინანდელი წესის მიხედვით

კი არ იქმნენ შერჩეულნი... არამედ, მხოლოდ და მხოლოდ პირადი ღირსებისა და სამსახურით მოპოებული უფლების წყალობით".

შემთხვევით ისარგებლაო, როცა წერს დიდი მეცნიერი, იგი გულისხმობს, რომ ნიადაგი ასეთი რეფორმისთვის აჯანყებამდე იყო მომზადებული.

მაგრამ ცოტა უფრო გაბედულად და გადაჭრითა ვთქვათ: შეთქმულება და აჯანყება სწორედ იმ მოსალოდნელმა რეფორმამ გამოიწვია, რომლისთვისაც ნიადაგი მზადდებოდა. სწორედ ამან განაპირობა შეთქმულების ასეთი დიდი მასშტაბი და არა უფლისწულ დემნას უფლებების დაცვამ. ეტყობა, ბოლოს, უფლისწულიც მიხვდა, რომ მას თავიანთი ინტერესებისთვის იყენებდნენ და იმიტომაც გადაუდგა შეთქმულებას — როგორც კი ეს მოახერხა, ჩუმად გადმოეშვა თოკით კოშკიდან და მეფეს მიეახლა. ბიძის წინაშე მისი მონანიების სიტყვები უსათუოდ გულწრფელი იყო. უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ადრევე მიხვდა ყველაფერს, მიხვდა, რომ ბრმა იარაღად იყენებდნენ, მაგრამ უფლისწული ციხესიმაგრეში ტყვესავით ჰყავდათ, და იმ დრომდე გამოპარვა ვერ მოახერხა. საგულისხმოა ერთი დეტალი, რასაც სულ სხვა წყაროში ვკითხულობთ: უფლისწული საბელზე გამობმული გოდრით ჩამოეშვა ზღუდეზე, რომ არ შეენიშნათ! განსაკუთრებული სიმკაცრით ადევნებდნენ თვალყურს. იმავე წყაროს მიხედვით, დიდებულებს დიდი ხანია განზრახული ჰქონდათ განდგომოდნენ მეფეს (ალბათ იმის გამო, რომ გრძნობდნენ — მეფე რეფორმის გატარებას აპირებდა) და მხოლოდ ხელსაყრელ დროს ელოდნენ.

ზემოთ ჩვენ გავეცანით ტექსტს ამირსპასალარისა და მეფის ერთგულ დიდებულთა წერილებისა, რომელთაც ისინი ისრებით უგზავნიდნენ ერთმანეთს. ეს ტექსტი სტეფანოზ ორბელიანმა შემოგვინახა. მეორე სომხური წყაროც ადასტურებს ასეთი მიმოწერის ფაქტს, ოღონდ ცოტა უფრო განსხვავებულ ტექსტს გვაწვდის. ამ წყაროს მიხედვით, ამირსპასალარი მეფეს მთელი სამეფოსა თუ სამეფოს ერთ-ერთი კუთხის ნახევარს ედავება, და დაბეჯითებით მოითხოვს — თუ არ დამითმობ, ისე არ დაგიზავდებიო.

კიდეც რომ არ ჰქონოდეთ ასეთი მოლაპარაკება, თავისთავად ის ფაქტიც, რომ ამას თითქმის ამ ამბების მოწმე ისტორიკოსი გადმოგვცემს, საგულისხმოა.

ამრიგად, აჯანყება უფრო ღრმა სოციალურმა მოვლენებმა გამოიწვიეს და არა უსამართლოდ დაჩაგრული უფლისწულის

გულმოწყალე გამოსარჩლებამ. იმიტომაც იყო, რომ ექო ამ აჯანყებისა დიდხანს არ დამცხრალა. ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რომ სოციალური კონფლიქტი, რამაც ფაქტიურად ეს აჯანყება გამოიწვია, მომდევნო წლებში, გიორგის გარდაცვალების შემდეგ უფრო გაღრმავდა და გამოიკვეთა.

აქვე ერთი საინტერესო ფაქტზე უნდა შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება.

როგორც უკვე ითქვა, ეს დიდი შეთქმულება 1177 წლით თარიღდება. ამის შემდეგ გავიდა ერთი წელი და სამეფო კარზე და მთელი ქვეყნის ცხოვრებაშიაც მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. 1178 წელს გიორგი მესამემ მეფედ აკურთხა და თანამოსაყდრედ დაისვა თავისი ასული თამარი. მეფეს ვაჟი არა ჰყოლია და ქალი დაისვა თანამოსაყდრედ. ისტორიის სახელმძღვანელოებში წაიკითხავთ — იმ დიდმა აჯანყებამ დააჩქარებინა მეფე გიორგის თამარისთვის სამეფო გვირგვინის დადგმა, აჯანყებამ დაარწმუნა, რომ ახლავე ჯობდა ეს გაეკეთებინა, თავის სიცოცხლეშივე; შემდეგ დიდი წინააღმდეგობა შეხვდებოდა ქალს, რადგან პირველი შემთხვევა იყო საქართველოში სამეფო ტახტზე ქალის ასვლისა. მოსალოდნელი იყო, რომ დიდებულები არ ინდომებდნენ ახალგაზრდა ქალის გამეფებას, იუკადრისებდნენ... და აი, ისარგებლა გიორგი მესამემ აჯანყების ასე წარმატებულად ჩახშობით, ქალი თავის სიცოცხლეშივე გაამეფაო.

ასე წერენ. ასე წაიკითხავთ ისტორიის სახელმძღვანელოებში.

პირიქით ხომ არ მოხდა? როცა მეფის განზრახვა გაიგეს — ქალის გამეფებას აპირებსო, ამან ხომ არ გამოიწვია აჯანყება?! ეს ხომ არ გამოდგა უშუალო ბიძგი, რათა უკვე მომწიფებული კონფლიქტი, უაღრესად დაძაბული სოციალური უთანხმოება აჯანყებად აფეთქებულიყო?! ამით ხომ არ უნდა აეხსნათ დიდებულთა ასე მასობრივი მონაწილეობა შეთქმულებაში?! ამან ხომ არ გაუადვილა იანე ორბელიანს დიდი მასშტაბის შეთქმულების მოწყობა?! დაუჯერებელია, რომ დემნას ინტერესებისთვის ერთბაშად ყველას ასე გამოედო თავი.

●

აჯანყების ჩახშობის შემდეგ გამარჯვებული მეფე თბილისში რომ მობრუნდა, იქ ერთი უსიამოვნო სიურპრიზი ელოდა. ეკლესია,

ეტყობა, დიდი ხანია ცდილობდა გაეუქმებინა საეკლესიო ქონება-მამულზე სახელმწიფოს სასარგებლოდ დაწესებული გადასახადი, მაგრამ აქამდე ვერ მოეხერხებინა. გიორგი მესამე მტკიცე კაცი იყო და ასე ადვილად ვერ გატეხდნენ, საკლესიო გადასახადის გაუქმებაზე ვერ დაიყოლიებდნენ. ამიტომ ხელსაყრელ დროს ელოდნენ. და აი, დადგა ეს ხელსაყრელი დროც.

სანამ მეფე იქ აჯანყებულებს უსწორდებოდა, აქ საეკლესიო კრება მოიწვიეს და გადასახადის გაუქმება დაადგინეს. როცა დაბრუნდა მეფე, მიეახლნენ და გამარჯვება მიულოცეს, სიხარული გამოთქვეს, რომ მან ქვეყნისა და სამეფო ტახტის ორგულები და მოღალატეები ასე სასტიკად დაამარცხა. ამის შემდეგ კი თავისი მთავარი სათქმელი მოახსენეს — კრების გადაწყვეტილება შეატყობინეს.

მეფეს, ეტყობა, უკვე გაგებული ჰქონდა საეკლესიო კრების მოწვევისა და ასეთი გადაწყვეტილების ამბავი. დაბეჯითებით ვერავინ იტყვის, როგორ შეხვდებოდა ამას გიორგი მესამე სხვა ვითარებაში... უნდა ვიგულისხმოთ, მისთვის ეს ძალიან უსიამოვნო იქნებოდა — ეკლესია მდიდარი იყო და სახელმწიფოს დიდი შემოსავალი დააკლდებოდა. იმიტომაც იყო ეს ფაქტი უსიამოვნო, რომ ამითვე ესმებოდა ხაზი მეფის გაელენის შესუსტებას, ეკლესია მეტ დამოუკიდებლობას იღებდა ამით და განუწყვეტელი ბრძოლა — ხან ფარული და ხანაც აშკარა — ახლა უკვე ეკლესიის აშკარა გამარჯვებით წარიმართებოდა...

ეს ყველაფერი, რაღა თქმა უნდა, კარგად ჰქონდა გათვალისწინებული ქართველ მეფეს: მაგრამ ჭკვიანი კაცი იყო და დროზე უკანდახევაც იცოდა. ჩათრევას ჩაყოლა სჯობსო — ისე დაიჭირა თავი, თითქოს არც სწყენოდეს და არც გაჰკვირვებოდეს. პირიქით, დაგისწრიათო, უთხრა, დაგისწრიათ, თორემ მე თვითონ ვაპირებდი ამასო, საეკლესიო გადასახადების გაუქმებას ვაპირებდიო.

ეკლესიის მესვეურები, რაღა თქმა უნდა, მაშინვე მიხვდნენ, რომ ასე არ იყო, მაგრამ პირში ხომ არ სწვდებოდნენ — არა, შენ ამას არ აპირებდი, ჩვენ გაიძულეთო; მშვიდობიანად მოგვარებულ საქმეს ხომ არ გაამწვავებდნენ?! ან რა საჭირო იყო, ისინი რას კარგავდნენ! რასაც ამდენი ხანია ცდილობდნენ, ასე იოლად მიაღწიეს; შეიფერეს, თავი ისე დაიჭირეს, თითქოს მეფის სიტყვები ერწმუნოთ, და მადლობა მოახსენეს. მეფემ კი, ამით ეკლესიის გამარჯვების მნიშვნელობაც შეასუსტა. გაყოყოჩებისა და მომავალი ქედმაღლური მოქმედების საშუალება მოუსპო. ერთი სიტყვით, სიბრძნე გამოიჩინა მეფემ,

ასეთ ვითარებაში ეკლესიის მტრად მოკიდება არ შეიძლებოდა. მით უმეტეს, — ამას განსაკუთრებით უნდა მივაქციოთ ყურადღება, — ეკლესიის მხარდაჭერა თურმე ხვალვე სჭირდებოდა მეფეს, თავისი ქალის მეფედ კურთხევის დროს.

●

ამრიგად, 1178 წელს გიორგი მესამემ დარბაზი ანუ სამეფო საბჭო მოიწვია და საკითხი დააყენა თამარის თანამოსაყდრედ დასმის შესახებ. ახლა უკვე დიდი შიში აღარ უნდა ჰქონოდა მეფეს — წინააღმდეგობას აღარ წააწყდებოდა. სავარაუდებელი აქტიური მოწინააღმდეგეები განადგურებულები იყვნენ, ეკლესია, როგორც ვნახეთ, უკვე მხარს დაუჭერდა და დასტურს მისცემდა.

მართლაც, დარბაზმა თანხმობა მისცა გიორგი მესამეს. და მემატიანის სიტყვებით, მეფემ „დაისუა (თამარი) მარჯვენით მისსა... და დაადგა გვირგვინი ოქროსა თავსა მისსა, ოქროსა მის ოფაზისა, აღმკული იაკინთითა ზმირთა და სმარაგდოთა მიერ“...

ამის შემდეგ გიორგი მესამე შვილთან ერთად განაგებდა სახელმწიფოს. გარეშე მტრებთან ბრძოლები მომდევნო წლებში, ეტყობა, აღარ შეხვედრია. ყოველ შემთხვევაში, ამის შესახებ არც ქართველი მემატიანე ამბობს რამეს და უცხოური წყაროებიც სდუმან. უკვე ისეთი ძლიერი იყო ქართული ლაშქარი, წინა ბრძოლებით ისეთი შიშის ზარი გახდა მტრისთვის, რომ შემოტევები დაცხრა, მტერი მიწყნარდა, თითქოს დროებით შეურიგდა ბედს და უფრო ხელსაყრელი შემთხვევის მოლოდინში გაინაბა. შინაური მტრებიც, როგორც უკვე ვნახეთ, დაამარცხა და გატეხა მეფემ, და სვებედნიერად წარიმართა ბოლო წლები გიორგი მესამის მეფობისა.

მაგრამ იყო კი სრული მშვიდობა სახელმწიფოში?

საბუთებს შემოუნახავთ ერთი მეტად საგულისხმო და საყურადღებო ფაქტი, რითაც მტკიცდება, რომ დამშვიდებული ცხოვრება ქვეყანაში მაინც არა ყოფილა. მაინც მღელვარება იყო.

როცა ზემოთ სოციალურ კონფლიქტზე გვქონდა ლაპარაკი, ჩვენ ვახსენეთ დაძაბული ურთიერთობა და ბრძოლა მემკვიდრეობით დიდგვაროვნებსა და პირადი ღირსებების ნიშნით დაწინაურებულ მოხელეებს შორის. ეს ბრძოლა, როგორც ვნახეთ, კარგა ხანია მიმდინარეობს, ვნახეთ, როგორ გამწვავდა იგი დავით აღმაშენებლის

დროს, და ახლაც გრძელდება... იმისი მოწმენიც ვიქნებით, როგორ გაგრძელდება ის მომავალ წლებშიაც. ეს თითქოს ჩვეულებრივი გახდა სამეფო კარის ცხოვრებისთვის. ამას არ ვგულისხმობდით, როცა ქვეყნის შინაგან მღელვარებაზე ელაპარაკობდით. ახლა ჩვენ სხვა საკითხს გვინდა შეეეხოთ, სხვა სოციალურ კრიზისს.

1179 წელს გიორგი მესამე იძულებული გახდა, მოეწვია საკანონმდებლო კრება, რომელსაც უნდა მიეღო გადაწყვეტილება ქვეყნად გახშირებული ქურდობისა და მეკობრეობა-ავაზაკობის აღმოსაფხვრელად. ის ფაქტი, რომ ქურდობა-მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლა დარბაზის საგანგებო მსჯელობის საგანი გახდა, უკვე თავისთავად მეტყველებს, რა დაძაბული მდგომარეობა შექმნილა ქვეყანაში. რაღაც ცალკეული შემთხვევები რომ ყოფილიყო ავაზაკობა-მეკობრეობისა, მაშინ დარბაზის საგანგებო შეყრა საჭირო არ გახდებოდა — არსებული კანონმდებლობის მიხედვით დაავალებდნენ მოხელეებს მოქმედებას. რაკი საგანგებოდ შეიკრიბა დარბაზი, ეტყობა, მდგომარეობაც საგანგებო იყო.

დარბაზმა მკაცრი ღონისძიებანი შეიმუშავა. მეკობრეთათვის სასჯელად დააწესეს „ძელსა ზედა ჩამოხრჩობა". მოხელეებს დაევალათ, ეძებნათ მეკობრეები და როგორც კი აღმოაჩენდნენ, მაშინვე ჩამოეხრჩოთ. სახრჩობელები პირდაპირ გზაჯვარედინებზე იყო აღმართული, ხალხის თვალწინ ხდებოდა მეკობრეების შეპყრობაცა და მერე ასეთი სასტიკი დასჯაც. განურჩევლად სჯიდნენ ყველას, ვისაც კი მეკობრეობაში ბრალს დასდებდნენ.

სამეფო კარისა და დარბაზის საგანგებო ღონისძიებანი მეკობრეობის აღსაკვეთად პირველი არ ყოფილა: ქურდობისა და მეკობრეობის წინააღმდეგ საქართველოში მუდამ შეუპოვარი ბრძოლა პქონიათ. ამის კვალს, სხვათა შორის, გიორგი მესამის 1170 წლით დათარიღებულ ერთ სიგელშიაც ეხვდებით. ამ სიგელის მიხედვითაც ჩანს, რომ საგანგებო „სამპარავთ-მეძებლო" ორგანიზაცია არსებულა ქურდებისა და ყაჩაღების გამოსავლენადა და დასასჯელად: „...სამართალი ს ა მ პ ა რ ა ვ თ - მ ე ძ ე ბ ლ ო ი არცარაი წინაის შესრულა, ნუცა სადა აწ შეველენ ჩუენნი მ პ ა რ ა ვ თ - მ ე ძ ე ბ ე ლ ნ ი... თუ მრავალჯერ ეპაროს მას კაცსა, ანუ ჩამოარჩონ ჩ უ ე ნ თ ა ჩ ე - ნ ი ლ თ ა, ანუ გაპატიჟონ. და თუ გარდაიხუეწოს სხუაგან, სდევდენ ჩუენნი ჩენილნი"...

საგულისხმო ის არის, რომ დაზარალებულის საჩივარს კი

არ ელოდნენ, არამედ სახელმწიფო-სამძებრო ორგანოები თავად ეძებდნენ...

სომეხი მემატიანის ვარდანის ცნობით, სხვათა შორის, ჩამოხრ-ჩობილთან ერთად ძელზე მოპარულ საქონელსაც ჩამოკიდებდნენ; ალბათ იმიტომაც, რომ ყველას ენახა, რისთვის შეირცხვინა და დაიღუპა ამ კაცმა თავი. მკაცრი ზნეობრივი გაკვეთილი იყო.

მაგრამ ასეთი მკაცრი ზომების მიუხედავად, მეკობრეობა მაინც გრძელდებოდა. აბა, ყურადღებით წაიკითხეთ „ვეფხისტყაოსანი", რა შიშის ზარი დგას სავაჭრო-საქარავნო გზებზე მეკობრეთაგან. დიდებულ ქმნილებაში ეს სოციალური საკითხიც კარგად აირეკლა.

სავაჭრო-საქარავნო გზები ვახსენეთ. მეკობრეობა მარტო მშვიდობიანი მოსახლეობისთვის კი არ იყო საშიში, იგი უმთავრესად ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებას ემუქრებოდა, ქვეყნის შემდგომი აღორძინების ბორკილი გამხდარიყო. ამან შეაშფოთა სამეფო კარი. ამან მოაწვევინა დარბაზი და საგანგებო ღონისძიებანი მიაღებინა.

მაგრამ მეკობრეობის აღმოფხერა მაინც არ მოხერხდა, და ეს ბუნებრივიცაა, რადგან მას ღრმა სოციალური საფუძველი ჰქონდა და თუ ამ საფუძველს არ უმკურნალებდნენ, ისე ვერაფერი ეშველებოდა. ისე მომრავლდა ე. წ. „მდაბიორ-მოლაშქრენი", გლა-ხაკები, რომლებიც ფეოდალური წარმოების წესმა გამოდევნა და ულუკმაპუროდ დასვა, უსაქმურ მაწანწალად აქცია, რომ ადმინისტრაციული ღონისძიებებით ვეღარაფერს გახდებოდნენ. „...ჩვენს წინაშეა მრავალრიცხოვანი მეკობრეები და გლახაკები, რომელნიც ფეოდალურ ურთიერთობას გამოთიშვიან და რომელნიც ფეოდალური წარმოების წესს გამოუძევებია. მეკობრეებისა და გლახაკების სიმრავლე ნიშნავს ცოცხალ პროტესტს არსებული ურთიერთობის წინააღმდეგ, გამოავლენს კლასობრივ ბრძოლაში დამარცხებულთ", — წერს ნიკო ბერძენიშვილი.

●

თამარი გიორგი მესამემ 1178 წელს დაისვა თანამოსაყდრედ. ამის შემდეგ დიდი ხანი არ გასულა, რომ გარდაიცვალა გიორგი მესამის მეუღლე, თამარის დედა, დედოფალი ბურდუხანი. ეს იყო ოსთა მეფის ხუდანის ასული. მემატიანე დიდი ქებით მოიხსენიებს მას — „სწორი ძისა ღმრთისა დედისაო".

როგორც უკვე ითქვა, სხვა ცნობებს — თუ რა მოხდა მეფის კარზე ან ქვეყნის ცხოვრებაში 1184 წლამდე — არც ქართველი მემატიანეები, არც უცხოური წყაროები არ გვაწვდიან. და მოკლებული ვართ საშუალებას, უფრო დაწერილებით გაეცნოთ ჩვენი ხალხის ცხოვრებას დროის ამ მცირე მონაკვეთში.

1184 წლის გაზაფხულზე კი, მარტის თვეში, ენების კვირას, გარდაიცვალა გიორგი მესამე.

თამარი ამ დროს თბილისში ყოფილა. ისნის სასახლეში, და იქ მოახსენეს ხელმწიფე-მამის გარდაცვალების ამბავი.

მემატიანე გადმოგვცემს, რა საშინელი ელდა იყო ეს ახალგაზრდა ქალისთვის, როგორ იქცა „ყოველითურთ სამოთხის მსგავსი სამყოფი... მსგავს ჯოჯოხეთისა...“, როგორ დაისადგურა „შუებათა წილ და სიმღერისა... ხმანი ვაებისა და ტყვებისანი...“, „და თამარი, პირი იგი ეთეროვანი, და უკიმირო ჰაერი. და უმრუმო ნათელი შეიზღუდა ბნელითა...“

ელდა ახალგაზრდა ქალისთვის მართალც დიდი იყო და რა მაღალფარდოვნადაც უნდა გადმოგვცეს ეს მემატიანემ, ჩვენ ადვილად შეგვიძლია მივწვდეთ ღრმა და გულწრფელ მწუხარებას, რასაც მაშინ ახალგაზრდა ქალის არსება მოეცვა.

მაგრამ მწუხარების დიდი ელდა ერთი მხარეა და ის ცალად არ მოსულა. მას თან მოჰყვა განუზომლად დიდი ფიქრი და საზრუნავი. ამიერიდან თვრამეტი წლის ახალგაზრდა ქალი დიდი სახელმწიფოს ერთადერთი მმართველი ხდებოდა. ამიერიდან ის უნდა გასძღოლოდა მრავალათასიან ლაშქარს ყოველმხრივ მოძუძგურებული მტრის წინააღმდეგ, რომლებიც სწორედ ამ დღეს უცდიდნენ. ამ დღის მოლოდინში განაბულიყვნენ... მას უნდა დაეგვირგვინებინა წინაპართა მიერ დაწყებული დიდი საქმე, ამიერიდან მას უნდა გაეჩინა ქვეყნად სამართალი, ღირსეული — აემაღლებინა, ულირსი — დაემდაბლებინა, ერთგული — შეეტკბო, ორგულთათვის სასტიკი სასჯელი არ დაეგვიანებინა... რაც მთავარია, მას უნდა შეეცნო, ვინ იყო ჭეშმარიტად ერთგული და ვინ აფარებდა სახეს ერთგულების ნიღაბს; დამნაშავე უნდა გამოეცნო და საკადრისად დაესაჯა... ყველასთვის თავისი მიეზღა. შეცდომა ახლა არ შეიძლებოდა. შეცდომა საკუთარი თავის განადგურებას ნიშნავდა.

ახალგაზრდა ქალი უკვე გრძნობდა, როგორ უკიდურესად დაჭიმულიყო ურთიერთობა დიდებულთა შორის, რა დაძაბული მდგომარეობა შექმნილიყო ეკლესიაში...

ვინ იყო ამათ შორის მართალი? ქვეყნისთვის როგორა სჯობდა? ხვალინდელი დღე რა ნაბიჯს გაამართლებდა?..

მას დღესვე, ახლავე, უყოყმანოდ და მტკიცედ უნდა გაეცა პასუხი ამ რთულ კითხვებზე. ახლავე, როგორც კი ეს დიდებულები მამის სამძიმარზე მოვიდოდნენ, ქალის წინაშე თავს დახრიდნენ და ცბიერ, გამომცდელ მზერას შეფარვით მიაპყრობდნენ, ახალგაზრდა მეფის თვალებში მათ მტკიცე პასუხი უნდა ამოეკითხათ. ახლავე, თორემ მერე უკვე გვიან იქნებოდა. ახალგაზრდა ქალის ცხოვრებაში ყველაზე პასუხსაგები მომენტი დამდგარიყო. ასეთი მკაცრი გამოცდა მას არც აქამდე ჰქონია და არც ოდესმე ექნებოდა...

მოხუცმა მეფემ სიფრთხილე გამოიჩინა და ყმაწვილი ქალი თავის სიცოცხლეშივე აკურთხა მეფედ, გვერდზე მოისვა, მტერიც და მოყვარეც შეაჩვია ამ ცოტა არ იყოს უცნაურ ფაქტს, რომ ქალი უნდა ყოფილიყო მათი მეფე და მბრძანებელი. ეს ბრძნული სიფრთხილე იყო გიორგი მესამის მხრით, მაგრამ — ახალგაზრდა ქალს ამაზედაც უნდა ეფიქრა — ვითომ საბოლოო იყო ეს? სამეფო საბჭო საეჭვოდ აღარ გახდიდა? ხელახლა არ დააყენებდა ქალის მეფობის საკითხს?..

მძიმე ფიქრები მოჰყვა მწუხარების პირველ ელდას. და ახალგაზრდა ქალს იმის შიშიც უნდა ჰქონოდა, რომ მის ფიქრთა დენას არავინ მისწვდომოდა, მამის სიკვდილით გამოწვეული მწუხარებაც მოზომილად მართებდა, ზუსტად ისე, როგორც მისი მდგომარეობის ადამიანს შეეფერებოდა, საუკუნეებით ჩამოყალიბებული კანონების მიხედვით...

ქალმა თავისი გამზრდელი მამიდა მოიკითხა და მოახსენეს, რომ პატრიარქი დიდებულების თანხლებით უკვე წასულიყო სამშვილდეს, სადაც გიორგი მესამის და, სულთნის ცოლყოფილი რუსუდანი ბრძანდებოდა.

რუსუდანი მაშინვე ჩამოვიდა სამშვილდიდან, მემატიანე შენიშნავს, რომ რუსუდანს თან ახლდა გაზრდილი მისი — სოსლანი. მამიდამ და ძმისწულმა ერთმანეთს მიუსამძიმრეს („მომხუეველნი ურთიერთისანი და მოლტობილნი სისხლრეულითა ცრემლითა") და ერთად გაემართნენ, რათა უკანასკნელი პატივი ეცათ მამისა და ძმისთვის, საქართველოს მეფის გიორგი მესამისთვის.

მემატიანის მოთხრობა საშუალებას გვაძლევს, უფრო ახლოს გაეცნოთ ზოგიერთ დეტალს დაკრძალვის ცერემონიალისა.

გიორგი მესამე გელათში დაკრძალეს. ზოგიერთი თანამედროვე მკვლევარი ვარაუდობს, რომ დაკრძალვის წინ მეფის ცხედარი დასვენებული იყო გეგუთის სასახლეში.

●

რამდენჯერმე ვახსენეთ გეგუთი. იმ ეპოქის ქართველ მეფეებს რამდენიმე რეზიდენცია ჰქონდათ. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მათ შორის გეგუთი იყო. განსაკუთრებით უყვარდათ გეგუთი გიორგი მესამესა და თამარს. ალბათ სწორედ ამის გამო ეს სასახლე უფრო ხშირად „თამარის სასახლედ“ მოიხსენიება, უწოდებენ აგრეთვე „ციხედარბაზს“. საინტერესოა, რა შთაბეჭდილება მოუხდენია უკვე ნანგრევებს ამ სასახლისა შვეიცარიელ მეგზურსა და მკვლევარ დიუბუა დე მონპერეზე.

„მუხებსა და მუხის მწკრივებით შემოვლებულს ფართო სიმინდის ყანებში გზა დამებნა, — როგორც ხედავთ, კარგად აცოცხლებს იმერეთის პეიზაჟს უცხოელი მოგზაური, — მაგრამ უცებ ამ ლაბირინთიდან გამოვედი და ჩემ წინ თალების და ნანგრევების გროვა წამოიმართა, რომელთა დიდებულებამ გამაკვირვა: არასდროს და არსად მსგავსი მე არაფერი მინახავს...“

თანამედროვე მკვლევარების აზრით, იმ ადგილას, სადაც ახლა გრანდიოზული სასახლის ნანგრევებია, ძველად სხვა შენობა ყოფილა — ალბათ, უფრო მომცრო სასახლე — და გიორგი მესამეს ახალი აუშენებია. როგორც ითქვა, ახლა ნანგრევებიღაა იმ გრანდიოზული სასახლისა. ეტყობა, არცთუ ისე დიდი ხნის წინათ დანგრეულა — გასული საუკუნის დასაწყისში. და, სამწუხაროდ, მეტად დასაძრახი პრაქტიკული მიზნების გამო. დიუბუა დე მონპერე იქვე წერს: ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა ორლოვმა მიამბო, ქუთაისის ნახევარი გეგუთის სასახლის აგურით არის აშენებულიო! ამ ოთახის ბუხარიც, სადაც ახლა ჩვენა ვსხედვართ და ვსაუბრობთ, იმ სასახლის აგურებით ნაგებიაო.

მდებარეობაც დიდებული აქვს სასახლეს. განსაკუთრებით თვალსაჩინოდ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მისი მომხიბლაობა, როცა გავითვალისწინებთ, რომ მას ცოტა მოშორებით ატეხილი მუხნარი ერტყა. ძალიან კარგი სანადირო ადგილები იყო. აქვეა აჯამეთის განთქმული ტყე, ქართველ მეფეთა საყვარელი სანადირო ადგილი. იქნებ გახსოვთ კიდეც, როგორ გამოიტყუა მეტად უდროო დროს კახეთიდან მეფე გიორგი მეორე ამ ტყის მაცთუნებელმა გახსენებამ. ახლა მდინარე რიონი ცოტა უფრო მოშორებით ჩაუდის შენობას, ძველად კი, როცა სასახლე თავისი პირვანდელი ელვარებით ბრწყინავდა, მდინარე თურმე იქვე მიედინებოდა და მისი

დაუცხრომელი ბუტბუტი სასახლის ბინადართ ესმოდა...

ნანგრევებს აღადგენენ ხოლმე და წარმოიდგენენ, როგორი იქნებოდა შენობა დანგრევამდე. ზოგჯერ ეს ძნელია, — როცა შენობა ძალიან დაზიანებულია, — ზოგჯერ — შედარებით ადვილი; შენობის ნანგრევები თვითონვე გიკარნახებენ, წარმოიდგინო მისი პირვანდელი დიდება, და სპეციალისტიც რომ არ იყო, გონების თვალით მაინც აღადგენ მის ადრინდელ სახეს...

გეგუთის ნანგრევებს სხვა თვისებაც აქვს... გეგუთის ნანგრევებს რომ შესცქერი და დანგრეულ კიბეებზე ადი-ჩადიხარ, როცა იმ ძველ იატაკზე გაივლი და ჩამორღვეულ კოშკს შეავლებ თვალს, როცა დიდი დარბაზიდან პატარა ოთახებში გადიხარ, თითქოს საუკუნეების წინათ აქ მობინადრე ადამიანების მკრთალ სილუეტებსა ხედავ, თითქოს დიდი ხნის წინათ აქ დარხეული ხმების სუსტი ექო ჩაგესმის... და მოგინდება წარმოიდგინო არა მარტო პირვანდელი გარეგნული სიდიადე სასახლისა, არამედ მთელი ის ცხოვრება, რაც აქ ჩქეფდა — ლხინი, წვეულება, შუშპრობა, სჯა-ბაასი დიდ სახელმწიფოებრივ საქმეებზე, კარის ინტრიგები, აგიზგიზებული ბუხარი და ცეცხლთან ჩაფიქრებული ადამიანი, ოთახებიდან გამოჭრილი ჩურჩული სეფე-ქალებისა, დარბაზში შემოსული შორეული სახელმწიფოს ელჩი, რომელიც მნიშვნელოვანი ამბის მაცნედ მოსულა და ახლა მეფის გამობრძანებას ელის, იმერეთის ცაზე დაკიდებული მთვარე და სასახლის ეზოდან გამოსული დიდი მხედრობა, რომლის სალაშქრო სიმღერა დიდხანს მოაქვს ნიავს და თანდათან მიწყდება, რიონის ბუტბუტს შეერთვის...

დამგლოვიარებული თამარი და რუსუდანი რომ შებრძანდნენ სასახლის დიდ დარბაზში, პირველად სამეფო ტახტს შეავლეს თვალი; აღარავინ იჯდა ტახტზე, დაცარიელებულიყო — „საყდარი (ანუ ტახტი) ცამდე ამაღლებული... პოეს დაცლილად“.

ეს იყო პირველი შთაბეჭდილება.

მემატიანე მგლოვიარე მანდილოსანთა თვალებით გვაცნობს ვითარებას – ან მეფე სად ასვენია, ან როგორი დარბაზია, ან დასატირებლად ვინ მოსულა.

მერე თვალი მოატარეს... „მიმოიხილეს გარემოს და იხილეს მიქაელ პატრიარქი ყოველთა ებისკოპოზითურთ მდგომი და ვაზირი ანტონი, და ამირსპასალარი ყუბასარ, და სხუანი ხელისუფალნი: ყუთლუ-არსლან მეჭურჭლეთუხუცესი, ეარდან დადიანი ჩუხჩარხი, ჭიაბერი მეჯინიბეთუხუცესი, აფრიდონ მსახურთუხუცესი, ივანე ქობულის ძე და დიდებულნი, აზნაურნი, მონანი და მოყმენი...“

მემატიანემ თითქმის მთელი სამეფო საბჭო გაგვაცნო; ისინი მოსულან, რათა უკანასკნელი ვალი მოიხადონ გარდაცვლილი მეფის წინაშე, რათა დაიტირონ ქვეყნის დიდი მბრძანებელი და მის დასა და ასულს სამძიმარი უთხრან... გაგვაცნო ეს ხალხი მემატიანემ და ამის შემდეგ მიგვახედა მეფის სამოსელისა და საჭურველისაკენ, რაც იქვე ეწყო, ცხედარის გვერდით —

„თანა პორფირი და გეირგეინი სკიპტრითა და საჭურველითა სვიანად ხმარებულითა“.

და ახლა მგლოვიარე მანდილოსნებთან ერთად, ჩვენც საოცრება უნდა გვაჩვენოს:

„და კუალად ამხილველთა იხილეს კლდები და ცა სრისა სავსე მეომართა, რაზმები, სპები, მონასპები, ქალაქები და ციხეები აწყუედილი და ოხერქმნილი...“

პირველი წაკითხვით გაუგებარი ჩანს...

საერთოდ, ეს ნაწარმოები — „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ — გადამწერთაგან დამახინჯებულია და ბევრი ადგილი მეტად ბუნდოვანია, გაგება ჭირს. ბუნდოვნად ითვლებოდა, მაგალითად, ზემოთ მოტანილი სტრიქონები (ისევე, როგორც მომდევნო ორი სტრიქონი).

რას უნდა ნიშნავდეს მეომრებით, სპებით, მონასპებით სავსე კედლები (კლდები)?

იქნებ ეს დიდი ლაშქარი კედელთან იყო ჩამწკრივებული, იქნებ ასე უნდა ვიგულისხმოთ!

მართლაც ასე ხსნიდნენ: აქ სასახლის დიდი დარბაზის კედელთან ჩამწკრივებული მეომრები, რაზმები იგულისხმებაო...

ძნელი წარმოსადგენია კედელთან ჩამწკრივებული „სავსე მეომართა რაზმები, სპები, მონასპები...“ მაგრამ ეს კიდევ არაფერი, კაცმა შეიძლება იფიქროს, მწერალი გაზვიადებულად გვიხატავსო. მომდევნო ფრაზა როგორღა გინდა ახსნა, ის უფრო დიდ თავსატეხს გვიჩენს — ქალაქები და „აწყუედილი“, ოხერქმნილი ციხეები როგორღა გინდა წარმოიდგინო იმ დარბაზში, სადაც მეფის ცხედარი ესვენა?!

ორმა მკვლევარმა, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ნათელი მოჰფინა ამ ადგილს — ქრისტინე შარაშიძემ და ვარლამ დონდუამ. თურმე სასახლის კედლები ყოფილა მოხატული გრანდიოზული ბატალური სცენებით, ბრძოლის ეპიზოდებით, დანგრეული და ოხერქმნილი ქალაქებითა და ციხე-კოშკებით...

და რაკი ამ ბუნდოვან ადგილს ნათელი მოჰფინეს, მომდევნო

სტრიქონების ამოხსნა უკვე აღარ გაუძნელდებოდათ ზემოხსენებულ მკვლევარებს.

„და თვით იხილეს ტანითა გორგასლიანითა და მკლავითა აქილიანითა და პირითა მნათობიერითა კაცი ეროად (გმირად) საგონებელი...“

როგორც ხედავთ, მეფეზეა ლაპარაკი; მაგრამ ასეთად კი არ წ ა რ მ ო ი დ გ ი ნ ე ს მამა და ძმა მგლოვიარე ასულმა და დამ, როგორც ტექსტის ზოგი ინტერპრეტატორი გვთავაზობს, არამედ კ ე დ ე ლ ზ ე გ ა მ ო ს ა ხ უ ლ ი ი ხ ი ლ ე ს, მეფე გიორგი მესამის დიდ პ ო რ ტ რ ე ტ ს შეაელეს თვალი კედელზე.

ზემოთა სტრიქონებში თქვენი ყურადღება ალბათ მიიქცია უცნაურმა ფრაზამ: „იხილეს კლდები და ცა სრისა...“ ეს ფრაზა დამახინჯებულად მიაჩნდათ და მეცნიერებმა ასე გაასწორეს (ასეეა ახლა დაბეჭდილი „ქართლის ცხოვრების“ მეორე ტომში): „იხილეს კედლებიცა სრისა...“

ვარლამ დონდუას გონებამახვილური გამოკვლევით, ეს ფრაზა ისევე უნდა დარჩეს, რადგან იგი დამახინჯებული არ არის: აქ იგულისხმება ბატალური სცენებით მოხატული კედლები („კლდები“) და ჭერი („ცა“)... ჭერიც მოხატული ჰქონია დარბაზს.

ამრიგად, ჩვენ ვნახეთ, როგორ შეეიდნენ გარდაცვლილი მეფის ასული, ახალგაზრდა თამარი და მისი გამზრდელი მამიდა, სულთანის ცოლყოფილი რუსუდანი გეგუთის სასახლეში, სადაც გიორგი მესამის ცხედარი ესვენა. ჩვენ არ მოგვისმენია მათი საუბარი იმ გრძელ გზაზე, როცა თბილისიდან ქუთაისს მიემგზავრებოდნენ მეფის დასატირებლად. ჩვენ მხოლოდ ზოგადად შეგვიძლია ვივარაუოდთ ამ საუბრის შინაარსი... ვნახეთ, როგორ შეაელეს თვალი დიდებულმა მანდილოსნებმა განსვენებული მეფის მახლობლად ჩამწკრიეებულ სამეფო საბჭოს წევრებს — ანტონს, ყუბასარს, ყუთლუარსლანს, ვარდან დადიანს, ჭიაბერს, აფრიდონს, ივანე ქობულის ძეს, პატრიარქ მიქაელს... ამიერიდან ამათი დახმარებით უნდა მართოს ახალგაზრდა მეფემ ქვეყანა. ამათ უნდა დაეყრდნოს, ამათ უნდა მოეთათბიროს... ამათგან ზოგს ჩვენ უკვე გაეეცანით.

რას იზამენ დიდებულები ხვალიდან? რა გზას დაადგებიან? ერთგულებას თუ გაუწევენ ახალგაზრდა მეფეს? მხარში თუ ამოუდგებიან? დიდი ქვეყნის მართვას თუ გაუადვილებენ?..

თუ პირიქით: ღალატის გზას არჩევენ, შეთქმულებას მოაწყობენ, უორგულებენ... ანგარება იმძლავრებს?!

ეს ფიქრები დაუფლებოდა ახალგაზრდა მეფეს, როცა იგი დროდადრო მდუმარედ თავჩაქინდრულ დიდებულებს გადახედაედა.

თავი VI

ეძვთიმე თაყაიშვილის მიერ შემთხვევით ნაპოვნი „ხელმწიფის კარის გარიგება“, რასაც თავად ალმომ-ჩენმა „ჩვენი ისტორიის ზეიმი“ უწოდა ✦ დარბაზის წევრთა და კარის მოხელეთა უფლება-მოვალეობანი ✦ დარბაზისა და საკვაზიროს სხდომებზე მიღებული კანონები, ბრძანებები და გადაწყვეტილებები

ზემოთ რამდენჯერმე ვახსენეთ „დარბაზი“. ამჟამად სხვა ცნების გამოსახატად იხმარება ეს სიტყვა, ისტორიულად კი, კერძოდ იმ პერიოდში, რომლის ამებსაც ახლა მოგითხრობთ, სამეფო საბჭოს, ანუ სახელმწიფოს უმაღლეს სათათბირო ორგანოს ერქვა. ჰქონდა ცოტა უფრო განსხვავებული შინაარსიც — საერთოდ სამეფო კარს ნიშნავდა. სწორედ ამ მნიშვნელობით ეხვდებით მას „ვეფხისტყაოსანში“; როცა ტარიელი ამბობს — „შეეკაზმე, დარბაზს მიეე, დამხვდა ჯარი ავაზისა, შავარდნითა სავსე იყო სრულად არე დარბაზისა“, იგი სწორედ სამეფო კარს გულისხმობდა.

გავიხსენოთ კიდევ ერთი ადგილი „ვეფხისტყაოსნიდან“: „ცხენსა შეჯდა, გაემართა, დარბაზს მიეა სადარბაზოდ...“

ალბათ გაგონდებათ: აქ სახელმწიფოს სპასპეტზეა ლაპარაკი, ამ მაგალითში უკვე ორივე მნიშვნელობით ეხვდებით სიტყვას: როცა ავტორი წერს, დარბაზს მიეაო, ამით იგი გვაგებინებს, რომ ავთანდილი სამეფო კარზე მისულა... და იქვე იმასაც გადმოგვცემს, რომ იგი სადარბაზოდ, ანუ სამეფო საბჭოზე დასასწრებად მისულა...

აქედანვე ჩანს, რომ დარბაზის სხდომას „დარბაზობას“ ეძახდნენ.

„...დარბაზს კაცსა გაგზავნიდი და ამბავსა მათსა სცნობდი“, — უბარებს ავთანდილი შერმადინს; ამ სტრიქონში ერთჯერ არის მოცემული ეს სიტყვა, მაგრამ ფართო მნიშვნელობით: აქ სამეფო კარიც იგულისხმება, საბჭოც და მეფის ოჯახიც.

რამდენადაც მომდევნო ამბების თხრობისას ხშირად ვახსენებთ „დარბაზს“, უფრო ახლოს გავეცნოთ მას.

წყაროებში ხშირად ეხვდებით ამ სიტყვას სხვადასხვა კონტექსტში. იქნებ ცალკეულმა წყარომ სრული სურათი ვერ დაგვიხატოს, მაგრამ როცა სხვადასხვა ისტორიულ საბუთში გაფანტულ ცნობებს შევკრებთ და ერთმანეთს მივუსადაგებთ, ერთმანეთთან დავაკავშირებთ, საერთო წარმოდგენა შეგვექმნება, როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო დარბაზი.

ისტორიულ წყაროებს როცა ვამბობთ, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ ზემოთ ჩვენ მიერ უკვე ნახსენები „ხელმწიფის კარის გარიგება“ — საინტერესო და საგულისხმო ცნობების შემცველი ძეგლი. იგი მრავალ ისტორიულ საკითხს ჰფენს შუქს; უამისოდ ბევრი რამ დაფარული და ბურუსით მოცული იქნებოდა.

„ამ ძეგლის შინაარსი იმდენად მრავალფეროვანია, რომ მას საქართველოს როგორც სახელმწიფო წყობილების, ისე კულტურული, ეკონომიური და ნივთიერი კულტურის ისტორიის შესასწავლად უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ დარგში სხვა ასეთი უხვი ცნობების შემცველი ძეგლი XVIII საუკუნის დამდეგამდე არ მოგვეპოვება“, — წერს ივანე ჯავახიშვილი.

ახლა მეორე დიდ მეცნიერს ექვთიმე თაყაიშვილს მოვუსმინოთ: „ამ ოცდაათი წლის განმავლობაში აუარებელი ძეგლები და ისტორიული საბუთები აღმოჩნდა და გამოქვეყნდა, რომელთა მეოხებით ქვაკუთხედი ჩაეყარა ჩვენი ისტორიის შესწავლას, მაგრამ ჯერ არ აღმოჩენილა ძეგლი, რომელსაც საქართველოს სახელმწიფო წესწყობილების, სახელმწიფო ყოფაცხოვრების და შინაგანი ორგანიზაციის შესასწავლად ასეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს, როგორც „ხელმწიფის კარის გარიგებას“ აქვს... ასეთი ძეგლი იშვიათია თვით უაღრეს კულტუროსან დიდ ხალხების და სახელმწიფოს ისტორიაშიც“. წერილს, საიდანაც ეს სტრიქონებია მოტანილი, ამ სიტყვებით ამთავრებს მეცნიერი: „კარის გარიგების აღმოჩენა ზეიმია ჩვენი ისტორიისათვის“.

და მართლაც ზეიმის სახე მიიღო ამ საოცარი ხელნაწერის აღმოჩენამ. საქმე ეხებოდა ჩვენი ხალხის მაღალი კულტურის დამადასტურებელ კიდევ ერთ დოკუმენტს, სადაც მრავალი საინტერესო და საგულისხმო ცნობა იყო თავმოყრილი. ძეგლის აღმოჩენის ამბავი მაშინვე გახმაურდა. მეცნიერები ერთმანეთს ულოცავდნენ, ექვთიმე თაყაიშვილსა სთხოვდნენ, როგორმე დააჩქარე ძეგლის გამოცემაო...

ეს იყო მეოცე საუკუნის დასაწყისში.

„კარის გარიგების“ პოვნამ ძალიან გამახარა. გულწრფელად მომილოცავს და გთხოვთ, რაც შეიძლება მალე გამოაქვეყნოთ, მოუთმენლად ველი მის დაბეჭდვას“, — სწერდა ივანე ჯავახიშვილი ექვთიმე თაყაიშვილს პეტერბურგიდან 1908 წელს...

ექვთიმე თაყაიშვილს იმიტომ სთხოვდნენ, რომ ძეგლი მან აღმოაჩინა... სრულიად შემთხვევევით წააწყდა... სამუდამო დაღუპვისაგან იხსნაო, ივანე ჯავახიშვილი წერდა...

მეცნიერი ამ ძეგლს წააწყდა არა რომელიმე არქივში, წიგნთსაცავში ან ტაძარში... გაგიკვირდებათ, ისეთ პირობებში იპოვა უნიკალური ძეგლი. თვითონ ექვთიმე თაყაიშვილს მოვუსმინოთ:

„ხელნაწერი, რომელშიაც დაცულია „გარიგება ხელმწიფის კარისა“, ჩვენ ვიპოვეთ რამდენიმე წლის წინათ ქართლში მოგზაურობის დროს ერთს გაპარტახებულ სახლში და ამოვიღეთ ნაგავიდან, რომელიც ჩვენს თვალწინ გამოგავეს ოთახიდან“.

ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში ნაპოვნი ძეგლი სრული არ იქნება. ტექსტი დაზიანებულია. „თავი და ბოლო აკლია, აკლია აგრეთვე შიგადაშიგ მთელი რვეულები და ცალკე ფურცლები... საზოგადოდ ხელნაწერის ტექსტს ჩვენამდის ნახევარსაც არ მოუღწევია“, — წერს ექვთიმე თაყაიშვილი.

დანარჩენი ნაწილი იქნებ სწორედ წინა დღეს გაატანეს ნაგავს. ვინ იცის, რამდენი ასეთი ძეგლი დაღუპულა! მძიმე და შფოთიან საუკუნეებს გაუძლო, და მერე კი, მშვიდობიან დროს, ჩვენივე დაუდევრობით დაიღუპა.

ასეთი სახითაც კი ძეგლი ფასდაუდებელია. იგი, როგორც ითქვა, უძვირფასეს ცნობებს შეიცავს, შუქსა ჰფენს ბევრ საინტერესო საკითხს.

სხვათა შორის, ეს ძეგლი გვაწვდის ზემოთ ჩვენს მიერ უკვე ნახსენებ იმ საყურადღებო ცნობას, რომ ქვეყანაში სასამართლო საქმეებს ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი განაგებდა; „ჭყონდიდელი ორშაბათ დღეს საჯო კარსა შიგან დაჯდების. ობოლთა და ქერივთა და მიმძლავრებულთა მოჩივართა განიკითხავს. და ყოველი [საბჭოდ ჯდომის ჟამსა][1] საწოლის მწიგნობარი გვერდს უზის. და ზარდახანის

1. ძეგლის ტექსტი გადამწერთაგანაც დამახინჯებულია. აშკარად ეტყობა, რომ ზოგან სიტყვები, ცალკეული ფრაზებიც კი გამოუტოვებიათ. მეცნიერები ცდილობენ ასეთი ადგილების აღდგენას. აქაც ასეთ ცდასთან გვაქვს საქმე — ფრთხილებში მოტანილი ფრაზა ივანე ჯავახიშვილს ეკუთვნის.

მწიგნობარს გაგზავნის და მისის პირით მოახსენებს, რაც ვის რა სჭირს. და რასაც მისის პირით ვერ დაიურვებს, ადგების და, რა ჟამსცა ჟამი იყოს, თვით მიეა და მაშინ იურეის, რაც ვის უსამართლო სჭირს. არ მოეშვება, რომ არ დაიურვოს".

სწორედ აქედან გამოაქვს ივანე ჯავახიშვილს ის მეტად საგულისხმო დასკვნა, რომ ძველ დროშიევე სასამართლო დაწესებულებათა რამდენიმე საფეხური არსებულა ჩვენში: „...ცხადი ხდება, რომ „საჯო კარი" საქართველოს უმაღლესი სასამართლო დაწესებულება უნდა ყოფილიყო მეთორმეტე საუკუნის დამდეგითგან მაინც..."

ამავე ძეგლიდანაა ზემოთ უკვე მოტანილი კიდევ ერთი საყურადღებო ცნობა, რომ ზარდახნის — ანუ ზარადხანის — აღწერა ყოველწლიურად ხდებოდა და აღწერაში მონაწილეობდნენ ამილახორი, მეაბჯრეთუხუცესი, ზარდახნის (ზარადხანის) უხუცესი და მწიგნობარი. აქვე ვკითხულობთ, რომ „ლაშქრობაი და ლაშქრობის ვეზირობა ამირსპასალარის ხელთ არის". და „ამილახორი ვეზირი (ეს ტერმინი ამ შემთხვევაში თანაშემწის მნიშვნელობით არის ნახმარი) არის ამირსპასალარისა... და მეაბჯრეთუხუცესი და მეაბჯრენი და მესარტყლენი და საჯინიბოს შემავალნი ყოველნიენ ამილახორის ხელისანი არიან..."

ერთი სიტყვით, ძეგლი მრავალ საინტერესო ცნობას გვაწვდის სახელმწიფო წყობილების შესახებ; გვაცნობს აგრეთვე სამეფო კარის ცხოვრების ძალიან საინტერესო დეტალებს, ცალკეულ რიტუალებსა თუ ცერემონიებს, ჩვენს თვალწინ აცოცხლებს საუკუნეების წინანდელ სურათებს.

აქედან ვგებულობთ, მაგალითად, რომ მეფეს მოგზაურობის დროს შვიდასი შუბოსანი ხლებია... რომ „მონადირენი კახეთს და იმერეთს ყველგან არიან. ორას სამოცი სახლი არის. ტყისმცველნი კიდე არიან. ესენი გიორგობას კარზედ მოელენ და თევდორობამდის კარზედ არიან..." ესე იგი, ნოემბრიდან თებერვლამდე სამეფო კარზე ირეოდნენ მონადირეები. ანდა ვთქვათ: „ცხენი რაი ითხოვოს მეფემან, ზარდახნის მოლარე აღვირთ მისცემს, მისრატული (სამეჯინიბოს მოხელე) პირსა აუსხამს, ერთს ყურს გაუყოფს და მეორეს აღარა. მერმე ზარდახნის მეჯინიბე აუსხამს, საყბეურს შეუსხამს, ზარდახნის მოლარე უნაგირს გარდასდგამს, საძუეთ აღარ ჩაუყრის, იგივე ზარდახნის მეჯინიბე შეპკაზმავს, და წაიყვანს, მისრატულთ უხუცესს მიუყენებს. შეჯდების (იგულისხმება მეფე) და მათრახი ზარდახნის უხუცესმა მისცეს და ორნიენ უკანით იარებიან. ზარდახნისუხუცესი

და ამერითაჩუხჩი წინათ იარების, ჯვარის მტვირთველსა და მეფეს შუა...“

ძეგლი განსაკუთრებული ლაკონიურობით ხასიათდება, ავტორი სიტყვაძვირობს, ძუნწად გვაწვდის ცნობებს, მაგრამ ნათელი სტილის პატრონია და საოცარი უნარი აქვს, ცოცხლად განგვაცდევინოს ყველაფერი — ხომ ნახეთ, როგორ დაგვიხატა სურათი, თითქოს ჩვენ თვითონ ვხედავდეთ სასახლიდან გამოსულ მეფეს, რომელსაც აგერ ბედაური მოართვეს; შევყურებთ, რა გულმოდგინებითა და სიფრთხილით კაზმავენ ცხენს...

სამეფო კარის ცხოვრების სხვა ეპიზოდებსაც ასევე ცოცხლად აგვიწერს ძეგლის ავტორი: გვერდზე დაგვიყენებს და გვაყურებინებს, როგორ შეიკრიბება დარბაზი. ვინ სად დაჯდება, ვის რა აცვია, ფეხზე ვინა დგას ან მეფისაგან რამდენი დაშორებით, მერე პურობა როგორ გაიმართება. ღვინოს ვინ მიაწვდის მეფეს, მწვადს ვინ მიართმევს... აბა, კიდევ ნახეთ; „...ჭაშნაგირი ზე დგას ოქსინოსა ზედა ცალკესა... ჭაშნაგირს ხელის მანდილით ცოტა ჩამჩა აქვს. რაი საჭამადი წამოაყენონ, ჩამჩით ამოიღებს და ხელსა ზედა დაისხამს და შეხვრეპს და აგრეთვე ღვინოს“ (თქვენ, რასაკვირველია, ხედებით ასეთი სიფრთხილის მიზეზს: ჭაშნაგირი წინასწარ სინჯავს საჭმელსა და სასმელს, რომ მეფეს საწამლავი არ შეაპარონ).

ექვთიმე თაყაიშვილის აზრით, რაც შემდეგ სხვა მეცნიერებმაც გაიზიარეს, ძეგლი შედგენილია მეთოთხმეტე საუკუნეში, მაგრამ მასში ასახულია უფრო წინანდელი ცხოვრებაც სამეფო კარისა; კერძოდ ის პერიოდი, რომელსაც ჩვენ ახლა ვეცნობით.

ამრიგად, ჩვენ განვიზრახეთ, დარბაზს გავეცნოთ.

დარბაზის წევრები, უპირველეს ყოელისა, რაღა თქმა უნდა, ვაზირები იყვნენ, ანუ სახელმწიფოს ყველაზე დიდი ხელისუფლანი; აქვე იყვნენ საქვეყნოდ გამრიგე ხელისუფალნიც, ერისთავთ-ერთისთავნი და ერისთავები; ეკლესიის წარმომადგენლები (კათალიკოსი, მოძღვართ-მოძღვარი, დიდი მონასტრების წინამძღვრები) და „უხელონიც“, ანუ უთანამდებებო ადამიანებიც. აქ ალბათ იგულისხმება მაღალი წოდების წარმომადგენლები, დიდგვარიანი თავადები და უსათუოდ დიდვაჭრები... ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რომ დარბაზის სხდომას მართლაც ესწრებიან ვაჭართა წარმომადგენლები და საკმაოდ საპატიო წევრებიც არიან, ანგარიშს უწევენ, მათ რჩევას ყურადღებით ისმენენ.

როგორც ვხედავთ, დარბაზის შემადგენლობა საკმაოდ ფართო

ყოფილა. დარბაზის წევრებს „დარბაზის ერს“ უწოდებდნენ. სწორედ აქედან წარმოსდგება სიტყვა „დარბაისელი“: „დარბაზისერნი“ — „დარბაისელი“... ესე იგი, სიტყვა, რომელიც ამჟამად დინჯი, ჭკუადამჯდარი ადამიანის ცნებას გამოხატავს, თავდაპირველად დარბაზის წევრს ნიშნავდა. ეს თავისთავად საინტერესოა.

დარბაზი იკრიბებოდა სხვადასხვა ვითარებაში — დიდ დღესასწაულებთან დაკავშირებით (ძეგლში ვხვდებით წესებს — როგორ უნდა მოიწვიონ და ჩატარდეს დარბაზობა ნათლისღებისა და აღდგომის დღესასწაულებში), ან საგანგებო შემთხვევის დროს (ვთქვათ, ომის გამოცხადების დროს), დიდი შინაგანი კონფლიქტის გადასაწყვეტად...

იოანე ჯავახიშვილი კონკრეტულად ჩამოთვლის ზოგიერთ საკითხს, რის გამოც სხვადასხვა დროს დარბაზი მოუწვევიათ და ცნობებს ამის შესახებ ჩვენამდე მოუღწევია: კანონმდებლობა და უმაღლესი მართლმსაჯულება, ომის გამოცხადების საკითხი, დიდ ხელისუფალთა არჩევა-დანიშვნის საკითხი, არჩეული ხელისუფლების დალოცვა და ხელდასხმა, საზეიმო სხდომა გამარჯვებული ლაშქრის შინ დაბრუნებისა და ზავის ჩამოგდების გამო, დარბაზობა სტუმრად, თუ დახმარების სათხოვნელად მოსულ მეზობელ და შორეულ მეფემბრძანებლების ანდა მათგან წარმოვლენილი დესპან-მოციქულების მისაღებად და მოსასმენად, დიდი დღესასწაულების დროს...

დარბაზობის ორი წესი ყოფილა: დიდი დარბაზობა და მცირე დარბაზობა: „დარბაზობა, ვითარცა მეფეს ეპრიანოს, დიდის წესითა, და უმცროსითა“. ვითარცა ეპრიანოსო — ეს ისე უნდა გავიგოთ, როგორ მიიჩნევდა მიზანშეწონილად მეფე. როცა სასწრაფოდ გადასაწყვეტი საქმე იყო და დაყოვნება არ შეიძლებოდა, ალბათ მცირე დარბაზს მოიწვევდნენ.

ქვემოთ ჩვენ საშუალება გვექნება ვნახოთ, როგორ შეიკრიბება დარბაზი ომის დროს. ახლა კი გაგახსენებთ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვებს, რომელთაც ჩვენ უკვე გავეცანით და რომლებიც თვალსაჩინოდ გვიჩვენებს დარბაზის საქმიანობის ხასიათს: „მონასტერნი და საეპისკოპოსონი და ყოველნი ეკლესიანი წესსა და რიგსა ლოცვისასა და ყოვლისა ეკლესიისა განგებისასა დ ა რ ბ ა ზ ი ს კ ა რ ი თ მიიღებდიან, ვითარცა კანონსა უცთომელსა“.

აქედანვე ისიც ჩანს, რომ დარბაზს „დარბაზის კარსაც“ უწოდებდნენ.

დარბაზობას, ჩვეულებრივ, მეფე თავმჯდომარეობდა და წარმა-

რთავდა. იგი იჯდა „ტახტსა ზედა ოქროჭედილსა“. სხვათა შორის, დარბაზის წევრთაგან ყველას არა ჰქონია ჯდომის უფლება. მეფის გარდა ისხდნენ აგრეთვე ვაზირები (ისინი ოქროჭედილ სელებზე ანუ სკამებზე ისხდნენ) და დიდნი ხელისუფალნი (ოღონდ ამათი სკამები ოქროთი მოჭედილი არა ყოფილა), დარბაზის წევრთა უმრავლესობა კი ფეხზე იდგა.

ფეხზე იდგა მაგალითად ის ოცდაექვსი მწიგნობარი, რომლებიც ძეგლში არიან მოხსენებულები, ოღონდ ყველა მწიგნობრის უწყებრივ მდგომარეობას არ გვაცნობს ავტორი, მარტო საწოლის მწიგნობარი და ზარდახნის მწიგნობარი ჰყავს დასახელებული. ეს ორი ცალკე დგას, სხვა მწიგნობართაგან მოშორებით (მეფის პირისპირო, ასე განმარტავენ მკვლევარები); ეტყობა, მეტი პრივილეგია აქვთ.

დანარჩენი ოცდაოთხი მწიგნობარი კი, ჭყონდიდელის მხარეს ჩამწკრივებულა. იღლიაში ამათაც და იმ ორსაც „საწერელი“ აქვთ — ანუ საწერი მოწყობილობა, — და მზად არიან, ყოველი მნიშვნელოვანი ფაქტი თუ მოვლენა, რაც დარბაზობაზე ითქმება ან გადაწყდება, და რაც უშუალოდ მათ უწყებას შეეხება, ჩაიწერონ (ვაზირთა საბჭოზე კი, ამ მწიგნობართაგან მხოლოდ საწოლის მწიგნობარს ისწრებენ; დანარჩენებს, ზარდახნის მწიგნობარსაც კი, ვაზირობაზე დასწრების უფლება არა აქვთ: გარეთ იცდიან და მხოლოდ მაშინ შეუძლიათ შესვლა, როცა დაიბარებენ)... მესტუმრესა და ამირეჯიბს, რომლებიც აგრეთვე ზეზე დგანან, მანდატურები ამოსდგომიან ზურგს უკან...

დარბაზის შემოსასელელში დიდი დროშაა აღმართული. დროშასთან დგას მერემეთუხუცესი — ანუ ცხენის რემების გამგებელთა უფროსი; და კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: მერემეთუხუცესს მხარზე თავისი ხელობის დამახასიათებელი იარაღი — საგდებელი ანუ ქამანდი აქვს მოგდებული. მერემეთუხუცესს უკან, რაღა თქმა უნდა, მერემენი დგანან. ზარდახნის უხუცესი და მსახურთუხუცესი გვერდზე უდგანან მერემეთუხუცესს...

თქვენ ალბათ ყურადღება მიაქციეთ, — ზემოთ, დარბაზის შემადგენლობის ჩამოთვლის დროს, საქვეყნოდ გამრიგე ხელისუფალნი ვახსენეთ. ვინ იყვნენ ისინი? რას წარმოადგენდნენ საქვეყნოდ გამრიგე ხელისუფლანი?

გარდა ცენტრალური სამმართველო აპარატისა, ქვეყანას ადგილებზე, ცალკეულ კუთხეებში, რაღა თქმა უნდა, თავისი გამგებლები ჰყავდა. ერთ-ერთი ასეთი გამგებელი ერისთავი იყო. ივანე

ჯავახიშვილი წერს: „საქეეყნოდ გამრიგე მოხელეთა შორის პირველი ადგილი ერისთავთ-ერისთაეებსა და ერისთაეებს ეჭირათო“.

ერისთაეი ძველისძველი მოხელეა. ჩვენ უკეე რამდენჯერმე შეეხედით სხვადასხვა ერისთაეს. ალბათ გეხსომებათ, მემატიანის გადმოცემით, ჯერ კიდეე ფარნავაზმა დაპყო ქეეყანა საერისთაოებად და თითოეულ საერისთავოს თავისი ერისთავი მიუჩინა. უძველეს დროში „ერისთაეობა“ სამხედრო თანამდებობა იყო და ჯარის უფროსს ნიშნავდა. მერე თანდათანობით სამოქალაქოდ იქცა.

ჩვენ უკეე მოწმენი გავხდით: ზოგჯერ ისე გაძლიერდებოდა ერისთავი, რომ მეფესაც ტოლს არ უდებდა და ებრძოდა. ალბათ გახსოვთ ლიპარიტ ბაღვაშისა და ბაგრატ მეოთხის ურთიერთობა. ერისთავს ჰქონდა თავისი დროშა, ბეჭედი, „ცხენი თოროსანი“ და შუბი.

ერისთავი გასამრჯელოს, ანუ „სარგოს“ ღებულობდა. ეს იყო სპეციალური გადასახადი, საერისთავო გადასახადი. მაგრამ მარტო ამ გასამრჯელოთი როდი კმაყოფილდებოდა: განსაკუთრებულ შემთხვეეებში — „დაჭირვებასა რას ჟამსა“ ან „ლხინსა“ — დამატებით ერთდროული ბეგარა თუ სავალდებულო ძღვენი უნდა მიერთმიათ. ასეთ „განსაკუთრებულ შემთხვეეებს“ კი ერისთავს რა გამოულეედა: დაქორწინება, ძეობა, ოჯახის მატება, რაიმე ფათერაკს გადარჩენა თუ ავად გახდომა, ძეელი სახლის დანგრეეა და ახლის აშენება... ყეელას რას ჩამოეთვლით, რას მიეხვდებით რამდენ ამისთანა განსაკუთრებულ შემთხვეევას მოიგონებდა. ერისთავი... ამის გამოგონება მარტო მის მიხვეედრილობასა და ჭკუაზე კი არ იყო დამოკიდებული, არამედ უმთავრესად მის მადასა და სინდის-ნამუსზე.

თავდაპირეელად ერისთავობა პირადული თანამდებობა იყო და მეფე უნარისა და დამსახურების მიხედვით მიუბოძებდა ცალკეულ პირებს. მერე კი მთავარი ბრძოლა სწორედ ამ ნიადაგზე ჰქონდათ ერისთაეებსა და მეფეს. ერისთაეები მუდამ იმის ცდაში იყეენენ, მემკვიდრეობითი ყოფილიყო ერისთავობა, მეფე კი, რაღა თქმა უნდა, მუდამ ეწინააღმდეგებოდა... ჩვენ უკეე ისიც ვიცით, რომ ხან ერთი მხარე იმარჯეებდა, ხან — მეორე.

იყეენენ აგრეთვე ერისთავთ-ერისთავები. ჩვენ ამათაც შეეხეედრიეართ ჩვენს მოთხრობაში.

ერისთავთ-ერისთაეობა ისეთი ძეელი თანამდებობა არ არის, უფრო მოგვიანებით უნდა იყოს შემოღებული და, როგორც სახელწოდებიდანაც შეგვიძლია ვიეარაუდოთ, მისი უფლებები გაცილებით

უფრო დიდი იყო, ვიდრე ერისთავისა. ერისთავი თავად ემორჩილებოდა მას. ივანე ჯავახიშვილს თავის წიგნში ერთი ძველი ხელნაწერიდან ასეთი ფრაზა მოაქვს: „ყოველნი ერისთავნი და აზნაურნი, მღვდელნი და ყოველნი მსახურნი ერისთავთ-ერისთავისა“... ზოგს რამდენიმე საერისთაო ემორჩილებოდა.

ერისთავთ-ერისთავის სარგო რომ გაცილებით უფრო დიდი იქნებოდა და „დაჭირეებასა“ და „ლხინსაც“ რომ უფრო ხშირ-ხშირად მოიგონებდა, რათა დამატებითი ძღვენი მიეღო, ამას ალბათ თქმაც კი აღარ უნდა, თავისთავად იგულისხმება...

მაგრამ არ იფიქროთ, მარტო ეს გადასახადი ჰქონოდეს ქვეყნის ძირითად მოსახლეობას. რა ბრძანებაა. ერისთავებსა და ერისთავთ-ერისთავებს ხომ თავისი ხელქვეითები ჰყავდათ. გადასახადები ამ ხელქვეითების სასარგებლოდ ცალკე იყო.

რაკი საქვეყნოდ გამრიგე ხელისუფლებზე ჩამოვარდა სიტყვა, ბარემ ჩამოვთვალოთ ზოგიერთი მოხელე.

ესენი არიან, უპირველეს ყოვლისა, მწიგნობართუხუცესები და მოლარეთუხუცესები ცალკე ერისთავებისა და ცალკე ერისთავთ-ერისთავებისა; ამათ გარდა: ციხისთავები, ხევისუფლები, მამასა-ხლისები, გზირები, მკვირცხლმავლები, მალემსრბოლები...

ჩვენამდე მოულწეია ერთ უძველეს საბუთს („შეუვალობისა და განახლების სიგელი გიორგი მეორისა შიომღვიმისადმი“), რომელიც ჩვენთვის ამჟამად იმითია საინტერესო, რომ ჩამოთვლილი არიან სწორედ საქვეყნოდ გამრიგე ხელისუფალნი, სათანადო გრადაციით“ „...შემდგომად ჩუენსა მომავალთა მეფეთა, ერისთავთ-ერისთავთა, ერისთავთა, აზნაურთა მემამულეთა და მოსაკარგავეთა, ციხისთავთა, ხევისუფალთა, მანდატურთა, შურტათა, ჩინებულთა და ყოველთა საქმისმოქმედთა დაუმტკიცეთ და ნუვით უშალავთ ბრძანებასა ამას“...

ეს საბუთი იმითაც არის საინტერესო, რომ პირდაპირ გვაუწყებს, რა და რა გადასახადები ყოფილა:

„აწ ჩუენცა მასვე ზედა გაგუითავისუფლებიან ესე ყოველნი საქონელნი მღუიმისანი ყოვლისა შესავლისა და გამოსავლისაგან: სახელმწიფოისა, საერისთავოისა, საციხისთეოისა, სახევისუფლოისა, შურტათა და ჩინებულთაგან და ყოველთა საქმის მოქმედთაგან“. ესე იგი, გარდა ერისთავთ-ერისთავისა და ერისთავის სარგოსი ყოფილა აგრეთვე გადასახადი ხევისუფლებისთვის, ციხისთავებისთვის...

ციხისთავები მარტო ციხის უფროსები კი არ იყვნენ, არამედ პატარა ქალაქის გამგებლებიც (დიდი ქალაქის უფროსს ამირთ-ამირას უწოდებდნენ...)

ცალკე უნდა აღინიშნოს მონაპირე საერისთავოები. ეს სიტყვა თქვენ ალბათ „ვეფხისტყაოსნიდან“ გეხსომებათ. „სანაპირო გაამაგრე, მტერმან ახლოს არ იბარგა“... „მე წავიდე, მოვიარო, ვილაშქრო და ვ ი ნ ა პ ი რ ო“.

მეორე მაგალითში, როგორც ხედავთ, სიტყვა ზმნის ფორმაშია მოქცეული და გვიადვილებს მონაპირე ერისთავების ფუნქციათა განსაზღვრას, ცოცხლად წარმოგვადგენინებს მათ საქმიანობას. ვარაუდობენ, რომ მ ო ნ ა პ ი რ ე თ ა ი ნ ს ტ ი ტ უ ტ ი თამარის დროიდან არის შემოღებული და დაკავშირებულია სამხედრო-თავდაცვით ღონისძიებებთან. მონაპირე ერისთავს ევალებოდა საზღვრის დაცვა, აგრეთვე დაზვერვა და გაგება, თუ რა ხდებოდა მოსაზღვრე ქვეყნებში, ამ ცნობების მიწოდება სამეფო კარისთვის („ღამეთა დღეთაევ ზედა დართვიდეს შეუსვენებლად...“). მონაპირე ერისთავს, ბუნებრივია, თავისი ლაშქარი ჰყავდა და ზოგჯერ, განსაკუთრებულ შემთხვევაში, როცა შექმნილი მდგომარეობა დაყოვნებას არ ითმენდა, მეფესთან შეუთანხმებლად გალაშქრების უფლებაც ჰქონდა. ვიმეორებ: განსაკუთრებულ შემთხვევაში, და არა ყოველთვის. ჩვეულებრივ, მას ყველაფერი სამეფო კარისთვის უნდა შეეტყობინებინა და მეფის ბრძანებით ემოქმედნა. მკვლევარები საგანგებოდ აღნიშნავენ სამხედრო დაზვერვის მაღალ დონეს იმდროინდელ საქართველოში. ამის დასადასტურებლად „ვეფხისტყაოსანსაც“ იმოწმებენ:

„მანდატურთა მეომართა ანგარიში წერილად გვინა:
ვინ არიან მცველნი შენნი, ან თავადი მათი ვინ-ა?
. . . . . .
რაცა იცი მანდაური, მოგვიწერე, გაამჟღავნე...“

სანაპირო საერისთავოები დაარსებული იყო ისეთ სასაზღვრო მხარეებში, საიდანაც მეტი საშიშროება ემუქრებოდა ქვეყანას. ესე იგი, სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით. ბასილი ეზოსმოძღვარი ჩამოთვლის კიდეც ამ საერისთავოებს.

„რამეთუ პირველ ქუემოთი სანაპიროი გაგი იყო, რომელნი ჰქონდა ზაქარიას მხარგრძელსავე, ვარამის მამასა, და ესენი

მუნ მონაპირობდეს, კაცნი მხნენი, ბრძოლასა შინა მრავალგზის გამოცდილნი და განმარჯუებულნი, და შიშითა ღმრთისათა და პატრონისა ერთგულობითა დიდად საქებელნი.

ამოღმართ ძორაკერტი იყო ტაშირი, სადათ ზაქარია და ივანე დაიწყეს პირველად ბრძოლა ლომურად ზემოთ, და ქუემოთ, და ყოველსა ადგილსა.

და ზემოთ ჯავახეთი, სადა სარგის მხარგრძელიევ თმოგუელი და შალვა თორელი მონაპირობდეს.

ზედათ არტანი, სადა მესხი მონაპირობდეს, რომელთა შორის იყო ყუარყუარა, სამცხისა სპასალარი, კაცი დიდად გამარჯუებული და ერთგული მეფეთა.

შავშეთით სპერით კერძო ფანასკერტი იყო. ამის შავშეთისა ღადოთა შინა გამოჩნდა ვინმე კაცი ასპაანის-ძე, გუარითა არა უაზნო და ქცევითა და არც, ღმერთო, უბედო, ამას ზაქარია ერქუა სახელი. არცა სახელსა არცხვინა, არცა პატრონისა წყალობა აუქმა თვისსა ზედა, გარნა საქებელთა ზედა შერთო თავი. მარტოდ იქმოდა მრავალთა და დიდთა საქმეთა: აიღო ბანა, ხახული, და სხუანი მრავალნი სახელოვანნი ციხენი და ადგილნი.

ქუემოთ ნაპირის კერძ გრიგოლის-ძენი, და უფროსღა ტბელი, და მახატლის-ძენი მონაპირობდეს, რომელთა შიშითა განძას და ბარდავს ყრმა მცირე ვერ აუტირდებოდა დედასა, და ვერცა თურქნი იორის პირსა და მტკურის პირსა საძოვარსა აწყენდეს".

მემატიანეს ზემოთმოტანილ სტრიქონებში კარგად ჩანს, რა დიდი როლი ენიჭებოდათ მონაპირეებს.

ზემოთ რომ წერილი მოხელეები ჩამოვთვალეთ, იმათგან ყველას არა ჰქონდა უფლება, დარბაზს დასწრებოდა. ერისთავი და ერისთავთ-ერისთავი კი განსაკუთრებული პატივით სარგებლობდნენ — ჯერ ერთი, დარბაზის დროს ისხდნენ და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ზურგსუკან თავიანთივე მოლარეთუხუცესები ედგნენ, რომელთაც ხელში პატრონის ფარი და ხმალი ეჭირათ.

როგორც ხედავთ, დარბაზის შემადგენლობა მართლაც საკმაოდ დიდი ყოფილა. ამას სხვადასხვა ისტორიული წყარო გვიდასტურებს. წყაროებში უფრო ნაკლებად არის მინიშნებული და ჩვენ თვითონ უნდა ვივარაუდოთ, რა ფარული ჭიდილი და ინტერესთა დაპირისპირება იქნებოდა იმავე დარბაზობის დროს ცალკეულ დიდებულთა შორის. როგორ მწარედ განიცდიან ისინი, როცა მეფე მათსავე ტოლს

და ხშირად ნაკლები ღირსების დიდებულს მეტი პატივით ექცევა, ვიდრე მას.

სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ერთი არხეინად ზის მთელი კრების განმავლობაში, მეორე კი დგას და დარბაზობის დამთავრებას ელოდება... დრო კი ასეთ ვითარებაში უფრო ნელა გადის... სული ელევა, ლამის ფეხზე ჩამოწყდეს ეს საპატიო კაცი, სხეულიც თითქოს უფრო დაუმძიმდა, ხან ერთ მუხლს მიუნაცვლებს, ხან მეორეს, ყოველი ორატორის გამოსვლა მეტისმეტად გაჭიანურებული ეჩვენება, კიდეც რომ არ იყოს გაჭიანურებული, გულს ასკდება.. არადა, რითია იმაზე ნაკლები!.. და ამ შემთხვევაში იგი გულისხმობს მასზე ცოტათი მაღალი თანამდებობის პირს, რომელსაც დაჯდომის უფლება აქვს და ზის კიდეც არხეინად, სკამზე ნებიერად ირწევა და მალ-მალე დაცინვით გამოიხედავს, როცა ამის გაჭირვებას შენიშნავს... ზოგჯერ ასეც მოეჩვენება ამ კაცს...

თავისთავად იგულისხმება, საკუთარი ღირსებაც გაზვიადებულად წარმოუდგენიათ და სხვებისადმი მეფის განსაკუთრებული სიმპათიებიც უფრო გაზვიადებულად ეჩვენებათ... რა შურით შეპყურებენ ვაზირებსაც... და რა გულისტკივილით უჩიეიან ბედის სიმუხთლეს, რომ სხვებს — უფრო უღირსებს — არგუნა ეს პატივი და ესენი კი უსამართლოდ დაივიწყა, გასწირა... არადა, მე შენ გეტყვი, ვერ შეიფერებდნენ ვაზირობას!..

საზეიმო დარბაზობის შემდეგ პურობაც გაიმართებოდა ხოლმე. „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ ამ წვეულების წესებიც არის აღწერილი. საინტერესო იქნება, იმავე ძველიდან გავიხსენოთ კიდევ ერთი დეტალი, რომელიც საშუალებას გვაძლევს ცოცხლად წარმოვიდგინოთ სურათი.

იგულისხმება, რომ ასეთი დიდი პურობა კარგა ხანს გასტანს და ღამით როცა დაიშლებიან, დარბაზიდან პირველად, რაღა თქმა უნდა, ვაზირები გამოვლენ, და თავიანთიევ ამალის თანხლებით, გუნდ-გუნდად, საკუთარი სადგომებისკენ გასწევენ. ბნელი ღამეა და ჩვენ ვერა ვხედავთ, ისე უნდა წარმოვიდგინოთ, რომ გუნდები ერთმანეთისგან განცალკევებულები არიან — როდი უყადრებენ თავს ერთმანეთს... და იმ ბნელ ღამეში, ძალიანაც რომ გინდოდეთ, ვერ გაარჩევთ, რომელი გუნდი ვისია... იქნებ მარტო ლაპარაკით გაარჩიოთ: ხმა გესმით შორიდან, იმ ცალ-ცალკე ჯგუფების ლაპარაკი სწვდება თქვენს სმენას. საუბრის თემაც განსხვავებულია. ზოგი კრების შთაბეჭდილებას უზიარებს ერთმანეთს (ფრთხილად, რაღა თქმა

უნდა: სიბნელეში, როცა ღამე ათასი ყურით გისმენს, საფრთხილოა ასეთი ლაპარაკი), ზოგი მხიარულ ამბავსა ყვება და კიდეც რომ არ იყოს სასაცილო, მაინც აცინებს მსმენელს (გააჩნია — ვინა ყვება და ვინ უსმენს). ზოგი ამინდის ვერაგობას უჩიეის... საუბრის თემას რა გამოლევს!.. ერთი სიტყვით, ჯგუფ-ჯგუფად გამოდიან, გესმით მათი, დანახვით კი ვერა ხედავთ, მხოლოდ ხმით თუ იცნობთ.

მაგრამ რა ბნელი ღამეც უნდა იყოს და ჩვენ კი იმ ადგილიდან შორს ვიდგეთ, მათი ლაპარაკიც არ გვესმოდეს, მაინც გამოვიცნობთ, რომელია ჭყონდიდელის ამალა: მას ორი მაშხალა მოუძღვის წინ და შორიდან წყვილი თვალიევით ელავს. მისგან მოშორებით რომ ციკლოპებივით თითო მოელვარე თვალსა ხედავთ, ესენი დანარჩენი ვაზირების ამალები გახლავთ — ვაზირებს თითო მაშხალა მოუძღვით, ორის უფლება არა აქვთ. ხოლო დანარჩენებს — ერისთავთ-ერისთაველებსაც კი, ნურას უკაცრავად, სულაც არა აქვთ უფლება დარბაზობის შემდეგ გზა მაშხალებით გაინათონ.

ამის შემდეგ რაღა გასაკვირია, რომ განაწყენებულმა ფეოდალმა ბედის სამდურავი გაახშიროს! რა სამართალია, ასე დამსახურებულმა ადამიანმა სიბნელეში ბორძიკით იაროს და კისერი იმტვრიოს... რაღა გასაკვირია, რომ პურობაზე შეზარხოშებულ ერისთავს გულში შური აღეძრას — შური და სიხარბე ადამიანური სისუსტეა და დიდებულთა გულში უფრო ადვილად მიიკვლევს გზას... მართალია, დიდებულთაგან ბევრი ღირსეულია და ადვილად ამარცხებს ამ ქვენა გრძნობებს, მაგრამ ყველას როდი ჰყოფნის შინაგანი ძალა, მოერიოს...

ჯერ ნუ მოვინდომებთ იმის გამორკვევას, სახელდობრ, ვინ მოერია და ვინ ვერა შურს, სიხარბესა და ამბიციას, იქვე მივატოვოთ დარბაზობიდან გუნდ-გუნდად გამოსული დიდებულები და ახლა სავაზიროს გაეცნოთ.

●

პოპულარულ ისტორიულ ნარკვევებში წაიკითხავთ, რომ სავაზირო, ანუ ვაზირთა საბჭო, ექვსი ვაზირისგან შედგებოდა: მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი, ათაბაგი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი და მსახურთუხუცესი.

ეს ნამდვილად ასეა. მაგრამ პოპულარულ ნარკვევებში იქნებ მითითებული არ იყოს, რომ ასეთი სახე სავაზირომ საბოლოოდ

თამარისა და მისი მემკვიდრის დროს მიიღო. დავით აღმაშენებლის დროიდან ასე არ ყოფილა. აღმაშენებლის დროს ვარაუდობენ მხოლოდ ერთ ვაზირს — მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს. ჩვენ უკვე ვნახეთ, როგორ მოაქცია აღმაშენებელმა ეს ორი თანამდებობა ერთი პირის ხელში. ზემოთ ჩამოთვლილი თანამდებობანი მაშინაც იყო. მაგრამ ამ თანამდებობის პირებს ვაზირები არა რქმევიათ. მათი გავაზირება, როგორც ვარაუდობენ, გიორგი მესამის დროიდან დაიწყო. ამასთან, ათაბაგის სახელო ანუ თანამდებობა, საერთოდ არ ყოფილა საქართველოში. იგი თამარის მეფობის დასასრულს შემოიღეს. რატომ და რა პირობებში, ამას ქვემოთ ვნახავთ. მსახურთუხუცესი კი სავაზიროში თამარის მემკვიდრემ შეიყვანა, მანამდე ჩვეულებრივი თანამდებობა იყო.

ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი მეფის შემდეგ პირველი კაცი იყო სახელმწიფოში, მეფის პირველი ვაზირი. შემდეგ მოდიოდნენ ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი, რომლებიც თანაბარი პატივით სარგებლობდნენ. ზოგიერთ წყაროში ერთს მოიხსენიებენ წინ. ზოგში — მეორეს.

მაგრამ ისევ მწიგნობართუხუცესს მივუბრუნდეთ. ჩვენ ვნახეთ, რა ქებითა და მოწიწებით მოიხსენიებს მემატიანე დავით აღმაშენებლის მწიგნობართუხუცეს გიორგის. იგი თავად იყო განსაკუთრებული პიროვნება, „მეფის „განმზრახი“ და „თანაგამკაფელი ყოველთა გზათა“, კაცი „სავსე სიბრძნითა და გონიერებითა“... ჩვენ ეს უკვე ვნახეთ.

მაგრამ სხვა წყაროთა დახასიათებაც საერთოდ მწიგნობართუხუცესისა სწორედ ასეთ ყოველნაირად შემკულ ადამიანს გულისხმობს. „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ ორგან არის საგანგებოდ აღნიშნული, რომ მწიგნობართუხუცესი მამაა მეფისა და არავითარი სახელმწიფო საქმე, არაეითარი საზრუნავი მეფისა უიმისოდ არ გადაწყდება და მოგვარდება. სამხედრო საქმეებსა და ჯარსაც კი განაგებს, მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმეს თავისი უშუალო პატრონი და გამგებელი ჰყავს. „იგი იყო სახელმწიფოს საჭერთმპყრობელი და თვით მეფეც კი მის დაუკითხავად არ მოქმედებდა“. შეგახსენებთ, რომ მას, როგორც მაღალი თანამდებობის პირს (მწიგნობართუხუცესი უსათუოდ ბერი უნდა ყოფილიყო), საეკლესიო საქმეებში ჩარევის უფლებაც ჰქონდა. მაგრამ ყველაფერი ამის მიუხედავად, მისი უფლებები განუსაზღვრელი მაინც არ ყოფილა. მეფისგან დამოუკიდებლად მას მაინც არ შეეძლო მოქმედება.

მწიგნობართუხუცესს თავისი თანაშემწე ჰყავდა — ეს იყო „საწოლის მწიგნობარი“, იგი, როგორც ეტყობა, მწიგნობართუხუცესის პირველ თანაშემწედ ითვლებოდა, რაკი უფლება ჰქონდა ვაზირთა საბჭოზე დასწრებისა. სხვათა შორის, საწოლის მწიგნობარი „სააჯო კარზედაც“ გვერდით უზის მწიგნობართუხუცესს.

ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესს რომ სხვა ვაზირებთან შედარებით მეტ პატივსა სცემდნენ, ამას ჩვენ იმ დეტალითაც მივხვდით, როცა პურობიდან გამოსულს წინ ორი მაშხალა მოუძღოდა.

ზემოთ უკვე ითქვა — ძნელი დასადგენი ხდება, ამირსპასალარსა და მანდატურთუხუცესს შორის რომელს ჰქონდა უპირატესობა, რამდენადაც ზოგ წყაროში ერთს მოიხსენიებენ პირველად, ზოგში — მეორეს. „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, ისინი ერთნაირი უფლებებით სარგებლობდნენ — „პატივი მისი (ამირსპასალარისა) და მანდატურთუხუცესისა სწორი არის“, მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, ასეთი გაურკვეველობა ბევრჯერ გახდებოდა მიზეზი ფარული (და ზოგჯერ აშკარა) შუღლისა, ერთიცა და მეორე თანამდებობის პირიც მუდამ იმის ცდაში იქნებოდა, მეფის მეტი ყურადღება და პატივისცემა დაემსახურებინა... და, ვითარებისდა მიხედვით, ხან ერთს ერგებოდა მეტი პატივი, ხან მეორეს. ზოგჯერ ეს ორი თანამდებობა, ანუ სახელი, გაერთიანებული იყო და ერთ პიროვნებას ჰქონდა ჩაბარებული. მაგალითად, ივანე ორბელიანი, რომელმაც გიორგი მესამის წინააღმდეგ დიდებულთა შეთქმულება მოაწყო და იმ შეთქმულებისაევე მსხვერპლი შეიქნა, ამირსპასალარიც იყო და მანდატურთუხუცესიც. ასევე ყოფილან პაპა და მამა ივანე ორბელიანისა — დიდი ივანე ორბელიანი და სუმბატი...

ამირსპასალარი სახელმწიფოში სამხედრო საქმეებს განაგებდა და, როგორც „ხელმწიფის კარის გარიგება“ გვაუწყებს, „მას წინათ არეინ იტყვის, რაი ვეზირობა იყოს“ — ვაზირთა საბჭოსთვის მას უნდა მოეხსენებინა ომის დაწყების ამბავი და მისი წარმართვის გეგმა. მას ემორჩილებოდა მთელი ქართული მხედრობა, ყველა მხედარმთავარი. ოღონდ აქვე უნდა შევნიშნოთ, ომის დროს მეფე იყო ფაქტიური მთავარსარდალი და ამირსპასალარი უკვე მის თანაშემწედ გეველინებოდა. ჩვენ ვნახეთ, როგორ მიუძღოდა ომებში ჯარს გიორგი მესამე, დემეტრე, დავით აღმაშენებელი, გიორგი მეორე, ბაგრატ მეოთხე და ყველა მათი წინაპარი.

როგორი იყო ქართული ლაშქარი დავით აღმაშენებლის სამხედრო რეფორმის შემდეგ, რა სახეობის ჯარებისგან შედგებოდა, ეს ჩვენ უკვე

ვიცით და აღარ გავიმეორებთ; ჯარის ასეთი ორგანიზაცია დიდხანს გაგრძელდა, და როცა ვახუშტი ბატონიშვილი ქართულ ლაშქარს აგვიწერს, მას სწორედ აღმაშენებლის დროინდელი სქემა მოაქვს.

როგორც ითქვა, ომის საკითხი ყოველთვის სამეფო საბჭოს უნდა დაედგინა; მეფე დარბაზს მოეთათბირებოდა ხოლმე. ივანე ჯავახიშვილი შეგვახსენებს გამოთქმებს მატიანედან — „დამასკუნელმან ლაშქრობისამან“, „დაასკვნეს ლაშქრობა“... ეს იმას ნიშნავს, რომ დარბაზმა იმსჯელა და ლაშქრობა გადაწყვიტა. მხოლოდ ამის შემდეგ ხდებოდა ლაშქრის წვევა ანუ თანამედროვე ტერმინით — სამხედრო მობილიზაცია. მეფე ბრძანებდა, წვევის წიგნები დაეგზავნათ. ასეთი ბრძანების გაცემის უფლება მხოლოდ მეფეს ჰქონდა. და დაიწყებოდა მზადება, რაც, რაღა თქმა უნდა, სწრაფად ხდებოდა. ზოგჯერ ისე სწრაფად შეკრებდნენ ლაშქარს საქართველოს ყოველი კუთხიდან, რომ გაგიკვირდებათ კიდეც. როცა დათქმულ ადგილს ლაშქარი შეიყრებოდა, მეფე ჩამოუელიდა და დაათვალიერებდა – ამოწმებდა ჯარის შემადგენლობას, აღჭურვილობას, საბრძოლო განწყობილებას... გაამხნევებდა, წააქეზებდა... ლაშქრის ასეთ დათვალიერებას თავისი სახელი ჰქონდა — „სპათა განახვა“.

რომ უფრო ცოცხლად წარმოგვიდგინოს ეს ერთგვარი სამხედრო აღლუმის სურათი, ივანე ჯავახიშვილი „ვეფხისტყაოსანს“ იშველიებს...

„აღლუმი ვნახე, მეკეთა ლაშქართა მოკაზმულობა,
სიჩაუქე და სიკეთე, კეკლუცად დარაზმულობა,
ტაიჭთა მათთა სიმაღლე, აბჯართა ხვარაზმულობა“.

ომის დამთავრებისა და გამარჯვების შემდეგ ისევე გაიმართებოდა დარბაზობა, ამირსპასალარი გამარჯვების ამბავს მოახსენებდა მეფესა და დარბაზს, რასაც „ლაშქართა გაყრა“ ანუ ჯარის დათხოვა მოჰყვებოდა.

ამირსპასალარსვე ევალებოდა კურთხევის დროს მეფისთვის სამეფო ხმლის შერტყმა („ამირსპასალარმან ხმალი შეარტყას“). კურთხევამდე კი, როცა ეკლესიაში მიდიოდნენ, ეს ხმალი მასვე (ამირსპასალარს) უნდა წაელო, თანაც უსათუოდ ორივე ხელზე დასვენებული. იგულისხმება, რომ ამ დროს ხმალი შიშველი იყო და ქარქაში, აგრეთვე მეფისაევ ფარი და ლახტი, მიჰქონდა

მეაბჯრეთუხუცესს, რომელიც მეფეს უკან მიპყვებოდა.

ამირსპასალარის თანაშემწე ამილახორი იყო. აკი „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ წერია: „ამილახორი ეეზირი არის ამირსპა—სალარისა“. როგორც უკვე ითქვა, ამილახორი ესწრებოდა სავაზირო სხდომებს, მაგრამ აქტიურ მონაწილეობას ვერ ღებულობდა. მისი მდგომარეობა ძალიან მარჯვედ აქვს გადმოცემული „ხელმწიფის კარის გარიგების“ ავტორს: „...ეეზირობა ესმის და იგი არას იტყვის, რასაც არა ჰკითხავენ. და რაი ჰკითხონ, მაშინღა პასუხს იტყვის“... იყო თავისთვის გაჩუმებული, ჰკითხავდნენ რამეს, უპასუხებდა, არადა სხვების ლაპარაკს ისმენდა...

ამილახორი, ეტყობა, მხედრობას განაგებდა, ცხენოსან ჯარს. ამის დასადასტურებლად მკვლევარები „ეეფხისტყაოსნის“ ერთ სტრიქონსაც იშველიებენ: „ამილახორო, მოასხი რემა, ცხენი და ჯოგია“...

ამირსპასალარს ემორჩილებოდნენ აგრეთვე მეაბჯრეთუხუცესი, მეაბჯრენი და სპასალარები — ცალკეული რაზმების სარდლები.

ომის დროს ამირსპასალარსაც, სარდლებსაც და, რაღა თქმა უნდა, მეფესაც თავისი აბჯრისმტვირთველები ჰყავდათ; ისინი ბრძოლის დროს თავიანთ პატრონებს ეხმარებოდნენ; მიაწვდიდნენ საჭირო იარაღს, ისრებს... იგულისხმება, რომ აბჯრისმტვირთველი თავად კარგი მხედარი და მეომარი, მკვირცხლი და ყოჩაღი მებრძოლი უნდა ყოფილიყო. დროზე და მარჯვედ უნდა მიეწოდებინა ბრძოლის დროს პატრონისთვის ესა თუ ის საბრძოლო იარაღი, ცხენი მიეშველებინა. ადვილი წარმოსადგენია, ზოგჯერ როგორი გასაჭირისა და არეულობის დროს ხდებოდა ეს, რა საბედისწერო ჟამს... ასე რომ, აბჯრისმტვირთველის როლს ნუ გავაიოლებთ, საკმაოდ ძნელი და პასუხსაგები საქმე აბარია...

ზემოთ აღვნიშნეთ, წელიწადში ერთხელ ზარდახანის აღწერა-შემოწმება ხდებოდაო. „ხელმწიფის კარის გარიგებისავე“ ცნობით, ზარდახანაში ინახებოდა მთელი აბჯარი — „ჯაჭვი, მუზარადი, ხმალი, ქაფა, საბარკული, მშვილდ-კაპარჭი, ლახტი, შუბი, სრულიად ყოველივე უნაგირი მოჭედილი და ხამი, აკმაზულობა, რაც ზედ აბია და რაც საცხენე ჯავშანი, მანჯუვები აბრეშუმისა, ცხენის ყელსაბამი მოჭედილი, კანჯრის კუდი და ამისთანა ყველა, დიდი დროშა, დაბარჩამანი ორნი თავგადაჭედილნი, ერთი თეთრი და ერთი შავი, შუბი სეფე ალმითა, ესე ყოველნი მნათობნი, მოჭედილნი ვეცხლითა და სპილენძიანი“...

სახელწოდება „ამირსპასალარი“ უფრო მოგვიანებით უნდა იყოს შემოღებული, ეს თანამდებობა კი, თავისთავად იგულისხმება, ძველია და წინათ მთავარსარდალს და სახელმწიფოში სამხედრო საქმეთა გამგებელს სპასალარს ან სპასპეტს უწოდებდნენ.

მას შემდეგ, რაც „ამირსპასალარის“ სახელწოდება შემოვიდა, ანუ, ფაქტიურად, დავით აღმაშენებლის დროიდან, ეს თანამდებობა, როგორც უკვე ვნახეთ, ორბელთა გვარის რომელიმე წარმომადგენელს უჭირავს. ამასვე ადასტურებს სტეფანოზ ორბელიანი. თქვენ გახსოვთ დიდი ივანე ორბელიანი, მისი შვილი სუმბატი, შვილი სუმბატისა ივანე, ამისი შვილი ისევ სუმბატი... რა პატივსადები იყო ეს თანამდებობა და ორბელთა გვარის წარმომადგენლებიც რა ღირსეულად უძღვებოდნენ საქმეს, ერთი ფაქტითაც შეგვიძლია დავადასტუროთ. ბეთანიის ტაძრის კედელს შემორჩა ფრესკა, რომელზედაც სუმბატ ორბელია გამოსახული.

მანდატურთუხუცესის თანამდებობა შედარებით ახალია, მანდატურები კი, დავით აღმაშენებლის დროიდანვე მოიხსენიებიან; მანდატურთუხუცესი, როგორც ეაზირი, ზოგი მკვლევარის აზრით, გიორგი მესამის დროიდან უნდა იყოს; მისი შემოღება დავით აღმაშენებლის „მრავალმხრივ ღონისძიებებთან უნდა იყოს დაკავშირებული“, შენიშნავს შოთა მესხია.

ჩვენ უკვე ვნახეთ, თავიდანვე როგორი სიმტკიცე და სიმკაცრე გამოიჩინა აღმაშენებელმა მოღალატეებისა და ორგულების მიმართ, როგორ ალაგმა თავგასული ფეოდალების პარპაში. ამას მოითხოვდა ქვეყნის გაერთიანებისა და ცენტრალიზაციის ინტერესები, უამისოდ საშიში მტრისგან ქვეყნის გათავისუფლებაც ვერ მოხერხდებოდა... სწორედ ამ საკითხზე აქვს პოლემიკა დავითის ისტორიკოსს იმ „მაბრალოებთან“, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ მეფის სიმკაცრის გამო.

აი, საიდან მომდინარეობს საპოლიციო სამსახურის გაძლიერება და ამისთვის საგანგებო თანამდებობის ანუ სახელოს შემოღება.

ისე არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს აღმაშენებლამდე საერთოდ არა ყოფილიყოს ასეთი აპარატი. „შინაგანი წესრიგის დამცველი საპოლიციო აპარატი“, რაღა თქმა უნდა, მანამდეც იყო, მაგრამ ახლა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მეფემ.

ამრიგად, მანდატურთუხუცესი (მოგვიანო ხანაში ამ თანამდებობის პირს ს ა ხ ლ თ უ ხ უ ც ე ს ს უწოდებენ) საშინაო საქმეებს, საპოლიციო უწყებას განაგებდა, შინაგან საქმეთა მინისტრი იყო,

ამასთან, იგი ხელმძღვანელობდა დარბაზის განაწესის შესრულებას. დარბაზობის დროს მანდატურები ანუ მცველები სავაზირო ოთახს გარეთ ჰყავდა მას დაყენებული და შენობას იცავდნენ. ამ ცნობასაც „ხელმწიფის კარის გარიგება“ გვაწვდის: „...მერიგე შორსა დგას, და მანდატურნი გარეშემო შორს დგანან. და ეისაცა არ უბრძანებენ, არეის მიიყვანენ სიახლოეს“... მანდატურთუხუცესს ხელთ ეპყრა ოქროს არგანი, რასაც სამანდატურო არგანი რქმეეია და, ამრიგად, მისი „ხელისუფლების განსაკუთრებული კუთვნილება და ნიშანი ყოფილა“. მანდატურებსაც ჰქონიათ არგანი, ოღონდ იგულისხმება — უბრალო, არა ოქროსი.

მანდატურთუხუცესს ჰქონია აგრეთვე დაკალებული სამეურნეო საქმეებიც. „კარის გარიგებიდან“ ჩანს, რომ ზერები „მანდატურთუხუცესის ხელისანი არიან“, იგი „სამუშაოსა ზედამდგომელად მანდატურს მისცემს“... მასვე მიუთითებს, რომელი სოფლებიდან რომელ სამეფო ზერებში გამოიყვანონ გლეხები სამუშაოდ. მანდატური სულ — „ამიერ და იმიერ“ — სამასი სახლი ყოფილა, ამათგან „სამნი აზნაურნი არიან — იკუნკელისძე, შერაქისძე და ჯარნასძე“, დანარჩენები კი — გლეხები.

მანდატურთუხუცესის თანაშემწე ამირეჯიბი იყო. „ამირეჯიბს ყოველგან გზა აქვს საურავისა, სადა გინდ იყოს მეფე, სალაროს, საწოლს, საჭურჭლეს, ყოველგან მივა და ყოველგან იურეის“... ერთი სიტყვით, ყველგან გზა ხსნილი ჰქონია ამირეჯიბს. აქედანვე ჩანს, რომ ეს თანამდებობაც ძალიან დიდი და საპატიო იყო. ადიუტანტად მას მანდატური ახლდა ხოლმე („ზედამდგომელი ამირეჯიბს მანდატურივე მართებს“ — „ზედამდგომელი“ აქ „ადიუტანტის“ მნიშვნელობით იხმარება).

მეჭურჭლეთუხუცესი სახელმწიფო ხაზინის გამგებელი იყო, ანუ თანამედროვე ტერმინით რომ ვთქვათ, საფინანსო საქმეებს განაგებდა, ფინანსთა მინისტრი იყო. თუ რა პატივით სარგებლობდა იგი, შეგვიძლია ვიეარაუდოთ ერთი ფრაზით, რასაც „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ ვკითხულობთ: „დიდი არის მეჭურჭლეთუხუცესი, ათაბაგობის დაწყებამდი მეოთხე ვეზირი იყო“...

მეჭურჭლეთუხუცესს მართლაც დიდი უფლებები ჰქონდა. იგი განაგებდა ქალაქებს, ვაჭრობის საქმეს და, ამდენად, ქალაქის მესვეურებიცა და ვაჭრებიც მას ექვემდებარებოდნენ.

მეჭურჭლეთუხუცესსაც ჰყოლია მოადგილე და მას მესაჭურჭლეთუხუცესის ნაცვალი რქმეეია.

ამრიგად, ჩვენ უკვე ჩამოვთვალეთ ძველი საეზიროს შემადგენლობა. როგორც ითქვა, მოგვიანებით საეზიროს შემადგენლობა გაიზარდა და მას დაემატა კიდევ ორი ეზირი — ათაბაგი და მსახურთუხუცესი.

„ხელმწიფის კარის გარიგებაში" რამდენჯერმე არის მოხსენებული ათაბაგის თანამდებობა და ყველგან ისეთივე პატივით, როგორც ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი.

ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის ანუ მეფის პირველი ეზირის — შემდეგ ამ სამ ეზირს ერთად ახსენებენ ხოლმე. ამიტომაც ეზირთა საბჭოზე მისი ადგილი ჭყონდიდელის ქვემოთ ყოფილა, ამირსპასალართან ერთად („ჭყონდიდელს ქვემოთ ნოხთა ზედა ათაბაგი და ამირსპასალარი დასხდნენ"). „ათაბაგობა ქართული ხელისუფლება არ არის და უცხოეთიდან იყო შეთვისებული", — წერს ივანე ჯავახიშვილი.

ქვემოთ ვნახავთ, რომ მეფე იძულებული გახდა, ეს თანამდებობა დაეწესებინა. ივანე ჯავახიშვილი იქვე წერს: „ათაბაგობა... ივანე მხარგრძელის პირად პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად იქმნა დაწესებული". რაკი ფეოდალმა აიძულა მეფე, ასეთი თანამდებობა დაეწესებინა, ეს თავისთავად მიგვანიშნებს, რომ გამწვაევებული შინაგანი წინააღმდეგობის საფუძველზე შემოულიათ. სელჩუკთა სახელმწიფოში ათაბაგი ტახტის მემკვიდრის აღმზრდელად ითვლებოდა („ათა" მამას ნიშნავს) და ეს მოვალეობა დაეკისრა მას საქართველოშიც.

ის ფაქტი, რომ ათაბაგი უფლისწულის აღმზრდელი იყო, თავისთავად ბევრის მეტყველია და ამის შემდეგ ადვილი ასახსნელია, რომ მას ეზირთა შორის პირველი ადგილი მიეკუთვნა. არც იმის გათვალისწინებააძნელი,რომპატივმოყვარეფეოდალითანდათანობით თავის მდგომარეობასაც აღარ დასჯერდებოდა და მთავარ ეზირს — ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესს დაუპირისპირდებოდა.

ჩვენ მართლაც გავხდებით ამის მოწმენი.

როგორც ითქვა, უფრო მოგვიანებით დაწესდა მსახურთუხუცესის სახელოც. სახელწოდებაც კარგად მიგვანიშნებს, რომ იგი მეფის მსახურებს („მსახურნი მეფისანი"), ანუ სამეფო სახლის საქმეებს განაგებსდაზოგჯერ,წყაროებშიასეცმოიხსენიება—„ხელი შინაური". „ხელმწიფის კარის გარიგების" მიხედვით, მას ემორჩილებოდა სალარო, საწოლი, მესაწოლეთუხუცესი, მოლარეთუხუცესი, ფარეშთუხუცესი, ციცხვთუხუცესი, მეხილეთუხუცესი.

ამრიგად, ჩვენ უკვე გავეცანით სავაზიროს. აშკარად შენიშნავდით, რომ ვაზირთაგან ერთი ჯგუფი მეტი პატივითა და უფლებებით სარგებლობს, მეორე — ნაკლებით. მეტი უფლებით სარგებლობდნენ ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი, რომელთაც შემდეგ შეუერთდა და, თანდათანობით, თავშიაც მოექცა ათაბაგი; მეჭურჭ-ლეთუხუცესი და მსახურთუხუცესი კი შედარებით ნაკლები პატივითა და უფლებით სარგებლობდნენ. ის კი არა და, პირველად მათ მხოლოდ სათათბირო ხმა ჰქონდათ სავაზიროში.

ბუნებრივია, ყველა დიდ საქვეყნო-სახელმწიფოებრივ საქმეს სავაზირო განიხილავდა. იგი იყო მთავრობა სახელმწიფოსი. სათავეში, რათა თქმა უნდა, მეფე ედგა და ის თავმჯდომარეობდა სავაზიროს სხდომებს.

ალბათ, საინტერესო იქნება, რვაასი წლის წინანდელ სხდომაზედაც შევიხედოთ — სავაზიროს სხდომაზე.

„ხელმწიფის კარის გარიგება“ ჩვენ ამის საშუალებას გვაძლევს.

ჯერ სამზადისი...

„თუ ვეზირობა იყოს... მოახსენონ ჭყონდიდელსა და ათაბაგსა, ამირსპასალარსა, მანდატურთუხუცესსა, მეჭურჭლეთუხუცესსა, მსახურთუხუცესსა და ამილახორსა“. ამილახორი (ამირახორი), როგორც ვიცით, ამირსპასალარის ნაცვალი ანუ მოადგილეა, სავაზიროს არასრულუფლებიანი წევრი — ესწრება სხდომას და ისმენს მხოლოდ; თუ არ ჰკითხავენ, აზრის გამოთქმის უფლება არა აქვს. ასეთივე არასრულუფლებიანი წევრები არიან საწოლის მწიგნობარი (მწიგნობართუხუცესის მოადგილე) და ამირეჯიბი (მანდატურთუხუცესის მოადგილე). ამათაც იწვევენ სხდომაზე, თუმცა, როგორც ვნახეთ, ძეგლის ავტორს ხსენებული არა ჰყავს. ეტყობა გადამწერს გამორჩენია.

ამრიგად, მეფისა და მისი პირველი ვაზირის — ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის გარდა, სავაზიროს შეიდი კაცი ესწრება...

მაგრამ სანამ ისინი სხდომის ოთახში შევიდოდნენ და ვაზირობა დაიწყებოდეს, ჯერ ოთახი უნდა მოამზადონ სხდომისთვის. ეს ფარე-შთუხუცესს ევალება. მან უნდა „დაპფინოს ორხოვა (ოქროქსოვილი ხაევრდი) მომცრო და ზედ სასთაული (ბალიში) დადვას“. რაკი ეს მეფის საჯდომია, იგულისხმება, რომ სასთაულს ოქროჭედილ ტახტზე დასდებენ. ტახტი ოთახის შუაგულში დგას, კედლებისა და კარისგან მოშორებით.

შემდეგ უნდა „მოიღონ სუფრის ნოხი და მომრგვალებით დაპფინონ

პირისპირ (მეფის წინ ნახევარწრედ დაჰფენენო, ექვთიმე თაყაიშვილი განმარტავს). თავსა სუფრის ნოხისასა სელნი დადგან". სელი ზემოთაც ვახსენეთ — დასაკეცი, უზურგო სკამია ვაზირებისთვის.

როგორც ითქვა, ძეგლის აეტორი სიტყვაძვირი კაცია და ხშირად ბოლომდე არ ამბობს იმას, რაც თავისთავად იგულისხმება. ზემოთ, როგორც ვნახეთ, მეფის ოქროჭედილი ტახტი არ ახსენა, რომელზედაც სასთაული დადეს; ახლა ისიც არა თქვა, რომ ვაზირთა სელები ოქროთი იყო მოჭედილი, არც ის უთქვამს, რომ ნოხს ფერხედ მაგიდაზე აფენდნენ. ეს ცნობები მემატიანის თხზულებას („ისტორიანი და აზმანი"...) შემოუნახავს.

სავაზიროსხდომისდარბაზისგეერდითოთახია,რომელსაცსალარო ჰქვია. აქ კართან დგანან მესაწოლეთუხუცესი და მოლარეთუხუცესი — მსახურთუხუცესის თანაშემწეები. ისინი სხდომის დროს დარბაზს იცავენ; ვინც დაბარებულია, გაატარებენ, სხვას არავის შეუშვებენ: „და მერმე ვინც უნდათ — მეაბჯრეთუხუცესსა, განმგეთუხუცესსა, საჭურჭლისნაცვალსა, მესტუმრესა, ზარდახნის მწიგნობარსა, და ვინცა ხელისუფალნი სამოციქულოდ უნდათ, შეასხმენ და გაგზავნიან ...საწოლის მეკრე კარს გარეთ არის, ზურგი შემოუქცევია კარით, ან გამოუხშავს. ხელთა არგანი აქვს, ქვე ზის და ვისაცა უბრძანებენ, შემოიყვანს. მერიგე შორსა დგას და მანდატურნი გარეშემო შორს დგანან; და ვისაცა არ უბრძანებენ, არვის მიიყვანენ სიახლოეს"...

მკაცრი დაცვა პქონია სავაზიროს. ალბათ იმასაც მიაქციეთ ყურადღება, ჩვეულებრივ ვის მოუხმობდნენ სხდომაზე — მეაბჯრეთუხუცესს, განმგეთუხუცესს, საჭურჭლისნაცვალს, მესტუმრეს, ზარდახნის მწიგნობარს... ანუ სხვადასხვა დარგისა და უწყებათა მოხელეებს. მთავარი სავარაუდებელი საკითხები, რაც სავაზირომ უნდა განიხილოს, სწორედ ამათ შეეხება და მათი მონაწილეობით უნდა იმსჯელონ. ზოგჯერ, საჭიროების მიხედვით, სხვა მოხელეებსა და გარეშე პირებსაც მოიწვევენ. აქ დასახელებულ მოხელეთა შორის თქვენი ყურადღება იქნებ „მესტუმრემ" მიიქცია; მას ეევალება უცხოელი ელჩებისა და დესპანების მიღება, მათთან ურთიერთობა; „სტუმრის მიმღები მოხელეაო", ასე განმარტავს ექვთიმე თაყაიშვილი.

ამრიგად, ფარეშთუხუცესი მორჩა საქმეს — სხდომის დარბაზი მოაწესრიგა, ტახტი და სკამები დაალაგა, ძვირფასი ნოხები დაპფინა... უკვე მოახლოდა სხდომის დაწყების დრო, მაგრამ დარბაზში ჯერ ისევ ირეია ხალხი — ჯალაბი, სასახლის მსახურები, სხვადასხვა რანგის მოხელეები, რომლებიც დღეს სხდომაზე არიან

დაბარებულები, მაგრამ გარეთ უნდა დაიცადონ, გამოძახებას ელოდონ... დიდ დარბაზში ჯერ ისევ ფუსფუსია, გაბმული ზუზუნი დგას... უკვე მსახურთუხუცესის ჯერი დადგა: იგი ხელს შემართავს და აფუსფუსებული დარბაზი ერთბაშად დაიცლება, სამარისებური სიჩუმე გამეფდება. ახლა მალე უნდა დაიწყოს საეაზიროს სხდომა.

და აი, ვაზირები გამოჩნდებიან. თქვენ მათ ტანსაცმლითაც იცნობთ: ოქრომკედით ნაქსოვი სამოსელი აცვიათ — სკარამანგები. ეს ტანსაცმელი თამარ მეფემ შემოიღო ვაზირებისთვის.

როგორც ვნახეთ, მაგიდა და სკამები ადრევე მოუმზადეს ვაზირებს, მაგრამ სადაც მოუხდებათ, ან სადაც მოესურვებათ, იქ კი ვერ დასხდებიან — ყველას თავისი ადგილი აქვს მიჩენილი. ყველაზე საპატიო ადგილი, რაღა თქმა უნდა, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესს ეკუთვნის, როგორც პირველ ვაზირსა და სახელმწიფოში მეფის შემდეგ, პირველ კაცს. მერე — ათაბაგი (მას შემდეგ, რაც ეს თანამდებობა შემოიღეს) და ამირსპასალარი („ჭყონდიდელს ქვემოთ ნოხთა ზედა ათაბაგი და ამირსპასალარი დასხდნენ"), იქვე — მანდატურთუხუცესი (ეს იმ შემთხვევაში, როცა ამ ორ თანამდებობას სხვადასხვა პირი განაგებს); მეჭურჭლეთუხუცესისა და მსახურთუხუცესის თანამდებობაც ტოლფასოვნად ითვლება, ისინი ერთად არიან... („აწ მსახურთუხუცესი მეჭურჭლეთუხუცესისა გვერდით ზის ვეზირობასა ზედან"), ამათ ზურგსუკან კი ვაზირთა თანაშემწეები დასხდებიან...

შემობრძანდება მეფე და სხდომაც იწყება...

საეაზიროს დამთავრების შემდეგ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი გადაწყვეტილება-დადგენილებასა თუ ბრძანებას მწიგნობრებს გადასცემს. სულ 26 მწიგნობარია, ეს ჩვენ უკვე ვიცით, და ბრძანებები დარიგდება იმის მიხედვით, თუ საქმე უწყებრივად რომელ მწიგნობარს შეეხება. მწიგნობრები „ასწერენ და იურვიან, რაც სასურეო იყოს" — ესე იგი, უნდა იზრუნონ, რათა ბრძანება შესრულდეს.

თქვენ, რაღა თქმა უნდა, გაინტერესებთ, როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო ეს ბრძანება თუ გადაწყვეტილება, რა საკითხები იხილებოდა დარბაზისა თუ საეაზიროს სხდომებზე. ჩვენ უკვე შევეგუეთ იმას, რომ მრავალი ძვირფასი საბუთი, რაც სასურველი სისრულით გააცოცხლებდა იმდროინდელ ცხოვრებას, მომდევნო საუკუნეებში დატრიალებული უბედურების დროს დაიღუპა. არსებობდა ასეთი საბუთები და აღარ არის, მაგრამ იმ ძუნწი ცნობებითაც კი, რაც შემთხვევით გადარჩენია ჟამთა სიავეს, ზოგიე-

რთი რამის აღდგენა მაინც ხერხდება. აგერ, სავაზიროს ბრძანებებსა თუ გადაწყვეტილებებზე გექონდა საუბარი. ეთქვით, როგორ დაურიგდებოდა წერილობით ეს ბრძანებანი სხვადასხვა დარგისა და უწყების მწიგნობართ შესასრულებლად... ეს საბუთები განადგურდა. მაგრამ ზოგი რამ აქა-იქ მაინც შემორჩენილა.

და აი, ჩვენ საშუალება გვაქვს, სავაზიროს ერთ-ერთ ასეთ გადაწყვეტილებას გაეცნოთ. იგი ქვაზეა დაწერილი რვა საუკუნის წინათ. რვაასი წელიწადი ცის ქვეშ ეგდო ეს ქვა წვიმასა, თოვლსა და ქარში, მაგრამ წარწერა მაინც არ გადაშლილა და ჩვენს დრომდე მოიტანა არა მარტო შინაარსი გადაწყვეტილებისა, არამედ გაცილებით უფრო საინტერესო ცნობა, თუმცა წარწერის ამომტვიფრაეს რვაასი წლის წინათ წარმოდგენაც კი არა ჰქონდა, ასეთ საგულისხმო ცნობას თუ უნახავდა შორეულ შთამომავლობას.

წარწერიანი ქვა აკადემიკოსმა გიორგი ნიტაიამ აღმოაჩინა 1936 წელს, ექსპედიციის დროს, თრიალეთში, წალკის მიდამოებში.

აი, ეს წარწერაც:

„სახელითა ღმრთისაითა, ბრძანებითა
ღმრთისა სწორთა თამარის და გიორგისითა,
ჭყონდიდელის, ზაქარია, შალვა,
ოვსიყმა, ეაჩესითა, ჯულაბაის
მოჭირვებითა, სანობაის ძისა ინაისა
ხელითა დაისუა ხელი ესე ღმრთისა
სწორთა მეფეთ-მეფისა
გიორგისი“.

ამ სიტყვებს გარდა, ქვაზე ამოკვეთილია გამოსახულება ადამიანის ხელისა, რაც აადვილებს წარწერის შინაარსის გაგებას. ნიკო ბერძენიშვილი წერს: ხელი „იყო მამულის მფლობელობის ნიშანი, ხელისუფლების მიერ უზრუნველყოფილი“.

ამრიგად, ჩვენამდე მოაღწია ბრძანებამ მამულის მფლობელობის შესახებ.

ნიკო ბერძენიშვილს „დიდმნიშვნელოვან სახელმწიფო აქტად“ მიაჩნია ეს ბრძანება და ცდილობს დააზუსტოს, კერძოდ რა მფლობელობას შეეხება იგი. მეცნიერი ასეთ ვარაუდს გვთავაზობს: „ჩვენ ვფიქრობთ, ეს არის თრიალეთის საუფლისწულო (სახასო) ქვეყნად დამტკიცების აქტი. ხელის დასმის ადგილი, წალკა, თრიალეთის ცენტრი, ამასვე უნდა მიუთითებდეს“.

საუფლისწულო მამულების დამტკიცება და ისიც თრიალეთში (ჩვენ უკვე ვიცით ამ მიდამოების განსაკუთრებული ეკონომიკურ-სტრატეგიული მნიშვნელობა) მართლაც საყურადღებო ფაქტია. მაგრამ ამჟამად ჩვენთვის უფრო საინტერესო ის არის, რომ მკვლევარებს წარწერა სავაზიროს ერთ-ერთ გადაწყვეტილება-ბრძანებად მიაჩნიათ.

წარწერის თარიღად ერთხმად ასახელებენ 1207-1212 წლებს. ამ დროს თამარს თანამოსაყდრედა ჰყავს თავისი შვილი გიორგი, ლაშად წოდებული. ასე რომ, ვინ უნდა იყვნენ წარწერაში მოხსენებული „ღმრთისა სწორნი" თამარი და გიორგი, ეჭვს არ იწვევს. ესენი არიან თამარ მეფე და მისი შვილი ლაშა გიორგი.

ამას მოჰყვება კიდევ რამდენიმე დასახელება: ჭყონდიდელი (რომელსაც აქ სახელით არ მოიხსენიებენ და, მკვლევარების აზრით, ეს სამეფო კარზე მისი განსაკუთრებული მდგომარეობით აიხსნება): ზაქარია — ზაქარია მხარგრძელი, იმ დროს საქართველოს ამირსპასალარი; შალვა — თორელი-ახალციხელი, რომელსაც მანდატურთუხუცესად ვარაუდობენ, რამდენადაც იგი ამირსპასალარის შემდეგ არის დასახელებული; და რაკი მკვლევარები წარწერას უყოყმანოდ სავაზიროს ბრძანებად მიიჩნევენ და, ამდენად, აქ დასახელებულ პირებს — სავაზიროს წევრებად, ვარაუდობენ, რომ ოსიყმა მეჭურჭლეთუხუცესი იქნებოდა; ხოლო ვაჩე — ამირახორი, რადგან სავაზიროში, ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის შემდეგ ეს ორი ადგილიღა დარჩა. ათაბაგის თანამდებობა, როგორც ვიცით, იმ წლებში ჯერ კიდევ არ იყო შემოღებული, მსახურთუხუცესი უფრო მოგვიანებით შეიყვანეს სავაზიროს შემადგენლობაში.

სხვა წყაროებით არ დასტურდება ეს ვარაუდი — არც შალვა, არც ოსიყმა და არც ვაჩე არსად ვაზირებად არ მოიხსენიებიან... ამ გარემოებამ ზოგიერთ მკვლევარს ეჭვი აღუძრა — იქნებ აქ დასახელებული პირები ყველანი ვაზირები არ არიან, წარწერაში მხოლოდ რამდენიმე ვაზირია ნახსენები, დანარჩენები კი ამ მხარის მაშინდელი გამგებლები არიანო. ასეთი აზრი გამოთქვა თავის დროზე ნ. შოშიაშვილმა. გავიდა კიდევ რამდენიმე ხანი და შოთა მესხიამ თავის უკანასკნელ შრომებში, რომლებიც მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა, გაიზიარა ნ. შოშიაშვილის მოსაზრება; მისი აზრითაც, წარწერაში დასახელებულთაგან მხოლოდ ორია ვაზირი — ჭყონდიდელი და ამირსპასალარი ზაქარია, დანარჩენები არიან ერისთავთ-ერისთავები, ამ მხარის გამგებლები (წარწერაში ნახსენები

ჯულაბაი და ინაი ყველა მკელევარს უყოყმანოდ „ხელდასმის“ „ტექნიკურ შემსრულებლებად“ მიაჩნია).

შოთა მესხიამ კიდევ უფრო გაბედული და მეტად საგულისხმო მოსაზრება შემოგვთავაზა: იგი ამტკიცებს, რომ იმ დროს საერთოდ არაევითარი სავაზირო არ არსებობდა, იყო მხოლოდ ერთი ვაზირი — ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, ეს მართლაც უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტი კი მეფის ბრძანება არისო...

ეს მნიშვნელოვანი საკითხია და იმიტომაც შევაჩერეთ მკითხველის ყურადღება. თუ მართლა ეირწმუნებთ, რომ იმ დროს სავაზირო არ არსებობდა და, ამდენად, მეფის უფლებები შეზღუდული არ ყოფილა, მაშინ ზოგიერთ აწ დაკანონებულ შეხედულებასაც უნდა გადავხედოთ და შევცვალოთ; ამდენად, ბევრი ისტორიული ფაქტი სულ სხვაგვარად გაშუქდება...

ჯერჯერობით ეს მხოლოდ ვარაუდია და სანამ კვლევა ამ მიმართულებით წარიმართებოდეს, ჩვენ ტრადიციულ დებულებას მიეყვეთ.

ამრიგად, ქვამ შემოგვინახა მეტად საყურადღებო სახელმწიფო დოკუმენტი — ბრძანება ქვეყნის ერთი მნიშვნელოვანი კუთხის საუფლისწულო (სახასო) მამულად დამტკიცებისა. ბრძანებას ხელს აწერენ მეფეები თამარი და მისი შვილი გიორგი, აგრეთვე სავაზიროს რამდენიმე წევრი...

მაგრამ თქვენ ალბათ ვაზირების სახელები არ გეცნაურათ. გიორგი მესამისა და თამარის სავაზიროს ზემოთ ჩვენ შორიდან გავეცანით და ეს სახელები არ შეგვხვედრია!

საქმე ის არის, რომ ამ დროისათვის შეიცვალა სავაზირო. ეს დოკუმენტი ხომ 1207-1212 წლებისაა, ჩვენ კი 1184 წლის ამბებსა ვყვებოდით და ჩვენი მოთხრობა იმ ადგილას შევწყვიტეთ, როცა თამარი და მისი მამიდა რუსუდანი გეგუთის სასახლეში შევიდნენ. რათა მამა და ძმა — საქართველოს მეფე გიორგი მესამე დაეტირათ.

თავი VII

მტრულად განწყობილი დიდებულები და თამარის მეორედ კურთხევა მეფედ. თამარმა საოცარი გულუხვობა გამოიჩინა – „განხსნა საჭურჭლენი მონაგებნი პაპათა და მამათა მისთანი“ ✦ თამარ მეფემ პირველ მანიფესტად „ქვრივთა ხელმეორედ დაქორწინება“ გამოსცა ✦ პირველი დაბრკოლებები, ფარული შეთქმულებები და რამდენიმე „შინა-მარცხი“ ✦ ყუთლუარსლანისა და მისი დასის დიდი პოლიტიკური პროგრამა, რომლის ანალოგსაც მსოფლიო მანამდე არ იცნობდა ✦ ზედიზედ რამდენიმე მარცხის შემდეგ ახალგაზრდა თამარ მეფემ პირველი გამარჯვება მოიპოვა – გონივრული ნაბიჯით ჩაახშო დიდებულთა ამბოხება

ჰქონდა თუ არა გიორგი მესამეს სულიერი სიმშვიდე და მოსვენებული ძილი იმ შვიდ წელიწადს — აჯანყების დროიდან სიცოცხლის დასასრულამდე — ძნელი სათქმელია; ასეთი ცნობები ისტორიულ წყაროებს არ შემოუნახავთ... თუმცა შექსპირის ფანტაზია და ადამიანის ბუნების მისეული სიღრმით ცოდნა იქნებ არც იყოს აუცილებელი, წარმოვიდგინოთ, რა სულიერი მდგომარეობა შეიძლებოდა ჰქონოდა კაცს, რომელიც ისეთი სიმკაცრითა და ულმობლობით გაუსწორდა აჯანყებულებს — სისხლით ახლობლებსაც და თანაშეზრდილებსაც, ვისთან ერთადაც წლების განმავლობაში ცხოვრობდა, სუნთქავდა, ჭირსა და ლხინს იზიარებდა... მაგრამ შვიდი წელი კაცის სიცოცხლეში საკმაოდ დიდი ხანია, დრო კი ყველაფრის მკურნალია და ადამიანის შინაგან აფორიაქებასაც ამშვიდებს ხოლმე; თან კაცის ბუნებაც ისეთია — თვითონვე გაფაციცებით ეძებს და პოულობს წამალს, თავისი მოქმედება გაამართლოს და სულიერი სიმშვიდე აღიდგინოს.

იკმარა თუ არა ამჟამად შვიდმა წელიწადმა ამისთვის, ვერ ვიტყვით, ის კი უფრო თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სიცოცხლის ბოლო წლების მთავარი საზრუნავი მეფეს უკვე მოგვარებულად მიაჩნდა და

ამითი მაინც გულდამშვიდებული წავიდა ამქვეყნიდან. თუ ისევ საეჭვო გახდებოდა ექვსი წლის წინათ ერთხელ უკვე მეფედ ნაკურთხი და ბაგრატიონთა სადინასტიო ტახტზე ასული მემკვიდრის უფლებები და ტახტის კანონიერ მფლობელს კვლავ ამ უფლებების დაცვა თუ მოუხდებოდა, ამას ან გიორგი მესამე როგორ წარმოიდგენდა, ან მისი და რუსუდანი და ან თვით ახალგაზრდა გვირგვინოსანი.

მაგრამ ასე მოხდა. თამარის მეფობის საკითხი კვლავ დარბაზის მსჯელობის საგნად იქცა.

უნდა ვიფიქროთ, მარტო მტრულად განწყობილი დიდებულების პროტესტმა კი არ გამოიწვია ეს; გასაკვირი სულაც არ არის, რომ დარბაზის სხვა წევრებიც დაეჭვებულები ყოფილიყვნენ. ძნელი გასაბედი იყო, ამოდენა ქვეყნის მართვა ჯერ ისევ საკვლევით ახალგაზრდა ადამიანისათვის მიენდოთ, „ზღვიდან ზღვამდე“ და „ნიკოფსიდან არგვეწამდე“ გადაშლილი ვეებერთელა სახელმწიფოს ბედი 18 წლის გამოუცდელი ქალისთვის ჩაებარებინათ. თან ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ვერაგი და ძლიერი მტერი ხელსაყრელ შემთხვევას ელოდა, რათა „დაკარგული“ მიწა-წყალი კვლავ დაებრუნებინა...

გაართმევდა კი თავს ახალგაზრდა ქალი ასეთ რთულ საქმეს? გაუძღვებოდა ამოდენა ქვეყანას? გააგრძელებდა დიდი წინაპრების დაწყებულ საქმეს?

აი, ეს ძნელი კითხვა აწვალებდა ახალგაზრდა მეფისადმი კეთილად განწყობილ დიდებულებსაც კი, როცა დარბაზი საკითხის გადასაწყვეტად შეიკრიბა.

თვით თამარი, როგორც ჩანს, დარბაზობას არ ესწრებოდა.

დაწერილებითი ანგარიში ამ სხდომისა არ არსებობს, ჩვენამდე არ მოულწეია. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია ვიეარაუდოთ, რა სიფრთხილით განიხილავდნენ საკითხს, როგორ ასწონ-დასწონიდნენ ყველაფერს. მართალია, ასე ახალგაზრდა ადამიანის გამეფება უცხო არა ყოფილა არც სხვა ქვეყნების, არც საკუთრივ ჩვენი ქვეყნისა და, კერძოდ, არც ბაგრატიონთა დინასტიის ისტორიაში. ჩვენ გვახსოვს, ამაზე პატარებიც ასულან სამეფო ტახტზე. ბაგრატ მეოთხე ცხრა წლისა იყო, ბედმა სამეფო გვირგვინი რომ არგუნა.

საჩოთირო აქ სხვა რამე იყო. საჩოთირო და უჩვეულო ქ ა ლ ი ს გამეფება იყო. ამიერიდან ქალი უნდა ყოფილიყო ამ ქედმაღალი დიდებულების მბრძანებელი, ქალს უნდა გადაეწყვიტა დიდი საქვეყნო საქმეები, ქალი უნდა გასძღოლოდა განთქმულ მხედრობას მტრის

წინააღმდეგ ომში, სამეფო ხმალი ქალისთვის უნდა შემოერტყათ წელზე!.. და ეს საჩოთირო გამოდგა, გაუძნელდათ უჩვეულო მდგომარეობასთან შეგუება...

თამარის ლეგენდარულმა სახელმა არ უნდა დაგვაბნიოს. ეს სახელი და დიდება შემდეგ მოვიდა. მისივე თანამედროვე დიდმა პოეტებმა მერე უმღერეს მეფეს, ლეგენდები მერე ითხზვებოდა, სხვადასხვა დროს აშენებულ ტაძრებსა და ციხესიმაგრეებს, სხვათა მეფობის დროს გაყვანილ არხებს თამარის სახელი მერე უწოდა ხალხმა, ხატად და სალოცავად მერე გაიხადა... იმ დროს კი, იმ 1184 წელს, როცა დარბაზს კელავ უნდა დაემტკიცებინა 18 წლის ქალის სამეფო ტახტზე ასვლის საკითხი, თამარის სახელი დარბაზის წევრებისთვის, საერთოდ მისი თანამედროვეებისთვის ბევრი არაფრის მთქმელი იყო.

მართალია, იმ ექვს წელიწადში, მამის თანამოსაყდრეობის დროს, ყმაწვილმა ქალმა თავი გამოიჩინა ჭკუით, განათლებით, სიდინჯითა და სათნოებით. უკვე მოასწრო მოეხიბლა ყველანი — მეგობრებიც და დარბაზის ნეიტრალურად განწყობილი წევრებიც, მაგრამ ამოდენა სახელმწიფოს მეფობისთვის იკმარებდა კი ეს?! როგორი საზრიანობაც არ უნდა გამოეჩინა, მაინც ქალი იყო, თვრამეტი წლის ქალი. და სარისკოდ მიაჩნდათ მისი გამეფება.

ამრიგად, იმ მნიშვნელოვანი საკითხის გადასაწყვეტად — კელავ სამეფო ტახტზე აეყვანათ თუ არა ახალგაზრდა ქალი — შეიკრიბა დიდი დარბაზი, ქვეყნის ყოველი კუთხის დიდებულთა ფართო მონაწილეობით; „შემოკრბენ შეიდთავე ამის სამეფოთა დიდებულნიო“, ასე გვაუწყებს მემატიანე.

თავისთავად ცხადია, ახალგაზრდა მეფის მოწინააღმდეგეები უფრო რიხიანად და მწვავედ წარმოადგენდნენ სხდომაზე თავიანთ არგუმენტებს, გაამუქებდნენ და გააზვიადებდნენ რისკსა და საშიშროებას, რაც, მათი აზრით, ქალის გამეფებასთან დაკავშირებით იყო მოსალოდნელი...

ამის შესაბამისად, მომხრეთა და მხარდამჭერთა მდგომარეობაც, რაღა თქმა უნდა, რთული იქნებოდა, მათი გამოსვლა — უფრო გაუბედავი, არგუმენტები — მორიდებით და ფრთხილად გამოთქმული...

ჩვენ კონკრეტულად არც მოწინააღმდეგეთა არგუმენტებს ვიცნობთ და არც მომხრეებისას. უნდა ვიეარაუდოთ მხოლოდ. და იმ საეარაუდო არგუმენტთაგან, რასაც სხდომაზე წარმოადგენდნენ, უფრო მეტის დაბეჯითებით შეგვიძლია დავასახელოთ მხარდამჭერთა ერთი მნიშვნელოვანი და თითქმის გადამწყვეტი არგუმენტი, რომლის

გაბათილება ყველას გაუჭირდებოდა.

მხარდამჭერებმა გაიხსენეს ის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ საქართველოს განმანათლებელი, რომელსაც კიდევ უფრო რთული და ძნელად შესასრულებელი მისია ერგო და გაცილებით მეტი წინააღმდეგობანი შეხვდა, ვიდრე ჩვეულებრივ მეფეს შეიძლება არგუნოს ბედმა, ასეთივე ახალგაზრდა ქალი იყო და ჩვენს ქვეყანაში დიდი მისიით იგი საგანგებოდ გამოგზავნა ღვთისმშობელმა.

ჩვენ აკი ვიცნობთ ამ ძველ გადმოცემას.

იმავე გადმოცემის მიხედვით, საქართველო ხომ ღვთისმშობლის წილხვდომილია და ამ დიდად მნიშვნელოვან ფაქტსაც, რაღა თქმა უნდა, გაიხსენებდნენ.

ეს ისეთი არგუმენტები იყო, რომ მათი დარღვევა, ბუნებრივია, გაძნელდებოდა. ამას ვერ უგულებელჰყოფდნენ, ვერ უარყოფდნენ, ვერ გააბათილებდნენ... გულში რომ გაველოთ, თქმას ვერ გაბედავდნენ.

ასე იყო თუ ისე, მეფის მომხრეებმა გაიმარჯვეს, დარბაზმა გადაწყვიტა, თვრამეტი წლის თამარი კვლავ ეკურთხებინათ მეფედ. მაგრამ ეს მაინც გაიტანეს მოწინააღმდეგეებმა — ძველი გადაწყვეტილება კი არ დაამტკიცეს, არამედ ერთხელ უკვე ნაკურთხი მეფის მეორედ კურთხევა დაადგინეს...

რატომ?

თუკი გადაწყვიტეს, მეფედ დაეტოვებინათ, კურთხევა და გვირგვინის ხელახლა დადგმა, კორონაციის მთელი რთული ცერემონიალის გამეორება რაღა საჭირო იყო?!

ერთხელ უკვე ნაკურთხ მეფეს რაღა ხელახალი კურთხევა სჭირდებოდა?

უბრალო ახირება იყო ეს? ახირების გამო გაიმეორეს ქვეყნის ცხოვრებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აქტი?

არა, ეს არ ყოფილა უბრალო ახირება. ამას თავისი ღრმა აზრი და ქვეტექსტი ჰქონდა. დარბაზი ამით აგრძნობინებდა მეფეს, რომ მისი უფლებები განუსაზღვრელი არ ყოფილა. რომ მეფე დიდებულებზე იყო დამოკიდებული, მათი მადლობელი და მათგან დავალებული უნდა ყოფილიყო... პირველი კურთხევის დროს ხომ მამამ დაადგა გვირგვინი ნორჩ მეფეს, ხმალიც მან გადასცა! ახლა გვირგვინიც, სკიპტრაცა და სხვა სამეფო ნიშნებიც დიდებულებს უნდა გადაეცათ საზეიმო ვითარებაში მეფისათვის და ამით საქვეყნოდ განეცხადებინათ თავიანთი უფლებამოსილება.

აი, ეს აზრი და ქვეტექსტი ჰქონდა მეორედ კურთხევას.

მაგრამ, სანამ მეფის კურთხევის სურათს ეიხილავდეთ, ისევ იმ არგუმენტს დავუბრუნდეთ, რაც მომხრეებმა დარბაზის სხდომაზე გამოიყენეს.

ზემოთ რომ შეენიშნეთ — უფრო დაბეჯითებით შეგვიძლია დავასახელოთ ერთი არგუმენტი, რასაც მეფის მომხრეები უსათუოდ წარმოადგენდნენ, ეს ჩვენ ზეპირად კი არ გვითქვამს. ამას ერთი საგულისხმო ფაქტი ადასტურებს.

დაეიწყოთ იმით, რომ ეს არგუმენტი პირველად ამ სხდომაზე არ თქმულა. ეს ექვსი წლის წინათაც ითქვა, როცა გიორგი მეფემ თავისი თორმეტი წლის ასული თანამოსაყდრედ დაისვა.

მეფედ კურთხევის დროს მარტო დარბაზის თანხმობა როდი კმაროდა, საჭირო იყო აგრეთვე ეკლესიის დასტურიც. ეკლესიას მეტი ხმაცა ჰქონდა ამ საქმეში, და როცა გიორგი მესამემ თავისი ნორჩი ასულის მეფედ კურთხევა გადაწყვიტა, პირველად სწორედ ეკლესიის მესვეურებს მოელაპარაკა. მაშინ კათალიკოსი იყო ნიკოლოზ გულაბერის ძე, დიდად განათლებული, პროგრესულად მოაზროვნე, ღირსეული და სათნო ადამიანი, მწერალი და ფილოსოფოსი...

მაგრამ, როგორც ჩანს, მარტო კათალიკოსის თანხმობა არა კმაროდა, ეკლესიაში ძლიერი იყო მეორე, კონსერვატიული ფრთა და გიორგი მესამეს მათთანაც მოუხდა მოლაპარაკება თანხმობის მისაღებად. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, მათთან მეტი დათმობა დასჭირდა მეფეს. იმ კონსერვატიულ ფრთას მიქაელ მირიანის ძე მეთაურობდა და მეფეც სწორედ მას მოელაპარაკა. ასე რომ, გიორგი მესამეს იმისი შიში კი არა ჰქონია, კათალიკოსს ვერ დავიყოლიებო, მიქაელის თანხმობა უფრო აფიქრებდა და მთავარი მოლაპარაკებაც სწორედ მასთან გაიმართა.

ქვემოთ ვნახავთ, რა მიიღო მიქაელმა თანხმობის ჯილდოდ. ახლა კი იმაზე ჩამოვაგდეთ სიტყვა, რომ თამარის პირველი გამეფების დროსაც, 1178 წელს, ზემოხსენებული არგუმენტი გაიხსენეს. საყურადღებო ის არის — ჩვენც იმიტომ შევაჩერეთ საგანგებოდ მკითხველის ყურადღება — რომ ნიკოლოზ გულაბერის ძის ერთ-ერთ თხზულებაში, რომელიც ალბათ სწორედ იმ ხანად დაიწერა, დიდი ადგილი აქვს დათმობილი მსჯელობას იმის შესახებ, თუ რატომ მიაღებინა ქრისტეს რჯული ქართველებს ქალმა — „რაისათვის უკვე დედაკაცი აჩინა და წარმოავლინა ღმერთმან ჩუენდა მომართ“.

დააკვირდით ერთ საგულისხმო ფაქტს: აქამდე, თითქმის მთელი რვა საუკუნის განმავლობაში, აზრად არავის მოსვლია, ერკვია — რატომ იყო ქართველთა განმანათლებელი ქ ა ლ ი; პირველად

ეს საკითხი თამარის თანამედროვემ, თამარის ტახტზე ასელაში ერთ-ერთმა აქტიურმა ხელშემწყობმა წამოჭრა. ეს, რაღა თქმა უნდა, შემთხვევით არ მომხდარა. ჩვენ იქნებ ვერ გავიზიაროთ ის დებულებები, რასაც კათალიკოსი თავის თხზულებაში გვთავაზობს, მაგრამ ეს არ არის ამჟამად მთავარი. მთავარი ისაა, რომ სწორედ თამარის გამეფების დროს — ანუ საქართველოს სამეფო ტახტზე პირველი ქალის ასვლასთან დაკავშირებით გაიხსენეს წარსულის მნიშვნელოვანი მოვლენა. და ეს, რა თქმა უნდა, ამ ფაქტის გასამართლებლად მოხდა. ახლაც, დარბაზის ამ სხდომაზეც, რომელსაც თამარის მეორედ კურთხევა უნდა დაედასტურებინა, სწორედ ეს არგუმენტი იყო მთავარი. და ახლა, უნდა ვიფიქროთ, ნიკოლოზ გულაბერისძის თხზულებაც გაიხსენეს.

მაგრამ ამჟამად, თამარის მეორედ კურთხევის დროს, კათალიკოსი უკვე მიქაელ მირიანისძეა და არა ნიკოლოზ გულაბერისძე. ნიკოლოზი ამ დროს საქართველოში არც ყოფილა, იერუსალიმში მოღვაწეობდა. და საყურადღებო სწორედ ის არის, რომ თამარის პირველი გამეფების შემდეგ მალევე დაუნებებია თავი ნიკოლოზ გულაბერისძეს კათალიკოსობისთვის;

„სიმდაბლისა ძალითა ეჯმნა ქართლისა კათალიკოზობისაგანაო“, გვაუწყებს თამარის ერთ-ერთი ისტორიკოსი. მღვდელმთავრის თავმდაბლობას მიაწერს ამ დიდად მნიშვნელოვან ფაქტს.

მაგრამ, ეტყობა, მარტო ეს არ იყო მიზეზი კათალიკოსის იერუსალიმს გამგზავრებისა. ასეთი სურვილი იქნებ, მართლაც ჰქონდა მას, მაგრამ სწორედ ახლა, თამარის გამეფების წელს რომ წავიდა, ეს იქნებ არა მისი თავმდაბლობის, არამედ მღვდელმთავრებთან გიორგი მესამის მოლაპარაკების შედეგი იყო — ამ მოლაპარაკებამ დააჩქარებინა შესრულება სურვილისა, რაც სხვა ვითარებაში იქნებ გულიდან გადაჰყროდა კიდეც. აშკარად ჩანს, მიქაელ მირიანისძემ მეფისთვის მიცემული თანხმობის ჯილდოდ მიიღო კათალიკოსობა. და ნებით თუ უნებლიეთ ამ საქმესვე შეეწირა ნიკოლოზ გულაბერისძის საეკლესიო კარიერაც.

ეს იყო ექვსი წლის წინათ. როგორც ვნახეთ, ახლა თამარის ხელმეორედ კურთხევა გახდა საჭირო, ახლაც დარბაზი მოიწვიეს და, რათა თქმა უნდა, ახლაც ეკლესიის დასტური იყო აუცილებელი.

ამჟამად საშიში თითქოს აღარაფერი უნდა ყოფილიყო. ის კი არა და, ახლა უნდა გაადვილებულიყო კიდეც საქმე, რადგან მიქაელი ახლა კათალიკოსი იყო, ოფიციალური პირი გახლდათ, მის სიტყვას ახლა

გაცილებით მეტი წონა ჰქონდა დარბაზშიაც და დარბაზს გარეთაც, მისი დასტური მთელი ქართული ეკლესიის დასტურს ნიშნავდა და ეს უკვე გამარჯვებას მოასწავებდა, თითქმის გამარჯვებას.

მიქაელის თანხმობა კი საეჭვო აღარ უნდა ყოფილიყო, მას უნდა ხსომებოდა ამ თანხმობისთვის ერთხელ უკვე მიღებული დიდი „ჯილდო" და ახალი დასტური უყოყმანოდ მიეცა.

მართლაც, ივანე ჯავახიშვილის აზრით, მიქაელ მირიანისძეს ამ საკითხზე შუამავლობაც გაუწევია დარბაზის გავლენიან წევრებთან. „თამარისათვის სამეფო ტახტზე (მეორედ) ასვლისა და გამეფებისათვის დასტურის მისაღებადაც წინანდელზე გაცილებით მეტადაც სჭირდებოდა ნიადაგის მოსამზადებლად მუშაობა. ამ შემთხვევაშიც, რასაკვირველია, გადამწყვეტი მნიშვნელობა წინასწარ საიდუმლო მოლაპარაკებას უნდა ჰქონოდა და მისთვის ხომ გავლენიანი შუამავლები იყვნენ საჭირო. ასეთ შუამავლად ამ შემთხვევაშიც, როგორც ირკვევა, იგივე გიორგი მესამის მეფობის უკანასკნელ წლებში კათალიკოსად ქცეული მიქაელ მირიანისძე გამოსულა".

დაჩვეულს ნუ მოაკლებო!.. ძველი ჯილდო დაივიწყა და როგორა გგონიათ, ახლა კი აღარ მოუნდებოდა „ჯილდოებს" დაჩვეულ მღვდელმთავარს სამაგიერო ამ დიდი სამსახურისთვის?! ექვსი წლის წინათ მიღებულ ჯილდოს დასჯერდებოდა?! ანგარებიანი კაცის მორალი ცოტა უფრო სხვანაირია, საერთო კანონებს ვერ მიესადაგება. მიქაელ მირიანისძეს მაინცადამაინც საამაყო სახელი არ დარჩენია; იმ ცნობებისა და დახასიათების მიხედვით, რაც წყაროებს შემოუნახავთ, ჩვენ უარყოფითი შეხედულება უფრო გვექმნება ამ ისტორიულ პირზე, ვიდრე დადებითი. და ამიტომ აღარ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ახლა მას კიდევ უფრო დიდი ჯილდო მოუსურვებია და, როგორც ჩანს, მიუღია კიდეც... ქვემოთ ვნახავთ, რა ჯილდო მიიღო...

ამრიგად, დარბაზმა გადაწყვიტა საქართველოს მეფედ ეკურთხებინათ თამარი. მემატიანე დაწვრილებით გადმოგვცემს მეფედ კურთხეის ცერემონიალს.

სამეფო ტახტზე რომ აიყვანეს თამარი, „მოიღეს გვირგვინი და აღიღეს ხმა მგალობელთა და ძლევით გვირგვინოსნობისა და მძლედმფლობელობისა და მოახსენეს..." ამ ამაღლებული სიმღერის გუგუნში ქუთათელმა მთავარეპისკოპოსმა ანტონ საღირის ძემ გვირგვინი დაადგა მეფეს.

მემატიანე საგანგებოდ შენიშნავს, რომ მეფედ კურთხეის დროს

გვირგვინის დადგმის უფლება მხოლოდ ლიხთიმერელ ეპისკოპოსსა ჰქონდა. ამჯერად ეს საპატიო მოვალეობა ქუთათელმა მთავარეპისკოპოსმა „ღირსმა და მადლშემოსილმა“ ანტონ საღირისძემ შეასრულა.

ამ დროს, მეორე მხარეს მეფეს გვერდში ედგა რაჭისა და თაკუერის ერისთავი კახაბერი — ესეც, წესისამებრ, ლიხთიმერელი დიდებული.

ამის შემდეგ ხმალი უნდა მიერთმიათ მეფისთვის და „სრულ ყვეს მოხელეთა სვიანთა და დიდებულთა ვარდანის ძეთა, საღირის ძეთა და ამანელის ძეთა მოღება და დადება ხრმლისა“. მამაკაცი რომ ყოფილიყო მეფე, წელზე შემოარტყამდნენ ხმალს, მაგრამ რაკი ქალი იყო, მოართვეს და წინ დაუდეს. „ამას შინა ჰკრეს სპერმურთა, ბუკთა, ქოსთა და წინწილთა და იყო ზარი და ზაპმი ქალაქსა შინა (თამარის მეორედ კურთხევა თბილისში მოხდა), სიხარული და შუება და იმედი უიმედო-ქმნილთა. თაყუანისცეს, დალოცეს და ადიდეს სპათა შვიდისაევ სამეფოსათა. და დაიპყრა ჟამიერად თვითოეულმან თვისი ადგილი...“ გაიმართა დიდი სამხედრო აღლუმი, რომელშიაც მონაწილეობდნენ შვიდივე სამეფოდან საგანგებოდ მოწვეული ჯარები; ქუჩები გაეესო ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსულ ხალხს, იყო საერთო მხიარულება, სიმღერა, სიცილი...

ასეთი საზეიმო სიხარული და საზეიმო განწყობილება გადამდებია ხოლმე და მემატიანის სიტყვები — საერთო „სიხარული, შუება და იმედი უიმედო-ქმნილთა“ იყოო, იქნებ, მართლაც არ იყოს გადაჭარბებული. მით უმეტეს, რომ ახალგაზრდა მეფეს საოცარი გულუხვობა გამოუჩენია; მემატიანე იქვე წერს: თამარმა „განხსნა საჭურჭლენი მონაგებნი პაპათა და მამათა მისთანი... იხსნა მოვალენი ვალთაგან და მისცა ობოლთა ღონე და ქურიეთა ხელმწიფობა ქორწინებად[1], და ღონიერ ყვნა გლახაკნი და მდიდარ ღონიერნი“.

ქერიეთა ხელმეორედ დაქორწინებაზე რომ ლაპარაკობს მემატიანე, ეს უფლებას გვაძლევს ვიგულისხმოთ, რომ გარდა მატერიალური გულუხვობისა, თამარს, საერთოდ დიდი მანიფესტით დაუწყია თავისი დამოუკიდებელი მეფობა.

მემატიანის სიტყვებმა ალბათ „ვეფხისტყაოსანი“ მოგაგონათ, თინათინის გამეფების ეპიზოდი. მსგავსება მართლაც დიდია და, რა თქმა უნდა, ავტორს თვალწინ თამარის გამეფების სურათი ედგა,

---

1 კორნელი კეკელიძის განმარტებით, აქ იგულისხმება ქერიეთათვის მეორედ დაქორწინების უფლება, რაც ბიზანტიის ეკლესიასაც მეთორმეტე საუკუნეში დაუკანონებია.

როცა პოემას წერდა.

...თინათინ მიპყავს მამასა პირითა მით ნათელითა,
დასვა და თავსა გვირგვინი დასდგა თავისა ხელითა,
მისცა სკიპტრა და შემოსა მეფეთა სამოსელითა...
. . . . . .
უკუდგეს და თაყვანის-სცეს მეფემან და მისთა სპათა,
დალოცეს და მეფედ დასვეს, ქება უთხრეს სხვაგნით სხვათა,
ბუკსა პკრეს და წინწილანი დაატკბობდეს მათთა ხმათა...
. . . . . .
დღე ერთ გარდახდა. პურობა, სმა-ჭამა იყო, ხილობა,
ნადიმად მსხდომთა ლაშქართა მუნ დიდი შემოყრილობა...

თინათინის გულუხვობაც ძალიან პგავს იმას, რასაც მემატიანე თამარის შესახებ აგვიწერს:

მოიხმო მისი გამზრდელი, ერთგული, ნაერთგულევი,
უბრძანა: „ჩემი საჭურჭლე, შენგან დანაბეჭდულევი,
მომართვი ჩემი ყველაი, ჩემი ნაუფლისწულევი".
მოართვეს, გასცა უზომო, უანგარიშო, ულევი, —
მას დღე გასცემს ყველაკასა სივაჟისა მოგებულსა,
რომე სრულად ამოაგებს მცირესა და დიდებულსა...

უბრძანა: „წადით, გახსენით, რაცა სად საჭურჭლენია!
ამილახორო, მოასხი რემა, ჯოგი და ცხენია!"
მოიღეს, გასცა უზომო, სიუხვე არ მოსწყენია.
ლარსა ხვეტდიან ლაშქარნი, მართ ვითა მეკობრენია...

არ დაარჩენს ცალიერსა არცა ყმასა და არც ქალსა...

●

ასე ზეიმობდა ქვეყანა. ახალგაზრდა მეფე გულუხვად ასაჩუქრებდა ქვეშევრდომებს, იყო პურობა, სმა-ჭამა, მხიარულება, ყველა თავისებურად იშვებდა და იხარებდა, ქუჩებში საზეიმოდ გამოწყობილი მხედრობა გამოფენილიყო, სიმღერისა და მუსიკის ხმები არა წყდებოდა...

ასე აგვიწერს ამ მოვლენას მემატიანე და საეჭვო აქ, რა თქმა უნდა, არაფერია.

მაგრამ ეს გარეგნული მხარეა ვითარებისა. აბა, ვცადოთ და უფრო ღრმად შეეიხედოთ სასახლეშიაც და იქ ბინადარ ადამიანთა გულებშიაც. რა განწყობილება სუფევდა სამეფო კარზე, რა გუნებაზე იყვნენ თვით მეფე და მისი ვაზირები?

ამაზე მემატიანე არაფერს ამბობს. ეს ჩვენ თვითონვე შეგვიძლია ვივარაუდოთ იმ მნიშვნელოვანი მოვლენების მიხედვით, რაც მალევე მოჰყვა თამარის მეორედ გამეფებას.

მაგრამ სანამ ამას მოგითხრობდეთ, გავისხენოთ ის უმაღლესი მმართველები, რომლებიც თამარის მეორედ გამეფების დროს ქვეყანას განაგებდნენ. ალბათ გაგონდებათ, — მემატიანემ ერთად თავმოყრილი გვაჩვენა ისინი იმ სამგლოვიარო დღეს, გიორგი მესამის ცხედართან, როცა თამარი და მისი მამიდა რუსუდანი დარბაზში მეფის დასატირებლად შეეიდნენ. ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, ანუ პირველი ვაზირი და მეფის უახლოესი ადამიანი ანტონ გლონისთავისძე, ამირსპასალარი ყუბასარი, მეჭურჭლეთუხუცესი ყუთლუ-არსლანი, ჩუხჩარხი ანუ მეფის პირადი გვარდიის, მისი დაცვის უფროსი ვარდან დადიანი, მეჯინიბეთუხუცესი ჭიაბერი, მსახურთუხუცესი აფრიდონი, პატრიარქ-კათალიკოსი მიქაელი... ამათგან ანტონ გლონისთავისძე, ნაყიჩაყარი ყუბასარი, ჭიაბერი და აფრიდონი მეფის უერთგულესი ადამიანები არიან; ამაზე სხვა-დასხვა ადგილას მემატიანეც მიუთითებს და სხვა წყაროებითაც მტკიცდება.

როგორ მიიღო მიქაელმა კათალიკოსობა, ეს ჩვენ უკვე ვნახეთ და იმის შემდეგ, თითქოს, მიქაელიც მეფის უერთგულეს ადამიანად უნდა მიგვეჩნია. მაგრამ აკი ვთქვით, მიქაელ მირიანისძე გაუტანელი კაცი იყო, ცბიერი და ანგარებიანი და ამნაირი ადამიანის ერთგულება ძნელი დასაჯერებელია, მუდამ შიშში უნდა იყო, რომ არ გიღალატოს და ზურგში მახვილი არ ჩაგცეს...

დაროცა სამეფო კარზე შეეიხედეთ და იქმყოფთა განწყობილებასაც უფრო ახლოს გაეცანით, ხელადვე დაერწმუნდით, რომ აქ სიმშვიდე არა სუფევდა, აქ ჯერ ისევ ბორგავდა პატივმოყვარეობის ძნელად დასათრგუნი ჟინი; ის თავდავიწყებული ლხენა და მხიარულება, რასაც მთელი ქვეყნა მოეცვა, სასახლეს არ გაპკარებოდა, აქ კიდევ უფრო იძაბებოდა ატმოსფერო...

მიქაელით დავამთავრეთ ჩამოთვლა.

პირველი ცვლილება სამეფო საბჭოში სწორედ მიქაელით დაიწყო. იმ სამსახურის სამაგიეროდ, რაც თამარს მეორედ გამეფების დროს გაუწია, მიქაელმა ძალიან დიდი ჯილდო მოითხოვა და მიიღო კიდეც: კათალიკოსობა არ იკმარა ამ ანგარებიანმა და კარიერისტმა კაცმა, მწიგნობართუხუცესობაც მოითხოვა. ეს იმ საიდუმლო მოლაპარაკების დროს მოხდა, რაც თამარის მეორედ გამეფებას უძღოდა წინ... და, მართლაც, თამარის ტახტზე ასვლიდან დიდი ხანი არ გასულა, რომ მიქაელ მირიანისძეს მწიგნობართუხუცესად ვხედავთ. „მოეეერაგა მწიგნობართუხუცესობაო", სავსებით არაორაზროვნად და მოურიდებლად გვაუწყებს მემატიანე. ძველი მწიგნობართუხუცესი, მეფის ერთგული ანტონ გლონისთავისძე კი, როგორც ჩანს, გარეჯს წასულა, ბერად აღკვეცილა... მაგრამ არ იფიქროთ, რაკი პირველი ვაზირობა მიიღო, მიქაელს თითქოს კათალიკოსობა დაეთმოს. ყოველად უჩვეულო ამბავი მოხდა: სამეფოს პირველი ვაზირი, ფაქტიური საჭეთმპყრობელი ქვეყნისა, იმავე დროს ეკლესიის საჭეთმპყრობელიც არის! ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა. თანაც ეს ძალთა უბრალო გადაჯგუფება კი არ ყოფილა, არა, ამით ძირფესვიანად იცვლებოდა ყველაფერი.

როცა დავით აღმაშენებელმა ეს ორი უმაღლესი სახელო — საკლესიო და საერო — გააერთიანა და ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობა შექმნა, ამით მან ეკლესია დაუქვემდებარა სახელმწიფოს, ისე მოაწყო საქმე, რომ მეფეს ეკლესიაზე უშუალო, სისტემატური კონტროლის საშუალება ჰქონოდა. ბრძენმა გამგებელმა საშუალება მოუსპო ქვეყნის უძლიერეს და დიდად გავლენიან ორგანიზაციას, მეფეს დაპირისპირებოდა და სახელმწიფოს ინტერესების საწინააღმდეგო საქმეები ეკეთებინა. როგორც ვნახეთ, ეს ძალიან მნიშვნელოვანი და დროული რეფორმა იყო და აღმაშენებელს ხელი შეუწყო სხვა დიდი საქვეყნო საქმეების მოგვარებაში.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ მას შემდეგ, მომდევნო მეფეების დროს, ეკლესიის მესვეურები ბევრჯერ შეეცდებოდნენ ძველი დამოუკიდებლობის და თავისუფალი მოქმედების უფლების აღდგენას, ბევრჯერ მოინდომებდნენ სამეფო კარისთვის დაპირისპირებას, ათასგვარ წერილმანსა თუ მნიშვნელოვან საქმეში გამოვლინდებოდა ეს ურჩობა, მაგრამ ისე ბედნიერად იყო მიგნებული ორი დიდი თანამდებობის შეერთება, რომ მეფე მუდამ ახერხებდა ეკლესიის ურჩობის დაძლევას. ზოგჯერ იქნებ იძულებული გახდებოდა, დაეთმო

კიდეც, მაგრამ ეს მხოლოდ ცალკეულ საკითხებს შეეხებოდა...

ახლა კი, როცა ეკლესიის საჭეთმპყრობელმა თავად შეიერთა საერო ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობა, — „სახელმწიფოს მთელი მართვა-გამგეობის ფაქტიური საჭეთმპყრობლობა", — ამით მდგომარეობა რადიკალურად იცვლებოდა. ამიერიდან ეკლესიას ექნებოდა გაბატონებული მდგომარეობა, ახლა უკვე ეკლესიას ეძლეოდა საშუალება, სახელმწიფო ორგანოების საქმიანობა გაეკონტროლებინა, ახლა მეფის უფლებები აღმოჩნდა შეზღუდული...

ახალგაზრდა მეფე გრძნობდა ამას, მაგრამ თავს ზევით ძალა არ იყო, უნდა მოეთმინა დროებით, რადგან სამეფო საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებანი ამით არ დამთავრებულა. ეს მხოლოდ დასაწყისი იყო, მეფეს სხვა უსიამოვნებანიც ელოდა.

და ახლა სიტყვა მივცეთ მემატიანეს:

„ამას ესევითარსა შინა დაწყებასა წყალობისასა იმიერთა და ამიერთა, ზემოთა და ქვემოთა შეიდთავე თემთასა (ესე იგი, სანამ მეფე, ტახტზე ასელის აღსანიშნავად, წყალობას ურიგებდა სხვადასხვა კუთხის ქვეშევრდომებს — ანუ მისი მეორედ გამეფებისთანავე) იწყეს რომელთამე ძუელებრი კაცთა დაუდგრომელობისა შემსგავსებული საქმე; და დიდებულთა ვიეთმე ხელისუფალთა ყვეს ფიცი ესრეთ, ვითარმედ: „აღარ ვეგებით ძუელთა ხელისუფალთა და გამგებელთა საქმისათა ფარმანსა ქუეშე მყოფნი, ვინათგან მათგან დაძრცვილნი და უნატოდ გაძეულნი ვართ, და გასრულ ვართ უგუაროთა და უხმართაგან".

ძველი განთქმული გვარების დიდებულთ ფიცი შეუკრავთ — უგვაროთა აღზევებასა და მბრძანებლობას ვეღარ მოვითმენთო, ესაგათ გამო ვართ უპატიოდ და უსახელოდ გაძეებულებიო.

თქვენ ალბათ ხედებით, რას გულისხმობენ ისინი. გიორგი მესამემ ხომ ვაზირები შეცვალა — „დიდგვარიანები", რომელთაც ორგულობა და ღალატი დასწამა, გადააყენა და უგვაროები დააწინაურა. მწიგნობართუხუცესის შემდეგ ყველაზე მაღალი თანამდებობა ამირსპასალარობა და მანდატურთუხუცესობა მიუბოძა ნაყიჩაყარ „უგვარო" ყუბასარს, რომელმაც მეფეს გაჭირვების ჟამს დიდი სამსახური გაუწია და ფაქტიურად იხსნა კიდეც; ასევე უგვარო აფრიდონმა, აგრეთვე გიორგი მესამის მიერ დაწინაურებლმა და „კაცად ქმნილმა" „აზნაურის ყმობისაგან" მსახურთუხუცესობას

მიაღწია... ვარაუდობენ, რომ მეჭურჭლეთუხუცესი ყუთლუ-არსლანიც უგვარო იყო, გიორგი მესამის მიერ დაწინაურებული...

ერთი სიტყვით, „დიდგვარიანები“ კატეგორიულად მოითხოვდნენ ახალგაზრდა მეფისაგან „უგვაროთა“ გადაყენებას.

დავით აღმაშენებელმა ძლიეს მიაღწია იმას, რომ ადამიანის პირადი ღირსებები გვაროვნულზე მაღლა დაეყენებინათ, ნიჭის, უნარისა და დამსახურების მიხედვით შეერჩიათ ხალხი მაღალ თანამდებობებზე.... ახლა კი მოითხოვენ ისევ იმ ძველი წესის აღდგენას, წოდებრივი და შთამომავლობითი ნიშნით ხალხის დაწინაურებას და პირადი ღირსებების არად ჩაგდებას. ეს კი, რაღა თქმა უნდა, „საქართველოს სახელმწიფოებრივი და სოციალური წარმატებისათვის მეტად საზიანო იყო“ (ივანე ჯავახიშვილი).

როგორც ვხედავთ, ესეც დავით აღმაშენებლის რეფორმის საწინააღმდეგო ხდებოდა. აი, როგორ ბორგავს სხვადასხვა თაობის „დიდგვაროვანთა“ გულში დაგუბებული ბოღმა აღმაშენებლის რეფორმის გამო, რა გამძლე ყოფილა ეს პროტესტის გრძნობა!.. როცა ძლიერ მოწინააღმდეგეს ხედავს, მიყუჩებულია და მოთმინებით ელის ხელსაყრელ შემთხვევას... და როცა ასეთი შემთხვევა მიეცემა, ან მოეჩვენება, ხელსაყრელი დრო დადგაო — ფერფლგადაყრილი ნაღვერდალივით გაღვივდება, გაჩაღდება და იფეთქებს.

ახლაც, როცა სამეფო ტახტზე ქალი იხილეს, იფიქრეს — ამაზე ხელსაყრელი შემთხვევა რაღა უნდა იყოსო, და აღარ დააყოვნეს, ფიცით შეიკრნენ და ის იყო, მეფეს ულტიმატუმი წაუყენეს.

და როდის მოხდა ეს? აბა, დააკვირდით: ახალგაზრდა მეფეს ზეიმის სიხარულიც არ დააცალეს. გარეთ ჯერ ისევ არ მიმწყდარიყო საზეიმო ხმაური, ქუჩებში ისევ დაინახავდით აღლუმის მონაწილე მხედრობის რაზმებს...

ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს ახალგაზრდა მეფის მდგომარეობა. ჯერ იყო და, გვირგვინოსანი მამის დატირება არ დააცალეს, მისი მეფობის საკითხი გახადეს საეჭვოდა და საჭოჭმანოდ... ამით რამდენი უსიამოვნება — შეურაცხყოფა, შიში, გულგატეხილობის სევდა განაცდევინეს ყმაწვილ ქალს!..

და ის-იყო, თითქოს მოგვარდა ეს საქმე, თითქოს დაცხრა დიდებულთა აბორგებული ენები და ახალგაზრდა მეფეს საშუალება მიეცა, დამშვიდებით ემართა ქვეყანა, რომ იმავე ადამიანებმა, რომელთაც თავისი მომავალი გეგმების შესახებ უნდა

მოლაპარაკებოდა, მოულოდნელი ულტიმატუმი წაუყენეს, ახალი თავსატეხი და საზრუნავი გაუჩინეს.

რა პასუხი უნდა გაეცა ამაზე ახალგაზრდა გვირგვინოსანს?..

ნუ აეჩქარდებით და ახალგაზრდა თამარის სიბრძნესა და სიმტკიცეს ამ პასუხის მიხედვით ნუ შევაფასებთ, რადგან მოთხოვნა, რაზედაც მეფეს პასუხი უნდა გაეცა, ჩვეულებრივი არა ყოფილა; ეს დარბაზის დიდებულთა ძალიან დიდი გაფიცვა გახლდათ და მასშტაბით ლამის 1177 წლის ჯანყს შეედრებოდა. ათეული წლობით დაგუბებულ ბოღმასა და ჩუმ ურჩობას გზა გაეხსნა და ერთბაშად იფეთქა. დიდებულთა მოთხოვნა მტკიცე და კატეგორიული იყო; გაფიცულთა ასეთ კატეგორიულ მოთხოვნას ალბათ ახალგაზრდა მეფის შეუპოვარი მამაც ვერ აღუდგებოდა...

თამარი იძულებული გახდა, დიდგვაროვანთა მოთხოვნები დაეკმაყოფილებინა, ზოგიერთი ვაზირი შეეცვალა, თუმცა, ბუნებრივია, ძალიან ეძნელებოდა ეს. ეძნელებოდა ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ეს მისი უზენაესი უფლებების შეზღუდვას მოასწავებდა, და იმიტომაც, რომ მამის დანიშნული, ერთგული და სანდო ხალხის მოცილება უჭირდა. როგორც ეტყობა, ყველაზე მეტად მას ყუბასარის გამეტება გაუძნელდა; ახსოვდა, რა სამსახური გაუწია ნაყიეჩაყარმა გიორგი მესამეს გასაჭირის დროს. ისიც კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ ყუბასარისვე წყალობით იჯდა ახლა თვითონ სამეფო ტახტზე, მისი წყალობით ედგა თავზე გვირგვინი... ბუნებრივია, უმძიმდა მეფეს, უმადურობა გამოეჩინა ასეთი ადამიანის მიმართ.

მაგრამ ყველაზე ადვილად სწორედ ყუბასარის საქმე მოგვარდა, და ამას ხელი შეუწყო თვითონ ამირსპასალარის ახლანდელმა მდგომარეობამ. საქმე ის არის, რომ ნაყიეჩაყარი ამირსპასალარი მძიმე ავადმყოფი გახლდათ... დამბლადაცემულს ენაც წართმეოდა და ხელ-ფეხიც აღარ ემორჩილებოდა — „სენისა მიერ ფილენჯად წოდებულისა მოღებოდა ენა, ხელი და ფერხი“... ასეთი კაცი მხედართუფროსობას, რაღა თქმა უნდა, ვერ გასწევდა, მით უმეტეს იმ დროს, როცა მეფე ქალი იყო. დიდგვაროვნებსაც რომ არ მოეთხოვათ, დღეს თუ ხვალ თავისთავად დადგებოდა საკითხი მოხუცი და სნეული მხედართუფროსის გადაყენების და ახლის დანიშვნისა. ამან გაუადვილა საქმე ახალგაზრდა მეფეს. მას ისე შეეძლო დაეჭირა თავი, თითქოს შეფიცულ დიდგვაროვანთა კატეგორიულ მოთხოვნებს კი არ აკმაყოფილებს, არამედ ობიექტური მდგომარეობა აიძულებს, თავისივე სურვილის საწინააღმდეგოდ ასეთი ნაბიჯი გადადგასო.

მართლაც, ისე გადააყენა მეფემ ყუბასარი ვაზირობიდან, რომ არც მისი თავმოყვარეობა შეულახავს და არც პატივი დაუკლია. როგორც ვიცით, ლორე და მისი ახლომახლო მიდამოები აღმაშენებლის დროიდან ამირსპასალარს ეკუთვნოდა. ასე დამკვიდრდა ეს ტრადიცია. ამიტომ არც მოხუც ყუბასარს დაწყდებოდა გული და არც სხვას ვინმეს გაუკვირდებოდა, როცა მეფემ თანამდებობასთან ერთად ლორეც ჩამოართვა, რათა ახალი ამირსპასალარისთვის ჩაებარებინა. დანარჩენი კი, რაც რამ ებადა ყუბასარს, ყველაფერი დაუტოვა (თუმცა შეთქმულები მკაცრად მოითხოვდნენ „მოღებად ყ ო ვ ლ ი ს ა დიდებულისა ქონებისა და სიმდიდრისა"). სანამ ძველი ამირსპასალარი ცოცხალი იყო, მეფეს თავიდან არ მოუშორებია და პატივი არ დაუკლია: „ეგრეცა სიყუარულითა დიდითა და პატივითა დაიჭირა დღემდი მიცვალებისა".

თითქოს არ გასწირა მეფემ თავისი ერთგული ვაზირი, დიდად არ გაუწია ანგარიში შეთქმულებს... ასე გადმოგვცემს მემატიანე, ცდილობს დაგვარწმუნოს, „უქმ იქმნა განზრახვა მათიო" — ესე იგი, შეთქმული დიდგვაროვნების განზრახვა ყუბასარის მიმართ უქმ იქმნაო; მაგრამ სინამდვილეში ხომ ასე არ მომხდარა! ფაქტიურად ხომ მაინც დიდგვარიანთა მოთხოვნას მოჰყვა ამირსპასალარის გადაყენება და მისთვის ლორეს ჩამორთმევა. მთავარი ეს იყო, ისინი მოითხოვდნენ, „უგვარო" კაცი ვაზირობიდან გადაეყენებინათ, თორემ სიმდიდრეს მთლიანად ჩამოართმევდა მეფე თუ ნაწილობრივ, ამას რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ან რა შეღავათი იყო მეფისთვის — როგორმე მოეხერხებინა და თავისი სასურველი და ახლობელი ადამიანის მიმართ ცოტაოდენი პატივისცემა გამოეჩინა... არა, როგორადაც არ უნდა შეენიღბა მოქმედება, ეს მაინც დიდგვარიანთა გამარჯვებას და ახალგაზრდა მეფის მარცხს მოასწავებდა.

რაც შეეხება მეორე „უგვარო" ვაზირს — აფრიდონს — მეფე იძულებული გახდა, აქ დიდგვარიანთა მიმართ მეტი დათმობა გამოეჩინა და პირდაპირ მოეცილებინა მსახურთუხუცესი; მემატიანეც ასევე წერს: აფრიდონი „მოიშალა და დაიმხო ნებითა და თნევითა ლაშქართათაო"... მოიშალა და დაიმხოო!.. მაშ, ამ ერთგული ვაზირის მიმართ მეფეს უბრალო ყურადღების გამოჩენაც ვერ მოუხერხებია, პატივითაც ველარ „დაუჭერია".

ძნელი არ იქნება წარმოვიდგინოთ, რა მითქმა-მოთქმა შეიქნებოდა ქვეყანაში და, კერძოდ, სამეფო კარზე, რა იმედები ჩაესახებოდათ გულში თავისუფალ პარპაშს მოყვარულ დიდებულებს, რა გეგმებს

დაისახავდნენ, რა ამოცანებს... რაკი გადაწყვიტეს, სამეფო სკიპტრა სუსტ ხელს უპყრია და ჩვენი ამინდი დამდგარაო, სულ აიშვეს, და „უგვაროთა“ გადაყენებით კი არ დაკმაყოფილდნენ, ახლა ერთმანეთს დაერიენენ — „დიდებისათვის ურთიერთს დაუწყეს ზიდვაო“, მემატიანე წერს. ჩვენ გაევცანით ფეოდალის ბუნებას და უკვე აღარ გაგვიკვირდება, და არც გაგვიჭირდება იმის წარმოდგენა, როგორი იქნებოდა ეს „ურთიერთზიდვა“. ეს ურთიერთშორის ჩვეულებრივი შუღლი და კინკლაობა კი აღარ იყო. ახლა გათავისუფლებული მაღალი თანამდებობების დასაპყრობად ექიშპებოდნენ ერთმანეთს — ამირსპასალარის, მანდატურთუხუცესისა და მსახურთუხუცესის სახელოები გათავისუფლდა და ამისთვის გაიმართა ბრძოლა, ამისთვის დაუწყეს „ურთიერთს ზიდვა“...

როცა სავაზიროს ვეცნობოდით, ვნახეთ, რომ მეფის პირველი ვაზირის — მწიგნობართუხუცესის შემდეგ ყველაზე საპატიო ამირსპასალარის თანამდებობა იყო და, ბუნებრივია, ბევრს აღეძროდა სურვილი ამირსპასალარობა მიეღო, თან, იმასაც ნუ დაივიწყებთ, რომ ამირსპასალარს ტრადიციულად ლორეც ეკუთვნოდა... ჩვენ ისიც ვნახეთ, რომ მანდატურთუხუცესის სახელოც ამირსპასალარისას უტოლდებოდა, ზოგჯერ უფრო საპატიოდაც კი მიიჩნევდნენ...

ერთი სიტყვით, დიდი ბრძოლა გაიმართა ამ თანამდებობებისთვის, მაგრამ თამარმა ამჯერად სიმტკიცე გამოიჩინა, დაიცადა, არ აჩქარდა. ჯერ სხვა გადაუდებელი საქმე უნდა მოეგვარებინა; სანამ იმ საქმეს არ მოაგვარებდა, გაუძნელდებოდა ამ სახელოებისთვის შესაფერი და სასურველი ადამიანების დამტკიცება.

საქმეს ყველაზე უფრო ის ართულებდა, რომ მეფის პირველი მრჩეველი და პირველი მოადგილე, მის შემდეგ სახელმწიფოში უპირველესი კაცი, რომელიც „კარის გარიგებაში“ მეფის „მამად“ არის მოხსენებული და ამ კონკრეტულ შემთხვევაში მით უფრო უნდა გაეწია მამობა ახალგაზრდა მეფისთვის, თვითონ მტრად იყო განწყობილი, ყველაზე საშიში მოწინააღმდეგე და, თუ ჯერჯერობით აშკარა არა, პოტენციური მტერი გახლდათ, ახალგაზრდა მეფე მას ვერც რჩევას ჰკითხავდა, ვერც ენდობოდა და მისგან დაფარულადაც კი ვერაფერს გააკეთებდა; როგორც ზემოთ ვნახეთ, ეს კაცი ეკლესიის საჭეთმპყრობელიც იყო და სახელმწიფოსიც, ასეთი განუსაზღვრელი უფლებები აქამდე და მგონი ამის შემდეგაც, მეფის გარდა, კაციშვილს არა ჰქონია სამეფოში.

ახალგაზრდა მეფემ ძალიან გაბედული და გონიერული გადაწყვეტილება მიიღო — რადაც უნდა დასჯდომოდა, მიქაელი მოეშორებინა, მერე უკვე გაუადვილდებოდა საქმე... ხოლო, თუ ამას ვერ მოახერხებდა, სულ უფრო გაუძნელდებოდა მეფობა, სიცოცხლე გამწარებული ექნებოდა.

მაგრამ ახალგაზრდა მეფემ გონიერული სიფრთხილე იხმარა და იქ კი არ შეუტია ამ კაცს, სადაც განსაკუთრებით არასასურველი იყო მისთვის.

როგორც უკვე ითქვა, მიქაელი სახელმწიფოს ფაქტიური საჭეთმპყრობელიც იყო და ეკლესიისაც — ერთსადაიმავე დროს მწიგნობართუხუცესიც გახლდათ და კათალიკოსიც. არც საეკლესიო საქმეებში იყო იგი სასურველი და არც საეროში. მაგრამ მეფეს, რაღა თქმა უნდა, მისი საერო თანამდებობა უფრო აწუხებდა, ის უფრო უშლიდა ხელს, რომ მისი უპირველესი ვაზირი და მრჩეველი იყო. თქვენ ალბათ გახსოვთ „ხელმწიფის კარის გარიგებიდან“ — „ყველა საურავი უმისოდ არ იქნებისო“... ეს მწიგნობართუხუცესზეა ნათქვამი, უიმისოდ მეფე ხელს ვერ გაანძრევდა, ვერაკითარ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა, მწიგნობართუხუცესს ემორჩილებოდა მთელი სახელმწიფო აპარატი...

ამიტომ მეფემ სიფრთხილე იხმარა და ერთი შეხედვით უფრო ძნელი და გრძელი გზა აირჩია ბრძოლისა: რაკი დარწმუნებული არ იყო, რომ ისედაც საეჭვოდ აშლილ-ამხედრებული დიდებულები დარბაზში მხარს დაუჭერდნენ, გადაწყვიტა, პირველად ეკლესიიდან მოეცილებინა, იქიდან გაეთავისუფლებინა...

სხვა პირობებსა და ვითარებაში, გაგიხარიათ, დიდებულები უკანონოდ აღზევებულ პირველ ვაზირს არ დაინდობდნენ და მიესეოდნენ; მაგრამ ახლა, ამ რთულ სიტუაციაში ძნელი გასაბედი იყო მათზე დაყრდნობა და მათი მხარდაჭერის იმედით ასეთი სარისკო და საჭოჭმანო საკითხის დარბაზზე გამოტანა. ხოლო კათალიკოსობიდან რომ გაათავისუფლებდა, მერე, ეკლესიაში სახელგატეხილს, სავაზიროდანაც უფრო ადვილად მოიშორებდა. სავაზიროში უფრო გაძნელდებოდა კონკრეტული ბრალდებების წაყენება, ეკლესიაში კი, მეფის აზრით, ეს შედარებით ადვილად უნდა მოგვარებულიყო. როგორც ქვემოთ ვნახავთ, აქ მეტი მხარდაჭერის იმედიც ჰქონდა მეფეს. ანდაზისა არ იყოს, გრძელი გზის მოვლით, გამარჯვება უფრო უეჭველი ჩანდა. ასე გადაწყვიტა მეფემ.

და აი, სრულიად ახალგაზრდა მეფე თამარი იწვევს საეკლესიო კრებას. ამ კრებაზეა დამყარებული მეფის იმედები — მან უნდა გადაწყვიტოს მიქაელი ბედი.

უნებურად გვახსენდება კიდევ ერთი საეკლესიო კრება, რომელიც რვა ათეული წლის წინათ ასევე დიდი საკითხის გადასაწყვეტად მოიწვიეს. ჩვენ ისიც გვახსოვს, რა სიფრთხილით მოამზადა ის კრება დავით აღმაშენებელმა; ჯერ როგორ გაუმაგრა საფუძველი პოლიტიკურად, იმის წინ რამდენ ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია, რა ავტორიტეტი მოიპოვა, რა შიშის ზარი გახდა მტრებისთვის... და მაინც რა ფრთხილად ამზადებდა კრებას, როგორ მოიწვია უცხოეთში მოღვაწე პროგრესული ქართველი მეცნიერები, რომელთა მხარდაჭერას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა, და რომელთა მხარდაჭერის იმედი მეფეს უსათუოდ ჰქონდა... ასეთი სიფრთხილითა და მონდომებით მოამზადა მაშინ მეფემ კრება და გახსნის წინ განზე გადგა, კრების წარმართვა სხვას მიანდო, თვითონ ისე დაესწრო, როგორც უბრალო წევრი — „მუნ მჯდომი არა ვითარცა მეფე, არამედ ვითარცა მონა“.. თქვენ ეს ალბათ გახსოვთ.

რაღა თქმა უნდა, ახალგაზრდა თამარმაც იცოდა ეს ყველაფერი და ახლა, როცა თავად გადაწყვიტა დიდმნიშვნელოვანი კრების მოწვევა, იმ დიდი საეკლესიო კრების ისტორიასაც წვრილად გაეცნო, კარგად გამოიკითხა ყველაფერი, იმ კრების ძეგლისწერაც ხელთა ჰქონდა და მასთან დაკავშირებული ბევრი სხვა ისეთი მნიშვნელოვანი საბუთიც, რასაც ჩვენამდე აღარ მოუღწევია... და თამარმაც, თავისი დიდი პაპის მსგავსად, ფრთხილად დაიწყო კრების მზადება. მანაც მოიწვია უცხოეთში მოღვაწე ქართველი მოწინავე მეცნიერები... და მოწვეულთა შორის გახლდათ — ეს არის სწორედ საინტერესო — ნიკოლოზ გულაბერის ძე, საქართველოს ამასწინანდელი კათალიკოსი, რომელიც ამჟამად იერუსალიმში მოღვაწეობდა; მან, როგორც ვნახეთ, კათალიკოსობა დათმო და იერუსალიმს გაემგზავრა არა მართლა „სიმდაბლისა ძალითა“, არამედ სწორედ მიქაელის ხრიკებითა და მეცადინეობით.

ეჭვი არ არის, მეფე საკათალიკოსოდ კელავ ამ ღირსეულ მამულიშვილს ამზადებდა... ეს თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ ამას წინათ ნიკოლოზ გულაბერისძეს „სიმდაბლის ძალით“ არ დაუთმია კათალიკოსობა. დაათმობინეს. მიქაელისთვის იყო საჭირო ეს თანამდებობა.

თავისი მნიშვნელობით, საერთო ეროვნული და თუნდაც საეკლესიო თვალსაზრისით, ეს კრება ოთხმოცი წლის წინათ გამართულ იმ კრებას, რა თქმა უნდა, ვერ შეედრებოდა, ეტყობა, შემადგენლობითაც ისეთი მასშტაბისა არ ყოფილა. მაგრამ რაკიღა განსაკუთრებულ ვითარებაში შეიკრიბა და ეკლესიის საჭეთმპყრობელისა და სახელწმიფოს პირველი ვაზირის ბედი უნდა გადაეწყვიტა, ხოლო ამდენად, ახალგაზრდა მეფის მომავალ მოღვაწეობაზე თავისი კვალი დაეჩნია, მას მაინც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა.

სად ჩატარდა კრება, ამას არ გვეუბნება მემატიანე, ზოგადად გადმოგვცემს: „შეკრიბნა. ყოველნი ერთსა სადგურსა და დასხნა საყდრებითა“... არც კრების დაწერილებითი ანგარიში შემონახულა, ვიცით მხოლოდ, რომ მას წარმართავდნენ და ხელმძღვანელობდნენ („პირად აქუნდა“) თვით ნიკოლოზ გულაბერისძე და ანტონი ქუთათელი საღირისძე, კაცი „დიდად განთქმული სათნოებათა შინა და ძლიერი საქმით და სიტყვით“. ერთხელ უკვე ვახსენეთ ჩვენ ეს ანტონი: ამას წინათ სწორედ მან დაადგა სამეფო გვირგვინი თამარს...

მეფემ სიტყვით მიმართა შეკრებილთ და მოუწოდა: „გამოიძიეთ ყოველი კეთილად და დაამტკიცეთ მართალი, ხოლო განხადეთ გულარძნილი“...

„გულარძნილი“ — ცბიერს, მზაკვარსა და უკეღმართ ადამიანს ნიშნავს, და თუმცა მეფეს პირდაპირ არ დაუსახელებია, თქვენ, რა თქმა უნდა, გრძნობთ, რომ მას მხედველობაში, უპირველს ყოვლისა, თავისივე მწიგნობართუხუცესი ჰყავდა. ჩვენა ვგრძნობთ ამას, ხოლო კრების მონაწილეთათვის ხომ მით უფრო აშკარა იქნებოდა! სხვათა შორის, ეს კაცი, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კათალიკოსი იყო, კრებას არ დასწრებია, არ დაისწრეს, კრების წინამძღვრებმა ნიკოლოზმა და ანტონმა „არა ინებეს შორის მათსა ყოფად მაშინდელი იგი ქართლისა კათალიკოსი“. და როგორც ქვემოთ ვნახავთ, ეს დიდი შეცდომა იყო; ეს, რაღა თქმა უნდა, კიდევ უფრო გააღიზიანებდა კათალიკოს-მწიგნობართუხუცესის მრავალრიცხოვან მომხრეებს.

მაგრამ საინტერესოა სწორედ მოტივი, რის გამოც კათალიკოსი საეკლესიო კრებას არ გააკარეს: „...რამეთუ წინაუკმო რამე იწყო წესთაგან ეკლესიისათა და ჭყონდიდელ-მაწყუერელობა და მწიგნობართუხუცესობა მოეევრაგა უფლისაგან“ — უკეღმართი კაცი იყო და ეს თანამდებობანი ვერაგობით ჩაიგდოო.

როგორც ხედავთ, ბრალდება წინასწარვე მკაფიოდ და საკმაოდ მკაცრად ყოფილა ჩამოყალიბებული და რაკიღა დიდი საეკლესიო

მოღვაწენი ასეთი შეხედულებისა იყვნენ, რაკი მეფის აზრიც მათ შეხედულებას ემთხვეოდა, ჩვენ უნებურად წინ ვუსწრებთ კრების გადაწყვეტილებას და მოველით, რომ ულირს მიქაელ მირიანისძეს კათალიკოსობიდან გადააყენებენ; მერე კი, როგორც ითქვა, ეკლესიაში სახელგატეხილი კაცის სავაზიროდანაც მოშორება უფრო გაადვილდება...

და ახლა, უკვე სავაზიროს ის სხდომაც გვინდა გავაცოცხლოთ, რომელიც ულირს და თანამდებობისთვის შეუფერებელ ადამიანს მწიგნობართუხუცესობიდანაც გაათავისუფლებს...

მაგრამ არა, აქამდე აღარ მისულა საქმე, რადგან ამ გეგმის პირველი ნაწილიც ვერ შესრულდა.

არ ვიცით, კონკრეტულად როგორ წარიმართა კრება, ვინ რა აზრი გამოთქვა, მეფისა და კრების „წინამძღვართა“ წინადადებას ვინ დაუპირისპირდა... მემატიანე მხოლოდ იმას გვაუწყებს, რომ კრებამ არ მიიღო ეს წინადადება და მიქაელი კვლავ კათალიკოსად დარჩა: „ვერა განაყენეს, დაღაცათუ ფრიად იღუაწეს“... ძალიან მოუნდომებიათ, მაგრამ ვერაფერს გამხდარან... ესლა მოუხერხებიათ, რომ გადაუყენებიათ „სხუანი ვინმე ეპისკოპოსნი... და მათ წილ საღმრთონი კაცნი დასხნეს და სხუანი საეკლესიაონი წესნი განმართეს“...

მაგრამ მიზანი ამ კრებისა ხომ სულ სხვა რამე იყო — შეცვლიდნენ თუ არა რამდენიმე ეპისკოპოსს, ამას მეფისთვის რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მწიფეს ესროდნენ და მკვახე ცვიოდაო — რისთვის მოიწვიეს კრება და რას მიაღწიეს! მთავარი საკითხი კვლავ მოუგვარებელი დარჩა.

მოუგვარებელიო, ასე ითქმის, თორემ ის საქმე ამის შემდეგ კიდევ უფრო გამწვავდებოდა. რაკიღა მეფე ასე აშკარად დაუპირისპირდა თავის პირველ ვაზირს, ბუნებრივია, მათი ურთიერთობა დაიძაბებოდა და ამის შემდეგ მეფეს კიდევ უფრო გაუძნელდებოდა მოღვაწეობა, თავისი პოლიტიკის გატარება.

და ეს ახალგაზრდა მეფის კიდევ ერთი მარცხი იყო.

ზერელედ როცა ეცნობი თამარის შესახებ არსებულ მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან მასალებს, სხვადასხვა დროსა და ვითარებაში შექმნილ ხალხურ ლექსებსა და თქმულებებს, ლეგენდებსა და გადმოცემებს, ძველ ფრესკებსა თუ იმ ფრესკების საფუძველზე შექმნილ უფრო მოგვიანო პერიოდების მხატვართა ნამუშევრებს, აგრეთვე ზოგიერთ პოპულარულ თუ ნახევრად პოპულარულ ისტორიულ ნარკვევებს, ისეთი შთაბეჭდილება

შეგექმნება, თითქოს ამ ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულ ადამიანს ყველაფერი მზამზარეულად დახვედროდეს, უშფოთველი ზეობა ჰქონოდეს, განცხრომით, მშვიდად და აუღელვებლად ეცხოვროს და ემოღვაწეოს, ქვეყნად უნეტარესი და უბედნიერესი მეფე ყოფილიყოს; არც საზრუნავი ჰქონოდეს რამე და არც გულსატკენი და შესაწუხებელი შეხვედროდეს.

ასეთი შთაბეჭდილების შექმნას ხელს უწყობს ეპოქის საერთო ეკონომიკურ-პოლიტიკური გაძლიერება, ქართული კულტურის აღმავლობა... ლიტერატურის, ხელოვნებისა და საერთოდ მთელი ქართული კულტურის აღმავლობასა და მანამდე არნახულ გაფურჩქვნას, რაც თამარის მოღვაწეობის პერიოდს ემთხვევა, მართლაც წინა საუკუნეებმა მოუმზადეს ნიადაგი, და როგორც უკვე ვნახეთ, მისი სათავეები არა მხოლოდ დავით აღმაშენებლის ეპოქაში, არამედ უფრო შორს უნდა ვეძიოთ.

მაგრამ ის შთაბეჭდილება, თითქოს თამარს უზრუნველი ზეობა ჰქონოდეს და ყველაფერი იოლად და დაუბრკოლებლად მოეგვარებინოს, მცდარია და იმაზეა დაფუძნებული, რომ შემდეგ მისი სახელი მართლაც ლეგენდად იქცა. სინამდვილეში ჩვენი ხალხის ისტორიიდან იქნებ ბევრი ვერ დავასახელოთ ისეთი მეფე, რომელსაც ამდენი წინააღმდეგობა და გულისტკივილი შეხვედროდეს, თითქოს თამარის სახელს არ შეეფერის ეს სიტყვა, მაგრამ ასეთი ტრაგიკული ცხოვრება ჰქონოდეს.

ჯერ ისევ ბავშვი იყო თამარი, როცა პირველი დიდი წინააღმდეგობა შეხვდა და ალბათ განუკურნებელი სულიერი ტკივილი მიიღო. ჩვენს ისტორიაში მანამდე არნახული მასშტაბის შეთქმულება და ჯანყი, რაც დიდებულებმა გიორგი მეფეს მოუწყვეს, ბოლოს და ბოლოს ხომ თამარის გამო მოხდა. მაშინ თამარი თორმეტი წლისა იყო. მამამ გადაწყვიტა თავისი ნორჩი ასული აეყვანა ტახტზე, და ეს ქვეყნის თითქმის ყველა დიდებულმა ითაკილა, ელდად მოხვდათ გულზე, უპრეცედენტო მოვლენა იყო ჩვენს ისტორიაში, და ვერ შეეგუენ...

ეს ჩვენ უკვე ვიცით და სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

გიორგი მესამემ სისხლში ჩაახრჩო აჯანყება. უჩვეულო და შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა — მთელი გვარი დედა-წულიანად გაიჟლიტა. იმ ამბების ექო თაობიდან თაობაზე გადადიოდა... გაიხსენეთ, როგორ გადმოგვცემს, თითქმის საუკუნის წინანდელ ამბავს სომეხი მემატიანე: „...ყოველნი მამა-ყრმანი, ყოველი ნათესავი და დედანიცა და მეულლენიცა მისცა ასახოცად და ამოსაგდებად:

რომელიმე დაარჩევს, რომელიმე წყალში მოაშთვეს, რომელიმე კლდეზე დაჩეხეს“...

თითქოს იმ სისხლიანი სურათის საკუთარი თვალით მნახველი კაცი გუშინდელ ამბავს გადმოგვცემდეს, ჯერ კიდევ არ განელებია ახლახან განცდილი შიში და გაოგნება, თითქოს ამ სიტყვებთან ერთად მთხრობელის შფოთიანი სუნთქვა ჩაგვესმის და ჩვენც გვაძრწუნებს.

ახლა ისიც გაიხსენოთ, რა სასტიკად გაუსწორდა მეფე თავისსავე ძმისწულს, თამარის ბიძაშვილს... ყოველმხრივ შემკულ ახალგაზრდას...

და ესეც ტახტის გამო მოხდა, იმ ტახტის გამო, რომელსაც მეფე გიორგი თამარისთვის ამზადებდა. რა საფუძველიც არ უნდა ჰქონოდა ამ აჯანყებას სინამდვილეში, თამარის სახელით ხდებოდა, იმ ტახტის გამო ხდებოდა, რომელზედაც თამარი უნდა ასულიყო, რომელსაც იგი თავის ბიძაშვილს ეცილებოდა...

ეს ერთი დიდი სულიერი ჭრილობა, რომელიც, ვინ იცის, იქნებ სიცოცხლის ბოლომდეც კი მოუშუშებელი გაპყვა მეფეს.

გავიდა ამის შემდეგ რამდენიმე წელი და ერთხელ უკვე ნაკურთხი მეფის ხელმეორედ კურთხევა მოითხოვეს, ისევ საეჭვო გახადეს მისი მეფობა, სავაზიროს ახალი გადაწყვეტილება შეიქნა საჭირო, და ჩვენ ისიც ვნახეთ, რა ჯილდოს გაღება დასჭირდა ამისთვის ახალგაზრდა მეფეს. ესეც დიდი წინააღმდეგობა იყო თამარის მეფობის გზაზე, ეს შეურაცხყოფაც იყო, ამანაც უსათუოდ ატკინა გული, ესეც სულიერი ტრავმა იყო.

მეორედ კურთხევა ძლივს მოასწრო, რომ კვლავ აიძულეს მეფე, თავისივე სურვილის საწინააღმდეგოდ ემოქმედნა — სავაზიროდან თავისი უერთგულესი ხალხი მოეშორებინა, ის ადამიანები გაეწირა და გადაეყენებინა, ვისი იმედითაც იგი მოღვაწეობას იწყებდა, ვისაც ყოველგვარ ვითარებაში მიენდობოდა...

ესეც დიდ გულისტკივილთან იყო დაკავშირებული, ესეც სულიერი ტრავმა იყო მეფისთვის...

ახლაც, აგერ, საფუძვლიანად მოამზადა ნიადაგი, რათა არასასურველი და მაღალი თანამდებობისთვის შეუფერებელი პირველი ვაზირი მოეშორებინა, და მის ადგილზე ერთგული და ღირსეული ადამიანი დაენიშნა... და აქაც მარცხის სიმწარე იგემა. ის, რაც საეკლესიო კრებაზე მოხდა, არაპირდაპირ თითქოს მეფის გამოწვევას ნიშნავდა, მისი სურვილის საწინააღმდეგო მოქმედება იყო, და, რა თქმა უნდა, გულს ატკენდა... მარცხს მოასწავებდა...

●

მაგრამ თუ აქამდე ფარული ჭიდილი და წინააღმდეგობანი ხედებოდა მეფეს, აშკარად გაცხადებული კატეგორიული გამოწვევა თურმე წინ ელოდა. და ახლა იგი ყველაზე დიდი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა.

იმ დაძაბული შინაბრძოლების დროს, რაც გიორგი მესამის გარდაცვალებას მოჰყვა, იქვე, სამეფო კარზე, თურმე დიდი ფარული შეთქმულება მოეწყოთ — იქნებ უფრო სწორი იყოს, უფრო კარგად გამოხატოს ამბის არსი, თუ ვიტყვით: დიდი ფარული ორგანიზაცია ჩამოეყალიბებინათ და ეს თავის დროზე ვერ შენიშნა ახალგაზრდა მეფემ. უფრო მოგვიანებით გამოირკვა, რომ ორგანიზაცია მრავალრიცხოვანი იყო და, როგორც ჩანს, საკმაოდ გავლენიან ადამიანებს აერთიანებდა.

მეთაურობდა ამ ორგანიზაციას ყუთლუ-არსლანი, ის ყუთლუ-არსლანი, რომელსაც ჩვენ ერთხელ უკვე გავეცანით — მემატიანემ გაგვაცნო, გიორგი მესამის ცხედართან მდგარი ვნახეთ, სხვა ვაზირებთან ერთად. როგორც უკვე ვიცით, ყუთლუ-არსლანი მეჭურჭლეთუხუცესი იყო — სახელმწიფო ფინანსთა მინისტრი, დიდად გავლენიანი კაცი. ჩვენ შეგვიძლია კარგად წარმოვიდგინოთ მისი გავლენის სფერო, თუ გავიხსენებთ, რომ მეჭურჭლეთუხუცესს ემორჩილებოდა ქალაქები, ვაჭრები... გავიხსენოთ „კარის გარიგებიდან“: „მისის ხელისა არიან ძველნი ქალაქნი, ვაჭარნი, საავაჭრო, რაც მეფისაა... ქალაქის ამირანი, მეჭურჭლენი ქალაქისანი და თვით დარბაზს მყოფნი მეჭურჭლენი“.

როცა გავითვალისწინებთ მაშინდელი ქალაქების აღორძინებას, მათ როლს ეკონომიკურ-პოლიტიკურ ცხოვრებასა და ქვეყნებს შორის საავაჭრო ურთიერთობათა განვითარებაში, უფრო თვალსაჩინო გახდება, რა გავლენიანი იქნებოდა ყუთლუ-არსლანი და ამდენად, რა მასშტაბი შეიძლებოდა ჰქონოდა ამ ორგანიზაციას, ანუ ყუთლუ-არსლანის დასს, როგორც ჩვეულებრივ უწოდებენ ხოლმე ისტორიკოსები...

მაგრამ ჯერ არ გვითქვამს, რა მოთხოვნა წაუყენა ამ დასმა მეფეს; როცა ამას გავეცნობით, მაშინ უფრო კარგად გამოჩნდება საქმის მთელი სერიოზულობა.

ეს არ ყოფილა ცალკეულ კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებული ჩვეულებრივი გამოსვლა, ვთქვათ, რაიმე პრივილეგიების მიღების მიზნით, ან რაიმე კარიერის მისაღწევად. ეს იყო დიდი პოლიტიკური პროგრამა, რაც სახელმწიფო წყობილების შეცვლას

ითვალისწინებდა; და ისეთი გაბედული იყო ეს პროგრამა, რომ დაჯერებაც გიჭირს, მეთორმეტე საუკუნეში, ფეოდალიზმის იმ საფეხურზე, ასეთი გაბედული აზრების ამგვარად ჩამოყალიბება თუ შეიძლებოდა. მსოფლიოს სხვა ქვეყნებში ჯერ არ გაეგონათ ასეთი რამ.

ყუთლუ-არსლანისა და მისი დასის პროგრამით, მეფის ხელისუფლება უნდა შეზღუდულიყო, მას მხოლოდ აღმასრულებელ ფუნქციას უტოვებდნენ, საკანონმდებლო უფლებები კი ჩამოერთმეოდა. შეფიცულები მოითხოვდნენ, რომ ისანში („ელსა ისანისასა"), მეფის სასახლის მახლობლად დაედგათ „კარაეი" ანუ მეორე სასახლე, სადაც საგანგებოდ შერჩეული პირები განიხილავდნენ და გადაწყვეტდნენ სახელმწიფო-საქვეყნო საკითხებს, მათ ხელთ იქნებოდა აგრეთვე სხვადასხვა თანამდებობაზე ხალხის შერჩევისა და დანიშვნის საქმე. მათვე დაექვემდებარებოდა მართლმსაჯულება...

ერთი სიტყვით, მათ ხელში უნდა მოქცეულიყო ყოველგვარი სახელმწიფო საქმე — მნიშვნელოვანიც და უბრალოც.

განსაკუთრებით საგულისხმო და ამკარად თვალშისაცემი ის არის, რომ პროგრამის მიხედვით მეფეს იმის უფლებასაც ართმევდნენ, ახალი დაწესებულების — „კარეის" — სხდომებს დასწრებოდა და საკითხების განხილვაში მონაწილეობა მიეღო. ის თავის სასახლეში უნდა მჯდარიყო და იქ ეცადა, როდის გადაუგზავნიდნენ „კარაეის" გადაწყვეტილებას შესასრულებლად: „დასხდომილნი მუნ შიგა (კარაეში), განმგებელნი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვისანი, ეკადრებდეთ და ეაცნობებდეთ თამარს, მეფესა და დედოფალსა. მაშინღა სრულ იქმნებოდეს (ე. ი. შესრულდებოდეს) განგებული ჩუენი"...

მეფესა და დედოფალსაო, ორი მაღალი ტიტულით, თითქოს დიდის მოწიწებით არის მოხსენიებული, მაგრამ როცა კარგად დავაკვირდებით, ძნელი არ არის მიხვედრა, რომ მეფის ფუნქცია მეტისმეტად კნინდებოდა და უბრალო მოხელის დონეზე დადიოდა.

მართლაც, რაღა უნდა გაეკეთებინა მეფეს? სხვათა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შემსრულებელიღა გამოდიოდა. ეახუშტი ბატონიშვილი უფრო ნათლად და მარჯვედ გადმოსცემს ამ აზრს: მეფეს წარუდგენდნენ კარაეის გადაწყვეტილებას და მანაც (თამარმაც) „ე ნ ე ბ ო ს თ უ ა რ ე ნ ე ბ ო ს", უნდა დაამტკიცოსო; თუნდაც არ მოსწონებოდა ეს გადაწყვეტილება, სულერთია, მაინც უნდა შეესრულებინა.

სამეფო საბჭო — ანუ დარბაზი — როგორც უკვე ვიცით, აქამდეც არსებობდა; მეფე, ჩვეულებრივ, მოეთათბირებოდა ხოლმე მას, დარბაზის აზრს მოისმენდა, დიდსა თუ მცირე საქმეს დარბაზთან ერთად განიხილავდა... მაგრამ ეს იყო და ეს; ჯერ ერთი, ყველა საკითხი არც გაჰქონდა დარბაზის განსახილველად, როცა საჭიროდ ჩათვლიდა, მაშინ შეკრებდა დარბაზს, თანაც თავისივე სასახლეში; დარბაზის განსახილველ საკითხებსაც თავად შეარჩევდა ხოლმე, სხდომას თვითონ წარმართავდა, თვითონ თავმჯდომარეობდა. ვალდებულიც არ იყო, დარბაზის ყველა გადაწყვეტილება აუცილებლად მიეღო და დაემტკიცებინა.

ყუთლუ-არსლანისა და მისი დასის პროგრამა ძირფესვიანად ცვლიდა არსებულ წესს. როგორც ეხედავთ, ეს უნდა ყოფილიყო პარლამენტის მსგავსი დაწესებულება. თანაც დააკვირდით: მეფისგან სავსებით იზოლირებული. ცალკე „კარავი“ — ანუ ცალკე სასახლე — უნდა აეგოთ; და ეს უნდა ყოფილიყო მუდმივ მოქმედი დაწესებულება. როგორც უკვე ითქვა, მეფეს არც დაისწრებდნენ „კარავის“ სხდომებზე.

რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ყუთლუ-არსლანის პროგრამის გატარებას? ამის პასუხი ძალიან კარგად აქვს ჩამოყალიბებული ივანე ჯავახიშვილს: (ყუთლუ-არსლანის დასი თუ გაიმარჯვებდა) „ცხადია, რომ საქართველოში თვითმპყრობელობის აჩრდილიც უნდა გამქრალიყო და მის მაგიერ პარლამენტის მსგავსი დაწესებულება უნდა დაარსებულიყო, რომელშიც „დიდებულები“ იქნებოდნენ „განმგებელნი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვისანი“. რასაკვირველია, ამ დაწესებულებაში უმთავრესი ადგილი დიდ მოხელეებსა და მაღალ წრეებს ექნებოდათ დაპყრობილი, მაგრამ თავიდათავი ამგვარი უფლებოსანი დაწესებულებისა და წესწყობილებისა შემოღება იყო, მერე რაკი საქართველოში დემოკრატიულს მოძღვრებას თავისი მქადაგებლები პყავდა, საქართველოს ბუნებრივი სახელმწიფოებრივი განვითარება გარეშე ძალას რომ არ შეეფერხებინა, საუკუნეთა განმავლობაში ამ დაწესებულების შემადგენლობაც თანდათან შეიძლებოდა შეცვლილიყო“.

დიდი მეცნიერის სიტყვები კარგად მიგვანიშნებენ ყუთლუ-არსლანისა და მისი დასის პროგრამის მნიშვნელობაზე, მის პროგრესულობაზე.

დიახ, ეს თავისთავად პროგრესული მოელენა იყო და საგულისხმო სწორედ ის არის, რომ ეს აზრი პირველად საქართველოში მომწიფდა; არც აღმოსავლეთისა და არც დასავლეთის ქვეყნებში ამის მსგავსი ჯერ არაფერი ყოფილა.

როცა ყუთლუ-არსლანის დასის პროგრამაზე ლაპარაკობს, ივანე ჯავახიშვილი მსოფლიოში კარგად ცნობილ ინგლისის დიდ ქარტიას (Magna Carta) იხსენებს. ინგლისშიაც ბარონებმა თავიანთი პროგრამა მტკიცედ წაუყენეს მეფე ჯონს, ოღონდ ეს ცოტა უფრო მოგვიანებით მოხდა, ყუთლუ-არსლანის გამოსელის ოცდაათი წლის შემდეგ, სახელდობრ 1215 წელს. იქ ბარონებმა თავისი გაიტანეს — აიძულეს ინგლისის მეფე ჯონი, ქარტია მიეღო. იძულებით მოაწერინეს ხელი.

არსებობს ერთი საინტერესო ნახატი, შესრულებული გაცილებით უფრო მოგვიანო დროის მხატვრის მიერ, მეფე ჯონს შემოხვევიან შეიარაღებული ბარონები და მრისხანედ შესცქერიან, ელიან, როდის მოაწერს იგი ხელს მისთვის უსიამოვნო დოკუმენტს. მეფე სკამზე ზის, მარჯვენა ხელში ბატის ფრთის კალამი უპყრია, წინ ქარტია უდევს, მაგრამ ქარტიას არ დაჰყურებს იგი — თავი მოუბრუნებია და ჩვენ შემოგვყურებს შეწუხებული, დაბნეული თვალებით, თითქოს რჩევას გვეკითხება, როგორ მოვიქცეო; თითქოს ცდილობს, რამდენადაც შეიძლება დააყოვნოს და შორს გადასწიოს დოკუმენტზე ხელისმოწერის უსიამოვნო წამი, თითქოს ამითი რაიმე შელავათი ეძლეოდეს. ქარქაშში ჩაგებული ხმალი, რომელიც მეფეს მარცხენა ფერდზე ჰკიდია, იატაკზე დაშვებულა; ნახატზე ისეა გამოსახული ეს ხმალი, თითქოს საბრძოლო იარაღის ფუნქცია დაკარგული ჰქონდეს, აშკარად შეატყობ, მის ამოღებასა და შემართვას მეფე არც აპირებს; ეს უაზრობა იქნებოდა — ბარონები ირგელივ შემოხვევიან მას და მათი თვალების მრისხანებაცა და დგომის მანერაც აშკარად მიგვანიშნებენ, რომ ისინი უკან არ დაიხევენ. იატაკზე, ზედ ხმლის წვერთან, მეფის ფარი გდია და იქვე — ხელთათმანი; იქნებ მეფისა იყოს ეს ხელთათმანი, მაგრამ რაკი ჩვენ უკვე ვიცით შინაარსი ნახატისა, ასე გვგონია, სიმბოლურად იგი გამოწვევას გამოხატავს. დიახ, ბარონებმა გამოიწვიეს მეფე და გაიმარჯვეს. მეფის ჩვენკენ მოპყრობილ თვალებში უძლურებაც გამოკრთის; იმ ადამიანის ბრაზი, რომელიც საკუთარ უღონობაში დარწმუნებულა, მაგრამ ამისი აღიარება მაინც უჭირს...

საბოლოოდ დიდებულებმა აიძულეს ინგლისის მეფე, ხელი მოეწერა ქარტიაზე. მერე სანანებლად გაუხდა ეს მეფე ჯონს; ბარონები

რომ წაეიდნენ, სცადა კიდეც მიცემული პირობის დარღვევა და ქარტიის გაუქმება, ჯარიც შეკრიბა, მაგრამ გვიანღა იყო: სამოქალაქო ომში, რომელიც იმავე წელს თუ მომდევნო წლის დასაწყისში გაიმართა, მეფე დამარცხდა და დაიღუპა კიდეც.

ეს მოხდა ინგლისში 1215 წელს. აქ კი, საქართველოში, ინგლისის ცნობილ დიდ ქარტიაზე 30 წლით ადრე ქართველ დიდებულთა გარკვეულმა ნაწილმა თავისი პროგრამა წარუდგინა ახალგაზრდა მეფეს და მეფის უფლებების შეზღუდვა მოითხოვა...

რას იზამს გამოუცდელი ახალგაზრდა ქალი-მეფე? აღმოაჩნდება იმდენი სიმტკიცე, კარის ინტრიგებსა და ბრძოლებში გამოწრთობილ დიდებულებს წინ აღუდგეს? ეყოფა საამისოდ სულიერი სიმხნე და გამძლეობა?..

ყუთლუ-არსლანმა ეშმაკობა იხმარა, ისეთი დრო შეარჩია, როცა მეფეს უჭირდა: ერთგული თანამშრომლები (ამირსპასალარ-მანდატურთუხუცესი და მსახურთუხუცესი) გადაყენებული ჰყავდა, ახლები კი ჯერ არ დაენიშნა. ამასთან, ნუ დაივიწყებთ, პირველ ვაზირთან — მწიგნობართუხუცეს-კათალიკოსთან — უთანხმოება ჰქონდა მეფეს...

ყუთლუ-არსლანი თვითონ სამეფო კარზე ტრიალებდა, მაღალი თანამდებობა ეჭირა და ეს ყველაფერი მისთვის კარგად იყო ცნობილი.

ისიც საგულისხმოა, რომ გარეშეებისთვის, და მათ შორის ყუთლუ-არსლანის თვალში, ახალგაზრდა მეფე სუსტი და დამთმობი გამოდგა — ჯერ იყო და დიდგვარიანთა მოთხოვნა უყოყმანოდ შეასრულა; მერე მისივე ინიციატივით მოწვეულ საეკლესიო კრებაზე მწარე მარცხი განიცადა... ერთმანეთს წაება ამდენი წარუმატებლობა. ეს ყველაფერი საფუძველს აძლევდა ყუთლუ-არსლანსა და მისი დასის წევრებს, იმედი ჰქონოდათ, რომ ახალგაზრდა მეფე ამჯერადაც დამარცხდებოდა; როცა ამოდენა ორგანიზაციას დაინახავდა, წინააღმდეგობას ვერ გაბედავდა, დაშინდებოდა. ამაზე მარჯვე შემთხვევას ვერც ინატრებდნენ...

ასე ფიქრობდა თვითონ ყუთლუ-არსლანი. ასე გადაწყვიტა და ის იყო, პროგრამა თამარს წარუდგინა, ალბათ საკვლევით დარწმუნებულმა, რომ ახალგაზრდა მეფე უარს ვერ იტყოდა, წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა, საამისოდ მას ძალა და სიმტკიცე არ ეყოფოდა.

ქართველი მემატიანის ცნობით, ყუთლუ-არსლანს სხვა ზრახვებიც ჰქონია, კარიერისტული მისწრაფებანი: თურმე ამირსპასალარის

თანამდებობისა და ლორეს ხელში ჩაგდებასაც ლამობდა („აწ თავისა თვისისა ამირსპასალარად და სომხითს სომეხთა მეფისა ადგილსა ლორეს დაჯდომად გამზადებულიო“).

საწყენი და გულსატკენი იმდენი რამ შეხედა ახალგაზრდა მეფეს ამ ცოტა ხანში, ისე შეეჩვია უსიამოვნო ამბებს, თითქოს მოულოდნელი აღარ უნდა ყოფილიყო ახალი უსიამოვნების გაგონება. მაგრამ ის, რაც ახლა მას მოახსენეს, ვერ იფიქრებდა და ვერ წარმოიდგენდა. იმ დროს, საერთოდ, ძნელად თუ მისწედებოდა ამას ვისიმე გონება.

მძიმე დღეში აღმოჩნდა თამარი. ყუთლუ-არსლანისა და მისი დასის პროგრამის განხორციელება მეფის ხელისუფლების ლიკვიდაციას ნიშნავდა და ამას მაშინვე მიხვდა იგი: „ესე ვიეთ საწყენელ იყო... ესრეთ იწყინაო“, მემატიანე გადმოგვცემს, „დასასრულისა ხელმწიფობისა პატრონისასა მიმცემელიო“...

როგორი იყო ახალგაზრდა მეფის პირველი რეაქცია, როცა იგი ყუთლუ-არსლანის პროგრამას გაეცნო, ჩვენთვის ცნობილი არ არის, ასეთი ცნობა წყაროებს არ შემოუნახავს. ის კი არა და, მთელი ეს მნიშვნელოვანი და საგულისხმო ამბავი ძალიან მოკლედ, სულ რამდენიმე სტრიქონით აქვს გადმოცემული მხოლოდ ერთ მემატიანეს, თამარის პირველ ისტორიკოსს — ძალიან მოკლედ, მაგრამ ნათლად და მკაფიოდ. საკვირველია, მაგრამ მეორე ისტორიკოსი საერთოდ დუმს ამაზე, დუმან სხვა წყაროებიც. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ლაპარაკიც ზედმეტია სხვა საინტერესო დეტალებზე, კერძოდ, იმაზე, თუ როგორი შთაბეჭდილება მოახდინა პირველად ახალგაზრდა მეფეზე ამის გაგონებამ. ეს ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვიეარაუდოთ და წარმოვიდგინოთ. ოღონდ ვიეარაუდოთ არა იმ წინა წარუმატებელი მოვლენების მიხედვით, რაც ზედიზედ დაატყდა ახალგაზრდა მეფეს, და რამაც ალბათ, უფრო გაათამამა ყუთლუ-არსლანიცა და მისი დასის წევრები, როცა ასეთი პროგრამა მიპქონდათ სამეფო კარზე, არამედ მოვლენათა შემდგომი განვითარებით.

მოვლენები კი ამგვარად განვითარდა. ახალგაზრდა მეფემ მაშინვე იგრძნო, რომ ეს იყო გადამწყვეტი წუთი, როცა ყოყმანი და უკანდახევა მართლაც სისუსტის მომასწავებელი იქნებოდა, სრულ მარცხს უდრიდა და აღარ შეიძლებოდა. და მან ამჯერად დიდი სიმტკიცე გამოიჩინა: ბრძანა, მაშინვე შეეპყროთ ყუთლუ-არსლანი.

ეს ყველასათვის მოულოდნელი გამოდგა.

მეჭურჭლეთუხუცესის საპყრობილეში ჩაგდება, განსაკუთრებით ისევ ვითარებაში, რაც მაშინ სამეფო კარზე იყო შექმნილი, უბრალო

რამე როდი გახლდათ. ეს ამბავი მეხივით გაეარდებოდა. შეიქნებოდა მითქმა-მოთქმა, ჩურჩული, ჭორები... სულ სხვადასხვანაირად, განსხვავებული ვარიანტებით მიუვიდოდა დარბაზის წევრებსა და ქვეყნის შორეულ კუთხეებში მყოფ ერისთაებსა და ერისთავთ-ერისთაებს. იგულისხმება, რომ მოყვარეც ბევრი ეყოლებოდა მეჭურჭლეთუხუცესს და მტერიც...

მაგრამ მთავარი იყო, როგორ იმოქმედებდა ყუთლუ-არსლანის შეპყრობა მისივე დასის წევრებზე, იმ ადამიანებზე, რომელთაც შეთქმულება მოაწყვეს, ფიცით შეიკრნენ და მეფეს ასეთი ულტიმატუმი წაუყენეს. ახალგაზრდა მეფემ ჯერ ისიც არ იცოდა, ვინ იყო ამ დასში გაერთიანებული. ყოველ შემთხვევაში, იგი ვერ წარმოიდგენდა, ასეთი ძლიერი თუ იქნებოდა შეფიცულთა ორგანიზაცია. მეფეს, ეტყობა, იმედი ჰქონდა — მეთაურის შეპყრობით დასიც დაშინდებოდა და დაიშლებოდა.

ასე არ მოხდა. შეფიცულთა ორგანიზაცია დიდი და ძლიერი გამოდგა. მეთაურის შეპყრობამ როდი დააშინა ისინი — პირიქით, კიდევ უფრო გამწარდნენ და ახალი სიმტკიცით აღიჭურვნენ. მეფეს შეუთვალეს, თუ ახლავე არ გაათავისუფლე ყუთლუ-არსლანი, ან რაიმე ვნება თუ მიაყენე, იარაღს ავისხამთ და სასახლეზე გამოვილაშქრებთო („დაადგინეს ახალი სიმტკიცე ყუთლუ-არსლანის გაშუებულობისა და, არა მიშუებისა ვნებად მისსა მეტყუელნი განემზადნეს ისანისაცა შემობმად“).

მდგომარეობა დაიძაბა, როგორც ითქვა, ახალგაზრდა მეფე იმედოვნებდა, მეთაურის შეპყრობით დასის წევრებიც დაფრთხებიანო, მართლაც ასე იყო მოსალოდნელი. მაგრამ ისეთი რამ მოხდა, რასაც მეფე სულაც არ ელოდა. შეფიცულები კი არ დაფრთხნენ, პირიქით, მეთაურის შეპყრობით თითქოს გული მოიცეს.

რა უნდა ედონა ქვეყნის გამოუცდელ გამგებელს?

ან უნდა გაეთავისუფლებინა საპყრობილიდან მოღალატე მეჭურჭლეთუხუცესი და ამითი შეფიცულები დაეშოშმინებინა, ან მხედრობა გამოეყვანა და ყუთლუ-არსლანის მომხრე დიდებულები გაერეკა.

ერთიცა და მეორეც მეფისთვის, და ქვეყნისთვისაც, საზიანო იყო.

მეჭურჭლეთუხუცესს, როგორც უკვე ითქვა, დიდი გავლენის სფერო ჰქონდა; მეფე რომ დათმობაზე წასულიყო და უკან დაეხია, ყუთლუ-არსლანი გაეთავისუფლებინა, რა გარანტია იყო, რომ შეფიცულები კიდევ უფრო არ გათამამდებოდნენ და თავიანთი

პროგრამის გატარებას ახლავე არ მოითხოვდნენ?! მეფის ავტორიტეტი კიდევ უფრო შეირყეოდა და ეს ფაქტიურად წინათ განცდილ რამდენიმე მარცხზე უფრო დიდი მარცხი იქნებოდა.

მეორე მხრივ, მხედრობას თუ გამოიყვანდა, შეფიცულები იქნებ მართლაც გაერეკა, მაგრამ ამით მშვიდობა სულაც არ დამყარდებოდა, მეფე გადაიკიდებდა ქვეყნის ყველაზე მდიდარ და გავლენიან ძალას, და სამეფო კარზეც, სადაც წინა ინციდენტების შედეგები ჯერაც არ დამცხრალიყო, მდგომარეობა კიდე უფრო გართულდებოდა და დაიძაბებოდა"...

ერთი სიტყვით, სამეფო კარზე მდგომარეობა ძალიან დაიძაბა. შეფიცულთა დასის მეთაური შეპყრობილია, შეფიცულები დარაზმულან და სასახლეზე გამოსალაშქრებლად მოიწევენ, უერთგულესი თანამშრომლები და თანაშემწეები ახალგაზრდა მეფეს ადრეევ ჩამოაცილეს — აღარც ამირსპასალარი ჰყავს, აღარც მანდატურთუხუცესი და აღარც მსახურთუხუცესი, ანუ სამი ისეთი თანამდებობის პირი, რომლებიც სწორედ ასეთი მდგომარეობის დროს უნდა ამოუდგნენ მხარში ქვეყნის გამგებელს; სახელმწიფოს პირველი ვაზირი, მეფის პირველი მრჩეველი და თანაშემწე თავად უკულმართი კაცია და, როგორც ვნახეთ, მეფემ სულ ახლახან გაანაწყენა, მასზე დაყრდნობა და მისი იმედით ყოფნა არ შეიძლება...

ასეთ დღეში იყო ახალგაზრდა, გამოუცდელი მეფე, ასეთი დილემის წინაშე აღმოჩნდა, ზღაპრისა არ იყოს — ერთ გზას დაადგებოდა, ინანებდა და მეორე გზას დაადგებოდა, მაინც ინანებდა. დათმობაც სახიფათო იყო და შეტევაც. ახლა ისღა უნდა გადაეწყვიტა, რომელ გზაზე შეხვდებოდა ნაკლები ხიფათი... და ამის გადაწყვეტა იყო სწორედ ძნელი.

და ასეთი დაძაბული ვითარების დროს ქვეყნის გამოუცდელმა მმართველმა იმგვარი სიბრძნე და სიდინჯე გამოამჟღავნა, გამობრძმედილსა და წლებით დამძიმებულ ხელმწიფესაც შეშურდებოდა.

გვერდი აუარა ერთ გზასაც და მეორესაც; სალაშქროდ გამზადებული შეფიცულებისკენ მრისხანე მხედრობა კი არ დაძრა, ორი უწყინარი და სუსტი მანდილოსანი, ორი „საპატიო დიოფალი" გაგზავნა — ქართლის ერისთავთ-ერისთავის რატის დედა ხუაშაქ ცოქალი და კრავაი ჯაყელი, „დედა აწ მყოფთა სამძიეართა"; ამ ორ მანდილოსანს დაავალა, შეფიცულებს მოლაპარაკებოდნენ.

ასეთი რამ იშვიათად მომხდარა ისტორიაში. თამარმა რომ იმ ორ გზას თავი აარიდა და მესამე — მშვიდობიანი მოლაპარაკება —

აირჩია, ეს თავისთავად დიდი სიბრძნე იყო, ხოლო მოლაპარაკება რომ საპატიო ოჯახების დარბაისელ მანდილოსნებს მიანდო, და არა ოფიციალურ პირებს, არა სამეფო კარის მოხელეებს, ეს უკვე სავსებით მოულოდნელი გამოდგა ახალგაზრდა გამოუცდელი მეფისაგან. თან, როგორც მოვლენათა შემდგომი განვითარების მიხედვით ვრწმუნდებით, მოსალაპარაკებლად მიგზავნილ მანდილოსნებს მტკიცე პოზიცია სჭერიათ, დათმობა და უკანდახევა არც უფიქრიათ. ასეთი დავალება ჰქონდათ ახალგაზრდა მეფისაგან.

მოლაპარაკება მართლაც წარმატებით დამთავრდა. დარბაისელმა მანდილოსნებმა დიდებულად შეასრულეს დაკისრებული მისია. მათ აღუთქვეს შეფიცულებს, ხელს თუ აიღებთ თქვენს გეგმაზე, თუ მოგვენდობით და მეფის მიმართ აწ მაინც ერთგულებას გამოიჩენთ, ყუთლუ-არსლანის მეტს არავის დასჯიან (იმასაც მსუბუქ სასჯელს აკმარებენ), თქვენ ისე შეგივრდომებენ და შეგიტკბობენ, თითქოს არაფერი მომხდარიყოსო. შეუძლებელი იყო, ასეთი საპატიო მანდილოსნების სიტყვა არ ერწმუნათ შეფიცულებს, „მოპყვეს დიდებულნი ბრძანებასა პატრონისასა და წინაშე მოსრულთა დავრდომით თაყუანისცეს"; პატრონისგანაც მიიღეს ფიცი და თავადაც „მისცეს მათ პირი ერთგულებისა და ნებისმყოფლობისა მათისა".

ასე სასურველად დასრულდა ეს მძიმე და სახიფათო ამბავი. აჯანყებულები დაშოშმინდნენ, სისხლი არ დაღვრილა...

ზედიზედ განცდილი რამდენიმე მარცხის შემდეგ ეს იყო თამარის პირველი გამარჯვება, რაც თავისი მნიშვნელობით, ერთი დიდი ომის მოგებაზე მეტი იყო. და მეფემ მას უსისხლოდ და უომრად მიაღწია. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, ნაწილობრივი დათმობა მასაც მოუხდა — ეტყობა, მეფემ აღუთქვა შეთქმულებს, რომ ამიერიდან დარბაზის უფლებები უფრო გაფართოვდებოდა. და ამისდა მიხედვით, მეფის უფლებები ნაწილობრივ შეიზღუდებოდა.

●

მკითხველს უსათუოდ დააინტერესებს, ვინ იყო ყუთლუ-არსლანი — იმ დროისათვის ასეთი გაბედული პროგრამის ავტორი?

სახელის უცნაურობა სულაც არ ნიშნავს, თითქოს იგი უცხო წარმოშობისა ყოფილიყო (პავლე ინგოროყვას აზრით, ყუთლუ-არსლანი ჯაყელების გვარიდან არის). ბევრი ისეთი შემთხვევა

ვიცით, როცა იმ დროის ან უფრო მოგვიანო პერიოდის ქართველ მოღვაწეს უცხოური წარმოშობის სახელი ჰქვია. ისღა დაგერჩენია, გავარკვიოთ, ვინ იყო, რა წარმოშობისა, ძველი დიდგვარიანი აზნაური თუ ახლად აღზეევებული?

მემატიანეთა თხზულებანი და სხვა იმდროინდელი ისტორიული საბუთები ამაზე პირდაპირ პასუხს არ გვაძლევენ. შეიძლება მხოლოდ ვარაუდები.

და ამდენი ვარაუდი, მგონი, მართლაც არც ერთ ისტორიულ პირსა და ისტორიულ მოვლენაზე არ გამოუთქვამთ.

ზოგი მეცნიერის მოსაზრებით, ყუთლუ-არსლანი ძველი დიდგვარიანთა წარმომადგენელი იყო და მისი მოთხოვნა მიზნად ისახავდა ისეთი სახელმწიფო წყობილების შექმნას, როცა ძალაუფლება მტკიცედ მოექცეოდა დიდგვარიან აზნაურთა ხელში; მათი ინტერესები საიმედოდ იქნებოდა დაცული და უგვაროებს აღზეევებისა და დაწინაურების გზა საბოლოოდ მოეჭრებოდათ. რაკიღა ძალაუფლება დიდგვარიანთა ხელში იქნებოდა მოქცეული, მეფეს საშუალება აღარ მიეცემოდა უგვაროთა აღზეევებისა.

თქვენ ალბათ უკვე ხვდებით, რის საფუძველზე გამოაქვს ზოგიერთ მკვლევარს ასეთი დასკვნა. ორბელთა დიდი შეთქმულების შემდეგ, რომელსაც პირველ ხანებში მრავალი დიდგვაროვანი აზნაური მიემხრო, გიორგი მესამემ, როგორც უკვე ვნახეთ, სახელმწიფო აპარატი ახლად აღზეევებული უგვარონი დააწინაურა. ამან, რაღა თქმა უნდა, დიდი უკმაყოფილება გამოიწვია დიდგვარიანთა ოჯახებში და ის-იყო გიორგის გარდაცვალების შემდეგ აიძულეს მისი ახალგაზრდა მემკვიდრე, ახალაღზეევებული უგვარონი (ყუბასარი, აფრიდონი...) თანამდებობებიდან გადაეყენებინა. ეს იყო დიდგვარიანთა ენერგიული შეტევა. და, აი, ზოგიერთ მკვლევარს ყუთლუ-არსლანის გამოსვლა დიდგვარიანთა იმ შეტევის გაგრძელებად მიაჩნია.

ამ ვარაუდს მოწინააღმდეგეებიც ჰყავს, და, ეტყობა, სიმართლესთან უფრო ახლოს სწორედ ისინი არიან. საწინააღმდეგო აზრს იცავს, მაგალითად, ივანე ჯავახიშვილი. ყუთლუ-არსლანი თავად აღზეევებული ჩანს, მეჭურჭლეთუხუცესად დაწინაურებული სწორედ ორბელთა აჯანყების დამარცხების შემდეგ, და, ამ მარტივი მიზეზის გამო, არ შეიძლებოდა იგი დიდგვარიანთა ინტერესების დამცველად მოგველინებოდა. ამდენად, ეს პროგრამა დიდგვარიანთა ინტერესებს არ გამოხატავს.

ივანე ჯავახიშვილის ვარაუდი კიდევ უფრო გაამაგრეს შემდეგი პერიოდის მკვლევარებმა. ზოგიერთის აზრით, — და ეს ვარაუდი ძალიან სარწმუნო ჩანს, — ყუთლუ-არსლანი ქალაქური წარმოშობისა უნდა იყოს. შემთხვევითი არ არის, რომ იგი მეჭურჭლეთუხუცესად დააწინაურა გიორგი მესამემ. აკი, ზემოთაც ითქვა, მეჭურჭლეთუხუცესს სწორედ ქალაქები და ვაჭრები ემორჩილებოდნენ...

აქვე უნდა გავიხსენოთ ერთი საინტერესო ფაქტი, რაზედაც მკვლევარებს ჯერ მგონი ყურადღება არ მიუქცევიათ.

როცა ინგლისის დიდ ქარტიასა და ყუთლუ-არსლანის პროგრამას შორის ერთგვარ პარალელს ვავლებთ და ვცდილობთ, ზოგიერთი მსგავსება აღმოვაჩინოთ, უსათუოდ უნდა გავიხსენოთ, რომ დიდი ქარტია ინგლისელი დიდებულებისა (ბარონების) და ლონდონელ დიდვაჭართა კავშირსაც გამოხატავდა; აჯანყებულ ბარონთა მოთხოვნაში, სხვათა შორის, მტკიცედ იყო აღნიშნული ვაჭართა თვითნებური დაბეგვრის აკრძალვა.

და საინტერესოა, რომ ყუთლუ-არსლანიც ვაჭართა ინტერესების გამომხატველი ჩანს — როგორც მეჭურჭლეთუხუცესს, მას ქალაქები და ვაჭრები ემორჩილებიან...

ასეთ მსგავსებაზე როცა ჩამოვარდება ხოლმე სიტყვა, ამით რაიმე გავლენაზე კი არ უნდა მივუთითოთ. არა, ერთსაც და მეორესაც გარკვეულმა სოციალურმა ვითარებამ მოუმზადა ნიადაგი.

და კიდევ ერთი საკითხი.

როცა ამ მოვლენის გარკვეულ პროგრესულობაზე ვლაპარაკობთ, არ უნდა ვიგულისხმოთ, თითქოს ყუთლუ-არსლანის პროგრამა დიდ დემოკრატიულ პრინციპებზე ყოფილიყოს ჩამოყალიბებული. არა, იგი უპირველესად დიდებულების ინტერესებს გამოხატავდა. ასევე იყო ეს ინგლისის დიდ ქარტიაშიც. იქ, მაგალითად, მთელი მუხლი ჰქონდა დათმობილი „თავისუფალი ადამიანის“ უფლებებს, მაგრამ ეს ცნება ძალიან შეზღუდული და პირობითი იყო და მოსახლეობის ფართო ფენებს კი არ გულისხმობდა, არამედ დიდებულთა გარკვეულ ნაწილს. ეს უსათუოდ უნდა გვახსოვდეს, როცა ყუთლუ-არსლანის პროგრამის პროგრესულობზე ვლაპარაკობთ.

აღარ გავაგრძელებთ ამ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულ მრავალრიცხოვანი ვარაუდების მოყვანას. რაკი ეს სინამდვილესთან უფრო ახლოს ჩანს, ვირწმუნოთ, რომ ყუთლუ-არსლანი ორბელთა აჯანყების შემდეგ გიორგი მესამის მიერ აღზევებული მდიდარი

ქალაქელი უგვაროა. გავიმეოროთ მხოლოდ ის, რომ, როგორც აშკარად ჩანს, ახალგაზრდა მეფეს ყუთლუ-არსლანი სიკვდილით არ დაუსჯია, ეტყობა, უფრო მსუბუქი სასჯელი აკმარა, თუმცა მისი მოქმედება ღალატს უდრიდა და არსებული კანონით სიკვდილით დასჯას იმსახურებდა. რაკი ამის შემდეგ აღარსად შეგვხვდება ეს კაცი — არც აღზევებული და არც დამცირებული — ჩვენც გამოვეთხოვოთ მას და ვნახოთ, როგორ წარიმართა ახალგაზრდა მეფის მოღვაწეობა ამ გამარჯვების შემდეგ.

თავი VIII

პირველ გამარჯვებას მეორე მოკყვა – კარიერისტი და ზნედაცემული მწიგნობართუხუცესი მიქაელ მირიანისძე მოხსნა და მის ადგილას უკვე ანაფორამორგებული ანტონ გლონისთავისძე დააბრუნა ✦ ქვეყანას მეფის მემკვიდრე, უფლისწული სჭირდებოდა, რის გამოც თამარი თითქმის ძალით დააქორწინეს რუს უფლისწულ გიორგისთან, რომელიც ორწლინახევრის შემდეგ ქვეყნიდან გააძევეს ლოთობისა ზნედაცემულობისთვის ✦ ქართველთა მეფე მეორედ დააქორწინეს მისი მამიდის, რუსუდანის გაზრდილ დავით სოსლანზე – ბაგრატიონთა შთამომავალზე, რომელთანაც შეეძინა ვაჟი – გიორგი (ლაშა-გიორგი) და ქალიშვილი რუსუ-დანი ✦ ისევ ამბოხება სამეფო კარზე

ზემოთ მოთხრობილი ამბები თითქმის ზედიზედ მოხდა, ერთმანეთის მიყოლებით, თამარის მეორედ გამეფების პირველსავე წელს. დაიწყო, როგორც ენახეთ, მარცხით და ბოლოს ყველაზე ძნელსა და პრინციპულ ბრძოლაში ახალგაზრდა მეფემ გაიმარჯვა. გამარჯვებამ თამარს მხნეობაც შემატა და ავტორიტეტიც აუმაღლა. ახლა მეფის უპირველესი ამოცანა საეაზიროს შევსება, ანუ მთავრობის ახალი კაბინეტის შედგენა იყო.

მართლაც, ერთი წელი არც კი გასულა მას შემდეგ, რაც მემატიანემ მთელი საეაზირო გაგვაცნო, და იმათგან თითქმის უკვე აღარავინ დარჩენილა. თავისუფალია ამირსპასალარის, მანდატურთუხუცესის, მსახურთუხუცესის და მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობანი. გადახალისება სჭირდება ზოგიერთ სხვა თანამდებობასაც.

მაგრამ, რაც ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანია, სასწრაფოდ უნდა გადაწყდეს მეფის პირველი ვაზირის და პირველი თანაშემწის მწიგნობართუხუცესის საკითხი.

გიორგი მესამის სიკვდილის წინ ეს თანამდებობა, როგორც ვიცით, მეფის უერთგულეს ადამიანს, „მისიეე გაზრდილს“, „ბრძენს და გონიერს, პატრონთათვის სვიანსა და ერთგულ“ ანტონ გლონისთავისძეს ეკავა (ზემოთ ნახსენები ეპითეტები სულ მემატიანეს ეკუთვნის). მერე ისიც ვნახეთ, რა ვერაგობით წაართვეს ამ ერთგულსა და პატიოსან ადამიანს თანამდებობა და აიძულეს, გარეჯაში მონაზვნად აღკვეცილიყო.

თამარმა თავისი მოღვაწეობა იმით დაიწყო, რომ სცადა, ერთგული ვაზირი კვლავ ძველ თანამდებობაზე დაებრუნებინა. მაგრამ არ გამოუვიდა. მწარე მარცხი განიცადა. კათალიკოსი მიქაელ მირიანის ძე იმაზე ცბიერი და ეშმაკი გამოდგა, ვიდრე ამას ახალგაზრდა მეფე წარმოიდგენდა.

როგორც ვნახეთ, მეფემ შორიდან დაიწყო. რაკიღა სამეფო კარზე მხარდაჭერის იმედი არა ჰქონდა, ჯერ სცადა, კათალიკოსობიდან გაეთავისუფლებინა ეს კაცი იმის იმედით, რომ მერე სავაზიროდან უფრო ადვილად მოიშორებდა. არ გამოუვიდა. ვერ მოახერხა. და დროებით გადადო ეს მნიშვნელოვანი საქმე. დაიცადა. მარჯვე შემთხვევას დაელოდა.

ახლა კი, რაკი საქმე სასიკეთოდ შემობრუნდა, რაკი ყუთლუარსლანის დასის დამარცხების შემდეგ ახალგაზრდა მეფის ავტორიტეტი ერთბაშად ამაღლდა, თამარმა გადაწყვიტა, აღარ დაეყოვნებინა და საქმისთვის შეუფერებელი, ანგარებიანი მწიგნობართუხუცესი მოეშორებინა. ბოლო დიდმა გამარჯვებამ მეფეს, ეტყობა, მართლაც შემატა გაბედულება: მან უღირსი მიქაელ მირიანის ძე მოიშორა სამეფო კარიდან და მწიგნობართუხუცესად კვლავ ანტონი დააბრუნა. ეს კიდევ ერთი დიდი გამარჯვება იყო. ამას რაკიღა მიაღწია, ახლა უკვე ადვილი იყო, ვაზირებად თავისთვის სასურველი და ერთგული ხალხი დაენიშნა.

სანამ მეფის ახალ სავაზიროს გაგაცნობდეთ, ცოტა ხნით ანტონ გლონისთავისძის კვლავ მწიგნობართუხუცესად დანიშვნის ამბავს უნდა დავუბრუნდეთ.

მემატიანე რომ გადმოგვცემს, საეკლესიო კრებაზე ვერა და ვერ მოახერხეს კათალიკოსობიდან მიქაელის გადაყენებაო („არამედ ვერა განაყენეს, დაღაცათუ ფრიად იღუაწეს“...), იქვე დასძენს, „რომელი (ე. ი. მიქაელი) ადრე თვით განაყენა სასჯელმან ღმრთისამანო“. ესე იგი, მალე მომკვდარა ეს უღირსი კაცი, ღმერთს თავად მოუგვარებია ის, რაც ღვთით კურთხეულმა მეფემ ვერ მოახერხა.

„ადრე განაყენაო“, ესე იგი, მალევე მოკვდაო, მემატიანე ამბობს, მაგრამ გააჩნია, დროის რა საზომს მიუყენებ ამა თუ იმ მოვლენას. მკვლევარების გამოანგარიშებით, ეს „ადრე“ კარგა ექვს წელიწადს გაგრძელებულა. ექვსი წელიწადი მარადისობისთვის მართლაც არაფერია, მაგრამ ერთი ადამიანის, კერძოდ, თამარის მოღვაწეობაში, საკმაოდ დიდი მონაკვეთია და მეფის მიმართ ავად განწყობილი და უკეთური მწიგნობართუხუცესი ამ ხნის განმავლობაში ბევრ საქმეს წაახდენდა.

რაკი კონკრეტულად არ მიუთითებს მემატიანე, როდის გადააყენა თამარმა მწიგნობართუხუცესობიდან მიქაელი, მიაჩნდათ, რომ ზემოთ მოტანილი შენიშვნა — „ადრე თვით განაყენა სასჯელმან ღმრთისამანო“ — ეხებოდა მიქაელის კათალიკოსობასაც და მწიგნობართუხუცესობასაც. ესე იგი, როცა მიქაელი მოკვდა, თავისთავად გათავისუფლდა ორივე თანამდებობა, რაც მას ეპყრა — საეროცა და სასულიეროც.

ერთხელ ითქვა ასე და მერე ეჭვი აღარაეის შეუტანია, რომ შესაძლებელი იყო, მწიგნობართუხუცესობიდან უფრო ადრე გადაეყენებინა მეფეს მიქაელი, ვიდრე ღვთის სასჯელი კათალიკოსობიდან „განაყენებდა“. ამ ბოლო დროს გამოითქვა ვარაუდი (შ. მესხია), რომ მემატიანის სიტყვები მხოლოდ კათალიკოსობას შეეხება, მწიგნობართუხუცესობიდან კი მეფეს ადრევე გადაუყენებია არასასურველი ადამიანი. მას შემდეგ, რაც საეკლესიო კრებაზე ამ საკითხთან დაკავშირებით მარცხი განიცადა თამარმა, მდგომარეობა სასიკეთოდ შეიცვალა, მეფის ავტორიტეტი ამაღლდა და გაიზარდა და ეტყობა, ახლა უკვე უფრო ადვილად მოახერხა მისთვის არასასურველი ვაზირის თავიდან მოშორება. ეს კარგად ჩანს მემატიანის დანარჩენი ტექსტიდანაც. ამიტომ ვირწმუნოთ ეს ვარაუდი, რაც მკვლევარის მახვილგონიერულ ანალიზს ემყარება.

ერთი სიტყვით, მწიგნობართუხუცესად კვლავ ანტონ გლონისთავისძე დააბრუნა თამარმა. ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის თანამდებობა თუ აქამდე ერთ კაცს ებარა, ახლა გაყო, ამირსპასალარად სარგის მხარგრძელი დანიშნა, ხოლო მანდატურთუხუცესად — ჭიაბერი. თქვენ ალბათ გახსოვთ ეს ადამიანები: ერთიცა და მეორეც დიდად დაეხმარა გიორგი მესამეს ორბელთა აჯანყების ჩაქრობაში.

ეს მეტად მნიშვნელოვანი მომენტია და კარგად დავაკვირდეთ.

მართალია, სარგის მხარგრძელი პირველად აჯანყებულთა ბანაკში იყო, მაგრამ ისიც გეხსომებათ, რომ იგი მალევე გადავიდა გიორგი მესამის მხარეზე და შემდეგ უკვე მეფეს ეხმარებოდა აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ჭიაბერი კი თავიდანვე მეფის ერთგული იყო და იმ გასაჭირშიაც ერთგული დარჩა.

ამირახორად, ანუ ამირსპასალარის მოადგილედ, გამრეკელ-თორელი დანიშნა მეფემ და ჩვენ გვახსოვს, რომ ეს კაციც გიორგი მესამის ერთგული იყო. მართალია, სულ პირველად ესეც აჯანყებულებთან ვიხილეთ, მაგრამ იმის მოწმეც გავხდით, რომ ერთ-ერთი პირველი გადაუდგა იგი შეთქმულებს და მეფეს ამოუდგა მხარში.

მაინც რა არის საინტერესო ამ ფაქტში და რატომ შევაჩერეთ ამაზე მკითხველის ყურადღება?

ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ, ავიდა თუ არა თამარი მეორედ სამეფო ტახტზე, დიდგვაროვანმა აზნაურებმა მოსთხოვეს გიორგის მიერ ახალაღზევებულ უგვაროთა გადაყენება. იმდენად კატეგორიული და მტკიცე იყო ეს მოთხოვნა, რომ ახალგაზრდა მეფე იძულებული გახდა, დაპყოლოდა და შეესრულებინა.

ეს მეფის ერთგვარი მარცხი იყო, სისუსტე გამოამჟღავნა, თავისიანი სურვილის წინააღმდეგ იმოქმედა, სხვათა ნებას აპყვა და ერთგული ხალხი მოიშორა.

მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ შემცველელები მაშინვე არ დაუნიშნავს მეფეს, თუმცა მსურველები დიდგვარიანთა შორის საკმაოზე მეტი იყო. არ აჩქარდა მეფე, დაიცადა, თითქოს რაღაცას ელოდა.

და აგერ, მართლაც, ამ მაღალ თანამდებობაზე მან შეარჩია ხალხი არა იმის მიხედვით, რასაც დიდგვაროვნები მოითხოვდნენ, არამედ ძველი წესის თანახმად: დიდგვაროვნობას კი აღარ მიხედა, დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, კვლავ მამის პოლიტიკა განაგრძო, გიორგი მესამისავე ერთგული ხალხი დანიშნა, რომელთაც დიდი დამსახურება ჰქონდათ სამეფო გვარისა და ოჯახის წინაშე.

ყუთლუ-არსლანის დასზე გამარჯვებამ ისეთი ავტორიტეტი მოუპოვა ახალგაზრდა მეფეს, რომ ახლა მან გაბედულად გაატარა მამის პოლიტიკა, რისგანაც პირველ ხანებში იძულებული იყო, გადაეხვია ამ შემთხვევაშიაც გამართლდა ანდაზის სიბრძნე: გაბედე და ღმერთი გიშველისო.

ახლა უკვე ახალგაზრდა მეფეს შეეძლო, უფრო თავისუფლად ემოქმედა. ესეც გამარჯვება იყო, დიდი გამარჯვება.

სარგის მხარგრძელის ამირსპასალარად დანიშვნას რომ გვაუწყებს მემატიანე, იქვე დასძენს: მეფემ „უბოძა ლორე სათაეადო და სამთავრო სომხითსა შინა, და წყალობა ყო ძისაცა მისისა ზაქარიას დალოცვითა, და ითაყუანა დარბაზის ყმად უმცროსი შვილი მისი ივანე“.

ლორე რომ უბოძა მეფემ ახალ ამირსპასალარს, ეს სულაც არ არის გასაკვირი, ამიტომ არ მოგვიტანია მემატიანის სიტყვები. ზემოთაც შეგახსენეთ, დავით აღმაშენებლის შემდეგ ტრადიციად იქცა — ლორე ამირსპასალარის კუთვნილება გახდა, და ახლაც, რაკილა სარგის მხარგრძელი ამირსპასალარად დანიშნა, ლორეც მას მიუბოძა.

მემატიანის ზემოთმოტანილ სიტყვებში სხვა რამეა ჩვენთვის საინტერესო: სარგის მხარგრძელს შვილებიც მოუყვანა სასახლეში. თქვენ ეს გვარი — მხარგრძელთა გვარი — რა თქმა უნდა, გაგონილი გექნებათ. აი, საიდან იწყება ამ გვარის ნამდვილი აღზევება.

ახლა დააკვირდით ტერმინებსაც: „ითაყვანა“, „დალოცვითა“, „წყალობა ყო“... ამ სიტყვებს ჩვეულებრივი მნიშვნელობა კი არა აქვთ აქ, არამედ განსაკუთრებული აზრის შემცველი ტერმინებია. მკვლევარები ასკვნიან, რომ „თაყვანება“ — სამეფო სამსახურის პირველი საფეხურია, პირველი დაწინაურება, სამეფო კარის საიერარქიო კიბეზე პირველი ფეხის შედგმა (გაიხსენეთ „ვეფხისტყაოსანი“: „არ მომეშვნეს, დავმორჩილდი, თ ა ყ ვ ა ნ ი ს - მ ც ე ს ა მ ი რ ბ ა რ ა დ“...). ამას მოჰყვება „დალოცვა“ — ეს უკვე მეორე საფეხურია; „შეწყალება“ — მესამე საფეხურია...

იმ დროისათვის, როცა მეფემ სარგის მხარგრძელი ამირსპასალარად დანიშნა, უმცროსი შვილი სარგისისა — ივანე — პირველად მოსულა სამეფო კარზე და მეფემ იგი „ითაყუანა“. სარგისის მეორე შვილს — ზაქარიას — ეს საფეხური უკვე გაელილი ჰქონია და მეფემ მისი „წყალობა ყო დალოცვითა“. აქვე შევნიშნოთ: ასეთი „თაყვანება“ და „დალოცვა“ მუდამ რაიმე თანამდებობაზე დანიშვნას არ ნიშნავდა.

მემატიანის ცნობის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია კარგად გავაცოცხლოთ სურათი, როგორ მიიყვანა ახალმა ამირსპასალარმა სამეფო კარზე თავისი ორი ვაჟიშვილი და თამარს წარუდგინა, მოახსენა, რომ ქართველი მეფის სამსახურისთვის ზრდიდა იგი მათ, სიკვდილის დღემდე მეფის ერთგულები იქნებოდნენ და მისთვის თავს დასდებდნენ... ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, ორივე ძმამ — ზაქარიამაც და ივანემაც — მართლაც კარგი სამსახური გაუწია მეფეს. რაკი ამის შემდეგ მხარგრძელებს ხშირად შევხვდებით, ცოტა უფრო ახლოს კვეცნოთ ამ გვარს.

წარმოშობით მხარგრძელები ქურთები ყოფილან და მერე გასომხებულან, სომხის რჯული მიუღიათ. ამ ცნობას გვაწვდიან სომეხი მემატიანეები, ეს დასტურდება სხვა საბუთებითაც. მას შემდეგ, რაც სომხეთის მიწა-წყალი საქართველოს სამეფოში შემოვიდა, მხარგრძელებს ჩვენ ქართველი მეფეების სამსახურში ვხედავთ. ისინი ფაქტიურად უკვე გაქართველებულები არიან. ალბათ გეხსომებათ, ამ გვარის წარმომადგენელს, სწორედ იმ სარგის მხარგრძელს, რომელსაც თამარმა ახლა ამირსპასალარობა უბოძა, პირველად ანისში შევხვდით 1161 წელს. ანისის აღების შემდეგ გიორგი მესამემ ქალაქის ამირად ივანე ორბელიანი დანიშნა, თანაშემწედ კი სარგის მხარგრძელი დაუნიშნა. როგორი სამსახური გაუწია მაშინ სარგისმა ივანე ორბელს, ან ანისიდან წასვლის შემდეგ რას აკეთებდა, სად მოღვაწეობდა, ეს ცნობილი არ არის. ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ ორბელთა დიდი აჯანყების დროს სარგისიც შეთქმულთა შორის აღმოჩნდა, თავის ძველ პატრონს ივანე ორბელიანს ამოუდგა მხარში. მერე რა მოხდა, ეს ჩვენ უკვე ვიცით და სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

სარგისს ძმა ჰყავდა — ვარამი — და ისიც გარკვეულ სამსახურს უწევდა ქართველ მეფეს. ცნობილია ამ ორი ძმის — სარგისისა და ვარამის ორ-ორი ვაჟიშვილი: სარგისისა — ზაქარია და ივანე (სწორედ ესენი წარუდგინა ამას წინათ ამირსპასალარმა მეფეს) და ვარამისა — ზაქარია და სარგისი.



ჩვენ მხოლოდ ერთი ნაწყვეტი მოვხაზეთ მხარგრძელთა გენეალოგიური შტოსი. ამჟამად მეტი არ გვჭირდება. დავიხსომოთ ორი ძმა და მათი ორ-ორი ვაჟიშვილი. როგორც ითქვა, მომდევნო ამბებში მათ ხშირად შევხვდებით.

ამრიგად, თამარმა ახალი საკაზირო შეადგინა.

მ წ ი გ ნ ო ბ ა რ თ უ ხ უ ც ე ს ი, ანუ მეფის პირველი ვაზირი და თანაშემწე, რომელიც სახელმწიფოს ყველა საქმეს, მათ შორის მართლმსაჯულებასა და სამხედრო საქმესაც განაგებს — ანტონ გლონისთავისძე;

ა მ ი რ ს პ ა ს ა ლ ა რ ი — სარგის მხარგრძელი;

მ ა ნ დ ა ტ უ რ თ უ ხ უ ც ე ს ი — ჭიაბერი (ჩვენ უკვე ვიცით, მანდატურთუხუცესს ოქროს არგანი უჭირავს ხელში და მემატიანე ახლაც ხაზს უსვამს ამას: „მისცა [მეფემ] არგანი ოქროსა ხელთა მისთა“);

მ ე ჭ უ რ ჭ ლ ე თ უ ხ უ ც ე ს ი (ნაცვლად ყუთლუ-არსლანისა) — კახაბერ ვარდანის ძე;

მ ს ა ხ უ რ თ უ ხ უ ც ე ს ი (გადაყენებული აფრიდონის ნაცვლად) — ვარდან დადიანი;

ჩ უ ხ ჩ ა რ ე ხ ი — მარუშისძე[1];

ა მ ი ლ ა ხ ო რ ი (ანუ ამირსპასალარის მოადგილე) — გამრეკელი-თორელი[2].

და ერისთავები:

ბარამ ვარდანის ძე — ს ვ ა ნ თ ა[3];

კახაბერ კახაბერის ძე — რ ა ჭ ი ს ა და თ ა კ ვ ე რ ი ს ა;

ოთაღო შარვაშის ძე — ც ხ უ მ ი ს ა;

ამანელის ძე — ა რ გ ვ ე თ ი ს ა;

ბედიანი — ო დ ი შ ი ს ა;

რატი სურამელი — ქ ა რ თ ლ ი ს ა;

ბაკურ-ყმა ძაგანის ძე — კ ა ხ ე თ ი ს ა;

გრიგოლის ძე ასათ — ჰ ე რ ე თ ი ს ა;

ბოცო ჯაყელი — ს ა მ ც ხ ი ს ა.

სამეფო კარზე ენებები თითქოს დაცხრა, მტერიცა და მოყვარეც ყველა დარწმუნდა, რომ სკიპტრა კვლავ ძლიერ ხელს ეპყრა, ის სისუსტე, რაც თითქოს პირველად გამოამჟღავნა ახალგაზრდა მეფემ, მოჩვენებითი გამოდგა. აშკარად ჩანდა, რომ თამარს მტკიცედ გადაეწყვიტა, მამისა და დიდი პაპის საქმე და პოლიტიკა გაეგრძელებინა.

---

1 დიმიტრი ბაქრაძის ვარაუდით, ეს იმ ცნობილი იოანე მარუშის ძის შთამომავალი უნდა იყოს, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი საქართველოს გაერთიანებას. თქვენ ალბათ გახსოვთ მისი მოლაპარაკება დავით კურაპალატთან

2 ეს ის გამრეკელი-თორელია, რომელმაც დიდი სამსახური გაუწია გიორგი მესამეს ორბელთა აჯანყების ჩაქრობაში

3 მკვლევარების აზრით, სვანეთის ვარდანიძეთაგან შთამომაყლობენ გურიის მთავარნი გურიელნი

●

თამარი ერთადერთი მემკვიდრე იყო ტახტისა და, რაღა თქმა უნდა, ბავშვობიდანვე ამზადებდნენ მეფობისთვის. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, როგორი იქნებოდა ეს მზადება გიორგი მესამის სამეფო კარზე. უფლისწულს, რაღა თქმა უნდა, მრავალმხრივი და ღრმა განათლება ჰქონდა მიღებული... ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ცოდნა და განათლება ერთი მხარეა. იგი, რა თქმა უნდა, მორალურადაც მომზადებული იყო. იცოდა, რომ ყოველგვარ საქმეში სიდინჯე, სიმტკიცე, სამართლიანობა, გულმოწყალება და მაღალი ნებისყოფა მართებდა; იცოდა, რომ პირადი ცხოვრება უნდა დაეეიწყებინა და, თუ საჭირო გახდებოდა — ასეთი მომენტები კი უსათუოდ დაუდგებოდა მაშინდელ რთულ ცხოვრებაში, — თავი მსხვერპლად მიეტანა...

იცოდა, ეთქვით... არა მარტო იცოდა, შეშზადებული იყო ამისთვის.

მაგრამ რას იფიქრებდა ახალგაზრდა ქალი, რომ პირადი გრძნობების დათრგუნვა და საქვეყნო-საზოგადო მოთხოვნისთვის ანგარიშის გაწევა მას ახლავე მოუხდებოდა, ტახტზე ასვლის პირველსავე წელს.

თამარს ჯერ აგრძნობინეს, მერე კი კატეგორიულად მოსთხოვეს, რომ უკვე დრო იყო, დაქორწინებულიყო.

სამეფო კარისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი ყველგან და ყოველთვის ტახტის მემკვიდრის საკითხია. საქართველოს სამეფო ტახტს კი მემკვიდრე არა ჰყავდა და ეს ქვეყნის მესვეურთ აწუხებდა. უნდა გაჩენილიყო მემკვიდრე, გაზრდილიყო, ღირსეულად გაეწვრთნათ და აღეზარდათ, რათა ისეთი დიდი სახელმწიფოს მართვა-გამგებლობა შეძლებოდა, როგორიც საქართველო იყო. ამას დრო სჭირდებოდა, და, რა თქმა უნდა, უჩვეულო და უცნაური არაფერი ყოფილა იმაში, რომ ახალგაზრდა მეფე-ქალს მოსთხოვეს, საქმრო აერჩია. ეს, როგორც ითქვა, ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ასე მოიქცეოდნენ ყოველთვის, ყოველ ქვეყანაში.

აქ კი, ამ კონკრეტულ შემთხვევაში სხვა მნიშვნელოვანი მიზეზის გამოც აჩქარებდნენ ახალგაზრდა მეფე-ქალს, ქმარი შეირთეო. ეს მიზეზი არა ნაკლები სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისა გახლდათ. საქმე ის არის, რომ იმ გაუთავებელ ომებში მხედრობას სარდალი სჭირდებოდა, მეფე-სარდალი, ხოლო ქალი, რა ჭკვიანი და აზრიანიც უნდა ყოფილიყო, სარდლობას, რათა თქმა უნდა, ვერ გასწვევდა.

იქნებ გაიფიქროთ, მხედრობას აკი თავისი ამირსპასალარი ჰყავდაო.

ამირსპასალარი მეფეს ვერ შეცვლიდა; დიდ ომებში სარდლობა მეფეს უნდა გაეწია, ამ დროს ამირპასალარი თანაშემწე იყო მეფე-სარდლისა. ომში, რომელსაც ქვეყნისა და ხალხის მომავალი უნდა გადაეწყვიტა, ამირსპასალარს ვერ ანდობდნენ ქვეყნის ბედს, ასეთ დროს მეფის პასუხისმგებლობა და სახელი იყო მთავარი. შორს რომ არ წავიდეთ, თამარის მამა გიორგი მესამე ხომ თითქმის ყველა ომში წინ მიუძღოდა ჯარს; ასევე თამარის პაპა დემეტრე, დიდი პაპა დავით აღმაშენებელი და სხვებიც, ყველანი — თამარის შორეული წინაპრებიცა და შთამომაელებიც. და, სხვათა შორის, საქართველო ამ მხრივ გამონაკლისი როდი იყო, სხვა ქვეყნებშიაც ასე ხდებოდა — ომის დროს მეფე მთავარსარდლობდა ხოლმე.

რა თქმა უნდა, იყო შემთხვევები, როცა მეფე ამირსპასალარს მიანდობდა უფრო პატარა მასშტაბისა და მცირე მნიშვნელობის ბრძოლებში სარდლობას, მაგრამ მაშინაც კი მეფის თვალი და ყურადღება არ აკლდა ჯარის სარდალს. ის კი არა და, მშვიდობიან დროშიაც, ჯარის წვრთნასა და მომზადებას მეფე ხელმძღვანელობდა. ასე რომ, როცა თამარს აჩქარებდნენ — ქმარი შეირთეო, ამ დროს ტახტის მემკვიდრეზე არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ლაშქრის გაძღოლის საქმესაც. ამას პირდაპირ მიუთითებს მემატიანე — ჯარს სარდალი სჭირდებოდა და თამარს იმიტომ აჩქარებდნენო.

ღვთივ მირონცხებულიო, მეფეზე იტყვიან ხოლმე, მაგრამ რამდენიც უნდა თქვან, მეფე ხომ მაინც ადამიანია და ადამიანური ბუნება ხომ მისთვისაც უცხო არ არის. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რა მდგომარეობაში იქნებოდა ჩვიდმეტი წლის ყმაწვილი ქალი, რომელსაც მთელი სამეფო კარი მოუწოდებდა, საქმრო აერჩია.

ეს ასე ითქმის, თორემ სინამდვილეში ხომ არჩევის ნება არა აქვს, სხვები სთავაზობენ საქმროებს — ზოგი ვის და ზოგი ვის. თანაც მას უფლება არა აქვს, იმ წრეში აირჩიოს საქმრო, რომელშიც თვითონ გაზრდილა და ტრიალებს; ქვეშევრდომს, რა საპატიო გვარის დიდებულიც უნდა იყოს იგი, ვერ შეირთავს; ამის უფლებას არ მისცემენ, ეს ახალ არეულობას გამოიწვევს სამეფო კარზე და მთელს ქვეყანაში; საქმრო მან სხვაგან უნდა ეძიოს, სხვა ქვეყანაში, ვინმე გვირგვინოსანი შეარჩიოს, ისეთი ადამიანი, რომელიც თვალით არ უნახავს და რომლის არც ხასიათი იცის, არც ზნე და ჩვეულებები. ვინ იცის, სწორედ ამ დროს რამდენჯერ ინატრა

ყმაწვილმა ქალმა, უბრალო ქეეშევრდომი ყოფილიყო და არა ღვთიე მირონცხებული გვირგვინოსანი; ვინ იცის, რა გრძნობას იკლავდა გულში და უთქმელად როგორ იტანჯებოდა. არა-და, რა მშვენიერი ჭაბუკები ტრიალებდნენ სამეფო კარზე, რა სახელოვანი რაინდები, განათლებული და ღირსეული ახალგაზრდები!..

არა, საქმროს არჩევა სულ სხვა ნიშნით ხდებოდა, ადამიანის გულისპასუხს ყურს არავინ ათხოვებდა, ყმაწვილი ქალი საკუთარ თავს არ ეკუთვნოდა.

ეტყობა, დიდხანს გაგრძელდა ქალწული მეფისათვის საქმროს შერჩევა. ბოლოს საკითხი დარბაზის კრებაზეც გაიტანეს. შემორჩენილი კანტი-კუნტი ცნობების მიხედვით შეგვიძლია ეს კრებაც გავაცოცხლოთ.

ჩვენ უკვე ვიცით, ჩვეულებრივი დარბაზობის დროს ვინ ესწრება კრებას, ვინ სადა ზის, ვინ სადა დგას...

და აი, წამოდგა აბულასანი, ამირა ქართლისა და თბილისისა, „მეტყველი მკვიდრთა ტფილისისათა შინა, თავადი და მეფეთ-მეფისაგან წყალობა-ხელდასხმული“...

რაკიღა თბილისის ამირა იყო, თავისთავად იგულისხმება, რომ ახლო ურთიერთობა ჰქონდა ვაჭრებთან, ხშირად ხვდებოდა მათ, მათი ასავალ-დასავალი კარგად იცოდა და ნაირ-ნაირ ამბებს ისმენდა მათგან. ვაჭრები ხომ ერთთავად გზებზე იყვნენ გაკრულნი, ქვეყნიდან ქვეყანაში დაწანწალებდნენ და სავაჭრო საქონელთან ერთად ათასნაირი ამბები მიპქონდათ და მოპქონდათ, ათასნაირ ჭორებს ავრცელებდნენ. ეტყობა, სწორედ ვაჭრებისაგან ჰქონდა აბულასანს გაგონილი ის ამბავი, რაც ახლა დარბაზისთვის უნდა მოეხსენებინა. იგი წამოდგა და კრებას მოახსენა:

— მე ვიცი შვილი ხელმწიფისა ანდრია დიდისა, რუსი მთავრისა, რომელსა მონებენ სამასნი მთავარნი რუსთანი.

ეს ცნობა მოულოდნელი იყო და ყველა დაინტერესდა. თამარის ხელის მაძიებელი ბევრი იყო ახლომახლო ქვეყნებში, მაგრამ შესაფერად არავინ მიაჩნდათ — ან სხვა რწმენისა იყო, ან პატარა ქვეყნის მბრძანებელი, რომელსაც ძლიერი სახელმწიფო თავს არ გაუყადრებდა. ახლა კი, რუსი უფლისწულის სახელი რომ გაიგონეს, ყველა დაინტერესდა. რუსეთი დიდი და ძლიერი სახელმწიფო იყო, ეს ყველამ იცოდა სამეფო კარზე, რუსებიც მართლმადიდებელნი იყვნენ და თუკი სასიძო თავად ღირსეული აღმოჩნდებოდა, საწინააღმდეგო, რაღა თქმა უნდა, არავის ექნებოდა.

რა ნახა, მისმა სიტყვებმა სასურველი შთაბეჭდილება მოახდინა, აბულასანმა უფრო დაწვრილებით გააცნო დარბაზს რუსი უფლისწულის თაეგადასავალი. ადრე დაობლებულიყო იგი და ბიძას წაერთმია ტახტი, თავისი ქვეყნიდან გამოეძევებინა. ახლა სუნჯის ქალაქს არის შეფარებული ყიეჩაყთა მეფესთანაო; და მოპყვა რუსი უფლისწულის ქებას, როგორც ეს ვაჭრებისაგან გაეგონა — ყოველმხრივ შემკული და ღირსეული ჭაბუკიაო.

აბულასანი დიდად პატივსადები კაცი იყო და სამეფო კარიც ანგარიშს უწევდა, მისი სიტყვები ჭკუაში დაუჯდათ, დაინტერესდნენ და გადაწყვიტეს, სასწრაფოდ მოეწვიათ რუსი უფლისწული. მაშინვე შეარჩიეს სამოციქულო კაცი — თბილისელი დიდვაჭარი ზანქან ზორაბაბელი და არ დაუყოვნებიათ, ხელადვე გაგზავნეს.

როგორც ხედავთ, მეტისმეტად აჩქარებულან, სათანადო სიდინჯეც ვერ გამოუჩენიათ, რაც ამისთანა ფაქიზ საქმეში უსათუოდ საჭირო იყო. მემატიანე საგანგებოდ აღნიშნავს ამ უჩვეულო და უცნაურ აჩქარებას — მოციქულად გაგზავნილ დიდვაჭარზე წერს: გზაზე ცხენებს იცვლიდა, რათა მალე ჩასულიყო და იმაზე ადრე ჩამოიყვანა უცხო უფლისწული, ვიდრე სამეფო კარზე მოელოდებოდნენო („მწრაფლ მისრულმან ცვალებითა ჰუნეთათა წარმოიყვანა [უფლისწული] და მოიყვანა უწინარე პაემნითა"...).

სამეფო კარზე, ეტყობა, ყველას არ მოეწონა არც ასეთი აჩქარება და არც მოციქულად შერჩეული კაცი. ამას პირდაპირ გვეუბნება თამარის მეორე ისტორიკოსი. იგი ჯერ შენიშნავს — სასიძო მოიწონეს „ქრისტიანობისა და მართლმადიდებლობისათვის მათ ნათესავთასაო", და იქვე დასძენს: „ესე ვერა კეთილად განაგეს, რამეთუ არცა კაცი იგი ღირსი საქმისა წარავლინეს და არცა მისსა მეცნიერ იყვნეს, რომელსა იგი მოიყვანებდეს".

როგორც ვნახეთ, მართლაც უცნაური დავალება იყო. მაგრამ, როცა სასიძო ჩამოიყვანეს, იგი ყველას მოეწონა. ამას თამარის ორივე ისტორიკოსი ერთხმად აღიარებს. ერთი წერს: დიდვაჭარმა „მოიყვანა.. მოყმე სახე-კეკლუცი, სრული ანაგებითა და მჭურეტთაგან საჩენი გუარისშვილადაო". მეორე ისტორიკოსი: „შემდგომად ჟამისა მოიწია კაცი იგი წარელინებული და მოიყვანა კაცი დიდად გუარიანი, უდიდესი ყოველთა მათ მეფეთა მის კერძოსათა და სახითაცა არა უმარჯვი, რომელიცა იხილეს რა, ყოველსა კაცთა სთნდა"...

ყველას მოსწონებია რუსი უფლისწული — პატრიარქს, დიდებულებს, ეაზირებს, სპასპეტებს, ერისთავებს (სწორედ ასე

ჩამოთელიან მემატიანეები)... მაგრამ იქვე დასძენენ: მოეწონათ, რადგან მისი ზნე და ჩვეულებები ჯერ არ იცოდნენო — „რამეთუ არარას მეცნიერ იყვნეს ჩვეულებისათვის მისისა“.

და ისევ უცნაური აჩქარება. დიდებულებმა კი მოიწონეს სასიძო, მაგრამ იმას როდი დაეკითხნენ, ვის აზრსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. მოელაპარაკნენ თამარის მამიდა რუსუდანს, და ისეთივე ფაცხა-ფუცხით, რითაც ეს კაცი თბილისელ დიდვაჭარს ჩამოაყვანინეს, საქორწინო სამზადისს შეუდგნენ. ისე რომ, თამარს ქორწინების დროც არა ჰკითხეს. „მოახსენეს თამარს და მათგან (თამარისაგან) ნ ე ბ ა დ ა უ რ თ ა ვ ი გ ა ნ მ ზ ა დ ე ს ქ ო რ წ ი ლ ი“.

ერთი სიტყვით, ყველას მოსწონებია უფლისწული, გარდა იმისა, ვისაც ქმრად უნდა შეერთო. თამარი წინააღმდეგი ყოფილა ქორწინებისა: „კაცნო, ვითარ ღირს არს შეუტყუებელი ესე ქმნად? არა ვიცით კაცისა ამის უცხოსა ქცევა და საქმე, არცა მხედრობისა, არცა ბუნებისა და არცა ქცევისა. მაცალეთ, ვიდრემდის განიცადოთ ყოველთა სიკეთე, გინა სიდრკუე მისი“.

მაგრამ ყური არავინ ათხოვა ყმაწვილი ქალის სიტყვებს. არც მამიდამ და არც დიდებულებმა; ყველანი „წინააღუდგებოდესო“, მემატიანე წერს, „ყოვლითურთ შეაიწრებდეს სულსა მისსა და ესეოდენ მძიმესა საქმესა ს უ ბ უ ქ ა დ შ ე ე ხ ე ბ ო დ ე ს“.

ამნაირ სერიოზულ საქმეს ასე მსუბუქად მოეკიდნენო! ამაზე მეტი სიმკაცრით როგორღა უნდა გამოეთქვა მემატიანეს თავისი გულისწყრომა?!

და კიდევ ერთხელ იმეორებს მემატიანე, რათა საუკუნეების შემდეგ, ჩვენც ცოცხლად განგვაცდევინოს, რა დღეში ჩაუგდიათ ახალგაზრდა მეფე-ქალი: „რასაღა მრავალსა ვიტყოდით? შემდგომად მრავლისა ცილობისა თ ვ ი ნ ი ე რ ნ ე ბ ი ს ა მ ი ს ი ს ა ყ ვ ე ს ქორწილი და მრავალჟამ იყვნეს განცხრომასა შინა“...

როგორც ხედავთ, მემატიანეებმა უკვე გვაგრძნობინეს, რომ ასე უკულმართად დაწყებულ საქმეს კეთილი ბოლო არ ექნებოდა.

გიორგი რუსი, როგორც ჩანს, კარგი მეომარი იყო; მემატიანეები ჩამოთელიან მცირე მასშტაბის ბრძოლებს, რაც ქართველებს მისი სარდლობით ორი წლისა თუ ცოტა მეტი ხნის განმავლობაში გადაუხდიათ მტრის წინააღმდეგ.

მაგრამ იმავე ორ წელიწადში გიორგი უფლისწულს ბევრი ისეთი უკულმართი ზნე და ჩვეულებაც გამოუმჟღავნებია, რომლის

მოთმენა და მიტევება არ შეიძლებოდა, და რისი გამოსწორებაც ვერ მოხერხდა, მიუხედავად იმისა, რომ თამარი მაშინვე მიმხვდარა ამას და ისე ითმენდა, რომ არავისთვის გაუმხელია.

მემატიანეები კონკრეტულადაც ჩამოგვითვლიან უფლისწულის მანკიერებებს — ლოთობდა და „სიმთვრალეთა შინა იწყო მრავალთა საძაგელთა და უშუერთა საქმეთა ქმნად, რომელთა ნამეტნავ არს აღწერად“, სათქმელადაც კი უხერხულიაო.

დიდხანს ითმენდა თამარი — „ორ წლამდის, გინა უმეტეს იყო განსაცდელისა უცხოსა თმენასა შინა“, ამას ერთი მემატიანე წერს; მეორე მემატიანე კიდევ უფრო ცოცხლად გადმოგვცემს ახალგაზრდა ქალის მრავალმოთმენობას: „ორისა და ნახევრისა წელთა,

ვ ი თ ა გ უ რ დ ე მ ლ ი მოითმენდა მხნე თამარ... იძია მრავალი ღონე განკურნებისა მისისა... თვით პირისპირ იწყო მხილებად მისდა, არამედ უფრო განძვინდებოდა რუსი, ვითარცა ღმრთისაგან საფარველ-მოძურცილი“ და იქვე ბიბლიის ერთი მშვენიერი ფრაზა მოაქვს მემატიანეს: „ეკურნებდით ბაბილონს და არა იკურნებოდა“.

ვერ განკურნეს, ვერაფერი უშველეს, „არა იკურნებოდა“ — „არა თუ ოდენ არა შეიგონა, არამედ უძვირესთა მიმართ იწყო და შერაცხილნიცა კაცნი უბრალოდ გუემნა და ასოთა აღმოგდებითა ტანჯნა“.

ხოლო როცა სხვა უფრო საშინელი ზნეც შეიტყვეს უფლისწულისა („უბოროტესთა პირველისათა სოდომურიცა მოიპოვა ქცევა“....), და როცა საქვეყნოდ გამჟღავნდა ეს, როცა უკვე „უგრძნეს ვაზირთა და დიდებულთა“, მეტი მოთმენა აღარ შეიძლებოდა.

მემატიანემ შემოგვინახა თამარისაევე სიტყვები: „არა ჯერ არს მის თანა დათმენა, რამეთუ შემაგინებელ არს ტაძრისა ღმრთისა. მე არა მიძლავს აჩრდილისა მრუდისა ხისასა განმართვად და უბრალოდ განვიყრი მტუერსაცა, რომელი აღმეკრა შენ მიერ“...

და ბედუკულმართი კაცი გააძევეს — „წარიყვანეს ექსორიაქმნად“, თუმცა სიკვდილის ღირსი იყო. ხელცარიელი არ გაუშვიათ რუსი უფლისწული. გაატანეს აურაცხელი ოქრო და სიმდიდრე, ჩასვეს ნავში და კონსტანტინოპოლს გაგზავნეს: ბოლოს და ბოლოს, მეფე იყო და მეფურად გაისტუმრეს, არაფერი დაუშურებიათ.

როგორც ქვემოთ ვნახავთ, ამჯერადაც იჩქარეს...

მაგრამ, სანამ ჩვენს ამბავს გავაგრძელებდეთ, მკითხველის ყურადღება ერთ რამეზე უნდა შევაჩეროთ. ზემოთ რამდენჯერმე

ვახსენეთ თამარის პირველი ისტორიკოსი და მეორე ისტორიკოსი. ჩვენამდე ორ თხზულებას მოულწევია, რომლებშიაც თამარის ცხოვრება და მოღვაწეობაა გადმოცემული.

პირველი თხზულების სახელწოდებაა „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (ესე იგი, „ისტორია და ქება გეორგეინოსანთა“) და რაკი თხზულების ავტორის ვინაობა ცნობილი არ არის, მას მოიხსენიებენ როგორც პირველ ისტორიკოსს. ეს თხზულება უფრო ფართო და ვრცელია. ამასთან, როგორც სათაურიდანაც ჩანს, აქ მარტო თამარის ცხოვრებასა და მოღვაწეობას კი არ გვაცნობს ავტორი, არამედ კიდევ ერთი გეორგეინოსნისას, თამარის მამის გიორგი მესამისასაც.

ტექსტის ანალიზის საფუძველზე მკვლევარები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ იგი ორი ნაწილისაგან შედგება და ეს ნაწილები სხვადასხვა დროსაა დაწერილი: პირველი ნაწილი (რომელიც მოიცავს ამბებს 1195 წლამდე) დაწერილი უნდა იყოს 1195 ან 1196 წელს, ესე იგი, თითქმის მომხდარი ამბების პარალელურად, ხოლო მეორე ნაწილის (1195 წლის მომდევნო პერიოდი თამარის გარდაცვალებამდე) დაწერის თარიღად ვარაუდობენ 1212-1213 წლებს (ზოგს თხზულების მეორე ნაწილის დაწერის თარიღი უფრო აქეთ გადმოაქვს — 1270-95 წლებში).

ზოგიერთი მკვლევარის აზრით (ივანე ჯავახიშვილი, თედო ჟორდანია, პაველ ინგოროყვა), თხზულების ორივე ნაწილის ავტორი ერთი და იგივე პირია, ზოგი კი ამტკიცებს, თითქოს თხზულება ორ სხვადასხვა კაცს დაეწეროს. ტექსტმა ჩვენამდე დამახინჯებულად მოაღწია და ცალკეული ადგილები ხშირად ძნელი გასაგებია.

რა თქმა უნდა, საინტერესოა, ვინ უნდა იყოს თხზულების ავტორი. მკვლევარები ასახელებენ სხვადასხვა ისტორიულ პირს. თედო ჟორდანიას აზრით, თხზულების ავტორი ჩვენთვის კარგად ცნობილი ანტონ გლონისთავისძე უნდა იყოს, გიორგი მესამისა და თამარის დროინდელი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, რომელიც მუდამ თან ახლდა ჯარს და ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის თვითმხილველი და მონაწილე ყოფილა. სარგის კაკაბაძის აზრით, თხზულების ავტორი აგრეთვე ჩვენი ნაცნობი მანდატურთუხუცესი ჭიაბერია. ივანე ჯავახიშვილი კონკრეტულად არ ასახელებს ავტორს, იმას კი უფრო გადაჭრით ამბობს, რომ ეკი ხალხი, უფრო კი სამხედრო კაცი უნდა ყოფილიყო.

თუ ავტორის ვინაობა მკვლევართა დაკვირვებით თხზულებისა

მაღალი ღირსება სადაეოდ არავისა აქვს. იგი დაწერილია მრავალმხრივ განათლებული ადამიანის მიერ, რომელიც კარგად იცნობს როგორც დასავლეთის ისე აღმოსავლეთის ისტორიასა და ლიტერატურას, და, რაც ახლა ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია, ისტორიულ სიმართლეს გადმოგვცემს. იეანე ჯავახიშვილის აზრით, თხზულება დიდი ნდობის ღირსია, ისტორიისათვის ძვირფას წყაროდ უნდა ჩაითვალოს.

მეორე ისტორიკოსის თხზულების სახელწოდებაა „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი". ამ თხზულების ავტორად იეანე ჯავახიშვილს ბასილი ეზოსმოძღვარი მიაჩნია, და რაკი სხვა მოსაზრება არავის წამოუყენებია, სამეცნიერო ლიტერატურაში თხზულების ავტორად სწორედ იგი მოიხსენიება. თხზულება, სხვათა შორის, იეანე ჯავახიშვილმა აღმოაჩინა 1923 წელს და, მისივე აზრით, იგი დაწერილი უნდა იყოს 1210-1213 წლებში, თამარის მეფობის უკანასკნელ ხანაში.

პირველი ისტორიკოსის შესახებ ზემოთ მკელევარების ვარაუდი გავიხსენეთ, იგი საერო, კერძოდ კი, სამხედრო პირი უნდა იყოსო. საინტერესო ის არის, რომ ტექსტის ანალიზის მიხედვით მეორე თხზულების ავტორად, პირიქით, სასულიერო პირს ვარაუდობენ. მართალია, აქაც კარგად არის მოთხრობილი ლაშქრობათა ისტორია, მაგრამ, იეანე ჯავახიშვილის აზრით, რაც სხვა მკელევარებმაც გაიზიარეს, ამ თხზულების ავტორს მეფის სარწმუნოებრივ-სასულიერო საქმიანობა უფრო აინტერესებს.

რაკი ორივე თხზულება ქვეყნის ისტორიის ერთსა და იმავე პერიოდს გვაცნობს და თითქმის ერთსა და იმავე ფაქტებს გადმოგვცემს, თითქოს მოსალოდნელი იყო, რომ ტექსტებში ამბების განმეორებასა და პარალელიზმს შეეხვედებოდით; მაგრამ ეს ასე არ არის. სიმონ ყაუხჩიშვილის სიტყვით, „ეს პარალელიზმი მოჩვენებითია". ისტორიული ამბებისა და მეფეთა ცხოვრების ცალკეულ დეტალებს ორივე ავტორი სულ სხვადასხვანაირად გადმოგვცემს და ამდენად, „ამ ორი ისტორიკოსის მონათხრობი ერთმანეთს ავსებს". ზემოთ, თამარის პირველი ქორწინების ამბავს რომ ვყვებოდით, ალბათ შენიშნეთ კიდეც გადმოცემული დეტალების სხვაობა და იმასაც დააკვირდით, რომ ისინი მართლაც კარგად ავსებენ ერთმანეთს, საშუალებას გვაძლევენ, სასურველი თვალსაჩინოებით გავაცოცხლოთ წარსულის სურათი.

როცა ორი თხზულების ცალკეული დეტალებით ერთმანეთის შევსებაზე ვლაპარაკობთ, ერთი საინტერესო ფაქტიც უნდა ვახსენოთ.

ალბათ, გახსოვთ, პირველ წიგნში ლაპარაკი გექონდა იმაზე, რომ მეთვრამეტე საუკუნეში ვახტანგ მეექვსის თაოსნობით „სწავლულმა კაცებმა" რედაქცია გაუკეთეს „ქართლის ცხოვრების" სხვადასხვა ვარიანტებს, შეავსეს და დახვეწეს ისინი. საინტერესო სწორედ ის არის, რომ თამარის ისტორიის ეს ორი თხზულება მათ გაუერთიანებიათ, თხზულებათა ცალკეული ფრაზებით ერთმანეთი შეუვსიათ და „ქართლის ცხოვრების" კრებულში ერთ მოთხრობად შეუტანიათ. ასეთი შერწყმის დროს, ზოგი ფრაზა — რაც აშკარა პარალელიზმსა ქმნიდა — ახლად შედგენილი თხზულებიდან სულაც ამოვარდნილა. ამგვარად, ჩვენ რომ საშუალება არ მოგვცემოდა, ცალ-ცალკეც გვეხილა ეს თხზულებანი და მხოლოდ ვახტანგისეული რედაქცია გვქონოდა ხელთ, გვეგონებოდა, თითქოს თავიდანვე ერთი ნაწარმოები ყოფილიყოს.

საბედნიეროდ, ამ თხზულებათა ძველი ხელნაწერებიც აღმოჩნდა. თუ გახსოვთ, ზემოთ ისიც ითქვა, რომ ვახტანგის ეპოქის კარგა ხნის შემდეგ, აგერ, მეცხრამეტე საუკუნის დასასრულისათვის, როცა ძველი წყაროები აღარსად ჩანდა და მკითხველს ხელთ ჰქონდა მხოლოდ „ქართლის ცხოვრების" ვახტანგისეული რედაქცია, კანტიკუნტად ისევ აღმოჩნდა ამ დიდებული ძეგლების ძველი ხელნაწერები. ასე მოხდა ამ კონკრეტულ შემთხვევაშიაც. თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულება „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" იპოვეს 1884 წელს, ხოლო მეორე — „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი", როგორც უკვე ითქვა, 1923 წელს აღმოაჩინა ივანე ჯავახიშვილმა ე. წ. ჭალაშვილისეულ ხელნაწერში.

რაკიღა ბედზე ორივე თხზულება პირვანდელი სახით აღმოჩნდა, ახლა, ჩვეულებრივ, ცალ-ცალკე იბეჭდება ისინი და არა ისე შეერთებულ-შერწყმული, როგორც ვახტანგისეულ რედაქციაში იყო; ასევე ცალ-ცალკეა ეს ორი თხზულება წარმოდგენილი „ქართლის ცხოვრების" სიმონ ყაუხჩიშვილისეულ გამოცემაში. მკვლევარსა და დაინტერესებულ მკითხველს თავად შეუძლია თხზულებათა სასურველი შეერთება, სხვადასხვა დეტალების შერწყმით ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის უფრო სრულად გაცოცხლება.

ამ ორ ნაწარმოებს გარდა, არსებობს კიდევ ერთი თხზულება ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანისა, რომელიც ძალიან ზოგადად და შეკუმშულად, სულ რამდენიმე აბზაცით გადმოგვცემს

თამარ მეფის ცხოვრებას და ფაქტიურად ახალსა და მნიშვნელოვანს არაფერს შეიცავს; იმიტომაც მთავარ თხზულებებთან ერთად არ დაგვისახელებია. ეს ნაწარმოები, რაღა თქმა უნდა, „ქართლის ცხოვრების“ ყაუხჩიშვილისეულ გამოცემაშიც არის შესული.

და ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთი საკითხი, ვფიქრობ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება.

მეთვრამეტე საუკუნის ქართველი მოღვაწის ანტონ კათალიკოსის ცნობით, შოთა რუსთაველს ჰქონია ისტორიული თხზულება, სადაც თამარ მეფის ცხოვრება და მოღვაწეობა ყოფილა აღწერილი. ანტონ კათალიკოსი პირდაპირ ასახელებს შოთა რუსთაველს, როგორც „გამომთქმელს მეფის თამარის ცხოვრებისასა“...

საინტერესოა, არა?! შოთა რუსთაველს ჩვენ მხოლოდ „ვეფხის-ტყაოსნით“ ვიცნობთ, სხვა ნაწარმოებს ჩვენამდე არაფერს მოულწევია. არადა, შეუძლებელია, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს სხვა არაფერი ჰქონდეს დაწერილი. მით უფრო საინტერესოა ანტონ კათალიკოსის ცნობა. მას უსათუოდ საფუძველი ჰქონდა, როცა ამას წერდა. იქნებ რუსთაველის ისტორიული თხზულებაც ხელთ ეპყრა და მერე დაიკარგა. ან იქნებ იმ ორ დიდ ისტორიულ თხზულებათაგან, რომლებიც ასე დაწვრილებით და საინტერესოდ გადმოგვცემენ თამარის ცხოვრებას, ერთ-ერთი, სწორედ რუსთაველისა იყოს! მით უმეტეს, რომ არც ერთი თხზულების ავტორი ცნობილი არ არის — არც „ისტორიანისა და აზმანისა“ და არც მეორესი. მართალია, მეორე თხზულების ავტორად ბასილი ეზოსმოძღვარსა წერენ, მაგრამ ეს მხოლოდ პირობითია: თვით აღმომჩენმა ამ თხზულებისა, ივანე ჯავახიშვილმა ივარაუდა, იქნებ თხზულებაშივე მოხსენებული პირი ბასილი ეზოსმოძღვარი იყოს ავტორიო. სხვა საბუთი არ მოიპოვება.

მაშ, იქნებ მართლაც რომელიმე ამ თხზულებათაგანი შოთა რუსთაველს ეკუთვნოდეს!

რაკი სხვა არავითარი დამადასტურებელი საბუთი არ მოგვეპოვება, ცთუნება დიდია, თხზულებათა მრავალმხრივი ანალიზის მიხედვით სცადო დადგენა, ერთ-ერთი მათგანი მართლა ხომ არ შეიძლება რუსთაველისად ჩავთვალოთ. სცადეს კიდეც, თითქმის მოახდინეს ასეთი ანალიზი: ზოგიერთ მკვლევარს „ისტორიანი და აზმანი“ მიაჩნია რუსთაველისად, ზოგს კიდევ, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“.

მეცნიერთა ფართო წრეებში ვერც ერთმა მოსაზრებამ მხარდაჭერა ვერ პოვა და გამოთქმული ვარაუდები ვარაუდებად დარჩა. შეიძლებოდა აქვე დაგვემთავრებინა ჩვენი მოკლე ინფორმაცია, მაგრამ ასე თუ ისე სრული წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, მაინც უნდა დავუბრუნდე.

საკითხს განსაკუთრებით საინტერესოს ისა ხდის, რომ ანტონ კათალიკოსს ციტატაც კი მოაქვს რუსთაველის საისტორიო თხზულებიდან... ეს თითქოს აადვილებს საქმეს: თუკი ანტონ კათალიკოსის რუსთაველისად მოტანილი რამდენიმე სტრიქონი ერთ-ერთ ამ ისტორიულ თხზულებაშიაც აღმოჩნდება, მაშინ იქნებ ბევრი ჭოჭმანი აღარც იყოს საჭირო, რომ სწორედ ეს ნაწარმოები მივიჩნიოთ რუსთაველისად. სხვათა შორის, მიაგნეს კიდეც და ნახეს, რომ ანტონ კათალიკოსის მიერ მოტანილი ციტატი ზუსტად ემთხვევა ერთ აბზაცს თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულებაში. მაშ, საკამათოც თითქოს აღარაფერი უნდა იყოს, ეჭვს აღარაფერი უნდა იწვევდეს, თითქოს ყოველგვარი უფლება უნდა გექონდეს, ამ თხზულების ავტორად შოთა რუსთაველი მივიჩნიოთ. თითქოს სამართლიანობაც აქეთკენ მოგვიწოდებს!

მაგრამ ასე მარტივად არ არის საქმე. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში პროფესორმა ალექსანდრე ცაგარელმა, რომელმაც პირველმა მიაქცია ყურადღება ანტონ კათალიკოსის სიტყვებს რუსთაველის საისტორიო თხზულების შესახებ, ორი ნაწარმოების („ვეფხისტყაოსნისა“ და ანტონ კათალიკოსის მიერ მოტანილი ციტატის) სტილური ანალიზის საფუძველზე გადაჭრით განაცხადა, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი შეუძლებელია იმ ციტატის ავტორიც იყოსო. ამის შემდეგ დიდხანს აღარავის მიუქცევია ამისთვის ყურადღება და საკითხი თითქოს დავიწყებას მიეცა.

როგორც ზემოთ ითქვა, იმდენად დიდია სურვილი, როგორმე მიაგნო რუსთაველის სხვა თხზულებასაც, რომ ბუნებრივია, საქმე საბოლოო დავიწყებას არ მიეცემოდა და ამ საკითხით მეცნიერთა ახალი თაობებიც დაინტერესდებოდნენ. მაგალითად, პროფესორ კონსტანტინე გრიგოლიას წიგნს მეტად მაცთუნებელი სათაური აქვს — „თამარის კიდევ ერთი მემატიანე-ისტორიკოსი“. აქ მოკლედ გადმოგცემთ მკვლევარის მოსაზრებას, რასაც იგი ამ წიგნში გვთავაზობს.

როგორც უკვე ითქვა, ანტონ კათალიკოსის მიერ რუსთაველისად მიჩნეული ციტატა დაემთხვა თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულების ერთ აბზაცს. მაგრამ ეს აბაზაცი გვხვდება თხზულების ბოლო ნაწილში, რაც, თავისთავად საეჭვოა, თხზულების შემადგენელი ნაწილი იყოს. ნაწარმოებს ფაქტიურად აქვს ერთი ლოგიკური დასასრული, ეს ნაწილი კი ხელოვნურად არის მიბმული და როცა კითხულობ („ქართლის ცხოვრების" სიმონ ყაუხჩიშვილისეულ გამოცემაში მას სულ სამი თუ სამნახევარი გვერდი უჭირავს), ამ უხერხულობას აშკარად გრძნობ: კომპოზიციურად ერთხელ უკვე დასრულებულ ნაწარმოებს მეორე, ახალი დასასრული აქვს მიკერებული. ტექსტის საფუძვლიანი ანალიზის მიხედვით, მას ვერც პირველ თხზულებას („ისტორიანი და აზმანი") მიაკუთვნებ. იგი რომელიღაც დღემდე უცნობი თხზულების ბოლო ნაწილი უნდა იყოს. ძირითადი ნაწილი თხზულებისა დაკარგულია, გადარჩენილა ეს ბოლო ნაწილი, რომელიც ამჟამად, როგორც ითქვა, ბასილი ეზოსმოძღვარის თხზულებას აქვს მიბმული. მეცნიერის აზრით, ეს არის სწორედ შოთა რუსთაველის აწ დაკარგული თხზულების დასასრული. წიგნში მოცემულია ამ გადარჩენილი ნაწილის საფუძვლიანი ანალიზი, რის მიხედვითაც ავტორი მთელი ნაწარმოების სავარაუდო აღნაგობასა და ხასიათსაც გვთავაზობს. მკითხველი ბევრ საინტერესო მასალასა და მოსაზრებას იპოვის ამ წიგნში.

ამით დავამთავროთ საუბარი თამარის ისტორიკოსებისა და მათი თხზულებების შესახებ და ისევ ჩვენს ამბავს დავუბრუნდეთ.

●

სულ ორი თუ ორნახევარი წელიწადი იყო გიორგი უფლისწული საქართველოში და ამ ხნის განმავლობაში ქართველებს რამდენიმე ბრძოლა მოუხდათ მტრის წინააღმდეგ. მემატიანე ჩამოგვითვლის და მოკლედ აგვიწერს ამ ბრძოლებს. ზოგი ბრძოლა შედარებით ფართო მასშტაბისა ყოფილა, ზოგი უფრო მცირე. ჩვენ აღარ მოვყვებით მათ ჩამოთვლას. ისღა შევნიშნოთ, რომ ზოგიერთ ბრძოლაში მეფის მხედრობას უფლისწული გიორგი სარდლობდა. დაახლოებით იმავე ხანებში, როცა უფლისწული გიორგი გააძევეს საქართველოდან — ესე იგი 1187 წელს — სამეფო კარზე მნიშვნელოვანი ის მოხდა, რომ

სარგის მხარგრძელი გარდაიცვალა და ამირსპასალარობა თამარმა უბოძა გამრეკელ-თორელს, რომელიც სარგისის სიცოცხლეში ამირახორი იყო (გაიხსენეთ: „დიდი გამრეკელიო", ასე მოიხსენიებს მას სტეფანოზ ორბელიანი).

სხვა მნიშვნელოვანი თითქოს არაფერი მომხდარა ქვეყნის საშინაო ცხოვრებაში. სამეფო დაწყნარებულია, გულში რა ცეცხლი უტრიალებთ დიდებულებს, ეს ჩვენ არ ვიცით, მაგრამ საჯაროდ მეფის წინააღმდეგ გამოსელას ჯერჯერობით ვერავინ ბედავს, ყველა დარწმუნდა, რომ ახალგაზრდა ქალი-მეფე მტკიცე და ჭკვიანი გამგებელი იყო.

სამეფო დაწყნარებული იყოო, ვთქვით, თუმცა ამას ერთგვარი განმარტება მაინც სჭირდება. აქ იმას ვგულისხმობთ, რომ მეფის წინააღმდეგ გამოსელა აღარაფის გაუბედავს, თითქოს ყველა შეეგუა თავის ბედს. მაგრამ სამეფო კარი მოსვენებული მაინც არ ყოფილა. უმემკვიდრეობისა და მხედრობის უწინამძღვრობის საკითხი კვლავ მწვავედ დადგა და იგი თითქმის ერთნაირად აწუხებდა მეფის ერთგულებსაც და იმათაც, ვინც დიდი ერთგულებით არ გამოირჩეოდა და შესაფერ დროსღა ელოდა, რომ თავისი უკმაყოფილება გამოემჟღავნებინა.

მოდიოდნენ და მოდიოდნენ სხვადასხვა ქვეყნებიდან ხელისმთხოვნელები — წარჩინებული და მდიდარი უფლისწულები და დიდგვარიანები. შექსპირის ერთი პიესისა არ იყოს, ვეღარც კი ასწრებდნენ ერთი მთხოვნელისთვის მიეხურათ კარი, რომ ჭიშკართან ხელად მეორე გამოჩნდებოდა — დიდი ამალითა და ნაირ-ნაირი საჩუქრებით ხელდამშვენებული.

თამარის სახელი უკვე შორს გავარდნილიყო; ყველასთვის სასურველი გამხდარიყო მასთან დაქორწინება, და არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ მისი თანამეცხედრე ამავე დროს ძლიერი ქვეყნის თანაგამგებელი იქნებოდა. მაპმადიანი უფლისწულები მზად იყვნენ, თავიანთი რჯული დაეგმოთ და ქრისტეს რჯულზე მოქცეულიყვნენ, მემატიანე ჩამოთვლის და გვიხასიათებს თამარის ხელისმთხოვნელ უფლისწულებს, კონკრეტულადაც აგვიწერს ვითარებას — როგორ მოვიდნენ საქართველოს სამეფო კარზე, აქ როგორ მიიღეს და შემდეგ როგორ გაისტუმრეს, ზოგი საესებით უნუგეშოდ და ზოგიც ნაწილობრივ ნუგეშცემული.

ალბათ, გაგიკვირდათ, ნაწილობრივ ნუგეშისცემა რას ნიშნავსო, და ამ ერთ ფაქტს ბარემ გიამბობთ.

ჩვენთვის უკვე ცნობილი კარინის ამირის საკდუხის შვილიშვილმა მუტაფრადინმა გულში მტკიცედ ამოიჭრა თამართან დაქორწინება. და, რაკი გაგონილი ჰქონდა, სხვა რჯულისას ქართველი მეფე არ შეირთავსო, გადაწყვიტა, დაეთმო თავისი რჯული; სხვა სიფრთხილეც იხმარა — შუამავლებს არ ანდო ეს სერიოზული საქმე და თვითონვე მოვიდა ხელის სათხოვნელად. მაგრამ მოსვლასაც გააჩნია, მოვიდა ისე, როგორც დიდსა და ძლევამოსილ მბრძანებელს შეეფერება — „თვისით დიდითა ლაშქრითა, მრავლითა დიდებულითა, ხოჯაებითა და საჭურისითა, მონებითა და მხეელითა, ბარგითა და სიმდიდრითა, სახელმწიფოთა ძღუნითა კმასაყოფინელითა, თუალისა და მარგალიტისა, საჭურჭლეთა და ლართა თანა ავაზებისა და ტაიჭებისა სიმრავლითა“...

ხედავთ, რა ამბით მოსულა?! ამისთანა კაცის სტუმრობას ეხუმრებით!

სხვათა შორის, მემატიანე აქ ირონიით შენიშნავს — ამისი პაპა სალდუხ ეზდინი თამარის სახელოვანმა პაპა დემეტრემ ძლივს შეიპყრო და მოიყვანა („...ძალითა და ღუაწლთა სიმრავლითა ხელთეგდო და მოეყვანა“), ახლა კი, აგერ, რა ხდებაო. უდროო დროს გაუხსენა სასიძოს პაპის მწარე თავგადასავალი.

ერთი სიტყვით, სათანადოდ დახვდნენ წარჩინებულ ხელისმთხოვნელს, რომელმაც თამარს „ნახვასავე თანა რამინისებრი აჩუენა ცრემლთა ნაკადთ-მრავლობა“...

რაკიღა რამინს ადარებს, მემატიანე კარგად მიგვანიშნებს, რამდენი ცრემლი უღვრია მაპმადიან უფლისწულს.

შემოდგომა იწურებოდა, როცა უფლისწული მოვიდა ხელის სათხოვნელად. ამ დიდებულ მასპინძლობასა და ლხინში ზამთარიც გავიდა. ოღონდ ზამთარში ქვეყნის სამხრეთით წაუყვანიათ სტუმარი, რომ სიცივეს არ შეეწუხებინა. ადვილი წარმოსადგენია, როგორ გაუმასპინძლდებოდნენ იმ კუთხეებში და სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. გაილია ზამთარიც და გაზაფხულზე უკვე ქვემო კახეთისა და რანის სანადირო ადგილები უჩვენებიათ საპატიო სტუმრისთვის. ეს ადგილებიც დიდად მოსწონებია სალდუხის შვილიშვილს...

ძნელი სათქმელია, ამ გაუთავებელი სტუმრობის დროს ჩაესახა თუ არა გულში თამარის შერთვის იმედი ახალგაზრდა მუტაფრადინს, თამარსა და მის ახლობლებს კი, როგორც შემდეგ გამოირკვა, სერიოზულად არც უფიქრიათ მისი სიძობა.

მაგრამ, როგორც ეტყობა, სტუმარი არა ჩქარობდა და მასპინძლები ხომ არ გააგდებდნენ. და მხოლოდ მაშინ, როცა კახეთიდან ისევ თბილისს მობრუნდნენ, ხელისმთხოვნელი უფლისწული მიხვდა, რომ დაიწუნეს — „შემოსრულთა ქალაქად სამეფოდ დაამხუეს ქედმაღლობა ტრფიალისა მისისაო“, მემატიანე წერს.

და ნაწილობრივი ნუგეშისცემის ამბავიც ახლა იწყება.

თამარს ერთი ნახევარი და ჰყავდა, გიორგი მესამის უკანონო შვილი — „ხარჭთაგანისა ნაშობი, რეცა სახელდებული შვილად მეფისა“, და თამარის ნაცვლად ეს ქალი შესთავაზეს ხელისმთხოვნელ უფლისწულს. ესეც ხომ მეფის შვილია, ბოლოს და ბოლოს, თამარის დააო, უთხრეს. „ქედმაღლობა დამხობილ“ მუტაფრადინსაც, ეტყობა, ჭკუაში დაუჯდა. დაყაბულდა. თამარის ნახევარ-და შერთეს ცოლად, „გარდაიხადეს ქორწილი სახელოანი. შემოსასა თანა მრავალ-მრავალსა უბოძნეს ცხენნი და აკაზმულობანი სხუათა საქონელთა და სიმდიდრეთა თანა და ლართა და წარგზავნეს თეისად საყოფლად არზრუმად“.

ისედაც გაგვიგრძელდა სიტყვა და სხვა ხელისმთხოვნელთა ამბავს დაწვრილებით აღარ გიამბობთ.

როგორც ხშირად ხდება ხოლმე, შორს ეძებდნენ და იქვე თვალწინ კი ვეღარ შენიშნეს.

ზემოთ ერთგან რუსუდანის გაზრდილი ყმაწვილი კაცი ვახსენეთ. ეს იყო დავით სოსლანი, ოსი უფლისწული, ყოველმხრივ შემკული ჭაბუკი და აქამდე არავის მოჰგონებია, რომ თამარის ქმრად ყველაზე სასურველი სწორედ ეს ახალგაზრდა კაცი იქნებოდა. შთამომავლობით იგი მეფის გვარისა იყო — დედის მხრითაც და მამის მხრითაც („ორთავე კერძოთა გუართაგან სახელმწიფო“), თანაც ბაგრატიონების შთამომავალი დედითაც და მამითაც. რუსუდანის სახლშიაც სწორედ ამიტომ იზრდებოდა. რუსუდანის ერთი მამიდა ხომ ოსეთის მეფეს მიათხოვა დავით აღმაშენებელმა. სწორედ იმ ქალის შთამომავალი იყო დავით სოსლანი — მისი შვილიშვილის შვილი გახლდათ.

მკითხველისთვის ალბათ საინტერესო იქნება, ვნახოთ, როგორღა იყო იგი მამით ბაგრატიონების შთამომავალი.

ცოტათი უკან დავიხიოთ და გავიხსენოთ გიორგი პირველის შვილი ოსი ქალისგან (თუ გახსოვთ, ჩვენ იმ ქალის სახელიც ვიცით — ალდე), ბაგრატ მეოთხის ნახევარ-ძმა დემეტრე. იგი ტახტს ეცილებოდა ბაგრატ მეოთხეს. რაკი საკუთარი ძალებით ვერ

მოახერხა ტახტის წართმევა, ბიზანტიაში გაიქცა, დაუკავშირდა ლიპარიტ ბაღვაშს და ახლა ბაღვაშის აქტიური ხელშეწყობითა და ბიზანტიის იმპერატორის მხარდაჭერით სცადა ბედი...

რა მოუვიდა ტახტისმაძიებელ უფლისწულს, ეს ჩვენ უკვე ვიცით და ალარ გავიმეორებ.

ბიზანტიაში რომ გაიქცა დემეტრე, აქ შვილი დარჩა, სახელად დავითი. ეს დავითი ბებიამ (ოსის ქალმა ალდემ) ოსეთში წაიყვანა და იქ ოსთა მეფის ასულზე დააქორწინა.

თვალსაჩინოებისთვის სქემა მოვხაზოთ:



დავით სოსლანი ღირსეული ჭაბუკი იყო, ყოველმხრივ შემკული — განათლებული, დარბაისელი, ჩინებული მეომარი და მონადირე... სამეფო კარზე იზრდებოდა ყველას თვალწინ და ცოტად თუ ბევრად ყველა იცნობდა. იმ დროს ასპარეზობანი ხშირად იმართებოდა ხოლმე და ხედავდნენ, როგორ გამოირჩეოდა ეს ჭაბუკი მოასპარეზე რაინდთა შორის... ყველასა სჯობდაო, მემატიანე წერს, „ყოველსა მშვილდოსანსა, ცხენოსანსა და მცურავსა, მოასპარეზესა, მწიგნობარსა და ყოველსა ნასწავლსა ხელთა სიკეთითა“...

რაკი ერთხელ დაასახელეს ეს დიდებული ჭაბუკი თამარის საქმროდ, მერე სხვა აღარავინ უძებნიათ, ყველამ მოიწონა და ყველა გახარებული იყო. მიუხედავად ამისა, გასაკვირი სულაც არ არის, რომ პირველი მწარე გაკვეთილის შემდეგ მეტი სიფრთხილით მოქცეულიყვნენ. ისე აღარ აჩქარებულიყვნენ... ალბათ დარბაზის სხდომაზეც საგანგებოდ იმსჯელეს, ყოველმხრივ აწონ-დაწონეს საქმე, ყველაფერი კარგად გაითვალისწინეს და გადაწყვიტეს, თავიანთი აზრი თამარისთვის მოეხსენებინათ.

ოღონდ პირდაპირ ვეღარ ჰკადრეს; იმ პირველი შემთხვევის შემდეგ, როცა თითქმის ძალით დააქორწინეს გიორგი უფლისწულზე, დარცხვენილები იყვნენ; ახლა რუსუდან დედოფალსა სთხოვეს, ძმისშვილს მოლაპარაკებოდა.

რა ვითარებაში მოხდა ეს მოლაპარაკება, ცნობილი არ არის, ვიცით მხოლოდ, რომ თამარი თანახმა გახდა. ეახლნენ რუსუდანს დიდებულები („იმერნი და ამერნიო“, საგანგებოდ გვაუწყებს მემატიანე), წამოიყვანეს დედოფალი და მისი გაზრდილი ოსი უფლისწული (ეტყობა, სამშვილდეში იყო რუსუდანის რეზიდენცია და იქიდან წამოიყვანდნენ) და დიდუბეში დააქორწინეს თამარი და დავით სოსლანი — „მუნ („სრასა დიდუბისასა“) ქმნეს ქორწილი შესატყვისი და შემსგავსებული ხელმწიფობისა და სახელზეობისა მათისა“.

ეს იყო 1189 წელს.

ზემოთ ითქვა, დავით სოსლანზე თამარის დაქორწინებას ყველამ დაუჭირა მხარი, სამეფო კარზე ყველამ მოიწონაო.

გარეგნულად მართლაც ასე ჩანდა. ყველა გახარებული იყო. ანკი რა გასაკვირია — მეფის ერთგული ყველა დიდებული ჭეშმარიტად გახარებული უნდა ყოფილიყო. მოსალოდნელი დიდი ბრძოლების დროს მხედრობას ღირსეული სარდალი გამოუჩნდა, და ქვეყნის შიგნითაც ამ ქორწინების შემდეგ თამარის პოზიცია კიდევ

უფრო განმტკიცდებოდა — ახალგაზრდა მეფე-ქალს უკვე ძლიერი მხარდამჭერი გაუჩნდა...

ერთი სიტყვით, თითქოს კელავ დაწყნარდა და დაშოშმინდა ქვეყანა, თითქოს ყველა გახარებულია თამარის ქორწინებით და მდგომარეობაც ახალგაზრდა მეფისა ახლა გაცილებით უფრო მტკიცე და მყარია, ისე ადვილად ველარავინ უნდა გაბედოს ურჩობა და თვითნებობა...

მაგრამ გავიდა რამდენიმე ხანი და აშკარა გახდა, რომ ის სიმშვიდე და ურთიერთ კეთილგანწყობილება, რაც თითქოს სამეფო კარზე სუფევდა, მოჩვენებითი ყოფილა. მდგომარეობა, ეტყობა, თანდათან იძაბებოდა და მალე იფეთქა კიდეც. ახალმა დიდმა ამბოხებამ იფეთქა.

როგორც ზემოთ ვნახეთ, მემატიანეები კონკრეტულად ასახელებენ რუსი უფლისწულის გაძევების მიზეზებს და ეს მიზეზები მხოლოდ ზნეობრივ მხარეს განეკუთვნება. ბოლო დროს გამოითქვა მოსაზრება, რომ ნამდვილი მიზეზი გიორგი უფლისწულის გაძევებისა იყო არა ის, — ან არა მარტო ის, — რასაც მემატიანეები ასახელებენ, არამედ უფრო ღრმა პოლიტიკური საკითხები; სამეფო კარზე აშკარად შინაბრძოლები იყო, თამარსა და მის მომხრე დიდებულებს დაუპირისპირდნენ სხვა პოლიტიკური ჯგუფები, მათ გამოიყენეს გიორგი უფლისწული (ზოგი მკვლევარის ვარაუდით, თავიდანვე რუსი უფლისწულის მოწვევაც მათი თაოსნობით მოხდა) და ფარული ბრძოლა გააჩაღეს. თამარმა გაიგო ყველაფერი და ის-იყო, უფლისწული გააძევეს, ოპოზიციას დასაყრდენი მოუსპეს.

დაახლოებით ასეთია მოსაზრება, რასაც ისტორიკოსთა ერთი ჯგუფი გვთავაზობს.

ამრიგად, ამ ვარაუდის მიხედვით, რუსი უფლისწული თამარის მოწინააღმდეგეთა ბანაკში აღმოჩნდა.

ძნელი სათქმელია, სინამდვილესთან რამდენად ახლოა ეს ვარაუდი, მაგრამ მისი ავტორები უმთავრესად ეყრდნობიან იმ საგულისხმო მოვლენებს, რაც თამარის მეორე ქორწინებას მოჰყვა.

ახალმა ამბოხებამ იფეთქაო, ვთქვით — ამ ამბოხების გულში სწორედ საქართველოდან ბიზანტიაში გაძევებული გიორგი უფლისწული აღმოჩნდა.

ზემოთ ითქვა, როცა მემატიანე სამშვილდიდან რუსუდან დედოფლისა და დავით სოსლანის წამოყვანის ამბავს გადმოგვცემს, თითქოს საგანგებოდ აღნიშნავს: მათ დიდებულები — „ი მ ე რ ნ ი

და ა მ ე რ ნ ი“ — ეახლნენ და წამოიყვანესო, თითქოს რაღაცას ხაზს უსვამსო. თუმცა ეს „ხაზგასმა“ ისე თვალშისაცემი როდია. იქნებ არც მიგვექცია ყურადღება, მომდევნო მოვლენების მიხედვით რომ არ ირკვეოდეს: ერთ-ერთი მხარის დიდებულები თურმე გულწრფელნი არა ყოფილან, როცა, თითქოს გახარებულებს, თამარის საქმრო დიდუბეში მოპყავდათ საქორწინოდ.

დიდი ხანი აღარ გასულა ამის შემდეგ და „იმერი“ დიდებულები, ყველანი გამოუკლებლივ, გადაუდგნენ თამარს და დიდი, საშიში ამბოხება მოაწყვეს. იმიტომაც მოგვეჩვენა მემატიანის შენიშვნა ირონიულ მინიშნებად, როცა იგი ამ დიდი ამბოხების წინა ამბებს გადმოგვცემს; როცა აგვიწერს, როგორი გახარებულები იყვნენ იმერი და ამერი დიდებულები თამარის მეორე ქორწინებით.

●

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ქვეყნის ერთ-ერთ დიდსა და გავლენიან ვაზირს, მსახურთუხუცეს ვარდან დადიანსა და მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალს, რომლის სახელსაც მემატიანე არ გადმოგვცემს (სახელს არ გადმოგვცემს, მაგრამ დახასიათებას ძალიან მკაცრს გვაძლევს: „სჯულითა ბარბაროზი და ქცევითა ტარტაროზი“ იყოო) რაღაც სახელმწიფოებრივი საქმე მოუმიზეზებიათ და თითქმის ერთდროულად ერთი იმერეთში გამგზავრებულა, გეგუთს, ხოლო მეორე — სამხრეთით, კარნუ ქალაქს ანუ არზრუმს. არ ვიცი, რა საქმეები მოიმიზეზეს, როცა მიემგზავრებოდნენ, მაგრამ სინამდვილეში ერთი საიდუმლო საქმის გამო წავიდნენ.

ეტყობა, წინასწარ იყვნენ შეთანხმებულები და, ჩავიდა თუ არა მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალი კარნუ-ქალაქს, იქვე კონსტანტინოპოლიდან გიორგი რუსიც მოვიდა. და მაშინვე დაიწყეს მოლაპარაკება.

თუმცა მოსალაპარაკებელი ბევრი არაფერი იყო. ყველაფერი გარკვეული და გადაწყვეტილი ჰქონდათ: ქვეყნიდან ამას წინათ გაძევებული გიორგი რუსი საქართველოს სამეფო ტახტზე უნდა აეყვანათ.

ეს ერთი საკითხი გახლდათ მათი საიდუმლო მოლაპარაკების თემა და საგანი. და, როგორც ეხედავთ, სათქმელად ძნელი არც არის. ეტყობა, არც გაძნელებიათ მოლაპარაკება. ყველაფერზე ადვილად შეთანხმებულან. ამბოხებული დიდებულები გიორგის გაამეფებდნენ

და, სამაგიეროდ, დიდებულთაგან ასე დაეალებული ახალი მეფეც წყალობას არ დაიშურებდა. ოღონდ უნდა ვიფიქროთ, მარტო მეფეს არ მიანდობდნენ ამ წყალობის განსაზღვრას, თავიდანვე შეთანხმდებოდნენ და კონკრეტულად განსაზღვრავდნენ, საგანგებოდ ჩამოაყალიბებდნენ, ასეთი რისკისა და კანონიერი მეფის ღალატის საფასურად, ვის რა უნდა რგებოდა.

ამგვარად, დიდებულები რას შეპირდნენ დევნილ უფლისწულს, ეს უკვე ვიცით; სამწუხაროდ, ის არ არის ცნობილი, უფლისწული რითი გადაიხდიდა სამაგიეროს მას შემდეგ, როცა მას საქართველოს სამეფო ტახტზე აიყვანდნენ. შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ ეს ჯილდოებიც გულუხვი იქნებოდა, მეფე აღზევებას შეპირდებოდა მათ, ახალ კუთხეებსა და ქალაქებს მიუბოძებდა... შეპირებაზე ადვილი რა არის — ან დიდებულები რას კარგავდნენ და ან დევნილი უფლისწული რას დაკარგავდა.

ერთი სიტყვით, ყველაფერზე ადვილად შეთანხმდნენ. სულ სხვა საქმეა, რამდენად ადვილად მოახერხებდნენ ამ გეგმის შესრულებას. თუმცა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ისეთი დიდი მასშტაბისა იყო შეთქმულება, ისე ფართო და ერცელ გეოგრაფიულ არეს მოიცავდა, რომ შეთქმულების მეთაურებს სარისკოდ და საალალბედოდ თავიდანვე არ დაუსახავთ საქმე, გამარჯვება გარდაუვლად მიაჩნდათ.

ახლა ვნახოთ, როგორ წარიმართა შეთქმულთა გეგმები და საერთოდ მოვლენები. ოღონდ ახლავე შევნიშნოთ: რაკი თამარი უკვე მეორედ დაქორწინებული იყო და ქმარი ჰყავდა, თავისთავად ცხადია, შეთქმულები არ გულისხმობდნენ რუსი უფლისწულის იმავე მდგომარეობაში დაბრუნებას, რაც მას იმ ორი წლის წინათ ჰქონდა. ალბათ ნავარაუდევი იყო მეფის ტახტიდან გადმოგდება, რაც თავისთავად ძველი სამეფო დინასტიის შეცვლას ნიშნავდა და უდიდესი მოვლენა იყო.

შეუნარჩუნებდნენ თუ არა გიორგი უფლისწულს ტახტს გამარჯვებისა და თამარის მეფობიდან გადაყენების შემდეგ, ეს ცნობილი არ არის, ისე კი შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ, როცა სამაგიერო ჯილდოებს მიიღებდნენ ახალი მეფისაგან — ანუ „მეფე-საგინებელისაგან", როგორც არცთუ უირონიოდ უწოდებს მას მემატიანე, — დიდხანს აღარ გააჩერებდნენ ტახტზე. ეს ხომ დიდგვარიან დიდებულთა ერთი დიდი ჯგუფის გამოსვლა იყო და მეფეს მერე ალბათ უფრო დამშვიდებით შეარჩევდნენ.

ახლა მთავარი იყო გამარჯვება, თამარისა და მისი მხარდამჭერი

დიდებულების ერთხელ და საბოლოოდ დამარცხება და განადგურება. გიორგი უფლისწული მათ ახლა გამოიყენეს მხოლოდ. ესეც, სხვათა შორის, ნიადაგს უმაგრებს იმ მოსაზრების აეტორებს, რომელთაც გიორგი უფლისწულის გაძევების ნამდვილ მიზეზად პოლიტიკური ბრძოლები მიაჩნიათ და არა მხოლოდ და არა იმდენად ზნეობრივი საკითხი... მარტო ზნეობრივი მხარე რომ ყოფილიყო, ახლა ასე ადვილად და ასე აშკარად ვეღარ გამოიყვანდნენ სახელგატეხილ უფლისწულს, ისეთი ფართო მხარდაჭერა არ ექნებოდა შეთქმულებას.

მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალი რომ კარნუ-ქალაქისკენ გაემგზავრა, გზადაგზა, ეტყობა, მთელი სამხრეთ საქართველოს დიდებულებს ჩამოუარა და მოელაპარაკა. მიიმხრო. შეთქმულთა შორის აღმოჩნდნენ: გუზანი „პატრონი კლარჯეთისა და შავშეთისა“, რომელსაც ფაქტიურად ძველისძველ ტაოელ მეფეთა ადგილი ეჭირა; სამცხის სპასალარი ბოცო, „სხვათა მესხითა დიდებულ-აზნაურითურთ“... ესე იგი, მთელი სამხრეთი საქართველო, მისი დიდი მხედრობა, რადგან, თავისთავად იგულისხმება, ამ აზნაურ-დიდებულებს თავიანთი ჯარი გამოპყავდათ.

მხოლოდ ერთი დიდებული აღმოჩნდა სამხრეთელ დიდგვარიანთა შორის, რომელმაც საქართველოს კანონიერ მეფეს უერთგულა და მეტად საეჭვო ღალატის გზას არ დაადგა. ეს დიდებული გახლდათ ივანე ციხისჯვარელი, იგივე ყვარყვარე, იმ სულას შთამომავალი, რომელმაც ერთ დროს ასევე პირნათლად უერთგულა თამარის შორეულ წინაპარს ბაგრატ მეოთხეს ლიპარიტ ბაღვაშის წინააღმდეგ.

ეს იყო ერთი ჯგუფი შეთქმულებისა, სამხრეთ საქართველოს დიდებულები, რომელთა შეთქმულებაში ჩათრევა, ეტყობა, მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალს ჰქონდა დავალებული.

მეორე უფრო დიდი ნაწილი კი, მთელი ლიხთიქითა საქართველო გახლდათ და იქაურ დიდებულთა გამოსაყვანად, როგორც ვნახეთ, მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი გაემგზავრა.

ვარდან დადიანზე რომ ვთქვით, დიდად გავლენიანი იყოო, იმას ვგულისხმობდით, რომ მთელი დასავლეთი საქართველო „ნიკოფსამდის“, აგრეთვე ლიხთ-აქით ორბეთი და კაენი მას ემორჩილებოდა; ასე რომ, ეტყობა, მსახურთუხუცესმა გამოიყენა თავისი გავლენა და მოახერხა შეეყარა „ყოველი სუანეთი და აფხაზეთი, საეგროი (ეგრისი), გურია, სამოქალაქო (ქვემო იმერეთი), რაჭა, თაკუერი და არგუეთი“...

ძნელი წარმოსადგენი აღარ უნდა იყოს, რამოდენა ლაშქარი შეუყრიათ მეამბოხეებს.

დაიძრა ეს დიდი მხედრობა, შეუერთდა გუზანს და სამცხეს გადმოვიდა; წამოიყვანეს რუსი უფლისწული და გეგუთში მოვიდნენ.

გეგუთის გრანდიოზულ სასახლეს ჩვენ უკვე ვიცნობთ. სასახლეში რომ შევიდნენ და მიიხედ-მოიხედეს, შეთქმულები თითქოს ერთბაშად ამაღლდნენ და გაიზარდნენ, წონა მოემატათ, თავი ქვეყნის ნამდვილ ბატონ-პატრონებად წარმოიდგინეს...

პატივმოყვარე ხალხს მოთმინება უფრო ხშირად ღალატობს და ის ადამიანური სისუსტე, რასაც სულწასულობა ჰქვია, ამათ უფრო მოეძალება ხოლმე; ასე მოუვიდათ ჩვენს ამბოხებულებსაც — რაკი თავი ამ დიდებულ სასახლეში დაიგულეს, იფიქრეს, რაღას ვუცადოთ, ქვეყნის თითქმის ნახევარზე მეტი ჩვენს ხელთ არის, წინ ვიღა უნდა დაგვიდგეს, ან ამაზე შესაფერ ადგილს სხვას სადღა ვნახავთო, და არც აციეს, არც აცხელეს, რუსი უფლისწული მეფედ გამოაცხადეს; იფიქრეს, ახლა უფრო გაგვიადვილდება ქვეყნის დანარჩენი ნაწილის დაპყრობაო. „ეი ღაღადი დიდი და განსაკვირვებელი კაცთა ცნობისა!“ მწარე ირონიით შენიშნავს მემატიანე, „ვინა ანუ ვისიღა მოსაყდრე საყდარსა დაჯდა დავითიანსა?!“

ისე საიდუმლოდ ჰქონიათ შეთქმულება მომზადებული, რომ თამარისთვის საესებით მოულოდნელი გამოდგა. სამეფო კარზე, ეტყობა, მხოლოდ მაშინ გაიგეს შეთქმულების ამბავი, როცა მეამბოხეებმა გეგუთის სასახლე დაიკავეს და დევნილი უფლისწული მეფედ გამოაცხადეს. თამარმა სასწრაფოდ შეკრიბა ერთგული ერისთავები, სპასალარნი და დიდებულნი ჰერეთით, კახეთით, ქართლით, სომხითით და სამცხით... შეთქმულების ამბავი რომ გაიგეს, აღშფოთდნენ, ერთგულება შეჰფიცეს მეფეს, მოახსენეს: ეს ჩვენ არ გაგვიგია, ეჭვითაც კი არაფერი ვიცოდით, და გეერწმუნე, შენთანა ვართ, თავს შენთვის დავდებთო.

ერთგული დიდებულები საბრძოლველად იყვნენ მზად, მაგრამ თამარი ძმათა შორის სისხლისღვრას მოერიდა და გადაწყვიტა, მშვიდობიანად მოეგვარებინა საქმე, მოციქულები გაგზავნა ამბოხებულებთან, რათა გაეგო, რას თხოულობდნენ მეამბოხენი. ჯერ სასულიერო პირები გაგზავნა, იფიქრა, ასე უფრო მშვიდობიანად წარიმართება მოლაპარაკებაო; პატრიარქი მიუგზავნია, ანტონი ქუთათელიც (ლიხთ-იმერთაგან მხოლოდ ეს ერთი დარჩა ერთგულიო, მემატიანე გადმოგვცემს), სხვა ეპისკოპოსებიც...

რაკილა სამღვდლო პირებმა ვერაფერი გააწყეს, მერე კარის მოხელეები მიუგზავნა — ეჯიბი, მესტუმრე... ესე იგი, გამოცდილი დიპლომატები...

მაინც ვერაფერს გახდა...

მეამბოხეებმა, ეტყობა, მეფის სისუსტედ მიიჩნიეს ამდენი სამშვიდობო მოციქულების გზავნა და უფრო მოიცეს გული. რაღას ეუდგეეართო, თქვეს, ბარემ დავიძრათო.

აჯანყებულთა დიდი მხედრობა ორად გაიყო: ნახევარმა, თვით „მეფე-საგინებლითურთ" ლიხის მთა გადმოლახა და ქართლში შემოიჭრა — სულ ააოხრეს სოფლები ნაჭარმაგევსა და გორამდე. მხედრობის მეორე ნახევარს დადიანი წაუძღვა, გადალახეს რკინისჯვარი და ციხისჯვარზე ავიდნენ. ამათაც ააოხრეს გზადაგზა სოფლები, ქალაქი ოძრხე ცეცხლს მისცეს...

ციხისჯვარში ბოცო და გამდგარი მესხები შეუერთდნენ მეამბოხეებს. ამათი გეგმა აშკარა იყო: აიღებდნენ ჯავახეთს, თმოგვსა და ახალქალაქს, გადმოიღლიდნენ თრიალეთს... აქ მათ მოკავშირეების იმედი პქონდათ: მდინარე ქურდ-ეაჭარს იქით მთელი სამხრეთ მხარე გამდგარი იყო: გაგი — ივანე ვარდანის ძისა გახლდათ, კაიწონის პატრონი მაყა აგრეთვე მეამბოხეთა მხარეზე იყო, თვით კაენი ხომ ვარდანს ეპყრა და აქაური აზნაურები გავლენიან პატრონს უარს ვერ გაუბედავდნენ. ამ მხარის აზნაურთაგან მხოლოდ ზაქარია ვარამის ძემ შეინარჩუნა მეფის ერთგულება...

როგორც ეხედავთ, მეამბოხეებს გადაუწყვეტიათ, რკალში მოაქციონ თბილისი. ესენი რომ სამხრეთიდან მიუახლოვდებიან დედაქალაქს, ნაჭარმაგევსა და გორს დარჩენილი მხედრობა დაიძრება და დასავლეთიდან დაესხმის...

მშვიდობიანი მოლაპარაკებით კი სცადა თამარმა საქმის გარიგება, მაგრამ, პარალელურად, ეტყობა, ჯარს ამზადებდა, და, როცა ნახა, მეამბოხეები აღარ ხუმრობდნენ, როცა იმაშიაც დარწმუნდა, რომ მოლაპარაკებით ვერაფერს გახდებოდა, ამირსპასალარ გამრეკელს უბრძანა, მხედრობა დაეძრა.

სპასალარს უნდა ხლებოდა ოთხი მხარგრძელი (ზაქარია და ივანე, სარგისის ძენი და ზაქარია და სარგისი, ვარამის ძენი), ზემო და ქვემო თორელები და სხვები. მეფის ლაშქარი ჯავახეთის გასასვლელებთან უნდა დახვედროდა მეამბოხეებს და აქეთ აღარ გამოეშვა. იქ მოსინჯავდნენ მოწინააღმდეგის ძალას და თუ საჭირო შეიქნებოდა, მეფე მაშველ ჯარებს გაუგზავნიდა. სამხრეთისკენ

ერთბაშად ვერ დასძრავდნენ მთელს ლაშქარს, რადგან დასავლეთით — გორსა და ნაჭარმაგევში — მოწინააღმდეგის მხედრობა იდგა და კაცმა არ იცოდა, როდის დაიძრებოდნენ ისინი თბილისისაკენ. ლაშქრის ერთი ნაწილი მათ დასახვედრად დარჩა.

გზადაგზა ამირსპასალარის ლაშქარს „ერთგულად დარჩენილი" მესხებიც შეუერთდნენ და ასეთი შევსებულ-შემატებული მხედრობა მტკვარს მიადგა. აქ ეგულებოდათ მეამბოხეები და მართლაც აქ აღმოჩნდნენ, მტკვარგაღმა დაბანაკებულიყვნენ.

ამგვარად, მეფის ერთგულნი მტკვარგამოღმა არიან, შეთქმულნი — მტკვარგაღმა; და რაკი ერთი მხარეც და მეორეც საბრძოლველად უკვე გამზადებული იყო, აღარ დაუხანებიათ, დაიწყო კიდეც ბრძოლა.

მდინარეზე ამ ადგილს ხიდი იყო და პირველად, რაღა თქმა უნდა, ხიდს მისცვივდნენ, დამხედურები — გაღმიდან, ხოლო ახალმოსულები — გამოღმიდან. ხელჩართული და გააფთრებული ბრძოლა სწორედ ხიდზე გაიმართა. ხიდის დათმობა არ შეიძლებოდა, ეს თითქმის ბრძოლის წაგებას უდრიდა. მაგრამ ხიდზე, ბოლოს და ბოლოს, რამდენი მეომარი შეიძლებოდა გაშლილიყო!.. ამიტომ თავგადადებით კი იბრძოდნენ, მაგრამ დიდი მასშტაბი არ მიუღია ბრძოლას. ისრებიც გაღმა-გამოღმიდან კანტი-კუნტად დაზუზუნებდნენ, ეტყობა, უფრო დაზვერვის ხასიათი ჰქონდა დღევანდელ ბრძოლებს. ბინდი ისე ჩამოწვა, ვერც ერთმა მხარემ ვერ მოახერხა ხიდის აღება და „სიღამემან და წყლის შუა-ყოფამან გაპყარნა" ისინი.

მოწინააღმდეგენი მდინარის გაღმა-გამოღმა დაბანაკდნენ. რაკი ძალები მოსინჯეს, ბუნებრივია, ახლა ამისდამიხედვით დააწყობენ ხვალის საბრძოლო გეგმებს, და გათენებიდანვე გააფთრებით ეკვეთებიან ერთმანეთს. ხვალინდელი ბრძოლა გადაწყვეტს ყველაფერს.

მაგრამ მეამბოხეებმა ამჯერად მეტი წინდახედულება და სიფრთხილე გამოიჩინეს. მიხვდნენ, რომ მოწინააღმდეგე უფრო ძლიერი იყო და ხელჩართულ ბრძოლაში ვერ გაუმკლავდებოდნენ. ამიტომ გადაწყვიტეს, გარიდებოდნენ და მახლობელ ციხეში გამაგრებულიყვნენ („...ვინათგან არა გვაქუს ძალი და ღონე შებმისა, მიერიდოთ სიმაგრისაკენ და მუნიდაღმა ღონითა ვეცადნეთ ღალატსა და ძლევასა" — სიმაგრიდან გამოვარდებოდნენ დროდადრო და უეცარი თავდასხმებით ზიანს მიაყენებდნენ).

იქნებ მართლაც ასე წარმართულიყო ბრძოლა, თუ მეფის ლაშქარიც მოწინააღმდეგის გეგმის მიხედვით და მის საკეთილდღეოდ იმოქმედებდა.

მაგრამ მეფის მხედრობას გამოცდილი სარდალი ჰყავდა. იგი გუშინვე დარწმუნდა თავისი მხედრობის უპირატესობაში და, ალბათ, მოწინააღმდეგის ჩანაფიქრსაც კარგად მიხვდა: ციხეში გამაგრება როდი აცალეს მეამბოხეებს. სანამ ისინი ტორნაძიას მთას მიადგებოდნენ და იქ გამაგრდებოდნენ, ამათ, ეტყობა, გზა მოუჭრეს და ნიალის ველისაკენ გარეკეს („მიიწევნეს ველსა ნიალისასა და წყალსა ხინგრისასა"...), და აქ ხინგრის წყალთან, ნიალის ველზე, ერუშეთსა და თმოგვს შორის, გაიმართა ფიცხელი ბრძოლა. მეფის ლაშქარმა გაიმარჯვა, მეამბოხეები გააქციეს (ბევრი დახოცეს და დაატყვევეს), მაგრამ, ეტყობა, აღარ გასდევნებიან, მოწინააღმდეგემ ისედაც დიდი მარცხი და ზარალი განიცადა. გამარჯვებულები და გახარებულები გამობრუნდნენ და „მოვიდეს წინაშე ღმრთივ-გეირგვინოსნისა მეფისა და მეფეთ-მეფისა".

მაგრამ ეს ხომ საბოლოო გამარჯვება არა ყოფილა, მეამბოხეთა მეორე ნახევარი ხომ გორში იდგა და იქიდან გამოსალაშქრებლად ემზადებოდა, ჯერ კიდევ გამარჯვებული მხედრობის დაბრუნებამდე. მოიტანა თუ არა მახარობელმა ერუშეთში გამარჯვების ამბავი, სამეფო კარზე სამხედრო საბჭო გაიმართა და გადაწყვიტეს, დაუყო-ვნებლივ გალაშქრათ გორში დაბანაკებულ ამბოხებულებზე. ჯარს ამ ლაშქრობაში მეფე დავითი გაუძღვებოდა და თან გაიყოლებდა ჭიაბერ მანდატურთუხუცესს; წაიყვანდნენ ჰერების, კახელებისა და ქართლის რაზმებს, აგრეთვე ყიჩაყთა ნაწილებს...

გადაწყვიტეს და გაემართნენ კიდეც. მაგრამ გაიგეს თუ არა ერუშეთის მარცხის ამბავი ქართლში დაბანაკებულმა მეამბოხეებმა, რომელთაც ამასობაში ნაწილი ქართლის მხედრობისა და მთიელთა რაზმებიც შეერთებოდნენ, უბრძოლველად დათმეს ასპარეზი, უკან გაბრუნდნენ („მსწრაფლ იხმიეს გარდაელა").

ამგვარად, მეამბოხეებმა სასტიკი დამარცხება იგემეს, მეფის ერთგული ლაშქარი და დიდებულები გამარჯვებას ზეიმობდნენ. მაგრამ ხომ არ შეიძლებოდა ამით დამთავრებულიყო ყველაფერი! მეამბოხეებს საკადრისი სასჯელი ეკუთვნოდათ. ძმათა შორის დაღვრილ სისხლს ხომ არ აპატიებდნენ. სამაგიერო უნდა მიეზღოთ მათთვის.

და ახლა უკვე მეამბოხეებს გაუხდათ მშვიდობიანი მოლაპარაკება სანატრელი. ზოგმა გაბედა და „ყელსაბელ მობმით" ეახლა თამარს, სრული მორჩილება გამოუცხადა; მაგრამ ბევრს ეშინოდა და სანამ ჯერ შუამავლები არ გამოუგზავნეს (თანაც ვინ? ზოგმა მაღალ სამღვდელო

პირებს — კათალიკოსსა და ეპისკოპოსებსა სთხოვა თავდებობა; ზოგმა — რუსუდან დედოფალსა და მანდატურთუხუცესს!) და სანამ მეფური შეწყალების პირობა წინასწარ არ მიიღეს, ისე ვერ გაბედეს მოსვლა.

მეფემ დიდსულოვნება გამოიჩინა და პატიება აღუთქვა ყველას, გიორგი უფლისწულის უვნებლად გაშვებაც ბრძანა. და მხოლოდ ამის შემდეგ „გარდამოვიდეს სუანნი დიდებულნი და მეხეევნი და გარდამოიტანეს რუსი, მეფე-ყოფილი“...

მართლაც ყველა შეინდო თამარმა, ისეთი მძიმე სასჯელი, რასაც ღალატი იმსახურებდა, არავისთვის დაუდვია. ეს არის, რომ ძველი თანამდებობანი აღარ შეუნარჩუნა; რუსი უფლისწული გაათავისუფლა და ისიც „მისსა სვეუბედურსა გზასა გაემართა“.

უპირველესად ყოველისა, რაღა თქმა უნდა, მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი გადააყენა თამარმა და მის ადგილზე ივანე მხარგრძელი დანიშნა, სარგისის ძე. სხვებიც, ვინც ამ ამბოხების დროს მტკიცე ერთგულება და დიდი სამსახური გაუწია მეფეს, უხვად დააჯილდოვა. მემატიანე გადმოგვცემს, მაგალითად, რომ ზაქარია ვარამის ძისათვის მეფეს უბოძებია „გაგი ქურდვაჭრითა განძამდის მრავლითა საკუთარითა და მრავლითა სანახევროთა ქალაქებითა, ციხეებითა და სოფლებითა“. ივანე მხარგრძელს ხომ მსახურთუხუცესობა მიუბოძა, მასვე მისცა „კაენი და კაიწონი გელაქუნით და სხვითა მრავლითა სახარჯოთა ქალაქითა და ციხითა“; „შეიწყალნეს და დალოცეს სხუანიცა დიდებულნი მრავალნი“. ზოგს კონკრეტულადაც ჩამოგვითვლის მემატიანე: ჭიაბერ მანდატურთუხუცესისათვის „მიუმატებია და უბოძებია“, მაგალითად, „ჟინვანი, ქალაქი და ციხე მრავლითა მთიულეთითა“... „და ქუემოთ წირქუალელნი, ზარტიბის ძენი, გრიგოლის ძენი, ჭიაბერის ძენი და მახატლის ძენი და თაენი კახეთისანი თორლას ძენი, — შეიწყალნეს თვითოეულნი თვისითა წესითა: რომელნიმე ახლად დალოცვითა, რომელნიმე მომატებითა; ეგრეთვე ქართველნი (=ქართლელნი), სომხითარნი, თორელნი, მესხნი და ტაოელნი“.

ამავე ხანებში გარდაიცვალა ამირსპასალარი გამრეკელი-თორელი, გამოცდილი მეომარი და მეფის ერთგული ადამიანი.

დავით აღმაშენებლის დროიდან მოკიდებული ლორე ხომ ყოველთვის ამირსპასალარის კუთვნილება იყო; შეიცვლებოდა ამირსპასალარი და ლორეც მუდამ ახალ ამირსპასალარს გადაეცემოდა. ასე იყო სარგის მხარგრძელის ამირსპასალარობამდე.

ხოლო როცა სარგის მხარგრძელი გარდაიცვალა და მის ადგილზე ამირსპასალარად თამარმა გამრეკელი-თორელი დანიშნა, სარგისის შთამომაელებისათვის ლორე აღარ ჩამოურთმევია მეფეს, მათვე დაუტოვა; გამრეკელ-თორელს კი, როგორც ამირსპასალარს, თმოგვი მიუბოძა, სხვა ქალაქებთან და კუთხეებთან ერთად. ახლა, გამრეკელ-თორელის გარდაცვალების შემდეგ, მისი შთამომავლობისათვის, თმოგვის გარდა მეფეს არაფერი ჩამოურთმევია და ამით დიდი პატივისცემა და მადლიერება გამოამჟღავნა გარდაცვლილი ამირსპასალარის მიმართ. თმოგვი კი ახლა სარგის ვარამის ძეს მიუბოძა, რომელმაც აგრეთვე ერთგულება დაუმტკიცა მეფეს ბოლო დიდი ამბოხების დროს.

ამრიგად, ზაქარია მხარგრძელს ამირსპასალარობა მიებოძა 1191 წელს. თანამდებობასთან ერთად მას რუსთავიც „მიუმატეს“.

●

ზემოთ მემატიანის სიტყვები მოვიტანეთ — თამარმა რუსი უფლისწული გაათავისუფლა და ისიც „მისსა სვეუბედურსა გზასა გაემართაო“. ძალიან შორს არ უტარებია ამ გზას დევნილი უფლისწული. ისეთი ძლიერი აღმოჩნდა სურვილი, სამეფო ტახტს დაუფლებოდა, და, ეტყობა, ისე იოლი მოეჩვენა ამ აკვიატებული სურვილის ასრულება, რომ ბოლო მარცხის შემდეგ მას ბევრი აღარ დაუხანებია. მობრუნდა და კიდევ უფრო მტკიცე გადაწყვეტილებით დაიძრა საქართველოსკენ. კონსტანტინოპოლი მისთვის სამოთხე იყო, მაგრამ ვერ შეიღირსაო, მემატიანე წერს, აფრააწყვეტილი ნავივით იბორიალაო, და მიადგა ამჯერად არა ქართველ დიდებულებს (ამითგან რა ხეირი დაახსომდებოდა!), არამედ აღმოსავლეთიდან მოუარა და რანის ათაბაგს მიადგა.

როგორც ხედავთ, მართლაც აფრააწყვეტილი ნავივით უბორიალია, ჯერ თავშესაფარი სთხოვა (და მიიღო კიდეც — „შემსგავსებული სვისა მისისაო“, მწარე ირონიით შენიშნავს მემატიანე), მერე კი, ეტყობა, მოურიგდა — შენი ჯარი დამახმარე, საქართველოს სამეფო ტახტს ჩავიგდებ ხელში, მერე კი...

ადვილად შეგიძლიათ ივარაუდოთ, რა გულუხვ დაპირებებს მისცემდა.

მართლაც, წამოიყვანა ლაშქარი არან-განძიდან და კამბეჩოვანს

შემოესია ჰერეთში, მოარბია და „აიღო სიმრავლე ტყვისა და ნატყუენავისაო“.

მაგრამ ახლა უფრო ადვილი გამოდგა უფლისწულისა და მისი დაქირავებული ჯარის დამარცხება: ხორნაბუჯის პატრონს საღირ მახატელის ძეს სამეფო კარისთვის არც კი შეუტყობინებია (ალბათ გახსოვთ, მას კარგი გამოცდილება ჰქონდა რუსი უფლისწულის წინააღმდეგ ბრძოლისა, თამარმა აკი დააჯილდოვა კიდეც იმ ბრძოლებში ერთგულებისა და თავდადებისთვის), არც მაშველი ჯარი უთხოვია — ისა და მისი სამი შვილი თავიანთი „მცირედით ლაშქრით“ გამოუდგნენ, „მიეწივნეს და გააქციენეს, ჩამოყარნეს და დახოცნეს“... დევნილი უფლისწული ახლა კი საბოლოოდ გადაიხვეწა.

ეს იყო 1193 წელს.

●

სჯეროდა თუ არა თამარს შეთქმულების ყველა მონაწილისა, როცა ისინი დანაშაულს ინანიებდნენ, ძნელი სათქმელია. მაგრამ ზემოთ მოთხრობილი ამბების შემდეგ გავიდა რამდენიმე ხანი და ცნობილი გახდა, რომ ყველა როდი იყო გულწრფელი, როცა მეფის წინაშე „ყელ-საბელ მობმითა“ და მონანიების ცრემლების ფრქვევით მოდიოდა.

შეთქმულების მონაწილე პირველ მოღალატეთა შორის მემატიანე ასახელებს გუზანს – შავშეთისა და კლარჯეთის პატრონს, რომელიც მეფეს ოდესღაც ტაოს ძველ მფლობელთა ადგილზეც დაუნიშნავს. ახლაც ეს გუზანი გამოდგა მოღალატე. პირველმა მან დაარღვია თამარისთვის მიცემული ერთგულების ფიცი. „პირველითგანვე წარმწყმედელი თავისა“ შაპარმენს მიეახლა და თან გაიყოლა სამძიავარი და კიდევ რამდენიმე აზნაურიშვილი, მათ შორის მელვინეთუხუცესი, რომელსაც თავი შავშეთისა და კლარჯეთის პატრონის მემკვიდრედ მიაჩნდა.

ქართველი დიდებული ხელცარიელი არ მისულა ხლათის მბრძანებელთან, ხელდამშვენებული ეახლა: ტაოსკარი, ვაშლოვანი და „მრავალი სხვა ციხე“ „მიართვა“ და ქვეშევრდომობა გამოუცხადა...

მემატიანის მოთხრობიდან ჩანს, რომ ამათ ფაცხაფუცხით მოუხერხებიათ გაპარვა და შაპარმენთან მისვლა, ოჯახი კი გუზანს აქ დარჩენია; მერე უფრო ადვილად გადავიყვანო, უფიქრია.

და აი, გუზანის უფროს შვილს მოპყავს თურქთა დიდი ლაშქარი („პატრონნი თორმეტისა დროშისანი“), რომელიც გუზანის მიერ შაპარმენისათვის გადაცემულ ციხეებში უნდა ჩააყენოს; თვითონ კი, გაბრუნდება და გუზანის ოჯახსაც წაიყვანს.

მაგრამ ეს დავალება ვერ შეასრულეს გუზანის შვილმა და თურქების მრავალრიცხოვანმა ლაშქარმა. მეფის ერთგული ხალხი, ეტყობა, ფხიზლად ადევნებდა თვალყურს. საზღვარზევე დახვდნენ მათ ზაქარია ასპანისძე, ძინიელნი, კალმახელნი („ყრმანი კარგნი და პატრონისაგან შეწყალებულნი“), შეებნენ და, თუმცა მცირერიცხოვანი მხედრობით დახვდნენ, თავგანწირვით იბრძოლეს, „დიდად დაჭირვებული ომი გარდაიხადეს“, მტერი გააქციეს, ციხეები და ქალაქები კვლავ საქართველოს შემოუერთეს, გუზანის ცოლ-შვილი კი ტყვედ წამოიყვანეს.

თვით მოღალატე გუზანს უფრო სავალალო ბედი ერგო.

იგი ხომ უცხოეთში დარჩა შაპარმენთან. მაგრამ რაკი თავისი სამფლობელო ქალაქები და ციხეები ვეღარ ჩააბარა ხლათის მბრძანებელს, ბუნებრივია, მისი მდგომარეობა ახალ პატრონთან სახარბიელო ვერ იქნებოდა. თან, ცოლ-შვილიც უკვე ტყვეობაში ჰყავდა. ასეთ პირობებში რაღა მოასვენებდა! ახლა იქნებ ნანობდა კიდეც, მაგრამ თამარის წინაშე ხომ ვეღარ გამოცხადდებოდა პატიებისთვის. თავდებადაც უკვე აღარავინ დაუდგებოდა.

ასე რომ, მასაც ჩვეულებრივი მოღალატის ბედი ერგო. აშკარად ვეღარ გადმოვიდოდა თავის სამფლობელოში, ეს სახიფათო იქნებოდა, შეიპყრობდნენ და მეფეს მიჰგვრიდნენ. ჩუმ-ჩუმად გადმოიპარებოდა ხოლმე და ზვერავდა, ხელსაყრელ დროს უცდიდა, რათა თავისი სამფლობელო ისევ მიერთმია ახალი ბატონისთვის. თან, როცა მოახელთებდა, ავაზაკობდა. „კოლას სადმე მთათა შინა ავაზაკობდა მალვითთაო“, თამარის მეორე ისტორიკოსი გადმოგვცემს.

მაგრამ რამდენ ხანს მოახერხებდა ასე „მალვით ავაზაკობას?“ მას ხომ უთვალთვალებდნენ!..

ერთ დღეს, ასე მალვით რომ იყო გამოსული საავაზაკოდ, თავისივე გლეხებმა იცნეს — მთიბავებმა. შეიპყრეს ძველი პატრონი — აწ თავისივე ხალხისა და ქვეყნის მოღალატე — „და დავით მეფის წინაშე მოიყვანეს“.

დავითსაც ბევრი აღარ უყოყმანია, თამართან აღარ მიუყვანია მოღალატე გუზანი, შეეშინდა, თამარმა კიდევ არ შეიწყალოსო და დაასწრო, თვითონვე გამოუტანა განაჩენი, თვალები ამოუშანთა —

„ხოლო მან (დავითმა) იცოდა დიდი მოწყალება თამარისი, ამისთვის მისსა შეკითხვამდის თუალნი დასწუნა“.

ზემოთ მოტანილი სიტყვები მემატიანისა მოღალატე დიდებულს შეეხება, მაგრამ თავისთავად აღგვიძრავს კითხვებს, რომელთაც გუზანთან და უკვე მოთხრობილ ეპიზოდთან კი არა აქვს რაიმე კავშირი, უფრო ზოგადი ხასიათისაა. დააკვირდით სიტყვებს: „მ ი ს ს ა შ ე კ ი თ ხ ვ ა მ დ ი ს თუალნი დასწუნა“...

სწორედ ეს სიტყვები აღგვიძრავს კითხვას: რა უფლებებით სარგებლობდა მეფის ქმარი?

და რას უწოდებდნენ მას, როგორ მიმართავდნენ?..

ამასთან დაკავშირებით ისიც საინტერესოა: გახდა თუ არა ეს საკითხები საგანგებო ბჭობის საგნად დარბაზის სხდომაზე, როცა თამარის დაქორწინების საქმე გადაწყდა და მას ქმარი შეურჩიეს.

ისეთი მნიშვნელოვანი საკითხებია, რომ, უნდა ვიფიქროთ, უსათუოდ იქნებოდა საგანგებო მსჯელობის საგანი. სამწუხაროდ, ასეთი მსჯელობის ანარეკლი ჩვენამდე მოღწეულ საბუთებს არ შეუნახავს, მაგრამ მემატიანეების ძუნწად მოწოდებული ცნობების მიხედვით, ზოგი სხვა საბუთებითაც, ჩვენ მაინც შეგვიძლია პასუხი გავცეთ ერთ კითხვასაც და მეორესაც.

ჯერ მეორე კითხვას ვუპასუხოთ.

თამარის პირველ ქმარსაც და მეორესაც მ ე ფ ე ს უწოდებდნენ. მემატიანეებიც ასე მოიხსენიებენ მათ.

„კუალად მ ე ფ ე მ ა ნ, შემყრელმან სპათამან ბრძანებითა თამარისითა, მიმართა დვინად“...

ეს გიორგი უფლისწულზეა ნათქვამი.

„ესე (გუზანი) შეიპყრეს მთიბავთა თავისათა, და დ ა ვ ი თ მ ე ფ ი ს ა წინაშე მოიყვანეს“...

ამას კი, როგორც ტექსტიდანაც ჩანს, მემატიანე დავით სოსლანზე წერს.

ამ მაგალითების მიხედვითაც აშკარად ჩანს, რომ თამარის ქმარს მ ე ფ ე ს უწოდებდნენ. ასე არიან ისინი მოხსენიებული ისტორიულ წყაროებში.

მაგრამ, თუკი თამარსაც და მის ქმარსაც მეფეს უწოდებდნენ, როგორღა გავარჩიოთ, რომელ მეფეზეა ლაპარაკი ამა თუ იმ ისტორიულ ძეგლში?

მეფე-ქმარს, ჩვეულებრივ, სახელით მოიხსენიებენ: „მეფე გიორგი“ (რუსი), „მეფე დავითი“ (სოსლანი). ზოგჯერ კი, როცა ორივე მეფე — თამარიცა და მისი ქმარიც — ერთად არის მოხსენიებული, მემატიანეები საგანგებოდ გამოხატავენ თამარის მიმართ მეტ პატივისცემას და მას „მეფეთა-მეფეს“ უწოდებენ, ქმარს კი უბრალოდ „მეფეს“. ასეთი ფრაზა ზემოთ ერთგან შეგვხვდა კიდეც: „მოვიდეს წინაშე ღმრთივ-გვირგვინოსნისა მეფისა და მეფეთ-მეფისა“...

ახლა პირველ კითხვას მივუბრუნდეთ.

მაგრამ რა უფლებებით სარგებლობდა ქმარი-მეფე? მასაც ისეთივე უფლებები ჰქონდა, როგორც თამარს?

ეს კითხვა უფრო საინტერესოც არის და უფრო ძნელიც. მეორე კითხვის პასუხი პირდაპირ არის მოცემული მემატიანის ტექსტში და, როგორც ვნახეთ, არავითარ ეჭვს არ იწვევს. ამ კითხვის პირდაპირ პასუხს კი მემატიანის ტექსტში ვერ ვნახულობთ. მაგრამ კარგად თუ დავაკვირდებით იმავე ტექსტს, ამის პასუხსაც მივაგნებთ, აქაც საეჭვო არაფერია.

პასუხი საკვებით ნათელია.

მ ე ფ ე - ქ მ ა რ ი, რა თქმა უნდა, არ სარგებლობდა იმ უფლებებით, რაც ქვეყნის ნამდვილ მეფეს თამარსა ჰქონდა. მისი უფლებები შეზღუდული იყო. ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი საკითხი მას თამართან უნდა შეეთანხმებინა. ჩვენი მოთხრობა რომ ზედმეტად არ გადამეტვირთა, ზემოთ საგანგებოდ ორი ისეთი მაგალითი შევარჩიე, რაც პასუხსა სცემს ამჟამად ჩვენთვის საინტერესო ერთ საკითხსაც და მეორესაც.

როცა მემატიანე წერს, დავით მეფემ (სოსლანმა) გუზანს „თუალნი დასწუნა... მ ი ს ს ა (თამარის) შეკითხვამდისო“, აქ აშკარად იგრძნობა, რომ მტკიცე წესი არსებულა: ასე თუ ისე მნიშვნელოვან საქვეყნო საკითხს მეფე-ქმარი უსათუოდ თამარს უთანხმებდა, მას ჰკითხავდა, უმისოდ ვერ გადაწყვეტდა, ამის უფლება არა ჰქონდა.

იმდენად მტკიცე იყო ეს წესი, რომ, როცა ერთხელ დაირღვა, როცა ერთხელ არ შეუთანხმა თამარს ქმარმა საკითხი და თავისით გადაწყვიტა, მემატიანემ საჭიროდ ჩათვალა, ეს საგანგებოდ აღენიშნა.

საქმეს ის არ ცვლის, რომ მემატიანეს სხვა რამის არგუმენტად მოაქვს ეს ცნობა: იგი გვაუწყებს, რომ თამარმა თავის ქვეყანაში აკრძალა ადამიანის სიკვდილით დასჯა და დასახჩრება, და გუზანს რომ თვალები დასწვეს, ეს ერთადერთი შემთხვევა იყო და ისიც მის უნებართოდ მოხდაო. ეს არ ცვლის საქმეს, იმიტომ, რომ ფაქტი

ფაქტად რჩება: რაკი მემატიანე წერს „მისსა (თამარის) შეკითხვამდის“ მოხდა ესო, რა არგუმენტადაც არ უნდა ჰქონდეს მოტანილი ეს სიტყვები, სულ ერთია, მაინც მიგვანიშნებენ, რომ მეფე-ქმარს ყოველგვარი ასე თუ ისე მნიშვნელოვანი საკითხი თამარისთვის უნდა შეეთანხმებინა და მისი თანხმობით, მისი დასტურით გაეკეთებინა.

ახლა, მეორე მაგალითიც:

როცა მემატიანე წერს: „კუალად მეფემან, შემყრელმან სპათამან, ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ა თ ა მ ა რ ი ს ი თ ა, მიმართა დეინადო“, აქაც აშკარად იგრძნობა ის, რაც ჩვენ ამჟამად გვაინტერესებს. მეფე-ქმარს უფლება არა აქვს, ასე თუ ისე მნიშვნელოვანი საქმე გადაწყვიტოს.

ზემოთ ჩვენ ერთგან შევნიშნეთ, დიდი ომის დაწყება დარბაზის საგანგებო გადაწყვეტილებითა და „დასკვნით“ დაიწყებოდაო. და ამის შემდეგ ზოგს იქნებ მოეჩვენოს, რომ ეს მაგალითი ამჟამად ჩვენთვის საინტერესო საკითხის დასამტკიცებლად არ გამოდგება, რაკიღა საომრად გალაშქრებას არა მარტო თამარის, არამედ დარბაზის დასტურიც სჭირდებოდა. საქმე ის არის, რომ ეს არ იყო ისეთი მასშტაბის გალაშქრება, რომელსაც დარბაზის გადაწყვეტილება სჭირდებოდა. ეს იყო ჩვეულებრივი „წვრილი ლაშქრობა“, მცირე მასშტაბის ბრძოლა, „ნავარდობა“, როგორც იოანე ჯავახიშვილი უწოდებს, რაც ძალიან ხშირად ხდებოდა (მემატიანე ბევრს ჩამოგვითვლის ასეთ გალაშქრებებს) და რასაც დარბაზის დასტური არა სჭირდებოდა.

და რაკი მემატიანე საგანგებოდ შენიშნავს, თამარის ბრძანებით, ანუ თამარის ნებართვით გაილაშქრა მეფე-ქმარმაო, ესეც უსათუოდ მიგვანიშნებს, რომ ასეთი საკითხების დამოუკიდებლად გადაწყვეტის უფლებაც კი თამარის ქმარს არა ჰქონდა.

აქ საინტერესოა სხვა გარემოებაც. ზემოთ ერთგან ითქვა: თამარს განსაკუთრებით იმიტომ აჩქარებდნენ დაქორწინებას, რომ მხედრობას სარდალი სჭირდებოდა, დიდ ომში ჯარის წინამძღოლობას ამირსპასალარს ვერ ანდობდნენ, მას მეფე უნდა გასძღოლოდა (მემატიანე აკი წერს: დიდებულები აჩქარებდნენ თამარს „...წ ი ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ს ა ს პ ა თ ა ს ა ი თ ხ ო ვ დ ე ს, და ყოველითურთ შეაიწრებდეს სულსა მისსა“): ერთი სიტყვით, მეფე-ქმარის უპირველესი მოვალეობა ჯარის სარდლობა იყო, და დააკვირდით: ამ საქმეშიაც კი, რაც თითქოს უშუალოდ მას ეხებოდა, მისი უფლებები შეზღუდული აღმოჩნდა. მცირე მასშტაბის გალაშქრებაც კი თამარისთვის უნდა შეეთანხმებინა.

ამჟამად ჩვენთვის საინტერესო საკითხის დასამტკიცებლად ისტორიკოს იასე ცინცაძეს კიდევ ერთი საგულისხმო მაგალითი მოაქვს მემატიანის მოთხრობიდან. ერთ-ერთი ომის დროს ქართველებმა განძა აიღეს და თამართან შეუთანხმებლად („ცნობადმდე თამარისა") სპარს მირმირანს „მისცეს შესანახავად". მემატიანის აზრით, ეს მოქმედება არ იყო სწორი და ამიტომაც ჰკიცხავს სარდლებს — ეს „ვერა კეთილად განაგესო". ამ ბრძოლას მხარგრძელი სარდლობს, მაგრამ, მეორე ისტორიკოსის ცნობით, იქვე იყო დავით სოსლანიც. თუ ზაქარია მხარგრძელმა დავით სოსლანს შეუთანხმა მირმირანისათვის განძის მიცემის საკითხი, — მსჯელობს მკვლევარი, — მაშინ საყვედური, რომ „ესე ვერა კეთილად განაგეს", დავითსაც ეხება: თამარის დაუკითხავად („ცნობადმდე თამარისა") მას არ უნდა მიეცა ქალაქი მირმირანისათვის. თუ არ შეუთანხმა ამირსპასალარმა დავით სოსლანს და დამოუკიდებლად გადაწყვიტა, — განაგრძობს მსჯელობას მკვლევარი, — მაშინ, ეტყობა, მემატიანე „დავითის კომპეტენციად არც თვლის ასეთი განკარგულების გაცემას", და საბოლოდ მაინც ის მტკიცდება, რომ ასე თუ ისე მნიშვნელოვან საქვეყნო საქმეს მეფე-ქმარი დამოუკიდებლად, თამარის უკითხავად ვერ გადაწყვეტდა. ამისი უფლება მას არ ჰქონდა.

ასეთია პასუხები იმ ორ კითხვაზე, რაც თავისთავად აღგვეძვრის, როცა საქართველოს ისტორიის ამ მონაკვეთს ვეცნობით.

●

სამი წელი გავიდა მეორედ დაქორწინების შემდეგ და თამარს კი შვილი არ უჩნდებოდა. მემატიანე საგანგებოდ შენიშნავს, რომ ამის გამო დიდი წუხილი იყო ქვეყანაში. „...წუხდეს და იურვოდეს უნაყოფოებისათვის თამარისა"... როგორც უკვე ითქვა, სამეფო კარზე ყველგან და ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდნენ მემკვიდრის საკითხს. ამიტომ გაზვიადებული სულაც არ არის მემატიანის სიტყვები, როცა იგი გვაუწყებს, რა წუხილი და ურვა იყო საქართველოს სამეფო კარზე უმემკვიდრეობის გამო.

მაგრამ ძალიან დიდხანს აღარ გაგრძელებულა უმემკვიდრეობა. 1193 წელს თამარს ვაჟი შეეძინა, რომელსაც პაპის სახელი გიორგი დაარქვეს. ბავშვი ტაბახმელას დაბადებულა, ასე გადმოგვცემს პირველი ისტორიკოსი.

ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა ზეიმი იქნებოდა სამეფო კარზე და მთელს ქვეყანაში. მემატიანე არ ერიდება, მაცხოვრის შობის სიხარულს შეადაროს ეს მოვლენა. „...მხურვალითა გულითა და განათლებულითა სულითა ტაბახმელისა ბეთლემ-მყოფელმან მუნ შვა ძე სწორი ძისა ღმრთისა“... ნამდვილი ზეიმის სახე მისცეს ზეობას, დიდი სიხარულის აღსანიშნავად ტყვეები გაათავისუფლეს, ეკლესიებს შეწირულებანი მიართვეს, გლახაკები განიკითხეს...

და ისევ პარალელი მაცხოვრის დაბადებასთან: „...თვით დედოფალმან რუსუდან და გაზრდილმან მისმან მეფემან დავით, და დამან თამარისმან, და ყოველთა მყოფთა ამის სამეფოსათა, მ ს გ ა ვ ს ა დ მ ო გ უ თ ა ს ა, ხელყვეს ძღუნებად და მინიჭებად“.

ძვირფასი საჩუქრები გამოუგზავნიათ უცხო სახელმწიფოთა მბრძანებლებს — „მცნობთა გარეთ ბერძენთა მეფეთა, სულტანთა, ათაბაგთა და ამირათა სპარსეთისათა წარმოაელინეს ნიჭნი და განძნი კმასაყოფელნი“.

მეორე სახელიც უწოდეს ახალშობილს — ლაშა (ანუ პირდაპირ რომ ვთარგმნოთ — ქვეყნის მანათობელი; ასე აქვს განმარტებული საბას, ასეთსავე განმარტებას ეკითხულობთ „ქართლის ცხოვრებაშიაც“: „...ლაშასა“, რომელი განმანათლებელად სოფლისა ითარგმნა“) და, ეტყობა, თავიდანვე შეეჩვიენ უფლისწულის ერთდროულად ორივე სახელით მოხსენიებას. ტრადიციულად დამკვიდრდა და იქიდანვე მოკიდებული მარტო ერთი სახელით იშვიათად თუ მოიხსენიებდნენ — ლ ა შ ა - გ ი ო რ გ ი ს უწოდებდნენ ხოლმე.

ახალდაბადებული უფლისწულის ბედზე მხედრობამ ბარდავისაკენ გაილაშქრა („ბედსა და სუესა ზედა ლაშასა... მიჰმართეს ბარდავად, დიდად და ძუელად ქალაქად“). აქ გაუმარჯვნიათ და დიდი დაელითა და მრავალრიცხოვანი ტყვეებით დაბრუნებულან; მერე „თამარისა და ძისა მისისა დღეგრძელობისათვის“ გულმოწყალება გამოუჩენიათ და გზაშივე გაუთავისუფლებიათ ოცდაათი ათასი ტყვე.

ერთი თვე არც კი გასულა ამის შემდეგ, ახლა არზრუმისკენ გაულაშქრიათ. როგორც მემატიანე გადმოგვცემს, არზრუმელებს შველოდნენ თურმე „სურმანელი, კარელი და სალდუხის ძე ნასრადინ და ორნი ძენი მისნი ლაშქრისა სიმრავლითა, ქუეითისა და ცხენოსნისათა უამრავითა“.

აქ უფრო გააფთრებულ წინააღმდეგობას შეხვედრიან, ფიცხელი ბრძოლა გაჩაღებულა: „წყობა პუნეთა და ხეთქება აბჯართა... და ცისკრისა ბინდსა მისრულთა და დამწყებელთა ომისათა ღამისა

ბინდმან ულხინა გაყრად“... ომი ჯერ არ გათავებულიყო, ღამის სიბნელემ გაყარა მოწინააღმდეგენი და გადამწყვეტი ბრძოლა სახვალიოდ გადაიდო...

ამ იმედით შეწყვიტა ბრძოლა მოწინააღმდეგემ (ქართველები, ეტყობა, ქალაქის ბჭეებთან დაბანაკდნენ). მაგრამ ქალაქში გამომწყვდეულმა მეომრებმა რომ მიიხედ-მოიხედეს, საშინელი სურათის მხილველნი შეიქნენ — ქართველებს უკვე მოესწროთ და ურიცხვი ტყვე წაეყვანათ, უთვალავი ჯოგი და რემა წაესხათ, „მიუწდომელი ალაფი“ ეგდოთ ხელთ... გამწარებულები „ვითარცა მხეცნი იღრჭენდეს კბილსა მათსა და წუერსა იფხურიდეს“, წვერს იგლეჯდნენ, მოთქვამდნენ: „ვინა ჩემდა ესევითარი შერისხვა, ვინათგან არაოდეს გვიხილავს ტომი ქრისტიანეთა საყოფელთა სანახებსა ჩუენთასა“ — ეს რა ღვთის რისხვა დაგვატყდაო, ჯერ არ მომხდარა, რომ ამ არემარეს ქრისტიანს გაეელოსო...

ასე გოდებაში გაატარეს ის ღამე და გადაწყვიტეს, დილით ქუდზე კაცი გამოეყვანათ და გააფთრებით შეეტიათ მომხდურთათვის, გონს მოსვლაც კი არ ეცლიათ, კუდით ქვა ესროლინებინათ, გუშინდელი ამბებიც ენანებინათ...

მართლაც, გათენებისას „ჰკრეს ბუკთა და დაბდაბთა, შეიქმნა ზაპმი ქალაქთა შინა“, ქალაქიდან გამოიჭრნენ, „გააწყუეს რაზმი ქუეითისა და ცხენოსნისა“, ისრებისა და შურდულის მსროლელნი ბანებზე გამოიშალნენ, მთელი ქალაქი ფეხზე დადგა, ყველა საომრად აღიკაზმა... მემატიანე განაგრძობს: დავითმა და მისმა სპამ რომ იხილეს ასე „გულმყარად გამოსრულება მათი“, მეხივით დაეცნენ მოწინააღმდეგეს, სულის მოთქმაც არ აცალეს, დაირეკეს და ქალაქშივე შერეკეს... ერთი სიტყვით, დიდი გამარჯვება იზეიმეს, „ძეფე დავით და ლაშქარნი მისნი მოვიდეს მხიარულნი ქუეყანადვე თეისად“...

მემატიანის მოთხრობაში ამას მოსდევს კიდევ რამდენიმე გალაშქრების ამბავი. მაგრამ ჩვენ მათ აღარ ჩამოვთვლით, ისევე როგორც გამოეტოვეთ მემატიანისავე აღწერილი იმის წინანდელი ლაშქრობანი. მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა არა ჰქონიათ, მცირე მასშტაბისანი იყვნენ, ისტორიის სახელმძღვანელოებში ასევე მოიხსენიებიან — „წვრილი ლაშქრობანიო“; ივანე ჯავახიშვილი წერს, ეს „ლაშქრობანი მხოლოდ ნავარდობა იყო... ნამდვილი დიდი და ძლიერი ომი შემდეგ მოხდაო...“ და რაკი განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს, ზედმეტად რომ არ დავტვირთოთ წიგნი

ერთმანეთის მსგავსი „წერილი“ გალაშქრებების აღწერით, შეგნებულად გამოვტოვე ისინი; უფრო დაწვრილებით იმ დიდი ომის ამბავს მოგითხრობთ.

და თუ მაინც გადმოგეცით ერთ-ერთი ასეთი „წერილი გალაშქრების“ თუ „განავარდების“ ამბავი, არა იმიტომ, რომ იგი ახალშობილი უფლისწულის „ბედსა და სუესა ზედა“ მოხდა, არამედ სულ სხვა საკითხისთვის მინდოდა მიმექცია მკითხველის ყურადღება.

ჩვენ მივეჩვიეთ იმ აზრს, რომ ქართველი ხალხი მუდამ საკუთარ მიწა-წყალზე შემოსეულ მტერს იგერიებდა და ის განუწყვეტელი ომები, რასაც იგი საუკუნეების განმავლობაში იხდიდა, თავდაცვითი იყო; ხალხი დასარბევად მოსულ ურდოებს ებრძოდა, და თავს სწირავდა საკუთარი ქვეყნის, ოჯახის, ღირსებისა და პატიოსნების დასაცავად. ეს ნამდვილად ასეა და ჩვენ ამაში ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვრწმუნდებოდით, როცა ჩვენი ხალხის გრძელსა და მშფოთვარე ისტორიას ვეცნობოდით.

მაშ, რითი შეიძლება აეხსნათ ასეთი ხშირი გალაშქრებანი მეზობელი ქვეყნების დასარბევად, რასაც თამარის ისტორიკოსის თხზულებაში ვკითხულობთ? ნუთუ შურისძიების გამოვლინება იყო ეს? რაკი მოწინააღმდეგენი შეუბრალებლად იკლებდნენ და მიწასთან ასწორებდნენ ჩვენს ქვეყანას, ხალხსა ჟლეტდნენ და მეურნეობას ანადგურებდნენ, და ეს ასეული წლობით ასე გრძელდებოდა, ახლა, როცა ძალა მოიკრიბა ჩვენმა ხალხმა, ეკონომიკურად მოღონიერდა და მტრის რისხვა გახდა, ნუთუ ერთბაშად მოეძალა შურისძიების გრძნობა და წარსული ძალმომრეობისთვის სამაგიეროს ახლა უხდის?

ნუთუ ასეა?..

იქნებ მართლაც აღეძრას ასეთი კითხვები ადამიანს, როცა თამარის ისტორიკოსის თხზულებას ეცნობა და მეზობელი ქვეყნებისკენ იმ წერილი გალაშქრებების ამბებს კითხულობს.

ასეთი კითხვები მართლაც აღძრულა სხვადასხვა დროს. ჯერ კიდევ თითქმის ერთი საუკუნის წინ გამოთქმულა შენიშვნა, რომ ასეთი გალაშქრებანი, კერძოდ ის გალაშქრება „ლაშას სუესა და ბედზე“, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, გაუმართლებელი იყო და გაუმართლებელ სისხლისღვრას იწვევდაო. ამაზე მაშინვე უპასუხა ილია ჭავჭავაძემ და ადგილებს მისი პასუხიდან აქვე მოვიტანთ, რამდენადაც ის ერთი კუთხით ძალიან კარგად აშუქებს საკითხს.

ეს გალაშქრებანი ილიას ფუჭად და გაუმართლებლად, იარაღის

გამოცდად სულაც არ მიაჩნია. „ნუთუ ძველისძველ საქართველოს მეისტორიემ ეს ანბანი არ უნდა იცოდეს, რომ მას შემდეგ, რაკი სომხეთი შეიმუსრა, სამხრეთი ჩვენი ღია დარჩა მტერთათვის შემოსასევად. ამ მიზეზით, სომხეთის შემუსვრის შემდეგ არც ერთი მეფე არ ყოფილა ღირსეული ამ სახელისა, რომ თავალი სამხრეთისაკენ არა სჭეროდეს და აქეთ საბრძოლველად არ გასულიყოს... მტრისათვის ისეთი ზარი [უნდა] დაეცა, რომ დიდხანს აღარ შემოებედნა-რა საქართველოსთვის. ეს იყო პოლიტიკური საჭიროება, რომელიც ეთავდებებოდა ჩვენს მშვიდობით ყოფნასა და არსებობასა... ქართველებს ამ მხრით გამაგრება რომ მოესწროთ, ვინ იცის, საქართველოს ბედი როგორ დატრიალებულიყო. საუბედუროდ, ეს ვერ მოასწრეს“...

ილია ჭავჭავაძე იქვე მოგვანიშნებს, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ ზოგან ყველაფერი არ არის ბოლომდე თქმული. ადვილი შესაძლებელია, ამ „წვრილი გალაშქრებებისა“ და „განავარდების“ ამბავი სრულად არ იყოს აქ გადმოცემული. ესე იგი, ნაჩვენებია თამარის მხედრობის გალაშქრების ამბავი და მიზეზები კი, რამაც უშუალოდ გამოიწვია ეს გალაშქრება, მითითებული არ არის — ან შეგნებულად არ ჩერდება მათზე მემატიანე, რათა თავიდანვე აღებული სტილი ლაკონური თხრობისა არ დაარღვიოს, ან დროთა ვითარებაში ამოვარდნილა; გადამწერებმა მთავარი ყურადღება თვით გალაშქრებასა და ბრძოლის შედეგზე გაამახვილეს და გამომწვევი მიზეზები კი გამოტოვეს.

როცა ამ საკითხებზე ელაპარაკობთ, კარგად უნდა გავითვალისწინოთ მაშინდელი მდგომარეობა, უნდა ფართოდ გადავაველოთ თვალი ჩვენი ქვეყნისა და მისი მეზობელი — ახლად აღმოცენებული სასულთნოების რუკას. ზემოთ ერთგან ვთქვით, ეს სასულთნოები ჩვენი ქვეყნის ირგვლივ სოკოებივით აღმოცენდნენო. მათი ჩამოყალიბებისა და დამკვიდრების პროცესი დიდხანს გრძელდებოდა და მეტად ცვალებადი იყო. ისინი ყალიბდებოდნენ შინაგანი წინააღმდეგობების, ერთმანეთს შორის გაუთავებელი ომების და თავდასხმების პირობებში, ერთი მონაკვეთი მიწისა ხან ერთ სასულთნოს ეკუთვნოდა, ხან მეორეს...

მართლაც რომ შეგვეძლოს, ზემოდან დავხედოთ ამ გეოგრაფიულ სივრცეს, ჩვენს ქვეყანასა და მის ირგვლივ აღმოცენებულ ახალ სახელმწიფოებსა და სასულთნოებს, გზებს, რაც ამ ქვეყნებს ერთმანეთთან და საქართველოსთან აკავშირებს, ჩვენ დავინახავთ უამრავ მარბეველ რაზმებს, რომლებიც ამ გზებზე დათარეშობენ,

წრიალებენ... ზოგან პატარ-პატარაა ასეთი რაზმები, ზოგან მთელი დიდი ლაშქარი, რომელიც ზოგჯერ მეტად გაურკვეველი თუ ჩამოუყალიბებელი მიზნით გამოსულა და დაეხეტება: ან ნადაელს გადაეყრება სადმე და გაიტაცებს, ან სუსტად გამაგრებულ ქალაქს წაადგება და მიიტაცებს, — ქალაქს დაარბევს, ტყვეებს წაასხამს, სიმდიდრეს გაზიდავს და ქალაქში თავის გარნიზონს ჩააყენებს... თუ შერჩა და არ დაისაჯა, ხომ კარგი, არა-და მაინც რას კარგავს — ერთი დარბევა მაინც ხომ მოასწრო, ქალაქში ერთი გაჯირითება, ტყვეების წასხმა, ნადაელის წაღება!.. ჩვენი საუკუნეთა მხილველი მანქანიდან ჩვენ შეგვიძლია გავარჩიოთ გამუდმებული თუხთუხი, მოძრაობა, გადაადგილება ასეთი მარბეველი ლაშქრებისა. ისინი მოსდებიან დიდსა თუ მცირე სავაჭრო-საქარავნო გზებს და დაეხეტებიან, ზოგი საით მიდის და ზოგი საით, ზოგჯერ ერთმანეთსაც შეეჩეხებიან და ნუ გაგიკვირდებათ, ერთმანეთსაც თუ დაერიონ და მუსრი გაავლონ... ზოგჯერ მემატიანის სიტყვებშივე გამოანათებს მოკლე ფრაზა, რომელიც ერთბაშად შუქს მოჰფენს ყველაფერს.

ერთ-ერთი ასეთი „წერილი გალაშქრების“ ამბავს რომ მოგვითხრობს მემატიანე და გვაუწყებს, როგორ გაემართა ქართველების მხედრობა რახსისაკენ, იქვე თითქოს სხვათა შორის შენიშნავს: „და მუნით წამოსრულ იყვნეს ლაშქარნი დვინელნი, ბიჯნელნი და ამბერდელნი (დააკვირდით, რამოდენა ლაშქარი ჩანს!) მ ე კ ო ბ - რ ო ბ ა დ დ ა მ ზ ე რ ა დ ქ ა რ ა ვ ნ ი ს ა“.

დამახასიათებელი მაგალითია და კარგად ხსნის იმას, რაზედაც ახლა ლაპარაკი გვქონდა. როცა ქართველების მხედრობა რახსისკენ გაემართა, გზაში იგი შეეჩეხა იქიდან დაძრულ მტრის დიდ, შეერთებულ ლაშქარს, რომელიც „მეკობრობად და მზერად ქარავნისა“ გამოსულიყო. „მეკობრობად და ქარავნების მზერად“ გამოსული მტრის ასეთი რაზმები — ზოგჯერ ძალიან დიდი (როგორც ახლა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში), ზოგჯერ უფრო მომცრო, განუწყვეტლივ დაეხეტებოდნენ ხოლმე დიდ სავაჭრო-საქარავნო გზებზე და ყოველნაირად ხელს უშლიდნენ ვაჭრობის განვითარებას, საერთოდ ცხოვრების მშვიდობიანად წარმართვას. სანაპირო რაიონები ხელიდან ხელში გადადიოდა. შენიშნავდით კიდეც, რამდენჯერ ყოფილა შემთხვევა, მემატიანე გვაუწყებს, რომ საქართველოსა თუ სომხეთის ესა თუ ის კუთხე, ქალაქი თუ ციხე დიდი ბრძოლისა და სისხლისღვრის შემდეგ აიღო ჩვენმა მხედრობამ. ამის შემდეგ გადის მცირე დრო და ან იმავე მემატიანის მოთხრობიდან ან სხვა

რამ საბუთიდან ვგებულობთ, რომ ჩვენს ჯარს ისევე გააფთრებული ბრძოლა უხდება იმავე ქალაქის ასაღებად, ამასთან, არც მემატიანის მოთხრობაში, არც სხვაგან სადმე, მითითებული არ არის, რომ ეს ქალაქი მტერს ისევ მიეტაცებინოს. ზემოთ საშუალება გექონდა, დაერწმუნებულიყავით, რამდენჯერ შეემთხვა ასეთი რამე ანისს, დვინს... ბანა, ოშკი, ხახული თამარის ზეობის პირველ წლებში მტრის ხელში ყოფილა...

საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში ვკითხულობთ: „მეზობელი მაპმადიანი მმართველები დროგამოშვებით ცდილობდნენ, რომ შემოერთებული ადგილები ისევ ჩამოეგლიჯათ საქართველოსათვის“.. და იქვე: „დიდ ომებს შორის ქართველი ჯარები განუწყვეტლივ ლაშქრობდნენ საქართველოს მეზობელ თემებში, იქ ამ ხნის განმავლობაში კვლავ გაძლიერებულ თურქებს ანადგურებდნენ, ი ბ რ უ ნ ე ბ დ ნ ე ნ მ ტ რ ი ს ა გ ან მ ი ტ ა ც ე ბ უ ლ ს, უშორეულეს ქართულ ციხე-ქალაქებს და ახალ ქვეყნებსაც საქართველოს მეფეს უმორჩილებდნენ“.

აი, მთავარი მიზეზი და მიზანი იმ ე. წ. „წვრილი ლაშქრობისა“, მაგრამ ეს საკითხი რთული და მრავალწახნაგოვანია და როცა იმ გახშირებულ „წვრილ გალაშქრებებზე“ ვლაპარაკობთ, სხვა რამეც უნდა ვახსენოთ და გავითვალისწინოთ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ყველაფერი ხდება ფეოდალიზმის პირობებში, როცა ფეოდალი ყოველნაირად ცდილობს „გაფართოებასაც“ და გამდიდრებასაც. ბერძენიშვილის ჩანაწერებში ვკითხულობთ: „რბევა დიდებულთა ბიუჯეტში საგრძნობი „სტატია“ იყო“.

ახლა სხვა კუთხითაც შეეხედოთ საკითხს.

ჩვენ ვნახეთ, როგორ უხვად აჯილდოებს ქართველი მეფე თავის ერთგულ დიდებულებს — უბოძებს ქალაქებს, ციხესიმაგრეებს, მთელს კუთხეებს... ამ ქალაქებსა და კუთხეებს თავისი მოსახლეობაც ჰყავს და ამა თუ იმ დიდებულის აღზევებასთან ერთად შესაბამისად მისი ლაშქარიც იზრდება, მისი სამხედრო ძლიერებაც მატულობს. ამრიგად, მეფისაკენ ხელშეწყობით ეს დიდებულები „ნახევრად ხელმწიფობას აღწევენ“ და, რაღა გასაკვირია, თვით მეფეს დაუპირისპირდნენ. ეს არის სწორედ ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი შინაგანი წინააღმდეგობა. მეფე გარკვეული მოსაზრებებისა და შექმნილი სიტუაციის გამო თვითონვე უწყობს ხელს ფეოდალის გაძლიერებასა და აღზევებას, ხოლო გაძლიერებული ფეოდალი, რომელსაც უკვე დიდი ლაშქარიც გაუჩნდა, პოტენციური მოწინააღმდეგე ხდება

მეფისა და მეფეს მუდამ მისი შიში უნდა ჰქონდეს, დღეს არა ხვალ ისე დატრიალდება საქმე, რომ ეს უზომოდ აღზევებულ-გაძლიერებული ფეოდალი მის გამძლირებელსავე დაუპირისპირდება, მის წინააღმდეგ შემართავს მახვილს...

ის დიდი ამბოხება თამარის წინააღმდეგ, რომელიც გიორგი რუსის სახელით მოხდა, განა ამის დადასტურება არ არის?! ამიტომ მეფე იძულებული ხდება, სულ იმის ცდაში იყოს, უქმად არ დატოვოს გაძლიერებული ფეოდალები და მათი მხედრობა. გიორგი მელიქიშვილი სწორედ ამაზე ამახვილებს ყურადღებას და წერს:

თამარის მეორე ისტორიკოსი „ბასილი ეზოს მოძღვარი საგანგებოდ აღნიშნავს, როგორც მაგალითს იმისა, თუ რა შეიძლება მოპყვეს საქმის (ლაშქრობის) გარეშე ხალხის დატოვებას“...

თავი IX

შამქორისა და ბასიანის ომები და ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებები ✦ საქართველოს სამეფო კარმა განახორციელა დიდი სიფრთხილით მოფიქრებული გეგმა – თავის მეზობლად, შავი ზღვის სანაპიროზე, დააარსა ტრაპიზონის სამეფო ანუ საკეისრო. ამ ადგილებში ბინადრობდნენ ქართველური ტომები – ლაზები და ჭანები ✦ თამარის ლაშქარმა შემოიერთა პოლიტიკურ-სტრატეგიტული და ეკონომიკური თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი ქალაქი კარი (ყარსი)

ჩვენ რომ ზემოთ დიდი ომი ეახსენეთ, იგი ისტორიაში ცნობილია შამქორის ომის სახელწოდებით. ეს იყო 1195 წელს.

დაიწყო ყველაფერი იმით, რომ ერთ-ერთი მუსულმანური სექტის — მუპლიდების მიმდევრებმა მოკლეს ათაბაგი ყიზილ-არსლანი, რომელსაც სულ რამდენიმე ხნის წინ თავი სულთნად გამოეცხადებინა. ერცელი სამფლობელო ყიზილ-არსლანისა გაინაწილეს მისმა ძმისწულებმა — უფროსმა ხუტლუ-ინანჩიმ, რომელსაც ერგო ტერიტორია „ერაყით ხუარასნამდის და ბაბილონამდის", შუათანამ ამირ-ბუბაქარმა (აბუ-ბექრი), „ადარბადაგანი სომხითამდის" და უმცროსმა ამირ-მირმანმა.[1] უმცროსს არგუნეს „არანი გურგანის ზღვით გელაქუნის ზღუამდე".

ის ფაქტი, რომ სამი ძმა გახდა პატრონი ერთი ქვეყნისა, უკვე თავისთავად შეიქნა შულლისა და მტრობის საფუძველი. ასევე წერს ქართველი მემატიანე: „ამას შინა, ვ ი თ ა რ ა რ ს წ ე ს ი მ რ ა ვ ა ლ მ თ ა ვ რ ო ბ ი ს ა, შეიქმნა შური და ხდომა..."

იმის რკვევას, თუ როგორ წარიმართა და როგორ მიმდინარეობდა „შური და ხდომა", ნულარ მოვყვებით, ჩვენი მოთხრობისთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს, თუმცა თავისთავად იქნებ საინტერესოც იყოს.

1. ქართველი მემატიანე უწოდებს ამირ-მირმანს, სინამდვილეში კი უმცროს ძმას უბბეფი რქმეულია.

მთავარი ის არის, რომ შუათანამ მეტი აქტიურობა გამოიჩინა და ამას თავისებური გამართლებაც ჰქონდა; ყიზილ-არსლანის ნაშვილები გახლდათ და თავი ბიძის უფლებამოსილ მემკვიდრედ მიაჩნდა. ალბათ ძალაც მეტი აღმოაჩნდა და ამ „ხდომასა“ და ქიშპობაში აჯობა უფროს ძმას, „აოტა“ იგი, გააქცია, ათაბაგად თვითონ დაჯდა. რაღა თქმა უნდა, მისი ტერიტორიაც მიიტაცა. გამარჯვებული და გაყოყოჩებული, ახლა უკვე გაძლიერებულიც, ბუნებრივია, ამით არ დაკმაყოფილდებოდა.

ჯერი უმცროს ძმაზე მიდგა.

ზღაპრებში უმცროსი ძმა, ჩვეულებრივ, ყველაზე მარჯვე, ჭკვიანი და მოხერხებულია, მუდამ ის იმარჯვებს. არ ვიცი, ჭკუად და მოხერხებად ჩაეთვლება თუ არა ეს ამირ-მირმანს, მაგრამ ასეთი „აგრესიული“ ბუნება რომ შენიშნა უფროს ძმას, ეტყობა, შეეშინდა, მეც არ გამაძევოსო და რაკი საკუთარი თავის იმედი არა ჰქონდა, შარვანშას დაესიძა, მისი ქალი შეირთო ცოლად, ძლიერი მოკავშირე გაიჩინა და გული დაიარხვინა — ახლა უკვე ვეღარაფერს გამიბედავს ჩემი ძმაო.

მაგრამ ამან ვერ უშველა, პირიქით, ახლა სიძე-სიმამრს ორივეს დაესხა ხუტლუ-ინანჩი, „ბელაყნის კარსა“, ორივე „გააქციენა და თვით დარჩა გადიდებული და გალაღებული ჟამადმდე“.

დაკვირდით: მემატიანე წერს „ჟამადმდეო“, ესე იგი, დროებით დარჩა გალაღებულიო.

ვინ იცის, მერე რა მოხდებოდა, შეარჩენდა თუ არა შარვანშა ამ თავხედობას ხუტლუ-ინანჩს... მაგრამ კაცისაგან განწირული სიძე-სიმამრი ღმერთმაც აღარ დაინდო — „შერისხვაცა მოიწია სახლსა ზედა შარვანისასა“: სწორედ იმ ხანებში ძლიერმა მიწისძვრამ დაანგრია და მიწასთან გაასწორა შირვანის ქალაქი შამახა — „შეარყიენა და დასცნა ზღუდენი და ციხენი შამახიისანი“, შარვანშას ცოლ-შვილიც სასახლის ნანგრევებში მოჰყვა და დაიღუპა.

ეს შარვანშა ძალიან უცხო ვინმე არ გეგონოთ, ჩვენი ნაცნობი აღსართანია — აღმაშენებლის ქალის ნაშიერი.

და აი, ამ უკიდურესი გაჭირვების დროს შარვანშას თავისი ნათესავი და მფარველი ქართველი მეფე გაახსენდა. და წარმოაელინა „მოციქულნი შემოსახუეწელად“, ასეთ დღეში ვართ და გვიშველეთო.

გაჭირვების დროს რომ ქართველი მეფე გაახსენდა შარვანშას, ეს სულაც არ არის გასაკვირი, რადგან ქართველი მეფისა და

მისი მხედრობის სახელი შორს იყო გავარდნილი. ხოლო თეითონ, როგორც უკვე ითქვა, ყმადნაფიციც გახლდათ ქართველი მეფისა და ნათესავიც. ასე რომ, დახმარების იმედი უსათუოდ უნდა ჰქონოდა. მკითხველისთვის საინტერესო იქნება, კონკრეტულად რა შემოუთვალა ქართველ მეფეს მისმა ყმადნაფიცმა.

ჯერ ქება-დიდებას შეასხამს თამარსა და მის მხედრობას შარვანშა აღსართანი, ალექსანდრე მაკედონელს ადარებს... მერე კი მიმართავს: დაიპყარით სპარსეთი და „მაშინ დასვით ასული თქუენი... პატრონად ყოვლისა სპარსეთისა“.

როგორც ხედავთ, ასულსა სთხოეს სასძლოდ, ოღონდ ვისთვის, ეს გაუგებარია.

კი მაგრამ, რომელ ასულსა სთხოესო, იკითხავთ თქვენ. დაგვაგიწყდა გვეთქვა, რომ თამარს, ვაჟიშვილის შემდეგ, მალეევე შეეძინა ქალი, რომელსაც მამიდის სახელი რუსუდანი დაარქვა. ახლა ეს ბავშვი სულ ერთი წლისა თუ ცოტა მეტისა იქნება, მაგრამ სწორედ მასზეა ლაპარაკი, მის ხელსა სთხოვენ ქართველ მეფეს. ეს არ უნდა გაგვიკვირდეს: საქმე ეხება წინასწარ დაწინდვას, რაც იმხანად იშვიათი მოვლენა არ ყოფილა, მით უმეტეს, როცა პოლიტიკური თვალსაზრისით ხდებოდა დამოყვრება.

მემატიანე არ ერიდება, პირდაპირ თქვას: თამარს სიძობის ღირსად არ ჩაუთვლია ის სპარსი გვირგვინოსანი, ვისაც რუსუდანის ქმრად სთავაზობდნენ — „არამაღირსმან სიძობისამანო“, მემატიანე გადმოგვცემს („არამკადრებელმან სიძობისამან მარტოდ მისცა შეწევნის პირიო“, ვახუშტი წერს).

ამ ერთ თხოვნაზე კი უთხრა უარი, მაგრამ „შუელისა და ხელისაპყრობის (დახმარების) იმედი“ მაშინვე მისცა; და არც დაუყოვნებია, ხელადვე „წარაველინა შიკრიკნი და მალემსრბოლნი წუევად ლაშქრისა იმერით და ამერით“.

სანამ ლაშქარი შეიყრებოდა, შარვანშა და მისი სიძე სამეფო კარზე მოიწვიეს სტუმრად; სიძე-სიმამრს არ დაზარებიათ ჩამოსვლა, თან დიდი ამალა ჩამოპყვათ — „მოვიდეს... ყოვლისა არანისა დიდებულითა და ჰულამითა“.

არ ვიცი, მტრის თვალის ასახვევად თუ რატომ — ისეთი მასპინძლობა გაუწიეს ჯერ მტრისგან საშინლად დამარცხებულ და მერე მიწისძვრისგან გაუბედურებულ სიძე-სიმამრს, გეგონებოდათ, თავის დღეში არაფერი მწუხარება შეხვედრიათ და ახლაც ამ სიშორეს დროის სატარებლად ჩამოსულანო.

გაიმართა დიდი დარბაზობა. ქართველ დიდებულებს ქვეყნის ყველა კუთხიდან მოეყარათ თავი და საზეიმო ჩაცმულობით ადვილად იცნობდით, ვინ რომელი კუთხიდან იყო, ან ვის რა თანამდებობა ჰქონდა. უკვე ყველას თავისი ადგილი დაეკავებინა, მაგრამ დიდ დარბაზში ჯერ ისევ ჩოჩქოლი იდგა, ერთმანეთს მოიკითხავდნენ, ხუმრობდნენ, ენამახვილობდნენ, იცინოდნენ... ხოლო, როცა მსახურთუხუცესმა ხელი შემართა, წამსვე სამარისებური სიჩუმე გამეფდა — დარბაზში შემობრძანდნენ თამარი, დავითი და ყრმა ძე გიორგი. ყველა ფეხზე წამოდგა და თავი დახარა. თამარი თავის დაკვრით მიესალმა საზეიმოდ შეკრებილ დარბაზს და ოქროჭედილ ტახტზე დაბრძანდა, ხოლო როცა გვერდით მეუღლე და შვილი მიუსხდნენ, მსახურთუხუცესს ანიშნა, სტუმრები შემოეყვანათ.

ჯერ შარვანშა აღსართანი შემოიყვანეს, „როგორც შინაური და თავისი... მოიკითხეს წესისაებრ და დასუეს თვისსა ადგილსა". ამირ-მირანიც საპატიო სტუმარი იყო და ისიც „პატივითა და ზარით" მიიღეს, „დასუეს პატივითა და შეიტკბეს, ვითარცა შვილი, მოყმე კარგი და შესახედავ-საყუარელი", მერე ამათი მრავალრიცხოვანი ამალაც შემოიყვანეს და იმათაც „შესატყვისი პატივი" მიაგეს...

დარბაზობა დიდხანს არ გაგრძელებულა... დაიწყო პურობა... „დაიდვეს ნადიმი, სიკეთე და სიტურფე გამოუთქმელი. იყო სიხარული და ზმა მგოსანთა და მოშაითთა". თამარმა ძვირფასი სამოსელი უბოძა შარვანშასაც, მის სიძესაც და მათ დიდებულებსაც... მთელი კვირა ილხენდნენ, იშვებდნენ, იხარებდნენ... „ჰქონდა ყოველთა დღეთა სიხარული: მათგან ძღუნობა, ამათგან ბოძება, ნადირობა, ბურთაობა"... გრანდიოზული ასპარეზობა მოაწყვეს — „უბრძანა მეფემან ამირს-პასალარსა... და მსახურთუხუცესსა... ჰერეთისა ერისთავსა... და სხუათა მოყმეთა და ჩაეიდეს მოედანს. და მუნით ჩამოვიდა ამირ-მირმან მისითა დიდებულითა და მონითა"... შეჯიბრება ქართველ მხედრებს მოუგიათ — „ისლიმნი, დაჯერებულნი მეცნიერობისანი და მძლე-მბრძოლნი, მსწრაფლ იძლიენეს დავით მეფისა და მისთა მოყმეთაგან და შეიქცეს ძლეულნი და მჭმუნვებელნი"...

ისეთი ზეიმი, შვება და სიხარული იყო, თითქოს სტუმართაც დაავიწყდათ თავიანთი გასაჭირი და ის სათხოვარი, რისთვისაც ქართველ მეფეს ეახლნენ, და აღარც მასპინძლებს ახსოვთ, რომ ქვეყნის ყველა კუთხეში შიკრიკები ჰყავთ დაგზავნილი ლაშქრის საწვევად.

ლაშქარი კი ამასობაში შეიყარა და მათი სიმრავლით „აღივსნეს

მტკურის პირი, ალგეთის პირი, ქციის პირი და ქურდეაჭრის პირი, ესე ოთხნიეე მდინარენი ტფილისით ყარლჩამდის“.

ხედავთ, რამოდენა ლაშქარი შეყრილა, რა სიერცეზე დაბანაკებულა! უკეე გამზადებულები არიან და, ეტყობა, მალე დაიძრებიან გასალაშქრებლად.

ახლა იქითაც გადავიხედოთ, იქით რა ხდება, მოწინააღმდეგის ბანაკში.

თუ მართლა მტრის თეალის ასახვეეად იყო მოწყობილი ის დიდი ზეიმი, ფუჭად ჩაუვლია, რადგან შარვანშას და მისი სიძის საქართველოში ჩამოსვლის ნამდვილი მიზეზი და აქ ლაშქრის გამალებული წვეეა მტერს არ გამოპპარვია. უფრო მეტიც შეიძლება ითქვას: მოწინააღმდეგეს ადრეეე ჰქონდა დაწყებული გამოსალაშქრებლად მზადება.

როცა ქვემოთ მტრის ლაშქრის შემადგენლობას გაეცნობი, უნებურად გაიფიქრებ, რომ ამოდენა ლაშქრის შესაყრელად დიდი ხნით ადრე უნდა დაეწყოთ მზადება და ეს გაგებული ექნებოდა საქართველოს სამეფო კარს. ეს მეტად მნიშვნელოვანია. საქართველოზე გამოსალაშქრებლად ფაქტიურად ემზადებოდა ერთი ქვეყანა კი არა, არამედ მაპმადიანური ქვეყნების დიდი შეერთებული ლაშქარი. ნახჭევანიდან მოყოლებული მთელს სპარსეთში შეპყარეს ლაშქარიო, ქართველი მემატიანე გადმოგვცემს. ათაბაგი აბუ-ბექრი თვითონ არანში იდგა და იქ აცნობეს, რომ ხალიფას „წარმოეგზავნა დროშა მისი და ლაშქარნი, რომლისა თაესა ზედა იყო ოქრო ათასისა ხალიფურისა“. ამას თამარის პირველი ისტორიკოსი წერს.

აქ ძმებს შორის ჩამოვარდნილი შუღლი და საქართველოს სამეფო კარის დახმარება თავისი ყმადნაფიცი ქვეყნისადმი საბაბს უფრო პგავს ან უშუალო ბიძგს ომის დასაწყებად, თორემ ყველაფრით აშკარად ჩანს, რომ მაპმადიანურ სამყაროს გადაუწყვეტია, ერთხელ და საბოლოოდ გაანადგუროს ეს ქრისტიანული ქვეყანა და მისი მხედრობა, რომელიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე წინ ეღობება და ხელს უშლის, სრული პეგემონობა დაიმკვიდროს მახლობელ აღმოსავლეთში. მოუვიდოდა თუ არა ჩხუბი ერთმანეთში იმ სამ ძმას და ჩაითრევდნენ თუ არა თავიანთ ჩხუბში ქართველი მეფის ყმადნაფიც შარვანშას, სულ ერთია, ომი მაპმადიანური ქვეყნების შეერთებულ ლაშქართან მაინც გარდაუვალი იყო.

თამარის მეორე ისტორიკოსს რომ მოუსმენთ, უკეე ეჭვი აღარ შეგეპარებათ, რომ ეს ნამდვილად ასეა.

„შეიწრდეს ყოველით-კერძონი სპარსნი და უღონოებამან მოიცუნა და მხოლოდ ერთიღა სასოება ცხოვრებისა მოიპოვეს, ესე იგი არს სიკუდილითა ხსნა თავისა. ამისთვისცა შეკრბეს ყოველით კერძო შეთქმულებითა, შეიღებნეს სამოსელნი და პირნი, და მივიდეს წინაშე ხალიფასსა, აუწყეს თვისი ჭირი და აწუეედეს, რათა უბრძანოს ყოველსა სპარსეთსა შეწევნად მათდა. რომელი ესე ყო ხალიფა: განახუნა ძუელნი საგანძურნი და იდუმალ წარაელინა კაცი ყოველსა შინა სპარსეთსა, მისცა ოქრო აურაცხელი, რათა შეკრიბონ ყოველით-კერძო ლაშქარი ურიცხვი. და მისცა ბრძანება, რათა რომლისაცა სამთავროსაგან სპარსთასა არა წამოვიდნენ, თვით მათ ზედა მისლვითა იავარ ყვნენ. ესე ესრეთცა იქმნა: იწყეს ამოღმართ რომ-გვიროს და ინდოეთისა და ქუეშოთ სამარყანამდი და დარუბანდამდი. შეკრბა ესეოდენი, ვიდრემდის არცა რიცხვი იცოდეს და ვერცა ერთსა თემსა დაეტეოდეს“...

მემატიანის ზემოთ მოტანილი სიტყვების მიხედვით ხომ აშკარად ჩანს, რომ იქ უკვე დაწყებული ჰქონდათ სამზადისი საქართველოს წინააღმდეგ გამოსალაშქრებლად, ჯარს დიდი ხანია აგროვებდნენ მთელს აღმოსავლეთში. შარვანშა-ამირმირმანისა და აბუბექრის უთანხმოება და კონფლიქტი, როგორც ითქვა, უშუალო ბიძგი გამოდგა დიდი ომის დაწყებისა, რომელიც ადრე თუ გვიან გარდაუვალი იყო.

ახლა კიდევ ერთხელ გადავხედოთ მემატიანის სიტყვებს. ამას რომ კითხულობ, უნებურად გაგონდება მაჰმადიანური ქვეყნების კიდევ ერთი შეერთებული ლაშქარი, რომელიც სამოცდათოთხმეტი წლის წინ სამხრეთიდან დაიძრა და თბილისისკენ წამოვიდა. მაშინ მოწინააღმდეგის შეერთებულ მხედრობას ილღაზი სარდლობდა. და მაშინაც ასეთივე მტკიცე გადაწყვეტილებით მოდიოდნენ — პირისაგან მიწისა აღეგავათ ეს ქვეყანა და ეს ხალხი. მაშინ, გახსოვთ ალბათ, მეტისმეტად თავდაჯერებული და იოლ გამარჯვებაში დარწმუნებული იყო მტრის ლაშქარი და მისი სარდალი...

ახლა რამდენად იყო დარწმუნებული გამარჯვებაში მტრის შეერთებული ლაშქარი, ვერ ვიტყვით, ასეთი ცნობა წყაროებს არ შემოუნახავთ, მხოლოდ ვარაუდი შეგვიძლია, რომ თავდაჯერებული იქნებოდნენ. დიდი მხედრობა იყო და უეჭველი გამარჯვების ნიშნად — ანუ ღაზოდ, როგორც ქართველი მემატიანე არც თუ უირონიოდ შენიშნავს, — თვით დიდი ხალიფას დროშა მოუძღოდათ, ბაღდადის

ხალიფას დროშა. ამასაც მნიშვნელობა ჰქონდა. ფანატიკურად განწყობილ ჯარს გაამხნევებდა და თავგანწირული ბრძოლისკენ მოუწოდებდა...

მაშინ დავით აღმაშენებელი თბილისის მახლობლად დახვდა მტრის შეერთებულ მხედრობას. ახლა კი გადამწყვეტი ბრძოლა სხვა მიმართულებით — სამხრეთ-აღმოსავლეთით — გაიმართა და არა მარტო თბილისიდან, არამედ საქართველოს ფარგლებიდანაც კარგა მოშორებით.

გალაშქრების წინ მეფემ ჩვეულებრივ ჩამოუარა მხედრობას, დაათვალიერა, სიტყვითმიმართა, გაამხნევა, მტრისლაშქრისსიმრავლე ნუ შეგაკრთობთო: „ძმანო ჩემნო, ყოველად ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქუენნი სიმრავლისა მათისათვის და სიმცირისა თქუენისა", მერე დალოცა — „შეავედრნა ღმერთსა, წარუძღუანა ძელი ცხოვრებისა და თანა წარატანა ანტონი ჭყონდიდელი" (თქვენ გახსოვთ, რომ ანტონი ამ დროს მწიგნობართუხუცესი ჭყონდიდელია; ჯვარი კი — ძელი ცხოვრებისა — ბრძოლაში მუდამ წინ მიუძღოდა ჩვენს ლაშქარს, „ჯუარის მტვირთველს" ეპყრა ხელთ. ამჟამად, ეტყობა, ანტონი იყო ჯუარისმტვირთველი).

ლაშქარი რომ ომში გაისტუმრა, თამარმა „წარიხადნა სამოსელნი ფერხთანი და ფერხიე შიშულითა ფერხითა მიიწია ტაძარსა ღმრთისმშობლისასა მეტეხთა".

ფეხშიშველი მივიდა მეტეხის ტაძარში და ახლა აქ შეავედრა ღმერთს თავისი ლაშქარი.

ორიეე ისტორიკოსი მოგვითხრობს ამ ომის ამბავს და მათი მონათხრობი ერთმანეთს ავსებს, საშუალებას გვაძლევს, სასურველი სისრულით აღვადგინოთ მთელი ომის სურათი.

ქართველებმა მდინარე ელეკეცის ნაპირზე დაიბანაკეს. ეტყობა, აქედან უნდა დაეზვერათ და გაეგოთ, სად იმყოფებოდა მტრის ლაშქარი. დიდი იყო მათი გაკვირვება, როცა გაიგეს, რომ მტერს განძისა და არანის ჭალები უკან მოეტოვებინა და წინ მოიწევდა. გაუკვირდათ იმიტომ, რომ ისინი მთათა საფარველს დასცილებოდნენ. მაგრამ მემატიანე იქვე შენიშნავს – ისეთი მრავალრიცხოვანი ჯარი ჰყავდათ, რომ აღარაფრის ეშინოდათო, თანაც იმედი ჰქონდათ, ხევში განლაგდებოდნენ და მოწინააღმდეგე ადვილად ვერ მიუდგებოდა.

ქართული მხედრობა ბრძოლისთვის მოემზადა. მეფე დავითმა იარაღი აისხა და თავის საყვარელ ბედაურზე შეჯდა...

ზერდაგზე შეჯდაო, მემატიანე წერს; საბას განმარტებით, ზერ-

დაგი შავ-ყვითელს ნიშნავს. მართლაც ლამაზი ცხენი ყოფილა! მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, მარტო სილამაზით არ იქნეობდა ის ცნობილი. ეტყობა, ნამდვილი მეომარი ცხენი იყო, ბრძოლასა და განსაცდელში თავისი მხედრის ერთგული თანაშემწე და მეგობარი, რაკი საგანგებო ქებას მიუძღვნის მემატიანე; ეს ცხენი მეფეს „სახელგანთქმულობისათვის ეყიდა ვახტანგ ხაჩენელისაგან მბოძებელსა ციხისა და სოფლისასა, რომელ არიან ჭარმანი“... დიდებული ცხენი ყოფილა, რაკი საფასურად მეფემ ციხე და სოფელი გადაიხადა; და, როგორც ეხედავთ, კარგმა პირუტყვმა თავისი თავიც უკვდავყო და ძველი პატრონის სახელიც შემოუნახა ისტორიას.

ერთი სიტყვით, ანტონი ჭყონდიდელი ჯვარით წინ წაიძღოლეს, „ჰკრეს სპერმურთა, სცეს ზარი“ და დაიძრნენ შამქორისაკენ.

ლაშქარი ორად გაყო მეფემ, მთავარ ძალას თვითონ წაუძღვა, სწრაფად გადალახა მდინარე და შემოუარა, ქალაქი მარჯვნივ მოიტოვა, უფრო მცირე ნაწილი კი პირდაპირ გაემართა ქალაქში შემავალი ხიდისკენ. და პირველი ფიცხელი შეტაკება სწორედ აქ მოხდა, ხიდთან. შეთანხმებულები ასე იყვნენ: აქ, ხიდთან რომ გაჩაღდებოდა ბრძოლა, მეფე ამ დროს უმთავრესი ძალით შემოუვლიდა და მთავარ დარტყმას იქიდან აგემებდა მოწინააღმდეგეს. ეს ალბათ მოულოდნელი იქნებოდა მტრისთვის, დაბნეულა, პანიკა მოიცავდა...

გეგმის პირველი ნაწილი სწორედ ისე დაიწყო, როგორც ჩაფიქრებული ჰქონდათ: ხიდთან მართალც გააფთრებით ეკვეთნენ მოწინააღმდეგენი ერთმანეთს.

და იქნებ უფრო სწრაფადაც დამთავრებულიყო ყველაფერი, გეგმის მეორე ნაწილიც თუ ასე წარმატებით შესრულდებოდა.

მაგრამ მეორე ნაწილის შესრულება, ისე როგორც წინასწარ ჰქონდათ მოფიქრებული, ვერ მოხერხდა. მთავარ ძალას, რომელსაც მეფე მიუძღოდა, შეაგვიანდა: ეტყობა, თავიდან ვერ გაითვალისწინეს, რომ ცუდი საგალი იყო, და „მეფე და რაზმნი მისნი მიზეზითა ბელთა და კაპანთათა (ქვაღოჯიანი საგალის გამო) დაყოვნებულ იყვნეს“.

ამ განსაცდელის დროს დიდი მხნეობა და ვაჟკაცობა გამოამჟღავნეს ძმებმა მხარგრძელებმა — ამირსპასალარმა ზაქარიამ და მსახურთუხუცესმა იოანემ. სწორედ იმ დროს, როცა ის-იყო მოწინააღმდეგის ძლიერი მოწოლისგან უნდა დაეხია მცირე რაზმს, ისინი დაიძრნენ — „წარმომართეს, ვითარცა ვეფხთა ფრთოსანთა“ და ახალი ძალით შეუტიეს...

და ამ დროს მეფის რაზმიც გამოჩნდა, ქართველებმაც და მოწი-

ნააღმდეგეებმაც შორიდანვე მოპკრეს თვალი ქართული დროშის ფრიალს: ეს იყო დროშა გორგასლიანი, „რომელი სინდეთს შესლ-ვითგან მოსპეტაკდებოდა“ (ამ დროშის ამბავი ჩვენ ზემოთაც გავიხსენეთ).

დროშის დანახვამ და მაშველი დიდი ძალის გამოჩენამ ისე შემატა მხნეობა მებრძოლთ, რომ მცირე რაზმმა „წახეთქნეს ნახევარნი ლაშქართა და რაზმთანი“ მოწინააღმდეგისა.

აქამდე თუ მხნედ იყო მტერი, ახლა, „რაჟამს იხილეს მეფე, დაეცა რისხვა ღმრთისა“ და უკუიქცნენ; ქართველები დაედევნენ და დიდი ზარალიც მიაყენეს, დიდძალი ტყვე იგდეს ხელთ, მათ შორის „ხელმწიფენი, დიდებულნი და აზნაურნი“. ათაბაგმა ძლივს დააღწია თავი ტყვეობას — იგი ერთი მონის თანხლებით გაიქცა და მიიმალა. ქართველებმა წამოიღეს უამრავი ნადაელი და რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, ხალიფის დროშა, მისგან „ღაზოდ წარმოგზავნილი“. დროშა შალვა ახალციხელის განსაკუთრებული მამაცობით იგდეს ხელთ და, როცა დაბრუნდნენ, მანვე მიართვა იგი თამარს. თამარმა დროშა ხახულის ღვთისმშობლის ხატს შესწირა, „მსგავსად მამის პაპისა მათისა: მაშინ მას წარეგზავნა მოძრცვილი ქედისაგან დორბეზე სადაყაის ძისა, ჟამთა დიდგორთა გაქცევისათა, მანიაკი ოქროსა, შემკული თუალებითა ძვირფასისათა“.

ამ მანიაკის ამბავი ზემოთ გიამბეთ, ალბათ გახსოვთ.

ალბათ არც ის არის შემთხვევითი, რომ თამარმა ამ ომში მო-პოვებული ყველაზე ძვირფასი ნადაელი, თავისი დიდი წინაპრის მსგავსად, ხახულის ხატს შესწირა და არც ის, რომ მემატიანემაც შეგვახსენა დიდგორის ომი. როგორც უკვე ითქვა, შამქორის ომშიაც, დიდგორის მსგავსად, ქართულმა მხედრობამ მტრის მრავალრიცხო-ვან შეერთებულ ლაშქარზე გაიმარჯვა და, ამდენად, განსაკუთრე-ბული მნიშვნელობა ჰქონდა.

იმ დიდი ბრძოლის მეორე დღეს, გათენებისთანავე, მეფე დაეითს ეახლნენ შამქორელები და ქალაქის კლიტენი მოართვეს. მეფემ შამქორიცა და ქალაქის მისადგომებიც, ციხეებითურთ, ამირ-მირმანს უბოძა და ითაყვანა იგი. თავად არ დაუჭერია ქალაქი.

შამქორში დიდხანს არ გაჩერებულა დავითი, თავისი ლაშქრით განძისკენ გაემართა, მაგრამ აქ ბრძოლა აღარ დასჭირეებია, „ქალაქი ნებსით შესწირეს“: მიუახლოვდნენ თუ არა განძას, დიდის მოკრძალებით გამოეგებნენ დიდებულები, დიდვაჭარნი, ყადი და მულიმნი; მიწაზე დაემხნენ და თაყვანი სცეს, „ცრემლით მოქენეთა

შეავედრნეს თავნი თვისნი და შვილნი“, გახსნეს ქალაქის კარები და დიდი თაყვანისცემისა და მორჩილების ნიშნად, სულთნის სასახლემდე ძვირფასი სტაცრა გაუფინეს. გამარჯვებულ ქართველ მეფეს, „გარდაასხმიდეს თავსა ოქროსა და ვერცხლსა, დრამასა და დრაჰკანსა“. სასახლეში რომ შებრძანდა მეფე დავითი, „აღვიდა და დაჯდა ტახტსა სულტნისასა“.

ეს იყო ბრწყინვალე გამარჯვება და გამარჯვების აღსანიშნავად მეფემ დიდი დარბაზობა მოაწყო. ქართველი მეფე ხომ სულთნის ტახტზე დაჯდა, ასევე „დასხნეს ამირ-მირმან და შარვანშა თვითეული თვისსა ადგილსა, ეგრეთვე ვაზირნი: მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი და შემდგომნი წესისამებრ, რომელიცა აქუნდა წესი ჯდომისა და დგომისა“. მემატიანე საგანგებოდ შენიშნავს: „ღორის ხორცითა დიდად ძალი პურობა გარდაიხადეს“.

თამარს, რაღა თქმა უნდა, მაშინვე შეატყობინეს გამარჯვების ამბავი — მახარობლად მანდატურთუხუცესი ჭიაბერი გამოგზავნეს. მეფე ტაბახმელას იყო და იქ ახარა გამარჯვება მანდატურთუხუცესმა. ტაბახმელიდან თამარი ქალაქს ჩავიდა, სასახლეში, და გამარჯვებული ლაშქარი იქ მიიღო. იქვე მიართვეს მას ომში მოპოვებული დაელა — „განძი აურაცხელი“.

შამქორის ომის მნიშვნელობას ივანე ჯავახიშვილი ასე განსაზღვრავს: „ქართველთა გამარჯვებას შამქორთან ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ საქართველოს ეგოდენ მკეიდრი სამხედრო ძლიერება გამოაეშკარავა, რომელსაც მაჰმადიანთა შეერთებული ლაშქრისათვის ჯეროვანი პასუხის გაცემა შეეძლო“.

მაგრამ მოწინააღმდეგე მაინც არ შერიგებია ბედს, თვალი მუდამ ჩვენი ქვეყნისკენ ეჭირა და, როგორც კი მოახელთებდა, გამოსალაშქრებლად იყო მზად... კერძოდ არც აბუ-ბექრს აუღია ხელი თავის განზრახვაზე, არც ის შერიგებია ბედს, განძის დაკარგვა ვერა და ვერ მოენელებინა.

მაგრამ, სანამ კვლავ დიდი ლაშქრის შეგროვებასა და საომრად მომზადებას მოახერხებდა, სანამ ქართველ მეფესა და მხედრობაზე იძიებდა შურს იმ მწარე დამარცხებისთვის, გადაწყვიტა, ჯერ თავისივე ძმაზე ეძია შური, ეს უფრო ადვილი იყო; „ნახჭევანს გადახუეწილმან“ მკვლელი დაიქირავა და ძმის მოწამლვა დაავალა. ოცდოდ დღე ძლივს გასულიყო მას შემდეგ, რაც ქართველმა მეფემ განძა ამირ-მირმანს გადასცა, რომ მოსყიდულმა მკვლელებმა ქალაქის ახალი პატრონი მოწამლეს — „მისცეს წამალი სასიკუდინე“

— და მას კელავ ათაბაგი აბუ-ბექრი დაეუფლა. ამირ-მირმანის ხალხმა წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ ვერაფერს გახდა; ათაბაგმა ძმის მომხრეები დაამარცხა — ნაწილი გაწყვიტა, ნაწილი გააქცია; ქალაქში ვინც დარჩა, იმათ ერთგულების ფიცი დაადებინა...

მოწამლული ამირ-მირმანი ერთბაშად არ მომკვდარა: საქართველოში მისი დასნეულების ამბავი მოვიდა. მეფე დავითი დაუყოვნებლივ გაემართა, რათა გასაჭირში ჩავარდნილ ყმადნაფიცს მიშველებოდა, მაგრამ თან მცირე მხედრობა იახლა. შამქორს რომ მიაღწია, ამირ-მირმანის დამწუხრებული დიდებულები შემოხვდნენ და მეფეს თავიანთი პატრონის სიკვდილისა და განძის დაკარგვის ამბავი მოახსენეს. დავითი უკანვე გამობრუნდა და თამარს აცნობა ყველაფერი, ამირ-მირმანის დიდებულებიც საქართველოში გამოპყვნენ.

ამგვარად, განძა ისევ მტრის ხელში აღმოჩნდა, და რაც უფრო მალე გაილაშქრებდნენ ქართველები, მით უფრო ადვილი იქნებოდა მისი კვლავ დაბრუნება. დაყოვნება მოწინააღმდეგისთვის იქნებოდა ხელსაყრელი, ქალაქში კარგად გამაგრებას მოასწრებდა. სანამ ქართველები დიდ ლაშქარს აწევევდნენ, ივანე მხარგრძელი გაემართა მცირე მხედრობით. ქართველი მემატიანის ცნობით, გზაზე მას მტრის დიდი ლაშქარი შემოხვდა — განძიდან დვინისკენ მიემართებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგე ათჯერ მეტი იყო, ივანე მხარგრძელი მაინც შეებრძოლა და გაპფანტა — „დაფანჩნა და დაპანტნა, ვითა წერონი ტუღრილმან და ვითა ჯოგი კანჯრისა ლომმან“...

ეს იყო 1196 წელს. ამ ბრძოლით ქართველებმა გელაქუნი და ამბერდი შემოიერთეს.

მაგრამ განძა კვლავ მოწინააღმდეგის ხელში იყო და აბუ-ბექრიც დაუსჯელი დარჩა.

და აი, კვლავ დიდი ლაშქარი შეკრიბეს — „შეიყარა მეფე სპითა იმერთა და ამიერთათა“...ამოდენა ლაშქარს — მთელს ამერ-იმერეთს — განსაკუთრებულ შემთხვევაში შეყრიდნენ ხოლმე, როცა დიდი ბრძოლები იყო მოსალოდნელი. მართლაც, ორი მიმართულებით აპირებდნენ თურმე ქართველები ახლა გალაშქრებას. ასე აქვს ეს ადგილი წაკითხული პირველი მემატიანის თხზულებაში ივანე ჯავახიშვილს. იგი წერს:

„თავხედი აბუ-ბექრის დასასჯელად ქართველებმა ორ მხარეს მოაწყვეს ლაშქრობა: ჯარის ერთი ნაწილი, მეფე დავით სოსლანის

მეთაურობით გაემგზავრა „ქუეყანასა განძისასა“, მეორე კი თამარ მეფეს გაპყვა, რომელიც „ჩავიდა დვინამდი“...

აქედან კარგად ჩანს, რომ აბუ-ბექრი კელავ არ ისვენებს, ვერა და ვერ შერიგებია თავის ნაღელიან ბედს; რაკიღა ათაბაგ ყიზილ-არსლანის ნაშვილები იყო და თავი მის მემკვიდრედ მიაჩნდა, არ ეთმობოდა ის მიწა-წყალი, რომელიც მის მამობილსაც უკანონოდ სხვისგან პქონდა მიტაცებული, და, ამდენად, იმ ქვეყნების უკანონო მემკვიდრე გახლდათ.

მემატიანის ცნობა იმის შესახებ, რომ თამარი „ჯარის ერთი ნაწილით“ დვინისაკენ გაემართა, ბოლო დროს ზოგიერთმა მკვლევარმა საეჭვოდ მიიჩნია; დვინი იმ დროს მტრის ხელში იყო და თამარი იქ ვერ ჩავიდოდა. აქ ალბათ სხვა გეოგრაფიული ადგილი, კერძოდ, „დვირი“ უნდა ვიგულისხმოთო; ამ მოსაზრებას ის უმაგ-რებს საფუძველს, რომ ჩვენამდე მოღწეულ ზოგიერთ ხელნაწერში „დვინის“ მაგივრად მართლაც „დვირი“ წერია.

კორნელი კეკელიძემ არ მიიღო ეს მოსაზრება, იგი ივანე ჯავახიშვილის წაკითხვასა და განმარტებას იზიარებს: თამარი წავიდა დვინისკენ, მაგრამ პირდაპირ ქალაქში კი არ შესულა, უფრო მოშორებით დაბანაკდა, და დვინი სწორედ ამის შემდეგ აიღესო. ეტყობა, სწორედ ეს მოსაზრებაა სარწმუნო და მისაღები, რადგან ასეთი გეოგრაფიული ადგილი (დვირი) იმ მიმართულებით, საითაც თამარი გაემგზავრა, წყაროების მიხედვით ცნობილი არ არის; ცნობილი ყოფილა დაბა დვირი თორისაკენ, მაგრამ კონტექსტში არ შეიძლება ეს დაბა იყოს ნაგულისხმევი, თუნდაც იმიტომ, რომ მემატიანისავე ცნობით, თამარს იქვე აღსართანი მიეახლა: მის „წინაშე მოვიდა შარვანშა სამსახურად“... ესე იგი, თამარი ნამდვილად დვინის მიმართულებით გამგზავრებულა, სწორედ იქ შეიძლებოდა მას ხლებოდა („მის წინაშე მისულიყო სამსახურად“, ალბათ თავისი ლაშქრით) შარვანშა აღსართანი. თამარის დვინისკენ გამგზავრების ტრადიციულად მიღებულ ვერსიას იზიარებს სიმონ ყაუხჩიშვილი, რომელმაც „ქართლის ცხოვრების“ მისეულ აკადემიურ გამოცემაში იმ ხელნაწერს მისცა უპირატესობა, სადაც „დვინია“ მოცემული: „თამარ ჩავიდა დვინამდი“...

●

მკითხველს იქნებ გაუკვირდეს, რატომ მივაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება ამ ადგილს. საქმე ის არის, რომ საკითხს პრინციპული მნიშვნელობა აქვს და ისეთ მოვლენას ჰფენს შუქს, რაც ზოგიერთს სადავოდ გაუხდია, თუმცა სადავო და სარკვევი სულაც არ არის. ყველაფერი ნათელი და გარკვეულია.

მკვლევართა და მწერალთა ერთი მცირე ჯგუფის მიერ სხვადასხვა დროსა და ვითარებაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ რაკი ქალი იყო თამარი, ქვეყნის სამხედრო საქმეებისგან შორს იდგა და ამ საქმეს ამირსპასალარები განაგებდნენ...

მაგრამ ის ხშირი ლაშქრობანი, განსაკუთრებით მაშინ, უშუალოდ ქვეყნის საგარეო ურთიერთობებთან იყო დაკავშირებული, და თუ აქ მოტანილი მოსაზრება ვირწმუნეთ, გამოდის, რომ ქვეყნის ერთპიროვნული გამგებელი სახელმწიფოს ამ უმნიშვნელოვანესი დარგიდანაც შორსა მდგარა. ეს, რაღა თქმა უნდა, ასე არ არის; თამარის ნებადაურთველად გალაშქრება და სამხედრო ოპერაციები — გინდ მცირე და გინდ დიდი — არა ხდებოდა. ამას მემატიანე პირდაპირ გვეუბნება: „ნუ ვინ ესრეთ ჰგონებთ, თუმცა თვინიერ თამარისსა რამე ქმნილ იყოს ვისგანცა, არამედ ისრე განიგონე: მონაპირეთა მონახიან საქმე, ანუ ციხე ასაღებელი, ანუ თურქმანი შემოდგომილი, ანუ ქალაქი განსატეხელი, ანუ ქუეყანა მოსარბეველი, მოახსენიან თამარს და მან გასინჯის საქმე იგი და გამოიკითხის. უკეთუ ღირს იყვის შეყრასა ლაშქართასა, უბრძანის ზაქარიას და იანეს და შეყარნიან ლაშქარნი. თვით დაეთ მეფე წაიდის და არა სადათ შემოქცეული ცუდად...“

როგორც ვხედავთ, მეფის უნებართვოდ ვერავინ გაბედავდა არათუ გალაშქრებას, არამედ ლაშქრის შეყრასაც. საომრად შეყრილ ლაშქარს კი, სათანადოდ განსჯისა და ზოგადი საომარი გეგმის დაწყობის შემდეგ დავითი წაუძღვებოდა. როგორც ვნახეთ, ამას თვითონ მემატიანე გადმოგვცემს — თამარის მეორე ისტორიკოსი ბასილი ეზოსმოძღვარი. და პირველი ისტორიკოსის ცნობა თამარის დვინისაკენ გალაშქრების შესახებ კარგად ადასტურებს ბასილი ეზოსმოძღვრის სიტყვებს. რაკი მეფე დვინისაკენ გაუძღვა ლაშქარს, ხოლო ამას მალე დვინის აღება მოპყვა, ბუნებრივია, თამარი უშუალოდ ხელმძღვანელობდა გალაშქრებასა და სამხედრო ოპერაციას. ამიტომაც შევაჩერეთ მკითხველის ყურადღება მემატიანის თხზულების ამ ადგილზე.

ამრიგად, ერთდროულად ორი მიმართულებით გაულაშქრიათ ქართველებს — სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით. ზემოთ რამდენჯერმე შევნიშნეთ და კიდევ უნდა გავიმეოროთ: ამ მხარეებსა და აქ განლაგებულ ქალაქებს პირველხარისხოვანი საარსებო მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვის — ეკონომიკური თვალსაზრისითაც, პოლიტიკურითაც და სტრატეგიულითაც. აქ იყო დიდი საეაჭრო ცენტრები, აქ გადიოდა უმნიშვნელოვანესი საეაჭრო-საქარავნო გზები, აქვე დროდადრო კონცენტრაცია ხდებოდა მოწინააღმდეგის ძალებისა, რომლებიც გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს საქართველოში მიმდინარე ამბებს და ასე თუ ისე ხელსაყრელ შემთხვევას არ გაუშვებდნენ, რომ კიდევ ერთხელ არ დაეძრათ დიდი ლაშქარი ამ დაუმორჩილებელი ქვეყნისკენ და კიდევ ერთხელ არ ეცადათ ბედი.

ორი მიმართულებით გალაშქრებათა ამბავი გადმოცემული აქვთ ქართველ მემატიანეებსაც და უცხოელებსაც. მათ ცნობებს რომ შევკრებთ და ერთმანეთს შევადარებთ, აშკარა ხდება, რომ ორივე მიმართულებით ხანგრძლივი და გააფთრებული ბრძოლები გამართულა. საბოლოოდ ქართველებმა აიღეს (უკვე მერამდენედ!) დვინი...

განძასთან კი, ეტყობა, უფრო გაძნელებიათ საქმე. აქ აბუ-ბექრის შვილი დახვედრია ქართველთა ლაშქარს და თავგანწირულად უბრძოლია. ქართველი მემატიანის ცნობით, ჩვენმა მეომრებმა ოცდახუთი დღე „დაჰყუეს კარსა ქალაქისასა“ და მერე... გაიმარჯვესო, პირდაპირ ასე ვერ ამბობს ქართველი მემატიანე, მაგრამ დიდი ალაფით დატვირთულები დაბრუნდნენო, ამას კი გვაუწყებს.

არაბ ისტორიკოსს თუ ვერწმუნეთ, ამ ხანგრძლივი ბრძოლების დროს ომის სასწორი უფრო აბუ-ბექრის შვილისკენ იხრებოდა, მას უფრო მეტი წარმატება ჰქონდა. ამრიგად, ეს ორი ცნობა, ერთგვარად, თითქოს ეწინააღმდეგება ერთმანეთს.

მაგრამ აგერ იმავე არაბი ისტორიკოსის ცნობით, განძიდან ქართველები ნახჭევანისკენ წასულან — იქ ეგულებოდათ ათაბაგი; აბუ-ბექრმა რომ გაიგო, ქართველები აქეთკენ გამოემართნენო, დაკრა ფეხი და თავრიზში გაიქცა, ესე იგი, კიდევ უფრო სამხრეთით, უფრო მყუდრო და უხიფათო ადგილს მიაშურა..

ისეთ დღეში ჩავარდნილა ქართველთაგან გაბეზრებული აბუ-

ბექრი, რომ, არაბი ისტორიკოსისაგე ცნობით, თავისი მოხელეები გააფრთხილა თურმე — მორჩა, სადაც არ უნდა შეიჭრნენ ქართველები, მე ნურაფერს გამაგებინებთო. ათაბაგს ღვინო პყვარებია — ჩაიკეტებოდა და სვამდა, ლოთობდა, ცდილობდა, დაევიწყებინა ის, რაც მის გარშემო ხდებოდა. სირაქლემას არაკისა არ იყოს, თუკი თვითონ არ დაინახავდა და გაიგებდა, რაც უნდა მომხდარიყო, რა უბედურებაც უნდა დატრიალებულიყო, გული საგულეს ჰქონდა.

სწორედ ამ ხანებში ქართველებს სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის ბევრი ციხე-ქალაქი აუღიათ...

ამ განუწყვეტელი ლაშქრობებისა და გამარჯვებების შემდეგ საქართველო მტკიცედ დაეუფლა ქვეყნის სამხრეთ დასავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მთავარ სავაჭრო გზებსა და ქალაქებს. ამან კი, ბუნებრივია, დიდად შეუწყო ხელი ქვეყნის შემდგომ ეკონომიკურ აღმავლობას.

●

წერილი ლაშქრობების ამბავს კელავ გამოეტოვებ. სჯობს, უფრო დაწერილებით მოვუთხრო მკითხველს სამი მნიშვნელოვანი მოვლენის ამბავი. ეს მოვლენები თითქმის ზედიზედ მოხდა, ერთმანეთის მიყოლებით და, როგორც ეტყობა, ერთმანეთთან დაკავშირებულიც არის იმ თვალსაზრისით, რომ ერთი ნიადაგს უმზადებს მეორეს.

მაგრამ სანამ ამ ამბებზე გადავიდოდეთ, ჯერ ერთი ისეთი ფაქტი უნდა გადმოგცეთ, რასაც, თითქოს წმინდა რელიგიური ხასიათი აქვს, მაგრამ ფაქტიურად უფრო ფართო მნიშვნელობას ღებულობს. საქმე ეხება ისევ ქართველ-სომეხთა რელიგიურ-აღმსარებლობითი ხასიათის პაექრობას, რომელშიაც ქართველ და სომეხ კათალიკოსთა და მღვდელმთავართა გარდა მაღალი თანამდებობის საერო პირებიც მონაწილეობდნენ.

წარმომადგენლობითი თვალსაზრისით თუ შეეხედავთ, დიდი პაექრობა ყოფილა და ამითვე შეგვიძლია ვიეარაუდოთ, რომ მწვავეც იქნებოდა. ქართველ მემატიანეს დაწერილებით აქვს მოთხრობილი და იქ მოტანილი ერთი ზღაპრული ეპიზოდითაც აშკარად ჩანს, რომ დავა მართლაც მწვავედ წარმართულა; დიდი რეზონანსიც ჰქონია, დიდხანს არ დავიწყებიათ და, როგორც ასეთ ვითარებაში ხშირად ხდება ხოლმე, ბევრი ზღაპრული და აშკარად მოგონილი ეპიზოდებიც

დაუკავშირებიათ მისთვის. მაგრამ იმდენად არარეალურია მემატიანის თხზულებაში — ალბათ შემდეგი დროის გადამწერელთაგან შეტანილი — ეპიზოდი, რომ აქ აღარ მოგითხრობთ. სიტყვას აღარ გაავგრძელებ. ამიტომაც არ არის იგი შეტანილი ვახუშტის ისტორიის ზოგ ვარიანტში; აი, რასა წერს ვახუშტის 1885 წლის გამოცემის რედაქტორი დიმიტრი ბაქრაძე:

„...ეს ნაწილი (იგულისხმება ის ზღაპრული ეპიზოდი) არ არის შეტანილი ვახუშტის ისტორიის ჩვენს მესამე ვარიანტში, რომელიც ახლად გვაქვს ნაშოვნი... ჩვენის ფიქრით, არც იყო ეს ნაწილი ღირსი ისტორიაში შეტანისა... იგი ფანტიკოსი ბერის ნაწარმოები უნდა იყოს (იგულისხმება თხზულების რომელიმე გადამწერი ბერი)... აქ სიმართლე არა არის რა“...

ამ ეპიზოდის გამო არც გაგვიხსენებია ეს პაექრობა. აქ სხვა რამ არის მნიშვნელოვანი.

ალბათ გახსოვთ, ზემოთ მხარგრძელები რომ გავიცანით, იქვე ითქვა — გასომხებული ქურთები იყვნენო; სომხური სარწმუნოება ჰქონდათ მიღებული და რაკი საქართველოს სამეფო კარზე მაღალი თანამდებობანი ეჭირათ, ეს მოვლენა ალბათ ერთგვარ უხერხულობასა ჰქმნიდა. თუმცა, როგორც ითქვა, ფაქტიურად უკვე გაქართველებულები იყვნენ, მხოლოდ აღმსარებლობით განსხვავდებოდნენ სხვებისგან.

როცა იმ დროსა და პირობებს გავითვალისწინებთ, ეს უხერხულობა ადვილი გასაგებია.

და აი, ამ პაექრობის შემდეგ მსახურთუხუცესმა ივანე მხარგრძელმა და მასთან ერთად მრავალმა მისმა ახლობელმა ადამიანმა გრიგორიანობა უარყვეს და მართლმადიდებლობა მიიღეს — „ნათელ იღო სარწმუნოებასა ზედა (ჩუენსა) იოვანეს მიერ ქართლისა კათალიკოზისა (ქართლის კათალიკოსი მაშინ იოანე იყო) და მრავალი სიმრავლე სომეხთა მოვიდა ნათლისღებად და იქმნა დიდი სიხარული“... ივანეს ძმა ზაქარია კი მტკიცედ იცავდა თავის აღმსარებლობას და ბოლომდე გრიგორიანობის ერთგული დარჩა.

დიმიტრი ბაქრაძეს იქვე მოჰყავს სომეხი მემატიანის ვარდანის სიტყვები: „თამარ დედოფლის მიზიდვით ივანე მხარგრძელმა უარყო თავისი სარწმუნოება. უფროსი იმისი ძმა ზაქარია... ერთგულად დარჩა ძველებურს სამშობლო სარწმუნოებაზე“...

ახლა კი ზემოთ რომ მოგახსენეთ, იმ სამ მნიშვნელოვან მოვლენას დავუბრუნდეთ.

როგორც ითქვა, ეს სამი ისტორიული მოვლენა თითქმის ზედიზედ, ერთმანეთის მიყოლებით მოხდა.

აქ საეჭვო არაფერია.

ერთგვარ დაეჭვებას მათი ქრონოლოგიური თანამიმდევრობა იწვევს. სხვადასხვა ისტორიულ გამოკვლევასა თუ სახელმძღვანელოში ეს ამბები სხვადასხვა ქრონოლოგიური თანამიმდევრობით არის გადმოცემული. სხვადასხვაობა იქიდან წარმოდგება, რომ „ქართველი მემატიანისა და ზოგი უცხოური წყაროს ცნობები ფაქტების დათარიღების შესახებ არ ემთხვევა ერთმანეთს, თუმცა არსი მომხდარი მოვლენებისა დიდად არ განსხვავდება და მრავალი დეტალით იდენტურია.

ზოგ უცხოურ წყაროზე დაყრდნობით, რასაც ამბების ლოგიკური განვითარებაც უმაგრებს საფუძველს, ეს მოვლენები, ეტყობა, ისეთი თანამიმდევრობით უნდა დალაგდეს, როგორც ქვემოთ გვექნება მოთხრობილი. ასე აქვს ეს მოცემული ზოგ მკვლევარს.

როგორც ვნახეთ, ბოლო ბრძოლების — განსაკუთრებით კი შამქორის დიდი ომის შემდეგ საქართველოს პოლიტიკური გავლენა აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით უფრო გაძლიერდა. ახლა ქვეყნის მესვეურთა მთავარი საზრუნავი სამხრეთ-დასავლეთი მხარე იყო.

თქვენ გახსოვთ, რომ ისტორიულად ამ მხარეში საქართველოს ესაზღვრებოდნენ მეზობელი და მეგობარი სომხეთი და ბიზანტიის დიდი სახელმწიფო. სომხეთთან საქართველოს თითქმის მუდამ მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა, ბიზანტიასთან ურთიერთობა კი, როგორც არაერთგზის ვნახეთ, ძალიან ცვალებადი და მერყეევი გახლდათ, სუსტი და ფაქიზი დიპლომატიური ძაფებით დაკავშირებული. მაგრამ ეს დიდი ხნის წინანდელი ამბავია. ახლა კი, მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეთა მიჯნაზე სულ სხვა სურათი შეიქნა.

კიდევ ერთხელ თუ გამოვიყენებთ ჩვენს საუკუნეთამხილველ მანქანას და ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ საზღვრებს გადავხედავთ, ჩვენს ძველ მეზობლებს ვეღარ ვიხილავთ, აქ სელჩუკთა ტომები დასახლებულან; სწორედ აქ გახლავთ ეს სოკოებივით მომრავლებული სელჩუკთა სამთავროები, რაზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. კარგად თუ დააკვირდებით, გაარჩევთ, რომ გზებზე სელჩუკთა შეიარაღებული რაზმები გამოსულან და დათარეშობენ; ზოგი რაზმი შედარებით მცირერიცხოვანია, ზოგი მრავალრიცხოვანი... გააჩნია, რა მიზნით არიან გამოსულები და რას ეძებენ. თუ გზაზე დიდი

საეჭრო ქარაგნის გამოელას ელოდებიან, რომელსაც ასევე დიდი და ძლიერი დაცვა ახლავს, მოთარეშე რაზმიც მოზრდილია; მეზობელი კუთხეების აკლებას რომ განიზრახავენ, მაშინ გაერთიანდებიან და ლაშქარიც მრავალრიცხოვანია. ზოგჯერ ქართველებით დასახლებულ კუთხეებში შემოიჭრებიან ეს მოთარეშე რაზმები და ჩვენ მოწმენი გავხდებით, როგორ თავგანწირვით ებრძვიან და ერეკებიან მათ ჩვენი მამაცი მოსახლერე-მონაპირეები... თარეშით კი მუდამ დათარეშობენ ხოლმე ხშირი გზებით დასერილ იმ ჩვენს ნაცნობ კუთხეებში...

უფრო იქით, ბიზანტიის აწ შევიწროებულ სახელმწიფოს ვხედავთ. და დიდი დაკვირვება არაა საჭირო, მიხედე, რომ მას ძველი ძლიერება და სიამაყე დაუკარგავს. დასუსტებულა, დაკნინებულა... იგი განუწყვეტელ შიშში და ავის მოლოდინშია... ერთი მხრივ სელჩუკთა ტომების შესევას ელოდება, მეორეს მხრივ — ერთმორწმუნე დასავლეთისგან პერიოდულად დაძრულ ჯვაროსანთა თავდასხმებს...

ერთი სიტყვით, ვერა და ვერ დაწყნარდა ეს მხარე, მუდმივ შფოთშია, მოქმედი ვულკანივითაა — არ იცი, როდის და რომელ კუთხეში იფეთქებს...

საქართველოს სამეფო კარს არ შეიძლება არ აწუხებდეს და არ აღშფოთებდეს სამხრეთ-დასავლეთით შექმნილი ასეთი მდგომარეობა. აქ ისიც უსათუოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ტერიტორიის ნაწილი, რომელიც ამჟამად საზღვრებს გარეთ მოქცეულა, ქართველი ტომებით — ჭანებით, ლაზებით — არის დასახლებული. თქვენ ალბათ გახსოვთ, როდის „მიიჭრა" და მიითვისა ეს მიწა-წყალი ბიზანტიამ.

ასეთი სურათია სამხრეთ-დასავლეთით მოსაზღვრე ტერიტორიაზე მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეთა მიჯნაზე და საქართველოს სამეფო კარს, განსაკუთრებით კი ამ მხარის ქართველ მონაპირეებს თვალი მუდამ ფხიზლად უნდა ეჭიროთ, ხმალი მუდამ შემართული და მშვილდ-ისარი მოზიდული უნდა ჰქონდეთ...

სწორედ იმ ხანებში, მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეთა მიჯნაზე სელჩუკების მრავალ სამთავროთაგან გაძლიერებას იწყებს ერთი. იგი თანდათან ფართოვდება, მეზობელ სამთავროებს იერთებს, ძალას იკრებს, ავტორიტეტს იხვეჭს... ისტორიაში ეს სახელმწიფო ცნობილია მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს სახელით და მისი გაძლიერება განსაკუთრებით მას შემდეგ დაიწყო, როცა სათავეში ჩაუდგა სულთანი რუქნად-დინ სულეიმან შაჰი, ანუ რუქნადინი (იგივე ნუქარდინი, როგორც ჩვენში უფრო ხშირად მოიხსენიებდნენ ხოლმე).

ეს სახელი კარგად ნაცნობია ჩვენში, გაიგონებ თუ არა, მაშინვე გაგახსენდება ერთ-ერთი ყველაზე დიდი და სახელოვანი ომი, რაც კი ქართველ ხალხს ოდესმე გადაუხდია... და უსათუოდ მხიარულ ღიმილსაც მოგგვრით, რადგან მასთანვეა დაკავშირებული ერთი საკმაოდ კურიოზული ეპიზოდი, რომელიც მემატიანესაც აუწერია და ხალხური გადმოცემითაც თაობიდან თაობაზე მოდის.

რუქნადინს უცხოური წყაროები და ჩვენი მემატიანეც ქებით მოიხსენიებენ, როგორც ჭკვიან გამგებელსა და კარგ მეომარს. შედარებით ხანმოკლე იყო მისი ზეობა, სულ რვა წელიწადს იმეფა, მაგრამ, ეტყობა, ამ მოკლე დროშიაც ბევრი რამის გაკეთება შეძლო. ნახეთ, რასა წერს მასზე ქართველი მემატიანე: ეს რუქნადინი „უმაღლეს და უდიდეს იყო სხუათა ყოველთა სულტანთა, რომელი მთავრობს დიდსა საბერძნეთსა, ასიასა და კაბადუკიასა, ვიდრე პონტოდ ზღუადმდე“.

ცბიერი და ჭკვიანი მმართველი ყოფილა. კარგად გრძნობდა, რომ იმხანად ყველაზე ძლიერი მოწინააღმდეგე მახლობელ აღმოსავლეთში საქართველო იყო და მთელი მისი ყურადღება სწორედ აქეთკენ იყო მოპყრობილი; იმასაც კარგად გრძნობდა, რომ გაძლიერებული საქართველო არ დათმობდა თავის პრეტენზიებს სამხრეთ-საქართველოს მიწა-წყალზე, სადაც, როგორც უკვე ითქვა, ქართველი ტომებიც სახლობდნენ.

ამიტომ რუქნადინი თავიდანვე საქართველოს წინააღმდეგ გამოსალაშქრებლად ემზადებოდა. მაგრამ ფრთხილად იქცეოდა. იცოდა, რა დამარცხების სიმწარე იგემეს სულ ცოტა ხნის წინ მისმა თანამოძმეებმა შამქორში და ცდილობდა, ყველაფერი გაეთვალისწინებინა, რათა აღმოსავლეთის გაკეთილი სამხრეთ-დასავლეთში აღარ განმეორებულიყო. ნამდვილ ზრახვებს როდი ამჟღავნებდა. პირიქით, ცდილობდა, თავი ისე მოეჩვენებინა, თითქოს დიდი სიმპათიები ჰქონოდეს მეზობელი ქრისტიანული ქვეყნის მიმართ. აი, რასა წერს თამარის მეორე ისტორიკოსი: რუქნადინი „იჩემებდა ზაკვით სიყვარულსა და გზავნიდა მოციქულთა მშვიდობისათუის მრავალჟამ და ძღუენთა შუენიერთა მრავალთა“...

იქვე მემატიანე იმასაც დასძენს, რომ თავის მხრივ, თამარიც ასევე თავაზიანად უგზავნიდა ძღვენს მეზობელ სულთანს — „ეგრეევე თამარ პყოფდა, ნაცვალ სახედ მოციქულთა წარავლენდა ძღუენითა“.

მაგრამ ერთი წუთითაც არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს საქართველოს მეფე და სამეფო კარი „ზაკვით“ გამოთქმულ სიყვარულსა და „შუენიერ

ძღუენთ“ შეცდომაში შეეყვანოს და სულთნის ნამდვილ ზრახვებს ვერ მიმხვდარიყვნენ, არა სცოდნოდათ, რომ „იგი (სულთანი) ზაკუასა ჰფარვიდა, და ფიცთა მიერ განმსტრობად მოსწრაფე იყო ამის სამეფოსა“.

საქართველოს სამეფო კარს ძალიან ორგანიზებული დაზვერვა ჰქონდა და კარგად იცოდნენ, მეზობელ ქვეყნებში რა ხდებოდა. ზემოთაც ითქვა, მონაპირეთა ერთ-ერთი მოვალეობა მტრულად განწყობილ მეზობელ ქვეყნებში სადაზვერვო ცნობების შეგროვებაც იყო. საქართველოს სამეფო კარი ფხიზლად ადევნებდა თვალყურს მეზობელ სასულთნოში მიმდინარე პროცესებს, დიდი ლაშქრობისთვის მზადებას...

იქ კი აი, რა ხდებოდა.

როცა საშინაო საქმეები მოგვარებულად ჩათვალა, როცა ცალკეული სამთავროები გააერთიანა და გაძლიერდა, რუქნადინმა გადაწყვიტა, საქართველოზე გასალაშქრებლად მომზადებულიყო. ჯერ ძმებს შეუთვალა, თქვენ-თქვენი ლაშქრები მოამზადეთო. ჯარების გამოყვანა დაავალა აგრეთვე ცალკეულ მთავრებს. მთავრები, რაღა თქმა უნდა, დაემორჩილნენ სულთნის ბრძანებას, მით უმეტეს, რომ საქართველოზე გალაშქრება მათაც სწყუროდათ.

გამონაკლისი ყოფილა არზრუმის მელიქი ალა-ედინ სალიყი, რომელსაც სულთნისთვის უარი გაუბედავს; ალბათ იმიტომ, რომ იგი ქართველი მეფის ყმადნაფიცი იყო და ძლიერი სახელმწიფოს ღალატი ვერ გაბედაო, შენიშნავს ქართველი მკვლევარი ნოდარ შენგელია.

რუქნადინი უკვე დიდი სახელმწიფოს გამგებელი იყო, ურიცხვი ლაშქარი ემორჩილებოდა, ურჩობას, რაღა თქმა უნდა, არ მოითმენდა; მართლაც, მაშინვე გადააყენა არზრუმის ძველი მელიქი და მის ადგილზე თავისივე ძმა ედ-დინ თოღრულ შაჰი დანიშნა.

რუმის სულთანმა[1] კარგად გაითვალისწინა თავისი წინამორბედების გამოცდილებანი და გადაწყვიტა, მეტი სიფრთხილე გამოეჩინა, უფრო კარგად მომზადებულიყო. ამიტომ არ დაიშურა ფული და სიმდიდრე: „განახუნა პაპა-მამურნი საუნჯენი და გამოყარნა ოქრო აურაცხელნი, და წარგზავნიდა ოქროთა შეკრებისათვის მხედრობისა და ამცნებდა, რათა ორსა კეცსა მისცემდნენ გაჩენილისასა. და

1 საინტერესოა თვით სახელწოდება ამ სასულთნოსი — რუმის ანუ რომელიის სასულთნო. რუმს ჯერ რომის იმპერიას უწოდებდნენ, შემდეგ ბიზანტიას (როცა ბიზანტიის იმპერია შეიქმნა); უფრო მოგვიანებით კი იმ სასულთნოს, რომელიც ბიზანტიისგან მიტაცებულ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა მცირე აზიაში.

წარაელინა ყოველთა საზღვართა თვისთა და იწყო მესოპოტამიას და კალონეროთ, გალატიას, ღანგრას, ანკვრიას, ისავრიას, კაბადუკიას, დიდსა სომხითს, ბითვინიას და საზღვართა ფებლაღონისათა, და არა დაუტევა თვინიერ დედაკაცისა სოფელთა შინა მათთა, არამედ ყოველნი აამხედრნა".

ეს სიტყვები თამარის მეორე ისტორიკოსს ეკუთვნის. როგორც ვხედავთ, სადამდეც კი გაელენა და ხელი მიუწედებოდა, რუმის სულთანს ქუდზე კაცი გამოუყვანია და ორკეც გასამრჯელოს შეპპირებია ყველას.

პირველი ისტორიკოსიც ამასვე წერს:

„ამან მოუწოდა ყოველსა სიმრავლესა სპასა მისსა და შეკრბა კაცი ორმოცი ბევრი, რომელ არს ოთხასი ათასი".

როგორც ხედავთ, აქ ლაშქრის რაოდენობაც არის დასახელებული და ეს ციფრი გაზვიადებული ნუ მოგეჩვენებათ, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისათვის მართლაც ზღაპრულად დიდია; უცხოური წყაროებიც საგანგებოდ აღნიშნავენ რუქნადინის ლაშქრის სიმრავლეს.

თანაც, საგანგებოდ ბრძოლებში გამოწრთობილი და სახელგანთქმული მეომარი ტომები შეურჩევია რუმის სულთანს.

ეტყობა, თვითონაც არ ელოდა, ამოდენა ლაშქრის შეკრებას თუ მოახერხებდა, იმიტომ, რომ ძალიან გახარებული და გაამპარტავნებული ჩანს: „იხილნა რა ფრიადი იგი სიმრავლე შეკრებულად... აღზუავნა გულითა, მსგავსად სენაქერემისა, და ამაღლდა ღმერთსა ზედა"...

ომში საკუთარი ძალისა და გამარჯვების რწმენა ძალიან კარგი მოკავშირეა. მაგრამ აქაც ზომიერებაა საჭირო — მეტისმეტი თავდაჯერება და გაყოყოჩება ხშირად მტრად იქცევა და მოწინააღმდეგის მოკავშირე გახდება ხოლმე, ასე დაემართა რუმის სულთან რუქნადინსაც. ჩვენ ვნახეთ, რა სიფრთხილით დაიწყო მან მოქმედება, მერე კი რაღაც მოუვიდა, ამ კარგ მეომარ ვაჟკაცს სულ დაავიწყდა სიფრთხილეცა და ომის კანონებიც. როგორც ახლავე ვნახავთ, მართლაც ძალიან გაამპარტავნებულა და გაყოყოჩებულა.

ლაშქარი რომ შეკრიბა, რუქნადინმა ხელად მოციქული აფრინა საქართველოში და თავადაც იმ მრავალრიცხოვანი ლაშქრით დაიძრა.

სამოყეროდ, ძღვენით ხელდამშვენებულ მოციქულსა და ომის გამოსაცხადებლად მოსულ მალემსრბოლს გამოუცდელი კაციც კი ადვილად გაარჩევს. მით უმეტეს, არ გაუჭირდებოდათ ქართველ

დიდებულებს გამოცნობა, რა მისითი იყო წარმოგზავნილი რუმის სულთნის ელჩი, როცა იგი მეფესთან შეპყავდათ.

როგორც ითქვა, ქართველებს კარგი დაზვერვა ჰქონდათ, და თავიანთ მონაპირეთაგან რუქნიდინის დიდი საომარი მზადების ამბავი თავიდანვე ეცოდინებოდათ. მაგრამ გულთმისნებიც რომ ყოფილიყვნენ ქართველი კარისკაცები, მაინც ვერანაირად ვერ გამოიცნობდნენ იმ წერილის შინაარსს, რაც მოციქულს თამარისთვის გადასაცემად მოჰქონდა, მით უმეტეს, იმ სიტყვებს, რაც მას თურმე ზეპირად უნდა მოეხსენებინა ქართველი მეფისთვის.

წერილი დიდი არ ყოფილა.

„მე ნუქარდინ, სულტანი ყოვლისა ცისა-ქუეშისა უმაღლესი, მიმსგავსებული ძლიერებასა ანგელოზთასა, თანამდგომი ღმრთისა, მოვლინებული დიდისა მოპმედისაგან, მოგიმცნობ მეფესა ქართველთასა თამარს. ყოველი დიაცი რეგუენია და შენ გიბრძანებია ქართველთად აღებად ხრმალთა და ღმრთისაგან საყუარელისა ისლემთა ერისად დახოცად მუსულმანთა და კუალად ნათესავსა ზედა თავისუფალსა დადებად ხარკი ყმებური. და აწ მე მოვალ, რათა უსაჯო სამართალი სახლსა სპარსთასა და განგწუართო შენ და ერი ეგე შენი არაოდეს კადრებად აღებად ხრმლისა, რომელი ღმერთსა ჩუენდა უბოძებია. ხოლო ცხოვნებით იგი ოდენ ვაცხოვნო, რომელმან უწინარეს მოსვლისა ჩემისა თაყუანისმცეს წინაშე კარვისა ჩემისა და აღიაროს ქადაგება მოჰამედ მოციქულისა და უარ ყოს სჯული შენი და ხელითა თვისითა იწყოს წინაშე ჩემსა ლეწად ჯუარისა, რომლისა მიმართ დაგიცთ ცუდი სასოება, და აწ მოელოდი ნაცვალსა ჩემსა, რომელი შეამთხვიე სპარსთა“.

ასეთი გახლდათ რუმის სულთნის წერილი საქართველოს მეფესთან, ასე გადმოგვცემს მას თამარის მეორე ისტორიკოსი. იქნებ წერილის ბოლო ბუნდოვნად მოგეჩვენოთ, ამიტომ წერილის ამ ნაწილს პირველი ისტორიკოსის პერიფრაზირებითაც მოვიტან, უფრო გასაგები გახდება:

„...აწ წარმომიელენია ყოველი მხედრობა ჩემი, რათა აღვხოცო ყოველი მამაკაცი მაგ ქვეყნისა და ცოცხალი იგი ოდენ დარჩეს, რომელი წინა მომეგებოს, თაყუანი სცეს ჩათრსა ჩემსა, სასოება იგი თქუენი ჯუარი წინაშე ჩემსა დალეწოს და მოპმადი აღიაროს“.

როგორც ვხედავთ, რუმის სულთანს დიდად არ შეუწუხებია თავი, მკაცრი ულტიმატუმი თავაზიანი ტონით მაინც შეემოსა. იმ ეპოქის

დიპლომატიის ისტორიაშიც კი ალბათ ბევრს ვერ შეეხვედებით ასეთი უხამსი გამოთქმებით შედგენილ ნოტას.

ბუნებრივია, ქართველ დიდებულებს, რომელთაც ეს მოისმინეს, გააგულისებდათ წერილის ტონი, მაგრამ თამარმა დიდი სულიერი სიმშვიდე და თავდაჭერა გამოიჩინა — „ყოველად არ აჩქარდაო", ასე გადმოგვცემს მემატიანე. დიდი ქვეყნის მბრძანებელი იყო და გულისთქმას აყოლა, სულთნის მოციქულისთვის თავის გაყადრება არ შეშვენოდა; ვაზირებს რომ შენიშნა აღშფოთება, მშვიდად გადახედა, თითქოს ალერსით გაულიმა და დააშოშმინა.

სულთნის მოციქული, ეტყობა, ყურადღებით აკვირდებოდა მეფესა და მის დიდებულებს, წერილი როგორ იმოქმედებს და რა რეაქციას გამოიწვევსო. რა ნახა, მორჩილად მიიღეს და საპროტესტო სიტყვის თქმაც კი ვერ გაბედეს (სწორედ ასე მოეჩვენა რუქნადინის ელჩს), გული მოიცა და მეფეს უტიფრად მოახსენა ზეპირად დანაბარები. როგორც ჩანს, სწორედ ვაზირებს შეპყურებდა, როცა ამ „არასაკადრებელ" სიტყვებს ამბობდა: „უკეთუ მეფემან თქუენმან დაუტეოს სჯული, იპყრას სულტანმან ცოლად; და უკეთუ არა დაუტეოს სჯული, იყოს ხარჭად სულტნისა".

ეს კი უკვე მეტისმეტი იყო. ამის მოთმენა აღარ შეიძლებოდა: თამარ მეფეს უთვლიდა ამას, — ან სჯული დათმე და ცოლად შეგირთავ, ან არადა, ხასად გაგიხდიო. მართლაც რომ ძნელი მოსასმენი იყო ამაყი დიდებულებისთვის. ზაქარია მხარგრძელი უცებ წამოიჭრა, მოციქულისკენ გაქანდა და „უხეთქა ხელითა პირსა" — სახეში სთხლიშა.

ეტყობა, ამირსპასალარს მაგარი სილა ჰქონდა — სულთნის ელჩი „ვითარცა მკუდარი დაეცა", და დიდხანს ეველარც მოასულიერეს. ხოლო ცნობას რომ მოვიდა, ამირსპასალარმა უთხრა: მოციქული რომ არ იყო, „პირველად ენისა აღმოკუეთა იყო შენი სამართალი და მერმელა თავისა", ასეთი თავხედობისთვის სწორედ ამას იმსახურებ, მაგრამ ბედი შენი, რომ მოციქული ხარ და ცოცხალი გადამირჩიო...

თამარმა სწრაფად შეკრიბა დარბაზი, ეტყობა, განაპირა კუთხეებიდან დარბაზის ერთა მოსვლას არ დაელოდა, „...მოუწოდა მაშინ რომელნიცა დახუდეს და ეზრახა მათ"... ახლო მყოფ ვაზირებსა და დიდებულებს მოეთათბირა.

გადაწყდა, სასწრაფოდ შეეკრიბათ დიდი ლაშქარი.

ხელადვე დაგზავნეს ქვეყნის ყველა კუთხეში მალემსრბოლები — „წიგნები ქროდა მალემსრბოლთა"... „მოუწოდეს სპათა იმერთა და

ამერთა, ნიკოფსით დარუბანდამდის“... ამოდენა ლაშქარს საგანგებო შემთხვევაში შეკრებდნენ ხოლმე. როგორც ხედავთ, მეფესა და სამეფო კარს კარგად ჰქონდათ შეგნებული საქმის სერიოზულობა; შეერთებული მხედრობა, რომელსაც რუმის სულთანი რუქნადინი საქართველოს დასაპყრობად მოუძღვებოდა, დიდი და საშიში ძალა იყო.

ეს დიდი ლაშქარი უკვე მოადგა საქართველოს და ბასიანში დაბანაკდა.

რატომ შეჩერდა სულთანი ბასიანთან, აქეთ რატომ აღარ წამოვიდა? ნუთუ თავის მოციქულს ელოდებოდა, რა პასუხს მომიტანსო?!

ჰო, ეს მოციქული კინაღამ დაგვაეიწყდა. სანამ მას მოასულიერებდნენ და დაასვენებდნენ, სანამ დასტაქარს მოუხმობდნენ, გახეთქილ სახეს მობანდნენ და მოსაშუშებელ მალამოს წაუცხებდნენ, კარგა ხანმა გაიარა. ამასობაში მეფე ალბათ ვაზირებთან თათბირსაც დაამთავრებდა. როგორც ითქვა, რუქნადინის დიდი საომარი მზადებისა და გამოლაშქრების ამბავი სამეფო კარზე ადრეევე იცოდნენ, სულთნის მოციქულის მოსელამდე, და, უნდა ვიფიქროთ, ომის თადარიგიც წინასწარ დაჭერილი ექნებოდათ; ამიტომ სათათბიროც ბევრი არაფერი იყო: როგორც უკვე ვიცით, დიდი ლაშქრის წვევა გადაწყდა და ხელადვე მალემსრბოლებიც დაგზავნეს ქვეყნის ყოველ კუთხეს.

რუქნადინის ელჩის უკანვე გაგზავნას და საპასუხო წერილის გატანებას არა ჩქარობდნენ; ნუ გეჩქარებაო, ეუბნებოდნენ, დიდი სამეფო საბჭო უნდა შეკრიბოთ და სულთნის წერილი იქ განვიხილოთ, პასუხსაც მაშინ მოგცემთ, მანამდე კი დაისვენებ, ჭრილობაც მოგიშუშდებაო... თავად ხომ იცოდნენ, რომ ასე არ იყო, ელჩიც ალბათ, ყველაფერს ხვდებოდა, მაგრამ რას იზამდა, თავზეით ძალა არ იყო, ძალიანაც რომ გაწეულიყო, ვინ გაუშვებდა...

სანამ რუქნადინის ელჩი აქ ისვენებდა და გახეთქილ ლოყას იშუშებდა, საქართველოს ყოველი კუთხიდან ქართული ჯარის ნაწილები ჯავახეთისკენ მიეშურებოდნენ — ლაშქრის შეკრება იქ იყო დათქმული.

მეფე და მისი მეუღლეც იქითკენ გაემართნენ — „მიმართეს ტაძარსა ყოელადწმიდისა ღმრთისმშობლისასა ვარძიას. და ვარძიისა ღმრთისმშობლისა წინაშე“ თამარი ქართულ ლაშქარს ავედრებდა...

ელჩს კი პასუხი მხოლოდ მაშინ მოახსენეს, როცა ჯარი სალაშქროდ მზად იყო. ზეპირი პასუხი ძალიან მოკლე იყო — „ჩუენ მზა ვართ წყობად და წინამოგებებად, სამართალი ღვთისა იყავნ!“

სიტყვიერი პასუხი ანკი რა საჭირო იყო, ელჩი ხომ ისედაც ყველაფერს ხედავდა. მერე დაასაჩუქრეს ბედუკულმართი ელჩი — მდიდრული ტანსაცმელი და სხვა საჩუქარი უბოძეს სულთნისთვის გადასაცემი. საპასუხო წერილი კი მისთვის არ გაუტანებიათ, ქართველ შიკრიკს გაატანეს...

მაგრამ არა მგონია, სულთანს ის წერილი წაეკითხოს: როგორც ახლაევე ვნახავთ, ამისი თავი მას აღარა ჰქონდა. ჩვენ საშუალება გვაქვს, გავეცნოთ ამ წერილს. მემატიანემ მისი ასლი შეგვინახა, და რაკი დიდი არ არის, მთლიანად მოვიტან მემატიანის თხზულებიდან:

„ძალსა ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისასა მინდობილმან, და მარადის ქალწულისა მარიამის მვედრებელმან, და პატიოსნისა ჯუარისა სასოებით მოსავმან წარვიკითხე ღმრთისა განმარისხებელი წიგნი შენი, ეი, ნუქარდინ, და ესცან სიცრუენი შენნი, რომელთა ბჭე ღმერთი იყოს... — ასე იწყება თამარის წერილი, — არა გასმიესა, რამეთუ „ყოველი ცრუდ მფუცავი სახელსა ღმრთისასა მის მიერ აღიხოცოს?“

შენ ოქროსა შეკრებულთა სიმრავლისა მევირეთა მინდობილ ხარ უმეცარი მსჯავრსა ღმრთისასა. ხოლო მე არცა სიმდიდრეთა, არცა სპათა ჩემთა სიმრავლესა, არცა რას სხუასა კაცობრივსა საქმესა მინდობილ ვარ, არამედ ძალსა ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისასა და შეწევნასა ქრისტეს ჯუარისასა, რომელსა შენ ჰგმობ.

ესე-რა-ვითარი შემოგეთუალა, წარმომიელენია მხედრობა ქრისტეს მოსახელე, არა შენდა თაყუანის-ცემად, არამედ დამხობად შენდა ზუავისა მაგის და ამპარტავანისა გულისა შენისა, რათა განისწავლო ღმრთისა მიერ არღარა გმობად სახელსა მისსა. იყავენ ნება ღმრთისა და ნუ შენი! სამართალი მისი და ნუ შენი! ხოლო მე უწყი დახსნილობა მსახურთა შენთა. ამისთვის წარმომიელენიეს მსახური ჩემი, რათა წიგნისა შენისა პასუხი ადრე მოგართუას და განგაკრძალოს, რამეთუ ჩემ მიერ წარმოვლენილთა სპათა ფერხნი ესერა კართა შენთა ზედა დგანან“.

ლაშქარი დაიძრა...

„თვით თამარ უძღოდა წინა შიშულითა ფერხითა და ცრემლითა ასოვლებდა ღაწვთა თვისთა. და წარუძღუა ბასიანის კერძოთა“...

დიდხანს მიუძღოდა ლაშქარს წინ ფეხშიშველი თამარი.

ახლა იმ კითხვას დაეუბუნდეთ: რატომ ბასიანში დაბანაკდა რუქნადინი, რატომ აქეთ არ წამოვიდა? რაღა იქ ელოდებოდა ქართულ ლაშქარს?

იმიტომ, რომ იქ უფრო კარგად იყო გამაგრებული და მეტი შანსი ჰქონდა გამარჯვებისა. ის კი არა და, ეტყობა, ომს წინასწარვე მოგებულად თვლიდა, დიდ გულზე იყო. იცოდა, ქუდზე კაციც რომ გამოეყვანა ქართველ მეფეს, იმოდენა ლაშქარს, რაც მას ჰყავდა გამოყვანილი, მაინც ვერ შეკრებდა... ომებში გამობრძმედილ ოთხასი ათას რჩეულ მეომარს გაცილებით უფრო მცირერიცხოვანი ქართული ლაშქარი რას გაუმკლავდებოდა! მით უმეტეს, რომ რუმის სულთანს ბასიანი წინასწარვე კარგად გაემაგრებინა.

ბუნებრივად იბადება კითხვა: ნუთუ ასეთი გამოცდილი სარდლის ყურს არ მისწვდა ქართველთა ლაშქრის ჯავახეთში თავმოყრის ამბავი?

საქმე ის არის, რომ იმ თავხედური გამოწვევით ელჩის გაგზავნის შემდეგ მცირე დრო გავიდა, სულ რამდენიმე დღე და რუქნადინი ვერ წარმოიდგენდა, ასე მალე თუ მოხერხდებოდა ქართული ლაშქრის სრული მობილიზაცია; რადგან მას, — როგორც გონებამახვილურად შენიშნავს იასე ცინცაძე, — საკუთარი კოალიციური ჯარის მობილიზაციისა და ბასიანში თავმოყრისთვის თვეები დასჭირდა.

მკვლევარი მეორე საგულისხმო ფაქტზედაც მიუთითებს: ქართველები დახელოვნებულები იყვნენ ჯარის სწრაფად შეგროვებასა და საიდუმლოდ გადაადგილების საქმეში. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ეტყობა, მარჯვედ მოქმედებდა ყარსის სანაპირო რაიონის სარდალი: იგი დააყოვნებდა ყარს-არზრუმის გზაზე უცხო სავაჭრო ქარავნების მოძრაობას, და ამით საშუალებას მოუსპობდა მტერს, გაეგო, რა ხდებოდა ამ დროს საქართველოში; როგორც უკვე ითქვა, ასეთი ხასიათის ცნობებს უმთავრესად ვაჭრები აერცელებდნენ. იგივე მონაპირე სარდალი იქნებ მოსყიდულ ვაჭრებსაც აგზავნიდა საგანგებოდ, რომელთაც მტრის ბანაკში ყალბი ცნობები მიჰქონდათ...

ახლა ისიც ვიკითხოთ, ქართველები რაღას მიეშურებოდნენ ბასიანისკენ? თუკი იგრძნეს, რომ მოწინააღმდეგისთვის ბასიანი უფრო ხელსაყრელი იყო, დაეცადათ! თავიანთთვის უფრო მოხერხებულ და ხელსაყრელ ადგილას დახვედროდნენ მტერს, როგორც ეს თავის დროზე დავით აღმაშენებელმა გააკეთა!..

ქართველები ალბათ თავიანთ მიწა-წყალზე მტრის უზარმაზარი ლაშქრის შემოჭრას მოერიდნენ. მტრის ურდოები სულ გადაქელავდნენ და წალეკავდნენ უკვე მოშენებულ და აყვავებულ სოფლებსა და ქალაქებს... თანაც ქართველებს უეცარი შეტევის მახვილგონიერული გეგმა ჰქონდათ, რასაც უეჭველი წარმატება უნდა მოეტანა.

ერთი სიტყვით, ქართველთა ლაშქარი ბასიანის მიმართულებით გაემართა. თამარი კიდევ დიდხანს მიუძღოდა ჯარს, თითქმის ყარსამდე მიაცილა — „მიიწიენეს მახლობელად კარისა და დადგეს დღისა ერთისა საკალსა“...

აქ კიდევ ერთხელ დალოცა მეფემ ჯარი და გაისტუმრა, თავად კი მობრუნდა, „მოიქცა სამცხეს და მოვიდა ოძრხეს და მოიცალა ლოცვად და მარხვად“, თავის ლაშქარს აევედრებდა ღმერთს. მემატიანის ცნობით, ოძრხეში მას ახლდნენ კათალიკოსი თედორე, ეპისკოპოსები და იოანე შავთელი, „კაცი ფილოსოფოსი და რიტორი, ლექსთა გამომთქმელი... და ამათ თანა იყვის მეფე თამარ დღისი და ღამე ლოცვითა, ფსალმუნებითა, ღამისთევითა დაუძინებლად, და ყოველთა ღამეთა დღე-ლიტანიობდა და არა დასცხრებოდა“.

ლაშქარი კი ამ დროს სულ უფრო და უფრო უახლოვდება ბასიანს. მიდიან, რაც შეიძლება ფრთხილად, რათა მოულოდნელად დაესხან მოწინააღმდეგეს. როგორც ითქვა, სწორედ მოულოდნელი და უეცარი თავდასხმით უნდა შეიტანონ არევდარევა მტრის ბანაკში.

საოცარია, მაგრამ თითქოს მოწინააღმდეგეც საგანგებოდ ხელს უწყობს ქართველი მეფის საომარი გეგმის შესრულებას: ამ გრძელ გზაზე არსად გუშაგები არ შეხვედრიათ, თითქოს არც ელოდნენ ქართველთა ჯარს.

ლაშქარი მეფე დავითმა სამად გაპყო:

„წინამბრძოლად იყო ზაქარია მხარგრძელი ამირსპასალარი“, მას ახლდნენ მანდატურთუხუცესი ჭიაბერი (თანამდებობის მიხედვით ომში წასელა არ ეკუთვნოდა, მაგრამ „რაკი ძნელი და ფიცხელი ომი იყო მოსალოდნელი, ამიტომ ისიც წავიდაო“, — ივანე ჯავახიშვილი წერს), ახალციხელი ძმები შალვა და ივანე და „სხუანი თორელნი“...

და ორი ფრთა: ერთი ფრთა დასავლეთ საქართველოს ლაშქარს ეპყრა („ერთ კერძო აფხაზნი და იმერნი“), მეორე ფრთა — აღმოსავლეთ საქართველოს მეომრებს („ერთ-კერძო ამერნი და ჰერ-კახნი“).

დააკვირდით: მეწინავეთა რაზმი მესხებისგან შედგებოდა, ეს თითქმის ტრადიციად იყო ქცეულიო, შენიშნავენ მკვლევარები. ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რა შეურაცხყოფილნი დარჩებიან მესხები, როცა ერთ-ერთ ბრძოლაში მეწინავეობა სხვა კუთხის ჯარისკაცებს დააკისრეს...

რუმის სულთანი ჩვენ ქებით მოვიხსენიეთ — კარგი და გამოცდილი

მეომარი იყოო; თან მრავალრიცხოვანი ჯარიც პყავდა და, რაღა გასაკვირია, გამარჯვებაში დარწმუნებული ყოფილიყო.

მაგრამ იქვე ისიც ითქვა, მეტისმეტი თავდაჯერება და გაყოყოჩება ცუდი მოკავშირეა და ხშირად მტრად მოგეკიდებაო. სწორედ ამ კონკრეტულ მაგალითზე იყო ეს ნათქვამი.

ისე გაყოყოჩებულა რუქნადინი, რომ ბრძოლის ელემენტარული წესი დაურღვევია — გუშაგებიც კი არ დაუყენებია („დარაჯნი არა უდგეს სულტანსა"). ისე მიუახლოვდა ქართველთა მეწინავე რაზმი მოწინააღმდეგის ბანაკს, რომ იმათ ვერაფერი გაიგეს.

ხოლო როცა ერთ-ერთმა ჯარისკაცმა დაინახა ქართველი მეომრები, უკვე გვიან იყო, და „წარიკუეთა სასოება მეფისა მათისა"... ახლა შემოიკრეს თავში ხელი, ახლაღა დაფაცურდნენ, როცა ქართველთა „წინამბრძოლი" რაზმი თითქმის შეიჭრა მოწინააღმდეგის განლაგებაში. სწრაფად „აღიჭურნეს და აღსხდეს ჰუნეთა"... და „იქმნა ომი ფიცხელი და ძლიერი, რომელი ძუელოდესმე ქმნილ იყო"...

დიდხანს გაგრძელებულა ეს პირველი ფიცხელი შეტაკება, ბევრი მეომარი დაეცა, ქართველ მემატიანეს თუ ვერწმუნეთ, „უმეტეს სულტნისა სპანი მოისრვოდეს"... ეტყობა, ასეც იყო, რადგან ცხენებზე ამხედრებული, ხმალშემართული ქართველები მოულოდნელად შეიჭრნენ მოწინააღმდეგის ბანაკში. ამიტომ უპირატესობაც პირველად მათ მხარეზე იყო...

მაგრამ ბრძოლა თანდათანობით გათანაბრდა. ერთბაშად დამფრთხალი დამხდურები გონს მოეგნენ, და რაკი ქართველთა ლაშქარი არც თუ ძალიან დიდი ჩანდა (ისინი ხომ მხოლოდ „წინამბრძოლებს" ხედავდნენ და ქართველთა მთელი ლაშქარი ეს ეგონათ), გული მოიცეს, უფრო მხნედ შემოუტიეს... ცხენები დაუხოცეს ქართველ მეთაურებს. აქეთ ივანე მსახურთუხუცესს მოუკლეს ცხენი, იქით — ზაქარია გაგელს, შალვა და ივანე ახალციხელებს, თაყაიდინ თმოგველს... და სხვა მეთაურებსაც: ყველას არ ჩამოთვლის მემატიანე...

მეთაურები რომ ამ დღეში დაინახეს, სხვებიც ჩამოხტნენ ცხენებიდან და მხარში ამოუდგნენ წინამძღოლებს.

ბრძოლა ახალი გზნებით გაჩაღდა... ქართველთა მეწინავე რაზმს აშკარად გაუჭირდა, „კნინღა სიკვლტოლად მოდრიკნესო", — ქართველი მემატიანე გვაუწყებს.

სელჩუკთა მემატიანეც ამასვე წერს — რუქნადინის მეომრებს გამარჯვება უკვე ხელთა ჰქონდათ, ქართველები უკვე გაქცევაზე

იყენენ, მაგრამ ამ დროს სელჩუკებს შეცდომა მოუვიდათ და ეს ბედნიერი შემთხვევა ხელიდან გაუშვეს.

ამას სელჩუკთა მემატიანე წერს, თორემ მართლა ასე კი არ ყოფილა საქმე. ბრძოლა ზუსტად ისე წარიმართა, როგორც დავით მეფეს პქონდა წინასწარ მოფიქრებული. ქართველთა „წინამბრძოლ“ რაზმს რომ გაუჭირდა, ეს ფაქტია, აკი ქართველი მემატიანეც ამასვე ამბობს. მაგრამ ბედი შემთხვევით კი არ შეტრიალებულა. ქართველების ორ დიდ ფრთას — მარჯვნივ და მარცხნივ — მტერი ხომ ვერა ხედავდა! მათი გულისყური წინამბრძოლი რაზმისაკენ იყო... და როცა მეწინავეებს გაუჭირდათ, მარცხნიდან დავითი დაიძრა თავისი დიდი რაზმით და მარჯვენა ფრთასაც ნიშანი მისცა, დაძრულიყო (აქვე უნდა შევნიშნოთ: ზაქარია მხარგრძელი ხომ „წინამბრძოლებს“ მოუძღოდა, ბრძოლის დროს, ალბათ წინასწარი შეთანხმების მიხედვით, იგი მარჯვნივ გავიდა და მარჯვენა ფრთას ჩაუდგა სათავეში)...

და აქ მემატიანეს მივცეთ სიტყვა — ძალიან ცოცხლად და ხატოვნად გვიხატავს სურათს:

„ვითარ ნადირისთვის მოსწრაფე იქმნეს მონადირე, ეგრეთ მსწრაფლ მოეტევნეს ერთ-კერძო სოსლან-დავით და ერთ-კერძო ზაქარია“... დავითი უფრო ახლოს ყოფილა ჩასაფრებული და მისი ფრთა უწინარეს მიეჭრა გვერდიდან მოწინააღმდეგეს, „და ვითარ მგელნი ცხოვართა, ეგრეთ შეუცვივდეს ურიცხუსა მას სპასა შინა სულტნისასა“...

და ფაქტიურად დამთავრდა კიდეც ბრძოლა; „პირველსა მოკიდებასა და ხეთქებასა ხრმალთასა... ანაზდათ ეგოდენი სიმრავლე განსქდა, იძლია, დაიპანტა“...

მტრის მრავალრიცხოვანმა ლაშქარმა გაშლაც კი ველარ მოახერხა, ორი ფრთიდან მოულოდნელმა ელვისებურმა შეტევამ ერთბაშად დააფრთხო იგი, ყველაფერი აირია, მოწინააღმდეგე საშინელმა პანიკამ მოიცვა, ბრძოლის ველიდან გაქცეულები ერთმანეთს ქელავდნენ და ელეტდნენ. ამასობაში წინამბრძოლი ქართველებიც ამხედრდნენ და დაედევნენ გაქცეულ მტერს, „და ვიდრე ღამემდე დევნა უყვეს და ხოცდეს, ჩამოპყრიდეს და იპყრობდეს, და თვით მათვე ჯარითა ვერ იტევდეს და ურთიერთას დასთრგუნვიდეს“.

აურაცხელი სიმდიდრე, ოქრო-ვერცხლი... იქვე დატოვეს; სიმდიდრე ვიღას ახსოვდა, ყველა გარბოდა, რათა საკუთარი თავისთვის ეშველა და გადარჩენილიყო.

მაგრამ, როგორც ენახეთ, ბევრი გაიჟლიტა, მოწინააღმდეგის ბევრი მეთაური და დიდებული დაატყვევეს ქართველმა მეომრებმა. დატყვეეებულთა შორის ყოფილა, მაგალითად, ერზინჯანისა და მენგუჯიკის გამგებელი ბაჰრამ შაჰი. „აღივსნეს ოქროთა და ვეცხლითა და ჭურჭლითა პატიოსნითა. ხოლო ცხენ-ჯორისა და აქლემისა სიმრავლე, რომელი დაყარეს, ვინღა აღრაცხნეს? ხოლო კარავთა საფენელთა და შესამოსელთა და ლარის არტახთა მიერ საესე იყო ყოველი საბანაკო მათი. რამეთუ ესოდენ ზარგანხდილნი ივლტოდეს, რომელ მოსწრაფენი არა მიხედვიდეს კარავთა და ფარდაგთა მათ სიმდიდრეთა, არამედ თვითოთა ცხენითა ივლტოდეს და მარქაფასა განუტევებდეს“.

რაღა თქმა უნდა, ქართველი მეომრებისთვის განსაკუთრებით სასიხარულო იყო, რომ სულთნის მთავარი დროშა ჩაიგდეს ხელთ და თავიანთ მეფეს მიართვეს.

და ცალკე უნდა მოვიხსენიოთ კიდევ ერთი ნადავლი, რაც ქართველმა მეომრებმა მოიპოვეს: ეს იყო მთელს აღმოსავლეთში განთქმული კარაბადინი — სამედიცინო ენციკლოპედიის მსგავსი რამ. მეფემ იგი მწიგნობართუხუცესს გადასცა და მაშინვე ქართულად ათარგმნინეს.

ასეთია მოკლე ისტორია სახელგანთქმული ბასიანის ომისა.

როგორც ხედავთ, ქართველთა გამარჯვება აქაც კანონზომიერი იყო. სელჩუკთა ზოგიერთი ისტორიკოსი მომხდარ ფაქტს სწორად აღწერს, მაგრამ ცდილობს ოთხასიათასიანი ლაშქრის ასე უხერხულ დამარცხებას თავისი ახსნა მოუძებნოს, რაღაც შეცდომას მიაწეროს. ზემოთ აკი ითქვა, ერთ-ერთი ისტორიკოსი წერს, გამარჯვება უკვე ხელთ ჰქონდა რუქნადინის ლაშქარს, მაგრამ რაღაც შეცდომა მოხდა და ყველაფერი უკუღმა შეტრიალდაო. და ისეთ მიზეზს ასახელებს, რაც დღეევანდელ მკითხველს უნებურად ღიმილს მოჰგვრის.

ზემოთ ერთგან შევნიშნეთ კიდეც, დამარცხებულს ხშირად ისა ჰგონია, სულ ახლოს ვიყავი გამარჯვებასთან და ეს მარცხი შემთხვევით მოხდაო. ახლაც, თითქოს რუქნადინის საჩრდილობელის მჭირავ მსახურის ცხენს ფეხი რაღაც სოროში ჩავარდნოდეს და წაფორთხილებულიყოს, და როცა საჩრდილობელი სულთანს თავზე დაემხო, მის ლაშქარს ეგონა, სარდალი მოგვიკლესო და დაფრთხა, გაიქცა... თითქოს ცხენის ერთი წაფორხილება ყოფილიყოს ყველაფრის მიზეზი, თითქოს ამან გამოიწვია რუქნადინის დამარცხება! ასე გადმოგვცემს სელჩუკი ისტორიკოსი.

ოთხასიათასიანი ლაშქრის დამარცხების ასე მარტივად ახსნა, რაღა თქმა უნდა, ღიმილის მომგვრელი გულუბრყვილობაა და არა მგონია თვით რუქნადინის მიმართ კეთილად განწყობილ ხალხსაც კი დაეჯერებინოს.

როცა ბასიანის ომის მთელს ისტორიას ეცნობი, უნებურად ახლაც დიდგორის სახელგანთქმული ომი მოგაგონდება და ახლაც ის მოგინდება, ომის ცალკეული ეპიზოდები ერთმანეთს შეადარო. ზოგიერთ მსგავსებას აქაც აღმოაჩენ. მაგრამ ამის ჩამოთვლას ნუ მოვყვებით. მე მინდა მხოლოდ ერთი პატარა მსგავსებისა თუ უცნაური დამთხვევის ამბავი გითხრათ, რაც უშუალოდ იმ ომების ცალკეულ ეპიზოდებს არ შეეხება.

ალბათ გახსოვთ — ერთი წელი არც კი გასულა დიდგორის ომის შემდეგ, რომ ილღაზი – სელჩუკთა შეერთებული ლაშქრის მთავარსარდალი — მოკვდა; რევანშისთვის მზადება — თუკი მართლა ჰქონდა მას ასეთი სურვილი — აღარ დასცალდა.

ახლაც, ბასიანის ომის შემდეგ ერთი წელი ძლივს გავიდა, რომ რუქნადინიც — ისეთივე დიდი შეერთებული ლაშქრის სარდალი — მოკვდა; რუმის სულთანი კი ნამდვილად იწვევდა სარევანშოდ, ამას სელჩუკთა მემატიანეები გადმოგვცემენ, და, რა თქმა უნდა, ეს მათ უფრო დაეჯერებათ; იქადდა თურმე — ისევ შევყრი ლაშქარს და საქართველოში ქვას ქვაზე აღარ დაეტოვებო. ძნელი სათქმელია, ძალიც თუ შესწევდა ქადილისა; ბასიანის ომის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ალბათ ძალიან გაუჭირდებოდა მუქარის შესრულება — აკი პირველ ომშიაც დიდი მუქარითა და ბაქი-ბუქით მოდიოდა!..

ჩვენი მონათხრობი ბასიანის ომის შესახებ სრული არ იქნება, თუ მისი ერთგვარი აპოთეოზიც არ ვიხილეთ. ეს არ გაგვიძნელდება — თამარის მეორე ისტორიკოსი ცოცხლად წარმოგვადგენინებს სურათს; თითქოს აგერ, ახლა შეეცქეროდეთ, როგორ ბრუნდება დიდ ომში გამარჯვებული ლაშქარი თბილისს; როგორ გამოფენილან დედაქალაქის მცხოვრებლები ქუჩებში და მხიარულად ეგებებიან საზეიმოდ დარაზმულ ჯარს, რომელსაც წინ თამარი და მისი მეუღლე დავითი მოუძღვიან; როგორ ამაყად გაუშლიათ ომგადახდილი გამარჯვებული დროშა და ცოტა მოშორებით რა დარცხვენით ჩაუქინდრავს თავი რუქნადინის დამარცხებულ-შეფერთხილ საომარ ალამს; როგორ მოჰყვებიან იმ დამარცხებულ დროშას ასევე თავჩაქინდრული ტყვეები, როგორ ამაოდ ცდილობენ ხელშებორკილი ტყვე დიდებულები, ქუჩებში გამოფენილი ხალხის მზერას თავი

აარიდონ... გამარჯვებული ჯარი სალაშქრო სიმღერას აგუგუნებს, მოქალაქენი ყველგან მხიარული შეძახილებით ხვდებიან...

„...შეეკაზმა მოქალაქეთა დიდითა მოკაზმულობითა ქალაქი ტფილისი, და შეეიდა თამარ და დავით, ვითარცა მზისა შარავანდედი მიფენითა, და შეიღეს დროშა ნუქარდინისი. შეიყვანეს პირველად ეზინკელი; და მერმე სხუანი იგი წარჩინებულნი მოიყვანნა, რომელნი სთნდეს წინაშე თვისსა. თამარ ყოველთა ნუგეშინისცა და დიდად სახელოვნად სერითა ისტუმრნა და უბოძა ყოველთა შესატყვისად“...

წარჩინებულ ტყვეებს პატივისცემით მოქცევია ქართველი მეფე — მიუღია, დაუსაჩუქრებია და მერე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დაუფანტავს, იქაურ ციხეებში მოუთავსებია.

რა ბედი ერგოთ საბოლოოდ ამ ტყვეებს, ცნობილი არ არის. იქნებ არც საინტერესო იყოს. მხოლოდ ეზინკელის — ტყვეთა შორის ყველაზე წარჩინებულის — ბედი ვიცით და ეს კი ნამდვილად საინტერესოა.

ერთხანს იქვე ჰყოლია იგი ქართველ მეფეს, თბილისის ციხეში. მერე კი გაუცვლია...

ტყვეთა გაცვლა ისეთი იშვიათი მოვლენა არ ყოფილა, რომ გაგვიკვირდეს; ამიტომ არ გვითქვამს, საინტერესო ბედი ერგოო; საინტერესო ის არის, რა საფასური აუღია დიდებული ტყვის სანაცვლოდ! მემატიანის ცნობით, ქართველ მეფეს იგი... ცხენის ნალში გაუცვლია, ცხენის ნალში! და ბუნებრივია, ამით ძალიან შეუბღალავს დამარცხებული სარდლის ღირსება. სხვა წარჩინებულ ტყვეთა თავმოყვარეობა მეფეს არ შეულახავს, პირიქით, პატივიც კი მიაგო... და რატომ მოექცნენ ასე დამამცირებლად ამ ერთ ტყვეს, ძნელი სათქმელია. იქნებ განსაკუთრებით მძიმე ცოდვა ჩაიდინა ომის დროს და ის გაუხსენეს, ან იქნებ ახალი რამე შესცოდა!..

როგორც ვხედავთ, შამქორის ომის შემდეგ, სადაც ქართველებმა მოწინააღმდეგის შეერთებული მრავალრიცხოვანი ლაშქარი დაამარცხეს, დიდ ხანს არ გაუვლია და აი, კვლავ ბრწყინვალე გამარჯვება, კვლავ სელჩუკთა შეერთებულ, მრავალრიცხოვან ლაშქარზე. „ამ ომმაც ქართველთა ძლევამოსილების განთქმულ სახელს კვლავ უძლეველობის შარავანდედი მოჰფინა, — წერს ივანე ჯავახიშვილი, — ყველასათვის ცხადი გახდა, რომ კავკასიის სამხრეთის საზღვარზე საქართველოს სახელმწიფოს არც აღმოსავლეთით, არც დასავლეთით საშიში მეტოქე აღარა ჰყავდა“.

ზემოთ რომ ვწერდით, მოკლე დროის განმავლობაში, მეცამეტე საუკუნის დასაწყისშივე, თითქმის ზედიზედ, ერთმანეთის მიყოლებით სამი დიდი მოვლენა მოხდაო, პირველს სწორედ ბასიანის ომს ეგულისხმობდით.

ახლა მეორე.

რუქნადინზე ბრწყინვალე გამარჯვებამ გააადვილა იმ დიდი გეგმის განხორციელება, რაც საქართველოს სამეფო კარს უკვე რამდენი ხანია დაესახა.

საქმე ეხება ისტორიაში კარგად ცნობილ ფაქტს – საქართველოს მეზობლად, მის დასავლეთით, ქართველებისაკენ თაოსნობით ახალი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, რომელსაც ტრაპიზონის სამეფო ანუ ტრაპიზონის საკეისრო ეწოდა.

უკვე ითქვა: ბიზანტია ამ დროისთვის — მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეთა მიჯნაზე — ისე იყო დასუსტებული შინაგანი კლასობრივ-პოლიტიკური ბრძოლებით, რომ ძლივს უმკლავდებოდა ერთი მხრივ სელჩუკებს, და მეორე მხრივ ჯვაროსანთა სულ უფრო და უფრო გახშირებულ შეტევებს...

საქართველოს სამეფო კარი დიდი ხანია თვალყურს ადევნებდა ბიზანტიაში მიმდინარე პროცესებს. ერთხელ კიდევ გავიხსენოთ: იქ, შავი ზღვის სანაპირო ტერიტორიის გარკვეულ ნაწილზე ბინადრობდნენ ქართველური ტომები — ლაზები, ჭანები. ამდენად, როცა დრო დადგებოდა, საქართველოს სამეფო კარისთვის გაადვილებული იქნებოდა თავისი გავლენის გაძლიერება. მოვლენები კი ისე ვითარდებოდა, რომ დღეს თუ არა ხვალ, ასეთი შესაფერი დრო უნდა დამდგარიყო. და მართლაც არ დააყოვნა, მალე დადგა.

1204 წელს ჯვაროსნები კონსტანტინოპოლში შევიდნენ და ახლა უკვე საბოლოოდ დაირღვა ბიზანტიის იმპერიის სიმტკიცე და მთლიანობა. დაიპყრეს თუ არა კონსტანტინოპოლი ჯვაროსნებმა, ეს ოდესღაც დიდი და მრისხანე იმპერია მაშინვე დაიშალა და დაქუცმაცდა. მეთოთხმეტე საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი, გამოჩენილი ფილოსოფოსი და ასტრონომი ნიკიფორე გრიგორასი წერს: როცა კონსტანტინოპოლი ლათინებმა (ჯვაროსნებმა) აიღეს, ბიზანტიის იმპერია მძვინვარე ქარიშხალში მოხვედრილი დიდი ხომალდივით ნაკუწ-ნაკუწ დაიმსხვრა და ეს ნამსხვრევები ხელადვე დაიტაცეს — ზოგმა რომელი და ზოგმა რომელი.

ქართველებს „ხომალდის დამსხვრევისთვის“ არ დაუცდიათ: როგორც ეტყობა, თითქმის ერთდროულად შევიდნენ ჯვაროსნები — კონსტანტინოპოლში და ქართველები — იმ ტერიტორიაზე, რომელსაც შემდეგ ტრაპიზონის საკეისრო ეწოდა.

ამ პროვინციის კავშირი ცენტრთან ისედაც სუსტი და გაძნელებული იყო. ბუნებრივი ზღუდე — მაღალი და მიუვალი მთები — აძნელებდა კავშირს იმპერიის დედაქალაქთან და სხვა პროვინციებთან; ზღვით უფრო ხერხდებოდა ხოლმე დაკავშირება და ესეც თავისებურ სიძნელეებსა ჰქმნიდა. ნიკიფორე გრიგორასის ცნობით, აქაური მოსახლეობა თავს, ერთგვარად, დამოუკიდებლად გრძნობდა და მეტი სიმპათიით იყო განწყობილი მეზობელი ქვეყნის — საქართველოს მიმართ. ამგვარად, საქართველოსთვის უფრო ადვილი იყო კავშირის დამყარება ეთნიკურად ჭრელ აქაურ მოსახლეობასთან, რომლებშიაც ქართველები სჭარბობდნენ.

ერთი სიტყვით, საქართველოს სამეფო კარმა ბოლოს და ბოლოს განახორციელა დიდი სიფრთხილით მოფიქრებული გეგმა: თავის მეზობლად, შავი ზღვის სანაპიროზე დააარსა ტრაპიზონის სამეფო ანუ საკეისრო. როგორც ეტყობა, ამ გეგმის განხორციელება ბასიანის ომში ამასწინანდელმა გამარჯვებამაც გააადვილა.

აქვე უნდა გავიხსენოთ ერთი შემთხვევა, რაც უშუალოდ წინ უძღოდა იმ გეგმის განხორციელებას.

უცნაური დამთხვევა მოხდა: ქართული ლაშქრის ტრაპიზონისკენ დაძერას უშუალო ბიძგი თითქოს კონსტანტინოპოლში ჯვაროსანთა შეჭრამ კი არ მისცა, არამედ ბიზანტიის მაშინდელი იმპერატორის ალექსი III ანგელოსის უგუნურმა და უხამსმა მოქმედებამ.

ზემოთ ერთგან შევნიშნეთ, რომ უცხოეთში არსებული კულტურის კერები დროდადრო დახმარებას საქართველოს მეფისგან იღებდნენ. ახლაც თამარს ეახლნენ და დახმარება სთხოვეს ბერებმა „შავისა მთისა, ანტიოქიით და კეიპრისა ჭალაკით, ეგრეთვე მთაწმიდით და მრავალთა ადგილთათ“... მეფემ „შეიწყნარა“ უცხოეთში მოღვაწე ქართველი ბერები, „მრავალდღე არა გაუშვნა“, მერე უბოძა დიდძალი ოქრო „თვით მათთვის და ყოველთა მონასტერთა განსაყოფელად“... „აღავსნა ყოვლითა სახმრითა“ და გაისტუმრა...

ბიზანტიის იმპერატორი ალექსი მესამე ანგელოსი ძალიან ხარბი, ანგარებიანი და დაუნდობელი კაცი იყო; საკუთარი ძმა არ დაინდო — თვალები დასთხარა და სამეფო ტახტი წაართვა... უცხოელ ბერებს რას დაინდობდა“!... ოქროს მოყვარული ყოფილა და, როცა გაიგო,

ქართველი ბერები თამარ მეფეს დიდძალი ოქროთი დაუჯილდოებიაო, თავის მოხელეებს უბრძანა — როგორც კი კონსტანტინოპოლს ჩამოვლენ ის ბერები, დაესხით და ყველაფერი წაართვითო... ამაზე ადვილი შესასრულებელი რა უნდა ყოფილიყო, დაესხნენ უიარაღო ანაფორიან ბერებს და ყველაფერი წაგლიჯეს.

თამარმა რომ გაიგო ბიზანტიის იმპერატორის უკადრისი საქციელი, „განრისხნა მეფესა ზედა ბერძენთასა, წარგზავნნა მცირედნი ვინმე ლიხთ-იქითნი და წარუღეს ლაზია, ტრაპიზონი, ლიმონი, სამისონი, სინოპი, კერასუნდი, კიტიორა, ამასტრია, არაკლია და ყოველნი ადგილნი ფებლაღონისა და პონტოსანი და მისცა ნათესავსა თვისსა ალექსის კომნიანოსსა, ანდრონიკეს შვილსა, რომელი იყო მაშინ თვით წინაშე თამარ მეფისა შემოხუეწილი“.

ასე აქეს ახსნილი ტრაპიზონის საკეისროს დაარსება ქართველ მემატიანეს.

ეს ყველაფერი მართლაც ასე მოხდა, მაგრამ ქართული მხედრობის გალაშქრების ნამდვილი მიზეზი იყო არა უბრალო განრისხება ქართველი მეფისა იმის გამო, რომ ბიზანტიის იმპერატორმა ბერებს ოქრო წაართვა, არამედ ის ღრმა პოლიტიკური მოვლენები, რაზედაც ზემოთ გექონდა ლაპარაკი.

ქართველი მემატიანის სიტყვებს ტრაპიზონის საკეისროს დაარსების შესახებ ადასტურებს მეთოთხმეტე საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი მიქელ პანარეტოსიც: „მოვიდა დიდი კომნენოსი უფალი ალექსი, რომელიც წამოსული იყო დიდებულ ქალაქ კონსტანტინოპოლიდან, ხოლო გამოილაშქრა კი იბერიიდან მისი მამიდის, თამარის გულმოდგინებითა და ღვაწლით და 22 წლისამ დაიპყრო ტრაპიზონი აპრილში, 1204 წელს“.

რა ნათესაობა ჰქონდა ქართველ მეფეს ბიზანტიელ უფლისწულთან, ჩვენ უკვე ვიცით. ქართველი მემატიანე აღნიშნავს, ალექსი კომნენოსი ანდრონიკეს შვილი იყოო, ხოლო ბიზანტიური წყაროების მიხედვით ალექსი და მისი ძმა დავითი შვილიშვილები ყოფილან ანდრონიკესი, შვილები მანუილისა; ალბათ გეხსომებათ — ანდრონიკეს ჩვენ ადრეე შევხვდით საქართველოში, იგი გიორგი მესამის კარზე იყო და ერთხელ მონაწილეობაც კი მიიღო ქართველი მეფის შარვანისკენ ლაშქრობაში. 1185 წელს ანდრონიკე და მისი შვილი მანუილი კონსტანტინოპოლში დაიღუპნენ, მანუილის მცირეწლოვანი შვილები — ალექსი და დავითი — მაშინ საქართველოში გააპარეს, და დიდხანს დარჩნენ აქ, აქ იზრდებოდნენ, საქართველოში, თამარის კარზე. ასე

რომ, ბიზანტიელმა უფლისწულებმა კარგად იცოდნენ ქართული და ნაზიარები იყვნენ ქართულ კულტურას; ქართველ მთავრებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე ბიზანტიელებსო, შენიშნავენ ბიზანტოლოგები, ქართული ცხოვრების წესსა და ადათს მისდევდნენ; მათი სიმპათიები ქართველებისკენ იყო, ქართველებთან კავშირს არჩევდნენო, წერს თ. უსპენკი... დამახასიათებელია, რომ პირველ ხანებში, ანუ მეცამეტე საუკუნის დასასრულამდე, ტრაპიზონის მეფეები ცოლად უმთავრესად ქართველ ქალებს ირთავდნენ.

ამრიგად, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით, ქართველი მეფის თაოსნობითა და უშუალო მონაწილეობით, დაარსდა ახალი სახელმწიფო. ეს იყო დიდად მნიშვნელოვანი მოვლენა. საქართველოს სამეფო კარის პოლიტიკური გავლენა და ავტორიტეტი ამ მხარეში კიდევ უფრო გაიზარდა. ახლა მისთვის მეტი ანგარიში უნდა გაეწიათ, ერთის მხრივ, ლათინთა იმპერიას, რომელმაც ბიზანტიის იმპერია შეცვალა და მეორე მხრივ, მცირე აზიის სელჩუკთა სამთავროებს.

რაკიღა მოწინააღმდეგეთა მთავარი ძალები დათრგუნეს, ქართველებისთვის ახლა უფრო ადვილი იყო სამხრეთით შორეული ლაშქრობანი, და ილაშქრებდნენ კიდეც. ზოგჯერ ისე გაბედულ და ღრმა რეიდებს მოაწყობდნენ, მემატიანეც გაკვირვებითა და ამავე დროს აღფრთოვანებით შენიშნავს, ქართველებს ამ სიშორეს უწინ არასოდეს ულაშქრიათო... ქართველებმა მიაღწიეს სამხრეთის ისეთ შორეულ ქალაქებს, როგორიც იყო მარანტი, თავრიზი, ყაზვინი...

მაგრამ ეს ცოტა უფრო მოგვიანებით მოხდა.

იმ ხანებში კი — ესე იგი, ტრაპიზონის იმპერიის დაარსების შემდეგ ერთი-ორი წლის განმავლობაში, საქართველოს სამეფო კარმა გადაწყვიტა, აღმოსავლეთის სამხრეთის შედარებით უფრო ახლო მდებარე, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი ქალაქი.

ეს იყო კარი ანუ ყარსი, და მას საქართველოსთვის განუზომლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც პოლიტიკურ-სტრატეგიული, ისე ეკონომიკური თვალსაზრისითაც. საკმარისია გავიხსენოთ, რომ იგი დიდ სავაჭრო-საქარავანო გზაზე მდებარებოდა; ამ ქალაქის დაკარგვით მტერს ხელიდან ეცლებოდა ერთ-ერთი მთავარი პლაცდარმი საქართველოს წინააღმდეგ. მრავლისმეტყველია თვით სახელწოდებაც — „კარი“.

ამას რომ გავითვალისწინებთ, აღარ გაგვიკვირდება ის დიდი ბრძოლები, რაც ამ ქალაქისთვის გაიმართა. ქართველებმა ქალაქი ალყაში მოაქციეს და გარე სამყაროს მოწყვიტეს, მაგრამ მისი აღება მაინც გაძნელდა. ეტყობა, ქართველი მეფე ზედმეტი სისხლის დაღვრას მოერიდა; როგორც უკვე ითქვა, სავაჭრო გზაზე მდებარეობდა, მნიშვნელოვანი ცენტრი იყო, კარგად გამაგრებული ციხე-ქალაქი... თან, ქართული სარდლობა დარწმუნებული იყო, რომ დღეს არა, ხვალ — ქალაქი მაინც დანებდებოდა... ამიტომაც ჯიქურ მიხდომასა და ბევრი სისხლის ღვრას დაცდა ამჯობინეს...

მაგრამ მოწინააღმდეგესაც როდი ეთმობოდა... და დიდხანს იყო ქალაქი ასე ალყაში მოქცეული; ძალიან დიდხანს. დრო გადიოდა. ქართველები იმის იმედს არ ჰკარგავდნენ — მტერი წინააღმდეგობის გაწევის უსაფუძვლობას მიხვდება და დაგვნებდებაო. ხოლო ქალაქის მესვეურები სამხრეთიდან თავიანთი თანამოძმეების დახმარების იმედით იყვნენ...

დახმარება იგვიანებდა, ქალაქის ბინადართა მდგომარეობა კი, რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო აუტანელი ხდებოდა. ბოლოს, ქალაქის ამირას, ეტყობა, გარედან დახმარების იმედი გადაუწყდა და ქართველებს ზავი სთხოვა. გაიმართა მოლაპარაკება. როგორც არაბი ისტორიკოსი გადმოგვცემს, ქართველებს, ურთიერთშეთანხმების მიხედვით, ფული გადაუხდიათ და ქალაქში შესულან. „მეფემან აიღო და მიითუალა კარი და დაუტევა კარის მცველად ახალციხელი ივანე და აჩინა მონაპირედ", წერს ქართველი მემატიანე. მეორე მემატიანე უფრო აკონკრეტებს ამ ცნობას: ქალაქი თავად კი არ ჩაუბარებია თამარს — შვილისთვის მიუნდვია: „უბრძანა ძესა თვისსა გიორგის, რათა შევიდეს და თვით მოითუალოს ქალაქი და ციხე".

კარი ქართველებს 1206 წელს აუღიათ.

მკითხველის ყურადღება უნდა შევაჩეროთ ერთ მნიშვნელოვან გარემოებაზე. დავით ალმაშენებლისგან განსხვავებით, რომელიც ბრძოლით აღებულ ქალაქს უშუალოდ შეიერთებდა და საქართველოს სამეფო ტახტს უმორჩილებდა ხოლმე, თამარი ყმადნაფიცად იხდიდა დაპყრობილ ქვეყნებსა და ქალაქებს. ქალაქი კარი კი გამონაკლისი გახლდათ; იგი უშუალოდ შემოიერთა ქართველმა მეფემ. მემატიანე ამას კარის მოქალაქეთა თხოვნით ხსნის. კარის მეციხოვნენი „ითხოვდეს მშვიდობასა და ფიცსა, რათა არა განსცეს კარი, ვითარ ანისი და დვინი, არამედ სამეფოდ დაიმჭიროს. ამისთვის მისცა სიტყუა მტკიცე... და ესე ერთი ქალაქი და ციხე თვისად დაიმჭირა,

მათ ყოველთაგან, რომელნი აიხუნა ზორაკერტით რახსამდის, გაგით განძამდის და ჯაეახეთით სპერამდის“.

როგორც ვხედავთ, კარელებს თავად უთხოვიათ, ჩვენი ქალაქი შეიერთეო; ეს ალბათ მართლაც ასე იყო; მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ რაკი კარს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ეკონომიკურ-სტრატეგიული თვალსაზრისით, ქართველი მეფე თვითონვე იქნებოდა დაინტერესებული მისი შემოერთებით.

ამრიგად, ბასიანის ომიც, ტრაპიზონის დაარსებაცა და კარის აღებაც – ეს სამი დიდი მოვლენა — თითქმის ზედიზედ და ერთმანეთის მიყოლებით მოხდა: ოღონდ, როგორც ითქვა, სხვადასხვა ისტორიულ წყაროებში ამ მოვლენათა ქრონოლოგიური თანმიმდევრობა სხვადასხვაგვარად არის მოცემული და თანამედროვე მეცნიერები სხვადასხვაგვარად ვარაუდობენ. ჩვენ აქ ის ვარიანტი ავირჩიეთ, ანუ იმ ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას მივეცით უპირატესობა, რომელიც ამბების განვითარების მიხედვით უფრო ლოგიკური გვეჩვენა.

●

როცა სამხრეთით წარმოებულ ბოლო ბრძოლებზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ტერიტორიის დიდი ნაწილი აქ სომხური იყო, სომხური ტომებით დასახლებული. ამჟამად მტერს ჰქონდა დაპყრობილი ეს მიწა-წყალი და აქაური მკვიდრი მოსახლეობაც მტრის უღელში გმინავდა. დამპყრობლის ჩვეულებრივი უღლის სიმძიმეს ისიც ემატებოდა, რომ სელჩუკთა ცალკეულ სამთავროებს გაუთავებელი ურთიერთბრძოლები ჰქონდათ და ამ ბრძოლებში ადგილობრივი მოსახლეობაც იჟლიტებოდა. ამდენად, ქართველების მიერ სამხრეთით მოწყობილი ლაშქრობანი მოძმე ერისთვის დახმარების ხელის გაწვდენაც იყო, უახლოესი მეზობლისა და მეგობრის მიმართ ვალის მოხდა. და ამას მაშინვე ასე აფასებდა სომეხი ხალხი. ზემოთ რამდენჯერმე შევნიშნეთ კიდეც, როგორ მადლიერებით მოიხსენიებენ სომეხი მემატიანეები ქართველების ამ ძმურ დახმარებას.

თავისუფლებისმოყვარე სომეხი ხალხი, რაღა თქმა უნდა, არ ურიგდებოდა თავის მდგომარეობას და ზოგჯერ აჯანყებები იფეთქებდა ხოლმე. ასეთ დროს მათ მუდამ ძველი მეზობლის დახმარების იმედი

ჰქონდათ. და ქართველებიც მუდამ მზად იყვნენ საშველად. ერთ ასეთ ამბავს გადმოგვცემენ სომეხი და არაბი ისტორიკოსები. რამდენადაც ამ ამბავს სიანტერესო ეპიზოდიც ახლავს, დაკავშირებული ქართველ მხედართმთავართან, თავს ნებას მივცემ, მოვუთხრო იგი მკითხველს. ეპიზოდი სხვადასხვა ისტორიულ წყაროს განსხვავებული დეტალებით გადმოუცია. აქ ისე მოგითხრობთ, როგორც არაბ ისტორიკოსს ზაქარია ყაზვინს აქვს გადმოცემული. ივანე ჯავახიშვილი სწორედ ამ ვარიანტს აძლევს უპირატესობას (ეპიზოდი ამოწერილი მაქვს ყაზვინის წიგნიდან — „ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ", რომელიც ო. ცქიტიშვილმა თარგმნა და გამოსცა").

ეს იყო 1210 თუ 1211 წელს. სომეხი მოსახლეობის აჯანყება დამპყრობლებმა ჩააქრეს და სასტიკად გაუსწორდნენ აჯანყებულებს. ქართული მხედრობა მისაშველებლად გაემართა. მათ ბრძოლით აიღეს არჭეში და გეზი ხლათისაკენ დაიჭირეს.

ეს ქალაქები ვანის ტბის მახლობლად მდებარეობს.

ხლათის გამგებელმა რომ გაიგო, ქართული მხედრობა ქალაქისკენ მოდისო, მაგრად შეშინდა და ჩაიკეტა, ცხვირი აღარ გამოუყვია გარეთ. ქართველებმა ალყა შემოარტყეს ქალაქს და შეტევის წინ შეისვენეს.

ქალაქს მდინარე ჩაუდიოდა. მდინარეზე ხიდი იყო. ქალაქის გუშაგებმა ხიდ\ჩაანგრიეს ჩუმად და ზედ თივა დააფარეს, თავად ხიდქვეშ დაიმალნენ, დაიცადეს: ხიდზე რომ შედგებოდნენ ქართველი მეომრები, თივა, რაღა თქმა უნდა, არ დაიშაგრებდა და წყალში ჩაცვივდებოდნენ. რაკი სარდალი წინ იქნებოდა, პირველი ის ჩაეარდებოდა; ეს ქართველთა ჯარში პანიკას გამოიწვევდა და მერე შეიძლება ყველაფერი სასურველად დამთავრებულიყო.

ძალიან მარტივი, მაგრამ ეფექტური სამხედრო ეშმაკობა მოუგონია მოწინააღმდეგეს. იმდენად მარტივი ხრიკი იყო, ალბათ იმედი არცა ჰქონდათ, ბრძოლებში გამოცდილ-გამობრძმედილი ქართველი სარდალი თუ წამოეგებოდა; ივანე მხარგრძელი წამოეგო და ამას, ეტყობა, ხელი შეუწყო ასევე მარტივმა გარემოებამ.

ქართველ სარდალს თან ვარსკვლავთმრიცხველი ხლებია. ვარსკვლავთმრიცხველმა თითქოს პატრონს ურჩია — ახლავე თუ ამხედრდები და შეუტევ, დაღამებამდე ხლათის ტახტზე შენ დაჯდებიო. სარდალს სჯეროდა თურმე თავისი ვარსკვლავთმრიცხველისა. ახლა შემთვრალიც ყოფილა, და მით უფრო დაუჯერა, ამიტომ

ბევრი აღარ უყოყმანია, მოახტა ცხენს და ქალაქის ბჭისკენ გაქუსლა. ვარსკელავთმრიცხველის სიტყვებით წაქეზებულმა ასე საალალბედოდ გაიხადა საქმე.

ხიდზე რომ შედგა, თივისთვის ყურადღება არ მიუქცევია; ცხენს ფეხი ჩაუვარდა და მხედარი პირდაპირ მდინარეში ჩაეშვა. აქ გუშაგები გამზადებულები ყენენ — სტაცეს ხელი და ქალაქში გააქანეს. ნუ მომკლავთო, ივანემ მიმართა თითქოს გუშაგებს, მე ქართველი სარდალი ვარო. შეიყვანეს და ტახტზე დასვესო, ყაზვინი გადმოგვცემს...

თუ ამ ცნობებს ვირწმუნებთ, ვარსკელავთმრიცხველის სიტყვები გამართლებულა: ჯერ არ დაღამებულიყო და ქართველი სარდალი მართლაც ხლათის ტახტზე იჯდა.

მაგრამ ვაი ამ ჯდომას: მოლაპარაკება გაიმართა და ვარსკელავთმრიცხველის წინასწარმეტყველება კარგა ძვირი დაუჯდა ქართველ სარდალს: შეთანხმების მიხედვით, მან გაათავისუფლა ყველა ტყვე და დიდძალი ფულიც გადაიხადა. თან მრავალწლიანი საზავო ხელშეკრულება დადო და მხოლოდ ამის შემდეგ გაათავისუფლეს.

სომეხი მემატიანის ცნობით, მსახურთუხუცესმა ივანემ თურმე ისიც აღუთქვა ხლათის გამგებელს, ჩემს ქალს თამთას სულთანს მივათხოვებო, და პირობა კიდეც შეასრულაო.

გალაშქრებათა ამბავს ყველას არ ჩამოვთვლითო, ვთქვით, მაგრამ გული არ მაძლევს, არ გავიხსენო კიდევ ერთი ლაშქრობის ისტორია, საიდანაც კარგად ჩანს, ჯერ ერთი, ის, რომ „ქართველთა სრული ძლევამოსილების“ დროსაც კი (ასე ახასიათებს ივანე ჯავახიშვილი ჩვენი ქვეყნის მაშინდელ მდგომარეობას), ჩვენს ხალხს არ შეიძლებოდა ერთი წუთით მოედუნებინა სიფხიზლე — მტერი მუდამ მზად იყო გამოსალაშქრებლად, ხელსაყრელ შემთხვევასლა ელოდა; და ჩანს აგრეთვე ქართველთა მეგობრული ერთგულება მეზობელი ხალხის მიმართ.

ამ დროს დავით სოსლანი უკვე ცოცხალი აღარ არის. მემატიანე სწორედ ამ ამბის წინ გვაუწყებს: „მოიწია მწუხარება, რამეთუ მიიცვალა სოსლან დავით, კაცი აღსავსე ყოვლითა სიკეთითა, საღმრთოთა და საკაცობოთა, შესახედავად განშუენებული, ხოლო წყობათა და ომთა შინა მხნე ვინმე გულოვანთაგანი, უხვი და მდაბალი, სიკეთე აღმატებული“...

მტერი გაფაციცებით ადევნებდა თვალს საქართველოში მიმდინარე ამბებს. დაეითის გარდაცვალება რომ გაიგეს, გაეხარდათ, გული მოიცეს: ქართულ მხედრობას მამაცი და გამოცდილი წინამძღოლი მოუკედა!.. მაგრამ ისიც კარგად იცოდნენ, რომ გამოცდილი და გულადი სარდლები სხვებიც ჰყაედა ლაშქარს: ძმები ზაქარია და ივანე მხარგრძელნი, შალვა ახალციხელი, მისი ძმა ივანე, „სხვანი თორელნი“... ამიტომ მაინც სიფრთხილე მართებდა.

და, აი, თამარი დიდმარხვაში გეგუთს გაემგზავრა: „მხარგრძელნი ორნიეე მეფის წინაშე იყუნეს“. აღდგომა მოახლოებული იყო და სარდლები, ეტყობა, გეგუთშიეე შეხვდებოდნენ თავიანთ დიდ დღესასწაულს. ეს არდებილის სულთანმა გაიგო და გადაწყვეტა, ხელსაყრელი დრო არ გაეშვა. სანამ ქართველი მეფე და სარდლები გეგუთში აღდგომას იდღესასწაულებდნენ, მან მეტად მზაკვრული საქმე ჩაიდინა: სწრაფად შეყარა ჯარი და ანისისკენ გაემართა. ფრთხილად მიდიოდა — „წარმოვიდა და აღვლო რახსის პირი და უგრძნობლად (შეუმჩნეველად, ფარულად) მოვიდა ანისა; გზა-გზა არავის აენო“, და სწორედ დიდ შაბათს, როცა ანისის საკათედრო ტაძარი ხალხით იქნებოდა სავსე... მაგრამ თვით მემატიანეს მოუსმინოთ:

„და ვითარ ცისკარი მოეახლა და ჰკრეს ძელსა (ზარი დააგუგუნეს) და განახუნეს კარნი ქალაქისანი, მყის მიეტევნეს კარსა ქალაქისასა, შეუტევნეს ცხენი... და შეეიდეს ქალაქად. იწყეს ხოცად, კლვად, ტყუეობად. უმრავლესი ერი იყო ეკლესიათა შინა... ერთი ბევრი და ორი ათასი კაცი (ესე იგი, თორმეტი ათასი კაცი) ეკლესიათა შინა, ვითარ ცხვარი, დაკლეს, თვინიერ მისსა, რომელი უბანთა და ფოლოცთა შინა მოიკლა. ესეოდენ მძვინვარედ მოაოხრეს ანისი და სავსენი ტყვითა და ალაფითა მიიწიენეს შინა“...

ისევ დიდებული ანისი გახდა მათი საშინელი მხეცობის მსხვერპლი.

მთელი კვირა გავიდა ამ ამბის შემდეგ და მხოლოდ მაშინ, „ახალკვირიაკედ“, გაიგეს თამარ მეფემ და მხარგრძელებმა. „ესმა და დიდად დამძიმდეს და მწუხარებამან მოიცვნა, და რამცა ყვეს, არა უწყოდეს; გულნი მათნი ცეცხლებრ ენთებოდა“...

მხარგრძელებმა მეფეს სთხოვეს ჯარის წვევისა და გალაშქრების ნებართვა და მეფემაც ნება დართო...

ქართველმა სარდლებმაც სიფრთხილე იხმარეს — მთელ საქართველოში არ შეუკრებიათ ჯარი, მზადების ამბავი მტერმა არ გაიგოსო.

წაიყვანეს მხოლოდ მესხნი, თორელნი, თმოგველნი, ჰერ-კახნი, სომხითარნი; ანისს შეიყარნენ და იქიდანვე დაიძრნენ სალაშქროდ... წინასწარვე გამოზომეს და იმ დროს ჩაეიდნენ არდებილს, როცა იქ „აიდი“ ანუ თავიანთი აღდგომა ჰქონდათ... და როგორც კი ქადაგმა ქადაგება დაიწყო და „გახშირდა მუყრთა ყივილი“, ქართული ლაშქარი მხარგრძელების წინამძღოლობით ქალაქში შეიჭრა... სულთანი მოკლეს, მისი ცოლ-შვილი ტყვედ წამოასხეს, „თორმეტი ათასი კაცი რჩეული მიზგითთა შინა მოკლეს, ვითარ მათ ყვეს ანისისა ეკლესიასა შინა; სხუა უმრავლესი ერი მოსწყვიდეს და სხუა ტყუე-ჰყვეს“. მერე იმავე გზით გამობრუნდნენ და ისევ ანისს მოეიდნენ...

თავი X

ბესლეთის ხიდი – XII საუკუნის ქართული სამშენებლო ხელოვნების ერთ-ერთი ნიმუში ✦ ბეშქენ და ბეჭა ოკიზარები ✦ შოთა რუსთაველი და მისი ეპოქა. „ვეფხისტყაოსანი" ✦ თამარის დროინდელი ოქრომჭედლობა და კედლის მხატვრობა. ვარძია ✦ იყალთოს აკადემია. შიომღვიმე.. დავით სოსლანი რომ გარდაიცვალა, თამარმა თანამოსაყდრედ თავისი ვაჟი გიორგი დაისვა. ეს იყო 1207 წელს... ✦ თამარ მეფეს უკურნებელი სენი შეეყარა და 1212 წელს სრულიად ახალგაზრდა, 47 წლისა გარდაიცვალა

ძალიან გაგვიგრძელდა ომების ჩამოთვლა და აღწერა. მართლაც, რამდენი ომი და ბრძოლა გადაუხდია ქართველ ხალხს თამარის ზეობის შედარებით მოკლე პერიოდში!.. ეცნობი ამ წყაროებს და თითქოს შორიდან დაძრული გაბმული სამარი ყიჟინა სწვდება სმენას, ბუნდოვნად ჩაგესმის ხმლის განუწყვეტელი ჩახაჩუხი, ისრების ზუზუნი, ყალყზე შემდგარი ცხენების ჭიხვინი... ასეული წლების წინ გადახდილი ომების ექო არ წყდება, ტალღებად მოდის, რათა სულ ახალ და ახალ თაობებს განაცდევინოს უცნაურად შერეული გრძნობა გამარჯვებათა სევდაგარეული სიხარულისა, დამარცხებათა სიმწარისა, შეცდომათა სინანულისა, სულის გაუტეხაობის სიამაყისა...

სულ ბრძოლა, სულ შემართული ხმალი და მოზიდული მშვილდი... სხვას თითქმის არაფერს ვხედებით მემატიანეების მონათხრობში... თითქოს საგანგებოდ დაესახოთ მიზნად, მხოლოდ ერთი მხარე გვაჩვენონ ჩვენი შორეული წინაპრების ცხოვრებისა. თითქოს მეორე მხარე, არანაკლებ მნიშვნელოვანი და საინტერესო არც არსებულიყოს... ხალხის ყოფა, შემოქმედებითი შრომა, შენება, ახლის შექმნის სიხარული... თუნდაც ჩვეულებრივი ურთიერთობა ადამიანებისა — ან ერთმანეთს როგორა ხედებოდნენ, ან როგორ

შრომობდნენ, რა ცხოვრებისეული ინტერესები ჰქონდათ, რითი სულდგმულობდნენ, რა ჭირნახულს იწევდნენ, სუფრას როგორა შლიდნენ, როგორ ილხენდნენ, რითი ერთობოდნენ, ავადმყოფებს და სნეულებს როგორ მკურნალობდნენ, მიცვალებულს როგორ დაიტირებდნენ... ამას იქ ვერ შეხვდებით. ამაზე სდუმან მემატიანეები. იქ მხოლოდ ომები, მეფედ კურთხევა, მოღალატე ფეოდალების მიერ გაჩაღებული შინა ბრძოლები, მარტო მეფეთა ცხოვრება და ქება... აგერ, თუნდაც „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", „ცხოვრება მეფეთმეფისა"... სათაურებიც კარგად გამოხატავენ თხზულებათა შინაარსს, რომელთაც ეს-არის გაეცანით!..

ამ თხზულებათა ავტორები ეპოქის შვილები იყვნენ, თავისივე აღწერილ ომებში მონაწილეობდნენ, სამეფო საბჭოს ესწრებოდნენ, იქნებ შინა ბრძოლებშიაც იყვნენ ჩარეული, ხალხში ტრიალებდნენ, ხალხის ყოველდღიურ სიხარულსა და მწუხარებას თვითონვე განიცდიდნენ, იმ დიდი ცხოვრებით ცხოვრობდნენ, სხვებთან ერთად თვითონვე ჰქმნიდნენ ცხოვრებას... მათზე კარგად ვის შეეძლო გადმოეცა ჩვენი ხალხის ყოფა, ყველაფერი ის, რაც ასე საინტერესო გამხდარა დღევანდელი ადამიანისთვის!..

მაგრამ არა, საჭიროდ არ ჩაუთვლიათ, ცხოვრების ეს მეორე მხარე ნაწილობრივ მაინც აეწერათ და შთამომავლობისთვის შემოენახათ.

და რა მწირი და ცალმხრივი იქნებოდა ჩვენი წარმოდგენა ქართველი ხალხის მაშინდელ ცხოვრებაზე, სხვა წყაროებით რომ არ ხერხდებოდეს მისი შევსება!.. რომ არ ხერხდებოდეს ისეთი დეტალების გამომჟღავნება, და გამოვლენა, რომლებიც იქნებ ყოველთვის სრულს არა, მაგრამ მიახლოებით წარმოდგენას მაინც გვიქმნის მაშინდელი ცხოვრების ცალკეულ მხარეებზე. ასეთი ფაქტები თანდათანობით გამოდის სამზეოზე და ჩვენი წარმოდგენაც მაშინდელ ყოფაზე სულ უფრო და უფრო ივსება და მდიდრდება.

ზემოთ უკვე ითქვა, როგორი შუქი მოჰფინა სამეფო საბჭოს ცხოვრებასა და საქმიანობას ერთმა ძველმა, ჩვენამდე არასრულად მოღწეულმა ხელნაწერმა, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, ხელნაწერის ცალკეულმა ფურცლებმა, რომლებიც ის-იყო ნაგვისთვის უნდა გაეტანინებინათ, რომ ბედნიერი შემთხვევით იქ ქართველი მეცნიერი არ შესწრებოდა და დაღუპვისაგან არ ეხსნა... ვნახეთ, როგორ შემთხვევით წააწყდა მეორე მეცნიერი ქვას, რომელმაც ძველი ძვირფასი წარწერა შემოგვინახა და ცხოვრების კიდევ ერთი კუთხე გაანათა...

თანამედროვე მკვლევარი ნიკოლოზ კვეზერელი-კოპაძე, რომელმაც საინტერესო გამოკვლევა მიუძღვნა ძველი საქართველოს გზებსა და ხიდებს, ერთ მნიშვნელოვან ამბავს მოგვითხრობს.

ჩვენი საუკუნის ოცდაათიანი წლების ბოლოს გრემის ნაქალაქარს სწავლობდა თელავის ისტორიულ-გეოგრაფიული მუზეუმის მაშინდელი დირექტორი, პედაგოგი ალექსანდრე მამულაშვილი. მან შეისწავლა ძველი ქალაქის წყალსადენი, წყალსაცავი, აბანო...

უყვარდა ამ კაცს თავისი ხალხის ისტორია. უყვარდა საქმე, რომელსაც ემსახურებოდა, და, ადვილად გასათვალისწინებელი სიძნელეების მიუხედავად, დიდი მოთმინებითა და გულმოდგინებით სწავლობდა ძველ ნაქალაქარს. დღე და ღამე გრემში იყო, იქ ტრიალებდა, ეძებდა, თხრიდა, აკვირდებოდა, აგროვებდა...

და ამ ძიების დროს, ბარით მიწას რომ ჩიჩქნიდა, ისეთ რამეს წააწყდა, რასაც იმ დროს არ ეძებდა და იქ არც ელოდა. ბარი მოხვდა მიწით დაფარულ, მტკიცედ ნაგებ კედელს... მაგრამ თითქოს კედელსაც არა ჰგავდა...

იგი დაინტერესდა და გვერდებიც მოუთხარა. კედელი გრძელდებოდა. და უცნაური ის იყო, რომ ძალიან განიერი ჩანდა. ამსიფართე კედელი აქამდე არც ენახა და არც გაეგონა.

ივანე ჯაჯანიშვილი ცოცხალი ბრძანდებოდა მაშინ და თელავის მუზეუმის დირექტორმა მას აცნობა ახალი აღმოჩენის ამბავი. დიდი მეცნიერი საოცარი გულისხმიერებითაც გამოირჩეოდა და, რაღა თქმა უნდა, ყურადღებით მოუსმინა მუზეუმის დირექტორს. მაგრამ ზეპირად რისიმე თქმა ძნელი იყო, დირექტორისეული აღწერის მიხედვით კი მართლაც კედელსა ჰგავდა. ადგილზე ჩასვლა და შემოწმება, სამწუხაროდ, აღარ დასცალდა მეცნიერს. იგი ამის შემდეგ მალე გარდაიცვალა.

თელაველმა ენთუზიასტმა თავად განაგრძო ძიება. ეს ხდებოდა 1940-1941 წლებში. ამასობაში ომი დაიწყო და ფართო მასშტაბის ძიება, რაღა თქმა უნდა, შეუძლებელი გახდა. ენთუზიასტი მკვლევარი მარტოდ განაგრძობდა მუშაობას და მიხვდა, რომ იგი შემთხვევით წააწყდა უძველეს გზას. თელაველი პედაგოგი ჯერ მხოლოდ ერთ პატარა მონაკვეთს ხედავდა და აშკარა იყო, რომ გზა ლაგოდეხისკენ მიემართებოდა; გრემს ლაგოდეხთან აკავშირებდა... უფრო გაბედული ეარაუდი, რომ ეს იყო არა ადგილობრივი მნიშვნელობის გზა, არამედ დიდი საკაჭრო-საქარავნო მაგისტრალი, რომელიც თბილისს, გრემის გაელით, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის შარვანის ქალაქებთან,

კერძოდ შემახასთან აკავშირებდა, — მაშინ ძნელი იყო. ამას მერე მიხვდა მკვლევარი.

და როცა ეს გაბედული ფიქრი აღეძრა, იგი ამ საქმის სპეციალისტს ნიკოლოზ კეზერელ-კოპაძეს დაუკავშირდა. აქვე მოვიტან ადგილებს მისი კერძო წერილიდან, რომელიც ნ. კეზერელ-კოპაძემ გამოაქვეყნა:

ეს არის „გზა გრემიდან ლაგოდეხის მიმართულებით მიმავალი, ზოგან ზედ ქვითკირის ბოგირით (თაღი), ზოგან ქართული, შავად გამომწვარი აგურით დაგებული (клинкер). ეს გზა მიემართებოდა დაახლოებით 10-12 კილომეტრზე. მე თვითონ მოვთხარე სიგანით სამ მეტრამდე. ისე მკვიდრად ნაგებია, რომ ტყეში ხეივანივით გამოიყურება. ზედ ბალახი ამოსულა... გავთხარე გზა ათიოდე ალაგას და მაინც ვერ მოვათავე, რადგან მისი კვალი სცილდება საქართველოს ახლანდელ საზღვრებს. მისი (აგურით ნაგები გზის) კვალი კარგად ეტყობა, განსაკუთრებით შემოდგომას, როცა სახნავები ხნულებით გადაშავებულია და ზედ აგურის გზის ნაფხვენი კვალი ეტყობა წითლად. მე-12 კილომეტრზე გავყევი ამ გზას ყვარლის რაიონის ახალსოფლიდან ლაგოდეხის რაიონის მდინარე კაბალამდე. მეტი ვეღარ შეეძელი დიდი სიცხის, კოღოებისა და სხვათა გამო. ამას შემდეგ გავაგრძელებ“.

მაგრამ აღარ დასცალდა განზრახვის შესრულება, იგი მოულოდნელად გარდაიცვალა. ოღონდ იმ გზიდან წამოღებული ორი ბრტყელი, კვადრატული აგური, რომლის სისქე 8 სანტიმეტრს უდრის, ხოლო სიგრძე და სიგანე 50-ს, თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მიუტანია და დღესაც შეგიძლიათ იხილოთ მოკლე წარწერით: ნაპოვნია ძველ სავაჭრო გზაზე სოფელ ახალსოფლის მახლობლად.

სხვათა შორის, ასეთი აგური („ქართული კვადრატული აგური“) ბევრი გაუზიდავთ ადგილობრივ მცხოვრებლებს; რა ენაღვლებოდათ — ლამაზი, მკვრივი, მზამზარეული სამშენებლო მასალა იყო, ხოლო დიდი ისტორიული მნიშვნელობა რომ ჰქონდა, ეს არც ესმოდათ და დიდად არც დაგიდევდნენ.

ახლა გავშალოთ ამიერკავკასიის ძირითადი საგზაო მარშრუტების რუკა, რომელიც ლევან ჭილაშვილს თავის წიგნში აქვს მოცემული და მოვძებნოთ ეს მონაკვეთი ძველი გზისა, თელაველი პედაგოგი შემთხვევით რომ წააწყდა.

არ გაგვიჭირდება მიგნება. აქ ჩვენ მართლაც ვხედავთ დიდ საავჭრო მაგისტრალს, რომელიც თბილისიდან გამოდის და კახეთის გაელით ბარდავისკენ მიემართება; ბარდავიდან ეს გზა შემახიისკენ მიდის, მერე კი ჩრდილოეთისკენ აუხვევს და დარუბანდის გაელით ჩრდილოეთის ქვეყნებს უკავშირდება.

აი, რომელი მაგისტრალის მონაკვეთს წააწყდა თელაველი მკვლევარი.

საგზაო მარშრუტების რუკა, რომელიც ერთი კონკრეტული შემთხვევეის გამო გავშალეთ, ძალიან საინტერესო და საგულისხმო გამოდგა. აქ თვალსაჩინოდ ჩანს, როგორ არის დასერილი მაშინდელი ამიერკავკასიის ტერიტორია დიდი საავჭრო მაგისტრალებით და ეს გზები თითქოს თბილისში იყრის თავს — თბილისში შემოდის და თბილისიდან გადის. კვეხნაში თუ არ ჩამოგვერთმევა, შეგვეძლო საყოველთაოდ ცნობილი გამოთქმის პერიფრაზი შემოგვეთავაზებინა იმ ეპოქის თბილისზე — ამიერკავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების ყველა დიდი საავჭრო გზა თბილისიდან გადიოდა და თბილისში იყრიდა თავს.

ამაზე გაკვრით ზემოთაც გექონდა საუბარი. რამდენჯერმე აღვნიშნეთ ის დიდი საავჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა, რაც მაშინდელ საქართველოს მეზობელ და შორეულ ქვეყნებთან ჰქონდა. შევნიშნეთ, რომ ამ მნიშვნელოვან საქმეს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ ქვეყნის მმართველები. ამას რომ ვლაპარაკობდით, თავისთავად იგულისხმებოდა, რომ ბევრი დიდი საავჭრო გზა სერავდა ჩვენს ქვეყანას. რა თქმა უნდა, ამისი კიდევ ერთხელ გახსენება, როგორც ხალხის მაღალი კულტურის დამადასტურებელი ერთ-ერთი ნიშნისა, ზედმეტი არ არის, და, ამდენად, არც გასაკვირია, ამაზე რომ შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება. მაგრამ ახლა ჩვენ სხვა რამე უფრო გვაინტერესებს.

გზებიც არის და გზებიც! იქნებ მოვახერხოთ და ვნახოთ, როგორი იყო მაშინდელი გზები, როგორ აგებდნენ მათ, როგორ უელიდნენ, რა შრომასა სწევდა ჩვენი ხალხი ამ გზების აგება-მოელაზე... ამას თუ მოვახერხებთ, ამ კუთხითაც თუ შევხედავთ ქართველი ხალხის შრომით კულტურას, ეს, თავისთავად, მაშინდელი საერთო კულტურის დონეზეც კარგად მიგვანიშნებს, რადგან კარგად მოვლილი გზები ხალხის საერთო მაღალი კულტურის ერთ-ერთი დადასტურებაა.

თუ როგორი იყო იმდროინდელი გზები, როგორ აგებდა მას ჩვენი ხალხი, ამის თვალსაჩინო სურათს თვით იმ გზათა ნაშთები

გვაძლევენ, რომელთაც საუკუნეების სქელი მტვერი გადაფარებიათ და დროდადრო ხან სად წავაწყდებით და ხან სად. ამის სურათს იმ გზის მონაკვეთიც გვაძლევს, რომელსაც თელაველი მკვლევარი ჩვენი საუკუნის ოცდაათიანი წლების მიწურულში წასყდომია. მასვე მოვუსმინოთ:

„...სიგანე აგურის ფხვნილის ყრილისა 3 მეტრამდეა. მის აქეთ-იქით ნახევარი მეტრი ჩვეულებრივი ყრილია წერილი კენჭებისა. ამას აქეთ-იქით უნდა ჰქონოდა თხრილი (канава). ამაში მარწმუნებს გზის პროფილი; იგი ამოზნექილია. გზის სიმაღლე მინდვრის ზედაპირიდან ჭაობნარში ზოგან 70 სანტიმეტრისაა. ჭაობნარში ჩაყრილი ყოფილა უსწორმასწორო ფორმის თიხის გუნდები წითლად გამომწვარი. ასეთების ნიმუშები, ადამიანის თავის ოდენა, მუზეუმში მოვიტანე... ბოგირის მისასვლელი ამაღლებულია, როგორც ახლაა მიღებული გზის მშენებლობაში... ნაფხვენი აგურის ფენა ზოგან 30 სანტიმეტრის სისქისაა, ზოგან — 20-25 სანტიმეტრისა“...

ამ პატარა მშრალი ანგარიშიდანაც კი, ეფიქრობ, კარგად ჩანს, რა შრომა გაუწევია ხალხს, რა ჯაფითა და მონდომებით უშენებია და როგორი გზა გაუყვანია. დავაკვირდეთ გამოთქმებს: „ადამიანის თავის ოდენა წითლად გამომწვარი თიხის გუნდები“... „გზის აქეთ-იქით გაჭრილი თხრილი“. ალაგ-ალაგ „70 სანტიმეტრი სიმაღლე გზისა“... ხიდთან სათანადო შემაღლება, „როგორც ახლაა მიღებული“... „30 სანტიმეტრი სისქის ნაფხვენი აგურის ფენა“... სიმაგრისათვის დაფენილი 8 სანტიმეტრის სისქის შავად გამომწვარი ქართული აგური...

თითქმის იმავე ხანებში, როცა თელაველი პედაგოგი და მკვლევარი გრემის მახლობლად ძველი გზის მონაკვეთს წააწყდა, დიდი არქეოლოგიური ექსპედიცია მუშაობდა დმანისის მიდამოებში. როგორც უკვე ვიცით, დმანისი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრს წარმოადგენდა, მასზე გადიოდა დიდი საერაჭრო-საქარავნო, გზა და პოლიტიკურ-სტრატეგიული თვალსაზრისითაც ძალიან მნიშვნელოვანი ქალაქი იყო. აქ მეცნიერთა დიდი ჯგუფი მუშაობდა. საერთო ხელმძღვანელი ივანე ჯავახიშვილი გახლდათ, კონსულტანტად კი მოწვეული ჰყავდათ გიორგი ჩუბინაშვილი. კვლევის ვრცელი ანალიზი და ანგარიში დაგვიტოვა ისტორიკოსმა ლევან მუსხელიშვილმა. ამ ანგარიშიდან ამჟამად გვაინტერესებს ქალაქის ერთ-ერთი ქუჩის აღწერილობა. უნდა ვივარაუდოთ, ასეთივე იქნებოდა მთავარი გზაც, რომელიც აქ გადიოდა და რომელსაც ბოლო

დრომდე შემორჩა ძალიან საინტერესო და დამახასიათებელი სახელი — „აქლემის გზა“.

„...შემდეგ იწყება ნაგლეჯი ქვებით მოკირწყლული ქუჩა, — წერს ლევან მუსხელიშვილი, — ...ხუთიოდე მეტრის მანძილზე შენახული ქვაფენილი მეტად დაზიანებულია... კარის ქვაფენილსა და ქუჩის ქვაფენილს შორის აქ ჩვენ ხრეშით ამოვსებული, 40-მდე სანტიმეტრის სიგანის ხარვეზი დაგვხვდა. ეს ხარვეზი საშუალებას გვაძლევს, ზედმიწევნით შეეისწაელოთ ქვაფენილის ნაგებობა. ქუჩა აღმა მიდის საკმაოდ დიდი დაქანებით. მისი ქვაფენილი, დაგებული აგრეთვე პიტალო კლდეზე, კარის ქვაფენილს ებჯინებოდა, რომელიც არ უშვებდა ქვებს, რომ წინ გადმოვარდნილიყო. მოზრდილი ნაგლეჯი ქვები ისეა გვერდებჩამოტეხილი, რომ სოლივით ჩაუჯდეს ერთიმეორეს. ქვასა და ქვას შორის ხანებში ჩაყრილია ხრეში და ქვები ისე მჭიდროდაა ერთმანეთში ჩაჭედილი, რომ მათი ადგილიდან დაძვრა ყოვლად შეუძლებელია. ამ მარტივი საშუალებით მიღწეულია ისეთი სიმტკიცე, რომ ქუჩა დღესაც ისევ ისე დგას, როგორც XII საუკუნეში იდგა... გვერდებიდან ქუჩას ქვიტკირიანი ქვის კედლები მიჰყვება“...

ამ ორი გზის ზემოთმოტანილი აღწერილობიდან კარგად ჩანს არა მარტო ის, თუ რა განუსაზღვრელად დიდი შრომითა და სიყვარულით უშენებია ჩვენს ხალხს გზები, არამედ ისიც, თუ რა მნიშვნელობას აძლევდნენ ჩვენი წინაპრები გზებს ქვეყნის კულტურულ-ეკონომიკური განვითარებისთვის.

ალბათ ყურადღება მიაქციეთ: ორჯერ გავიმეორეთ თელაველი პედაგოგის კერძო წერილში მოტანილი ფრაზა, „როგორც ახლაა მიღებულიო“, ეს იმას ნიშნავს, რომ გზების შენების ტექნოლოგია, რაც ჩვენს წინაპრებს რვა საუკუნის წინათ ჰქონიათ, დღემდე არ მოძველებულა. ეს ხომ მტკიცედ ნაგები თანამედროვე გზატკეცილებია!..

და ამასთან დაკავშირებით ერთი საინტერესო დაკვირვება იქცევს ყურადღებას ნ. კვეზერელი-კოპაძის წიგნში. აქ მოტანილია ცნობა ერთ-ერთი საგზაო ჟურნალიდან, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ ინგლისსა, პოლონეთსა, ჩეხოსლოვაკიასა და ფინეთში საინტერესო ცდა ჩაუტარებიათ: „ნესტიან ამინდში გზებზე ტენიანობის რამდენადმე შემცირების მიზნით“ ხის ნაცარი გამოუყენებიათ.

ამ ცნობას იმიტომ მიუქცევია ქართველი მკვლევარის ყურადღება, რომ მან იცოდა: ასეთი „ცდები“ საქართველოში ასეული წლების

წინათ ჩაუტარებიათ, ხის ნაცარს ფართო გამოყენება ჰქონია გზის მშენებლობაში.

და საინტერესო ისიც არის, რომ ამ მნიშვნელოვან ფაქტს მკვლევარი ქართულ ფოლკლორშიაც შეხვედრია. ცნობილია ხალხური ლექსები თორღვაზე ...და რამდენიმე ლექსში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ თორღვა ბეგარას კრეფდა; ჩამოთვლილია, კერძოდ რა ბეგარას ადებდა ხალხს, და მათში საგანგებოდ არის მოხსენებული „თითო ტომარა ნაცარი" („თქვენც უნდა მომცეთ, ფშაველებო, თითო შიშაგი ცხვარიო, თ ი თ ო ტ ო მ ა რ ა ნ ა ც ა რ ი, თითო ბორაის მხარიო"). მეორე ლექსში უკვე პირდაპირ არის მითითებული, რისთვის სჭირდებოდა თორღვას ნაცარი: „...ფშაველებს დაადვა ბეგარა კვამლად ნაცრიან ცალიო, უზიდვიებავ თორღვასა, მაგით უშრიან გზანიო".

ნ. კვეზერელ-კოპაძე იქვე წერს: „იბადება კითხვა, რა თვისებების გამოა ვარგისი ხის მერქნის ნაცარი ბუნებრივი გრუნტების გასაუმჯობესებლად? უნდა ითქვას, რომ ხის ნაცარს აღნიშნული თვალსაზრისით ფრიად საგულისხმო ფიზიკური თვისებები აქვს, მას თითქმის სულ არ ახასიათებს პლასტიკურობა. მისთვის უცხოა ისეთი უარყოფითი თვისებაც, როგორიც არის მიმკვროვითობა. ნაცრის ეს თვისებები ხელსაყრელია გზის ტენიანობის დასაშრობად, ე. ი. გზის ტენმედეგობის უზრუნველსაყოფად".

აქ იმის რკვევას არ გამოვუდგებით, საქართველოში გამოიყენეს პირველად ეს მარტივი, მაგრამ ეფექტური მასალა გზის მშენებლობაში თუ სხვაგან. ეს ამჟამად არც გვაინტერესებს. ფაქტი ის არის, რომ მას ჩვენი წინაპრები შორეულ წარსულში იყენებდნენ, და, აგერ, მეოცე საუკუნის სამოცდაათიან წლებშიც მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები ცდებს ატარებენ გზის მშენებლობაში მის დასანერგად.

როცა ვამბობთ, საქართველო გზებით იყო დასერილიო, ვგულისხმობთ არა მარტო იმ დიდ საავჭრო-საქარავნო მაგისტრალებს, რომლებიც ამიერკავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებს დასავლეთთან და ერთმანეთთან აკავშირებდა, არამედ „ადგილობრივი მნიშვნელობის" შიდა გზებსაც, რითაც საქართველოს ცალკეული კუთხეები ერთმანეთს უკავშირდებოდნენ...

ეს ბუნებრივიცაა, როცა კარგად გავითვალისწინებთ, რა ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნის ცალკეულ მხარეებსა და კუთხეებს ერთმანეთთან.

ამას გარდა, როცა მემატიანეთა თხზულებებში ვხვდებით ცნობებს,

როგორ აფრინა, ეთქვათ, რომელიმე მონაპირემ სასაზღვრო კუთხიდან შიკრიკი მეფის სასახლისკენ; როგორ დაგზავნა მწიგნობართუხუცესმა ბრძანებები ქვეყნის ყველა კუთხეში და რა სწრაფად მიიღეს ეს ბრძანებანი ერისთავებმა და ერისთავთ-ერისთავებმა; ან რა სწრაფად შეკრიბა მეფე-სარდალმა მხედრობა მთელს საქართველოში და მომხდურ მტერს თითქმის საზღვარზეე მიუსწრო, ეს თავისთავად გულისხმობს კარგად მოვლილ, ხშირ, მოქმედ გზებს... როცა სამეფო კარი დიდვაჭარ ზორაბაბელს ძალიან სერიოზული დავალებით გაგზავნის ჩრდილოეთისკენ და ისიც, „მსწრაფულ მისრული ცვალებითა ჰუნეთათა“ ნავარაუდევ ვადაზე უფრო ადრე („უწინარე ჰაემნითა“) მობრუნდება, ეს თავისთავად გულისხმობს ჩინებულად მოვლილ გზასაც, გზაზე ხშირ სადგურებსაც, სადაც მგზავრს საშუალება აქვს, ცხენები გამოცვალოს და იმასაც, რომ დიდვაჭარი კარგად იცნობს ამ გზას, ბევრი უვლია და ყველა სადგური, ხიდი თუ გადასასველელი, ყველა აღმართი თუ დაღმართი მისთვის ნაცნობი და „შინაურია“.

როცა ამას გაითვალისწინებ, უნებურად მოგაგონდება ზოგიერთი ქრონიკა ამავე პერიოდის ევროპული ცხოვრებიდან. რომაელების მიერ გაყვანილი დიდებული გზატკეცილები, რითაც ევროპა იყო დასერილი, ამ დროისათვის უკვე დანგრეული და განადგურებულია. გზებს განუწყვეტელი მოვლა სჭირდება, აქ კი მომველელი, ეტყობა, არ გამოჩნდა და დაინგრა. ქვაფენილი აუყრიათ და სახლების ასაშენებლად გაუზიდავთ. ატალახებულ, ოღრო-ჩოღრო გზაზე ორი ურემი ვერ აუქცევს გვერდს ერთმანეთს. გზა კი არ არის, ფაქტიურად, ბილიკია. დამახასიათებელია, რომ საგანგებო კანონიც არსებულა: ცარიელ ურემს გზა უნდა დაეთმო დატვირთულისთვის. რაკი ასეთი კანონის გამოცემა გახდა აუცილებელი, უკვე ძნელი წარმოსადგენი აღარ უნდა იყოს, როგორი გზები იქნებოდა. ხიდები უმთავრესად ხისა იყო და მალე ლპებოდა (ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, როგორ ხიდებს აგებდნენ სწორედ ამ დროს საქართველოში).

შემორჩენილია ერთი ბერის ჩანაწერი, რომელსაც რეიმსიდან შარტრამდე — საფრანგეთის გულში, სადაც შედარებით უკეთესი გზები იყო — უმოგზაურია. მაგრამ ვაი ამ მგზავრობას! წვიმდა, მდინარე ადიდებულიყო და მოგზაურებმა წყალში შესვლა ვერ გაბედეს. იძულებული გახდნენ, ხიდი გაევლოთ. და ისეთ დღეში იყო ეს ხიდი, რომ მგზავრები ცხენებს ფეხქვეშ ფიცრებს უნაცვლებდნენ, მაგრამ ზოგან არც ეს იყო საკმარისი და რაინდის ფარს დაუფენდნენ ხოლმე..

ზემოთ შევნიშნეთ, რა სწრაფად ხდებოდა ხოლმე საქართველოში ჯარის წვევა, ბრძანებების დაგზავნა შორეულ კუთხეებში... ქრონიკას შემოუნახავს ცნობა, რომ სწორედ იმავე პერიოდში, მეთორმეტე საუკუნის მიწურულს, მესამე ჯვაროსნული ომის მონაწილე ფრიდრიხ ბარბაროსას გაგზავნილმა წერილმა შვილთან 6 თვის მერე ჩააღწია; იმპერატორის დაღუპვის ამბავი კი საკუთარ სამეფოში ხუთი თვის შემდეგ გაიგეს.

●

საქართველო უხვმდინარიანი ქვეყანაა, ხეობებით დასერილი, და როცა გზებზე ელაპარაკობთ, თავისთავად წამოიჭრება ხიდების მშენებლობის საკითხი.

მთის ჩქარ და წყალუხვ მდინარეებზე ხიდების აგება, რაღა თქმა უნდა, დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული და მაღალ საშენებლო კულტურას გულისხმობდა. ზემოთ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვები გავიხსენეთ: დავითმა აღაშენა „რაოდენნი ხიდნი მდინარეთა სასტიკთა ზედა, რაოდენნი გზანი საწყინოდ სავალნი, ქვაფენილყვნა“... ამ ძუნწ ცნობაში ძალიან მარჯვედ არის მინიშნებული, რა სიძნელეებთან იყო დაკავშირებული „საწყინოდ სავალი გზების“ ქვაფენილით მოკირწყვლა და განსაკუთრებით კი „სასტიკ მდინარეებზე“ ხიდების გადება.

როგორც უკვე ვნახეთ, მკვლევარებმა მოახერხეს, ნაწილობრივ მაინც შეექმნათ ჩვენთვის წარმოდგენა, რა ტექნოლოგიით და როგორ გაჰყავდათ გზები ჩვენს წინაპრებს. როგორი იყო ის გზები. ძველ ხიდებზე როცა ელაპარაკობთ, საქმე უფრო გაადვილებულია. საბედნიეროდ, ბევრი იმდროინდელი ხიდი შემორჩენილა, უდაბურ და მიუვალ ხეობებში ახლაც ნახავთ მდინარეებზე ცისარტყელასავით რკალად გადადგმულ, იშვიათი სილამაზის ხიდებს, რომელთაც ძველი დანიშნულება დაუკარგავთ, მაგრამ თავისი პირვანდელი სიამაყე და მომხიბლაობა კვლავ შერჩენიათ და დგანან, როგორც უტყვი მოწმენი და მონაწილენი წარსულის მღელვარე დღეებისა; როგორც უტყუარი დასტური იმისა, თუ რა დიდი საშენებლო ხელოვნება ჰქონია ჩვენს ხალხს, რა მაღალი ყოფილა მათი კულტურა საერთოდ.

პირველ წიგნში ჩვენ ერთხელ უკვე დავიმოწმეთ ბ. ნადეჟდინის სიტყვები, რომლებიც ჩვენი წინაპრების მაღალ სამშენებლო კულ-

ტურაზე მეტყველებენ. „ეს ხიდები არქიტექტურის შესანიშნავ ძეგლებს წარმოადგენენ, — წერს ბ. ნადეჟდინი, — და ადასტურებენ მათი მშენებლების გამომგონებლობასა და საზრიანობას... ქართველებმა ჯერ კიდეე უძველეს ხანაში მიაგნეს პრაქტიკულად თაღის ყველაზე რაციონალურ ფორმას... ეს ხიდები დღესაც მტკიცედ დგანან და განცვიფრებას იწვევენ დამრეცი თაღიანი გაბედული მოხაზულობით. კამარის ეს ფორმა მათ აღმოაჩინეს რამდენიმე საუკუნით ადრე, ვიდრე ცნობილი გახდებოდა სტატიკის კანონები, და გაანგარიშების გზით მიაგნეს იმავე ფორმას, რომელსაც თანამედროვე ხიდმშენებლობაში იყენებენ“.

განსაკუთრებით ბევრს ვხედებით ასეთ ხიდებს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, აჭარაში...

როგორც ცნობილია, თავის დროზე ნიკო მარმა შემოიარა ეს მხარე და მოგზაურობის დღიური დაგვიტოვა. ბევრ საინტერესო ცნობას შეიცავს ეს ჩანაწერები, მრავალ ისტორიულ ფაქტსა და მოვლენას ფენს შუქს... ბევრი უძველესი ძეგლი მას შემდეგ სამუდამოდ დაიღუპა და დაიკარგა და ეს ჩანაწერები რომ არ გვქონდეს, მრავალი მნიშვნელოვანი ფაქტი ჩვენი წინაპრების ცხოვრებისა ბურუსით იქნებოდა მოცული.

ახლა იმიტომ გავიხსენეთ ეს ჩანაწერები, რომ მეცნიერი ძალიან ხშირად ახსენებს სწორედ იმ ძველ ხიდებს, რაზედაც ახლა ელაპარაკობთ. ზოგან სავსებით მთელი და დაუნგრეველი დახვედრია მას ეს ხიდები, ზოგან — ნაწილობრივ დარღვეული, ზოგან — მცირე ნაშთიღა ძველი დიდებული ნაგებობისა, რომელსაც მომდევნო წლებში სრული გაქრობა ელოდა... და გაქრა კიდეც — მეცნიერის დღიურებში მოხსენებული ზოგი ხიდი დღეს აღარ არსებობს.

მკითხველისთვის ალბათ საინტერესო იქნება ზოგიერთი ადგილი ამ დღიურიდან. მოვიტან ცალკეულ ფრაზებს, რომლებიც ამოღებული მაქვს ნ. კეზერელი-კოპაძის წიგნიდან.

„...ეს ხიდი წყალს წაულეკავს ოცდაოდე წლის წინათ. როგორც ამბობენ, ქვებზე წარწერები ყოფილა“...

ეს სურეანის ხიდია, მდინარე ყვირილასა და იმერხევის შესართავთან.

„...მდინარის გაყოლებით რამდენიმე ხნის სიარულის შემდეგ დავინახე ქვის ხიდის ნაშთები“...

აქ სინკოთის ხიდი იგულისხმება.

„...კარჩხალზე ქვემოთ არის კიდევ ჩვეულებრივი ტიპის ორი ძველი ხიდი...“

„...გზა მიდიოდა ზემოთ, ბობოქარი კარჩხალის მარჯვენა ნაპირზე. მივაღწიეთ ძველ, ვიწრო, ერთკამარიან ქვის ხიდს“...

აქ ნაგულისხმევია ხიდი სოფელ წყალთეთრასთან.

„...ქვემოთ, მდინარე იმერხევზე ძველად სამი ხიდი იყო... შემორჩენილია კვალი. მესამე, ჩამონგრეული, უფრო ოპიზის მახლობლადაა. განსაკუთრებით კარგად ჩანს ორი ხიდი... როგორც ჩანს, ეს ხიდები, განსაკუთრებით ორთაღიანი, მარტო ქვეითებისთვის როდი იყო განკუთვნილი. აქ იყო სავალი გზა: ფორთიდან (შატბერდიდან) აჩკარაში, შემდეგ ოპისჭალაში, იქიდან კოპორიის ძველი ხიდის გავლით გვერდში და ჯმერკში“.

ამრიგად, ძველი ხიდები განსაკუთრებით ბლომად სამხრეთ საქართველოში — აჭარასა, შავშეთსა და ტაო-კლარჯეთში შემორჩენილა. ჩვენ ახლაც გვაქვს საშუალება, აჭარაში ვიხილოთ ეს ძველი ხიდები.

საგულისხმოა პ. უვაროვას სიტყვები, დაწერილი ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მიწურულში:

„ეკლესიებისა და ციხე-დარბაზების გარდა არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ უამრავ ძველ ხიდს, რომლებიც დღემდე შემორჩნენ აჭარისა და შავშეთის ყველა მდინარეზე და რომლებიც იმდენად მკვიდრნი და გამძლეა, რომ არათუ დღემდე ხმარობენ პატარა მდინარეებზე, როგორიცაა აჭარის ჭყალი, არამედ შემორჩნენ უფრო დიდმნიშვნელოვან პუნქტებში... ეს ხიდები — როგორც დიდები, ისე პატარები, შედგებიან თითო მძლავრი თაღისაგან, რომელიც გადადის მდინარეზე, ხევსა თუ უფსკრულზე; ხიდები ნაგებია კარგა გათლილი თეთრი კირქვით, ლაზათიანი ფორმისაა, ბურჯები და წყობა იმდენად მკვრივია, რომ საუკუნეებს გაუძლეს და, მიუხედავად ამისა, დღემდე ამ მხარის საუკეთესო და ყველაზე საიმედო ნაგებობებს წარმოადგენენ“.

როგორც წინა წიგნებიდან ვიცით, ეს მხარე 1873 წელს შემოიარა დიმიტრი ბაქრაძემ და, საგულისხმოა, რომ მასაც განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია ხიდებისთვის. „ასეთი ხიდები (ამ შემთხვევაში იგულისხმება სხალთის ხიდი) ყველგან გვხვდება აჭარაში, სახელდობრ: საღორეთთან, ქედაში, ცხმორისში, დანდალოში, ჭვანსა და ფურთიოში... აჭარის ხიდებს შორის საუკეთესოა დანდალოსი და, განსაკუთრებით, სხალთისა, რომლის სიგრძე 40, სიგანე კი 4

არშინია. მათი კონსტრუქცია ფრიად ორიგინალურია. ეს სხვა არა არის რა, თუ არა ლამაზი სწორი თაღები, რომლებიც თამამად გაუდვიათ ერთი ნაპირიდან მეორემდე, მოაჯირები და ბურჯები არა აქვთ. მხოლოდ ერთ მათგანს, სახელდობრ, ქედის ხიდს, აქვს შუაში ბურჯი. ისინი დადულაბებულია კირით და ქვემოდან და გვერდებიდან მოპირკეთებულია ოდნავ გათლილი დიდი ყორის ქვებით. ეს ხიდები მშვენივრად შემორჩნენ და საუკუნეთა მანძილზე დგანან, როგორც ჩანს, ყოველგვარი შეკეთების გარეშე... ჩემს კითხვაზე, ვინ ააშენა ეს ხიდები, ყველგან ერთსა და იგივეს მიპასუხებენ — თამარ მეფემაო" (დიმიტრი ბაქრაძის ზემოთ მოტანილი ანგარიში რუსულად არის დაწერილი, აქ მომაქვს ნ. კვეზერელი-კოპაძის წიგნიდან).

დამახასიათებელია, რომ ამ ხიდებს თურქები „გიურჯი-კეპრის" ანუ ქართულ ხიდებს ეძახდნენ. ასევე უწოდებენ სპეციალისტებიც: „ქართული კონტრუქციის ხიდები". „მათ აქვთ, — წერს კვეზერელი-კოპაძე, — ქართული ხიდებისათვის დამახასიათებელი ტიპიური ქართული აგებულება და სახე, რასაც უმთავრესად განაპირობებდა მაღალხარისხოვანი კირის დულაბის გამოყენება".

გავიხსენოთ ქართველი მწერლის თედო სახოკიას სიტყვებიც: „ზედ აჭარის წყლის პირას, სწორედ იმ ადგილას, სადაც ამ რისხვიან მდინარეს რისხვიანივე ტოტი — სხალთისწყალი — უერთდება... მდინარის ორივე ნაპირს ქვისკამარიანი ხიდი აერთებს. თავი და ბოლო ამ ხიდისა დაყრდნობილია კლდიან ნიადაგზე. ასე რომ, ეს ბუნებრივი საფუძველი ადლ-ადლნახევარის სიმაღლეზეა წყალს აშორებული. ამით უნდა აიხსნას, რომ აქამდე სრულიად უზიანო დგას ეს ძველთა დროების ნაშთი. შუა წელი ამ ხიდისა ორი მტკავლის სისქე თაღია, მაგრამ ქვა და კირი ისე შედუღებულია ერთმანეთთან, რომ ერთ განუყოფელ ერთეულს წარმოადგენს. ადამიანს ძალზე ანცვიფრებს ის სითამამე, რა სითამამითაც ძველი დროის ოსტატს ეს ქვის რვალი ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირზე გადაუტყორცნია! მისი მშენებელი საფლავიდან რომ წამოდგეს, ბევრს ახლანდელ ინჟინერს აწურვინებს ოფლს... აჭარლები, როგორც ყოველ ძველის ნაშთს ამ მხარისას, ამ ხიდებსაც თამარის დროში აშენებულად თელიან".

ერთი სიტყვით, ძალიან ბევრი ძველი ხიდი შემორჩენილა ამ მხარეში. ყველას, რაღა თქმა უნდა, ვერ ჩამოვთვლით. მაგრამ არ შეიძლება არ ვახსენოთ ერთი ხიდი, ეტყობა ყველაზე ლამაზი და კოხტა იმათ შორის, რაც მოგზაურებმა იხილეს მე-19 საუკუნის მიწურულს. სწორედ ასე ახასიათებენ მას — იშვიათი სილამაზის

ხიდიო. აღწერა კი მოასწრეს. და ხიდი, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში ამაყად იდგა და ჭოროხის ბუტბუტს ისმენდა — ხან სეედიანსა და მწუხარეს, ხან მრისხანებით გაშმაგებულს — ერთბაშად გაქრა.

ეს იყო ართვინის ძველი ხიდი მდინარე ჭოროხზე... როცა მე-19 საუკუნის მიწურულს ამ ადგილებში ახალი, ფართო გზის გაყვანა გადაწყდა, ძველი ხიდი პატარა აღმოჩნდა და ახლის აგება განიზრახეს. მაგრამ იმის ნაცვლად, რომ იქვე, გვერდზე აეგოთ ახალი ხიდი და ძველი კი, როგორც ხუროთმოძღვრების დიდებული ძეგლი, ხელუხლებლად დაეტოვებინათ, 1893 წელს ააფეთქეს და გაანადგურეს. ახლა მხოლოდ მოგზაურთა იმ აღწერილობებითღა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორი იქნებოდა ართვინის ხიდი.

„ართვინის ხიდი ქვისაა, ძველებური ქართული ნაგებობისა და რომ მოხვდეთ იმ ხიდზე, უნდა გაიაროთ ბუნებრივი ჭიშკარი, რომელსაც ქმნის ორი უზარმაზარი, ერთმანეთზე დახრილად მიბჯენილი კლდე. თუმცა ხიდი უკვე მრავალი საუკუნისაა, საკმაოდ კარგ მდგომარეობაშია... გადებულია ჭოროხზე ერთი გაბედული თაღით და ეყრდნობა კლდეს, რომელიც ბუნებრივი ბურჯის როლს ასრულებს“.

ეს სიტყვები ეკუთვნის ნ. ლევაშოვს. და ცოცხლად წარმოგვადგენინებს მთის ბობოქარ მდინარეზე მომაღლოდ, ცისარტყელასავით გადადგმულ ლამაზ ხიდს, რომელსაც იქვე „ორი დახრილად მიბჯენილი კლდის“ ბუნებრივ ჭიშკარში შეჰყავს მგზავრი.

მეორე რუსი მკვლევარი უფრო ავსებს ჩვენს წარმოდგენას ამ ხიდზე: „შესანიშნავია არქიტექტურა ამ მსუბუქი, თხელი თაღისა, რომელსაც არა აქვს გადატყორცნილი ხიდის მალები და შუა ბურჯები“.

ამ ხიდის სხვა აღწერილობანიც არსებობს, მაგრამ აქ აღარ მოვიყვან, მკითხველს გავაცნობ მხოლოდ ერთ ცნობას, რომელიც გაზეთ „იევრეის“ 1894 წელს 8 ნოემბრის ნომერში დაუბეჭდავთ.

ართვინის „ხიდისა და ამის ახლო მდებარე ძველი ციხის გამკეთებლად ართვინელები თამარ დედოფალს თვლიან. ჩვენდა და საარქეოლოგიო საზოგადოების წევრების სამწუხაროდ, ამ შესანიშნავი ხიდის მხოლოდ ქვეითი საფუძველი დარჩა, დანარჩენი კი შემუსრა ერთმა ინჟინერთაგანმა, რომელსაც უკანასკნელი ომიანობის შემდეგ ართვინის გზის გაკეთება ჰქონდა მინდობილი და არა შემუსრვა ამგვარი ძვირფასი საუნჯისა“...

და კვლავ გულისტკივილით უნდა შევნიშნოთ: მემატიანეები ცხოვრების ამ მეორე, უფრო საინტერესო და მნიშვნელოვან მხარეზე დუმან. ამ უცნაური და დასანანი დუმილის გამო მოკლებულნი ვართ საშუალებას, მადლობით მოვიხსენიოთ ჭეშმარიტი შემქმნელი იმ დიდებული ძეგლებისა.

დაუჯერებელია, მაშინვე არა სცოდნოდათ ამ მშენებლობათა დიდი მნიშვნელობა და მით უფრო გასაკვირია ეს უცნაური დუმილი. აშკარად ეტყობა, მემატიანეები ცდილობენ, არ გამოტოვონ პატარა ბრძოლაც კი, ხოლო, ვთქვათ იმ დიდსა და საოცარ ხიდს, რომელმაც რვაას წელიწადს გაძლო და სილამაზით, სიმტკიცით, გამძლეობით შენების გენიალური სიმარტივითა და სისადავით დღესაც, ტექნიკის განვითარების დღევანდელ დონეზეც ხიბლავს ადამიანს... ამ საოცარ ხიდს, მათივე თვალწინ და იქნებ მათივე მონაწილეობით აშენებულს, სულაც არ ახსენებენ... ჩვენ ზემოთ ქვეყნის მარტო ერთი მხარე დავასახელეთ, ასეთი ხიდები კი ყველგან არის გაფანტული, ყველა კუთხესა და ხეობაში!..

კლდეში გამოკვეთილ ზღაპრულ ქალაქ ვარძიას, რომელიც აგრეთვე მათ თვალწინ შენდებოდა, სხვათა შორის, ახსენებს ერთ-ერთი მემატიანე, მაგრამ ვის მოაფიქრდა კლდეში გრანდიოზული ქალაქის გამოკვეთა, ვინ დაგეგმა, ვინ ააშენა, იმ სალ კლდეში ქუჩები ვინ გაჭრა, წყალსადენის რთული სისტემა ვინ გაიყვანა, ამაზე კრინტსაც არა ძრავს...

წინა წიგნში ჩვენ გავეცანით ოშკის მონასტრის კედელზე შემორჩენილ სამშენებლო წარწერას, რომელმაც მარტო ტექნიკური ცნობები კი არ შემოგვინახა, არამედ გრანდიოზული მშენებლობის სურათიც გაგვიცოცხლა... სამწუხაროდ, ასეთი წარწერები იშვიათი გამონაკლისია...

ჩვენივე წინაპრების აჩრდილებმა მოგვიტევონ ასეთი მკრეხელობა, მაგრამ ნუთუ მათ დაუდევრობას უნდა მიეწეროს ეს?! თუ მომდევნო ხანებში თავს დამტყდარმა კატასტროფებმა მოსპეს და გაანადგურეს ასეთი ცნობები?!

ცნობების უქონლობა კი ზოგიერთ სხვა ხასიათის უხერხულობასაც ქმნის.

ამის მაგალითად ბესლეთის ხიდიც კმარა.

ეს ხიდი სოხუმიდან ექვსიოდე კილომეტრის დაშორებით მდინარე ბესლეთზეა აგებული და განეკუთვნება სწორედ იმ პერიოდს, რომელსაც ჩვენ ახლა განვიხილავთ. ხიდი საკმაოდ დიდია. საკალი

ნაწილის სიგანე ოთხნახევარ მეტრზე ცოტათი მეტია, ასე რომ ძველ დროში ურმები კარგად აუქცევდნენ გვერდს ერთმანეთს. რაღა თქმა უნდა, მშენებლებს მრავალტონიანი მანქანებისთვის არ ექნებოდათ გათვალისწინებული ეს ხიდი, მაგრამ ისე მტკიცედ არის ნაგები, რომ თანამედროვე სპეციალისტების აზრით, რომელთაც საფუძვლიანად შეისწავლეს იგი, „თანამედროვე ხიდმშენებლობის კანონებსაც კი სრულიად აკმაყოფილებს და რვატონიანი მანქანების შეუწყვეტი რიგის სიმძიმის ატანაც კი შეუძლია“.

ლ. რჩეულიშვილისა და ნ. ჩუბინაშვილის გამოკვლევაში, საიდანაც ეს სიტყვებია ამოწერილი, დაინტერესებული მკითხველი სხვა მნიშვნელოვან ცნობებსაც იპოვის ხიდის არქიტექტურისა და მშენებლობის შესახებ.

ჩვენთვის ამჟამად უფრო საინტერესო ის არის, რა განსაკუთრებულ დანიშნულებას ემსახურებოდა ეს ხიდი, რისთვის იყო გათვალისწინებული, როცა აგებდნენ.

ასეთი მძლავრი და ტექნიკურად მაღალხარისხოვანი ხიდის აგება დიდი სავაჭრო და პოლიტიკური მნიშვნელობის გზაზე უნდა მდგარიყო, — ეკითხულობთ იმავე გამოკვლევაში. — უდავოა, რომ ეს გზა ამ კუთხის მთის რაიონებს შავი ზღვის ნავსადგურებთან აკავშირებდა.

აი, რისთვის იგებოდა ის დიდებული ხიდები, რისთვის დაიწყო დავით აღმაშენებელმა გზების გრანდიოზული მშენებლობა, რაც მომდევნო პერიოდში, კერძოდ, თამარის ზეობის დროს, ისეთივე გულმოდგინებითა და წარმატებით გრძელდებოდა. ამ გზებსა და ხიდებს ქვეყნისთვის დიდი სავაჭრო-ეკონომიკური, პოლიტიკურ-სტრატეგიული და კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა...

ამავე დანიშნულებას ემსახურებოდა თეძმის ხეობაში დღემდე მოღწეული დიდებული რკონის ხიდი, რომელიც „დიდ შთაბეჭდილებას ახდენს თავისი კონსტრუქციით და სილამაზით“...

ამას ნ. სვეროვი წერს, ხოლო ბ. ნადეჟდინი ამ ხიდის სამშენებლო-არქიტექტურული ანალიზის დროს კელავ დაბეჯითებით იმეორებს იმ მოსაზრებას, რაც მას ძველი ქართული ხიდების შეწავლისას ჩამოუყალიბდა:

რკონის ხიდი (თეძმის ხეობაში) „...ბრტყელი ქვითაა ნაგები. საგულისხმოა, რომ რკალი თაღური არ არის: სიმრუდე კლებულობს ცენტრიდან ქუსლებისაკენ და თაღის მოხაზულობა რამდენადმე მოგვაგონებს პარაბოლას, დიდმალიანი თაღების ფორმას, რომელიც

მიღებულია თანამედროვე მშენებლობაში, როგორც ყველაზე ხელსაყრელი სტატისტიკური გაანგარიშების საფუძველზე.“

აქვე შევნიშნოთ, რომ რკონის ხიდი და მასზე გამავალი გზა უკავშირდებოდა თრიალეთის დიდ სავაჭრო-საქარავნო მაგისტრალს, რომლის ეკონომიკური და პოლიტიკურ-სტრატეგიული მნიშვნელობა ჩვენ უკვე ვიცით.

მაგრამ ისევ ბესლეთის ხიდს დავუბრუნდეთ. მასთან დაკავშირებული საკალალო კურიოზი ის გახლავთ, რომ საუკუნეების წინათ მკვიდრი მოსახლეობის მიერ აშენებული ხიდი ერთ დროს სხვისად მიიჩნიეს; რაკი ძალიან კარგი იყო, შორიდან მოსულ ოსტატებს მიაწერდნენ; ასევე ეძახდნენ: ზოგი ვენეციის, „ვენეტიკის“ ხიდს, ზოგიც „გენუისას“ (სხვათა შორის, ზოგი სკეპტიკურად განწყობილი მკვლევარი ასევე „ასხვისებდა“ იმ „კოხტა“ და „ლამაზ“ ართვინის ხიდსაც, რომელზედაც ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ“)...

მაგრამ თუ მართლა ვენეციელი ან გენუელი ოსტატის აშენებულად მიიჩნევდნენ ამ ხიდს, მაშინ მისი ასაკი ბევრით აქეთ გადმოიწევდა, რადგან ვენეციასა და გენუას კოლონიები შავ ზღვაში უფრო მოგვიანებით ჰქონდათ. ხიდი კი აშკარად ძველი ჩანდა. შეუსაბამობა გამოდიოდა. ეტყობა, ამ უხერხულობას მაშინვე მიხვდა პ. უვაროვა, როცა ხიდი ნახა, და იოლი გამოსავალი იპოვა — ხიდს ბერძნული უწოდა — ბერძენ ოსტატებს მიაკუთვნა:

„Он по изяществу кладки может принодлежать греческим мастерам“.

ამით მან თითქოს ძველი შეცდომა გამოასწორა — ხიდს უსამართლოდ წართმეული სიძველე დაუბრუნა. უსამართლოდ „ჩამოჭრილი ასაკი“ შეუნარჩუნა. მაგრამ ვინაობა შეუცვალა... ასევე კოხტად და ლაზათიანად ნაშენები უფროსი ძმები რომ აქვე, საქართველოში ჰყავდა ამ ხიდს, ამას აღარ გაუწიეს ანგარიში. დრო იყო ისეთი, ყოველივე კარგი უსათუოდ უცხოურისთვის უნდა დაეკავშირებინათ.

უფრო მოგვიანებით დიდმა ქართველმა მეცნიერმა გიორგი ჩუბინაშვილმა საფუძვლიანად შეისწავლა ბესლეთის ხიდი და დაამტკიცა, რომ იგი მეთორმეტე საუკუნის ქართული სამშენებლო ხელოვნების ერთ-ერთი ნიმუშია... და, ბედად, იქვე, ხიდის თაღზე, ქართული წარწერა აღმოაჩინა, რისთვისაც მანამდე ყურადღება არავის მიექცია. ამის შემდეგ უკვე საეჭვო სკეპტიკურად განწყობილი ადამიანებისთვისაც აღარაფერი იყო.

„წარწერის ნაშთი მოწმობს, რომ ხიდი აგებულია საქართველოს

სამეფოს ძლიერების ხანაში, საფიქრებელია, ადგილობრივი ადმინისტრაციული მმართველის მიერ. ასოების სიდიდე და მათი იშვიათი ხელოვნებით შესრულება მოწმობს, რომ ამომჭრელი ამ წარწერის შორიდან წაკითხვას ვარუდობდა — ე. ი. ჩრდილოეთის მისასვლელიდან, საიდანაც გზა შემოდიოდა ამ ხიდზე"...

ეს სიტყვები ნიკოლოზ ბერძენიშვილს ეკუთვნის.

●

ზოგადი წარმოდგენა მაინც თუ შეგვიქმნა ამ მოკლე მონათხრობმა იმდროინდელი საქართველოს გზებსა და ხიდებზე, საკვირველი აღარ უნდა იყოს, როგორ ლაღად დაჰქრიან რუსთაველის გმირები, თითქოს ცოცხლად გვესმის მათი ცხენების თქარათქური მტკიცედ ნაგებ, მოკირწყლულ გზებზე...

თანაც, დააკვირდით, ამ გზებზე ხალხმრავლობაა — ქარავნები განუწყვეტლივ მიმოდიან, მოგზაურები დადიან...

ზემოთ რომ ძველი უცხოური ქრონიკები გავიხსენეთ და მაშინდელი ევროპის გზებს გავეცანით, ზოგიერთ იმ ქრონიკაში, სხვათა შორის, გზებზე ხალხის ნაკლებობასაც უჩივიან — კანტიკუნტად თუ შეგვხვდებიან მგზავრები, ზოგჯერ მთელი დღე მიდიხარ და კაციშვილს ვერ გადაეყრებიო. ეს ალბათ ევროპის ცალკეულ მხარეებს შეეხება, ყველას არა, რაღა თქმა უნდა, და აქ იმიტომ გავიხსენეთ, რომ იმდროინდელ საქართველოზე ამას ვერ იტყვი. აქ, პირიქით, გაცხოველებული მიმოსვლა ჩანს...

ჩვენში რომ ხალხმრავლობა იყო იმ დროს გზებზე, ამას კარგად გვიდასტურებს ისეთი დაკვირვებული და შეუმცდარი მოწმე და მონაწილეიმდროინდელიცხოვრებისა,როგორიც„ვეფხისტყაოსანია". პოემას რომ კითხულობ, ისეთი განწყობილება გექმნება, თითქოს ხედავდე კიდეც მგზავრებს, მათი ლაპარაკი გესმოდეს...

„ქედსა ზედა გადმოადგა მეტად დიდი ქარავანი, კაცები და სახედრები ერთობ იყო შაოსანი".

ან კიდევ:

„მგზავრთა ჰკითხვიდის ამბავთა, მათ თანა ემოყვრებოდა"...

თქვენ ხედებით, რომ ეს ავთანდილზეა ნათქვამი. აქ ისიც იგრძნობა, რა უცებ დამყარდება ხოლმე კეთილი ურთიერთობა მგზავრებს შორის...

და საგულისხმო ის არის, რომ, როცა სადღაც შორეულ ქვეყანაში გადახვეწილი ავთანდილი გზებზე მგზავრებს ვერა ხედება, ამას საგანგებოდ აღნიშნავს პოემის ავტორი, სწორედ ამის გამო იმ ქვეყანას აუგად მოიხსენიებს — უგემური და მქისი ქვეყანა ყოფილაო: „მიხედა რამე ქვეყანასა, უგემურსა, მეტად მქისსა, ერთ თვე კაცსა ვერა ნახავს, ვერას შეილსა ადამისსა“.

კიდევ ერთხელ რომ მოვიშველიოთ ჩვენი საუკუნეთამხილველი მანქანა და იმ დიდებულად მოკირწყლულ გზებზე მიმოვატაროთ, ბევრ ქარავანს დავინახავთ, ზოგს დიდს და ხალხმრავალს, ზოგს პატარას... თანაც ყველგან, ყველა მიმართულებით — ზოგი მიდის ჩვენი ქვეყნიდან, ზოგი დედაქალაქისკენ მოემართება...

ეს ხალხი, ქარავანს რომ ახლავს, ყველანი ვაჭრები როდი არიან, ბევრი ამგზავრებულია — პილიგრიმები, ხელოსნები, მოხეტიალე რაინდები, ბედის მაძიებლები, სამშობლო კუთხიდან დევნილები, რომლებიც იძულებულნი გამხდარან, საბოლოოდ გაწყვიტონ კავშირი თავის კერასთან, თავისიანებთან და ბედის საძებნელად, მეტად ბუნდოვანი მომავლის იმედით, უცხოეთში გადახვეწილან... ასეთ ხალხს ადვილად გამოიცნობ. დამფრთხალი არიან, თვალი სულ უკან უჭირავთ, მდევრები არ გამოჩნდნენო; არც იმ ხალხის გამოცნობა გაუძნელდებათ, ვისაც, — იქნებ იმის გამო, რომ მძიმე ცოდვა თუ დანაშაული აწევს, — საკუთარ კუთხეში აღარ დაედგომება და უცხო ქვეყანაში გადახვეწილა... ესენი სხვებთან დაახლოებას თავს არიდებენ, ცდილობენ ცალკე იყვნენ, შეკითხვაზე მოკლედ უპასუხონ წინასწარვე კარგად მოფიქრებული პასუხი, თავად არავის გამოელაპარაკონ...

ვაჭრებს ადვილად იცნობთ, თუნდაც იმით, რომ განსხვავებული ტანსაცმელი აცვიათ. ადვილად იცნობთ ქარავანთუხუცესსაც. მას ხომ მთელი ქარავნის ბედი აბარია — მან უნდა გადაწყვიტოს, როდის და რამდენი ხნით შეისვენებენ, როდის გაუდგებიან გზას; საბაჟოს გუშაგებთანაც ის აწარმოებს მოლაპარაკებას.

ქარავანთუხუცესი, უნდა ვიფიქროთ, დიდვაჭარი იქნება. სხვას არ მიანდობდნენ ასეთ საპატიო მოვალეობას. თბილისისთანა ქალაქებში ასეთი დიდვაჭრები ბევრნი არიან და განსაკუთრებული პატივისცემითაც სარგებლობენ. ზემოთ ჩვენ ვნახეთ, რა დიდი

სახელმწიფოებრივი დაეალება მისცეს ერთ-ერთ თბილისელ დიდვაჭარს. ერთი ძველი წყაროს მიხედვით იმასაც ეგებულობთ, რომ საპატიო ვაჭრის ანუ დიდვაჭრის სისხლი თორმეტი ათას თეთრად ყოფილა შეფასებული (მკითხველი ალბათ მიხვდება, რომ „თეთრი" ამ შემთხვევაში ფულის ერთეულს ნიშნავს), უბრალო ვაჭრის სისხლი კი ექვსი ათასად, ანუ სწორედ იმდენად, რამდენადაც ჩვეულებრივი აზნაურის სისხლს აფასებდნენ. ადვილი წარმოსადგენია, მართლაც რა დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ დიდვაჭრები საზოგადოებაში, როცა ამათი სისხლი აზნაურისაზე ორჯერ მეტად იყო შეფასებული. მკითხველისთვის ალბათ საინტერესო იქნება, რომ იმავე წყაროს ცნობით, გლეხის სისხლი ოთხასი თეთრი ღირდა...

დიდ ქალაქებში დიდვაჭრები ბევრნი იყვნენო, ვთქვით; ისიც ვნახეთ, რა პატივისცემით სარგებლობდნენ. მაგრამ ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს ყველა თავის ნებაზე ყოფილიყოს მიშვებული და ვისაც რა მოესურვებოდა, ის ეკეთებინოს. არა, დიდვაჭრებს ვაჭართუხუცესი უწევდა გარკვეულ ზედამხედველობას.

ძნელი სათქმელია, ზუსტად რა ურთიერთობა არსებობდა მათ შორის, მაგრამ ფაქტია, რომ მთელ იმ ვაჭრულ ორგანიზაციას, ვაჭრულ ამქარს ვაჭართუხუცესი ხელმძღვანელობდა და წარმართავდა. იგი იყო შუამავალი სამეფო კარსა და ვაჭრებს შორის. მას უფრო ადვილად მიესვლებოდა მეფესთან („მეფის არიფიო", ასე გვიხასიათებს ვაჭართუხუცესს რუსთაველი).

თავისთავად იგულისხმება, არც ვაჭართუხუცესი და არც დიდვაჭრები ხელცარიელნი არ მივიდოდნენ მეფესთან, ძღვენს მიართმევდნენ ხოლმე, უცხო ქვეყნებიდან მიღებული საუკეთესო და ძვირადღირებული საქონელი მიჰქონდათ. და საინტერესო ის არის, რომ თუ მეფეს დიდვაჭრები მოიკითხავდნენ და იმ დიდვაჭრებს ვაჭართუხუცესი მიუძღოდა წინ, დედოფალს დიდვაჭრების ცოლები მიეახლებოდნენ, ცხადია, ისევე ხელდამშვენებულნი, და მათ ვაჭართუხუცესის ცოლი უძღოდა.

ვაჭართუხუცესი და დიდვაჭრებიც, ალბათ გარკვეული შემთხვევის გამო ეახლებოდნენ მეფეს. ამასთან, რაკი რუსთაველი ვაჭართუხუცესს მეფის არიფად მოიხსენიებს, იგი, ბუნებრივია, უფრო ხშირად ეწვეოდა სამეფო კარს; ვთქვათ მაშინ, როცა უცხო ქვეყნებში დიდი ხნის ყოფნის შემდეგ დაბრუნდებოდა; ეახლებოდა, თაყვანსა სცემდა, ერთგულებას შეჰფიცავდა, მოიკითხავდა, უცხო ქვეყნების ნაირნაირ ამბებს უამბობდა — ზოგს საკუთარი თვალით ნანახს, ზოგს

სხვისგან გაგონილს — უცხო ხალხების ზნე-ჩვეულებებს გააცნობდა, გააცინებდა, გაართობდა, დააფიქრებდა.....

ასეთი გაუთვალისწინებელი ვიზიტის დრო და სიხშირე წინასწარ განსაზღვრული, რა თქმა უნდა, არ იქნებოდა, მაგრამ იყო საგანგებო დღესასწაულებიც, როცა დიდვაჭრები, ეაჭართუხუცესის მეთაურობით, უთუოდ უნდა სწვეოდა სამეფო კარს. გავიხსენოთ „ვეფხისტყაოსნიდან:

„ამა ქალაქის წესია, დღესა მას ნავროზობასა
ჩვენ დიდ ვაჭართა ზედა გვაქვს დარბაზს მიღება ძღვენისა,
მათს საბოძვრისა ბოძება ამართებს მსგავსისა ჩვენისა“...

რაკი გზებზე მიმომავალ ქარავნებს შევაელეთ თვალი, ბუნებრიეია, სურვილიც აღგვეძვრის, გავიგოთ (და ამას ზედმეტ ცნობისმოყვარეობად ალბათ არავინ ჩაგვითვლის, არც არავინ დაგვძრახავს), რა მიაქვთ იმ საპალნეებით, აქლემებისა და ჯორებისთვის რომ აუკიდნიათ.

ამის გასაგებად საეალდებულო არ არის საპალნეები სათითაოდ გაეჩხრიკოთ. მით უმეტეს, ეს გარკეეულ რისკთან არის დაკავშირებული: ასე ადვილად არ მიგიშვებენ ქარავანთან, კარგად შეიარაღებული მეომრების რაზმი ახლაეს — გზებზე მეკობრეები დაძრწიან და ეაჭრებს მათი შიში აქვთ.

საპალნეებში ჩაუხედავადაც შეგვიძლია გავიგოთ, რა მიაქვთ. ამასთან, ჩვენი ეარაუდი დიდად არ დაშორდება სინამდვილეს: უცხოელი მოგზაურები და მემატიანეები, ზოგი სხვა წყარო დაწერილებით გადმოგვცემენ, რა საქონელი გაპქონდათ საქართველოდან სწორედ იმ პერიოდში, რომელსაც ახლა ვეცნობით, და რა საქონელი შემოპქონდათ. ხოლო აქედან გასაყიდად გატანილ საქონელს რომ ჩამოვთვლით, ძნელი წარმოსადგენი არც ის იქნება, მეურნეობის რა დარგები ყოფილა განვითარებული იმდროინდელ საქართველოში.

უპირველეს ყოელისა, აბრეშუმი უნდა დაეასახელოთ. საქართველოში იმ დროს მეაბრეშუმეობა მეურნეობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დარგი იყო და უცხოეთის ბაზარზე დიდი გასაეალი ჰქონდა აქაურ აბრეშუმს. თანაც მარტო ერთ კუთხეში კი არ ამზადებდნენ აბრეშუმს — მთელ საქართველოში, ლიხის მთის ორივე მხარეს. ცოტა უფრო მოგვიანებით, მეცამეტე საუკუნეში, იტალიელმა მარკო პოლომ იმოგზაურა აღმოსავლეთში და განსაკუთრებით მოიხსენია ქართული აბრეშუმი.

მიაქვთ სელი, სელითაც განთქმული იყო საქართველო, და დიდი გამოყენებაც ჰქონდა იმ ეპოქაში: გარდა იმისა, რომ სელისგან ხდიდნენ კარგი ხარისხის საჭმელ ზეთს, მას ფართოდ იყენებდნენ აგრეთვე ტექნიკური დანიშნულებითაც; ყველაფერს რომ თავი დაეანებოთ, კარგი სანათი მასალა იყო; ჩვენ ეს უკვე ვნახეთ: ზემოთ, პურობის დროს განათებული დარბაზი რომ ვიხილეთ, ეს სწორედ სელის ზეთი იყო; უმაღლესი ხარისხის საწვავ მასალად ითვლებოდა და ფასიც კარგი ჰქონდა, ამიტომ, ბუნებრივია, მხოლოდ მდიდრებს შეეძლოთ მისი ყიდვა. ზოგჯერ ქონსაც მიაშველებდნენ ხოლმე. საზოგადოების დაბალი ფენები კი ფიჩხითაც იოლას გადიოდნენ: დაანთებდნენ შუაცეცხლს, შემოუსხდებოდნენ და თუ რაიმე შემთხვევის გამო მეტი სინათლე დასჭირდებოდათ, ფიჩხს მიუმარჯვებდნენ.

რაკი ასეთი მოთხოვნილება იყო სელზე, სოფლის მეურნეობაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა და ბევრიც მოჰყავდათ საქართველოში.

მიაქვთ აგრეთვე ბლომად თაფლი და ცვილი. აქაურ თაფლსა და ცვილზე დიდი მოთხოვნილებაა. საერთოდ, მეფუტკრეობა მაღალ დონეზე იდგა და ქართული ფუტკარი მაშინაც განთქმული იყო.

მიაქვთ ბამბა. მიაქვთ მატყლი, მიაქვთ ტყავი.....

მეცხოველეობა მეურნეობის დიდად განვითარებული დარგი იყო და, თავისთავად იგულისხმება, ყველიც გაპქონდათ, განთქმული გუდის ყველი.

მიაქვთ საბრძოლო იარაღები — ხმალ-ხანჯალი, კაპარჭი, ხილიფი.....

მიაქვთ კაკალი, თხილი (მარტო ერთი ქალაქიდან ოთხი ათასი დატვირთული აქლემით გაპქონდათ თხილიო, უფრო მოგვიანო დროის უცხოელი მოგზაური გადმოგვცემს); მიაქვთ ბროწეული (გაეიხსენოთ შარდენის სიტყვები; მართალია, გაცილებით უფრო გვიან დაწერილი, მაგრამ ეს ამ შემთხვევაში არაფერს ცვლის: „აზიაში არსად მოიძებნება აქაურზე უკეთესი ბროწეული“...)

მიაქვთ მინის ჭურჭლეული, ბლომად კერამიკული ნაწარმი — სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის დოქები, სურები, ხელადები, დერგები, ჯამები, ფიალები...

როგორც ვხედავთ, მეთუნეობის ძველისძველი ტრადიცია კვლავ წარმატებით გრძელდება და ქართულ თიხის ჭურჭლეულს კვლავ მოწონება და დიდი გასაღები აქვს უცხოეთში.

არქეოლოგიური გათხრებით დასტურდება, რომ სწორედ ამ

დროს, მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეებში, კერამიკის საწარმოები ყოფილა საქართველოს სულ სხვადასხვა კუთხეებში – დმანისში, რუსთავში, გუდარეხში, უჯარმაში, ზუგდიდში, ცაგერში, ცხუმში... და, რაღა თქმა უნდა, თბილისში, სადაც იმ დროისათვის რამდენიმე მსხვილ კერამიკულ საწარმოს ვარაუდობენ.

ამასთან, საყურადღებოა ერთი მომენტი, რაც ალბათ ვაჭრობის და, საერთოდ, კულტურის მაღალ დონეზე მიგვანიშნებს. ხომ ასეთი განვითარებული იყო მეთუნეობა საქართველოში, სადაღარ გაჰქონდათ აქედან თიხის ჭურჭლეული, ასეთ ვითარებაში თითქოს საჭირო აღარ უნდა ყოფილიყო უცხო ქვეყნებიდან კერამიკული ნაწარმის შემოტანა; არქეოლოგიური გათხრების დროს მაინც აღმოჩნდა სწორედ იმდროინდელი შემოტანილი, იმპორტული კერამიკა. ასევე სხვა საქონელიც. გააქვთ, მაგალითად, დიდი რაოდენობით აბრეშუმი და ზოგიერთი ქვეყნიდან შემოაქვთ აბრეშუმი; გააქვთ მატყლი და შემოაქვთ მატყლი (მემატიანის ცნობით, თამარ მეფე სწორედ ეგვიპტური მატყლისგან ქსოვდა: „იწყო ამანცა [თამარმა] ალექსანდრიით ვაჭართა მოღებულისა მატყლისაგან სთვად და ქმნად შესამოსლისა“)... დღეს ეს ჩვეულებრივი მოვლენაა და არავის გაუკვირდება, იმ დროისთვის კი სავაჭრო კულტურის მაღალ დონედ უნდა მივიჩნიოთ; და ჩვენ აქ იმიტომაც მოვიხსენიეთ, რომ ესეც ერთ-ერთი გამოვლენა უნდა იყოს ჩვენი ხალხის ხასიათისა, რომელიც მუდამ ესწრაფოდა სხვა ხალხებთან და ქვეყნებთან კავშირის დამ-ყარებას, ურთიერთობის განვითარებას, კარი ჩაკეტილი არასოდეს ჰქონია, მისი თვალსაწიერი მუდამ ფართო და ვრცელი იყო... მუდამ აინტერესებდა, სხვა რას აკეთებდა და როგორ აკეთებდა; რასაც კარგს და მისაბაძს ნახავდა სხვაგან, გადმოიღებდა, თავისებურად აითვისებდა, თავისებურ ლაზათს მისცემდა... ეს არ ეთაკილებოდა. და მზად იყო, სხვისთვისაც გაეზიარებინა ის საუკეთესო, რაც თავად საუკუნეების განმავლობაში აეთვისებინა და გაეძვალრბილებინა, ტრადიციად მიეღო..... ასეთი კეთილი ურთიერთგაელენა მუდამ ჩვეულებრივი და დამახასიათებელი იყო ქართველი კაცისთვის.....

მაგრამ ისევ ჩვენს ამბავს დავუბრუნდეთ.

განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ ჭურჭლეულთან ერთად ვარაუდობენ სამშენებლო კერამიკის ექსპორტსაც. ქართული აგურითა და კრამიტით ხომ დიდი ხნის წინათვე იყენენ აღფრთო-ვანებული უცხოელები. ჯერ კიდევ როდის მოიხსენიებდნენ ქებით ქართულ სახლებს უცხოელი მწერლები და მოგზაურები. მას შემდეგ,

ბუნებრივია, უფრო განვითარდებოდა სამშენებლო მასალათა წარმოება. და, აი, ამ პერიოდშიაც, რომლის ამბებსაც ჩვენ ახლა ვყვებით, საქართველოდან უხვად გააქვთ ლამაზი, მტკიცე და პრაქტიკულად მარჯვედ გამოსაყენებელი ქართული აგური, კრამიტი, მოსაპირკეთებელი ფილები.....

ყველაფერს, რაც მაშინ საქართველოდან გასაყიდად გაპქონდათ, რა თქმა უნდა, ვერ ჩამოვთვლით, მაგრამ არ შეიძლება არ დავასახელოთ ჩვენი მეურნეობის უპირველესი დარგის, ქართველი ხალხის უძველესი და ყველაზე გავრცელებული, ყველაზე საყვარელი კულტურის — ვაზის ნაყოფი, რომლის ღირსებას ჩვენი წინაპრები მუდამ თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ და საამაყოდ ჰქონდათ. აქვე კიდევ ერთხელ გავიხსენოთ შარდენის სიტყვები: „არ არსებობს ქვეყანა, სადაც იმდენს და ისეთ კარგ ღვინოს სვამდნენ, როგორც აქ [საქართველოში]... ღვინო დიდი რაოდენობით გააქვთ სომხეთში, მიდიასა და ისპაპანში. ერთი ცხენის საპალნე ღვინო მხოლოდ რვა ფრანკი ღირს. მე ელაპარაკობ საუკეთესო ღვინოზე, რადგან ჩვეულებრივ, საშუალო ღვინოს ამის ნახევარი ფასი აქვს. ყველა დანარჩენი სურსათი ამის შეაბამისად ფასობს“ (კიდევ ერთხელ შევნიშნოთ: ეს უფრო მოგვიანო პერიოდს ეხება, მაგრამ სხვა წყაროების მიხედვითაც დასტურდება, რომ ღვინო იმ დროსაც გაპქონდათ).....

ჩვენ გზებზე მიმომავალ ქარავნებს ვადევნებთ თვალს და თუ ზოგიერთ ქარავანთან შერჩეული, ჯიშიანი ცხენების მოზრდილი რემა დაინახოთ, ნუ გაგიკვირდებათ: სამარქაფოდ მართლაც არ არის საჭირო ამდენი ცხენი — ეს გასასყიდი ცხენებია. საქართველოდან ცხენებიც მიჰყავთ გასასყიდად, ცხენიც განთქმულია აქაური და დიდი მუშტარი ჰყავს.

ბუნებრივად დაისმის კითხვა: მაინც ვისთან პქონდა სავაჭრო ურთიერთობა საქართველოს?

ვისთან აღარა: ირანთან, ბიზანტიასთან, სომხეთთან, სირიასთან, ეგვიპტესთან, ერაყთან, რუსეთთან, ყივჩაყეთთან, ინდოეთთან... ამ ქვეყნებიდან შემოჰქონდათ ნაირ-ნაირი ძვირფასი ქსოვილები, სანელებლები, შაქარი, ძვირფასი თვლები, ცხენის აღკაზმულობა. იარაღ-საჭურველი, ბეწვეული, ნელსაცხებელი, საეკლესიო-სამღვდელთსამსახურო ნივთები (ეს, რაღა თქმა უნდა, ბიზანტიიდან), სხვადასხვა საოჯახო ნივთები.....

ქარავნებს რომ შეიარაღებული რაზმები ახლავთ, ესეც ნუ

გაგიკვირდებათ — ვაჭრებს მუდამ მეკობრეების თავდასხმის შიში აქვთ, მეკობრეები წინასწარ საგულდაგულოდ დაზვერავენ და, თუ დარწმუნდნენ, რომ ქარავნის დაცვა მაინცდამაინც ძლიერი არ არის, და საქონელიც თუ ღირს იმად, რომ რისკი გასწიონ (ამასაც წინასწარ დაზვერავენ ხოლმე), მარჯვე ადგილს შეარჩევენ და თავს დაესხმიან. ზოგჯერ ვაჭრებისთვის საკალალო გახდება ასეთი თავდასხმა. გაიხსენეთ, რა დღეში ნახა მეკობრეთაგან დარბეული ვაჭრები ავთანდილმა.....

დიახ, ხარჯი ბევრი აქვთ ვაჭრებს და ამიტომ დიდად გასაკვირი აღარ არის, თუ საქონელი ძვირია, ძვირი უჯდებათ. ნამდვილ მეკობრეებს რომ თავი დავანებოთ, გზაში რამდენი სამეფო საბაჟოა და რამდენს ახდევინებენ!

თუმცა მეფისა და სამეფო კარის სამდურავი ვაჭრებს დიდად არ ეთქმით. მეფე ყოველნაირად ცდილობს, ხელი შეუწყოს ვაჭრობა-აღებმიცემობის განვითარებას. შემთხვევითი არ ყოფილა ის უმკაცრესი კანონი, რაც გიორგი მესამის დროს მეკობრეების წინააღმდეგ შემოიღეს. ეს კანონი თამარის დროსაც მოქმედებდა. მართალია, თამარის პირველი ისტორიკოსი ცდილობს დაგვარწმუნოს „ჟამთა მისთა არა იყო მიმძლავრებული, არცა მტაცებელი, არცა მეკობრე და მპარავიო“, მაგრამ ეს აშკარა გადაჭარბებაა; მეკობრეობა რომ გავრცელებული იყო, „ვეფხისტყაოსნიდანაც“ კარგად და თვალსაჩინოდ ჩანს. და მეორე ისტორიკოსიც თამარისა, როცა გვაუწყებს, „დღეთა შინა თამარისთა არავინ გამოჩნდა მიმძლავრებული მეცნიერებითა მისითა, არცა ვინ დასჯილიო“, იქვე დასძენს: „თვინიერ ძუელისა სჯულისა, რომელი ძეს აკაზაკთა ზედა ძელსა ზედა ჩამორჩობაო“...

ამ სიტყვებიდანაც ჩანს, რომ მეკობრეობა (ავაზაკობა) აღმოფხვრილი არ ყოფილა.

...და აქ უნებურად გაგახსენდება 1170 წელს დაწერილი სიტყვები, რასაც ჩვენ ზემოთ ერთხელ უკვე გაგეცანით: „...თუ მ რ ა ვ ა ლ ჯ ე რ ე პ ა რ ო ს მას კაცსა, ანუ ჩამოარჩონ ჩუენთა ჩენილთა, ან გაპატიჟონ“ (ალბათ გაგონდებათ, ეს გიორგი მესამის სიგელიდანაა)... დააკვირდით: რა სიმაღლეზე მდგარა მართლმსაჯულება! რა გრადაციებია დანაშაულისა და სასჯელის განსაზღვრაში! გამოუსწორებელი ავაზაკი, რეციდივისტი, ხედავთ, გაცილებით უფრო მკაცრად ისჯება. პირველ ცოდვას, შემთხვევით ჩადენილ დანაშაულს შედარებით მსუბუქად სჯიდნენ. როგორც

ვნახეთ, თამარმა საერთოდ გააუქმა სიკვდილით დასჯა... ეს თავი-სთავად უდიდესი ჰუმანური აქტი გახლდათ იმ დროისთვის, როცა ევროპის ბევრ ქვეყანაში ჩვეულებრივ ამბად ითვლებოდა, კანონით ნებადართული იყო ადამიანის განუკითხავად წამება, დასახიჩრება, დადაღვა, დაშანთვა, სხეულის რომელიმე ორგანოს მოკვეთა და სიკვდილით დასჯა...

ერთი სიტყვით, იმ დიდებულად მოკირწყლულ გზაზე დინჯად მიედინება ქარავანი, მოქარავნეებს მეკობრეების ფარული შიში აქვთ, მაგრამ ამას გარეგნულად ვერ შეატყობთ; როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, დაცალკეებულან, ჯგუფებად დაწყობილან (რა თქმა უნდა, საზოგადოებაში თავიანთი ღირსებისა და მდგომარეობის მიხედვით) და მიდიან, გრძელი გზის სიძნელეს ტკბილი მასლაათით ციოლებენ; ზოგს მართლა გადაუხსნია გული თანამოსაუბრისთვის და გულწრფელად სთავაზობს ჭეშმარიტ მეგობრობასა და სიყვარულს, ზოგი ბუნებით უფრო ფრთხილია და აგრერიგად ვერ გახსნის გულს, ჯერ კარგად მოზომავს სათქმელს და ისე იტყვის; უფრო მოზრდილ ჯგუფში საუბარი უფრო ცოცხალი და ხალისიანია. ყური რომ დაუგდოთ იმ ცალკეულ ჯგუფებს, რამდენ საინტერესო ამბავს გაიგებთ, რამდენ ჭორსა და ანეკდოტს — ამ ქვეყნისას, იმ ქვეყნისას, ამ მთისას, იმ მთისას... ზემოთაც ითქვა, ვაჭრები სამეფო კარის ინფორმატორებიც იყვნენო; მიჰქონდათ და მოჰქონდათ ამბები, ცნობები, მრავალი საიდუმლო... საგულისხმო სტრიქონებს ვხვდებით „ვეფხისტყაოსანში“: „ესე ქალაქი გზა არის ნავთა, ყოველგნით მავალთა, შ ე მ ო მ კ რ ე ბ ე ლ ი ა მ ბ ა ვ თ ა უ ც ხ ო თ ა რ ა თ მ ე მ რ ა ვ ა ლ თ ა“...

გზა მაინც ძალიან ნელა ილევა და რაც დრო გადის, რაც უფრო მოერევათ მგზავრებს დაღლილობა, მით უფრო მალ-მალე ახედავენ ხოლმე დასავლეთით გადახრილ მზეს.

თანამედროვე ადამიანს ცაში ყურება არა სჭირდება, შეუმცდარი თანაშემწე — საათი — თან ახლავს. მაშინ მზის მოძრაობით განსაზღვრავდნენ დროს და იქნებ არანაკლები სიზუსტითაც, ვიდრე უფრო გვიან შემოღებული საათი აკეთებს ამას. ისე იყვნენ დახელოვნებული დროის გამოცნობაში, რომ ღრუბლიან ამინდში და წლის ყოველ სეზონში შეუმცდარად ახერხებდნენ.

თანაც, დააკვირდით, რა პატარა მონაკვეთებით მოუხერხებიათ დროის დაყოფა. მარტო დასაწყისი ვნახოთ დღისა, რასაც უფრო ზოგადი სახელით დილა ეწოდება:

რიჟრაჟი, გარიჟრაჟი, გაცისკრება, ცისკარი...

ამას „მცირედ დილის ნათლის გამოჩენას“ უწოდებს ჩუბინაშვილი; ხოლო „შემდგომად მისსა უმეტესსა განათლებასა“:

განთიადი, დილაბუნდი, მტრედისფრად განათება, ალიონი, დაფიონი...

ასე ზუსტად ჰქონდათ გამოთვლილი დრო.

და ერთხელ კიდევ უნდა შევნიშნოთ — ამაში ენობრივი კულტურის მაღალი დონეც კარგად იგრძნობა, როცა დროის ყოველი უმცირესი მონაკვეთისთვისაც თავისი სახელი დაურქმევიათ: ამათ შორის განსხვავება 15-15 წუთი თუ გამოვა.

რაკი დროის განსაზღვრაზე ჩამოვარდა სიტყვა, ესეც უნდა ვთქვათ. თქვენ ახლა ფუნდუკში შეპყვებით მგზავრებს და ალბათ, ფუნდუკის ეზოში ამაყად მოსეირნე მამლებს მიაქცევთ ყურადღებას. ფუნდუკებში მგზავრებისთვის რესტორნებიც აქვთ, მაგრამ ეს მამლები დასაკლავად არ უნდათ; მაშინაც კარგად იცოდნენ, რომ მამლის ხორცს დიდი გასაჟალი არა ჰქონდა. ხშირად მგზავრები ღამიანად დაადგებიან ხოლმე გზას და ყოველ წუთში რომ ეზოში არ გამოვიდნენ და ციური სხეულების მოძრაობას არ დააკვირდნენ (ან, ვთქვათ, ღრუბლიან ამინდში), მამლების ყივილითაც კარგად განსაზღვრავენ დროს. მაგრამ მამალი ხომ რამდენჯერმე ყივის ღამეში! გრძელი გზით დაღლილი, ტკბილად ჩაძინებული კაცი როგორღა მიხვდეს, მამლის პირველი ყივილი ჩაესმის ძილში, თუ მეორე ყივილი? ამასაც ცნობენ, ხმითა ცნობენ, ჟღერადობით, მამლის პირველ ყივილს მეორე ყივილისგან ანსხვავებენ... მაშინდელი ადამიანი იძულებული იყო, კარგად დაკვირვებოდა ამ მოვლენებს...

ამრიგად, მგზავრები მალ-მალე ახედავენ ხოლმე მზეს; იციან, რომ მოსაღამოვდება და გზაზე სანუკვარი ფუნდუკიც გამოჩნდება. იქ კარგი მასპინძელი ელით, კარგი ვახშამი, ცოტას გადაპკრავენ კიდეც, დაისვენებენ, გაერთობიან... იქ პირუტყვისთვისაც არის საკვები და დასარწყულებელი... აქვე სახელოსნოებიც აქვთ, — შორ გზაზე დამდგარ კაცს რამდენი გაუთვალისწინებელი რამ დასჭირდება... ამ დროს უკვე ცხენის დაჭედვაც არის შემოღებული, და, უნდა ვიგულისხმოთ, ნალბანდსაც ექნება ფუნდუკთან პატარა სამჭედლო, აქვე უნდა ვიგულისხმოთ მეუნაგირეც, ალბათ თერძიც...

მოუთმენლად ელიან ფუნდუკის გამოჩენას.

მაგრამ პირველადაც რომ იყოს ამ გზაზე, ეს მაინც უსათუოდ

იცის, რომ საღამოხანს ფუნდუკს მიადგება. თითო დღის სავალ გზებზე ყველგან ფუნდუკია. მემატიანის მონათხრობიდან ვიცით, როგორ ზრუნავდა ჯერ კიდევ დავით აღმაშენებელი გზებზე ფუნდუკების აგებისთვის, თამარის დროს კი გზებზე ფუნდუკებისა და ქარვასლების აგებამ უფრო ფართო მასშტაბი მიიღო. ბოლო დრომდე ყოფილა შემორჩენილი გზებზე ნანგრევები ძველი ფუნდუკებისა, რაც თამარის სახელთანაა დაკავშირებული. ვახუშტიც მოიხსენიებს ხოლმე თამარის დროინდელ ფუნდუკებს: „აქათ და იქით ქციის კიდესა ზედა ფუნდუკნი დიდნი და კეთილნი, თლილის ქვისანი"... ანდა; „აქა არს ფუნდუკი თამარ მეფისაგან აშენებული ზამთარ მოგზაურთათვის".

როგორც ვხედავთ, უბრალო ნაგებობანი კი არ არის, გაჭირვების დროს თავი რომ შეაფარო კაცმა, არამედ „დიდნი", „კეთილნი", „თლილის ქვისანი"... კეთილმოწყობილი სასტუმროები, რომლებიც თვალსაც ახარებენ და სასურველ კომფორტსაც უქმნიან მგზავრებს...

ამრიგად, ვახუშტის დრომდე კიდევ იყო შემორჩენილი ნაშთები იმ ძველი ფუნდუკებისა და მერე მთლიანად განადგურდა და გაქრა.

შარდენიც მოიხსენიებს ერთ ფუნდუკს „ლამაზ ხიდთან" (იგულისხმება ე. წ. „გატეხილ ხიდთან" არსებული თლილი ქვით ნაგები ფუნდუკი, რომელსაც ვახუშტიც აგვიწერს). ფრანგი მოგზაური მოუხიბლავს ამ შენობას და როცა აგვიწერს, ჩვენც ვრწმუნდებით, რომ მართლაც დიდებული იქნებოდა. მრავალოთახიანი შენობა არისო, წერს შარდენი, და თითოეული ოთახი აივნით მდინარეს გადაჰყურებსო. მთელს ქვეყანაში არ მინახავს ასეთი ლამაზი ხიდი და ასეთი ლამაზი ქარვასლაო...

მართლაც ლამაზი იქნებოდა — მდინარის პირას აღმართული თლილი ქვით ნაგები მრავალოთახიანი შენობა, რომლის ყოველი ოთახი საკუთარი აივნით დიდ მდინარეს გადაჰყურებდა...

ამ ქარვასლის ნაშთს ჩვენამდე არ მოუღწევია, ისევე როგორც არ შემონახულა იმდროინდელი მრავალი ფუნდუკი და ქარვასლა. მხოლოდ აღწერილობითა და სხვათა გადმოცემებით ვიცნობთ. ასეთი ფუნდუკები კი, როგორც ზემოთ ერთგან ითქვა, თითო დღის სავალზე იყო ყველგან, ყველა გზაზე. სავარაუდებელი განლაგებანი ფუნდუკებისა მოხაზული აქვს ლევან ჭილაშვილს თავის წიგნში „ქალაქები ფეოდალურ საქართველოში".

ერთ-ერთი ასეთი ფუნდუკი ფარავნის მიდამოებში კარგად შეუსწავლიათ მეცნიერულად. ეს ფუნდუკი 1898 წელს ჯერ ისევ მთლიანი ნაგებობა ყოფილა და მერე დანგრეულა. ამ დროს (1898 წ.) მოუნახულებია იგი ქართველ მოღვაწეს ივანე როსტომაშვილს;

თლილი ქვისა და აგურისგან არის ნაგებიო, — წერს იგი. ნიკო ბერძენიშვილის აზრით, რომელსაც შენობა 1933 წელს უნახავს, უკვე საკმაოდ დანგრეული, ფუნდუკს თავის დროზე, 15 ოთახი ჰქონია. მკვლევარები ამ ფუნდუკსაც მეთორმეტე საუკუნით ათარიღებენ. თლილი ქვა, რითაც შენობა იყო მოპირკეთებული, თანდათანობით გაუზიდავთ. განსაკუთრებით დასანანი ის არის, რომ მათ თან გაჰყოლია წარწერიანი ქვებიც. წარწერა ალბათ ბევრ საგულისხმო რამეს გვეტყოდა. სამწუხაროდ, ივ. როსტომაშვილს არ მიუქცევია წარწერისთვის ყურადღება, მერე კი გაქრა, დაიკარგა...

ბევრი ფუნდუკი თუ ქარვასლა ისე გაქრა, მათი ნაკვალევიც არა ჩანს, და ოდესღაც ამა თუ იმ ადგილას მათი არსებობა მხოლოდ ვარაუდით შეგვიძლია ვიგულისხმოთ... ზოგან ასეთ ვარაუდს საფუძველს უმაგრებს ჩვენამდე მოღწეული გეოგრაფიული სახელწოდებანი: ფუნდუკი უკვალოდ გამქრალა, ხოლო ნაფუნდუკარი ადგილის სახელწოდებას ჩვენამდე მოუღწევია. ძალიან საინტერესოა ნიკო ბერძენიშვილის დაკვირვება: ძეგვთან ახლოს გეოგრაფიული სახელწოდებანი ბარგიყარია და საკანის ველი, მეცნიერის აზრით, აქ ოდესღაც ფუნდუკების არსებობას მიგვანიშნებენ; ძეგვზე ხომ ერთ დროს დიდი საკაჭრო გზა გადიოდა, და როცა ამას გავითვალისწინებთ, მეცნიერის ვარაუდი დამაჯერებელი გვეჩვენება.

ამრიგად, როგორც ვარაუდობენ, თითო დღის საკალზე აგებდნენ დასასვენებელ სადგურებს. თუ ქალაქებთან ახლოს მოხვდებოდა ფუნდუკი, იქ ვაჭრობაც გაიმართებოდა ხოლმე.

ასე ყოფილა, მაგალითად, იმ დიდ საქარავნო მაგისტრალზე, რომლის მონაკვეთსაც ჩვენ უკვე გავეცანით. ამ გზაზე, ზაქათალის მახლობლად — დიდ ქალაქ გრემიდან ასამდე კილომეტრის დაშორებით, არსებულა საკაჭრო ცენტრი ზაგემი. აქვე იყო დიდი და კეთილმოწყობილი ფუნდუკი მგზავრებისთვის. დროთა ვითარებაში ეს ფუნდუკიც დაინგრა და განადგურდა. სხვათა შორის, ამ ფუნდუკს მოიხსენიებს მეჩვიდმეტე საუკუნის რუსეთის ელჩი (მაშინ ჯერ ისევ არსებულა ფუნდუკი — რაღა თქმა უნდა, არა პირვანდელი კეთილმოწყობილობითა და ელვარებით). ფუნდუკის დაახლოებითი აღწერაც კი დაუტოვებია ამ ელჩს: 12 აპრილს (1639 წ.) მიეედით ზაგემში და იქ დაგვაბინავეს ფუნდუკში. ფუნდუკს შემოვლებული აქვს დაახლოებით 200 საჟენის სიგრძის ქვის გალავანი. ეზოში ქვის დუქნებია (ისინიც გაევრანებული)... აქ [ოდესღაც] ყოფილა საკაჭრო გზა და დუქნები. ამჟამად სრული სიცარიელეა.

ამ გზის გაგრძელებაზე დღემდე შემორჩენილა ქარვასლების ნაშთები ნუხაში, შემახაში...

როგორც ვნახეთ, ფუნდუკთან საგანგებოდ სავაჭრო ფარდული იყო მოწყობილი და ადგილობრივი მოსახლეობა მუდამ მოუთმენლად მოელოდა ახალი ქარავნების გამოჩენას.

ფუნდუკები თითო დღის სავალზე იყოო, ვთქვით. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა კიდევ ერთი საკითხი: რითი იზომებოდა გზა? მანძილის საზომი ერთეულებით? დღეს ხომ ჩვეულებრივ, ასე ვიტყვით ხოლმე: ამ ქალაქიდან ამ ქალაქამდე ამდენი და ამდენი კილომეტრიაო. იმ დროს? მაშინაც ჰქონდათ მანძილის საზომი ერთეულები? ამოდენა გზას რომ დაადგებოდა მგზავრი, რას იტყოდა, რამდენი სავალი მაქვსო?..

მაშინ დროის საზომი ერთეულებით იზომებოდა გზა. ამდენი და ამდენი დღის ან თვის სავალიაო, იტყოდნენ... ან სადილობის გზააო... დღემდე შემოგვრჩა გამოთქმა: სამოყვრო გზააო...[1] „ვეფხისტყაოსანში“ ვკითხულობთ: „ესეა ზღვათა სამეფო თვისა ათისა საველითა“... ნიკო ბერძენიშვილს უფრო ძველი ძეგლებიდან მოაქვს მაგალითები. „გობრონის წამებაში“ ყველის ციხიდან შავშეთამდე იყო „ეითარ სადილობისა გზა ოდენ“... ნერსე რომ ხაზარეთიდან აფხაზეთს გაემგზავრა, წინ „სამისა თვისა გზა ჰქონდა“.

აქამდე ჩვენ დიდ სავაჭრო მაგისტრალებს გავეყურებდით, იქ არსებულ ფუნდუკებს, იმ გზებზე მიმომავალ ქარავნებს.

ქვეყნის შიდა გზებსა და პატარა დაბა-ქალაქებსაც რომ გადავავლოთ თვალი, აქაც გაცხოველებულ ვაჭრობას ვნახავთ. აქ დიდი ქარავნები არ დადიან; განსაკუთრებულ საბაზრო დღეებში, რაც უმთავრესად დღესასწულებსა და უქმეებს ემთხვევა, ურმებით მიდიმოდიან (მთა ადგილებში ჩოჩიალა, აჩაჩა ურმებით), რალა თქმა უნდა, ცხენოსანსაც იხილავ, უნაგირზე ხურჯინი შემოუკიდია და ბაზრისკენ მიჩაქჩაქებს... ეგერ, ღვინით სავსე ტიკებიც მიაქვთ ურმით... ფეხით მიმავალსაც ბევრს ნახავთ, მხარზე კალათი ან გოდორი შემოუგდია, ან ხურჯინი გადაუკიდია, ზოგს ძროხა, დეკეული ან მოზვერი გაუგდია წინ და გასასყიდად მიჰყავს... გაპყიდის ბაზარში ან გადაცვლის, ვთქვათ, სახნისზე, ნიჩაბზე, ქვევრზე, მარილზე, იქნებ ხორბალზედაც...

ერთი სიტყვით, ქვეყნის შიგნითაც გაცხოველებული აღებ-მიცემობაა.

---

1 მანძილის ასეთი გაზომვა პარალელურად დღემდე შემოგვრჩა და ამიტომ დიდად აღარც გვიკვირს. შუა საუკუნეების ადამიანებს უფრო უცნაური „საზომებიც“ ჰქონდათ. ზოგიერთ ქვეყანაში ხის სიდიდეს, მაგალითად, იმით განსაზღვრავდნენ და ფასსაც იმის მიხედვით ადებდნენ, თუ რამდენი ღორი დაეტეოდა მის ქვეშ.

●

ჩვენ ვცადეთ, ზოგი ისეთი მხარე გაგვეცოცხლებინა ჩვენი ხალხის იმდროინდელი ცხოვრებისა, რაც მემატიანეებს გამორჩენიათ თუ გამოუტოვებიათ, საჭიროდ არ ჩაუთვლიათ აეწერათ და შორეული შთამომავლობისთვის შემოენახათ. მე-20 საუკუნის ოცდაათიანი წლების მიწურულს, შოთა რუსთაველის საიუბილეო დღეებში, დიდი მეცნიერის ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით მოეწყო გრანდიოზული გამოფენა, რომელიც მიზნად ისახავდა, თვალსაჩინოდ ეჩვენებინა რუსთაველის ეპოქის საქართველოს ცხოვრება, ქართველი ხალხის შემოქმედებითი შრომა და ყოფა. გამოფენის მოწყობას წინ უძღოდა სხვადასხვა სამეცნიერო ექსპედიციები, აგრეთვე ივანე ჯავახიშვილის საერთო ხელმძღვანელობით — რასაც უნდა გამოემჟღავნებინა და გამოეშზეურებინა იმდროინდელი ცხოვრების ბევრი ისეთი მხარე და დეტალი, რაც მანამდე უცნობი ან ნაკლებად შესწავლილი იყო.

ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა შთაბეჭდილებამ, რასაც ეს გამოფენა უქმნიდა ადამიანს. მნახველს სასურველი სისრულით წარმოუდგა ჩვენი ხალხის იმდროინდელი ცხოვრების — ყოფითი და სულიერი კულტურის — სიდიადე.

ჩვენ აქ საშუალება არა გვაქვს აღვწეროთ ის გამოფენა და ამით სრული წარმოდგენა შევუქმნათ მკითხველს ჩვენი ხალხის იმდროინდელ ცხოვრებაზე, მაგრამ ცალკეული დეტალის გახსენება, ვფიქრობ, მაინც მიგვანიშნებს ჩვენი ხალხის მაშინდელი ეკონომიკური და სულიერი კულტურის მაღალ დონეზე.

განსაკუთრებით შთამბეჭდავია თამარის ეპოქაში გაყვანილი სარწყავი არხები, რომელთა ნაშთები დღემდე შემორჩენილა და მასშტაბის სიდიდით, გადაწყვეტის ტექნიკური სირთულითა და გაბედულებით დღევანდელ სპეციალისტსაც კი ანცვიფრებს.

ცნობილია თამარისდროინდელი სარწყავი არხები ტირიფონის ველზე, რუის-ურბნისის მიდამოებში, მუხრანში, სამგორში... და განსაკუთრებით კახეთში, ალაზნის ველზე. სწორედ ალაზნის სარწყავ სისტემაზე მინდა შევაჩერო მკითხველის ყურადღება.

საკმარისია დავასახელოთ ორი ციფრი, რათა თვალსაჩინოდ წარმოვიდგინოთ ამ არხის გრანდიოზულობა: არხის სიგრძე 119 კილომეტრს შეადგენდა და რწყავდა იგი 53 000 ჰექტარ მიწას! ასეთი არხის გაყვანა ტექნიკის თანამედროვე პირობებშიაც კი რთულია

და სიძნელეებთან არის დაკავშირებული. არხი იწყებოდა ახმეტის რაიონში, სოფელ ზემო ალვანის პირდაპირ, ალაზნის მარჯვენა ნაპირზე, მიედინებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთით და მთელ ალაზნის ველს სერავდა და რწყავდა. ესე იგი, მთავრდებოდა ალაზნის ველი და არხიც დედა-მდინარეს უერთდებოდა. მოურწყველი არა რჩებოდა ასე თუ ისე მნიშვნელოვანი სათესი ფართობი, ბაღები თუ ზვრები.

ალაზნის არხი საგანგებოდ იმიტომ გამოეყავით, რომ იგი, როგორც ჩანს, ყველაზე გრძელი იყო და ყველაზე დიდ ტერიტორიას რწყავდა. ამოდენა არხის გაყვანა და მერე მისი მოვლა ძალიან ძნელი იქნებოდა, ეს თავისთავად იგულისხმება.

სულ სხვაგვარი სარწყავი სისტემაა მუხრანის რუსხმული — ანუ ხელოვნურად შეზვინულ მიწაზე გატარებული არხი (რუსხმულს საბა განმარტავს, როგორც „მაღლა შეშენებულ რუს"). ეს გრანდიოზული ნაგებობაა, წერს ნიკო ბერძენიშვილი. სიმაღლე მუხრანის რუსხმულისა თითქმის ექვსი მეტრი ყოფილა, ე. ი. თანამედროვე ორსართულიანი სახლის სიმაღლე. გაჭიმული ყოფილა იგი „მრავალ კილომეტრზე". არხის სიგრძესა და სიმძლავრეს, აგრეთვე იმ ადგილსაც თუ გავითვალისწინებთ, რასაც იგი რწყავდა, ძნელი წარმოსადგენი აღარ იქნება მისი ეკონომიკური მნიშვნელობა.

ახლა კი გავეცნოთ იმდროინდელ ერთ-ერთ ყველაზე მოკლე წყასლადენს; მისი სიგრძე ორიოდე კილომეტრს უდრის, მაგრამ ასეთი სიმოკლის მიუხედავად ტექნიკურად ძალიან რთული ყოფილა. ჰიდროლოგი ალექსანდრე ლოსაბერიძე, რომელმაც ეს წყასლადენი შეისწავლა, წერს: „ეს ნაგებობა ძველ მშენებლებს ისეთ რთულ გეოლოგიურ და ტოპოგრაფიულ პირობებში შეუსრულებიათ, რომ იმავე ამოცანის განხორციელება ჩვენს ხანაშიაც დიდ საგონებელში ჩააგდებდა თანამედროვე გამოცდილ სპეციალისტსაც".

არსებობს 1202 წლის საბუთი (თამარ მეფის სიგელი), საიდანაც ვგებულობთ, რომ არხის გაყვანას სამი წელი მოუნდნენ — ესე იგი, მეთორმეტე საუკუნის მიწურულში (1199 წ.) დაუწყიათ მუშაობა და 1202 წელს დაუმთავრებიათ. საბუთი სხვა მნიშვნელოვან და საინტერესო ცნობებსაც გვაწვდის... მაგრამ ტექნიკური აღწერილობა წყალსადენისა ამ საბუთში არ არის მოცემული. ეს ჩვენმა თანამედროვე მკვლევარებმა გაარკვიეს, როცა ძველ წყალსადენს სწავლობდნენ მე-20 საუკუნის ოცდაათიან წლებში.

ეს გახლავთ სხალტბა-შიომღვიმის წყალსადენი. და ალბათ უკვე ხედებით კიდეც, რა სირთულესთან იქნებოდა დაკავშირებული მისი

გაყვანა, შიომღვიმესა და სხალტბას ხომ მაღალი ქედი პყოფს — შიომღვიმე ამ ქედის გადმოღმა, სამხრეთ კალთებზეა გაშენებული, სხალტბა კი ქედის გადაღმა, ჩრდილოეთის კალთაზე მდებარეობს. და სირთულეც ის იყო, ტექნიკის განვითარების მაშინდელ პირობებში როგორ გადმოეტარებინათ წყალი ამ მაღალ ქედზე მონასტრის ბერებისთვის.

წყლის საჭიროებას კი, ეტყობა, მართლაც მწვავედ განიცდიდნენ. ჩვენ ეიცით, როგორ გაიზარდა და გაფართოდა შიომღვიმის მონასტერი დავით აღმაშენებლის შემდეგ. გადმოცემით, აქ ხუთი ათასამდე ბერი ყოფილა. ადგილობრივი პატარა წყარო უკვე აღარ პყოფნიდა ამდენ ხალხს: მონასტრის „შინა მყოფნი წმიდანი მამანი (იყვნენ) ჭირსა და იწროებასა შინა ურწყულობისასა". ამას წერს საქართველოს იმდროინდელი პირველი ვაზირი, მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი ანტონი. სწორედ მან ითავა წყასლადენის გაყვანა და მისი სიტყვებიდანვე ეიცით, რომ სამი წლის გულმოდგინე შრომა დასჭირვებია ამ საქმეს — „...ჟამთა წელიწადისა სამისათა დიდითა შრომითა და გულისმოდგინებითა" გამოვიყვანეო, წერს ანტონი.

ჯერ წყალი უძებნიათ. ამას იმავე საბუთით ვგებულობთ. როცა სხალტბის წყაროს მიაგნეს და ის გაბედული აზრი გაუჩნდათ — ქედის ერთი კალთებიდან გადაღმა კალთებზე განლაგებული მონასტრისთვის მიეწოდებინათ იგი — ახალი უხერხულობა და სიძნელე წარმოიშვა: თუ წყაროს მთლიანად მისცემდნენ მონასტერს, სოფელი დარჩებოდა უწყლოდ, თან ეს ერთი წყარო ალბათ არც ეყოფოდა იმოდენა მონასტერს. და შეუდგნენ ქედის კალთებზე, ახლომახლო, წყაროების ძებნას: „ეპძებნე სხუაი წყალი, რომელი მკუიდრთა მის ადგილისათა (ესე იგი, სხალტბის მოსახლეობას) არ მოაკლდა, ეგზომ მოვიდა და უმეტესიცა წყალი"... ესეც ანტონის სიტყვებია. ქედის ჩრდილო კალთებზე ალბათ თავიდანვე ეგულებოდათ კარგი წყაროები.

ახლა წარმოვიდგინოთ, რა ძნელი იქნებოდა მაშინდელ პირობებში იმ წყაროების შეგროვება, რათა მერე დიდი მილით მონასტრისკენ გაეყვანათ.

მაგრამ მთავარი სიძნელე მაინც წინ იყო: როგორ უნდა გადაეტარებინათ ქედზე წყალი?! და ზემოთ რომ გაბედული აზრი ვახსენეთ, ეს იყო კლდოვან ქედში გვირაბის გაჭრა და წყლის იმ გვირაბში გატარება.

ამ გვირაბს მიაგნეს მკვლევარებმა, როცა ზემოთ ნახსენები ისტორიული საბუთის მიხედვით, სხალტბა-შიომღვიმის წყალსადენის

მოძებნა და შესწავლა გადაწყვიტეს. წყასლადენის ტექნიკურ აღწერას აქ არ მოვყვებით, დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია გაეცნოს ალ. ლოსაბერიძისა და შ. ხიდაშელის გამოკვლევებს, სადაც დაწვრილებით არის მოცემული წყალსადენის კვლევის ისტორიაც და მისი ტექნიკური აღწერილობაც. აქ მხოლოდ ის უნდა შევნიშნოთ, რომ სხალტბა-შიომღვიმის წყალსადენის შესწავლა საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ: საქართველოში იმ დროს კარგად გაწაფული ყოფილან ტექნიკურად ასეთი რთული ნაგებობის მშენებლობაში; ესე იგი, მეურნეობის ეს დარგიც მაღალ დონეზე ყოფილა...

ძველი წყალსადენის კვლევისა და შესწავლის დროს მკვლევარები წააწყდნენ ისეთ ნივთებს, რაც საშუალებას გვაძლევს, ცოცხლად წარმოვიდგინოთ რვა საუკუნის წინანდელი სურათი, როცა აქ წყალსადენის გაყვანაზე მუშაობდნენ. იპოენეს, მაგალითად, ლითონის ნიჩბის ნამსხვრევები, სხვადასხვა დანიშნულების ჭურჭლეული (მაგალითად, ჯამები, რითაც მუშები ალბათ წყალსა სვამდნენ), სამარილე... და თიხის ჭრაქი, რაც გვირაბში მუშაობის დროს სჭირდებოდათ...

მაგრამ მთავარი მაინც თიხის მილებია, — სხვადასხვა ფორმისა და ზომისა, ისეთნაირად გამოყვანილი, რომ ერთი მილის თავი მჭიდროდ ჩაჯდეს მეორის ბოლოში; თიხისავე „მკლავები", ანუ სხვადასხვა გრადუსით საგანგებოდ მოხრილი მილები, სწორი „მილების გადასაბმელად", როცა წყალსადენის გაყვანილობა მკვეთრად უხვევს და პირდაპირი მილი არ გამოდგება... და, რაც მთავარია, თიხისავე თანგირები ანუ ე. წ. „საკონტროლო ჭა", სხვადასხვა ზომის ქვევრისებური ჭურჭელი, რომლებიც აქა-იქ, გარკვეული მანძილის დაშორებით — ზოგან მეტი, ზოგან ნაკლები სიხშირით — მილებს შორის არის ჩადგმული და ორივე მხრით წაგრძელებული ტუჩებით მილებს უერთდება, წყალსადენის მთელ სისტემას კრავს. თანგირების დანიშნულებას ალბათ უკვე ხედებით: წყალსადენი რომ დაზიანდებოდა, მილებს მთელ სიგრძეზე ხომ არ ათხრიდნენ — თანგირების საშუალებით გაარკვევდნენ, რომელ მონაკვეთზე იყო დაზიანებული... იმიტომაც ჰქვია „საკონტროლო ჭა". თანგირებიც, რაღა თქმა უნდა, მიწაში იყო ჩაფლული, მაგრამ ეს ადგილები ზედაპირზე ჰქონდათ დანიშნული და ადვილად მიაგნებდნენ.

ამრიგად, სამი წელი მოუნდნენ წყალსადენის გაყვანას. ხოლო როცა მუშაობა დამთავრდა და ცივი და საამური წყაროს წყალი (წყალი კი მართლაც კარგი ყოფილა: ასეთი ცივი და საამური წყალი მთელს აღმოსავლეთ საქართველოში იშვიათად შეგხვდებათ,

წერს თანამედროვე მკელევარი) უხვად მიუვიდათ მონასტრის მრავალრიცხოვან ბინადართ, ანტონ ჭყონდიდელმა თამარ მეფეს სთხოვა, ორი კომლი გლეხი მონასტრისთვის მიებოძებინა: გლეხების მოვალეობა წყალსადენის მოვლა-პატრონობა იქნებოდა. სწორედ ამ ფაქტს გადმოგვცემს ზემოთ ნახსენები შეწირულების სიგელი თამარ მეფისა შიომღვიმისადმი: „დაგუაჯერა ღმერთმან და ვისმინეთ ჰაჯაი და მოხსენებაი მისი ვაზირისა ჩუენისა ანტონ ჭყონდიდელ მთავარეპისკოპოზისა, მწიგნობართუხუცესისა და პროტოოპერტიმოსისა, და რომელ სხალტბას მის წყლისა მისგან მიღებულისა სათავესა ზედა გლეხი ზის, მიწად ერთი და კუამლად ორი. ქოსაისძენი საუკუნოდ მის წყლისა მკაზმავად, მღუიმისა მონასტრისა შესაწირავად მიგუითავისუფლებია“...

იმავე საბუთიდან ვგებულობთ, რომ წყალსადენისთვის დამატებით მეთვალყურე და „მკაზმავი“ შეიქნა თურმე საჭირო და ორი გლეხი კიდევ დუმატეს — „მათითა კითხვითა და ბრძანებითა ერთი მეორშაფათე გლეხი, სახელით პ ა ტ ა რ და მეორე გლეხი, გარეთმოსული, ქ ა ჩ ა ბ უ რ ა ი ს ძ ე ესენიცა წყაროსავე მიუყენენით მკაზმავად“.

და კიდევ ერთ საგულისხმო ცნობას ვხვდებით საბუთში — იმ ორი გლეხისთვის — ქოსაისძეებისთვის — დაუვალებიათ, შვილებისთვისაც ესწავლებინათ თავისი ხელობა, „რომელ ორისავე სახლისაგან თუითოი შვილი მათი ქუქანაკად გაისწავლებოდეს და კკაზმვიდნენ მას წყაროსა“ — წინასწარ დაუჭერიათ თადარიგი, რათა წყალსადენს არც მომავალში მოკლებოდა მომვლელი და „მკაზმავი“. თავისთავად იგულისხმება, რომ ეს გლეხები გამოცდილი ჰიდროტექნიკოსები (ქუქანაკები) იქნებოდნენ და ახლა შვილებსაც შეასწავლიდნენ თავიანთ ხელობას...

აი, როგორ გადადიოდა ხელობა მამიდან შვილზე, როგორ დაეუფლებოდა ხოლმე ოჯახი, მთელი გვარი, ხოლო ზოგჯერ მთელი სოფელიც ამა თუ იმ ხელობას, როგორი სასოებითა და სიყვარულით ეკიდებოდნენ თავიანთ საქმეს, რა გულმოდგინებით ასწავლიდნენ ხელობის საიდუმლოებას მემკვიდრეებს. ეს მემკვიდრეობითობა ზოგჯერ საუკუნეებს გასწვდებოდა და იყო გვარი (ან სოფელი) მთელს ქვეყანაში განთქმული თავისი ხელობით — ვთქვათ, მეთუნეობით, ოქრომჭედლობით, დასტაქრობით... ყველგან პატივსა სცემდნენ, აფასებდნენ, უყვარდათ... ეს საყოველთაო სიყვარული და აღიარება პატიოსანი და ალალი შრომისადმი ხალხის დამოკიდებულებას გამოხატავდა.

ახლა ისიც წარმოვიდგინოთ, რა შრომა და ენერგია დასჭირდებოდა ამ არხებისა და წყალსადენების მშენებლობას.

თუ რა მძიმე შრომა გაუწევია ჩვენს ხალხს ამ არხების გაყვანაზე, კარგად მიგვანიშნებს ერთი ძველი გადმოცემა, რომელიც ილია ჭავჭავაძეს გაუგონია ხალხში და მანვე შემოგვინახა:

„ხალხი ალაზნისა და არაგვის პირისანი დღესაც ამბობენ, რომ როცა თამარ მეფემ გაიყვანა ეს არხები და ბოლოში წისქვილი დააბრუნა, წისქვილის ქვებიდამ სისხლი გადმოსკდაო, — გადმოგვცემს ილია და იქვე დასძენს: — ეს ამბავი გვაუწყებს, რამოდენად ძვირად დასჯდომია ხალხს ეს დიდებული საქმე, რომ მის წარმოდგენით მის მიერ დაღვრილი ოფლი სისხლად გადმომსკდარა წისქვილის ქვებიდამ“.

აქვე ერთ საყურადღებო მოვლენაზე უნდა შევაჩერო მკითხველის ყურადღება. როცა არხების ასეთ მასობრივ მშენებლობაზე ვლაპარაკობთ, ესეც ერთ-ერთი დამადასტურებელი ნიშანია იმისა, რომ ჩვენი ხალხი იმ დროშიაც ბუნების წყალობას კი არ იყო მთლიანად მინდობილი და თავის მეურნეობას მხოლოდდამხოლოდ გარემოს ბუნებრივ თავისებურებას კი არ უსადაგებდა, არამედ ცდილობდა, ბუნება დაემორჩილებინა და თავისი ცხოვრების წესისთვის მოერგო; თუმცა, როგორც ზემოთ ვნახეთ, ხშირად ეს აურაცხელ შრომასა და ენერგიას მოითხოვდა. როცა ეახუშტი ბატონიშვილის წიგნს განიხილავს, ნიკო ბერძენიშვილი წერს: „ვახუშტის აღწერის“ გულდასმით წამკითხველი ნათლად წარმოიდგენს საქართველოს მოსახლეობის საქმიანობას არა მარტო პასიურად შეგუებულს ბუნებრივ პირობებთან (ვთქვათ, მესაქონლეობა მთიანეთში ან მელორეობა კახეთში), არამედ ისეთ საქმიანობას, რომელიც საამისოდ ბუნებრივი პირობების ხელოვნურად გამოყენებას გულისხმობს“...

●

ახლა კი იმდროინდელი სოფლის შუკებშიაც გავიაროთ, გლეხის კარმიდამოში შევიხედოთ.

ჯერ ის უნდა ითქვას, რომ თვალშისაცემია სიმრავლე სოფლებისა. ამას პირდაპირ არ გვეუბნებიან მემატიანეები... აღარც ყველა იმდროინდელი სოფელი შემორჩენილა... მომდევნო საუკუნეთა გამანადგურებელმა რბევებმა ბევრი სოფელი ერთიანად მოსპო

და აღგავა, და დღემდე მხოლოდ სახელი შემოგვრჩა მათი... ერთი სიტყვით, მემატიანეები არ ჩამოგვითვლიან იმდროინდელ სოფლებს და პირდაპირ არც სოფლების სიხშირეზე გვეუბნებიან რამეს. მაგრამ წყაროებში გაფანტული სხვადასხვა ხასიათის ცნობები მეცნიერებს ასეთი ვარაუდის საფუძველს აძლევს. მამისა ბერძნიშვილის საინტერესო ნარკვევში კარგად არის ეს ნაჩვენები. ნიკორწმინდის ერთ ძველ საბუთში დასახელებული რაჭის 23 სოფლიდან დღემდე ათსღა მოუღწევია, დანარჩენები სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ვითარებაში განადგურებულა. ე. წ. გამოსაღებების ნუსხაში ჩამოთვლილი ერწო-თიანეთის 44 სოფლიდან ჩვენამდე მხოლოდ თხუთმეტს მოუღწევია...

როგორ ნადგურდებოდა ეს სოფლები, ამის ნათელ წარმოდგენას გვაძლევს, ზოგჯერ სურათსაც კი გვიცოცხლებს არქეოლოგიური გათხრები. მაგალითად, ერთ ნასოფლარში (ნაჭიეჭაევები, თეთრი წყაროს რაიონი) როცა გლეხის აწ უკვე მიწით დაფარულ კარმიდამოს თხრიდნენ, ზედ სამზარეულოს კარებთან წააწყდნენ ბავშვებისა და მოზრდილი ადამიანების ერთად დახვავებულ ჩონჩხებს... იქნებ, სწორედ ამ რბევის დროს (ვთქვათ, თემურ-ლენგის დროს, როგორც ვარაუდობენ კიდეც მკვლევარები) იქცა ერთ დროს ბედნიერი და ხალხმრავალი სოფელი ნაჭიეჭაევები ნასოფლარად! იქნებ სწორედ მაშინ ერგოთ ასეთივე ბედი მეზობელ სოფლებსაც, რომელთა მხოლოდ სახელები შემორჩენილა — ტახტისწყარო, ნადარბაზევი, ტყემლარა, ბედენი!..

მე-20 საუკუნის ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში თეთრი წყაროს რაიონში განხორციელდა აქაური ნასოფლარების არქეოლოგიური შესწავლა. სწორედ იმ ნასოფლარებისა, რომლებიც ეს არის ჩამოვთვალეთ. კვლევის საფუძველზე ამ საკითხებისადმი მიძღვნილი რამდენიმე მეცნიერული შრომა გამოქვეყნდა. ყველა გამოკვლევას აქ არ ჩამოვთვლით და არ განვიხილავთ, თუმცა ეს თავისთავად იქნებ საინტერესოც იყოს: აქ გავეცნოთ იოსებ გძელიშვილის გამოკვლევას, რომელშიაც თითქმის ყველა საგულისხმო ცნობაა მოცემული.

თეთრი წყარო ქვემო ქართლს ეკუთვნის. და სწორედ იმ დროს, მეთორმეტე საუკუნეში, იგი სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობდა; ამდენად, ტიპიური იყო მთელი საქართველოსთვის.

ნაჭიეჭაევებში და, იგულისხმება, მთელს იმ მხარეშიაც, სახლებს ქვისგან აგებდნენ. ეს, რაღა თქმა უნდა, ადგილობრივი კლიმატის შესაბამისად. საქართველოს სხვა კუთხეებში ბევრგან ხის სახ-

ლებს აშენებდნენ — წაბლისას, ნაძვისას, მუხისას... როგორც მოუხერხდებოდათ.

ნაჭიეჭაევებში გლეხის სახლი ერთსართულიან ქვის შენობას წარმოადგენს; „სახლის თითოეული კომპლექსი შედგება 5-6 ნაგებობისაგან", ეკითხულობთ იოსებ გძელიშვილის ნარკვევში: ეს არის დარბაზი, ანუ მთავარი საცხოვრებელი ოთახი, რომელიც შენობის ცენტრში იყო მოთავსებული; დარბაზს ეკვროდა სამზარეულო-საკუჭნაო, სათონე, მარანი, საბძელი, გომური... ამასთან, გომური ყველა სახლის კომპლექსში არ აღმოუჩენით; სამაგიეროდ, ზოგი სახლის წინ კალო იპოვეს. ამის საფუძველზე მკვლევარი დაასკვნის, რომ ერთი ნაწილი სოფლის მოსახლეობისა, ძირითადად, მიწათმოქმედებას მისდევდა (სხვადასხვა ფაქტებზე დამყარებით, მკვლევარები ვარაუდობენ, რომ ნაჭიეჭაევებში, მაგალითად, თითოეულ ოჯახს დაახლოებით წლიურად ხუთი ტონა პური მოჰყავდა), მეორე ნაწილი კი — მეცხოველეობას. მარანი ყველას ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ სოფელში არ არის კლიმატური პირობები ვენახის მოშენებისა. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ ვენახი ამ სოფელს ცოტა უფრო მოშორებით ჰქონდა — ქციისა და ალგეთის ნაპირებზე... ზოგი, ალბათ შემოდგომაზე ყიდულობდა ყურძენს, ღვინოს; ან საქონელსა და ხორბლეულზე გადაცვლიდა... ასე იყო თუ ისე, ღვინოს უსათუოდ აყენებდა და კარგა ბლომადაც. ამას ადასტურებს მარნის მოცულობა და ქვევრების სიხშირე ყველა ოჯახში და ყველა სახლში.

საერთოდ, ჩვენს სოფლებში უმთავრესად შერეულ მეურნეობას მისდევდნენ — ერთდროულად მიწათმოქმედებასაც, მეცხოველეობასაც, მებაღეობა-მებოსტნეობასაც და, რაღა თქმა უნდა, მევენახეობასაც. ცხადია, ბუნებრივ-კლიმატური პირობებისდა კვალობაზე ზოგან მეურნეობის ერთი დარგი იყო უფრო დაწინაურებული, ზოგან მეორე და მესამე...

მიწას რომ უკვე ტექნიკურად გაუმჯობესებული გუთნით ამუშავებდნენ მთელ საქართველოში, ამაზე წინა წიგნში გვქონდა საუბარი. ამ დროისათვის აქაც, ქვემო ქართლში, რაღა თქმა უნდა, გაუმჯობესებული გუთანი აქვთ, მაგრამ ნიადაგის სიმკვრივისდა მიხედვით, გუთნეულს ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვანაირად გამართავდნენ ხოლმე — ზოგან ყვავრი ხარ-კამეჩი ება, ზოგან — სამი-ოთხი უღელი, ზოგან — მეტიც. ვარაუდობენ, რომ აქ, ნაჭიეჭაევებში, გუთანში სამი უღელი ხარ-კამეჩი ჰყავდათ

შებმული, მკითხველისთვის ალბათ, საინტერესოა, რის საფუძველზე ვარაუდობენ ამას მკვლევარები. არქეოლოგიური გათხრების დროს ნაჭიეჭაევებში საფლავის ქვას წააწყდნენ, რომელზედაც გამოხატული იყო გუთანი და სამი უღელი (ეს ალბათ, გუთნისდედის საფლავის ქვა იყო).

პურეულს ცალფიცრიანი კვერით იქვე ლეწავდნენ, სახლის წინ, კალოზე — ასე უფრო მოსახერხებელი იყო: მარცვალს ბეღელში შეინახავდნენ და ბზეს — საბძელში. ერთიცა და მეორეც იქვე იყო, კალოსთან ახლოს. საბძლის მოცულობა, მკვლევარების გამოანგარიშებით 100 კუბურ მეტრს უდრიდა. ზამთრის თვეებში ეს ბზე, თიეასთან ერთად, ეყოფოდა ერთი კომლის საქონელს, გამოზაფხულებისთანავე კი ნახირს სოფლის ახლომახლო მინდვრებზე აძოვებდნენ. საძოვრები საერთო იყო, სხვა სოფლებსაც ეკუთვნოდა, და, როგორც ვარაუდობენ, ნაკვეთებად იქნებოდა დანაწილებული სოფლების კუთვნილების მიხედვით.

ბევრ სოფელში ზეთის სახდელი ჰქონდათ. სამშვილდეში ახლაც ნახავთ ასეთი ზეთსახდელის მოწყობილობას. თითქმის ყველა სოფელს თავისი წისქვილი ჰქონდა და მეწისქვილე მარცვლეულის დაფქვის საფასურად მინდს იღებდა; ისევე, როგორც ბოლო დრომდე იყო ჩვენს სოფლებში.

აღსანიშნავია ჭურჭლის სიმრავლე და მრავალფეროვნება, რაც თავისთავად ყოფაცხოვრების მაღალ კულტურაზე მიუთითებს. „სამზარეულოს ნაშთები კარგად ასაბუთებენ, — ეკითხულობთ იოსებ გძელიშვილის ნარკვევში, — რომ სოფლურ საკვებში შედიოდა მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ხორცი, ღორი და ფრინველი, ცხადია, გამოიყენებოდა აგრეთვე ბოსტნეული, ხილი და მწვანილი... საყურადღებოა აღინიშნოს, რომ გლეხების მოხმარების პროდუქტს კარაქიც შეადგენდა“.

„სოფლის ქალების ძირითად საქმიანობას, — ეკითხულობთ იქვე, — ცხადია, ოჯახის მოვლა-პატრონობა შეადგენდა. გათხრების შედეგად ნაპოვნი კვირისტავები და სხვა მასალები მოწმობენ, რომ ისინი სხვა საქმიანობასთან ერთად რთავდნენ, ქსოვდნენ და თიხისაგან სახელდახელოდ სახმარ ჭურჭელსაც ამზადებდნენ“.

არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა მინის სამაჯურებიც. სოფლელი ქალების მიერ სამკაულად მინის სამაჯურის გამოყენება, თავისთავად, ჩვენი იმდროინდელი სოფლის მაღალ ყოფით კულ-

ტურაზე მიუთითებს; ბევრ სხვა ქვეყანაში, ამავე პერიოდში, მინის სამაჯურებს მხოლოდ ქალაქელი ქალები ატარებდნენ.

მკვლევარები იმის გამორკვევასაც ცდილობენ და ახერხებენ, როგორ იცვამდნენ იმ დროს აქაური სოფლელი ქალები. ამ ადგილებში ნაპოვნი საფლავის ქვაზე გამოსახული ადამიანის ჩაცმულობის მიხედვით ვარაუდობენ, რომ „სოფელში ახალგაზრდა გათხოვილი ქალები მუხლამდე კაბებს ატარებდნენ და იცვამდნენ მაღალქუსლიან ტყავის ფეხსაცმელებს“.

რამდენადაც საქართველოს ცალკეული კუთხეები კარჩაკეტილ ცხოვრებას არ ეწეოდნენ და ერთმანეთთან გაცხოველებული ეკონომიკური თუ კულტურული ურთიერთობა ჰქონდათ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დაახლოებით ასეთივე იქნებოდა საქართველოს სხვა სოფლები.

მკითხველს, ბუნებრივია, დაებადება კითხვა: ვის ეკუთვნოდა სოფელი?

ზოგიერთი სოფელი უშუალოდ მეფის კუთვნილება იყო, ზოგი ეკლესიას ეკუთვნოდა, ზოგიც — ფეოდალს. ზოგი სოფლის მოსახლეობა კი იყოფოდა და ცალკეული კომლები სხვადასხვა პატრონს ეკუთვნოდა, ზემოთ ჩვენ ამისი მაგალითი უკვე ვნახეთ: თამარის სიგელით, სოფელ სხალტბის ორი ოჯახი — ქოსაისძენი — აკი მონასტერს მიებოძა და იმ დღიდან მოკიდებული მონასტრის საკუთრება გახდა, სხვა ყოველგვარი გადასახადებისგან გათავისუფლდა.

მაგრამ ვინ განაგებდა უშუალოდ სოფელს? ეს ჩვენ ზემოთ უკვე ვნახეთ, როცა დარბაზის შემადგენლობას ვეცნობოდით. სოფელს მემამულე განაგებდა, მამასახლისისა და სხვა დაბალი მოხელეების საშუალებით (გზირები). მამასახლისს ევალებოდა გადაეწყვიტა, სად უნდა წასულიყო ესა თუ ის გლეხი სამუშაოდ. გადასახადებსაც თვითონვე კრეფდა და მერე მემამულეს ჩააბარებდა. სამართლის საქმეებიც მის ხელთ იყო. როგორც ვხედავთ, მამასახლისის უფლებები საკმაოდ დიდი და შეუზღუდავი იყო. როგორც ჩანს, სოფელიც ღონიერი ყოფილა ამ დროისათვის.

სოფლის სხვა მოხელეებს ჩვენ ზემოთაც გავეცანით, როცა საქვეყნო გამრიგებლებზე გვქონდა საუბარი.

როგორიღა იყო ფეოდალის სასახლე და ეზო-კარმიდამო?

ეს, რაღა თქმა უნდა, დამოკიდებული გახლდათ თვით ფეოდალის სიძლიერეზე, მისი გავლენის სფეროზე (ლიპარიტ ორბელიანი

მეფეს არ უდებდა ტოლს, და, ცხადია, მისი სასახლე ბევრით არ ჩამოუვარდებოდა მეფისას. ასეთი ძლიერი ფეოდალის ციხე-დარბაზის ნიმუში დღესაც შეგვიძლია ვიხილოთ ანანურში. მართალია, ანანურის ნუგზარ ერისთავისეული ციხე-დარბაზი უფრო მოგვიანო პერიოდს განეკუთვნება, მაგრამ განსხვავება ალბათ დიდი არ არის და ეს ნაგებობა ცოცხალ წარმოდგენას გვიქმნის მსხვილი ფეოდალის ცხოვრების წესზეც და მის დაუოკებელ პატივმოყვარეობაზეც). სასახლის ეზო შემოვლებულია ქვის მაღალი გალავნით, აქვს თავისი სათვალთვალო კოშკი, საიდანაც ირგვლივ ხელისგულივით ჩანს ყველაფერი, სადამდეც კი თვალის სხივი მისწვდება; ეზოშივე აქვს თავისი კარის ეკლესია; შეყვანილი აქვს წყალი და არა მარტო სასმელად, არამედ აბანოსთვისაც... აქვს დიდი პალატები სტუმრებისა და ელჩების მისაღებად. ეზოშივე აქვს დიდი მარანი, და შემოდგომობით ყურძნის დაწურვა ხის ვეებერთელა საწნახელების დიდ ზეიმად იქცევა ხოლმე; ცალკე უდგას საბაზიერო, უფრო მოშორებით — საჯინიბოც... ფეოდალი საპატიო სტუმარს მუდამ სიამაყით დაათვალიერებინებდა ხოლმე ერთსაც და მეორესაც: როგორ შეიძლებოდა, შორიდან საგანგებოდ ახლად მოყვანილი ბედაური, მიმინო ან მწევარი არა ჰყოლოდა...

სტუმრები გამოულეელად ჰყავდა ფეოდალს — ხან შორებელი მსხვილი ფეოდალი თავისი ამალით, ხან შედარებით ახლო მეზობელი; ზოგი გულითადი მეგობარი და მოკაშირე იყო, ზოგიც ერთგულად აჩვენებდა თავს, თორემ, სინამდვილეში, ცალკერძ შიში უკარგავდა მოსვენებას და ცალკერძ შური... მსახურებს ძილი და მოსვენება არა ჰქონდათ, რათა ღირსეულად დახვედროდნენ მრავალრიცხოვან სტუმრებს. ხაბაზები ღამიანადვე შეუღგებოდნენ პურის ცხობას, სტუმრებს ძილშივე უღვიძებდა მადას სახაბაზოდან მოსული ახალგამომცხვარი პურისა და ნაზუქების საამური სურნელი, ბუნდოვნად ჩაესმოდათ დასაკლავად განწირული საქონლის შორეული შებღავლება... იციალებდა თუ არა, საჯინიბოდან ცხენების ჭიხვინი მოისმოდა, ძაღლების გნიასი ტალღებად მოდიოდა ხოლმე... მაშინდელი ადამიანის სმენა შეჩვეული იყო ასეთ ხმაურს...

ერთი სიტყვით, მსხვილი ფეოდალი მეფეს ტოლს არ უდებდა და ცდილობდა მეფის ცხოვრების წესი გადმოეღო. თქვენ გახსოვთ მურმანის ცაში აწვდილი ბროლის ციხე. მარტო ამის მიხედვითაც ძნელი აღარ უნდა იყოს მისი ცხოვრების წესის განსაზღვრა. ეს, მართალია, ზღაპრიდან არის, მაგრამ ისიც მოგეხსენებათ, რომ ეს

ზღაპარი რეალისტურად გამოკვეთილი სოციალური სიმახვილით გამოირჩევა...

ასეთი იყო მსხვილი ფეოდალის სასახლე.

საშუალო შეძლების ფეოდალის კარმიდამო ამას, რა თქმა უნდა, ჩამოუვარდება. მაგრამ იხტიბარს ისიც არ იტეხს და ცდილობს, თავის ტოლებს მაინც არ ჩამორჩეს, ის ჯი არა-და, ცოტა უფრო მდიდრადაც მოაჩვენოს უცხო ადამიანს თავი

ასეთი ფეოდალის სახლს ნიკო ბერძენიშვილი აგვიწერს:

მისი „სახლი ჩვეულებრივ ორსართულიანი იყო. ასეთ შენობას ძველ საქართველოში საერთოდ „ცხრაკარა“ ეწოდებოდა, იმიტომ, რომ მის საცხოვრებელ ნაწილს მრავალი კარი ჰქონდა ხოლმე. ცხრაკარა კეთილმოწყობილ ნაგებობას წარმოადგენდა. მის ახლოს, ჩვეულებრივ, გამართული იყო აბანო, რომელსაც წყალი ხშირად შორი მანძილიდან საგანგებო წყალსადენით მოუდიოდა... სასახლეში იყო მარანი, სადაც ზვრებიდან მიღებული ან საგლეხო გადასახადის სახით შემოსული ღვინო ინახებოდა. ბეღელი — ხოდაბუნებიდან თუ ბეგრის სახით გლეხთაგან შემოსული პურეულისთვის, საჯინიბო — ცხენებისთვის; ბოსელი — ხარ-ძროხისთვის. სახლი სამეზრეო, სახლი სამზარეულო და სხვა სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი...“

აქვე ორიოდე სიტყვა სამეფო კარისა და პალატის შესახებ. ხშირად ვახსენებთ ხოლმე სამეფო კარს, სამეფო პალატს... აქ იმართებოდა დიდი თუ მცირე დარბაზობანი, აქვე იმართებოდა საკაზიროს სხდომები, აქ ხდებოდა უცხო სახელმწიფოთა ელჩების მიღება, აქედან იგზავნებოდა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეს მეფის ბრძანებები, აქ იწერებოდა სიგელ-გუჯრები... მაგრამ როგორც მკვლევარი კოტე გრიგოლია წერს, კარგად გარკვეული არ ყოფილა, რა განსხვავება იყო პალატსა და სამეფო კარს შორის, ხშირად ეს ორი სიტყვა სინონიმებად მიაჩნიათ...

და სწორედ რუსთაველის სავარაუდებელი საისტორიო თხზულების იმ ნაწყვეტში, რომელიც კ. გრიგოლიასვე ვარაუდით, ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულებას აქვს მიბმული და რომლის შესახებ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ — კარგად ჩანს, რა ყოფილა პალატი და რა — სამეფო კარი. ეს დაკვირვება კოტე გრიგოლიას ეკუთვნის. იგი წერს:

პალატიცა და კარიც, „ორივე სასახლის ნაწილები ჩანს, ოღონდ პალატი სხვა ყოფილა და კარი კიდევ სხვა. პალატი უნდა ყოფილიყო სასახლის ის ნაწილი, რომელშიაც მეფე ცხოვრობდა და მისი

ოჯახი იმყოფებოდა. პალატში სრულდებოდა აგრეთვე ლოცვა და ღვთისმსახურება მეფისა და მისი ოჯახის წევრებისათვის. კარი კი ოფიციალური ნაწილი უნდა ყოფილიყო სასახლისა, რომელშიაც სამეფო ტახტი იდგა...“

●

თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულების იმ ნაწილში, რომელსაც ზოგიერთი მკვლევარი რუსთაველის საისტორიო ქმნილების ნაწყვეტად ეარაუდობს, ასეთ სიტყვებს ვხვდებით: „ხოლო საქმეთა მისთათვის რადღა სახმარ არს თქმად, რამეთუ კიდითკიდედმდე განისმნეს, ეითარცა თვით მოწამე არს ყოველი ჩუენ მიერ ხილული სიტყვისაებრ ბრძნისა“ — იმის ჩამოთვლას რაღას მოვყვეთ, რაც თამარს გაუკეთებია; ამას ხომ ისედაც ვხედავთო.

აქ ლაპარაკია იმ დიდ საქმეებზე, რასაც ცხოვრების ყოველ დარგში ხედავდნენ მაშინდელი ადამიანები და ამიტომ მემატიანეები ამის აღუსხვას საჭიროდ არცა თვლიდნენ; შთამომავლობისთვის კი, როგორც ითქვა, მხოლოდ ომების ისტორიას წერდნენ და მეფის ზოგადი ქებით კმაყოფილდებოდნენ. ჩვენ შეეცადეთ, ნაწილობრივ მაინც მიგვეანიშნებინა ჩვენი ხალხის დაუცხრომელ შრომასა და გულმოდგინებაზე, რისი წყალობითაც ცხოვრების სხვადასხვა დარგებმა, იმან, რაც ხალხის საყოფაცხოვრებო კულტურის დონეს გამოხატავს, მართლაც მანამდე არნახულ სიმაღლეს მიაღწია. იგი მაღალი იყო არა მხოლოდ თავისთავად, არამედ მაშინდელი მსოფლიოს საზომებით და მასთან მიმართებითაც.

იმდროინდელი საქართველოს ეკონომიკური ძლიერების საჩვენებლად ივანე ჯავახიშვილს უცხოელი მწერლის ყაზვინის საგულისხმო ცნობა მოპყავს: ყმადნაფიცი ქვეყნების ჩაუთვლელად, „საკუთრივ საქართველოს ყოველწლიური სახელმწიფო სალაროს ფულადი შემოსავალი 3.750.000 ოქროს მანეთს უდრიდა... ეს თანხა მხოლოდ ფულადი შემოსავლის ოდენობაა. ამას გარდა, მას სულადად დაწესებული გადასახადების შემოსავალიც ჰქონდა“.

მეცნიერს იქვე მოაქვს იმდროინდელი სხვა ქვეყნების შემოსავალიც და ეს შეფარდება საინტერესო სურათს გვაძლევს: „ამავე ხანაში მცირე აზიის შემოსავალიც კი 2.475.000 მანეთს, არაბეთის ერაყის — 2.250.000 მანეთს შეადგენდა მხოლოდ... ინგლისის მეფის შემოსა-

ვალი 1300 წელს 4.000.000 ოქროს ფრანკს, ხოლო საფრანგეთისა 1311 წელს 3.000.000 ფრანკს არ აღემატებოდა“...„საქართველოს არ ახსოვს ფულის ტრიალის ისეთი მასშტაბები, როგორც ეს იყო XII-XIII საუკუნეებში“, — წერს ლეევან ჭილაშვილი.

საერთოდ, ამნაირი კეთილდღეობა ქვეყანას მანამდე (და მას შემდეგაც ძალიან დიდხანს) არ ახსოვდა.

ქვეყნის ასეთი ეკონომიკური ძლიერება თავისთავად მტკიცე საფუძველს წარმოადგენდა კულტურის შემდგომი განვითარებისა და გაფურჩქვნისათვის; სწორედ რომ შესაფერი ნიადაგი იყო იმ ახალი მოძრაობის აღორძინებისთვის, რამაც კაცობრიობა საუკუნოვანი სიბნელიდან გამოიყვანა და ახალ გზაზე დააყენა.

●

ერთი სიტყვით, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და ძლიერება კარგ ნიადაგს უქმნიდა სულიერი კულტურის არნახულ აღმავლობას. „რადღა სახმარ არს თქმადო“, და თითქოს მართლაც რა საგანგებო აღნუსხვა სჭირდებოდა იმ დიდებულ არქიტექტურულ ძეგლებს, რომლებიც ყველას თვალწინ და ყველას მონაწილეობით იქმნებოდა. გელათი, იყალთო, უბისა, გეგუთი, ვარძია... ესენი ჩვენ უკვე ვახსენთ. ჯერ არ გვიხსნებია იკორთა, ბეთანია, ქვათახევი, ფიტარეთი, წუღრუღაშენი, ყინცვისი... ეს უკვე ქრონოლოგიურად მომდევნო წლების ძეგლებია. ყველას, რა თქმა უნდა, ვერ ჩამოვთვლით, ვერც სათითაოდ მათ აღწერასა და ანალიზს მოვყვებით. ეს არ არის ჩვენი წიგნის მიზანი. დაინტერესებული მკითხველი ამას სპეციალურ ლიტერატურაში ნახავს. კიდევ ერთხელ გახსენება კი ამ დიდებული ძეგლებისა იმიტომ გვჭირდება, რათა ჩვენი ხალხის სულიერი კულტურის დონე წარმოვიდგინოთ.

როცა ბოლო დროს აგებულ ტაძრებზე ლაპარაკობენ, მკვლევარები ყურადღებას ამახვილებენ ერთ საგულისხმო მოვლენაზე: ეს ტაძრები „თითქმის უგამონაკლისოდ... განმარტოებულ, სოფელ-ქალაქთაგან დაშორებულ ხეობებში მდებარეობს“... პროფესორი ვახტანგ ბერიძე იქვე გვთავაზობს ამის მიზეზს: ამ ტაძართა „უმეტესობა აშენებულია ხანდაზმულ ფეოდალთა მიერ, რომელნიც განშორდნენ ბობოქარ ცხოვრებას — ზოგი ბერადაც აღიკვეცა — და არჩიეს დარჩენილი დღენი „სულიერი“ ცხოვრებისათვის მიეძღვნათ“...

თავისთავად საინტერესო მოსაზრებაა... მაგრამ უნებურად მოგინდება, სხვა მოტივიც მოუძებნო ამ მოვლენას, ზემოთაც შევნიშნეთ ერთი დამახასიათებელი თვისება ქართული კულტურის განვითარებისა — სწორი და ბრძნული პოლიტიკა, რასაც საოცარი თანამიმდევრობით ატარებდნენ ქვეყნის სხვადასხვა დროის მესვეურნი: ეს გახლავთ დაუცხრომელი მისწრაფება, რომ ერთ ადგილას კი არ მოუყარონ თავი კულტურის კერებს, არამედ მთელ ქვეყანაში გაფანტონ;

ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასალმა, დედაქალაქის გადატანა რომ გადაწყვიტა, ამით თავისთავად შექმნა კულტურის ახალი, დიდი ცენტრი, მაგრამ ისე, რომ ძველი არ მოუშლია — ძველი თავისთავად ცხოვრობდა და ვითარდებოდა. მანვე საფუძველი ჩაუყარა კულტურის კერებს სამხრეთ საქართველოს შორეულ კუთხეებში (რამაც, თავისთავად, ნიადაგი მოუმზადა რამდენიმე საუკუნის შემდეგ კულტურის ფართო მასშტაბით მშენებლობას მთელ იმ მხარეში, ეს კი მერე ქვეყნის გაერთიანების საფუძველიც გახდა); და იგივე ვახტანგ გორგასალი ფართო მასშტაბით აარსებს კულტურის კერებს ქვეყნის მეორე უკიდურეს მხარეს — კახეთსა და ჰერეთში...

ბაგრატ მესამემ რომ დიდი ტაძარი ააგო ქუთაისში, ეს იყო ქვეყნის გაერთიანების სიმბოლოც და ამავე დროს საფუძველიც აქ, ამ კუთხეში კულტურის ფართო მასშტაბით განვითარებისა. იგივე ბაგრატ მესამე კულტურის კერებს აარსებს ქვეყნის უკიდურეს დასავლეთში, და სამხრეთ საქართველოშიაც ყოველნაირად უწყობს ხელს კულტურის უკვე დაწყებულ ფართო მშენებლობას...

ჩვენ ვნახეთ, კულტურის რა დიდი კერა შექმნა დავით აღმაშენებელმა გელათში, და თითქმის ერთდროულად, უნდა ვიგულისხმოთ, მისი თაოსნობითა და მონაწილეობით, არსდება კიდევ ერთი აკადემია ქვეყნის მეორე მხარეში; გარდა ამისა, იგი აახლებს და აფართოებს კულტურის კერას შიომღვიმეში; დავითმა დედა-ქალაქი კვლავ თბილისში გადაიტანა და ამით, თავისთავად იგულისხმება, საფუძველი შეუქმნა, ჩვენთვის ცნობილი მიზეზების გამო აქ მთელი ოთხი საუკუნით შეჩერებულ განვითარებას კულტურისას. ამავე დროს, არათუ კულტურის ცენტრი არ მოუშლია ქუთაისში, არამედ იქ რეზიდენციაც შეინარჩუნა...

უნებურად გახსენდება ეს ყველაფერი, როცა რუსთაველის ეპოქაში დამკვიდრებული კულტურის კერების გეოგრაფიულ სივრცეს გადაავლებ თვალს; მოგინდება ვარძიის, ფიტარეთის, ბეთანიის,

იკორთის, ყინცვისის, ბერთუბანის თუ სხვა ტაძართა საქართველოს სულ სხვადასხვა კუთხეში დაფუძნება ქვეყნის მესვეურთა იმ სწორი პოლიტიკითაც ახსნა, რაზედაც ზემოთ გექონდა ლაპარაკი...

მართალია, ეს ფეოდალიზმის პირობებში ხდება, ყველა ამ კუთხეს თავისი ფეოდალი პყავს, ყველა თავისკენ მიიწევს, ყველას თავისი ინტერესები და მისწრაფებანი აქვს, ყველა ცდილობს, რაც შეიძლება მაღალი გალავანი შემოაკლოს საკუთარ ციხე-დარბაზს და ამით თავის დამოუკიდებლობას და ძლიერებას გაუსვას ხაზი... ჩვენ ვიცით, და მომავალში კიდევ უფრო ხშირად ვნახავთ, ზოგჯერ მეფისთვისაც როგორ მიუვალი გამხდარა ეს მაღალი გალავანი... ერთი სიტყვით, თუკი მოახერხეს, ფეოდალები მუდამ გამომწვევი ურჩობით იქცევიან მეფის მიმართ. მაგრამ გააჩნია, როდის და რა ვითარებაში... ზემოთ რომ ტაძრები ჩამოვთვალეთ, თვით მასშტაბი მათი საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ისინი ქვეყნის მესვეურთა სურვილით, თაოსნობითა და უშუალო მონაწილეობით შექმნილან; ამასვე ადასტურებს ამ ტაძრების კედლებზე გამოსახული ფრესკებიც... არსებობს წერილობითი საბუთი, რომ ქართული ხელოვნების ერთი უშესანიშნავესი ძეგლი, რომელიც საერთოდ მსოფლიო კულტურის საგანძურსაც ამკობს, თამარის დაკვეთით შექმნილა: „ბრძანებითა და ნიეთისა ბოძებითა ღმრთიე გვირგვინოსნისა დიდისა დედოფალთ დედოფლისა თამარისათა, მე იოანე ანჩელმან რკინაელმან ხელეყავ საშინელისა ამისა ხატისა პატივის მოჭედად, მფარველმცა არს მეფობისა მათისა აქა და საუკუნესა“... ვარძია რომ „პირველად დაეწყო“ გიორგი მესამეს და რაკი მან გასრულება ვერ მოასწრო („ვერ სრულ ექმნა“), „დიდმან ამან (თამარმა) აღასრულა და შეამკო“, ამას ხომ თვით მემატიანე გადმოგვცემს... და იქვე უცხოეთში აგებულ მონასტრებს ჩამოგვითვლის; იმასაც მიგვანიშნებს, რომ უპირველეს ყოვლისა, საქართველოში ააშენა მან მონასტრები და „საქართველოსა მცირითგან მონასტრით საყდარ-ეკლესიანი არა დაუტევა, რომელ არა წყალობითა აღავსო“... ჩამოთვლით კი, რაკი „გრძელ სადმე არს ყოვლისა მოთხრობილობა“, ანუ ძალიან რომ არ გაუგრძელდეს სიტყვა, არ ჩამოგვითვლის. მაგრამ ხომ ისედაც ნათელია, რომ, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი ტაძრებია ნაგულისხმევი.

როცა ამ ეპოქის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებზე ვლაპარაკობთ, მათ მაღალმხატვრულობასთან ერთად, ისევ და ისევ ხაზი უნდა გაეუსვათ ეროვნულ თავისთავადობასა და თვით-

მყოფადობას. „მათი დიდი მხატვრული ღირსება, მკაფიო თავისებურება, განვითარების დამოუკიდებლობა, ნებას გვაძლევს, ქართული ხუროთმოძღვრება იმდროინდელი ევროპული და წინააზიური ხელოვნების ღირსშესანიშნავ მოვლენად ჩავთვალოთ. — წერს ვახტანგ ბერიძე, — ბუნებრივია, იგი ენათესაება სხვა ქრისტიანული ქვეყნების ხუროთმოძღვრებას, რომლებთანაც მას იდეური და ფუნქციური ამოცანების იგივეობა აკავშირებს. მაგრამ ეს მის ორიგინალობაზე გავლენას ვერ ახდენს. ქართულ მწერლობასთან და სიმღერასთან ერთად, სწორედ ქართული ხუროთმოძღვრება გამოსახავს ყველაზე სრულად და ნათლად ქართული კულტურის ეროვნულ თავისებურებას“.

ზემოთ მოტანილი სიტყვები იმდროინდელ ქართულ ხუროთმოძღვრებაზეა ნათქვამი, მაგრამ თავისუფლად შეგვიძლია გავიმეოროთ ხელოვნების სხვა დარგებზედაც, რომელთა განვითარება მაშინდელი მსოფლიო ხელოვნების, კერძოდ, ქრისტიანული ქვეყნების ხელოვნების საერთო კანონზომიერებას ემორჩილება, ენათესაება კიდეც მათ, „იდეური და ფუნქციური ამოცანების იგივეობა აკავშირებთ“, ურთიერთცხოველმყოფელ გავლენასაც განიცდიან, რაც საკუთარი ბუნებრივია კულტურის ნორმალური განვითარებისთვის; მაგრამ იმდროინდელი ქართული ხელოვნების ყველა დარგი — საქვეყნოდ სახელგანთქმული ქართული ოქრომჭედლობაც, ხელნაწერთა მინიატურებიც, კედლის მხატვრობაც, მინანქრების ხელოვნებაც — მკაფიოდ გამოხატული ეროვნული თავისებურებებითა და ორიგინალობით გამოირჩევა.

პირველ წიგნში ჩვენ მივუთითებდით ქართული ხელოვნებისთვის დამახასიათებელ მომხიბლველ სისადავეზე; როცა XI-XII საუკუნეების, ანუ, როგორც უფრო ხშირად უწოდებენ ხოლმე ამ პერიოდს, რუსთაველის ეპოქის ხელოვნებაზე ვლაპარაკობთ, მით უფრო თამამად შეგვიძლია გავიმეოროთ ეს... ჩვენ აქ არ შეეცდებით ქართული ხელოვნების ყველა დარგისთვის დამახასიათებელი თავისებურებების ჩამოთვლას. მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ მთავარი, საერთო ნიშანი, რაც იმდროინდელი ქართული ხელოვნებისთვისაც და, განსაკუთრებით, ლიტერატურისთვის არის დამახასიათებელი. ეს არის საერო მოტივების კიდევ უფრო გაძლიერება. მიუხედავად იმისა, რომ აქ ჩამოთვლილი დარგები ხელოვნებისა უმთავრესად რელიგიურ თემებს გადმოგვცემენ,

ქართველ ხელოვანთა ქმნილებებში დაძლეულია ასეთი ხასიათის ნაწარმოებებისთვის დამახასიათებელი სქემატურობა და ერთფეროვნება... ისინი უმღერიან სილამაზეს, სიყვარულს, მომხიბლავი მრავალფეროვნებით სავსე ამქვეყნიურ ცხოვრებას, ადამიანის სულის თავისუფალ და ჰარმონიულ განვითარებას... ეს ქმნილებანი მაღალი ოსტატობითა და დიდი ემოციური ზემოქმედების ძალით გამოირჩევიან...

სწორედ ამ დროს, XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე მიაღწია მაგალითად, ქართულმა ოქრომჭედლობამ ანუ ოქრომქანდაკებლობამ, განვითარების უმაღლეს დონეს. ხელოვნების ამ დარგის უფრო ადრინდელ ნიმუშებსაც მოუღწევიათ ჩვენამდე და ამდენად, საშუალება გვაქვს, თვალი მივადევნოთ ქართული ოქრომქანდაკებლობის განვითარების მეტად საინტერესო გზას... ვნახოთ, როგორ თანდათანობით იხვეწება ლითონზე გამოკვეთილი ფიგურები, პროპორციები... როგორი ლაკონიური, დინამიკური და პლასტიკური ხდება, როგორ სულ უფრო და უფრო ღრმადა სწვდებიან ადამიანის ანატომიას და, საბოლოოდ, განვითარების უმაღლეს საფეხურზე როგორ განგვაცდევინებენ არა მარტო ლაღ და ბუნებრივ მოძრაობას ადამიანის სხეულისა, არამედ მათი სულის მღელვარებასაც გვაგრძნობინებენ...

სწორედ ამ ხანებში მოღვაწეობდნენ შესანიშნავი ოქრომქანდაკებლები ბეშქენ და ბექა ოპიზარები.

ოქრომქანდაკებლობის შედევრი, ბექა ოპიზარისეული ანჩისხატის მაცხოვრის ჩარჩოს მოჭედილობა 1184-1193 წლებშია შესრულებული, ანუ თამარის დამოუკიდებელი მეფობის დროს, როგორც ზემოთ ვნახეთ, თამარისავე დაკვეთით. ბექასივე წყაროსთავის სახარების მოჭედილობა 1195 წელსაა შესრულებული...

ბეშქენ და ბექა ოპიზარების სულ რამდენიმე ქმნილებას მოუღწევია ჩვენამდე, დანარჩენი დაკარგულა, დაღუპულა... წარწერა გვაუწყებს, მაგალითად, რომ წალკაში მოპოვებული სახარების ყდა ბექა ოპიზარის ხელით ყოფილა შესრულებული... სახარებამ მოაღწია ჩვენამდე, ამ საგულისხმო მინაწერმაც... გენიალური ხელოვანის ქმნილებამ კი, სამწუხაროდ, — არა. იგი დაიკარგა. ვინ იცის, როგორ და რა ვითარებაში. იქნებ დღესაც არსებობს იგი სადმე, მიწაწყრილი და გახუნებული, იქნებ ბედნიერი მკვლევარის თვალს ელოდება, რომ პირველი ელვარებით გაბრწყინდეს და ქართული ხელოვნება ახალი შედევრით გაამდიდროს!.. ვერ ვიტყვით, რომ უყურადღებობისა და

გულგრილობის გამო იყოს დაკარგული ამ დიდებულ ხელოვანთა დანარჩენი ქმნილებანი, თანამედროვეებსაც კარგად ესმოდათ მათი მაღალი ღირსება და თავყანსა სცემდნენ. იმ მცირე გასამრჯელოს მიხედვით ნუ ვიმსჯელებთ, რასაც ამ დიდებული ქმნილებებისთვის უხდიდნენ ავტორებს: ბექა ოპიზარს, მაგალითად, 23 დრამა მიუღია წყაროსთაეის სახარების ყდისათვის. ეს საინტერესო ფაქტი მინაწერიდან ირკვევა. სხვა ასეთივე მინაწერები კარგად გვიჩვენებენ, როგორ აფასებდნენ გენიალურ დიდოსტატებს. ზემოთ ნახსენებ ანჩის სახარებაზე (რომლის მოჭედილი ყდა დაკარგულია) ასეთ სიტყვებსაც ეკითხულობთ: „მოვაჭედინე ღმრთისა მიერ კურთხეულს, ღირსსა ოქროის მქანდაკებელსა ბექას“ (ამას წერს მწიგნობარი სოფრომი).

კიდევ უფრო საინტერესო და საგულისხმო მინაწერი შემოუნახავს ბერთის სახარებას, რომლის ყდის მოჭედილობა ბეშქენ ოპიზარს ეკუთვნის (ეს არის ერთადერთი ჩვენამდე მოღწეული ქმნილება ავტორისა);

„დეკანოზო, გეეედრები, რომ ესე სახარება დიაკონთა სათრეველად არა შეჰქმნა და უეკლესიოდ ღამესა არასადა გაარებდე... და უკუეთუ ვინმე სენაკსა შინა დაიდვას, ესემცა წმიდანი მახარებელნი მრისხანენი არიან მისნი“...

ნუთუ მართლა ამ გულითად შეგონებას და მრისხანე გაფრთხილებას უნდა ეუმადლოთ, ბეშქენ ოპიზარის ერთადერთმა ქმნილებამ ჩვენს დრომდე რომ მოაღწია?!

ეს წარწერები იმის მაგალითად მოვიტანეთ, რომ თანამედროვეებს კარგად ჰქონდათ შეგნებული ხელოვნების ამ დარგის მნიშვნელობაც და გენიალური დიდოსტატების მაღალი ნიჭიც. მომდევნო წლებსა და საუკუნეებში დატრიალებულმა კატასტროფებმა იმსხვერპლეს დანარჩენი ქმნილებანი. ახლა ძნელი დასადგენია, კონკრეტულად სად და რა ვითარებაში დაიღუპნენ ისინი. საგულისხმოა, რომ ანჩის სახარებას, რომლის აწ დაკარგული ყდა ბექა ოპიზარს მოუჭედია, ექვთიმე თაყაიშვილი წააწყდა თურქეთიდან გადმოსახლებული ბერძნის ოჯახში... ხომ ხედავთ, რამდენი უხეტიალია ამ დიდებულ ქმნილებას! მხოლოდ ფანტაზიით თუ გავაცოცხლებთ, რა პირობებში შეიძლებოდა დაღუპულიყო!..

ხელნაწერთა მინიატურების მხატვრობაზე წინა წიგნშიც გვქონდა ლაპარაკი. აქ საერო მოტივების ძებნა არ გაგვძნელებია. მხატვრები არ მორიდებიან ყოველდღიური ცხოვრებისეული დეტალებით

შეემკოთ წმიდა წიგნები: ენახეთ მხატვრის მიერ დანახული ამაღელვებელი სურათები ადამიანთა ყოფისა — როგორ გასულა ბაღში ახალგაზრდა ცოლ-ქმარი და ნერგებსა რგავს; როგორ ასწავლის მოხუცი პაპა შვილიშვილებს მყნობას...

საკუთრივ საერო მინიატურების დიდებულ ნიმუშებსაც მოულწევია ჩვენამდე: 1188 წელს შესრულებული ე. წ. ასტრონომიული ტრაქტატი დასურათებულია ზოდიაქოს ნიშნებით და, მკვლევარების აზრით, იგი ამავე ტიპის არაბულ-სპარსულ ხელნაწერებზე უფრო ძველია; სტილურადაც საესებით განსხვავდება არაბულ-სპარსული მინიატურებისგან.

მაგრამ რელიგიურ თემებშიაც, რომელთა რიცხვი, რაღა თქმა უნდა, დიდად სჭარბობს, არ გაგვიძნელდება საერო მოტივების მიკვლევა, იმდროინდელ ქართველ ხელოვანთა მისწრაფება, მთელი ექსპრესიულობითა და დინამიურობით აჩვენონ ცხოვრებისეული სილამაზის მომხიბველობა, ადამიანის სულიერი მღელვარება, ადამიანთა ურთიერთობის დრამატიზმი...

და როცა ჩვენ მინიატურებში სახარების ცნობილ ეპიზოდებსა ვხედებით, აქ საუკუნეობით ჩამოყალიბებული უსიცოცხლო სქემები კი არ არის, არამედ ადამიანთა რთული, ზოგჯერ დრამატიზმამდე გამძაფრებული ურთიერთობების გადმოცემაა; როცა შეეყურებთ, ვთქვათ, სატანის მიერ ქრისტეს ცთუნების ცდას, აქ ღვთაებისა და ქვესკნელის ბნელი ძალის, თუნდაც ბოროტისა და კეთილის დაპირისპირების სქემატური სიმბოლო კი არ არის მოცემული, არამედ მხატვრის მიერ მარჯვედ დანახული ენებათაღელვანი ადამიანის სულისა; და თუმცა აეტორი სულაც არ ცდილობს სატანის სახის სიმპათიზირებას, მასში მაინც ჩანს ის სირთულე და მრავალპლანიანობა ქვესკნელის მეუფის გაადამიანურებული სახისა, რაც რამდენიმე საუკუნის შემდეგ ასე სახოვნად და ამაღელვებლად დაგვიხატა დიდმა ინგლისელმა პუმანისტმა მილტონმა.

როცა მხატვრობაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება განსაკუთრებული ყურადღება არ მივაქციოთ ფერების საოცარ, რბილ და მარჯვე შეხამებას. ჩვენ საშუალება გვაქვს, სახელიც გავიხსენოთ მინიატურების ერთ-ერთი მხატვრისა; იგი მეთორმეტე საუკუნეში მოღვაწეობდა და წიგნს, რომელიც ამ მხატვარს შეუმკია, ასეთი მინაწერიც შემორჩენია: „ქრისტე, შეიწყალე მიქაელ და დაიცავ". ეს გახლავთ ერთგან ჩვენს მიერ უკვე ნახსენები ჯრუჭის სახარება. ამ სახარების ფურცლებზე 334 მინიატურას ვხედებით, სხვადასხვა

მხატვრის მიერ შესრულებულს, რომელთაგან ზოგიერთი სწორედ მიქაელს ეკუთვნის, მეცნიერები სტილით განარჩევენ მის ნახატებს. და აქ ისევ ფერთა საოცარი შეხამება უნდა გავიხსენოთ.

ვახტანგ ბერიძეს თავის წიგნში მოტანილი აქვს სარა ბარნაველის სიტყვები: „პირველ რიგში მას სხვა მხატვართაგან ერთბაშად გამოარჩევს ნათელი, ძირითადად მხიარული ფერების გამა. ფერები გამჭვირვალეა და წმინდა, როგორც ძვირფასი თვლებისა. მთავარი შეხამებანია: ოქროსი შავთან ან შოკოლადისფერთან, მკრთალი ოქროსფერისა წაბლისფერთან, დარიჩინის ფერისა ცისფერთან. ლურჯ ფერს აქვს განსაკუთრებით მშვენიერი, მოხდენილი ელფერი. მინიატურების ფონი ოქროსია... ნიადაგი, ძირითადად, მომწვანოცისფერია. ამგვარ ნიადაგზე ბალახი მოცემულია როგორც პატარა ბუჩქები ან როგორც წიწვიანი მცენარეები წითელი მომრგვალო ყვავილებით, რომლებსაც გულში აქვთ სამი შავი წინწკალი, სამი მხრიდან... (მხატვრის) ორნამენტის მაღალი ღირსება განიზომება არა მარტო ხაზების სილამაზით, არამედ ფერების დახვეწილი ჰარმონიით... მხატვარს სიცოცხლე შეაქვს ყველაფერში, რასაც ეხება“...

„სიცოცხლე შეაქვს ყველაფერში!“...

ამ სადად გამოთქმულ აზრს ღრმა შინაარსი აქვს. სწორედ ეს არის პირველი ძლიერი ტალღა განახლებული ცხოერებისა, კაშკაშა სინათლე, რომელიც შუასაუკუნეობრივი სქოლასტიზმის წყვდიადს გაჰფანტავს და ბნელში მოქცეულ კაცობრიობას გზას გაუნათებს, ცხოერებას შეუმსუბუქებს, აამაღლებს, გაასპეტაკებს, ამქვეყნიური ცხოერების სილამაზესა და მომხიბველელობას აჩვენებს და აზიარებს... ეს არის ჰუმანიზმის, რენესანსის პირველი სხივი, რომელიც, როგორც ვხედავთ, ყველაზე ადრე აღმოსავლეთში ამობრწყინდა.

სიცოცხლე ყველაფერში!..

ეს მინიატურების მხატვარზე იყო ნათქვამი და მით უფრო თამამად შეგვიძლია გავიმეოროთ ქართულ კედლის მხატვრობაზე, რამაც ამ პერიოდში, XI-XII საუკუნეებში, განვითარების უმაღლეს დონეს მიაღწია. ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ გელათის მოხატულობაზე. აღვნიშნეთ მეთორმეტე საუკუნის მხატვართა თამამი დამოკიდებულება თემისადმი, ის დინამიზმი და სიცოცხლე, რაც ამ მხატვრობას ახასიათებს მიუხედავად იმისა, რომ აქ უმეტესად რელიგიურ თემებს ვხვდებით.

იგივე შეგვიძლია, და მეტის დაბეჯითებითაც, გავიმეოროთ ამ ტაძრების მხატვრობაზე, რაც მომდევნო წლებში, კერძოდ, გიორგი მესამისა და თამარის მეფობის დროს აშენდა.

აქ გამოსახული ანგელოზები კიდევ უფრო ძალუმად განგვაცდევინებენ ამქვეყნიური ცხოვრების სილამაზეს, რენესანსულ სულს... დაუცხრომელ მისწრაფებას, რათა ქვეყნად სათნოება დამკვიდრდეს, კეთილმა სძლიოს ბოროტსა...

და როცა ტაძრების კედლებზე რვა საუკუნის წინათ გამოსახულ, ადამიანის სულის ამამაღლებელ და განმასპეტაკებელ ფრესკებს შევყურებთ, სიამაყის მომგვრელ ფიქრთან ერთად, რომ ეს მართლაც საოცრად თვითმყოფადი, გამოკვეთილად ეროვნული ხელოვნებაა, სურვილიც აღგვეძვრის: ამ ღვთაებრივი სილამაზის, სიკეთის და სათნოების გამომსახველ სახეებს პროტოტიპები მხატვრისავე თანამედროვეთა შორის ვუპოვოთ, ჩვენამდე კანტიკუნტად მოღწეულ ისტორიულ საბუთებში იმ ადამიანებს დავუწყოთ ძებნა, რომელთაც მხატვარს ხელოვნების შედევრების შექმნა შთააგონეს.

სასწაულებრივად გაუძლო ამ მხატვრობამ ჟამთა სიავეს... გულისმომწყველელია და თავს ვერ ვიკავებ, მკითხველს არ გავაცნო ერთი წარწერა მაცხვარიშის ეკლესიის კედელზე:

„კვამლისაგან შეიკრძალეთ ხატული, რომელ ფერი არ დააკლოს“...

როგორც ვხედავთ, წარწერის ავტორი ეკლესიის მსახურთ მოუწოდებს, მხატვრობას გაუფრთხილდითო... იგი რას წარმოიდგენდა, რომ მომდევნო წლებში მის ქვეყანაში ყოვლის წამლეკავი ნგრევა და ხანძარი დატრიალდებოდა და განადგურებას დიდი ქართული ხელოვნების მხოლოდ მცირე ნაწილიღა გადაურჩებოდა...

ამრიგად, იმდროინდელი ხელოვნების ნიმუშები უსიცოცხლო სქემები, რელიგიური სიუჟეტების სტერეოტიპული გადმოცემა როდია; ამ ქმნილებებში სიცოცხლე ჩქეფს, აქ გამოსახული ყოველი ნაკეთი მეტყველებს, აქ ფერებიც მღერის, ეს ამაღლებული ჰიმნია სიყვარულისა, სიკეთისა, სათნოებისა... და საგულისხმოა, რომ ეს ხელოვნების ყველა დარგში ერთნაირი სიძლიერით იგრძნობა — ოქრომქანდაკებლობაშიც, ხელნაწერთა შემკულობაშიც, ხუროთმოძღვრებაშიც, ფრესკებშიც... და, რაღა თქმა უნდა, მხატვრულ ლიტერატურაშიაც.

●

მხოლოდ იმის თქმა, მხატვრულმა ლიტერატურამ ამ დროს საზღაპრო განვითარებას მიაღწიაო, ცოტა იქნება, სრულად ვერ გამოხატავს სინამდვილეს. ქართული საერო ლიტერატურის დონე ამ დროისათვის მართლაც საარაკოა, მაგრამ კიდევ უფრო გასაკვირი და მნიშვნელოვანი მისი საოცარი პოპულარობაა. ის დიდი ინტერესი და სიყვარული, რასაც თანამედროვენი მის მიმართ იჩენდნენ.

ეს განსაკუთრებული მოვლენაა და საგანგებო აღნიშვნას მოითხოვს...

მაგრამ ჯერ ისა ვთქვათ, რომ ქართული საერო ლიტერატურა ერთბაშად არ წარმოქმნილა, ერთბაშად არ ამოზრდილა სასულიერო ლიტერატურის ფესვებზე; მისი განვითარების გზა შორეული საუკუნეებიდან მოდის; მისი ფესვები გაცილებით უფრო ღრმაა და უფრო შორს უნდა ეეძიოთ...

დიდი და ცხოველმყოფელი ნაკადი საერო მიმართულებისა ძალუმად იგრძნობოდა იმ პირველ ლიტერატურულ ძეგლებშიაც, რომელთაც ჩვენამდე მოულწევიათ და რომელთაც ჩვენ აგიოგრაფიული მოთხრობების სახელით ვიცნობთ. როცა შუშანიკის გამძაფრებულ საოჯახო დრამას ვეცნობით და შედარებით პატარა მოცულობის რომანში დღეანდელი მკითხველის ფართო წარმოდგენით იმ ცხოვრებისეულ დეტალებსაც ვავსებთ, რაც ან დროთა ვითარებაში ამოვარდნილა და დაკარგულა, ან რასაც ავტორი ქვეტექსტებით მიგვანიშნებს და ამით კიდევ უფრო ამაღლებს თხზულების მხატვრულ ღირებულებას, ეს არის სწორედ ძლიერი საერო ნაკადი, მთელ თხზულებას ცხოვრებისეული ენებთაღელვით რომ მუხტავს და იმდროინდელი სხვა ქვეყნების აშკარად გამოკვეთილი სასულიერო მწერლობისგან განასხვავებს...

როცა ქმრისგან უარყოფილი და შეურაცხყოფილი მანდილოსანი ოჯახიდან გაქცეულა და თვითგვემას მისცემია, როცა, რუსთაველის გამოთქმისა არ იყოს, პირგამეხებული და გაავებული, ცალკე გამდგარა და მოყვასსაც არ იკარებს, მიწოდებულ ჭიქას ხელს აუკრავს და სახეში შეანარცხებს, აქ მარტო, და იმდენად, ასკეტიზმის გამოვლინება კი არ ჩანს, როგორც ჩვენ თავგამოდებით ვცდილობთ წავიკითხოთ, არამედ პატივმოყვარე ქალის პროტესტი, უკიდურესობამდე გამძაფრებული ოჯახური დრამის გამოხატულება... და ამის თქმის უფლებას თუნდაც ის პატარა დეტალი გვაძლევს, რომ

ასკეტური თვითგვემის გზაზე შემდგარ ქალს უხეში ფლასების ზემოდან ანტიოქიიდან საგანგებოდ ჩამოტანილი დიდებული პალეკარტი მოუსხამს... იქნებ ადვილად ასახსნელი ქალური პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, ან იქნებ სულაც იმიტომ, რომ ეს მოსასხამი მას განსაკუთრებით უხდება და ქალური ალღო კარნახობს კიდევ ერთხელ დაენახვოს ქმარს მასში გახვეული, კიდევ ერთხელ სცადოს დაკარგული სიყვარულის დაბრუნება...

როცა, მაგალითად, მერჩულის დიდებულ ქმნილებაში მეფისა და მსახური ქალის დღევანდელი მკითხველისთვისაც კი გულისამაჩუყებელი სიყვარულის ამბავს ვეცნობით... როცა, ამავე მოთხრობაში ვნებათაღელვით განძაფრებულ თუ სევდიან სხვა სამიჯნურო თავგადასავლებს ვკითხულობთ, ან თითქმის იმავე პერიოდის სხვა ლიტერატურულ ქმნილებებში სოციალური სიმწვავით დამუხტულ ეპიზოდებს ვხვდებით, სწორედ ეს არის ის მძლავრი საერო ნაკადი, რომელიც თავიდან ახლდა ჩვენს ლიტერატურას...

ივანე ჯავახიშვილი წერს: „აღმოსავლეთის ქრისტიან ერთა შორის მხოლოდ ქართველებმა შესძლეს ადრეულ საშუალო საუკუნეებში მხატვრული მწერლობის და საერო პოეზიის შექმნა: არც ბიზანტიელებს, არც სომხებს, არც ასურელებს მაშინ არაფერი ამის მსგავსი არა ჰქონიათ“...

მაგრამ ეს ცალკე საუბრის თემაა და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. აქ მხოლოდ იმიტომ გავიხსენეთ, რომ ახლა განსაკუთრებული ასპარეზი მიეცა საერო ლიტერატურას, და სასულიერო მწერლობასთან ერთად, რაც, რაღა თქმა უნდა, კვლავ არსებობდა და კვლავ თავისი გზით ვითარდებოდა, მანამდე არნახული განვითარება და გაერცელება ჰპოვა..

ახლა, როცა ვცადეთ, გვეჩვენებინა, რა გაცხოველებული ურთიერთობა დამყარდა არა მარტო ქვეყნის ცალკეულ კუთხეებს შორის, არამედ სხვა ხალხებთანაც, როცა ვიხილეთ სულ სხვადასხვა მიმართულებით მიმავალი გზები, რომელიც ჩვენს ხალხს არა მარტო ქრისტიანულ სამყაროსთან, არამედ — და ზოგჯერ არანაკლები ინტენსივობითაც — მაჰმადიანურ ქვეყნებთანაც აკავშირებდა, როცა იმ გზებზე მიმავალ ხალხმრავალ ქარავნებს გავაყოლეთ თვალი და ისე გავკადნიერდით, რომ მათი საუბრის მოსმენაც კი მოვინდომეთ... ამის შემდეგ ჩვენ უკვე მეტი საშუალება გვაქვს წარმოვიდგინოთ იმდროინდელი ლიტერატურის დონეცა და მასშტაბიც...

თუ კარგად დააკვირდებით, იმ ქარავნებს ზოგჯერ პოეტებიც

ახლავს. ისინი ერთი ქვეყნიდან მეორეში მიდი-მოდიან, სხვადასხვა ქვეყნების მწერლებს ერთმანეთთან კავშირი გაუბამთ... ხშირად პოეტურ შეჯიბრებებსაც მართავენ. ზეპირგადმოცემებსაც კი შემოუნახავთ მაშინდელი განთქმული ირანელი და ქართველი პოეტების პაექრობის ამბავი... ჩვენ რომ ქართველი მეფის კარზე შაპინშას პატივსაცემად გამართული დიდი, რამდენიმედღიანი დარბაზობა ვიხილეთ, იქ სპორტულ ასპარეზობასთან ერთად პოეტური შეჯიბრიც მოეწყო — ორი ქვეყნის გამოჩენილი პოეტები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს და ხალხი ირგვლივ ინტერესითა და გატაცებით უსმენდა... ასეთი პოეტური გაპაექრება იშვიათი როდი იყო და მათი ექო შორსა სწვდებოდა, ძალიან დიდხანს არა წყდებოდა... გადმოცემებით მოდიოდა თაობიდან თაობაზე...

ეს ხომ თავისთავად მხატერული ლიტერატურის დიდ პოპულარობაზე მიგვანიშნებს!..

ჩვენამდე მოულწეია იმდროინდელი დიდი შარვანელი პოეტის ხაყანის მეტად დამახასიათებელ სტრიქონებს: საქართველოს კარები ღიაა ჩემთვის, — ამაყად აცხადებს დიდი მაპმადიანი პოეტი, — მე ქართველ მეფეს ვეწვევი... ნაჭარმაგევსა და მუხრანში ეპოვებ თავშესაფარს...

როგორც უკვე ვნახეთ, პოეზიის მუზამ სამეფო სასახლის პირქუშ კედლებშიაც შეაღწია. ზემოთ რომ ქართველი მეფეების ლექსები ვახსენეთ, ეს გამონაკლისი როდი იყო. თამარ მეფის ლექსებიც არის ცნობილი... და ეს ფაქტი, თავისთავად, მარტო ამ გვირგვინოსანთა დიდ განათლებასა და ინტერესების ფართო ჰორიზონტზე როდი მიუთითებს, იმ დროს მწერლობის პოპულარობასაც გვიდასტურებს.

ნაჭარმაგევსა და მუხრანში ეპოვებ თავშესაფარსო, გავიხსენეთ ზემოთ შარვანელი პოეტის ერთგვარი სიამაყითა და თავდაჯერებით ნათქვამი სიტყვები და ესეც იმას გვიდასტურებს, რომ მართლაც დადიოდნენ მწერლები ერთმანეთთან, წიგნებს უგზავნიდნენ ერთმანეთს, ერთმანეთის თხზულებებსა თარგმნიდნენ... იმ ქარავნებს წიგნებიც მიპქონდათ და მოპქონდათ... ზოგჯერ მოქარავნეები ამ წიგნების შინაარსსაც უამბობდნენ ერთმანეთს, და ჩვენი დროის ადამიანებზე გაცილებით უფრო მგრძნობიარე და უშუალო იმდროინდელ ადამიანებს ცრემლებსაც ბევრს აფრქვევინებდნენ წიგნების გმირთა ბედზე...

გადამწერები ძლივს ასწრებდნენ წიგნების გასრულებას... დაკ-ვეთებს ვერ აუდიოდნენ... ფეოდალების ნაკლებობას არასოდეს

განიცდიდა ჩვენი ქვეყანა, და ახლა ყველა ფეოდალის ოჯახს ღირსების საქმედ დაესახა, უსათუოდ ჰქონოდა თავისი „ვისრამიანი“, თავისი „ამირანდარეჯანიანი“, „შაჰნამე“, ჰომეროსის გმირთა საარაკო თაეგადასავლები, „აბდულმესიანი“, „თამარიანი“... და, რაღა თქმა უნდა, თავისი „ვეფხისტყაოსანი“ (სამწუხაროდ, საშუალება არა გვაქვს ჩამოვთვალოთ ყველა წიგნი, რაც მაშინ შექმნილა და დაწერილა... ამ ამბებს შემდეგ, სულ მალე, საქართველოში ისეთი კატასტროფა დატრიალდება, რაც დიდ ნაწილს ხელოვნების და ლიტერატურის ქმნილებათაგან გაანადგურებს და ჩვენამდე მხოლოდ მცირედიღა თუ მოაღწევს)...

ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რა პოპულარობით სარგებლობდა მაშინდელ მაღალ საზოგადოებაში „ვისრამიანი“, რა გატაცებით კითხულობდნენ, როგორ ხელიდან ხელში გადადიოდა, ძლივძლივობით მოპოვებულ ხელნაწერს ალბათ როგორ არიდებდნენ ცრემლებს და მაინც რა მდუღარე ცრემლებით ინამებოდა მიჯნურთა სევდიანი სიყვარულის შემცველი ფურცლები... დააკვირდით: ჩვენამდე მოღწეულ თითო-ოროლა ძეგლში რამდენჯერ არის ნახსენები ვისისა და რამინის სახელი, რამდენჯერ არის დამოწმებული მათი თავდავიწყებული სიყვარულის ამბავი!.. თანაც რა ხასიათის წიგნებში — საისტორიო თხზულებებშიაც კი, სადაც ყველაზე ნაკლებ იყო მოსალოდნელი ასეთი სატრფიალო ნაწარმოების „ციტირება!“... ერთ-ერთ ისტორიულ პირზეა ნათქვამი — იმდენი ცრემლი ღვარა, რამდენიც რამინმაო, — „რამინისებრი აჩუენა ცრემლთა ნაკადთ-მრავლობა“... ახლა „ვეფხისტყაოსნიდანაც“ გაიხსენეთ: „იგი ჭირი არ უნახავს არ რამინს და არცა ვისსა“... ამ ორი ფრაზიდანაც ხომ აშკარად ჩანს, რა ფართო პოპულარობა ექნებოდა „ვისრამიანს“ თანამედროეთა შორის!..

ეს წიგნები, რაღა თქმა უნდა, მაღალ საზოგადოებაში ვრცელდებოდა, და როცა პოპულარობაზე ვლაპარაკობთ, უმთავრესად ამას ვგულისხმობთ...

მაგრამ არა მარტო ამას...

გავიხსენოთ ხალხის ფანტაზიის ნაყოფი, ქართული — და არა მარტო ქართული — პოეტური ფოლკლორის სამკაული, რომელიც სწორედ იმ დროს შეუქმნია ხალხს. სიყვარულის, სილამაზისა და თავისუფლების დიდებული ჰიმნი, ერთგულებისა და თავდადების სიმღერა, ბოროტზე კეთილი ძალის გამარჯვების ზეიმი, ძალმომრეობისა და ვერაგობის პროტესტი (ეცდილობდი,

გადაჭარბებული ქებისგან თავი შემეკავებინა, მაგრამ როცა „აბესალომსა და ეთერზეა“ ლაპარაკი, ძნელია ეს მოახერხო... და, კაცმა რომ თქვას, ამ შემთხვევაში არავითარი ქება არ შეიძლება გადაჭარბება იყოს)...

ზღაპრების სიუჟეტი ხშირად მოარულია, და, როცა „აბესალომ და ეთერს“ ვახსენებთ, ბუნებრივია, თითქმის იმავე პერიოდში დასავლეთში შექმნილი „ტრისტან და იზოლდა“ გაგვახსენდეს — სიყვარულისა და ერთგულების ასევე დიდებული ჰიმნი. მსგავსებას მართლაც ვნახულობთ, მაგრამ, თუ კარგად დავაკვირდებით, ეს მსგავსება მხოლოდ გარეგნულია, ჩვენი „აბესალომ და ეთერი“ მაინც განცალკევებითა დგას.

გავიხსენოთ თუნდაც ის, რომ ქართულ ზღაპარში მძაფრად არის მოცემული ღრმა სოციალური პრობლემა, რასაც დასავლეთის თქმულებაში სულაც ვერა ვხედებით, იქ მხოლოდ სიუზერენ-ვასალის ათასგზის დამუშავებული და ტრადიციად დამკვიდრებული ურთიერთობაა ნაჩვენები. სიყვარულმა წოდებრივი ბარიერი არ უნდა იცოდეს, ყველა ადამიანი ერთნაირად არის გაჩენილი და ღვთით ბოძებული მაღალი ნიჭი ყველას ერთნაირად ეკუთვნის, გვეუბნება ქართული თქმულება. აქ მოცემულია ადამიანის საუკუნეობრივი ოცნება თავისუფლების შესახებ... და როცა ამ ოცნებას შესრულება არ უწერია, როცა ეს მხოლოდ ტკბილ ოცნებადღა რჩება, თქმულებაში ამის შედეგად დატრიალებული ტრაგედია სწორედ მძაფრ და შეუპოვარ პროტესტს წარმოადგენს.

აქ ამისი ადგილი არ არის და არც ჩვენი წიგნის მიზანს შეადგენს უფრო დაწვრილებით განვიხილოთ და გავაანალიზოთ ეს ფიქმულება ან სხვა რაიმე ლიტერატურული ნაწარმოები. მაგრამ როცა ჩვენს ზღაპარს სიუჟეტურად თითქოს მისივე მსგავს „ტრისტან და იზოლდას“ ვადარებთ, ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი არსებითი სხვაობა: „ტრისტანში“, ისევე როგორც სხვა კელტურ თქმულებებში, სიყვარულს განგება, ბედისწერა წარმოშობს და წარმართავს; ჯადოქარის მიერ შეზავებული ნექტარი რომ სრულიად შემთხვევით ტრისტანს არ დაელია და მის ბიძას მარკს შეესვა, ყველაფერი ისე წარიმართებოდა, როგორც თავიდან იყო ნაგულისხმევი — მარკს და იზოლდას ერთმანეთი შეუყვარდებოდათ და ტრისტანი მათი ერთგული ვასალი და კარისკაცი დარჩებოდა; ქართულ ზღაპარში სიყვარული თავისთავად ჩაისახა და აღორძინდა, ეს გრძნობა თავისუფალი და ყოვლისშემძლეა; გიგანტურ ძალად მოვლენილ სიყვარულს აქ

ბოროტ ძალად ქცეული უპასუხო სიყვარული აღუდგება, მაგრამ, საბოლოოდ, ბოროტი მარცხდება და ჭეშმარიტი სიყვარული იმარჯვებს. და ტრაგიკული ნაკადი თქმულებისა ის არის, რომ სიყვარულის ზეიმი მხოლოდ სიკვდილის შემდეგ მოდის; სიყვარული და სიკვდილი ჩვენს თხზულებაში — ისევე როგორც „ტრისტანშიაც“ — განუყოფელია; მხოლოდ სიკვდილი თრგუნავს ბოროტებასა და ძალმომრეობას, სიკვდილი გახდა მოკავშირე შეყვარებულებისა, მხოლოდ სიკვდილით ეწევიან ისინი ბედნიერებას, რასაც სიცოცხლეში ვერ მიაღწიეს. ეს განუყოფელობა სიყვარულისა და სიკვდილისა, რაც დიდი მსოფლიო ლიტერატურის მრავალი შედეერის ღერძად ქცეულა, განსაკუთრებულ დრამატულ სიმძაფრესა და ემოციურობას სძენს თქმულებას. ჩვენს თქმულებასაც და „ტრისტანსაც“... ოღონდ ჩვენს თქმულებაში, როგორც უკვე ითქვა, მეტი სიღრმე აქვს ამ დრამატიზმს, იგი სოციალური მოტივით არის გამძაფრებული, საერთოდ თავისუფლების იდეა ერწყმის და ადამიანის საუკუნოებრივ ოცნებასა და იდეალებს გამოხატავს.

რაკი ჩვენს თქმულებასთან ერთად, იმავე ხანის დასავლური თქმულება ვახსენეთ და მთავარი მსგავსება მოვხაზეთ, უნებურად მათი განსხვავების სხვა შტრიხებიც გაგონდება. ყურადღება მიაქციეთ თუნდაც იმას, რომ ტრისტანის სიყვარული გაორებულია, მას ორი იზოლდა უყვარს, და თუნდაც ამიტომ არ შეიძლება ის ერთგულება ჰქონდეს, რაც გმირებს ჩვენს თქმულებაში აქვთ.

დამახასიათებელი და საგულისხმოა ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: თავისთავად დიდებულ თქმულებაში ისე უხერხულად ჩანს სიყვარულის ჩასახვა ნექტარის საშუალებით, რომ, როცა რამდენიმე საუკუნის შემდეგ ვაგნერმა ამ სიუჟეტზე ოპერის დაწერა განიზრახა, მან გვერდი აუარა სიყვარულის ნექტარს. მის ოპერაშიაც სიყვარული თავისით აღმოცენდება (თუმცა იმდენად ორგანულია თქმულებისათვის ეს ჯადოსნური ძალა, რომ დიდმა გერმანელმა კომპოზიტორმა სავსებით მაინც ვერ მოაშორა იგი ოპერის სიუჟეტს, ცოტა უფრო სხვა ვითარებაში გამოიყენა...).

ამრიგად, იმ პერიოდის ქართული ზღაპარი გამოირჩევა მაღალი ჰუმანურობით, გრძნობის უშუალობითა და სოციალური სიმძაფრით, თავისუფლებისა და სულიერი ამაღლებისკენ დაუცხრომელი ლტოლვით. და ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ზღაპარი ხალხის ფართო მასების დაუცხრომელ მისწრაფებასა და სულისკვეთებას გამოხატავს, მის ლამაზ ოცნებას წარმოადგენს.

„ტრისტან და იზოლდას“ სიუჟეტზე, როგორც ითქვა, დიდებული ოპერა შეიქმნა... ყველა ქართველი ადამიანისთვის ახლობელი და საყვარელია „აბესალომის“ სიუჟეტზე შექმნილი ასევე დიდებული ოპერა ფალიაშვილისა, ჩვენი მუსიკალური ხელოვნების მარგალიტი...

მაგრამ აქ მე სულ სხვა რამეზე მინდა შევაჩერო მკითხველის ყურადღება; მეტად საგულისხმო და საინტერესოა, რომ „აბესალომის“ სიუჟეტზე კლასიკური ოპერის შექმნამდე, ჩვენს ხალხში, საუკუნეების განმავლობაში, ალბათ, იმავე დღიდან, როცა ეს ლამაზი თქმულება ჩაისახა, ითხზვებოდა და იესებოდა, იხვეწებოდა, ვითარდებოდა ხალხური ოპერა „აბესალომი“... ოპერას აქ, რაღა თქმა უნდა, პირობით ვამბობ; მხედველობაში მაქვს ის ცალკეული სიმღერები, სიუჟეტური სცენები, რეჩიტატივები, რაც „აბესალომის“ სიუჟეტზე საუკუნეების განმავლობაში შეუქმნია ხალხს და რაც ასეთი მაღალი ოსტატობით გამოიყენა კიდეც დიდმა ქართველმა კომპოზიტორმა თავის ოპერაში. ეს იმიტომაც გავიხსენე, რომ ხაზი გამესვა ჩვენი ლიტერატურის პოპულარობაზე (მე აქ არ მიხსენებია, რადგან თავად საეჭვოდ მიმაჩნია: არსებობს მოსაზრება, თითქოს „ეთერიანი“ იმდროინდელი ჩვენი მწერლობის ერთ-ერთი თხზულება იყოს; თითქოს იგი, სხვა მრავალ თხზულებასთან ერთად, დაიკარგა, სიუჟეტი კი ხალხში დარჩა და გავრცელდა, თაობიდან თაობას გადაეცა, ჩვენამდე მოაღწია, როგორც ფოლკლორულმა ნაწარმოებმა)...

ზემოთ რამდენიმე მაგალითი მოვიტანეთ, როგორ იმოწმებენ, როგორ ციტატებად მოაქვთ ადგილები „ვისრამიანიდან“... ნუ გაიკვირვებთ: სწორედ ისე ლაპარაკობდნენ „ვისრამიანსა“ თუ სხვა საერო ხასიათის წიგნებზე, როგორც დღეს თანამედროვე მკითხველები კერძო მიწერ-მოწერაში, ტელეფონით საუბარში თუ უშუალო შეხვედრისას ერთმანეთს უზიარებენ აზრს მსოფლიოს რომელიმე ქვეყანაში ახლად გამოჩენილი დიდი და საინტერესო ავტორის შესახებ... ხალხი ინტერესით ეწაფებოდა ახალ ლიტერატურულ თხზულებას, იხსომებდა, ერთმანეთს უამბობდა, იზეპირებდა... იმ ნაწარმოებთა გმირების ცხოვრებით ცხოვრობდნენ, მათ ბაძავდნენ, ზოგჯერ ისიც კი ეჩვენებოდათ, ღმერთმა ჩვენც მათი ბედი გვარგუნაო...

„ვისრამიანზე“ ზემოთ საგანგებოდ გავამახვილეთ ყურადღება და არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი უბადლო ოსტატობითაა თარგმნილი და, მიუხედავად იმისა, რომ პროზად არის გადმოღებული, პოეტური სიღრმითა და სილაღით თავისივე თანამედროვე დიდებულ „ვეფხის-

ტყაოსანს“ თუ შეეადარებთ, არამედ იმიტომაც, რომ აღმოსავლურ-მუსულმანური ქვეყნის ამბავმა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ცხოვრების არაქრისტიანულმა ფაქტურამ ასეთი გავრცელება ჰპოვა საქართველოში, იმ ქრისტიანულ ქვეყანაში, რომელიც მთელს წინა აზიაში „ქრისტიანობის ბურჯად“ იდგა და მრავალრიცხოვანი მტრის განუწყვეტელ დარტყმებს სწორედ ქრისტეს სჯულის სახელით იგერიებდა. ამასთან, „ვისრამიანი“ ერთადერთი „აღმოსავლური“ ნაწარმოები როდი იყო, რომელიც იმ დროს საქართველოში ითარგმნა და გავრცელდა. შეგვიძლია დავასახელოთ ფირდოუსის განთქმული „შაჰნამეც“, რომელიც სწორედ იმ ხანებში ყოფილა თარგმნილი ქართულად და მერე კი, ჟამთა სიავის გამო დაკარგულა, ჩვენამდე არ მოუღწევია... და განა მარტო მხატვრული ლიტერატურის ძეგლები... გაიხსენეთ არაბული სამედიცინო ენციკლოპედია, რომელიც სწორედ იმ ხანებში ითარგმნა ქართულად... მკვლევარები საგანგებოდ მიუთითებენ „ვეფხისტყაოსანში“ ასტრონომიული ტერმინოლოგიის არაბულ წარმომავლობაზე. ასტრონომიული მეცნიერების განვითარება, რაც ცნობილი ფაქტია იმდროინდელ საქართველოში, თავისთავად გულისხმობს ამ დარგის არაბული ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნას.

აი, ეს გახლდათ ის კეთილი თესლი ე. წ. რელიგიური შემწყნარებლობისა, რომელიც ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის მადლიანმა ხელმა დათესა, და მას შემდეგ ყველა მისი მემკვიდრე სასოებით უელიდა და აღივებდა, ხოლო თამარის დროს ასე სასიკეთოდ გაიფურჩქნა და გაიხარა.

ასეთი ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს მაჰმადიანურ აღმოსავლეთთან... ხოლო რა მდგომარეობა იყო ამ მხრივ ჩვენს მეზობელ დიდ ქრისტიანულ ქვეყანაში, ამას კარგად გვიხასიათებს ივანე ჯავახიშვილი:

„მაშინდელი განათლებული საბერძნეთი ისეთი დაუცხრომელი ბრძა და მედიდური მძულვარებით იყო გამსჭვალული მაჰმადიანობისადმი, რომ მისი თვალი აღმოსავლეთის ისლამურს კულტურასა და ფერადოვანს ხელოვნებას ვერ ხედავდა და მისი მომხიბლავი, მდიდარი პოეზიისთვისაც ყურები დახშული ჰქონდა“...

ქართველ ხალხს მუდამ ფართო კულტურული ურთიერთობა ჰქონდა გარე სამყაროსთან.

ჩვენ უკვე ვიცით, პარალელურად, რა გულმოდგინებით ითარგმნებოდა დასავლური სამყაროს ცნობილი დიდებული ქმნილებანი და

გელათი, XI საუკუნე

გელათის მონასტრის საკურთხევლის
აფსიდის კონქსი

დავით IV აღმაშენებლის ფრესკა
გელათის მონასტერში

გელათის აკადემია

ქვეკრი გელათის აკადემიაში



გელათის ტაძრის გუმბათი

დავით IV-ის საფლავი



საქართველოს სამეფო დავით აღმაშენებლის დროს, 1089-1125 წლები



დავით IV-ის დროშა

საქართველოს „გორგასლიანი და დავითიანი" სახელმწიფო დროშა თეთრი ფერისა ყოფილა, რომელიც წითელ ბუნზე იყო მიმაგრებული. ბუნი ჯვრის გამოსახულებით სრულდებოდა. არსებობს ცნობა, რომლის მიხედვითაც საქართველოს სახელმწიფო დროშაზე წმიდა გიორგის გამოსახულება იყო აღბეჭდილი. ამ ცნობას იძლევა შუა საუკუნეების პოლონელი მოგზაური კოტოვიჩი, რომელსაც უნახავს იერუსალიმში სალოცავად მოსული ქართველები ქართული სახელმწიფო დროშით.

გიორგი ჭყონდიდელი

დემეტრე I

თამარ მეფე და
გიორგი III, ვარძია

კაბადოკიის ღვთისმშობელი

არსენ იყალთოელი

გიორგი III-ის ბეჭედი



თამარის დროშა

თამარის ფრესკა
ბეთანიაში





თამარის გულსაკიდი ჯვარი



თამარის ხიდი



გეგუთი



1712 წელს გამოცემული
„კეფხისტყაოსანი"

შოთა რუთაველის
ფრესკა იერუსალიმის
ჯვრის მონასტერში



განძის კარი გელათში

ეარძია

ანისი

ყარსი

ქათახუკი

ბეთანია

იყალთო

შიომღვიმე

ფიტარეთი

წულრუღაშენი

ბერთის ოთხთავის მოჭედილობა. ჯვარცმა, XII ს. ბეშქენ ოპიზარი

წყაროსთავის ოთხთავის მოჭედილობა ჯვარცმის გამოსახულებით. ჯვარცმა, XII ს. ბექა ოპიზარი



ამიერკავკასიის ძირითადი საგზაო მარშრუტები IX-XI სს.

არა მარტო თეოლოგიურ-ფილოსოფიური... ვიცით, ჯერ კიდევ როდის დაიწყო ეს, და იმ პერიოდშიაც, რომლის ამბებსაც ახლა ვყვებით, ისეთივე ინტენსიურობით გრძელდებოდა. ამავე პერიოდში ითარგმნა, მაგალითად, ქართულად ჰომეროსის ქმნილებანი (რომლებიც აგრეთვე ჟამთა სიავემ იმსხვერპლა და ჩვენამდე აღარ მოუღწეია), დაიწერა შრომა ელინურ მითოლოგიაზე („ელინთა მეზღაპრეობა“)... ზემოთ არაერთხელ ვნახეთ, როგორ ხშირად იმოწმებენ იმდროინდელი ქართველი მწერლები, საისტორიო თხზულებებშიაც კი, ჰომეროსსა და უფრო მოგვიანო პერიოდის სხვა ბერძენ ავტორებსაც...

ეს სიტყვები დავწერე და უცებ მომაგონდა ერთი ადგილი თამარის ისტორიკოსის თხზულებიდან: „კეთილისა სულისათვის ღმრთისმოყუარე და თვისად მისი არს, ვითარ იტყვისცა დღე ბერძენთა ხედვისა პლატონ: „კეთილი კეთილთათვის არს კეთილ, ვინა, იგივე კეთილი ბოროტთათვის ბოროტ“... როგორც ვხედავთ, პლატონის მშვენიერ სიტყვებს იმოწმებს ქართველი ისტორიკოსი და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ძალიან მარჯვედ. ეს იმ ადგილას, როცა მას სურს გაამართლოს თამარის სიმკაცრე: ქართველი მეფე უფლებას აძლევს თავის მეომრებს „ურჩ და განდგომილ“ მოწინააღმდეგეზე გალაშქრებისა.

როგორც ვხედავთ, საქართველო ორი დიდი სამყაროს — დასავლეთისა და აღმოსავლეთის — მიჯნაზე იდგა, ფართოდ ულებდა კარს ორ დიდ კულტურას... ძველი, დიდი თვითმყოფადი კულტურის პატრონს გარედან შემოსული ნაკადისა არ ეშინოდა, მათ ცხოველმყოფელ გავლენას განიცდიდა, და ამით მდიდრდებოდა, მაგრამ ისე, რომ თავის ეროვნულ მეობასა და მომხიბლაობას ოდნავადაც არ კარგავდა... იგი მტკიცედ იდგა საკუთარ ნიადაგზე, ამ ნიადაგში ჰქონდა ფესვები ღრმად გადგმული, ამ ნიადაგიდან იკვებებოდა და ახალი, მანამდე არნახული ძალით ვითარდებოდა...

სწორედ ეს ნოყიერი ნიადაგი დახვდა იმ დიდ ჰუმანისტურ მოძრაობას, რომელიც ბიზანტიაში ჩაისახა ჯერ კიდევ მიქაელ პსელოსისა და იოანე იტალოსის დროს, და აქ ჩვენთვის უკვე ცნობილი სოციალ-ეკონომიკური ვითარების წყალობით, მეტი სიღრმე მიეცა, მეტი განვითარება ჰპოვა. ჩვენ უკვე გავეცანით ზემოთ ნახსენები ბიზანტიელი ფილოსოფოსების სახელოვან მოწაფესა და ერთგულ მიმდევარს... ვნახეთ, როგორ საგანგებოდ მოიწვია იგი, — საბერძნეთში დევნილი, — დავით აღმაშენებელმა, რა პირობები შეუქმნა, რა ამოცანა დაუსახა... ვნახეთ, როგორ ფართოდ გაუღო

კარი დავით აღმაშენებელმა დასავლეთიდან დაძრულ ახალი დროის მაცოცხლებელ სიოს, რა ნიადაგი მოუმზადა ამ დიდ მოძრაობას... რა საფუძველი შეუქმნა მას გელათისა და იყალთოს აკადემიების დაარსებით, როგორ ვითარდებოდა ფილოსოფიური აზრი საქართველოში...

შთამომავლობა იმკიდა იმ კეთილ ნაყოფს, რაც დავით აღმაშენებელმა და მისმა დიდმა თანამოაზრეებმა (უფრო შორეულ წინაპრებზე რომ აღარაფერი ვთქვათ) თავიანთი მადლიანი ხელით დათესეს...

ეს იყო ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების ახალი ძალით განვითარების დასაწყისი, ერთგვარი პრელუდია კაცობრიობის კულტურული აღორძინებისა, ადამიანის საუკუნოებრივი სიბნელისა და ჩაგვრისაგან გათავისუფლებისკენ დაუცხრომელი ლტოლვისა, რომელსაც, როგორც ვხედავთ, დასაწყისი აღმოსავლეთში მიეცა. ევროპაში ჯერ არ იგრძნობოდა ასეთი გამოცოცხლება.

ყველაზე სრული და ღრმა ასახვა ქვეყნისა და ხალხის მაშინდელმა განწყობილებებმა, კულტურულმა დონემ და მისწრაფებებმა „ვეფხისტყაოსანში“ პოეტს, ეს არის ჰიმნი ქვეყნად სიკეთისა და სამართლიანობის დამყარებისა, ბოროტზე კეთილი ძალის გამარჯვებისა, წმინდა სიყვარულისა, ხალხთა შორის ძმობისა, უანგარო მეგობრობისა, იმ მაღალი იდეალებისა, რასაც კაცობრიობა საუკუნეების განმავლობაში ესწრაფვოდა...

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორი თავისი დროისა და ხალხის ჭეშმარიტი შვილია — თავისი ხალხის სულისკვეთების გამომხატველი. მას განათლება თავისივე ქვეყანაში მიუღია, ერთ-ერთ იმ დიდებულ აკადემიაში, რომელიც დავით აღმაშენებელმა დააარსა. მოვლილი აქვს უცხოეთი, იცნობს ძველსა და ახალ ფილოსოფიას და მწერლობას... დასავლეთისასაც და აღმოსავლეთისასაც... ერთ-ერთი პირველი დიდი წარმომადგენელია ახალი დროისა, იმ ახალი ეპოქისა, რომელსაც რენესანსი ეწოდა...

სამწუხაროდ, მოკლებული ვართ საშუალებას, უფრო ახლოს გავეცნოთ მას, მის პირად ცხოვრებას და მოღვაწეობას... იმ მეტად ძუნწსა და ბუნდოვან ცნობებზე დაყრდნობით, რაც სხვადასხვა დროისა და ხასიათის ისტორიულ წყაროს შემოუნახავს, მკვლევარები ცდილობენ, პოეტის ბიოგრაფიული ქარგა მოხაზონ... მაგრამ ეს ვარაუდები ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან. ზოგს თამარის საკაზიროს მეჭურჭლეთუხუცესად მიაჩნია იგი, ზოგს — ამირსპასალარად, ზოგს უბრალო, ერთ-ერთი კუთხის ერისთავად...

თუ ოდესმე დამატებითი ცნობები არ აღმოჩნდა, ძალიან ძნელია, რომელიმე ვარაუდს მიანიჭო უპირატესობა...

არც კი გინდა იფიქრო, რომ იგი მეფის ვაზირია და საკაზიროს მორიგ სხდომაზე სწორედ იქ უნდა დაჯდეს, სადაც მისთვის წინასწარ მიუჩენიათ ადგილი... არა, იგი არცა ჰგავს ასეთ ვაზირს... ძალიან ძნელია წარმოიდგინო, როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო იგი. ასეთი ვარაუდები მეტად პირობითი და უზუსტო იქნებოდა. უფრო ზუსტად და მტკიცედ ჩვენ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ეეფხისტყაოსნის“ ავტორი ღირსეული შვილი იყო თავისი ხალხისა, ამ ხალხის სულისკვეთებას, მის საუკეთესო ოცნებას და იდეალებს გამოხატავდა... რომ იგი ღირსეული შვილი იყო თავისი ეპოქისა... რომ მას ბედმა არგუნა, ერთ-ერთი წინამორბედი და დამწყები ყოფილიყო იმ დიდი მოძრაობისა კაცობრიობის ისტორიაში, რასაც ადამიანი შუასაუკუნეობრივი წყვდიადიდან უნდა გამოეყვანა და სინათლე ეჩვენებინა...

დავეხსნათ ვარაუდებს, როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო რუსთაველი. აქ არც მისი დიდებული წიგნის ანალიზსა და განხილვასა ვცდით... იმდენი დაწერილა მასზე, რომ დაინტერესებულ მკითხველს მიგნება არ გაუჭირდება...

აქ მხოლოდ მრავალჯერ გამოთქმული სიტყვები უნდა გავიმეოროთ: მსოფლიო ლიტერატურამ ალბათ არ იცის მეორე ისეთი პოეტი, რომელიც ასე პოპულარული ყოფილიყოს თავისივე ხალხში... „ეეფხისტყაოსანი“ ზეპირად გადადიოდა თაობიდან თაობაში, მას მზითვად ატანდნენ, მისი ცალკეული ფრაზები და ფრთიანი გამოთქმები ისე ჩაეწნა ხალხის სასაუბრო ენას, ზოგჯერ ბევრიც რომ ეცადო, ვერ გამოაცალკევებ და ვერ იტყვი — ვისია პრიორიტეტი... მასში ხალხის ყოველი ფენა და ყოველი თაობა უხვად პოულობდა სიმხნევის, სიმტკიცისა და სიბრძნის წყაროს, იგი მალამოდ ედებოდა ხალხის გულს ლხინშიაც და უდიდესი გასაჭირის დროსაც, რაც ამ დროიდან მოყოლებული უფრო ხშირად ეწვეოდა ხოლმე ჩვენს ხალხს. იგი ხალხის სულისკვეთების უტყუარი გამომხატველი იყო ყოველგვარ ვითარებაში...

და როცა ამას ამბობ, აღარ იცი, ვის უფრო დიდი ქება ეკუთვნის — ამ ქმნილებას, რომელიც ხალხის მისწრაფებებს გამოხატავს, თუ თვით ხალხს, ვისი გულისთქმის გამომხატველიც ეს დიდებული ქმნილებაა!..

●

დავით სოსლანი რომ გარდაიცვალა, თამარმა თანამოსაყდრედ თავისი ეაჟი გიორგი დაისვა. ეს იყო 1207 წელს... ზოგი ბრძოლა, რაც ამის შემდეგ ქართველმა მხედრობამ გადაიხადა, აღვწერეთ კიდეც, სხვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი თითქოს არაფერი მომხდარა. მტერი უკვე ისე იყო დაშინებული ქართველი მხედრობის ძლიერებით, რომ ხმლის შემართვასა და საომრად წამოსვლას ველარ ბედავდა. ცხოვრება თავისი გზით მიედინებოდა, ხალხი თავაუღლებლივ შრომობდა, ჭირნახულს იწევდა, ღვინოს აყენებდა. მტერს მტრულად ხვდებოდა და მოყვარეს მოყვრულად, მეურნეობას ავითარებდა, ახალი სარწყავი არხები გაჰყავდა, აგებდა, აშენებდა, წიგნები ითხზვებოდა და ითარგმნებოდა, სამეცნიერო ტრაქტატები იწერებოდა, დიდ სავაჭრო მაგისტრალებზე კვლავ ქარავნები მიდიმოდიოდნენ, სამეფო კარის ცხოვრებაც თითქოს ჩვეულებრივი იყო — მშვიდი და უდრტვინველი...

ჯერ ისევ ახალგაზრდა მეფეს თურმე სიკვდილი უახლოვდებოდა, მაგრამ ამას მხოლოდ თვითონ გრძნობდა და სხვა კი — არავინ, რადგან არ ამჟღავნებდა, „დიდხან ფარვიდა რათა არავინ შეაწუხოს“... მიდიოდა დღეები, თვეები, წელიწადის დრონი ერთმანეთს ენაცვლებოდა, ქვეყნად „სრული მშვიდობიანობა სუფევდა“...

გარეგნულად ასე ჩანდა, ასე ეგონათ სამეფო კარზე.

და ის, რაც მეფის სიცოცხლის მიწურულს, 1212 წლის გაზაფხულზე მოხდა, როგორც იტყვიან ხოლმე — მოწმენდილ ცაზე მეხის გაკვარდნას ჰგავდა. საქმე ეხება შინა კლასობრივ ბრძოლებს...

მაგრამ სანამ ამას გიამბობდეთ, სამეფო კარზე მომხდარი ერთი ცვლილება უნდა გითხრათ. სწორედ ამის წინანდელი ამბავია და დამავიწყდა მეთქვა.

1212 წელს გარდაიცვალა ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი, „კაცი დიდად გამდიდრებული და ყოვლითა სათნოებითა აღსავსე, გამარჯუებული, მხნე და ძლიერად მბრძოლი... რომელი მეფემან იგლოვა და ყოველმან კაცმან საქართველოს მყოფმან“...

ამირსპასალარობა თამარმა ზაქარიასავე ძმას, იოანეს, შესთავაზა. ალბათ გახსოვთ, რომ იგი აქამდე მსახურთუხუცესი იყო.

მაგრამ მოხდა უცნაური რამ: ყოფილმა მსახურთუხუცესმა ძმის თანამდებობა — ამირსპასალარობა — იცოტავა და მეფეს სულ სხვა თანამდებობა სთხოვა — „განადიდე წყალობა შენი ჩემ ზედა, რომე ახალსა და უაღრესსა პატივსა ღირს მყო“...

უაღრესსაო, განა!.. უფრო დიდი პატიეი მოითხოვა. ამირსპასალარობაზე „უაღრესი“ სამეფო კარზე მწიგნობართუხუცესობა გახლდათ, მაგრამ ამ თანამდებობაზე უკვე იყო ღირსეული კაცი, და პატიემოყვარე მსახურთუხუცესი, რაღა თქმა უნდა, ასე აშკარად ვერ დაუპირისპირდებოდა, ამას ვერ გაბედავდა. არა, ივანე მხარგრძელის თხოვნა უფრო უცნაური გამოდგა — ისეთი თანამდებობა მოითხოვა, რაც საქართველოს სამეფო კარზე იმ დრომდე არ ყოფილა; ათაბაგობა ისურვა.

როგორც ითქვა, ასეთი თანამდებობა საქართველოში უცხო იყო — მაპმადიანურ ქვეყნებში ჰქონდათ, სასულთნოებში, და რატომ ასე თავგამოდებით მოითხოვა ძველმა მსახურთუხუცესმა ეს „უცხოური“ თანამდებობა ან თავისი ღირსეული ძმის თანამდებობა რად იცოტავა, გაუგებარია. ზოგიერთი თანამედროვე მკვლევარი მხოლოდ ვარაუდს გამოთქვამს — მსახურთუხუცესმა ეს იმიტომ მოინდომა, რომ მწიგნობართუხუცესს დაპირისპირებოდა და თანდათანობით სავაზიროში პირველი ადგილი მოეპოვებინაო. ათაბაგი ხომ უფლისწულის აღმზრდელობას გულისხმობს და ამიტომაც ელოდა ალბათ იგი მეტ პრივილეგიებს. ასე იყო თუ ისე, მსახურთუხუცესს, რაღა თქმა უნდა, პატიემოყვარეობა ამოძრავებდა, როცა მეფეს ათაბაგობა სთხოვა.

შეუძლებელია, თამარი ამას არ მიმხვდარიყოს, მაგრამ მაინც დათანხმდა — იოანეს ათაბაგობა მიუბოძა. სხვა კონკრეტული ცნობა — ან მოლაპარაკება რა პირობებში მოხდა, ან მეფე რისთვის დათანხმდა, არ არსებობს... ეს მხოლოდ შეგვიძლია ვივარაუდოთ...

მსახურთუხუცესად, ივანეს მაგიერად, თამარმა ზაქარია გაგელის შვილი — ვარამი დანიშნა — „კაცი საპატიო და ლაშქრობათა შინა გამარჯუებული“.

ახლა კი იმ შინა ბრძოლების ამბავს დავუბრუნდეთ, რომელიც დაეიწყეთ და ჯერ არ დაგვიმთავრებია. მემატიანეს, ჩვეულებრივ, მოკლედ აქვს ეს მოთხრობილი: „მათ უკუე ჟამთა (როგორც უკვე ითქვა, იგულისხმება 1212 წლის გაზაფხული) იწყეს მთეულთა განდგომად, კაცთა ფხოველთა და დიდოთა... იწყეს რბევად და ხოცად და ტყუეობად, ცხადად და ღამით“...

ამ ერთი ცნობის მიხედვით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი თითქოს არაფერი მომხდარა... მაგრამ როცა გავითვალისწინებთ იმავე მემატიანის სხვა ცნობებსაც, რომ ბრძოლები მთაში სამ თვეს გაგრძელდა და აჯანყების ჩასაქრობად მეფეს მთის მრავალი ტომის გაგზავნა დასჭირდა („მოუწოდა მეფემან... ყოველთა მთეულთა —

დეალთა, ცხრაზმელთა, მოხეევთა, ხადელთა, ცხავატელთა, ჭართალთა, ერწოთიანელთა"...), უკვე აშკარა გახდება, რომ მდგომარეობა სერიოზული ყოფილა.

ალბათ ამიტომაც გახდა თამარი იძულებული, თაეისი ვაზირის წრესგადასული პატივმოყვარეობა დაეკმაყოფილებინა: მსახურთუხუცესმა დრო იხელთა, ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობით ისარგებლა და იმ დროს მოსთხოვა მეფეს, ათაბაგობა მიბოძეო, როცა ამირსპასალარი ახალგარდაცელილი იყო, ჩრდილოეთის მთებიდან სულ უფრო და უფრო შემაშფოთებელი ამბები მოდიოდა ფართო მასშტაბის აჯანყების მზადების შესახებ... და მეფეც, როგორც ამის შემდეგ მალევე ყველასთვის ცნობილი გახდა, სხეულში ღრმად გამჯდარ სენს ებრძოდა... ასეთ ვითარებაში ვაზირის თხოვნა ულტიმატუმს უფრო ჰგავდა...

მკვლევარები აჯანყების მიზეზად მთიელთა მიმართ ფეოდალური ექსპლოატაციის გაძლიერებას მიიჩნეევენ. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ეპოქა, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ, განეითარებული ფეოდალიზმის ჩამოყალიბების ხანად ითვლება. მაგრამ ეს ეხება, ძირითადად, ბარს, ბარის მოსახლეობას; მთაში კი ამ დროს კვლავ წინა ფეოდალური ურთიერთობაა და ეს კიდევ დიდხანს ასევე რჩება... ბუნებრივია, რომ ეკონომიკურ-პოლიტიკური მდგომარეობის ისეთი აღმავლობის პირობებში თამარის სამეფო კარი ცდილობდა თაეისი გაელენის სფერო მთაშიაც გაეძლიერებინა და იქაც ისეთივე საზოგადოებრივი ურთიერთობანი დაემყარებინა, როგორიც ბარში იყო.

ამასთან, შემთხვევითი არ არის, რომ ჩრდილო-კავკასიელ მთიელთა გაქრისტიანების ცდა ყველაზე აქტიურად თამარის დროს და თამარის მიერ ხდებოდა... ისიც ბუნებრივია, რომ მთა შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდა „ბარის" ასეთ აქტიურ შეტევას, მას არ ეთმობოდა ცხოვრების მამაპაპური წესი... და ეს დიდი აჯანყება ამის შედეგიც უნდა იყოს, ზოგიერთი მკვლევარი სამართლიანად უკავშირებს ერთმანეთს მთის „ფეოდალიზაციისა" და მისი გაქრისტიანების ცდას. „საქართველოს ფეოდალური მონარქიის სწრაფვა მთიელთა ფეოდალიზაციისა და გაქრისტიანებისათვის თითქმის ერთდროულად მიმდინარეობდა, — წერს როინ მეტრეველი, — და XIII საუკუნის დასაწყისში დიდოელთა და ფხოველთა აჯანყებაც სწორედ ამ პროცესის საწინააღმდეგო რეაქცია იყო".

მეფემ აჯანყების ჩაქრობა სწორედ ათაბაგს დაავალა. ბრძოლები მთაში ძალიან მძიმე იყო. „ხოლო ივანე გონიერად ყო: აღვიდა მთასა

ხადისასა და წარელო წუერი მთისა, წარდგა მთასა ფხოელთასა და დიდოთასა“.

ეს თამარის პირველი ისტორიკოსის სიტყვებია; ხოლო ეახუშტი უფრო ცოცხლად გვიხატავს ჯარის მოძრაობის სურათს: „აღვიდა მთასა ხადისასა და წარელო წ ე ე რ - წ ე ე რ ა დ და წარდგა ფხოელთა“...

მეფის მხედრობას სათითაოდ დაულაშქრავს მთის მიუვალი მწვერვალები. „აქეთგან იგი აჯანყებულებს ზეკითგან დაპყურებდა, ერთის მხრით დურძუკეთი იყო, მეორე მხრით დიდოეთი და ფხოეთი, და ამნაირად სამხედრო მოქმედება გაიადვილა“, ეს იანე ჯავახიშვილის სიტყვებია.

ამრიგად, სამ თვეს გრძელდებოდა მთაში ბრძოლები და საბოლოოდ, როგორც მოსალოდნელი იყო, მეფის მხედრობის გამარჯვებით დამთავრდა. „შეიწრებულთა ათაბაგისათა მოსცეს მძეელები და აღუთქუეს მსახურებად ხარაჯა, და პირი სიმტკიცისა აღუთქუეს. წამოასხეს მძეელები, ქმნეს ზავნი“...

მკაცრად გაუსწორდა იანე ათაბაგი აჯანყებულებს...

საქართველოს სამხედრო ძლევამოსილებამ შთამომავლობის ხსოვნაში თამარის ნამდვილი ღვაწლი და თვისებანი დაჩრდილაო, წერს ივანე ჯავახიშვილი. დიდი მეცნიერი აქ ალბათ გულისხმობს არა საერთო ღვაწლს, არამედ მეფის სამშვიდობო პოლიტიკას, რაც ამ კონტექსტში სამხედრო მოქმედებას უპირისპირდება; თორემ თამარის ღვაწლი არათუ დაჩრდილული და დავიწყებული, არამედ ზოგჯერ გაზვიადებულიც კი ჩანს, შთამომავლობის სხვადასხვა თაობებმა ბევრ ისეთ საქმეს დაარქვეს მისი სახელი, რაც მას აშკარად არ ეკუთვნის; „ყოველ დიდ საქმეს ჩვენში თამარს ვაწერთ“. — წერდა ილია ჭავჭავაძე...

ზემოთ, აჭარის ძველ ხიდებს რომ ვეცნობოდით, ალბათ შენიშნეთ კიდეც, რომ თითქმის უმრავლესობა იმ ხიდებისა ზეპირ გადმოცემას თამარის სახელთან დაუკავშირებია... და განა მარტო იმ კუთხეში ან განა მარტო ხიდებისა... მთელს საქართველოში, ლამის ყოველი ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით ხიდს, ტაძარს, ციხეს ან ძველი ნაგებობის ნაშთებს, ნასოფლარებს, ნაქალაქევებს, რომელთათვის ხალხს თავის დროზე თამარის სახელი მიუნიჭებია და ახლაც ასეა ცნობილი.

ამასთან, ზოგიერთი ასეთი ძეგლი აშკარად არ უკავშირდება თამარის ზეობის დროს — ზოგი უფრო ხნიერია, ზოგი უფრო ახალგაზრდა. უსამართლოდაა დაეიწყებული ნამდვილი ამშენებლის ვინაობა და სხვისთვის არის მიწერილი.

ეს შემთხვევითი არ არის, თავისი საფუძველი და ახსნა აქვს; უპირველეს ყოვლისა, მიგვანიშნებს იმ დიდ მშენებლობის პათოსზე, რითაც ჩვენი ხალხის იმდროინდელი ცხოვრება ხასიათდებოდა. შენების ასეთ გაქანებას დიდი ხნის განმავლობაში უმზადდებოდა ნიადაგი. უპირველესი გარანტია ასეთი ფართო მშენებლობისა ქვეყნის გაერთიანება და გარეშე მტრისგან განთავისუფლება იყო. ჩვენ ვნახეთ, რამდენი თაობა იღვწოდა ამისთვის, რამდენი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, რა ენერგია დაიხარჯა; ვიცნობთ იმ მამულიშვილებს, რომელთაც განსაკუთრებული ამაგი გასწიეს ამ საქმეში და მათგან, უპირველეს ყოვლისა, რაღა თქმა უნდა, დავით აღმაშენებელი უნდა დავასახელოთ. თამარს კარგად მომზადებული ნიადაგი დახვდა ფართო მასშტაბის შენებისთვის, და ქვეყნის ბრძენმა გამგებელმა მოახერხა ხალხის დარაზმვა, წინაპართა დაწყებული დიდი საქმის ღირსეულად გაგრძელება...

და რაკი მთელი ის დრო შენებისა და შექმნის განსაკუთრებულად ფართო მასშტაბით ხასიათდებოდა, გასაკვირი აღარ არის, რომ მომდევნო თაობებმა, რომელთათვის სანატრელ მოგონებადღა გამხდარიყო მშვიდობიანი შრომისა და შემოქმედების წარსული ნეტარი დღეები, ზოგი რამ — უწინარეს შექმნილიცა და უფრო მოგვიანებით გაკეთებულიც — სწორედ იმ ადამიანის სახელს მიაწერეს, რომელიც მაშინ განაგებდა ქვეყანას. ამით ისინი ოცნებაში ერთგვარად თითქოს წარსული მშვიდობიანი შრომის და შემოქმედების დღეთა ტკბილ მოგონებებსაც ეალერსებოდნენ, და გულსაც იმაგრებდნენ, სასურველი მომავლის იმედს საფუძველს უმტკიცებდნენ...

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს თამარის პირადი თვისებები, რამაც უსათუოდ ხელი შეუწყო მის საარაკო პოპულარობას; ზემოთ უკვე ითქვა მისი განსაკუთრებული მზრუნველობა ქართული კულტურის კერებისადმი ქვეყნის შიგნითაც და უცხოეთშიაც. ამას ხაზგასმით აღნიშნავენ მემატიანეები; მემატიანეებისაევ ცნობით, ზეპირი გადმოცემებითაც ცალკე უნდა გამოიყოს მისი გულისხმიერი დამოკიდებულება მწერლობისა და მწერალთა მიმართ...

თამარის დახასიათება სრული არ იქნება, თუ საგანგებოდ არ ითქვა მისი სათნოებისა და ქველმოქმედების, მისი მაღალი ზნეობის

შესახებ, რაც იმიტომაც არის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი, რომ სასურველი მაგალითი გახდა თანამედროეებისა და მომდევნო თაობათა ადამიანებისთვის. „დავით აღმაშენებელსავით ისიც (თამარიც) ქველმოქმედებას საკუთარის შრომით შენაძენი ფულით ეწეოდა თურმე, — წერს ივანე ჯავახიშვილი, და იქვე თამარის „ფაქიზი სინდისისა და ზნეობის დასახასიათებლად“ მეცნიერს მემატიანის სიტყვები მოაქვს: იგი „ამასაცა შურებოდა, რომელ მის დღისა საჭამადი მისი დააფასის და, რაოდენ დღივ შეჭამის, ხელით საქმარი მისი განყიდა და ეგოდენ ფასი გლახაკთა ახელსაქმრა და მისცნა არა სამეფოთა შემოსავალთაგან“.

ივანე ჯავახიშვილი ცალკე მოიხსენიებს თამარის თავმდაბლობასა და სათნოებას, „ვერაფერმა ვერ შეცვალა მისი მარტივი და მიმზიდველი ქცევა. ძლიერება და სიმდიდრე ხშირად რყვნის ხოლმე ადამიანს, მედიდურად და გულქვავადა ხდის“, თამარზე კი გავლენა ვერ მოახდინაო, წერს მეცნიერი და კვლავ მემატიანის სიტყვებს მოიშველიებს: „ვერ შეიტყუა საშუებელმან ამის საწუთროსამან, არცა მეფობამან გვირგვინისამან და სკიპტრამან, არცა ქვათა პატიოსანთა უხვად ქონებამან, არცა სპათა სიმრავლემან და ესეოდენმან სიმხნემან... არა მიდრიკა, ვერცა წარიპარა სიმდიდრემან“...

პოპულარობა მართლაც დიდი იყო. „გასაოცარი აღბეჭდილება იქონია თამარის სახელმა როგორც იმის დროზე, აგრეთვე მომავლის საუკუნოების ქართველობაზედაც და უცხო ტომებზედაც... თვით მიყრუებულს კავკასიის კუთხეებშიაც, იქ, სადაც არც ერთი ქართველი მეფე არ იხსენება, აქამომდე უკედავობს და ბრწყინავს... თითქმის მითად გადაქცეული სახელი თამარისა“. ეს სიტყვები დიმიტრი ბაქრაძეს ეკუთვნის.

საგულისხმოა, რომ რამდენიმე საუკუნის შემდეგაც, შორეული რუსეთის დიდი იმპერატორი ივანე მრისხანეც ქებით მოიხსენიებს ქართველი მეფე-ქალის სიბრძნესა და საგმირო საქმეებს...

თანდათან მოერია მეფეს სენი. მაინც ფარავდა, სხვას უმალავდა; იქნებ არა მარტო იმიტომ, რომ სხვების შეწუხებას ერიდეობდა, როგორც ამას მემატიანე გვარწმუნებს, არამედ იმიტომაც, რომ ამოდენა სახელმწიფოს მბრძანებელსა და მტრის რისხვას თავისი ადამიანური უძლურების გამეღავნებისა ეშინოდა; არის ასეთი გრძნობა. ვერც დაეჯერებინა, ძლევამოსილ გვირგვინოსანსა და ღვთის რჩეულს ადამიანური სენი თუ მოერეოდა; იმედს ვერ ელეოდა,

ვაჯობებ, დავჯაბნიო, ფიქრობდა... მაგრამ დრო გადიოდა და სენი სულ უფრო და უფრო მძვინვარდებოდა, თვითონვე სჯაბნიდა და ერეოდა... სულ უფრო და უფრო დარია ხელი, მაგრად ჩააელო კლანჭები და შვებას აღარ აძლევდა. გახდა ჯერ ისევ ახალგაზრდა, 47 წლის ქალი, დაჭკნა, დაილია, გაფითრდა, თვალები ჩაულამდა, ძალა წაერთვა.

1212 წლის შემოდგომაზე ნაჭარმაგებს იყო მეფე, როცა აშკარად შეატყვეს ავადმყოფობა... მაშინვე დაასიეს განთქმული მკურნალები, მაგრამ სენი უკურნებელი გამოდგა. უკვე ცხენზე ჯდომა აღარ შეეძლო და კუბოთი წამოიყვანეს თბილისს, იქნებ აქაურმა ჰაერმა არგოსო. მეფე თვითონვე გრძნობდა, რომ ყველაფერი ამაო იყო. ტაბახმელა უყვარდა და იქ აიყვანეს, მაგრამ ვერაფერმა უშველა, „დიდად გაძნელდა სენი იგი უწყალო“... როცა უკვე აშკარად შეეტყო, საამქვეყნო პირი აღარ ჰქონდა, დიდებულები იხმო და შვილები ჩააბარა — „აპა, ესერა მკვიდრად სახლისა ჩემისა დაგიტევებ რომელნი მომცნა ღმერთმან შვილნი ჩემნი, გიორგი და რუსუდან. ეგენი მიიხუენით ჩემ წილ“...

მერე ულონო ხელები ზეაღაპყრო და „უკანასკნელ ხმა აღმოუტევა“...

მისი უკანასკნელი სიტყვები ეს იყო:

„ქრისტე, ღმერთო ჩემო მხოლოო, დაუსრულებელო მეუფეო ცათა და ქუეყანისაო! შენ შეგვედრებ სამეფოსა ამას, რომელ შენ მიერ მერწმუნა, და ერსა ამას, პატიოსნითა სისხლითა შენითა მოსყიდულსა, და შვილთა ამათ ჩემთა, რომელნი შენ მომცენ, და მერმე სულსა ჩემსა“...

გარდაიცვალა თამარი 1213 წლის 18 იანვარს, თბილისის მახლობლად, „აგარათა ციხეში“ (ალბათ ტაბახმელაში). დაკრძალეს გელათს, „თვისსა შინა სამარხოსა“, იქ „დამკვიდრებულთა პაპათა და მამათა მისთა“ გვერდით.

დამოუკიდებელ მეფობას შეუდგა გიორგი IV, ლაშა-გიორგი...

ზემოთ რამდენჯერმე შევნიშნეთ, ბედმა თამარს ბევრი სიმწარე არგუნაო. როგორც ვნახეთ, დიდად გახარებული სიცოცხლე მართლაც არა ჰქონია. ცხოვრებისეული სიმწარე მეტი გამოიმეტა ბედმა მისთვის, ვიდრე სიხარული. მაგრამ ალბათ ბედმავე დაინდო, როცა ასე უდროოდ განაშორა ამქვეყნიურ ცხოვრებას. ამით იგი აშორდა ყველაზე დიდ სიმწარეს, რაც კი შეიძლებოდა ცხოვრებაში შეხვედროდა: არ მოესწრო იმ საშინელ კატასტროფას, რაც მისი სიკვდილის შემდეგ თურმე მალევე უნდა მომხდარიყო და რითაც

დაიწყებოდა დაცემა და დაქვეითება საუკუნეებით ნაშენი დიდი სახელმწიფოსი.

ეს სიმწარე მის შვილებს უნდა ერგოთ. მათ უმზადებს ბედი. იმ უნაყოფო, უსარგებლო და ხშირად ზერელე მსჯელობა-განსჯის საგნადაც, რაც მომდევნო წლებსა და საუკუნეებში ბევრჯერ გაიმართება სულ სხვადასხვა წრეებსა და სხვადასხვა ვითარებაში, ისინი იქცევიან...

მაგრამ ჯერ არავინ გრძნობს იმ კატასტროფის მოახლოებას. ჯერ მისი ჩრდილიც არ დაჰფენია ქვეყანას. ჯერ ისევ თავისი ცხოვრებით ცხოვრობს ხალხი... ჯერ ისევ შენებისა და შექმნის სიხარული სუფევს. მოახლოებულ კატასტროფას ჩვენ ვხედავთ მხოლოდ, ჩვენ, ვინც შორიდან ვადევნებთ თვალს უკვე მომხდარ ამბებს და ვცდილობთ, პირვანდელი სიმწვავით წარმოვიდგინოთ და გავაცოცხლოთ ყველაფერი...

მოახლოებულ კატასროფას, რაღა თქმა უნდა, ახალგაზრდა მეფეც ვერა გრძნობს. მან ჯერ თავზე დადგმული გვირგვინის სიმძიმე იგრძნო მხოლოდ. ღირსეული კაცი იყო, გონიერი, განათლებული... არ შეიძლებოდა ადრევე არა სცოდნოდა მთელი სიძნელე და სირთულე ქვეყნის მართვისა, მაგრამ იმის წარმოდგენა, რომ სახელოვანი წინაპრების მემკვიდრეობა განსაკუთრებით ძნელია, და საშიშიც კი, მას არ შეეძლო. არ შეეძლო სცოდნოდა, რომ აჩრდილი დიდი წინაპრებისა განუშორებლად თან უნდა ხლებოდა, სიცოცხლეშიაც — ყოველგვარ ვითარებაში, ყოველი ნიბიჯის გადადგმის დროს — და სიკვდილის შემდეგაც, როცა სხვადასხვა ეპოქისა და თაობის ადამიანები შეეცდებიან სკრუპულოზური სიზუსტით ასწონონ ყოველი მისი მოქმედება, ყოველი მისი გადადგმული ნაბიჯი, და სხვებს შეუფარდონ. ასეთი განსჯის საგანი ყველა გამხდარა, სხვადასხვა დროისა თუ ეპოქის ყველა მეფე და მბრძანებელი, მაგრამ გიორგი მეოთხის, ანუ ლაშა-გიორგის მოღვაწეობას ყველაზე მეტი გაფაციცებითა და დაეჭვებით, ყველაზე მკაცრი და შეუწყნარებელი თვალით დაუწყებენ განსჯას...

მაგრამ წინ ნუ გავიჭრებით, ჯერ არც კატასტროფა დატრიალებულა და განსჯაც ნაადრევია. თანმიმდევრულად მივყვეთ მოვლენებს.

მესამე წიგნის დასასრული

შინაარსი

თავი I. დავით აღმაშენებლის პირველი გაბედული ნაბიჯები – დიდი ისტორიული რეფორმების დასწყისი ✦ კლდეკარის საერისთავოს გაუქმება და ლიპარიტის სამუდამო გადასახლება ბიზანტიაში ✦ ერისთავობის საუკუნოებით დაკანონებულ ინსტიტუტს საესებით ახალი სახელმწიფოებრივი წყობა დაუპირისპირდა ✦ ეკეროსნული ლაშქრობები ✦ რუის-ურბნისის 1103 წლის საეკლესიო კრება ✦ ერწოს (ერწუხის) ბრძოლა გახდა დავით აღმაშენებლის სამხედრო ძლიერების დასაბამი.. 7

თავი II. 1106 წელს დაიწყო გელათის სახელგანთქმული სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა ✦ იოანე პეტრიწის მოღვაწეობა ✦ იყალთოს აკადემია ✦ იმერეთი – ეს ტერმინი დავით აღმაშენებლის დროს გაჩნდა, საკარაულოდ მისიეე ან რომელიმე მისი „განმზრახის“ მიერ „ბედნიერი მიგნების“ წყალობით – XII საუკუნიდან მთელ დასავლეთ საქართველოს იმერეთი ეწოდება✦ თბილისის გათავისუფლება სტრატეგიული თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სამშვილდის ციხე-სიმაგრის აღებით დაიწყო ✦ დიდგორის ბრძოლა – „ძლევაი საკვირველი“ ✦ 1122 წელს დავით მეფემ 400-წლიანი მონობისგან გაათავისუფლა თბილისი და მეფის რეზიდენცია ქუთაისიდან თბილისში გადაიტანა..... 71

თავი III. დროშა გორგასლიანი და დავითიანი ✦ დავით აღმაშენებლის დროინდელი საბრძოლო იარაღები ✦ საგმირო ლექსების გახსენება 177

თავი IV. „მეფეთა მეფე“, „მესიის მახვილი“ დემეტრე – ძე დავითისა ✦ იხვე გაუთავებელი ბრძოლები შინაურ თუ გარეულ მტერთან, შინაურების ალაგმვა, მომხდურების განდევნა ✦ დემეტრე პირველის დროს მოჭრილი მონეტა, რომლის აევრსიდან თავმომწონედ შემოგეცქერის ლამაზი ქართული ასომთავრული „დ“, რაც „დემეტრეს“ ნიშნავს ✦ დიდებული „შენ ხარ ვენახის...“ ავტორი დემეტრე პირველი შესანიშნავი პოეტიც იყო. 193

თავი V. გიორგი მესამის მეფობა ✦ ანისი! ანისი! მრავალბრძოლაგადახდილი, მრავალტანჯული, ათასჯერ დანგრეული და ელავ აშენებული, ათასჭირგამოვლილი. არ ნებდება ჩვენი მეზობელი ხალხის მარად ახალგაზრდა დედაქალაქის განთავისუფლებისათვის ბრძოლა – ანუ მუდმივად მტრის განდევნა მეზობელი ქვეყნიდან ✦ დიდი შეთქმულება ქართველი მეფის წინააღმდეგ, რასაც გიორგი III სასტიკად გაუსწორდა – მთელი ორბელიანების საგვარეულო დედა-წულიანად გაჟლიტეს, ხოლო თავის ძმისწულ დემნას თვალები დათხარეს და დასაჭურისეს, რის შემდეგაც იგი მალე გარდაიცვალა ✦ გიორგი მეფემ ორგული დიდგვარიანი ეახირების ადგილზე სრულებით უგვარო ერთგული ხალხი დანიშნა – განახორციელა დარბაზის ყარის მოხელეთა დემოკრატიზაცია ✦ 1178 წელს გიორგი მესამემ თავიხი ქალიშვილი თამარი მეფედ აკურთხა და თანამოსაყდრედ დაისვა

✦ სამეფო კარისა და დარბაზის საგანგებო, უმკაცრესი ღონისძიებანი მეკობრეობის
აღსაკვეთად ✦ „ღვთისაგან მირონცხებული და ღვთის ნებით მოქმედი“
გიორგი III 1184 წლის ენების კვირას გარდაიცვალა.....219

თავი VI. ექვთიმე თაყაიშვილის მიერ შემთხვევით ნაპოვნი „ხელმწიფის კარის გარიგება“,
რასაც თავად აღმომჩენელმა „ჩვენი ისტორიის ზეიმი“ უწოდა ✦ დარბაზის წევრთა და
კარის მოხელეთა უფლება-მოვალეობანი ✦ დარბაზისა და საკაზიროს სხდომებზე
მიღებული კანონები, ბრძანებები და გადაწყვეტილებები 264

თავი VII. მტრულად განწყობილი დიდებულები და თამარის მეორედ კურთხევა მეფედ.
თამარმა ხოცარი გულუხეობა გამოიჩინა – „განსხსნა საპურეველნი მონაგებნი პაპათა და
მამათა მისთანი“ ✦ თამარ მეფემ პირველ მანიფესტად „ქერეთა ხელმეორედ
დაქორწინება“ გამოსცა ✦ პირველი დაბრკოლებები, ფარული შეთქმულებები და
რამდენიმე „შინა-მარცხი“ ✦ ჟუოლუ-არსლანისა და მისი დასის დიდი პოლიტიკური
პროგრამა, რომლის ანალოგსაც მსოფლიო მანამდე არ იცნობდა
✦ ზედიზედ რამდენიმე მარცხის შემდეგ ახალგაზრდა თამარ მეფემ პირველი
გამარჯვება მოიპოვა – გონიერული ნაბიჯით ჩაახშო დიდებულთა ამბოხება 290

თავი VIII. პირველ გამარჯვებას მეორე მოპყვა – კარიერისტი და ზნედაცემული
მწიგნობართუხუცესი მიქაელ მირიანისძე მოხსნა და მის ადგილას უკვე
ანფორამორგებული ანტონ გლონისთავისძე დაამტკიცა ✦ ქვეყანას მეფის მემკვიდრე,
უფლისწული სჭირდებოდა, რის გამოც თამარი თითქმის ძალით დააქორწინეს რუს
უფლისწულ გიორგისთან, რომელიც ორწლინახევრის შემდეგ ქვეყნიდან
გააძევეს ლოთობისა ზნედაცემულობისთვის ✦ ქართველთა მეფე მეორედ
დააქორწინეს მისი მამიდის, რუსუდანის გაზრდილ დავით სოსლანზე – ბაგრატიონთა
შთამომავალზე, რომელთანაც შვილნა ეყო – გიორგი (ლაშა-გიორგი)
და ქალიშვილი რუსუდანი ✦ ისევ ამბოხება სამეფო კარზე.....325

თავი IX. შამქორისა და ბასიანის ომები და ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებები
✦ საქართველოს სამეფო კარმა განახორციელა დიდი სიფრთხილით მოფიქრებული გეგმა
– თავის მეზობლად, შავი ზღვის სანაპიროზე, დაიარსა ტრაპიზონის სამეფო
ანუ საკვესრო. ამ ადგილებში ბინადრობდნენ ქართველური ტომები – ლაზები და ჭანები
✦ თამარის ლაშქარმა შემოიერთა პოლიტიკურ-სტრატეგიული და ეკონომიკური
თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი ქალაქი კარი (ყარსი) 371

თავი X. ბესლეთის ხიდი – XII საუკუნის ქართული საშვნებლო ხელოვნების ერთ-
ერთი ნიმუში ✦ ბეშქენ და ბეკა ოპიზარები ✦ შოთა რუსთაველი და მისი ეპოქა.
„ვეფხისტყაოსანი“ ✦ თამარის დროინდელი ოქრომჭედლობა და ვედლის მხატვრობა.
ეარძია ✦ იყალთოს აკადემია. შიომღვიმე... დავით სოსლანი რომ გარდაიცვალა,
თამარმა თანამოსაყდრედ თავისი ეაკი გიორგი დაისვა. ეს იყო 1207 წელს...
✦ თამარ მეფეს უკურნებელი სენი შეეყარა და 1212 წელს სრულიად ახალგაზრდა,
47 წლისა გარდაიცვალა.....413

სტამბა შპს „გაზეთი საქართველოს მაცნე“, რობაქიძის ქ. №7ა